1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

11

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე | № 11 | ნოემბერი, 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

საუკუნის მთავარი მოვლენა. მოწინავე . . . . . . . . . . . . 3
კოლაუ ნადირაძე — 1917 წელი, ოქტომბერი. ლექსი . . . . . . . . 5
ოთარ ჭელიძე — ოქტომბრის დროშის პოემა . . . . . . . . . 7
სერგო კლდიაშვილი — დიდი ოქტომბრის კვირაძალი. მოგონება . . . . 11
ლადო სულაბერიძე — ლოდზე ამოკითხული თქმულება. პოემა . . . . . 18
ოთარ შალამბერიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 25
დალილა ბედიანიძე — ლექსი . . . . . . . . . . . . 29
გიორგი ციციშვილი — სძლიე სიხარბესა შენსა. მოთხრობა . . . . . . 30
ჯემალ ქირია — დალ-ექიმი. მოთხრობა . . . . . . . . . 81
ერიხ ვაინერტი — ლექსი. თარგმ. შ. ამირანაშვილმა . . . . . . . 90
კურტ ბარტელი — ლექსი. თარგმ. შ. ამირანაშვილმა . . . . . . . 91
შალვა ჩირაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 92
რამაზ კობიძე — გვიმრის ფოთლები. რომანი. გაგრძელება . . . . . . . 93
ბორის ჩხეიძე — თუ სადმე იყო ედემი . . . . . . . . . . 136

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

სერგი ჭილაია — ოქტომბერი და ქართული მწერლობა. გაგრძელება . . . 141
გიორგი მერკვილაძე — პოეზია და თანამედროვეობა . . . . . . . 150
შალვა ფორჩხიძე — ახალი პოეტური ხმების ოსტატი . . . . . . . 160
ერემია ქარელიშვილი — ქართული საბჭოთა დრამატურგია გუშინ და დღეს 170
ნადია შალუტაშვილი — კომუნისტის სახე ქართულ სცენაზე . . . . . 180

### წიგნების მიმოხილვა

რევაზ მიშველაძე — მამათა დასაფასებლად, ჩვენდა გასაგონად . . . 189
ხ. ჩიტაური — ხელოვნებასთან ზიარება . . . . . . . . . . . 191

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

13465
კ. მარქსის სახ. ... სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. რედაქტორის მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 5/X-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI-77 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 12709. ტირაჟი 13.900. შეკვ. 2991.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკუნის მთავარი მოვლენა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია — XX საუკუნის მთავარი მოვლენა, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული შემობრუნების დასაბამი, — ბუნებრივია, რომ თავიდანვე, პირველი დღეებიდანვე მოექცა მსოფლიო ლიტერატურის ყურადღების ცენტრში, თავიდანვე გახდა მოწინავე მსოფლიო პოეზიისა და პროზის უმთავრესი თემა; მასზე დაიწერა დიდი ეპიკური ტილოები, ვრცელი რომანები, რომელთაც მოგვცეს ეპოქალური ქარტეხილების, დიდი სოციალური გარდატეხების განზოგადებული სურათები; ხოლო მთელი მსოფლიოს პოეტებმა, ვინ მოსთვლის რამდენი მგზნებარე ლექსი, რამდენი შთამაგონებელი სიმღერა მიუძღვნეს დიდ ოქტომბერს! მათ მთელი გულით, მთელი გატაცებით, უდიდესი სიყვარულით უმღერეს კაცობრიობის ისტორიის ყველაზე დიად, ყველაზე ნათელ, ყველაზე მზიანსა და სასიხარულო დღეს, რომელმაც მუდმივი გაზაფხული გაუთენა ხალხებს და ერებს, ბედნიერებით აავსო და ჩაუქრობელი სიხარულით ააძგერა მშრომელთა მილიონების გული.

ლენინი და ოქტომბერი — მუდამ იყო და იქნება ქართული საბჭოთა პოეზიას მთავარი თემა; დიდი ლენინის გენიას უმღეროდა ყველა თაობა ჩვენი მწერლობისა განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე; ლენინის მოძღვრება, ლენინის ანდერძი მუდამ იყო, არის და იქნება ის უბრწყინვალესი შუქურა, რომელიც წინ მიუძღვის კაცობრიობის განვითარების ზეაღმავალ ისტორიას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი 7 ნოემბერს, კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული დარბაზობის დროს აღნიშნავდა:

„ამ დღეებში ჩვენი ხალხი თვალს ავლებს განვლილ 60 წელს და ფიქრობს მომავალზე. მას ბევრი რამ აქვს საამაყო: კოლოსალურად ბევრი რამ გაკეთდა ყველა დარგში. საბჭოთა ადამიანები დღეს უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ოდესმე — სულიერადაც და მატერიალურადაც. ამასთან ნათლად ვხედავთ, რას სჭირდება კიდევ დახვეწა, გაუმჯობესება — და ვიცით, რა გზით უნდა გავაკეთოთ ეს, და გავაკეთებთ კიდეც.

საბჭოთა ხალხის წინაშე, რომელსაც ლენინის პარტია ხელმძღვანელობს, დასახულია ნათელი და მკაფიო პერსპექტივები. დიდი ხალხი ეგებება თავის დიად მომავალს.

ჩვენი მიღწევები და მისწრაფებები ასახულია ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც განიხილა და მოიწონა მთელმა ხალხმა. მისი განხილვის დღეებში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ის, რაც შეადგენს ჩვენს მთავარ ძალას: პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა. ეს ერთიანობა ყველა ჩვენი შემდგომი გამარჯვების საწინდარია“.

საბჭოთა სახელმწიფოს მატიანე აღსავსეა სასახელო და საამაყო საქმეებით. საბჭოთა ადამიანი სიამაყით გადასცქერის თავის წარსულს: უკან დარჩა ბრძოლის, ჭრილობათა მოშუშების, მანამდე არნახული შენებისა და ინდუსტრიალიზაციის წლები. ის, რასაც ჩვენმა ხალხმა დროის ამ უმცირეს მონაკვეთში მიაღწია, ყველაზე უთამამესი ფანტასტისთვისაც მიუწვდომელი იყო. დიდმა ოქტომბერმა, სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველყო საზოგადოების განვითარების ყველაზე არსებითი, ყველაზე ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა. საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ადამიანს

ეს სასახელო გამარჯვებანი ყველაზე დამაჯერებლად აისახა ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში — ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში.

ჩვენმა ხალხმა ერთსულოვნად გადაწყვიტა: უკვდავყოს ის ნათელი დღე, როცა მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიაში ამიერიდან ოქროს ასოებით გამოკვეთილი იქნება: — შვიდი ოქტომბერი, საბჭოთა კონსტიტუციის მიღების თარიღი, ამიერიდან სახალხო ზეიმად არის მიჩნეული.

სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის — მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა ჩვენმა კონსტიტუციამ. და ჩვენი ცხოვრება, განვითარებული სოციალიზმის ყოველი დღე პრაქტიკულად ადასტურებს ამ დებულებას. ყველგან და ყველაფერში ჩანს მკაფიოდ გამოვლენილი საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივი შეგნება, სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, სახალხო ხელისუფლების შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ყოველივე ეს დასტურია იმისა, რომ ოქტომბრის იდეები, ვ. ი. ლენინის ანდერძი, წარმატებით ხორციელდებოდა და ხორციელდება.

სოციალისტური სისტემის ყველაზე უდიადესი ფასეულობა ადამიანი გახლავთ. მისი სულიერი მრწამსი მკვეთრად განსხვავდება კაპიტალის სამყაროს ადამიანისაგან. ამას საბჭოთა ხასიათი ეწოდება. მასში განსახიერებულია ახლებური კომუნისტური მორალი, სოციალისტური წყობის სიძლიერე, ჩვენი იდეების ცხოველმყოფელობა, საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების წესის უპირატესობა.

საბჭოთა ადამიანის ახლებური ხასიათი ჩამოყალიბდა და გამოიწრთო რევოლუციური ბრძოლების ბარიკადებზე, ხუთწლედების ხარაჩოებზე, ფაბრიკა-ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, დამკვრელურ შრომაში. იზრდებოდა და ვითარდებოდა ადამიანთა ურთიერთობის ახალი ფორმა — მეგობრობა, ამხანაგობა, ძმობა.

სწორედ ამ ძმობამ და მეგობრობამ წარმოაჩინა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების სრული ტრიუმფი, ლენინური პარტიის ბრძნული და შორსმჭვრეტელი ეროვნული პოლიტიკის სიდიადე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ყველა ერისა და ეროვნების ფაქტიური თანასწორობა, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება.

საბჭოთა მწერალი თავისი ხალხის ღვიძლი შვილია. იგი შთაგონებულია ლენინის უკვდავი მოძღვრებით. სწორედ ამაშია ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის ცხოველმყოფელობაც: საბჭოთა ლიტერატურა ყოველთვის იყო ხალხის ინტერესების, მისი წმიდათაწმიდა იდეალების დამცველი, მისი სულიერი მეგობარი, მისი გმირული შრომის ტრუბადური, თანამედროვეობის გულმართალი მემატიანე.

საბჭოთა ლიტერატურის თავისებურება, მისი პრინციპული სიახლე ის გახლავთ, რომ იგი არსებობს და ვითარდება, როგორც მრავალეროვანი ლიტერატურა, რომ ითვისებს და იყენებს მსოფლიო ლიტერატურის ყველა პროგრესულ ტრადიციას, შემოქმედებით გამოცდილებას. მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია იგი, როგორც ჟანრობრივად, თემატიკითა და პრობლემებით, ასევე გამომსახველობითი საშუალებებით, სტილითა და ფორმით. იგი გამუდმებით ივსება ახალ-ახალი ტალანტებით. ესეც დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია, საბჭოთა ხალხის ძირითადი კანონით განმტკიცებული.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განთიადს მესამოცედ შევხვდით. მესამოცედ გადავავლეთ თვალი საბჭოთა ხალხის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის განვლილ გზას, კაცობრიობის ახალი ისტორიის შუქმოსილ გზას. ამ გზაზე ამაყად მიაბიჯებს საბჭოთა ადამიანი, ახალი ადამიანი, რომელიც თავის თავს არ გამოჰყოფს სახელმწიფოსაგან და ღვიძლ საქმედ მიაჩნია სახელმწიფო, საერთოსახალხო ინტერესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

## 1917 წელი, ოქტომბერი...

რა საშინელი,
რა მრისხანე
მძვინვარებს ქარი!
ფრონტს ტოვებს
ომით ნაწამები,
დაღლილი ჯარი!
უაზრო ომით,
ბნელი ღალატით,
    დამარცხებით
    გადაღლილი,
ტანჯული ჯარი!

მუქთახორების,
სამეფო ტახტის
    დასაცავად,
    სამ წელიწადს
იგი იბრძოდა,
    მაგრამ მან რატომ,
    ან და რისთვის,
    განა იცოდა?!
ახლა მიწაში მან ჩაარჭო
    უკვე ხიშტები,
რადგან მოესმა, მას ძახილი,
    თითქოს ბრძანება:

«Втыкайте, братцы, в землю
    штыки,
    идите по домам!»

და ახლა ფრონტი მან დატოვა,
    სახლში ბრუნდება,
მაგრამ ამ დიდი გზების
    გავლას
რა დრო უნდება!

ო, რა უაზროდ
ბრძოლის ველზე
კაცი კვდებოდა!
უკან ოჯახი
    უპატრონოდ
მისი რჩებოდა...
რამდენი ცრემლი,
რამდენი სისხლი
ჩაგრული ხალხის,
რუსეთის ხალხის
იფრქვეოდა და ინთხეოდა!

ფრონტს ხტოვებს
ომით გადაღლილი,
ტანჯული ჯარი.
    პეტროგრადისკენ
    ნელა,
    მძიმედ
მიიწევს ჯარი!
რა საშინელი,
რა მრისხანე
მძვინვარებს ქარი!

შორიდან უკვე მას მოესმის
    ნაბატის ხმები,
    დარაზმულ ხალხის,
    აჯანყების,
    ბრძოლების ხმები.
წვიმებით, თოვლით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დატბორილ გზებით
პეტროგრადისკენ,
ზღვის ზვირთივით
მიიწევს ჯარი.
რა საშინელი,
რა მრისხანე,
რა მბორგავი
მძვინვარებს ქარი!

ჯარს უკვე ძალა ქვეყნიური
ვერ შეაკავებს!
ორთავიანი
არწივის დროშა
აღარ უჭირავს
დაკოჟრილ ხელებს!
უკვე სხვა გრძნობით
სხვა იმედით
ის გასცქერის მშობლიურ ველებს!
მშობლიურ კერის
თითქოს ესმის
მას ხმა სიმღერის!
ისევ მრისხანედ
გაჰკივის ქარი...
უახლოვდება,
როგორც ზღვის ტალღა
აჯანყებულ
პეტროგრადს ჯარი.

როგორც მღელვარე ოკეანე
დუღს პეტროგრადი...
პროლეტარიატს აჯანყებულს,
მაძიებელს ძალაუფლების,
ბრძოლის სურვილი
უძლეველი
ცეცხლად ედების,
მაგრამ უეცრად დადუმდება
შფოთვა ქალაქის:
სადგურის ახლოს,
ჯავშნოსანზე,
ლენინი ადის!
და სიჩუმე
შეიპყრობს ყველას.
მხოლოდ დროშების
ბრწყინვალება
მის ირგვლივ ღელავს!
მგზნებარედ უხმობს
ბრძოლისაკენ
დიდი ბელადი,
თავისუფლება რომ დამკვიდრდეს
ქვეყნად დიადი,
სულგანაბული
უსმენს ხალხი
ლენინის სიტყვას,
და გრძნობს —
სიმართლე
მხოლოდ მისგან
დღეს უნდა ითქვას!
რომ სამუდამოდ
ძლეულ იქნეს
ჩაგვრა, წყვდიადი,
რომ ყველგან გაქრეს
მონობის ლანდი,
რომ ხალხს,
მშრომელ ხალხს,
გადაეცეს ძალაუფლება,
რომ მოეფინოს მთელ მსოფლიოს
მზე განთიადის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

## ოქტომბრის დროშის პოემა

თორმეტი
        წლისაა, ტანმორჩილი,
ბიჭს შუბლზე
        ქოჩორი
            გადმოშლია,
ხალიბურ
        რვალიდან
            გამოჭრილი
მეტეხისციხელი
        გავროშია...
სისხლი სდის
        თქრიალით
            ცხვირ-პირიდან
და იცის
        პატარა
            პატიმარმა,
რომ უცქერს
        ლენინი
            ციმბირიდან,
რომ მისი
        მშველელი
            პარტიაა!
მოჰგლიჯეს
        ხალათი
            დაფხრეწილი,
ყმაწვილი
        ქვის კედელს
            შეახეთქეს,
წითელმა
        პერანგმა
            ქარცეცხლივით
პირსახე
        აუწვა
            ზედამხედველს.
დაგვალულ
        სხეულზე
            დახვეული
მზის დროშა
        საკანში
            გაიშალა,
და ძველი
        ციხიდან
            ახლებური
სიმძაფრით
        დაჰქროლა
            ქარიშხალმა.
დაიძრა გუგუნი
        ყურწამღები:
    — არ მოჰკლათ! ...
        ასს მოვკლავთ
            მოკლულისთვის! ..
— ნუ სტანჯავთ! —
        აზღავლდნენ ტუსაღები. —
ვერ მოხრით!
        სისხლი აქვს
            კომუნისტის!..
მეტეხის
        ჯურღმული
            აგრიალდა,
რაც მოხდა,
        მტკვარს ახსოვს
            დანარჩენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ციხე
გადიქცა
ბარიკადად,
რომ ეხსნა
ტანჩია
მამაჩემი...
ო, დედის
კალთაში
ნაფერებმა —
რა უცბად
იციან დაბერება,
ასაკის
გარეშე
გათეთრება
სიკვდილის
საკანში —
საფეთქლებმა.
ყორანი
სიკვდილის,
გულცივობის
სჯიჯგნიდა,
ძირს ეგდო
ავადმყოფი
და მაინც
სიმწარეც
წუთისოფლის
რა ძნელად
ყოფილა
დასათმობი.
აზავთდა
გუგუნი
პატიმართა
და ბიჭმა
შეიგრძნო
საკანშივე,
რომ დიდი
ლენინის
პარტიასთან
სიცოცხლის
წყურვილი
აკავშირებს.
და როცა
თებერვლის
მოქროლებამ
ღაფლითა
სასტიკი
განაჩენი,
ძეტეუის
ციხიდან
ოქტომბერმა
საომრად
აფრინა
მამაჩემი.
დროშების
ტყეთაგან
ბუმბერაზთა
ერთბაშად
დაძრული
ენერგია,
მძვინვარე,
ქარიშხლად
უბერავდა,
რომ შავი
კარიბჭე
შეენგრია.
გრიგალმა
ყმაწვილიც
წარიტაცა,
დროშებქვეშ
გაწაფა
ხმალგაწვდილი —
ვინც დიდი
ოქტომბრის
ჯარისკაცად
დენიკინს
ებრძოდა
თავგანწირვით.
საწუთრომ
არც ქვეყნის
სატკივარი,
არც ტყვია
დააკლო
ბასმაჩების;
შვილს მტეხენ
ნეკნები
ნატყვიარი,
იარა
მიკვნესის
მამაჩემის.
და ბოლოს
ჩამალა დაღნამჩნევმა
საბანში
პირსახე
გაპარსული;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არავის
ანახა
მამაჩემმა
მებრძოლის
უმწეო
დასასრული.
სპეტაკი
სიცოცხლით
შთაგონებულს
როდესაც
თბილ მიწას
ვაბარებდით,
მის ცხედარს
ძირს დახრილ,
შავმოვლებულ
მზის დროშით
წარვუძღვ
სამარემდის.
და სადაც
წავსულვართ
სამშობლოდან,
წამებულთ
სიწმინდით
ვნათდებოდით,
თავს ვგრძნობდით
ოქტომბრის
სადროშოსთან
წარსულით,
აწმყოთი,
ქართველობით.
ჯვარცმულნი
არასდროს
მარცხდებიან,
დროშების
არდახრას
ქადაგებენ,
და თუ ვერ
დაგვცქერენ
კვარცხლბეკიდან,
ჩვენ ვგევართ
მათ ცოცხალ
ქანდაკებებს.
რა კაცი,
რა შვილი
ეწოდება —
მამის მტერს
ვინც მტრობა
აპატიოს!
ულმერთო...
ურიცხვი
შეცოდება
ვანანეთ
მეტეხის
საპატიმროს...
დავლეწეთ
და მისი
ნამსხვრევები
ტინიდან
მტკვრისკენ
დავაშვავეთ,
რომ ციხე —
აუგად
სახსენები —
დაცემულთ
წარუდგეს
დამნაშავედ.
და მაშინ,
ნანგრევთა
ზარგრიალში,
მძლეთამძლე
გუგუნით
ალიმართა
წითელი
დროშების
გარიჟრაჟით
ლაშქარი
მეტეხის
პატიმართა.
სიცოცხლე
ესიზმრათ
წართმეული
საკანთა
წყვდიადში
დალუპულებს,
მზის დროშას
უშვერდნენ
წამებულნი
ჭრილობებს —
მარადის
განუკურნელს.
დავლანდე
და გული
დამითუთქა
წინაპრის
დანახვამ
მეგობრებთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შვილებს
გვეღირსა;
თავისუფლად
მართლის თქმა,
შერისხვა
მედროვეთა;
მიწაზე
თამამად
სიარული,
აღმოთქმა
სიმწრის და
სიმღერების,
უძილო
ღამენი,
სიყვარული
და წვდომა
უძირო
სიღრმეების.
დრომ მტრებიც გამაცნო
საკმარისად,
დრომ სულში
ჩამძახა:
— გადარჩები!...
დრომ ბევრჯერ
ნუგეშად
დამასიზმრა
მეტეხისციხელი
მამაჩემი...
ტანჯული,
ჯვარცმული
დაგვალული —
არც ისე
შორეულ
წარსულშია,
მზის დროშა,
ხალათქვეშ
დამალული,
ოქტომბრის
ლაჟვარდში
გაუშლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

# დიდი ოქტომბრის კვირაძალი

## ზევრის მეტყველი დუმილი

მრავალჯერ მინახავს ადრე ახალგაზრდობაში, ჭაბუკობის წლებში და შემდეგაც პროტესტისა და უკმაყოფილების გამოსათქმელად შეკრებილი ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეთა მიტინგი. ცხარე ხასიათისა იყო ის მიტინგები, სადაც მთავრობისა და მექარხნეების წინააღმდეგ ცეცხლოვან სიტყვებს წარმოთქვამდნენ ორატორები. მაგრამ ისეთი მძაფრი მიტინგები, როგორიც იმართებოდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, დიდი ოქტომბრის მოახლოების პერიოდში, არც მენახა, არცა მსმენოდა.

იმ ხანებში მოსკოვში ვიყავი, დღითი დღე, უფრო ძლიერად და საგრძნობლად ახლოვდებოდა დიდი ოქტომბრის ქარიშხალი.

ერმაკოვის სახელობის ღამის გასათევი სახლი... ვეებერთელა თეთრი შენობა რკინიგზის ყაზანის სადგურის ახლო... წინათ აქ ღამეს ათევდნენ უსახლკარონი. ამგვარი ღამის გასათევი სახლი არაერთი იყო ქალაქის სხვადასხვა უბანში. ყველაზე უფრო ცნობილი იყო „ხიტრიკოვ რინოკი“. ღამით აქ იშვიათად თუ გაბედავდა ვინმე გავლას. მთელი ეს უბანი „ბოსიაკების“ სამყარო იყო და მხოლოდ პოლიციელებს თუ შეეძლოთ გაბედულად გაევლოთ აქ. თუმცა ზოგჯერ აქაურობას ცნობილი მსახიობები, ლიტერატორები და ქველმოქმედებიც მიაკითხავდნენ ხოლმე.

ერმაკოვის ღამის გასათევი სახლი კი შედარებით მშვიდ უბანში იყო. უსახლკარონი ამ შენობას მხოლოდ დიდი ქალაქის ქუჩებში ხანგრძლივი წანწალის შემდეგ, დაღამებისას აკითხავდნენ, როცა უკვე გადაუწყდებოდათ ლუკმა-პურისა და მცირეოდენი გროშის შოვნის იმედი. „ბოსიაკებს“ შორის შეხვდებოდით ყოფილ ინტელიგენტს, ჩინოსანს, მსახიობს, — ლოთობის ან რაიმე უბედური შემთხვევის გამო მაწანწალად ქცეულ ადამიანს.

ერმაკოვის სახელობის სახლში არასოდეს ვყოფილვარ, სანამ იქ მაწანწალების ღამის გასათევი იყო. მერე კი კვირაში ოთხ დღეს დავდიოდი, როცა იქ პირველი მსოფლიო ომის დროს, ფრონტზე დაჭრილი და დაავადებული ჯარისკაცების მიმღები პუნქტი გამართეს. ასეთი პუნქტი რამდენიმე იყო მოსკოვში.

1916 წლის შემოდგომიდან დავიწყე იქ მუშაობა. ოცდაათამდე სტუდენტი ვიყავით, ჩვენს გარდა იქვე იყვნენ უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქალიშვილები. ყველანი ექიმების თანაშემწეებად ვმუშაობდით. სამუშაო დიდი გვქონდა. ჩვენი პუნქტი ყოველდღიურად ღებულობდა დაჭრილსა და ავადმყოფ ფრონტელებს. ფრონტიდან გამოგზავნილი ჯარისკაცების რიცხვი მარტო ერმაკოვის სახლში ათასზე ნაკლები არ იყო. ჩვენ გვევალებოდა ჯარისკაცების რეგისტრაცია და მათი სპეციალურ საავადმყოფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებში გადაგზავნა. ჩემთან ერთად კიდევ ოთხი ქართველი სტუდენტი მსახურობდა; მოსკოვში მცხოვრები ქართველი საზოგადოების გამგეობისაგან ჩვენ დამატებით დავალებული გვქონდა ამ საზოგადოების ხარჯზე არსებულ ჰოსპიტალში დაჭრილი და დაავადებული ქართველი ჯარისკაცების გადაყვანა. კვირაში რამდენიმე ათასი დაჭრილი ახალგაზრდა ჯარისკაცი გაივლიდა ხოლმე ჩვენს ხელში.

რა მძიმე იყო ზოგჯერ ის წუთები, როცა უზარმაზარ პალატაში მწოლიარე ჯარისკაცების კვნესა და ოხვრა ისმოდა! ისინი კვნესოდნენ გაუბედავად, ჩუმად და თითქოს შიშითაც კი. იქნებ მათ აკრძალული ჰქონდათ თავიანთი გასაჭირის გამჟღავნება და ამიტომ ოხრავდნენ ასე გულსაკლავად, გაგუდულად, მაგრამ რა დააყრუებს ტანჯვის გამოძახილს, — ამ დიდ პალატაში იგი გუგუნებდა სიტყვის გაურკვევლად. განწირულების, უიმედო მორჩილების ხმით. ასეთი ყრუ გუგუნი ისმოდა უზარმაზარი შენობის ხუთივე სართულის ყველა პალატაში, სადაც ახობით დაჭრილი და დასნეულებული ახალგაზრდა იტანჯებოდა. მეგონა, რომ ეს ხმა დავიწყებული მქონდა. მას შემდეგ ხომ დიდმა დრომ განვლო! მაგრამ, აი, გავიხსენე თუ არა, ვგრძნობ, ისევ ცოცხლობს — თურმე სამუდამოდ ჩამრჩენია მეხსიერებაში.

გამანაწილებელ პუნქტში სხვებზე უფრო ერთ სტუდენტს დავუახლოვდი კაზიმირ მუსიატოვიჩს. რამდენიმე თვეში ისე დავმეგობრდით, რომ სავსებით ვენდობოდით ერთმანეთს, ჩვენთან მომუშავე სტუდენტებს შორის იყო კიდევ ერთი, გვარად დემიდოვი. მასთან საუბარში გული არასდროს გადაგვიშლია, ზოგჯერ სიტყვას ვწონიდით კიდეც. როგორც ვიცოდით, ის კადეტების პარტიას თანაუგრძნობდა, გატაცებით ლაპარაკობდა მილიუკოვზე.

ერთ დღეს, პალატების ჩამოვლის შემდეგ, ზედა სართულიდან ჩამოვდიოდით. დემიდოვი მისთვის უჩვეულოდ ხმაგაკმენდილი მოჰყვებოდა კიბეებს. რაღაც მღელვარება ემჩნეოდა. მეც და მუსიატოვიჩსაც საკვირველად გვეჩვენებოდა მისი შემკრთალი გამომეტყველება.

— უჩვეულო რამ ხდება, მეგობრებო, — გვითხრა ბოლოს დემიდოვმა. ახლა მისი ხმაც უჩვეულოდ მოგვეჩვენა. — დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, რაღაც დიდი განსაცდელის წინაშე ვდგავართ...

— საიდან დაასკვენი? — ცოტა არ იყოს ირონიით გადახედა მუსიატოვიჩმა.

— ეს ამბავი დამაფიქრებელია, მეგობრებო, ძალიან დამაფიქრებელი... — იმავე თავდაჭერილი მღელვარებით განაგრძო დემიდოვმა, — ეს საშიშიც არის იმპერიისათვის, განსაკუთრებით ახლა როცა უმაგალითო ომი მძვინვარებს... აა, როგორ გგონიათ, მართალი არა ვარ?

— შენ რაო, რაზე ლაპარაკობ? — უკვე დაეჭვებულად და სერიოზულად ჰკითხა მუსიატოვიჩმა.

— აი, მოვიარეთ პალატები და ყველა პალატიდან ერთიდაიგივე შთაბეჭდილება გამომყვა, სტკივა, ძალიან სტკივა და იტანჯება, ვგრძნობ, ერთი ხმამაღალი დაკვნესება, ერთი ხმამაღალი ამოძახილი ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ვერ გაუბედავს, თითქოს აკრძალული აქვსო. დიახ, მაგრამ ვინ უკრძალავს? კიდევ ერთი რამ თუ შეგინიშნავთ? როგორც კი დაგვინახავს პალატაში შესულთ, დამუნჯდება, დაყრუვდება. ამით ის უფრო საცოდავი და საშიში მეჩვენება. ეს ხომ საშინელი რამაა! ისინი უბრალო ადამიანები არიან, სამშობლოსათვის თავგანწირვა მათთვის გაუგებარი და უცხო რამ გრძნობაა, და, აი, მათ კვნესაში მხოლოდ და მხოლოდ რაღაც სხვა ინსტინქტის ხმაა, საშიში ინსტინქტების ხმა; ასე არაა?

დემიდოვი მართლაც შემკრთალი ჩანს. ბოლოს, თითქოს სხვათაშორის, გვეკითხება:

— თქვენ გიგრძვნიათ თუ არა ეს?

მუსიატოვიჩი გულცივად ეხმიანება:

— როგორ, თქვენ აქამდე არ გიგრძვნიათ?

დემიდოვი შეკრთა. ალბათ არ მოელოდა ამის გაგონებას.

— პირველად გაიგე? — იმავე სიმშვიდით მიმართავს მუსიატოვიჩი. — რატომ გიკვირს, შენ როგორ გინდა, ჯარისკაცები იღიმებოდნენ და კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდეთ?

დემიდოვი უმალვე მოგვცილდა და სწრაფად დაეშვა რეგისტრატურის ოთახისაკენ.

ეს პირველი დიდი სიჩუმე, რომელიც ერთბაშად ჩამოდგა მეფის რუსეთის თვალუწვდენ იმპერიაში, რამდენიმე თვის შემდეგ ყველასათვის საგრძნობი და გასაგონი შეიქნა; ეს სიჩუმე მთელ მეფის რუსეთს ესმოდა ახლა.

* * *

დღითიდღე ხოცარი სისწრაფით ძლიერდებოდა დაძაბულობა. მოქალაქენი თითქოს ცდილობდნენ, არ გაემჟღავნებინათ თავიანთი გრძნობები.

ხშირად ისეთი განცდა მქონდა, თითქოს სიჩუმე იყო გარშემო, თითქოს კიდევაც ვუმალავდით ერთიმეორეს ჩვენ-ჩვენს გრძნობებს.

სტუდენტების სასადილოში, რომელიც მანეჟის და კრემლის ერთ-ერთ მთავარ შესასვლელთან მდებარეობდა, ყოველ საღამოს მრავალი სტუდენტი იყრიდა თავს. ვიკრიბებოდით, მაგრამ თითქმის სიჩუმეში ვატარებდით მთელ დროს. მხოლოდ რამდენიმე გარეგნულად მშვიდად წარმოთქმულ სიტყვას მოვჰკრავდით ყურს იმაზე, რომ ამა და ამ უბანში პოლიცია საეჭვოდ მოქმედებდა: ქუჩაში, რომ პუშკინის ძეგლთან, „სტრასტნაია პლოშჩადზე“ (ახლანდელ პუშკინის მოედანზე) გაფანტეს რამდენიმე პატარა ჯგუფი, ისინი რაღაცას ჩუმად, ჩურჩულით უამბობდნენ ერთმანეთს. საოცარი ის იყო, რომ ახლა პოლიციას სწორედ ეს სიჩუმე, ეს ჩურჩული აწერვიულებდა. ხელისუფლების დარაჯნი ამ სიჩუმეში ხედავდნენ ძლიერი ჭექა-ქუხილის წინამორბედს.

განსაკუთრებული სისწრაფით ვანვითარდა რევოლუციური მოძრაობა თვითმპყრობელობის დამხობის დღიდან. მრავალი წლის მანძილზე დუმილით შეწუხებულმა ხალხმა ერთბაშად აღიმაღლა ხმა, თანაც საოცარი სიძლიერით უმალვე იცვალა ფერი აქამდე მშვიდმა ქალაქის ცხოვრებამ, განსაკუთრებით პირველ დღეებში. დილიდან მეორე დილამდე ქუჩები ავსებული იყო ხალხით.

ცოტა არ იყოს, სარისკო იყო ყაზარმებში ჩაკეტილ ჯართან კავშირის გაბმა. მაგალითად, სუხარევის მოედანზე დიდი ყაზარმა იყო, იქ განლაგებული პოლკი რამდენიმე დღე კიდევ ყოყმანობდა. იგი ჯერ კიდევ ემორჩილებოდა უფროსი ოფიცრების ბრძანებებს, ახლოს არ იკარებდა რევოლუციურად განწყობილ რაზმელებს, რომლებიც ცდილობდნენ ყაზარმებიდან ჯარისკაცების გამოყვანას და მათ მიმხრობას. მაგრამ აი, კარჩაკეტილმა პოლკმა დააპატიმრა ის უფროსები, ვინც მონარქიის ერთგულებისაკენ მოუწოდებდა, გახსნა კარები და, როგორც სხვა არაერთი სამხედრო ნაწილი, ქალაქის გამგეობის შენობისკენ გაემართა, რევოლუციისათვის ერთგულების გამოსაცხადებლად.

რევოლუციის პირველი დღეებისათვის ყველაზე დამახასიათებელი იქნებ ის იყო, რომ ხალხის განწყობილება დღითიდღე დაძაბული ხდებოდა. ხალხს თითქოს აღარ ყოფნიდა მოთმინება და უნდოდა მალე ენახა რევოლუციის ზენიტი, ის საოცნებო გამარჯვება, რომლითაც უნდა დაგვირგვინებულიყო რევოლუცია.

თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში მოსკოვი დიდად აფორიაქებული იყო. აღარ გავაგრძელებ ამაზე სიტყვას, თორემ ეს ძალიან დიდ ადგილს დაიჭერს. ანდა როგორ აღწერ იმ უამრავ სახასიათო წვრილმანს, რომლებმაც ასე უეცრად შეცვალა ქალაქი... მოხალისე მოქალაქეთა შეიარაღებული რაზმები ქალაქის სხვადასხვა უბნებში დაეძებენ სარდაფებში ჩამალულ პოლიციელებს და ჟანდარმერიის მუშაკებს. აი, რამდენიმე რაზმელს ტვერის ქუჩაზე (ახლანდელი გორკის ქუჩა) მოჰყავთ

ეროვნული

შეპყრობილი ბოქაულები და ტროტუარებზე მდგარი ხალხი ხარხარით, სტვენით მიაცილებს ძველი წყობილების დარაჯებს, და ისეთ სიტყვებს მისძახიან, რომ მერიდება აქ მათი განმეორება. ქალაქის ქუჩებში აღარ ჩანან მდიდარი ვაჭრების და არისტოკრატების ეტლები... მოედნები მუდამ სავსეა ხალხით, მიტინგებს დასასრული არ უჩანს...

## ბუტირკის საკატორღოში

პოლიტიკური მოვლენები საოცარი სისწრაფით იცვლებოდნენ და ვითარდებოდნენ. თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ერთ-ერთ მნიშვნელოვან და დაუვიწყარ მოვლენად მეხსიერებაში დამრჩა ბუტირკის საკატორღო საპატიმროდან პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება. იმათ შორის, ვინც ციხიდან პოლიტიკური პატიმრების გამოსვლას უნდა დასწრებოდნენ, სტუდენტებისგან შემდგარი შეიარაღებული რაზმიც იყო გაწვეული.

ჭეშმარიტად ზეიმის ხასიათი მიიღო იმ მომენტმა, როცა ბუტირკის საკატორღოს კარები გაიღო და განთავისუფლებულმა პოლიტიკურმა პატიმრებმა გამოსვლა იწყეს. უსაზღვრო იყო ყველა ჩვენგანის სიხარული. ჩვენ, ხალხი ვზეიმობდით, ისინი კი მოკრძალებულნი ფრთხილი ნაბიჯებით გამოდიოდნენ. მათ იპატიჟებდნენ სპეციალურად მოწყობილ ტრიბუნაზე, საბარგო მანქანაზე, რომ სიტყვა წარმოეთქვათ და ჩვენი მისალმებებიც მოესმინათ. ისინიც ადიოდნენ სახელდახელო ტრიბუნაზე, იწყებდნენ ლაპარაკს, მაგრამ სიტყვები ჩვენამდე იშვიათად აღწევდა. ან რას გაიგონებდი იმ საშინელ ხმაურში, რომელიც გარშემო იდგა. ხედავდი განთავისუფლებულთ, და გინდოდა გეყვირა, აღარაა საჭირო სიტყვები, მალე მოაშორეთ ტანჯული ადამიანები ბუტირკის მიდამოს. აგრძნობინეთ მათ, რომ ნამდვილად თავისუფლები არიან, გაიყვანეთ ქალაქში, სადაც მათ ათასები მოელიან.

იმ დღეს ოთხასამდე პოლიტიკური პატიმარი გამოვიდა ბუტირკის ჯოჯოხეთიდან.

მე და ჩემი ორი კოლეგა ცნობისმოყვარეობამ არ მოგვასვენა. ჩვენ საპატიმროს იმ კარებისაკენ გავწიეთ, სადაც აქამდე პოლიტიკური პატიმრები იყვნენ მოთავსებული.

მოულოდნელად წავაწყდით განცალკევებულად მდგარ საკნებს, სადაც მოთავსებულნი იყვნენ სამუდამო პატიმრობამისჯილი პოლიტიკური ტუსაღები; მათ მთელი სიცოცხლე განმარტოებულად უნდა გაეტარებინათ ამ საკნებში. სწორედ იმ დროს შევესწარით, საკნიდან პატიმარი რომ უნდა გამოეყვანათ. პატარა ვიწრო საკანში, სადაც ჰაერი თითქოს სამოწყალოდ შედიოდა მაღლა კედელში დატანებული სარკმლის მსგავსი რაღაც ხვრელიდან, რამდენიმე წელიწადი ეცხოვრა ამ პატიმარს, რამდენიმე წელი სულ მარტოობაში, არც ადამიანის ხმა სმენოდა, არც ვინმე დალაპარაკებოდა, არც არავისთვის შეეხედა. ახლა რამდენიმე კაცი შესულიყო მის გალიაში, რაღაცას ეუბნებოდნენ, რაღაცას აცმევდნენ, თავისუფლებაზე ელაპარაკებოდნენ, მას კი ვერ გაეგო, რა უნდოდა ამ ხალხს მისგან. თითქმის შიშიაც კი შეჰყურებდა მათ. კიდევაც შეკრთა, დაფრთხა, როცა დაუძლურებულს მხრებში შეუდგნენ და საკნიდან გამოყვანა დაუწყეს. „რატომ, რა იყო, რისთვის?“ ამას გამოხატავდა მისი თვალები. და აი, ბოლოს, როცა გამოიყვანეს ეზოში, შემდეგ ქუჩაში, სადაც უამრავი ადამიანის ხმა ისმოდა, რაღაც სინათლემ შეაღწია მის გონებაში და რამდენიმე წუთის შემდეგ ის ჯერ ჩუმად, უხმოდ ატირდა, მერე კი გულწასულს თავი ჩამოუვარდა. გარშემო ხალხი ზეიმობდა, გუგუნებდა, მას კი, რა თქმა უნდა, არაფერი ესმოდა.

## უჩვეულო მიტინგი

პუნქტზე თითქმის ყოველდღე იმართებოდა მიტინგები. მიტინგებს ესწრებოდნენ ფეხზე მოსიარულე დაჭრილები და ის ავადმყოფები, რომლებსაც მაღა-

ეროვნული

ლი ტემპერატურა არა ჰქონდათ. მიტინგზე თავს იყრიდნენ ჯარისკაცები, უსმენდნენ ორატორებს, თვითონ კი, პირველ ხანებში სალაპარაკოდ არ გამოდიოდნენ, ჩუმად ისმენდნენ. თავიანთ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდნენ, თითქოს არ ესმოდათ, საით მოუწოდებდა მათ ორატორი. ორატორთა ნაწილი კი ერთიდაიგივეს იმეორებდა — ერთგულები ყოფილიყვნენ ფიცისა, მათი ლოზუნგი იყო: „ომი სრულ გამარჯვებამდე“.

ასე იყო თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში, მაგრამ ასეთი მდგომარეობა სახეს რომ იცვლიდა, სულ მალე აშკარა გახდა ყველასათვის. ჩვენ, პუნქტზე მომუშავენი ცხადად ვხედავდით, როგორ იცვლებოდა ატმოსფერო, ყოველი ახალი ეშელონის მიღებისას. ამ ეშელონების დაჭრილები და ავადმყოფები გარეგნულად თითქოს ისეთივე ჯარისკაცები იყვნენ, როგორც აქამდე, მაგრამ ეს შთაბეჭდილება წუთიერი იყო. ამ ჯარისკაცებს ფრონტის განწყობილება მოჰქონდათ, ესენი აღარ ჰგავნდნენ იმათ, ვისაც სიჩუმე და ჩუმად კვნესა ახასიათებდათ.

უბრალო ამბავმა, რომელიც ერთ დღეს ჩვენს პუნქტში მოხდა, ყველას ყურადღება მიიქცია და მსჯელობის საგნადაც კი იქცა.

მიტინგი ყოველდღე იმართებოდა. ქალაქიდან მოსული პროპაგანდისტები ჯარისკაცებს რევოლუციის მიმდინარეობის შესახებ ახალ ამბებს აცნობდნენ. მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვებს ყურადღებით ისმენდნენ დაჭრილი ჯარისკაცები. ზოგჯერ ისინი თვითონაც გამოდიოდნენ. თუ პირველ დღეებში თავშეკავებულნი იყვნენ და მორიდებით ლაპარაკობდნენ ფრონტის ავ-კარგზე, რაც ხანი გადიოდა, უფრო და უფრო თამამნი ხდებოდნენ, თვითოეულ ახალ ნაკადს, როგორც ვთქვით, ახალი განწყობილება მოჰქონდა — უფრო გაბედულნი იყვნენ, უფრო პროტესტანტულად განწყობილნი ომის წინააღმდეგ. როცა რომელიმე ორატორი იტყოდა, „ომი გამარჯვებამდეო“, მას ობსტრუქციას უმართავდნენ. არაერთხელ გამიგონია, ომის გაგრძელების მომხრეს მიაძახებდნენ: ახლა შენ წადი, ჩვენ გვეყოო.

ერთ დღეს საგონებელში ჩავარდა პუნქტის ადმინისტრაცია. მწოლიარე დაჭრილები და ავადმყოფები მოითხოვდნენ, მიტინგი ჩვენი თანდასწრებით მოეწყოსო.

— ეს შეუძლებელია! — აღელვებული იყო პუნქტის მთავარი ექიმი ლებედევი, — ბევრს ტემპერატურა მაღალი აქვს და როგორ შეიძლება, თავს დაიღუპავენ!

ხანშიშესულ ლებედევს, სართულებზე სიარული რომ უჭირდა და კარგა ხანს უნდებოდა კიბეებზე ასვლას, თავი არ დაუზოგავს, რამდენიმე პალატა შემოიარა და ჯარისკაცებს უხსნიდა, რა სახიფათო იქნებოდა მათთვის მიტინგზე დასწრება. ბოლოს ადმინისტრაციამ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ საერთო კრებები კი არა, პატარ-პატარა მიტინგები იმართებოდა პალატებში. პატარამეთქი ვამბობ, მაგრამ ჯარისკაცები დიდი მღელვარებით ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, რაც აფიქრებდათ, რაც აწუხებდათ, მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ აღიქვამდნენ მომხდარ რევოლუციას და რა მომავალს ესწრაფვოდნენ.

ჩვენი უფროსი ექიმი ლებედევი, კვლავ დადიოდა პალატებში და პირდაპირ სთხოვდა ჯარისკაცებს უარი ეთქვათ მიტინგებზე.

ერთხელ ამგვარი სცენის მოწმე გავხდი: ლებედევს თხოვნაზე ერთმა დაჭრილმა ყავარჯნებიანმა ჯარისკაცმა ღიმილით უთხრა:

— ძვირფასო ექიმო, თქვენ ნუ ღელავთ, ჩვენ უკვე ჩავატარეთ მიტინგი.

ლებედევმა გარშემო მიმოიხედა, ვერ გაეგო რა მიტინგზე ელაპარაკებოდნენ. ამ ვეება პალატაში, სამასამდე საწოლი რომ იდგა, მხოლოდ მძიმედ დაჭრილები და ავადმყოფები იწვნენ, შუაში კი პატარა მაგიდა იდგა... ალბათ აქ იდგა ეს ყავარჯნიანი ჯარისკაცი და აქედან ხელმძღვანელობდა სათცარ მიტინგს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცი თავაზიანად მიმართავდა ექიმს:

— დიახ, უკვე ჩავატარეთ, რეზოლუციაც დაიწერა.

ლებედევი დაბნეული ჩანდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

ყავარჯნიანი ჯარისკაცი ჯერ რაღაცას ჩუმად ეუბნებოდა ექიმს. შემდეგ კი გარკვევით მოგვესმა მისი ხმა:

— კერენსკისაგან ჩვენ სასიკეთოს არაფერს ველით. ეს ჩვენს რეზოლუციაშიც სწერია. წაეთრიოს სადაც უნდა!

ხანშიშესული ექიმი ისე გამოვიდა პალატიდან, ფეხებს ველარ იმორჩილებდა. მე და მუსიატოვიჩი ვეხმარებით და სვენებ-სვენებით ჩაგვყავს ქვევით. სულ დაბლა; პირველ სართულზე, იქ მისი მყუდრო, თბილი სამუშაო კაბინეტია...

მუსიატოვიჩი აღტაცებულია ჯარისკაცების განწყობილებით, — გესმის საით მიდის ამბები, — ღიმილით და ფარული სიხარულით მეუბნება იგი მარტონი რომ დავრჩით, — ჩემს ქვეყანას და შენს ქვეყანას მხოლოდ ეს უშველის, — მუსიატოვიჩის ცისფერი თვალები მოუსვენრად იხედებიან გარშემო, — რაც დრო გადის, უფრო ღრმად ვრწმუნდები, საბოლოოდ დაემხო მონარქია და არც კადეტებს უწერიათ დიდი დღე, აი დაინახავ!

### ორი სალახანა

ყოფილ გენერალ-გუბერნატორის სამმართველოს შენობაში „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მოსკოვის საბჭომ“ დაიდო ბინა. ახალი ხელისუფლება აქედან ხელმძღვანელობს დიდი ქალაქის ახალ ცხოვრებას. დღისით აქ უამრავი ხალხი მოდის, ხოლო ღამით თითქმის ყველა ოთახი გაჩირაღდნებულია ელნათურით.

საბჭოში რამდენიმე ჩემი მეგობარი მუშაობს და მათი ხშირი სტუმარი ვარ. აქ ზუსტი და ვრცელი ცნობები აქვთ ფრონტის, საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე და საშუალება მაქვს ახალ ამბებს გავეცნო სპეციალური ბიულეტენების მეშვეობით.

იმ დღესაც იქეთკენ მიმეჩქარებოდა. ივლისის აფორიაქებული დღეები იყო: პეტროგრადში გახშირდა გამოსვლები დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, ლენინის სახელის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა და შარავანდედით იმოსებოდა. ლენინი რაზლივში იყო გახიზნული. მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა რამდენიმე ადამიანის გარდა. ხელისუფლება გაafთრებით ეძებდა მის კვალს.

ვრცელდებოდა ათასგვარი ფანტასტიკური ვერსია იმის შესახებ, თუ სად შეიძლებოდა ყოფილიყო ლენინი. იმასაც ამბობდნენ, თითქოს მოსკოვის რომელიღაც გარეუბანში იმყოფებაო.

ფრონტი თანდათან იშლებოდა. ჯარისკაცები აშკარად აცხადებდნენ, რომ სისხლისღვრის შეწყვეტა უნდოდათ. დიდ ქალაქში იზრდებოდა უკმაყოფილება დროებითი მთავრობის პოლიტიკის გამო. ყველა ცხადად გრძნობდა, რომ დიდი ამბების ზღურბლზე იდგა.

საბჭოს შენობას რომ მივუახლოვდი, მოედანზე თავმოყრილი უამრავი მოქალაქე დავინახე. შუა მოედანზე საბარგო მანქანა იდგა, რომელზედაც რამდენიმე კაცი რაღაც აპარატურის აწყობით იყო გართული. ვიფიქრე, ოპერის რომელიმე პოპულარულ არტისტს მღელიან-მეთქი. ორი თუ სამი კვირის წინ ამ მოედანზე მღეროდა სახელგანთქმული სობინოვი და ხალხი მოჯადოებული უსმენდა. ხმა ხომ მართლაც მომხიბვლელი ჰქონდა სობინოვს, გარდა ამისა, იგი გულწრფელად უყვარდათ როგორც პიროვნება.

როგორც მოვახერხე, გავძვერი ბრბოში და საბჭოს შენობაში შემავალ კარებს მივაღწიე. იქამდე კი მოვედი, მაგრამ შიგნით არავინ შემიშვა. კარებში ახლა შეიარაღებულნი იდგნენ და უნებართვოდ არავის ატარებდნენ.

ცხელოდა. რამდენიმე შექეიფიანებული მოქალაქე ჩემს ახლოს ყაყანებდა. გაცლას ვაპირებდი, მაგრამ ამბავმა, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გავიგე, იძულებული გამხადა ფეხი არ მომეცვალა: საბჭოში კერენსკის მოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდნენ და საცაა უნდა მოსულიყო.

ის ჩემი შემთვრალი მეზობლები კერენსკის თაყვანისმცემლები აღმოჩნდნენ. ისინი რატომღაც გარშემო მყოფთ უდიერად ეპყრობოდნენ, ეტყობოდათ, სკანდალის გუნებაზე იყვნენ, მაგრამ ყველა ერიდებოდა და ცდილობდა ყურადღება არ მიექცია მათი უხეშობისათვის.

ვიდექი იქ და ერთი ძველი ამბავი მახსენდებოდა...

...მაშინ ჯერ კიდევ გიმნაზიელი ვიყავი. ერთ დღეს, შინ რომ სადილის საჭმელად დავსხედით, მამამ შემდეგი რამ უამბო დედას: შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის გიორგი ზდანოვიჩის კაბინეტში სხედან კიტა აბაშიძე, დავით კლდიაშვილი და თვითონ ზდანოვიჩი. მათი სტუმარია სახელმწიფო სათათბიროს წევრი ალექსანდრე კერენსკი. ის მოუსვენრად მიდი-მოდის ოთახში. სხვათა შორის, სიტყვა ჩამოვარდა ცარიზმის სულის შემხუთველ პოლიტიკაზე სხვა ერებისა და კერძოდ, საქართველოს მიმართ. კერენსკიმ იქ ისეთნაირი განწყობილება გამოამჟღავნა საქართველოსადმი, რომ ზდანოვიჩს გული მოუვიდა და მკაცრად უთხრა:

— ალექსანდრ ფედოროვიჩ, თუ თქვენ ამგვარი შეხედულების ხართ საქართველოზე , უმჯობესი იყო აქ ფეხი არ დაგედგათ! — კერენსკიმ ჩალუნა თავი, ააპარპალა თავისი ავადმყოფური თვალები და რაღაც წაიბურტყუნა.

ეს უწერია დავითს თავის მემუარებში, სადილზე კი დედას რომ უამბობდა, მთელი თავისი გულისწყრომით ლაპარაკობდა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მოძულე ავანტიურისტზე.

მოედნის დასაწყისში ჩოჩქოლი ატყდა და მანქანის საყვირის ხმა გაისმა. მანქანა ნელი სვლით მოიწევდა ბრბოში და საბჭოს უახლოვდებოდა.

ღია მანქანაში ფეხზე იდგა, როგორც მეჩვენა, გამხდარი, პირგრძელი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქერა კაცი. რატომღაც მის დანახვაზე ყვინჩილა მაგონდებოდა. ის რომ კერენსკია, ამის ცნობა ადვილი იყო — ქუჩებში, დაწესებულებებში, სად არ ეკიდა მისი სურათი!

მანქანაში იჯდა კიდევ კაცი სამხედრო ფორმით, გენერალი. მონგოლური სახე, გამობურცული ღაწვები, კუშტი გამოხედვა ჰქონდა. ისე იცქირებოდა, ეტყობოდა, ალიზიანებდა მოედანზე ამდენი ხალხის ყოფნა.

იგი ღრმად იჯდა მანქანაში, თითქოს დალურსმული ყოფილიყო. მისი გახევებული, მუქი ფერის სახე ჰოტს მაგონებდა.

ეს იყო გენერალი კორნილოვი!... აი, თურმე როგორი ყოფილა ეს დიდი იმედი, მთავარი დასაყრდენი ძალა დროებითი მთავრობისა და კერენსკის მარჯვენა ხელი! აი, ის კაცი, ვისი სახელითაც ცდილობდნენ ხალხის დაშინებას და თავისი ძალაუფლების განმტკიცებას!

მეგონა, რომ კერენსკი, ეს ცნობილი ყბედი, სიტყვით მიმართავდა თევშეყრილთ, მაგრამ მიაღწია თუ არა მანქანამ საბჭოს კარებთან, გადმოვიდა და, შენობაში სწრაფად შევიდა. მას გვერდით მიჰყვა გენერალი კორნილოვი.

კერენსკი, ეს ხალიფა ერთი საათით, ვინც რევოლუციის ბელადობას ჩემობდა, ახლა ხელიხელჩაკიდებული მიაბიჯებდა უკიდურეს მონარქისტ გენერალთან, რომლის სათაყვანებელი კერპი ნიკოლოზ მეორე იყო.

ჩემი ქვეყნის მოძულეს ისტორიამ საკადრისი განაჩენი გამოუტანა.

2365



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლადო სულაბერიძე

# ლოდზე ამოკითხული თქმულება

### 1

იყო ყმაწვილი
მღებრიშვილი კოტე,
(დედის გვარია — ჩეკანი),
ადრე მისი ყრმობის
ყვავილთა ყლორტებს
დააცხრა ცათა ჭექანი.

მე ძლივს მივაკვლიე
ამ ბავშვზე მთხრობელს, —
იმისი ცხოვრება მძაფრია.
მისას
სტრიქონების მოვავლე ღობე
პატარა ბიოგრაფიას.

იყო პეტროგრადის
ქუჩების მკვიდრი,
ცხრა წლის ბიჭუნა ცანგალა.
გადაურბენია
ნევაზე ხიდი,
ნევაში შიშველი ჩამდგარა.

პეშვზე უსრესია
ჩრდილოური ნისლი,
ბაბუაწვერას ღინღლივით.
სიმღერას ისროდა
სტრიქონის ისრით,
უყვარდა ლექსი და ღიღინი.

დედაც — მსახიობი,
არტისტი — მამაც,
ჰყნთნენ ოქტომბრის ჩირაღდნად.

მათი სახელები
მიწამ და ცამან
ამ ლოდზე შემოინახა.

ახალი ხელოვნების
შეაღეს კარი,
ქარ-ბუქში გაშალეს აფიშა.
დროის ქარს შერჩა
ძლიერი ქარი
სიმღერის და დაფდაფისა.

იქნება გაექცა
თათრების ურდოს
მათი წინაპარი მოგვარე.
ქართველ მეფეთა
დუხჭირ და რთულ დროს
შემორჩნენ ამ შემოგარენს.

ნევაში რეცხდნენ
დარდის ქარებსა,
ალაზნის ველიდან მოტანილს.
იცვლიდნენ სახელებს,
იცვლიდნენ გვარებსაც,
დაემსხვრათ დოქი და ქოთანი.

და რაკი ცოტანი
შემორჩნენ ნევას,
ქოხები დაიდგეს ნევასთან.
ესმოდათ უცხო
ტალღების მსხვრევა,
მამულზე ფიქრში ღამის -მთევართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღებრიშვილები
ირქმევდნენ მღებროვს,
ფერიც ეცვლებოდა კილოკავს.
ამ ლექსში მე უნდა
ის ჭინკა ვძებნო,
რომელმაც მათ ბედზე იროკა.

უნდა გამოვწურო
ნუშების წვენი,
ალაზნის ველებზე ნამზევი,
უნდა მივასხურო
მათ ლანდებს დევნილთ,
მარილი ვუქვა მათი აღზევნის.

მათი ნაღვლის ფერით
სტრიქონი ვღებო,
მათ ლანდებს მოვდო ქამანდად.
და ახალ ღელვათა
არტისტებს, — მღებროვთ, —
მივადგე გვაროვნულ სამანთან.

მარსის მოედანზე
რეკს მათი ზარი,
ლოდს ადევს ერთი რტო დაფნისა.
ახალი ხელოვნების
შეაღეს კარი,
ქარ-ბუქში გაშალეს აფიშა.

მარსის მოედანზე
გრანიტის ლოდი
ლოდია იმათი კერიის.
ახლა თაობები
მოდის და მოდის,
აოცებთ ზედ დაწერილი:

**Юному**
**артисту-агитатору**
**Коте**
**Мгеброву-Чекан**
**1913—1922.**

მათ შუა პატარა
ტირეა შავი, —
მოკლე გზა ქარ-ცეცხლში გავლილი.
რევოლუციის
მეწყრის და ლავის
ქვეშე დევს დამწვარი ყვავილი.

აგიტატორი,
არტისტი ცხრა წლის
ბიჭუნა, რომელსაც ვადარებ
დიდ ბარიკადზე
შეფრენილ არწივს,
რო შესცქერს მომავლის ქანდარებს.

იქნება ის იყო
ღვთიური ნიჭი,
ლექსის და სიმღერის ტალანტი, —
უეცრად აფეთქდა
და მტერზე მიჭრილს
დაეღვა ოცნებით სავსე კალათი.

2

მამულო, რამდენი
ასეთი ბიჭი
დაკარგე —
პაატა,
გავროში.
მათ ლანდებს, დასუსხულთ
უღმერთო ჭინჭრით
გავავლებ მშობლიურ წყაროში.

მიჰყავდათ არაბებს
ტყვეებად,
ყმებად,
მიჰყავდათ
მონღოლებს,
სპარსელებს.
იმათ გზებს ცრემლებით
და სისხლით ვღებავ,
იმათი წვიმები მასველებს.

ცხრა-ცხრა წლის ყმაწვილებს
სტაცებდნენ დედას,
„სი, სოულ, ბატაო", — ბღაოდნენ
ქრისტეს ჯვარს აჰგლეჯდნენ
მამელუკ მხედარს.
გვაოტეს,
გვაოტეს,
გვაოტეს...

უცვლიდნენ გვარებს და
ჰხურავდნენ ჩალმებს, —
(აჩრდილნო, სანთლებად შეგენთეთ), —

მაღლა შემართავდნენ
უცხოურ ალმებს
და ქმნიდნენ უცხოურ ლეგენდებს.

სხვა კლდეს შეანთხიეს
ქართული სისხლი
სანთხევი მშობლიურ კლდეებთან.
ამ ჩემს სტრიქონებზე
იმათი ნისლი
მოგროვდა,
შეერთდა,

შეერთდა.
მამულო, რამდენი
ასეთი ბიჭი
დაკარგე —
პაატა,
გავროში.
მათ ლანდებს, დასუსხულთ
უღმერთო ჭინჭრით
გავავლებ მშობლიურ წყაროში.

თბილისში გალეწეს
ბავშვების კალო,
გაქრობის კოცონი შეგვინთეს.
სხვანი კი შესწირეს
უცხოურ კანონს
საბერძნეთს,
ინდოეთს,
ეგვიპტეს.

დაღლილნი ომებით
და ხმლების ლესვით

სად წვანან?..
სად დარჩათ დროშანი?.
ბიჭები კიარა,
რამდენი ლექსი,
დავკარგეთ რამდენი მგოსანი.

არაფერს არ ამბობს
ცხოვრება ქართლის,
არც პერგამენტები გვიამბობს.
შორი ისტორიის
ბნელეთში მათი
სანთელი აღარსად კიაფობს.

ცხრა-ცხრა წლის ბიჭების
აჩრდილნი მიხმობს,
პწკარს ვძაბავ დაჭიმულ ზამბარით.
ზღაპარი იყო და...
და არა იყო...
და მაინც არ იყო ზღაპარი.

მამულო რამდენი
ასეთი ბიჭი
დაკარგე —
პაატა,
გავროში...
მათ ლანდებს, დასუსხულთ
უღმერთო ჭინჭრით
გავავლებ მშობლიურ წყაროში.

3

და აი, გრიგალი
ოციან წლების,
მიწის ძვრა,
კლდეების დრეკანი.
რევოლუციონერთა
საფლავის ქვები
და ლოდზე —
მღებროვი — ჩეკანი.

მის ქანდაკს სტრიქონის
საჭრეთლით ვჭრიდი,
დამემხო ყრმა სულის ზვავეთი, —
რევოლუციონერთა
ბრძოლების დიდის
კაშკაშა თანავარსკვლავედის.

რომ გამოეწურა
მტევანი ყურძნის,
მზეზე დამწვარიყო ნუშებთან,
გადაიკიდებდა
ნუშიან ხურჯინს,
გასდევდა ალაზანს უშრეტარს.

სისხლს გაიჩქეფებდა
ალგეთის მგლისას,
მუხნარს გაჩიჩქნიდა ლეკვივით.
იფნისას გამართავდა
მშვილდსა და ისარს,
ტყორცნიდა მუხლჩადრეკილი.

შეძრავდა ჭიდილი
ვეფხის და მოყმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვლებს დააპურებდა მარილით.
მკერდს შეაგებებდა
მტრის ლაშქარს ბოლმით,
ჯურხაის ქღრიალა ფარივით.

მწევრით ააფრენდა
ალაზნის ხოხბებს,
ხოხბისფერ რიჟრაჟით ნაფერი.
შუბლს გაიგრილებდა
ნიავით მოყმე,
გომბორის მთით ჩამონაბერით

დედას პურებივით
ცად გაკრულ ღრუბლებს
როს მიაცხრებოდნენ არწივნი,
გადაიღელავდა
მაყვლიან უბეს,
ლექსით გათანგული ყმაწვილი.

თვალს მიაშტერებდა.
გომბორის მთიდან
იყალთოს,
გრემსა და
ალავერდს.
უღელში შეაბამდა
ლაბას და შვინდას
მნათობის ამოსვლისთანავე

ჯიხვებს მონუსხავდა
კლდეებზე შემდგართ
გუთნისდედურით და ურმულით.
სანთლებს აუნთებდა
ადგილის დედა,
ყურძნისფერ ცით გადახურული.

შეძრავდა ჭიდილი
ვეფხის და მოყმის,
შვლებს დააპურებდა მარილით.
მკერდს შეაგებებდა
მტრის ლაშქარს ბოლმით,
ჯურხაის ქღრიალა ფარივით.

4

ნევასთან დაიბადა
პატარა კოტე, —
შავთვალა მღებრიშვილი — ჩვენი
ყრმას, სამოქალაქო
ომების ფრონტელს,
რაც დარჩა, ამ ლექსად შევკარი.

ოქტომბრის გრიგალში
აიდგა ფეხი,
პირველი ნაბიჯი გავლო რა,
საწუთრო შემოხვდა
ელვით და მეხით,
აქუხდა ნევაზე „ავრორა“.

ზვირთებზე მოექცა
ბავშვური სული,
ანჯღრია,
არწია,
დარევვა.
ცეცხლად წაეკიდა
მეამიტ სურვილს
ახალი ზარების დარეკვა.

სიტყვები — „წითლები“,
„თეთრები“ — იქცნენ
ცნებებად
თეთრები,
წითლები.
და რევოლუციის
ბავშვებმაც იგრძნეს
ახალი ღელვა და ზვირთები.

არ იყო თამაში,
არამედ ომი, —
დასცხე და დაჰკარი თეთრებსო...
და მერე სცენაზე
წითელი ლომი, —
სპექტაკლი საუკეთესო.

კოტეს მამა ქმნის
პეტროგრადის
რევოლუციურ-ჰეროიკულ თეატრს.
დედაც მსახიობია ამ თეატრისა.
რეპეტიციები მიმდინარეობს
მათ სახლში.
ხუთი წლის კოტე მონაწილეობს
სპექტაკლებში.
იუდენიჩის თეთრგვარდიული არმია
მოადგა პეტროგრადს ქალაქში
თეატრები წყვეტენ მუშაობას.
ჰეროიკული თეატრის მსახიობები
გადიან ფრონტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე დედასთან ერთად მიჰყვება
მამას. მამა არ ეწინააღმდეგება.
იგი ეუბნება მეუღლეს:
„ — ალბათ სწორია. თუ ადამიანს
წილად ხვდა ბედნიერება, დაიბა-
დოს გმირულ დროს, მან ძილშიაც
არ უნდა გაუშვას ეს დრო ხელიდან,
თუნდაც იგი ბავშვი იყოს."
თეთრგვარდიელების წინააღმდეგ
მებრძოლ მატროსებს, სალდათებს,
შეიარაღებულ მუშებსა და გლეხებს,
სანგრებში, ქოხებში, ქუჩებში
უჩვენებენ ახალ სპექტაკლს
„ლეგენდა კომუნარზე".
არნახული წარმატება.

და სამოქალაქო
ბრძოლებში შედის
დიდებთან არტისტიც ყმაწვილი.
და სულით ოქტომბრის
გრიგალთან შეზრდილს
ფრთები აქვს გაფრენილ არწივის.
სცენიდან მქუხარებს
ლექსები ცეცხლის:
მარცხენა!
მარცხენა!
მარცხენა!
რევოლუცია
სამყაროს ცვლის,
დიდება ამ ცეცხლის გაჩენას.

ახალი ხელოვნება
სანგართან დგება,
მუშასთან,
სალდათთან,
მატროსთან.
გაფრენა, გაფრენა...
გაფრენის გზნება
არწივთა და ალბატროსთა.

ახალი არტისტიც
იქავე ჩნდება,
ცხრა წლის და ცხრა მუხის არტისტი.
წითელი კომისრის
წითელი გზნება
ანთებს წითელი მზის ნატვრისთვის.

სცენაზე აღმართულ
დროშასთან დგება,
კოტეს ზარიანი ხმა აქვსო.
ცეცხლი წაეკიდა
ჩანგსა და ებანს,
დარბაზი კოცონით აავსო.

ახალი ხელოვნების
ძახილი ჩადგა
სანგარში მომავლის სახელით.
რევოლუციის
მზეს იცავს რადგან,
არ არის გზა უკან დახევის.

ნგრევა ძველ სასახლეს,
ძველ სრას და ჰოტელს,
ღრუბლები ჩამპალა რაშიაც.
ბავშვი, რა თქმა უნდა,
ბავშვია კოტე,
მაგრამ მუზის წვრთა ბავშვია.

არავინ არ ითვლის
მუზების ასაკს,
ჩანგი დიდებულად როცა ძგერს.
მუზა სულ მზად არის
ნექტარი ასვას
პაგანინებსა და მოცარტებს.

კოტეს სიმღერები
ნაღმივით სკდება
და გზნება ფეთქდება ზენიტში...
ცეცხლზე იფერფლება
ქცეული ჩვრებად
დროშები იუდენიჩის.

ბავშვებიც ჩნდებიან, —
თუ დროა მძაფრი, —
ნგრევისთვის,
ღელვისთვის,
ომისთვის,
როს ტალღებს მიაპობს
წითელი აფრით
ხომალდი წითელი კომისრის.

და გარბის, და გარბის,
თეთრების ბანდა,
კონტრა და კონტრების ლიდერი...
და ბარიკადებით
აყორილ კართან
სულს ითქვამს დაღლილი პიტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

ბოდმა არ ასვენებს
ნიღბიან კონტრას,
ზღვაში იძირება მეჩეჩიც.
რევოლუციის
დროშების კორტნას
განაგრძობს იატაკქვეშეთში,

რევოლუციის
რტოზეა კოტე
ახლად ამოყრილი ყლორტივით.
ახალი სიმღერები
აშფოთებთ კონტრებს, —
დიდი გაზაფხულის მოტივი.

სცენაზე დროშის წინ
ზარს რეკავს კოტე
ელვარ ცისარტყლების თოკებით.
ინტერნაციონალის
ხანძრიან ნოტებს
გაჰფანტავს აბობოქრებით.

არცერთი ბომბი და
არცერთი ტყვია
ამგვარად არასდროს უგვრძნია,
კონტრრევოლუციას,
კონტრრევოლუციას,
მომაკვდავ კონტრრევოლუციას.

უნდა მოისრისოს
ეს ყლორტი რტოზე,
რტოზევე,
რტოზევე,
რტოზევე...
და კოტეს სიკვდილის
აჩრდილი მოსდევს,
სიკვდილის ლანდები მოსდევენ.

უნდა მოისრისოს, —
გაიდგამს ფესვებს, —
ეს ბავშვი მომავლის გმირია.
არა ხვალ,
არა ზეგ,
არამედ დღესვე,
ჰო, დღესვე გასაგმირია.

ვაი, შენ ქოჩორა
პაატას თავო,
სტრიქონს შენი სისხლიც აცხია.
ბავშვებს ისტორიის
ძნელ გზებზე, ძმაო,
დაზრდასაც კი აღარ გაცლიან.

ამ ბიჭზე წერისას
წამოდექ შენაც,
უდრეკი სულისა დასტურად.
მაინც აწვდენიხართ
უმაღლეს ზენარს,
იქ თქვენი არწივი დასცურავს.

მიწა გაპოხილა
ბავშვების სისხლით,
გმინავენ საფლავის ლოდები.
ერთაწმინდაშია
პაატას ნისლი,
ნევასთან კოტეს ფოთლები.

ვაი, თქვენ, ისტორიის
ავბედო ქარნო,
სულ ვერ კი აგვაოტენით, —
წერენ უკვდავების
მრისხანე კანონს
პაატანიცა და კოტენიც.

6

მარსის მოედანზე
აფრენილ დროშებს
დავკიდებ ნაღვლიან სტრიქონებს.
ლანდი წამომადგა
და სისხლი მოსჩქეფს
ცხრა წლის ბიჭს, ისე, ვით დიდგორელს.

ლანდი აიმართა
გრანიტის ლოდზე
მგზნებარე შავთვალა ბიჭისა.
იგი უკვდავების
უხილავ ბოძებს
აეკრა დედამიწისას.

დაცხრება გრიგალი, —
იები მერე...
გრიგალში ჭკნებიან იები.
მოითხოვს ცრემლისა
და სისხლის ფერებს
ხალხური რევოლუციები.

ბიბლიოთეკა

დროშა დაფარეს
პატარა კოტეს,
კუბოსთან მოჯარდა პიტერი.
ნევას ნაპირებს და
ბალტიის პორტებს
ცრემლი შეერია წითელი.

შემართეს კუბო და
კუბოში იწვა
მუზების რჩეული ბიჭუნა.
ხიმლერის ქურაში
იწრთო და იწვა,
გულიდან მზე გამოიწურა.

მზე გამოიწურა,
მზის შუქი ცხელი,
რომ მისწვდეს მომავლის ლაჟვარდებს.
ვერა კლავთ, ვერა კლავთ
სიკვდილის ცელი
მუზებს ოლიმპოზე ნაზარდებს.

ახალი ხელოვნების
ფუძესთან ყივის,
კვლავ ყივის იმისი არწივი.
გაგლეჯილ მკერდით და
დაკაწრულ წვივით
დგას ბარიკადზე ყმაწვილი.

დგას ბარიკადზე,
ოქტომბრის რტოზე
ახალ გაზაფხულის ყლორტივით.
მოდის და,
მოდის და,
მოდის და მოსდევ'
რევოლუციური მოტივი.

მამულო, რამდენი
ასეთი ბიჭი
დაკარგე —
პაატა,
გავროში.
მათ ლანდებს, დასუსხულთ
ულმერთო ჭინჭრით
გავავლებ მშობლიურ წყაროში.

მიწა გაპოხილა
ბავშვების სისხლით,
გმინავენ საფლავის ლოდები.
ერთაწმინდაშია
პაატას ნისლი,
ნევასთან კოტეს ფოთლები.

ქროდით ისტორიის
ავბედო ქარნო
და ვერკი აგვაოტენით, —
სწერენ უკვდავების
მრისხანე კანონს
პაატანიცა და კოტენიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

## გადაშლილია ეპოქის წიგნი

ზეიმი რომ დგას რწმენის, გონების,
აქ დაეჭვება სულაც არა ღირს;
მე თუ ვამაყობ ჩემი ცხოვრებით,
ცხოვრებაც ჩემით არის ამაყი!..

ბურჯივით მიდგას მხარში დიდი დრო
მაღალი ანძით და ანტენებით;
იდიდოს! გმირი ხალხი იდიდოს,
ვინც სულისდგმაა ამ გათენების.

მჯერა, ერთმანეთს არ მივატოვებთ,
მოწამლულ ეთერს არ დაუჯეროთ! —
ჩემს სიმს თუ დროის ტალღა ათრთოლებს
არც დროის საჭე ვარგა უჩემოდ!

სამშობლო, როგორც ერთი ოჯახი,
ერთ ჭერქვეშ მართავს თავის ბედ-იღბალს
და შთაგონებაც ისე მოგძახის,
თითქოს თაღმაღალ ტყეში შედიხარ!

მზე ჰყავის შინ და მზე ჰყავის გარეთ,
თვალი შორეულ სივრცეებს ღობავს;
ჩვენ მივუხურეთ გარდასულს კარი
და გავუხსენით ფანჯრები მყობადს.

გრგვინავს სამოცი ფრთოსანი რაში,
სულ სხვა რთველია ჩინჩხლების ცვენა...
და როგორც კაჟზე დახლილი კაჟი,
ცეცხლს აფრქვევს გრდემლზე ნაწრთობი
რწმენა!

როცა ,,მთაწმინდის მთვარის" პოეტი
გახდა ავრორას თანამესუფრე,
იგი დრო (ასე მჯერა ყოველთვის)
ოდას შესაფერს ელის დღეს უფრო.

ეჭვი — ფარული, ეჭვი — საჩინო.
სასოწარკვეთა. მზერა გულცივი
რამდენი სისხლი იყო საჭირო,
ლექსს რომ ედუღა რევოლუციით!..

ხალხი: ,,მივიღოთ თუ არ მივიღოთ!"
ლენინი: ,,დავძლევთ, გავიტანთ, გავშლით!"
ყველა იმედი დაგროვილიყო
ამ ერთ სახელში, ვით შიშველ ძარღვში!..

მერე გრიალით, ზათქით, ზანზარით
ვძლიეთ, გავშალეთ და გავიტანეთ.
დადგა ეპოქა უზარმაზარი,
როგორიც შვენით მართლაც ტიტანებს!

ზამთრის სასახლე რახან მოიმსხვრა,
აპრილმაც ბაღი გადაათეთრა,
ჩვენ — ტიტანები ახალ დროისა
ველით ხვალ უფრო მაღალ კათედრას!

გულისთქმა ბრძოლით უნდა არჩინო,
ეჭვის ღრუბელი — ქარს გაატანო,
რამდენი ჯაფა იყო საჭირო —
შეგვექმნა შრომის დიდი სამთავრო!

ახლა შენ გმართებს განავრცო სიბრძნით,
ახლა შენ გმართებს დაიცვა მკერდით
ძლევამოსილი ეპოქის წიგნის
ძლევამოსილი სამოცი გვერდი!

რაიც ხელს უშლის მომავალს — დაგმე!
შრიალი შვენის მწვანე ცეცხლს — ჯეჯილს!
რევოლუცია! — ეს არის საქმე
დამტკიცებული ლენინის ბეჭდით!

ასე მიაღწევ სანუკვარ მიზანს,
პარტიაც ასე გვიკარნახებდა:
რევოლუცია! — ეს არის წინსვლა
და არ სჩვევია უკან დახევა!

დიახ! შენ გმართებს განავრცო სიბრძნით,
დიახ! შენ გმართებს დაიცვა მკერდით
ძლევამოსილი ეპოქის წიგნის
ძლევამოსილი სამოცი გვერდი!

## სიზმარი

სიზმარში მუხა მესიზმრა
მუმლი რომ არა ჰხვეოდა,
თვალ-წამწამიან ყვავილებს
მოერთოთ მთა და ხეობა,
ქორი — წიწილას, მგელი — კრავს
და-ძმურად გადაჰხვეოდა.
ღმერთთან მიგზავნილ მწვერვალებს
ნისლის ბკე გადაჰხეოდა.
ერთმანეთს ქოჩორს უჩეჩდნენ
ლეკვები ალგეთისანი,
მათი შვენოდა ბუნებას
სინორჩე ბაგე-თმისანი,
არც ერთი იყო იქითის,
სულ იყვნენ აქეთისანი,
ჰყვაოდა ირგვლივ ქვეყანა
ღვთისმშობლის ნაკვეთისანი.
არ ვიცი, მზე ამოვიდა,
თუ ცის საყელო გაიხა,
შეღერებული ხარივით
მთაზე გამოჩნდა კაი ყმა.
ირმებმა გრძნობამორევით
დიდრონნი თვალნი დალამეს,
რა ნახეს თავისიანი,
ბღავილით მიესალამეს.
მზერა უჭრიდა უცხო მგზავრს,
ვით ხანჯლის პირი ნალესი,
მხარზე ეკიდა ხურჯინი,
მზესთან წყუროდა ალერსი,
ვაჟა-ფშაველას ვამსგავსე
და უცებ მუხლზე დავეცი!
თითქოს გაქვავდა ჰაერში
ის წამი უნეტარესი.
,,ღმერთო, სამშობლო მიმყოფე
მშვიდობითა და ზავითა!" —
ჩურჩული მისი მიდამოს
ესმოდა გრგვინვასავითა.
ვთქვი თუ — გაგრძელდეს ნეტავი,
რა სიხარულიც მეღირსა.
არ მეპატია სიხარბე
და კიდეც გამომეღვიძა.

## ის გოგო

ს გოგო მხოლოდ შვილია მშობლის,
ნანატრი შვილი, სხვა არაფერი,
ჩემთვის კი...
ჩემთვის ყველაფერია!

ის გოგო მხოლოდ ცოლია სხვისი,
პატარა ცოლი სხვა არაფერი,
ჩემთვის კი...
ჩემთვის ყველაფერია!

ის გოგო მხოლოდ რძალია კოლხის,
კოლხეთის რძალი, სხვა არაფერი,
ჩემთვის კი....
ჩემთვის ყველაფერია!

მაგრამ ყველაფრის მიუხედავად
ის გოგო მაინც არ არის ჩემი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გზაჯვარედინთან

გზაჯვარედინთან ეკალ-ბარდით გულდაკაწრული
მე ვდგავარ მარტო უმწეო სიმართლეს ვამხელ:
მხოლოდ იმიტომ მენანება ჩემი წარსული,
რომ იქ ვერავინ აღმოაჩენს შენს გვარს და სახელს.

მაგრამ სხვა დარდიც შტოს აიყრის სულის შემძვრელი,
და მოლოდინში გასასვლელი წლები შფოთავენ:
ჩემს მომავალსაც დანანებით მიტომ შევცქერი,
რომ განშორებით გვემუქრება იგი ორთავეს.

## მაღალ ბალახში

ამაღახებულ სულში კრავების
არის ფუსფუსი, თრთოლვა, შმაშური...
თითქოს ზეციდან ხმა საკრავების
შემოდის მშვიდი და შესაშური.

მათ ჩვილ ბაგეთა მე ვგრძნობ შეხებას,
ბალახს წიწკნიან თუ ძველ ჭრილობებს?!

ბუნების თარგმნა არც მეხერხება,
ბუნება თარგმნას არც საჭიროებს.

მაღლა თივთიკის ვხედავ სხვა კრავებს,
იქნება სულიც ზეცის ჩრდილია?!.
ღმერთო! გზა მიეც ციურ საკრავებს
და გამიგრძელე ეს იდილია.

## ჟურხა ნადირაძეს

*ექსპრომტად თქმული საჩხერის არქეოლოგიური გათხრების დროს.*

ჩვენი დროის არქიქართველს —
ნადირაძეს გიხმობ ჟურხას.
როგორც ჟერარს განქიქავდე —
სამარხებთან ჩამუხლულხარ.

გორობებზე გიხურს ტერფი —
არ წააწყდე უცბად ჟიღას..
დაკარგული კერის ღერბი
მომინახე, თუ კაცი ხარ!..

დასტურ, ჩვენი მხარის ჟურ ხარ!
დასტურ, ჩვენი გვარის ჟურ ხარ!
ნათესავიც ვერ გცნობს ზოგჯერ,
მზის ქვეშ ისე გარუჟულხარ.

უხსოვარი ჟამის მტვერში
ზიხარ... განა უქმად ზიხარ!.
მანდ წინაპრის ძვალი ხვნეშის,
მომინახე, თუ კაცი ხარ!..

სახე ოფლით დაცვარული
გიელავს და წარმართს გიგავს.
მიტომ არის დაბზარული —
ძველ სინაზეს სტირის თიხა...

მოდი, ლექსი გამიმართე,
თუ უჟარმის ლიბოს ჟურ ხარ;
ჩვენი დროის არქიქართველს —
ნადირაძეს გიხმობ ჟურხას!..

ბიბლიოთეკა

## შემოდგომა

ხეებმა უკვე გააჩაღეს კარტის თამაში
და გაჭრილ ქაღალდს ქარი ხვეტავს მაშვრალი ხელით.
ო, შემოდგომავ, მაგ აზარტულ სითამამეში
მეც ჩემს სულს ვჩითავ და უეცარ სასწაულს ველი.

დამწიფებული ატამივით დაისი ღვივის,
არ უჩანს ზღვარი ღვინობისთვის შფოთს და ხმაურსა;
დაღლილმა მზემაც დანასავით ლაპლაპა სხივი
შემოღამების გაუპარსავ ლოყას დაუსვა..,

მოედინება მუშკ-ამბარი დამპალი ნესტის,
თუ ძველი სევდის, მოგონების და პალიმფსესტის...
როგორც ათასი წყაროსთვალი ფეთქავს სიტყვაში,
ისე ბრდღვიალებს შემოდგომის ფერთა ვიტრაჟი...

ნეშოში კვლავაც დაშლიგინობს დრო თავაშვებით
და ხენი ჰგვანან გაკოტრებულ მოთამაშეებს.

## ფუტკარი

სკიდან მზვერავი აფრინეს ერთხელ,
რათა საკვები ეპოვა ფუტკარს.
იხეტიალა ფუტკარმა ტყე-ტყე,
დიდხანს მოუნდა ყვავილთა ფუტკნას.

დაღლილი გვიან დაბრუნდა ტყ[illegible],
(პირობა იყო არცთუ ადვილი)
და ცეკვის ენით აუწყა თვისტომთ
ბრძოლით ნაპოვნი ნექტრის ადგილი.

ჭკუის სწავლებით როდი გაწვალებ, —
მწერიც გმირობის ღირსად შევიცან;
შენ კი ვერასგზით ვერ მიგასწავლე
ჩემი გულისკენ მისასვლელი გზა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალილა ბედიანიძე

## სამშობლოს

შენ გამოდიხარ გაქვავებული წელიწადების სარკოფაგიდან,
    დროა შენი არქეოლოგი.
შენ გამოდიხარ ფრესკებიდან, საყდარებიდან,
        წაკითხული და წასაკითხავი წარწერებიდან,
თქმულებებიდან
        ზღაპრებიდან
და უძველესი
ყველა კუთხიდან
        შენ გამოდიხარ ახალ თბილისში
და ღიმილის ნატეხებს ტოვებ მუზეუმის დარბაზებში,
        სადაც ერეკლეს ხმალი ისვენებს.
მიწის ზედაა თუ მიწისქვეშა,
წინანდალია თუ ქაშუეთი,
საქართველოში საქართველოა,
საქართველოზე ათასჯერ მეტი.
შენი თვალებით მიყურებს ბიჭი, რომელიც დილით სკოლაში მიდის,
შენი თვალებით მიყურებს ქალი, რომელიც იმ ბიჭს მიაცილებს,
შენი მკლავები ხარაჩოებად შემოხვევია დროის კედლებს,
ჩალის ქუდის ქვეშ ჩაის კრეფისას დამალული სერაფიტას თმა,
        დაგუბებული შენი მდინარეებია,
რომლებიც განათებენ ოთხივე კუთხივ.
ჩაქუჩისა და ნამგალის ხმას უერთდება შენი გულისცემა
როცა ცვლის ბოლოს მაღაროდან ამოაქვთ მუშებს
მადნის ნატეხების მსგავსი ხელები, რომ გამარჯვებას ჩამოართვან.
შენ, სამშობლოში სამშობლოზე უფრო სამშობლოვ,
სიტყვაზე ძნელად სათქმელო სიტყვავ,
საქმეზე უფრო ათასჯერ საქმევ, —
რაც იყო, არის და რაც იქნება,
მხოლოდ და მხოლოდ შენგან და შენთვის.
        მიწის ქვეშაა თუ მიწის ზედა,
წინანდალია თუ ქაშუეთი,
საქართველოში საქართველოა,
საქართველოზე ათასჯერ მეტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ციციშვილი

# სძლიე სიხარბესა შენსა!..

მოთხრობა

შუა ქართლში, იქ, სადაც თრიალეთის ქედის გეზად ჩამოცოცებული მწვანიანი კალთა მტკვრის ხეობას ავიწროებს, ლაღად გაშლილ ფერდობზე, ბაღ-ვენახებში ჩაფლული სოფელი სამება შეფენილა.

სამება საქართველოს ერთ უძველეს დასახლებად ითვლება და მის ღონიერ, გონიერ, შემძლე გლეხკაცობას ძველთაგანვე შორსა ჰქონდა სახელი გავარდნილი.

ამ სოფლის მამაკაცები — ახოვანნი, ჯანმაგარნი, მშვიდნი, — უზარებლობით იყვნენ განთქმული და თავისი წელმაგრობით, პურმარილიანობით, უშურველობით გამოირჩეოდნენ.

სამებელი დედაკაცების ქება ხომ უხსოვარ დროიდან მოდიოდა. აბა, რომელი ქართლელი მოიძებნებოდა ისეთი, რომ სამებელი რძლის მოყვანა არ ენატრა. მართლაც ამ სოფლის ქალები, წაბლისფერთმიანი, თაფლათვალება, მკერდსავსე ასულები, სადაც არ უნდა გაეთხოვებინათ, ყველგან ალმასებივით ბრწყინავდნენ და მათი დაჩრდილვა იშვიათად თუ ვისმე შეეძლო. ალბათ, ამიტომ, აქაურ ქალებს სასხვისოდ არც იმეტებდნენ და თაფლათვალება ბავშვები სოფელში არ ილეოდა.

სამებელ მკვიდრთა სიკეთეს სხვადასხვანაირად ხსნიდნენ: ზოგი აქაურ წყაროთა მარგებლობას მიაწერდა, ზოგი მთისა და ბარის ჰაერთა შეზავებულობას, ზოგი მტკვა რის გამაკაჟებელ ტალღას, ზოგიც აქაური თავთუხის ყუათიანობას.

ასე იყო თუ ისე, სამებური ყველაფერი მაღლა ფასობდა; ამას ძველთა ძველი ქებაც დიდად უწყობდა ხელს: სამება ჯერ კიდევ უძველეს ქართულ მატიანეებში იყო მრავალგზის მოხსენიებული და სამებელებს თავისი ისტორიითაც მოჰქონდათ თავი. აქ დიდიან-პატარიანად ყველამ იცოდა, რომ სოფლის გარეუბანთან, კოშკები რომ ერქვა, ქართველთა მხედრობამ, მონგოლთა პირველ შემოსევისას, მათ მეწინავე ლაშქარსა სძლია და გააქცია; რომ აქ ყვარყვარე ათაბაგს გზა მოუჭრეს, მტკვრის ფონი გაატარებინეს და არადეთთან ცხარე ბრძოლა გადაახდევინეს; რომ სამების სანახებში ზურაბ ერისთავისა და ბაადურ ციციშვილის შეერთებულმა მხედრობამ შაჰაბაზის სარდალი ყორჩიბაში დაამარცხა და თოთხმეტი ათასი სპარსელი. მოსრა, რომ ყიზილბაშებმა სამების ტყეს ცეცხლი წაუკიდეს და ერთიანად გადაწვეს. ორ თვეზე მეტი იწოდა თურმე სოფლის მარჩენალი ტყე... გახიზნული ხალხი იმ ტყის განადგურებას უფრო დასტიროდა, ვიდრე საკუთარ სახლკარს.

ყიზილბაშების მიერ გადამწვარი ტყე დროთა განმავლობაში სამებელებმა ახოვად აქციეს, ააჯეჯილიანეს, მაგრამ ერთი დიდი ფერდო, ოდესღაც გადატრუსულ-გადაბუგული, შემდეგშიც ისევე ტიალად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა და ზედ ეკალბარდების მეტი არაფერი ხარობდა.

საკვირველი ის იყო, რომ ამ გადატრუსული ტრამალის თავში წყალუხვი წყარო გადმოჩუხჩუხებდა. მისი სადინარი მიწაში ღრმად ჩაჭრილიყო. ალბათ ამიტომ, ნაკადულის დინების ჩასწვრივაც ისევე არაფერი ხარობდა, როგორც მოშორებით.

სამებელები ამ წყაროს „ეშმაკებიაანთ წყაროს“ ეძახდნენ და არა თუ თვითონ არ ეკარებოდნენ, მისი წყლით საქონელსაც კი არ არწყულებდნენ.

გადატრუსულ, ოდესღაც ცეცხლით მოლოკილ ამ მინდორსაც უცნაური სახელი ერქვა: „ტიალ ველს“ ხანაც „სპარსთა ველს“ ეძახდა ხალხი.

ტიალი ველის მიდამოებში, ძველთა-ძველი გადმოცემის თანახმად, სპარსელებს ოდესღაც კარვები დაუციათ, მთელ ზაფხულს იქა მდგარან და ცოდვას ცოდვაზე სჩადიოდნენ.

სპარსთა მოძალეობის იმ ხნიდან დაწყებული, ველსაც ავი სახელი დაუვარდა. იქ არამც თუ საქონელს არ აძოვებდნენ, გზადაც არ გადადიოდნენ. მოხუცები ირწმუნებოდნენ, „სპარსთა ველი ეშმაკეულზე ეშმაკეული ადგილია, ღვთისგან დაწყევლილი, საქონლის დაცდა იცისო“...

გადმოცემა იმასაც ამბობს, რომ ბოლოს, როცა ქართველების მოთმინება ამოწურულა, შეერთებულან, ზემოურ-ქვემოურთათვის საშველად უხმიათ და სპარსთა ბანაკი ისე მოუსრიათ, რომ ამბის წამღებიც კი არ დაუტოვებიათ.

მართლაც რომ დაწყევლილივით გამოიყურებოდა ეს ფერდო-ხრიოკი.

მწვანედ ახასხასებულ მთელ ამ არე-მარეზე მარტო იგი იყო ბალახმოუკიდებელი, მზით ჩამწვარი.

თვით ადრიან გაზაფხულზეც კი, როცა ყველაფერი აზურმუხტდებოდა, „სპარსთა ველი“ ისეთი მწირი და ჩაჟანგებული ჩანდა, როგორც ჯოჯოხეთის მისასვლელი.

ეგ იყო, რომ ყაყაჩო იცოდა აქ საოცარი. მაგრამ ისიც მეტად ხანმოკლედ: მაისის დამდეგს იფეთქებდა წითელი ფერი, ხოლო უკვე თიბათვის დასაწყისში მისი ხსენებაც აღარ იყო. ძველი ხალხი ამბობდა: ეს სპარსთა სისხლია მიწიდან გამონაჟონიო.

ამიტომაც არ უყვარდათ სამებაში ყაყაჩოები.

თუ სამებელს მაინცა და მაინც ტიალ ველზე გავლა მოუხდებოდა, თანაც ყაყაჩოს წითლობის ჟამი იდგა, მას გზა-გზა, სადამდეც ხელი მიუწვდებოდა, ყაყაჩოები სახრით უნდა დაესხიპა, რაც მეტს დასხებდა. მით უკეთესად ითვლებოდა — კარგად დაებედებაო.

სპარსიანთ ფერდო-ხრიოკი სოფლის ბოლოშივე იწყებოდა და სამხრეთისაკენ მიუყვებოდა. ამ ერთფეროვან ტრამალსა და სოფლის აზურმუხტებულ შემოგარენს შორის საზღვარი საოცრად მკვეთრი იყო: სამებელთა ზვრები თუ ხეხილის ბაღები როგორღაც ერთბაშად წყდებოდა და ონავარი ქარის სამფლობელოდ ქცეული სპარსთა ხრიოკი იწყებოდა. აქა-იქ ამოსულ ძეძვის ბუჩქებს ხან დაგვალული ნარეკალა ენაცვლებოდა, ხანაც მიწაზე გართხმული ურცი და ბეგქონდარა.

1958 წლის ადრიან შემოდგომით, როცა სოფელში ბარაქა დატრიალდა და წლის მოწეულმა სარჩომ სამებელები გაახალისა, ერთმა უცნაურმა ამბავმა უჩვეულო მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ხალხი აამღელვარა: სოფელში ხმა დაირხა, რაიონიდან მშენებელთა ბრიგადა ჩამოსულა, „სპარსთა ველზე“ ადგილი უნდა შემორაგონ და რაღაც დაწესებულება დააარსონო!..

— კაცოუ! ცოდვილიანი მინდვრის შემოღობა სად გაგონილა, ან ამ ფერდო-ხრიოკზე დაწესებულების დადგენა რომელ უწმინდურს მოაფიქრდა? — შეჰღაღადებდნენ ერთმანეთს გაკვირვებული სამებლები და შეშფოთებით გასცქეროდნენ სპარსთა მინდორს, სადაც აუარებელი ხალხი ირეოდა და თბილისიდან ჩამოტანილი ბულდოზერი ყურისწამღები ხმაურით ბუღრაობდა, ბექობს ბექობზე აშანდაკებდა.

გავიდა ორიოდე დღე და მშენებლებმა უზარმაზარი ადგილი შემოღობეს. სოფლის მხრიდან მაღალი ფიცრული ღობე აღმართეს, მწვანედ შეღებეს და შუაში ვეება ჭიშკარი შეაბეს. დანარჩენი სამივე მხრიდან კი ეკლიანი მავთული შემოავლეს.

ეროვნული

გამოხდა კიდევ ხანი და შემოღობილში ოთხოთახიანი ხის სტანდარტული სახლი წამოჭიმეს. მერე მწვანე ჭიშკრის ორივე მხარეს, მაღალი ბოძები ჩაარჭვეს და ზედ გარდიგარდმო გრძელი თუნუქის აბრა გააკრეს. მწვანე აბრაზე ვეებერთელა შავი ქართული ასოებით მანამდე გაუგონარი სიტყვა ეწერა: „ლესსტროიტორგის სამების ბაზა“.

სამებელ რუსულისმცოდნეებს კარგა ჯაფა დაადგათ, სანამ ეს უცნაური სიტყვა თარგმნეს და თანასოფლელებს აუწყეს, რომ რუსული სიტყვების ნაერთი — „ლესსტროიტორგი“ — ხისა და საამშენებლო მასალებით ვაჭრობას ნიშნავდა.

გავიდა კიდევ ორიოდე დღე და „ლესსტროიტორგის“ ბაზას მმართველი გაუჩინეს. იგი ადგილობრივი მკვიდრი, გოდერძი ზენკლიშვილი, გამოდგა. კაცი ცნობილი, პატივით მოსილი და ადგილობრივ ხელმძღვანელთა შორის ერთობ მიღებულიც.

ამან ძალზე გააადვილა საქმე: ახალ დაწესებულებას მისი გრძლად ამოსათქმელი სახელის მაგიერ „გოდერძის საწყობი“ შეარქვეს, ხანდახან კი „გოდერძის კანტორად“ იხსენიებდნენ.

მაგრამ გოდერძი ჯერ კიდევ დანიშნული არ იყო, როცა „კანტორას“ ორი ჭეშმარიტი გამგებელი მოევლინა; ბაზის მთავარი ბუღალტერი, შეთავსებით მომმარაგებელი ისაკა დანდლიშვილი და ბაზის საწყობის გამგე, შეთავსებით მწონავ-გამყიდველი სერგო მამაჯანოვი.

ასე გაჩნდა სოფელ სამებაში კიდევ ერთი სამება და ხალხიც ერთი სამებიდან მეორისაკენ დაიძრა.

კვირაც არ იყო გასული ბაზის დაარსებიდან, რომ საწყობის ეზოში ვეებერთელა ფარდული წამოჭიმეს, ავტომანქანებმა გზები აამტვერეს, ხოლო ფარდულქვეშნაირნაირმა საქონელმა მოიყარა თავი.

რა საამშენებლო მასალა გინდა, სულო და გულო, აქ რომ არა ყოფილიყო: თეთრი შიფერი თუ დაუხერხავი ხის მორები, კრამიტი თუ აგური, ბეტონის ბლოკები თუ ცემენტი, სუფთად დახერხილი ფიცრები თუ გრძელი კოჭები, თუნუქი თუ რკინის მილები, ლურსმნიანი ყუთები თუ მავთულის ბადეები, რკინის კასრები თუ წყალსათბობი ღუმელები, ფოლადის არმატურა თუ თუჯის აბაზანები, ლიანდაგის ზოდები თუ წითელი კრამიტი. რა უნდა გენატრა, რომ გოდერძის საწყობში არ მოსულიყო და იმავე დღეს არ გაზიდულიყო.

მოაწვა და მოაწვა ხალხი ცოდვის ველზე შემოღობილ საწყობს.

მოდიოდნენ ურმითა თუ მანქანით, ცხენებშებმული ორთვალათი თუ ტრაქტორგამობმული ტრალერით, ხელის საზიდარებით თუ უღელზე ჯაჭვგამობმული ხარ-კამეჩით. გაჭქონდათ და გაჭქონდათ მამასისხლად ნაყიდი მასალები.

ახლო-მახლო სოფლები საამშენებლო ციებცხელებამ შეიპყრო, შეჯიბრის სულმა ხალხი დაიმორჩილა.

მაღლა-მაღლა მიდიოდნენ აგურით თუ ქვითკირით ნაშენები ორ და ორნახევარსართულიანი წითელკრამიტგადახურული შენობები, დიდი მარნებითა და უზარმაზარი სარდაფებით, კაფელით მოპირკეთებული თბილი საპირფარეშოებით, დიდი ნათელი შუშაბანდებით, დაკიდული აივნებით, ჩუქურთმიანმოაჯირიანი მოზაიკური კიბეებით და ყველაფერი ეს გოდერძის საწყობიდან იყო გამოზიდული.

თვით გოდერძის საწყობიც სულ უფრო და უფრო კეთილმოწყობილი ხდებოდა. მალე სოფლიდან საწყობამდე გზა ასფალტით შეიმოსა, ხოლო გზის ორივე მხარეს კაკლის ხეები ჩარიგდნენ. „ეშმაკებიაანთ წყარო“ მილებში გაატარეს და „გოდერძის გზის“ თავსა და ბოლოში კოხტად მოპირკეთებულ აუზებში ჭავლებად გადმოუშვეს, გვერდით კი ლამაზი თალარები წამოუჭიმეს.

წარმოიდგინეთ ასეთი კეთილმოწყობის შემდეგ „ეშმაკებიაანთ წყაროს“ სასმელადაც კი ხმარობდნენ და ოდესღაც შიშის მომგვრელი მისი სახელი აღარავის არ ზარავდა. გამოდგა, რომ ამ წყაროს წყალი ჩინებული სასმელი ყოფილა — ცივი და გემრიელი.

ის კი არა, გოდერძის კაბინეტში ტელეფონიც კი აწკრიალდა. კოლმეურნეობის გამგეობას, საავადმყოფოს, სკოლას, დამზადების განყოფილებას, — ტელეფონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ჰქონდა, გოდერძის კი მაშინვე დაუდგეს!

განა არ იყო ეს პატივის ნიშანი?

და გოდერძიმაც შეიშნო ეს პატივი, — ჩასუქდა, გალამაზდა, უზარმაზარი ფაშვი გადმოუშვა. სადალაქოში თუ შებრძანდებოდა, მაშინვე რიგს უთმობდნენ, სასადილოში შესვლა და მისი საყვარელი სიმღერების დაკვრა ერთი იყო; სოფლის უნივერმაღში ყოველ სტუმრობისას, მაღაზიის გამგე თავის კაბინეტში მიიპატიჟებდა და ნოქრებსაც იქ დაარბენინებდა; რაიონიდან უფროსების ყოველი ჩამოსვლა, გოდერძისთან სტუმრობით მთავრდებოდა.

ერთი სიტყვით, გოდერძი სოფლის თვალი შეიქნა და ისეთი სახელი დაიგდო; მთელმა შუა ქართლმა გაიცნო. ბარე ოთხი რაიონის ხელმძღვანელობა ელოლიავებოდა ზენკლიშვილს და ისე დღე არ გავიდოდა, მისთვის ბარათი არ გამოეგზავნათ, რაიმე თხოვნით.

უნდა ითქვას, არც გოდერძი უგვიანებდა პასუხს. მართალია, ეს პასუხი ქაღალდზე არ იწერებოდა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელებს ეტყობა გოდერძის განკარგულებით ავტომანქანებში საგანგებოდ ჩაწყობილ-ჩალაგებული საქონელი უფრო ახარებდათ, ვიდრე მისი გაბარჯღული, ოკრობოკრო ასოებით მინაწერი ფარატინა ქაღალდი.

მაგრამ მარტო გოდერძი როდი გახდა ცნობილი კაცი, საპატიო მოქალაქე დაბად გადაკეთებული სამებისა. ისაკა დანდლიშვილმა და სერგო მამაჯანოვმა არანაკლებ გაითქვეს სახელი.

ყველამ იცოდა, რომ ლოყებჩაცვენილი, შავზე შავთვალება, წელში ოდნავ მოხრილი, მუდამ მიწას ჩამყურე და მუდამ გაუცინარი ისაკა დანდლიშვილი გველივით ჭკვიანი და გველივით ავი იყო. ეს სიტყვაძუნწი, ხმაწვრილა, თევზივით ცივი კაცი, წელათრეული დინჯი სიარულითა და მოზომილი მიხვრა-მოხვრით — კვირაში სამი დღე სადღაც გადაკარგულ-გადაქვარაცხლული იყო. ორშაბათ-ოთხშაბათობით კი სამების კანტორას მიაშურებდა, სამუშაოს ჩაუჯდებოდა და დილიდან გვიანობამდე წერდა, საანგარიშოს აჩხაკუნებდა, სიგარეტს სიგარეტზე ექაჩებოდა.

დაუღალავი შრომა იცოდა ისაკამ, გონებაც საოცრად გამჭრიახი ჰქონდა. ამიტომაც ითვლებოდა იგი გოდერძის მთავარ მოძღვრად და პირველ მრჩევლად.

ისაკას ყოველი მგზავრობის შემდეგ, გოდერძის საწყობი მასალით ივსებოდა, რათა შაბათ-კვირას ისევ პირწმინდად დაცლილიყო, ხოლო ორშაბათ-სამშაბათს კი ისაკა დანდლიშვილის დავთრებში ბუღალტრული სალდო შეგრულიყო და ჯამი გამოყვანილიყო.

სერგო მამაჯანოვი კი სულ სხვანაირი კაცი ჩანდა; დაბალ-დაბალი, ჩაფსკვნილ-ჩაკურატებული, ლოყებღაჟღაჟა, მუდამ მომცინარი და მხიარული. იგი არა მარტო მოუღლელი მშრომელი, არამედ მოუღლელი მოლაპარაკეც იყო, უთენია დილიდან გვიან საღამომდე ისმოდა მისი ბოხი, ბუბუნა ხმა. სერგოს ბურთივით მრგვალი სხეულიც განუწყვეტლივ დაგორავდა გოდერძის საწყობის ვეებერთელა ტერიტორიაზე და და ხალისიანი საწყობის გამგე ხან სად ამოყოფდა თავს, ხან სად. როცა გეგონა აქ არისო, უცებ სულ სხვა ადგილას აღმოჩნდებოდა, წამის შემდეგ კი ისევ შენთან იყო, რათა თვალის დახამხამებაზე ისევ გაუჩინარებულიყო და სულ სხვა მხარეს აეტეხა ალიაქოთი.

ერთი თანდაყოლილი ზნეცა სჭირდა: ვაჭრობის გაუშვებელი ტრფიალი იყო და არ შეეძლო მუშტარი არ მოეტყუებინა. მაგრამ ისე ოსტატურად ატყუებდა, — მადლობას აქეთ უხდიდნენ. ამიტომ, ძმაკაცებიც ბევრი ჰყავდა.

სერგოს უცდომელი თვალი ჰქონდა. როცა მისი დამხმარე მუშები, კოჭლი მიშა და რეგვენი ბაგრატა (ასე უწოდებდნენ მას ზურგს უკან) ხე-ტყეს ასაზომად დააწყობდნენ, სერგო ყასიდად გაანჩხლდებოდა, მუშებს დაუტატანებდა, რაღაც ფიცრებს გამოაცვლევინებდა, — დამპლები რატომ შეაპარეთ ამ ღვთისნიერ კაცსაო, ზედმეტსაც დაადებინებდა, მაგრამ მერე ისე ეშმაკურად ხმარობდა თავის განუყრელ, ხმარებაში გამცვდარ ხის ყვითელ მეტრიანს, რომ ორი კუბური მეტრის მაგიერ სამი გამოყავდა, სამის მაგიერ — ხუთი, ხუთის მაგიერ — რვა.

მერე მასალის ხარისხსაც მცდარად აჩვენებდა: მესამის მაგიერ, მეორეს ჩაუწერდა, მეორის მაგიერ, პირველს, ჩოთქს ჩაგრავ-ჩამოკრავდა, სულ ცოტა, ორჯერ მეტ ფულს მიითვლიდა, მუშტარს დალოცავდა, ხელს მაგრად ჩამოართმევდა და ახლა სხვა ცხვარის გასაკრეჭად მიიჩქაროდა.

ბოროტი ენები ჩურჩულით ამბობდნენ: „სერგო ასთუმნიანი კაციაო", რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი დღეში სულ ცოტა ას თუმანს მაინც იღებდა.

სერგოს თავის ხელქვეითად ორი თანამშრომელი ყავდა: კოჭლი მიშა, ჭროლათვალება დევკაცი, ომის ინვალიდი, ურიცხვი წვრილშვილის პატრონი და ნასყიდაანთ ბაგრატა, ჩუმი ლოთი, დღენიადაგ არაყით გამტყვრალი, მუდამ ნივრის სუნი რომ ამოსდიოდა პირიდან. ბაგრატას ორი ვეებერთელა ნაგაზი ჰყავდა, რომლებიც დღე ჯაჭვით იყვნენ დაბმული, ღამე კი აუშვებდნენ ხოლმე.

მიშაც და ბაგრატაც მთელ დღეებს ბაზაში ათენებდნენ და აღამებდნენ. მიღებული მასალის გადმოტვირთვა-დალაგება, მისი მოვლა-პატრონობა, გაყიდულის მანქანებზე დატვირთვა, — მათი მოვალეობა იყო. ღამ-ღამობით კი, ორ მურა ნაგაზთან ერთად, საწყობს დარაჯობდნენ მორიგეობით.

ინათლებდა თუ არა, სერგოს ბღავილი სოფელსა სწვდებოდა:

— მიშაა, ჰაი, მიშა, რა იქენი შე სახელძაღლო, სად დაბორიალობ?.. ბაგრატ, ვაი, შენი სული ვჭამე, ზეზეულა გძინავს ცხენივითა, მოდი ჩქარა, ბოლო აუწიე... ვახ, თქვენი ვიკრიიკა დაიქცეს, თქვენს გამკეთებელს მიეცა ჩემი ცოდო... ჩქარა მოდექ, დაღამდა რაღა, ვაჰ!..

რა მეტი ჩარა იყო, მიშაცა და ბაგრატაც განუწყვეტლივ უკან დასდევნენ და ხავილა სერგოს მათთვის რომც არ დაეძახა, მაინც მასთან მირბოდნენ. თავიანთი დაუდეგარი უფროსის მაგალითმა ისინი ისე გახედნა, ერთ ადგილზე ვედარ ძლებდნენ და ისეთივე ლაგამწყვეტელი დარბოდნენ, როგორც მათი ბურთივით მრგვალი საწყობის გამგე.

ბაზის მმართველი კი სულ სხვა სიდინჯის კაცი გახლდათ...

თამადობაში გაწაფული მეინახე, მოუღლელი მსმელი, პურმარილიანი მასპინძელი, წელმაგარი ოჯახის პატრონი, გოდერძი ზენკლიშვილი, დიდი ხანია რაც მრავალი ჭაბუკისა და არაჭაბუკისათვის კაცობისა და მამულიშვილობის მაგალითად იყო გამხდარი.

„გოდერძიმ თქვა", „გოდერძიმ აქო", „გოდერძიმ შეუკურთხა", „გოდერძიმ მოიწონა", „გოდერძის ძმაკაცია" — ისმოდა სოფელში და გოდერძისაც სულ უფრო და უფრო მაღლა მიჰქონდა თავი, უფრო გულდაჯერებული, გულზვიადი, გულხენეში ხდებოდა...

გათენებისას იცოდა თავის სამფლობელოში მობრძანება.

სისხამი დილის ბინდ-ბუნდში, როცა ისის იყო მტრედისფრად ირიჟრაჟებდა, გოდერძი თმის დინჯი ვარცხნით „სპარსთა ველისაკენ" მიმავალ ბილიკს დაადგებოდა, გზას მოკლეზე მოსჭრიდა და ზუსტად იმ ზედაწყაროსთან გავიდოდა დაასფალტებულ გზაზე, სადაც ხელპირის დაბანა უყვარდა. მერე ბაღდადივით ვეება თავის ჭრელ ხელსახოცს ამოიღებდა და ხელპირის შემშრალებას იწყებდა.

ბაზაში შესულს ნაგაზები წკმუტუნით ფეხებში ჩაუვარდებოდნენ და ეს ხბოსტოლა, მგელიჭამია მეეფარები ისე ელაქუცებოდნენ, გეგონება ძუძუთა ლეკვები ყოფილიყვნენ.

— ვისაც ძაღლი და ბავშვი ეალერსება, ისა, კარგი კაცია!

უყვარდა თქმა გოდერძის და მაშინვე დააყოლებდა: — მითომ რატომ ისაკას არა ლოკავენ ასეთნაირადა? აბა, ერთი თუ ბიჭია ასე შემოვიდეს ამათთანა!.. გაბედავს? ჰო, დედისმაგისამა!!..

ზოგიერთი ახირებაც სჩვეოდა გოდერძი ზენკლიშვილს. აქედან მთავარი ის იყო, რომ შემთხვევას არ გამოტოვებდა ისაკა არ გაეკენწლა, უმისოდ ყოფნა კი ერთი დღეც არ შეეძლო. ეტყობა, თვითონაც ამჩნევდა თავის ამ სისუსტეს და რაც უფრო ეწადა მისი დაძლევა, მით მეტად ედგა ყელზე ისაკა, მაგრამ მით უფრო ეძვირებოდა კიდეც.

მწვანედ შეღებილი ფინური სახლის ყვე-

ლაზე დიდ ოთახში გოდერძის კაბინეტი იყო გამართული, მეორესა და მესამეში — ბუღალტერია, ისაკას ხელუხლებელი და მიუკარებელი სამფლობელო, ხოლო მეოთხეში, — საწყობის გამგის ფეხმორყეული მაგიდა იდგა. ამავე ოთახში ზამთრობით რკინის ღუმელსა დგამდნენ და ბრეზენტგადაფარებულ ტახტზე მორიგეობით იწვნენ ხან კოჭლი მიშა, ხანაც არყით გამობრუჟული ბაგრატა.

გოდერძის კაბინეტში კი ვაგლახად ვერ შეხვიდოდი. შეაღებდი თუ არა მოზრდილი ოთახის კარს, შენს პირდაპირ მჯდარი თვალებდაჭყეტილი მმართველის წინაშე აღმოჩნდებოდი.

ის დალოცვილი ისეთი მკაცრი და გამზომი თვალით შემოგვცქეროდა, გეგონება შენს სულში ჩაწვდომას ლამობსო.

არც მოგესალმებოდა, არც შეგეხმიანებოდა. იჯდა ყურად, გაუნძრევლად და უსიტყვოდ შემოგცქეროდა თავისი ვეება, ოდნავ გადმოკარკლული თვალებით. ელოდა, როდის ამოიდგამდა „კლიენტი“ ენას. ასეთი უცნაური შეხვედრა ბევრს ამუნჯებდა, ბევრსაც იმაზე გაცილებით დამყოლსა და თვინიერსა ხდიდა, ვიდრე ჩვეულებრივ იყო.

წარბშეკრული, კუშტად მზირალი ბაზის მმართველი კუთვნილსაც ისე გიზღავდა, გეგონება წყალობას გიშვებაო.

მისი რბილსაზურგიანი სავარძლის უკან, ხის პრიალა ჩარჩოში ჩასმული სტალინის სურათი ეკიდა, გენერალისიმუსის ფორმაში. როცა გოდერძი მის ოთახში შემოსული კაცის სურათისაკენ გაპარებულ მზერას შენიშნავდა, თავის ღონიერ კისერს სურათისაკენ მიღრეცდა და თავმომწონედ იტყოდა:

— მე, ძმაოსან, მაგის დროშის ქვეშ ვიბრძოდი ფრონტზედა, ამიტომ აგრე ადვილად ვერ შეველევი. ეკიდოს ეგრე, რას აშავებს, ასე არ არის?

და როცა თავის შეკითხვაზე დასტურს მიიღებდა, მუშტს მაგიდაზე ღონივრად დასთხლეშდა და მძიმე ამოხვნეშით ღრმააზროვნად იტყოდა:

— ასე ყოფილა, ძმაოსან, და კვლავაც ასე იქნება, — დრონი მეფობენ და არა კაცნი! ყველანი დროის სათამაშონი ვართ. მოინდომებს ეს წყეული დრო და ალჩუზე შეგსვამს, მოინდომებს, — თოხანზედა! მოინდომებს და ბედსა გწევს, მოინდომებს და გიტირებს ყოფასა! მაგრამ სანამ ის გიტირებს, უნდა დაასწრო და შენ უტირო!

სისხამ დილით მოსული გოდერძი, ბაზის შემოვლას რომ დაამთავრებდა, ყველა კუნჭულში რომ შეიხედავდა, თავის კაბინეტს მიაშურებდა, სავარძელში ხვნეშით ჩაეშვებოდა, რაც შეიძლება დაბლა ჩაცურდებოდა, ვეებერთელა ფაშვს მაგიდას მიაბჯენდა და ხვრინვას ამოუშვებდა.

ასეთი ჩვეულება ჰქონდა, ძილის შესასრულებლად ცოტა თვალი უნდა მიელულა. საათს-საათნახევარს წაუძინებდა და ბაზის გაღების დროც მოვიდოდა. მაშინ ფანჯარას გამოაღებდა და ხმამაღლა გასძახებდა:

— ჰეი, მუქთახორებო, ატკრივაი ვარატა!

ეს ნიშნავდა კარები გააღეთო და მართლაც, მწვანედ შეღებილი ვეება ჭიშკარი, ზემოდან გრძელ აბრაზე შავი ასოებით რომ ეწერა „ლესსტროიტორგის სამების ბაზა“, ღრჭიალით იღებოდა და მასალის შესასყიდად მოსული მუშტარი ჯგროდ შემოეხვეოდა ეზოს შუაგულში მდგარ მომღიმარე სერგო მამაჯანოვს, რომელსაც მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ ძველი ჩაფრებივით ამოსდგომოდნენ კოჭლი მიშა და ნაბახუსევი ბაგრატი.

და იწყებოდა სოდომ-გომორა, ხმამაღალი ყაყანი, მასალებზე ვაჭრობა, ხან გულწრფელი, ხანაც ყალბი შეძახილებით, ზოგჯერ კი ისეთი გინებით შეზავებული, რომ ბილწსიტყვაობით განთქმულ ბაგრატასაც კი კმაყოფილებით ეღიმებოდა. შემდეგ მასალების შერჩევა, გადმოწყობა, აზომვა, დატვირთვა უნდა ეწარმოებინათ და სერგოს ჩაფრებს ალდგომა უთენდებოდათ.

სერგო მამაჯანოვი ასეთ წუთებში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. თოხარიკით უვლიდა მთელ ბაზას და მისი ბრძანებებისაგან კოჭლ მიშასა და რეგვენ ბაგრატას მოსვენება არა ჰქონდათ.

ზუსტად პირველ საათზე „გოდერძის საწყობი“ ორი საათით იკეტებოდა:

ასეთი გრძელი შესვენება არც ერთი ინსტრუქციით არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ გოდერძი ყვე-

ლა ინსტრუქციაზე ძლიერი იყო და ამიტომ არავინ ეკამათებოდა.

ეს შესვენება სადილისათვის იყო განკუთვნილი. კოჭლი მიშა მამაჯანოვის მოტოციკლს მოაჯდებოდა და სოფლის სასადილოსაკენ გააქროლებდა. იქ მათთვის სპეციალური კერძი ჰქონდათ მუდამ მომარაგებული, ხან ბუღლამა, ხან სალიანკა, ხან ჯიგრის ყაურმა, ხანაც მწვადები.

ჭამით ყველა ერთად ჭამდა, ძველი ქართული წესის მიხედვით· ეს დემოკრატიული წესი თვით გოდერძიმ დააკანონა. თუ ამ დროს ისაკაც ბაზაში იყო, ისიც მათ შეუერთდებოდა ხოლმე. თითოს თითო ბოთლი ღვინო ედგა და კახურად სვამდნენ, თვითეული მხოლოდ თავის ბოთლიდან.

ჭამას რომ მორჩებოდნენ, ბაგრატა ჯიხურში შეიპარებოდა, ერთ ჩაის ჭიქა არაყს კიდევ დააყოლებდა, ტუჩებს ხელით მოიწმენდდა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა მუშაობას.

ნასადილევს გოდერძი ერთხელ კიდევ შეჰყვირებდა „ატკრივაი ვარატაო". ამ შეძახილზე მიშა და ბაგრატა კისრისტეხით გარბოდნენ „უფროსის" ბრძანების შესასრულებლად, ხოლო თვითონ უფროსი სავარძელში ჩაეშვებოდა და ნებიერ ხვრინვას ამოუშვებდა.

უბედურება ის იყო, რომ გოდერძის ამ მეორე ძილის დროს, ჩვეულებრივად მრგვალ ხერხს აამუშავებდნენ ხოლმე. იმ ოხერს კი ისეთი საზარელი ხმა ჰქონდა, მიცვალებულსაც წამოახტუნებდა. ხერხის წივილი სახერხ მასალაზედაც იყო დამოკიდებული. თუ დასახერხი ხეები მაგარი ჯიშისა აღმოჩნდებოდა, მრგვალ ხერხს მეტისმეტი ჯაფა ადგებოდა და ისე ყურისწამღებად აწივლდებოდა, თვლემა კი არა, ახლო-მახლო ყოფნაც აღარ შეიძლებოდა.

ამიტომ ეჯავრებოდა გოდერძის მუხისა და წიფლის მორები. ნაძვი და ფიჭვი კი სულ სხვა იყო! მაშინ „ცირკულიარკა" (ასე ეძახდნენ მრგვალ ხერხს) თანაბრად ღუღუნებდა და ეს ხმა ბაზის მმართველს აკვნის რწევასავით ამშვიდებდა. თანაც ტკიცინა თუმნიანების ზმანებას იწვევდა.

იმ დღესაც ასეთ ნებიერ თვლემაში იყო გოდერძი, როცა საიდანღაც ჩამოსული ისაკა დანდლიშვილი დაფეთებული — შევარდა მის კაბინეტში და დიდხანს ვეღარ მოითქვა სული.

— რა ჭირი დაგეტაკა, აღარ იტყვი? — უკმაყოფილოდ მიუგდო ბაზის მმართველმა მძიმედ მსუნთქავ მთავარ ბუღალტერს და თავისი დიდრონი, დაუხამხამებელი თვალები ბრაზიანად დააშტერა.

— პირველი მდივანი გამოუცვლიათ, — ხმის კანკალით თქვა ისაკამ და სიტყვა გაუწყდა.

— რომელი პირველი, პირველი ბევრია, ჩვენი რაიკომისა? — მისთვის უჩვეულო სისწრაფით იკითხა ბაზის მმართველმა და სავარძელიდან წამოიწია.

— არა, კაცო, — დაიმანჭა ისაკა, — მთელი საქართველოსი!..

— ვაჰ, — აღმოხდა გოდერძის და ქვედა ყბა ჩამოუვარდა, თვალები გაუფართოვდა, საფეთქლის ძარღვები დაებერა.

— ეს, ეს არის მითხრეს, ... პენსიაზე გაუშვესო, — ამოიკნავლა ისაკამ, სკამი ფეხით მოიწია და ფრთხილად ჩამოჯდა, გეგონება სკამი ფეხმოტეხილი ყოფილიყო და ეშინოდა, არ დაიშალოსო.

— ვაჰ, — კვლავ აღმოხდა გოდერძის და მოღვედილ-მოშვებული სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

— შენ ახლა ნახე, როგორ შეიცვლება ყველაფერი. ამათაც სულ ყველას დაცვლიან, — ისაკამ თავით იქით მიანიშნა, საითკენაც რაიკომის შენობა ეგულებოდა, — სულ მალე ნახავ, რა ამბებიც დატრიალდება, ...ჰო, აფსუს, აფსუს, ცოტა მაინც ეცლიათ ამ... ამ... — აღელვებულმა ბუღალტერმა სიტყვა ვეღარ მონახა და გულიანად გადააფურთხა.

— არ გეუბნებოდი, არ გინდა, მაგდენს ნუ ჩააცეცხლებ-მეთქი და აჰა, წადი ახლა და სდიე კუდში, რასაც ეხლა ევა, — ისაკამ თავი ისევ რაიკომისაკენ გადააქნია, — ჩვენ გაგვიკეთებს, იმასაც ვნახავ; — ღვარძლიანად და ნიშნის მოგებით თქვა მან და ფეხზე წამომხტარმა, ფანჯარაში ყურება დაიწყო.

ეზოდან სერგოს ხავილა ხმა გაისმა:

— მიშა, შე ჩემო ცოდვით სავსევ, რა იქენი, აქეთ მოდექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაუძახე ერთი ე მაგ მუტრუკსა, — ფიქრში წასულივით თქვა გოდერძიმ, — ბღავის დასაკლავი ხარივითა...

— სერგო, მმართველი გეძახის! — გასძახა კარებში მამაჯანოვს ისაკამ და კარი მჭიდროდ მიხურა.

— მოვედი, — ოთახში შემობოტებისთანავე თქვა სერგომ და მაშინვე დააყოლა, — კაცო, რაღა მაშინ მეძახი, როცა ხალხი მესევა, ნახე, რა მუშტარი მელოდება...

— ახლა ვინც დაგესევა, იმასაც ნახავ!— თქვა გოდერძიმ და კეფა მოიფხანა.

— რა მოხდა? — შეშინებული სერგო ხან ერთს აცქერდებოდა თვალებში, ხან მეორეს.

— პირველი მდივანი მოუხსნიათ, — აუხსნა ისაკამ.

— ვინ პირველი? — სწრაფად იკითხა მამაჯანოვმა.

— ვინ და საქართველოს პირველი მდივანი, შე, ბოთე , შენა, — ისაკას ეტყობოდა ბრაზი თანდათან ედებოდა.

— ეგეც ჩვენი დარდი! მოხსნეს და მოხსნან... ჩვენ ვითომ რა? ერთს მოხსნიან, მეორეს დანიშნავენ, სულ აგრე არა ვართ ჩვენი დღე და მოსწრება? — გაგულისებულმა სერგომ ახლო მდგომ სკამს ფეხი წაჰკრა და კედელს მიანარცხა.

გაოცებული ისაკა ხან გოდერძის გადახედავდა, ხან ასე მოულოდნელად გაანჩხლებულ მამაჯანოვს.

— ისე რო ვთქვათ, ეს კაცი მთლად არა ტყუის, — დინჯად დაიწყო გოდერძიმ. — მოხსნეს და ჩვენ ვითომ რაო? ჩვენა, ძმაოსან, პატარა ხალხი ვართ, ჩვენა...

— ეეჰ, აბა თქვენა ყოფილხართ, რაღა, — გაცეცხლდა ისაკა, — სიტუაციას ვერა ხედავთ! რომ ვერა ხედავთ, ეგ არაფერი, მაგრამ, რომ ვერცა გრძნობთ!? იცით, რა მოყვება ახლა ამასა? აი, ასე აირევა ყველაფერი, — და ისაკამ იდაყვებში მოღუნული ხელები ერთიმეორის ირგვლივ დაატრიალა. — ისე გადაგიწურავენ წყალსა, ისე მოგაკეტინებენ საქმესა, ისე შეგიკრავენ ხელფეხსა... ეე, თქვენ რა იცით, მე უკვე შეტყობილი მაქვს, რა დღეც გველის. ჩვენც უნდა დავამრგვალოთ ყველაფერი!..

— ეგრეც ვიცოდი, ღვთის წინაშე ვფიქრობდი ხოლმე, ასეთი ლაღობა დიდხანს არ გაგრძელდება-მეთქი, და აჰანდე, აღსრულდა კიდეცა! ისაკა მართალია: ახლა სხვა დრო მოდის, პირველ ხანებში მაინცა... ჩვენც უნდა დავამრგვალოთ საქმეები. ვნახოთ, დაველოდოთ, ხომ იცით, დრონი მეფობენო, ის დრო ისე იყო, ეს კიდენა, ასე იქნება. მერე კიდენა სხვა იქნება და აგრე ბოლომდინა...

— არაფერიც არ იქნება! — გაცხარდა მამაჯანოვი, — არ გაგიგონიათ მიუჩვეველს ნუ მიაჩვევენ, მიჩვეულს ნუ გადააჩვევო. ხალხი ისე გაუშვეს რომა, მაგისი დაჭერა ახლა არავის აღარ შეუძლიან. ერიჰააა! ჩვენი საქმე ვაჭრობაა და ვაჭრობის გარეშე ვერაფერი სახელმწიფო ვერ გასძლებს. ვერც სოვეტცკი და ვერც კაპიტალისტიჩესკი, ვაჰ, გაიგეთ, ხალხო, გაიგეთ, რაღა!...

— თოოქმ, თოოქმ! — დაუყვავა ისაკამ, — მერე კი, თითქოს ბოლმამ გადმოხეთქაო, მიაყვირა: — შენისთანა მუტრუკის მნახველი თუ ვიყო, აი, ამ მიწამ აქვე ჩამიტანოს... — და გაალმასებული გარეთ გავარდა, თანაც კარები ღონივრად გაიჯახუნა.

— ვაჰ, მე რას მიჯავრდება, მე ხომ არ მომიხსნია ის მამაოხერი, — წყენა ვერ დაფარა სერგომ და წასვლა დააპირა.

— წადი ის შენი ბოტა ბაგრატა გამომიგზავნე, — უხალისოდ ჩაილაპარაკა გოდერძიმ.

ცოტა ხნის შემდეგ მმართველის კაბინეტში ბაგრატა შემობრაგუნდა და არყის სუნით იქაურობა გაავსო.

— წინა ოთახში დაჯექი და ჩემთან არავინ არ შემოუშვა...

— ბიჭოს! მე რომ აქ დავჯდე, იქ ვიღამ მიხედოს?

— შენ, რასაც გეუბნებიან, ისა ჰქენი, თორემა...

— ბატონი ბრძანდები, მე, რასაც მეუბნებიან, იმას ვაკეთებ, მე...

— წადი, წადი, შენი ლაყბობის თავი არა მაქვს...

ბაგრატას გასვლისთანავე, გოდერძი ჩვეულებისამებრ სკამზე ჩაცურდა, ლიპი მაგიდას მიაბჯინა, ფეხგაჭიმული ნებიერად გაიზმორა და ღრმად, ღრმად ჩაფიქრდა...

უყვარდა ზენკლიშვილს თავისი წარსუ-

ლისათვის თვალის გადავლება. მარტო დარჩებოდა თუ არა, ან თვლემა მოეძალებოდა, ანდა აი, ასე, თვალგაშტერებული იჯდა და თავისი ცხოვრების წიგნსა ფურცლავდა...

ახლა თვლემა აღარ შეეძლო, იმ სულძაღლმა ისაკამ ძალზე ააფორიაქა, გუნება აუმღვრია. ამიტომ, გულის დასამშვიდებლად, თავის წარსულს გადასწვდა. იქ, ავი და საძრახისი მისხლისოდენაც არაფერი ეგულებოდა. დარწმუნებული იყო, რომ კარგად განვლო ცხოვრების გზა.

ეგ არის, ახლანდელზე, ამჟამინდელზე ეთანაღრებოდა გული. დრო და დრო ასე ეგონა, თითქოს მეტისმეტად შესტოპა, მეტისმეტად აყვა ამ გველივით ჭკვიანსა და გველივით საშიშ ისაკა დანდლიშვილს. მის სიხარბეს კი საზღვარი არა აქვს, მთელი დედამიწა რომ მიაშაო, იმასაც არ დაგჯერდება, ახლა მზესა და მთვარეს გამოეტირება, იმათი ხელში ჩაგდების წადილი გადარევს. ასეთი ხარბი და გაუმაძღარი, ცხოვრებაში ჯერ არავინ შეხვედროდა გოდერძის.

ეხ, ის საათი დაიქცეს, როცა რაიკომის მდივანმა, იმ ვირეშმაკა ვახტანგ პეტროვიჩმა ისაკა ხელში შეაჩეჩა და თანაშემწედ დაუსვა. ისე, კაცმა რომ თქვას, სულაც ვახტანგ პეტროვიჩის ბრალია ყოველივე, რა მშვიდად, რა აუმღვრევლად გრძნობდა თავს ჯერ იმ პატარა სამხერხაოში, მერე კი აგურის ქარხანაში.

... და სიზმარივით გაქრა დღევანდელი დღე. ხოლო გუშინდელი ისე ცხადად დაუდგა თვალწინ, რომ გოდერძის ვეღარ გაეგო, რომელი მათგანი იყო ცხადი და რომელი ზმანებით მონაბერი...

* * *

გოხაზე, სოფლის განაპირას, პატარა მიწური სახლი გაახსენდა გოდერძის, ბანიანი სახლი ერთი სანათურით, რომელიც ფანჯრის მაგივრობასაც სწევდა და საკვამურისაც. ერთ კედელს ჭრიალა ფარღალალა კარი ჰქონდა შებმული, გვერდით მიდგმულ გომურში გამავალი, სადაც ზამთრობით ძროხა ეყენათ. მეორე კედელში შესასვლელი კარი იყო დატანებული .

ოთხივე ხის კედლები ისეთი შებოლილ-შეჭვარტლული ჩანდა, საგანგებოდ შავად შეღებილი გეგონებოდა. კედლებზე ჭვარტლით შეფენილი უამრავი აბლაბუდა ჩამოწოწოლიკებულიყო. პირველი დანახვისას შავი ჩვრები გეგონებოდა.

პატარა გოდერძი ფეხშიშველა სიარულისას, ტერფს ან თითებს რომ დაისისხლიანებდა, დიდედა სიდონია ამ აბლაბუდებს ჩამოხსნიდა, დააგოზავებდა, იარაზე დაადებდა. მეორე დღეს იარა პირს იკრავდა და სულ მალე საღსალამათი ბიჭი ისევ გოხაზე დაჭენაობდა.

ოჯახში სამნი იყვნენ: დედა — ვარა, მამის დედა — სიდონია და პატარა გოდერძი.

მამა ბუნდად ახსოვს. ომში წაიყვანეს და იქ იაპონელებმა მოკლეს. მაშინ გოდერძი სამი წლისა იყო.

„ათას ცხრაას ხუთში მოკლესო" — იმეორებდა ხოლმე დედა, როცა მამასახლისი ან ვიღაც უცხო მამაკაცები მათ ბნელ მიწურში თავს შემოჰყოფდნენ და რაღაცას იკითხავდნენ.

რომ წამოიზარდა, ლონგინოზა დიაკვანთან დააწყებინეს სიარული. ლონგინოზა დიდად განათლებულ ადამიანად ითვლებოდა სოფელში. იმ მამაცხონებულმა მართლაც ყველაფერი იცოდა, თანაც საოცრად კეთილი, უწყინარი, ტკბილსიტყვა მოხუცი იყო.

კარგა მოზრდილი ჭაბუკი გახლდათ გოდერძი, როცა სოფლის კანცელარიაში გაამწესეს შიკრიკად. მთელი დღეები გაღმა სოფელში დაარბენინებდა ყავისფრად დალუქულ წერილებს.

დიდედას შეეშინდა, ბიჭს სირბილით ტყლიპი არ ჩასწყვიტონო და კანცელარიიდან გამოიყვანა. იმ ავად მოსაგონარი დროის გახსენებაზე გოდერძის კანი ისე ებურძგლება, თითქოს ჯინჭრითა სცემსო.

ახლაც კარგად ახსოვს ნაფიცრალი სოსო მაღალაშვილი, შვინდისფერ ჩოხაში გამოწყობილი მოხდენილი მამაკაცი, იორღა ცხენზე ამხედრებული, ვერცხლის ქილებს ზემოდან გიორგის ჯვარი რომ ჰქონდა განიერ მკერდზე ჩამოკიდებული. სწორედ იგი იყო გაღმა-გამოღმა სოფლების გამგებელი.

კანცელარიაში შემოვიდოდა თუ არა, დასაკლავ ხარივით იწყებდა ბღავილს. ხანაც ისე აღრიალდებოდა, ჭერზე ჩამოკიდებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ლამფა ქანაობას იწყებდა. იმის წნულთალათინიან მათრახისაგან გოდერძის კანჭები ჰქონდა ერთთავად დალილავებული. მართალია, ზემოთ არ შემოურტყამს, მაგრამ იმ წყეულმა ისეთი დამიზნება იცოდა, ორივე კანჭში ერთდროულად გახვედრებდა. თუ შეხტებოდი, ვაი შენი ბრალი, მაშინვე უარეს რტყმევაზე გადავიდოდა და ისე აგაჭრელებდა, ჯდომა აღარ შეგეძლო.

კანცელარიის შემდეგ, სოფლის ყველაზე მდიდარ ოჯახს, გოგიჩაშვილებს დაუყენეს დღიურ მუშად. მას აქეთ რამდენი წელი გავიდა ახლაც ემადლიერება ოჯახის უფროსს, გოგიჩაანთ ედიშერას; შრომაც იმან შეასწავლა, გლეხკაცის ყველა საქმეშიც ჩაახედა, გარჯა და თადარიგიანობაც მანვე შეაყვარა.

დიდად სამართლიანი იყო თეთრწვერა ედიშერა და აკი დაუფასა კიდეც მუყაითობა: გამომუშავებული ფულით ორ დღიურამდე მიწა აყიდინა და იმ დროიდან სოფელს ერთი „ნამდვილი კომლი“ შეემატა, ისეთი კი არა, აქამდე რომ იყვნენ ბოგანო გლეხები. არა, ნამდვილი კომლი, თავის სახნავ-სათესითა. მართალია, ხარ-კამეჩი ჯერ კიდევ არა ყავდათ, მაგრამ მეზობლიანთ შეწევნით, თავის მიწას მაინც დროზე ამუშავებდნენ.

დედამ და დიდედამ ბედის შემობრუნება ირწმუნეს, გოდერძის მხარში ამოუდგნენ, მიწას მამაკაცებივით ეკვეთნენ და მალე ისე წაიყვანეს საქმე, რომ გორაზე ორთვალიანი ფიცრული სახლიც კი წამოჭიმეს, ახალთახალი წნული ჯინით, პატარა საბძლითა და საქათმით. „ზენკლიაანი გომურიდან სინათლეზე ამოვიდნენო“, ამბობდნენ სოფელში, ზოგნი თანაგრძნობით, ზოგნიც ღვარძლიანი ქირქილით.

ამ დროს გოდერძი ცოლსათხოვი ჭაბუკი გახლდათ და არაერთ ქალიშვილს ჰქონდა მასზე გული შევარდნილი.

მართლაც კარგი შესახედავი ყმაწვილი კაცი დადგა ზენკლიაანთ ბიჭი. ზნითა და გარჯით ხომ მთელ სოფელში იყო ქებული. მართალია, ხელმოკლედ ითვლებოდა, მაგრამ ყველაფერი ისევ წინა ჰქონდა. ხელმოკლეობით კი, კარგი ჭაბუკი განა დაიწუნება?

კვირაძლობით, წმინდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოზე ზარების რეკვა შეწყდებოდა თუ არა, კოშკების უბანში, კალოებზე, ტაშფანდურა ჩაღდებოდა. მთვარიან ღამეებში შუაღამემდე ისმოდა გაფიცხებული დოლის ხმა. ზოგჯერ მას სალამური აჰყვებოდა ხოლმე, ხანდახან კი ზურნაც.

თუ განთქმული სამებელი მეზურნეები საკრავებს ააჭყვიტინებდნენ, ეს დიდ მხიარულებას უქადდა ახალგაზრდობას. მაშინ მთელი სამება კოშკების კალოებისაკენ დაიძვრებოდა და ცეკვა-თამაში განსაკუთრებით ხურდებოდა. ასეთ დროს, სოფლის საუკეთესო მოლეკურეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მაგრამ ზენკლიაანთ გოდერძის ვერც ერთი ვერ ჯობნიდა.

კოხტად მორგებული თეთრი ქალამნები, ღაზლის თეთრსავე წინდებში ჩატანებული ამოსხეპილი ქართული შარვალი, მუქლურჯი ფარჩის მოკლე ახალუხი, ყელზე ღილკილოებ შეხსნილი, ისე ხატავდა გრუზათმიან და ახალულვაშაკოკრებულ გოდერძის, რომ ერთხელ მისთვის შემხედვარე, თვალს ველარც მოსწყვეტდი.

მისი გამოჩენა და გოგოების დაბრედა ერთი იყო...

ის რომ მკლავებს გაშლიდა, სავსე ყელს მოიღერებდა, ფეხს მსუბუქად გაუსვამდა და წინ იმნაირად დაიძრებოდა, რომ ბეჭებს ოდნავაც არ შეარხევდა, ერთ კარგ სანახაობად ღირდა.

სიმღერა ხომ ნუღარ იტყვი. გოდერძის მოძახილზე ამბობდნენ, მკვდარს საფლავიდან წამოაყენებსო. მისი „ჩაკრულო“ და „შევკრათ წითელი“, „სუფრული“ და „ჭონა“ — შორზე შორს იყო განთქმული.

ზენკლიაანთ ბიჭის „მეტივური“ ხომ საარაკოდ იყო გამხდარი. მართლაც, გოდერძის სიმღერის ერთხელ გამგონეს, მერე სულ გინდოდა გესმინა და გესმინა სასწაულებრივად ჩაწმახნულ-გამოკვართული ჰანგისათვის. ჭეშმარიტად, რომ მომნუსხავი ძალა ჰქონდა მის ძლიერსა და რაკრაკა ხმას.

სიტყვა-პასუხიც გაზომილ-აწონილი ჰქონდა. ჯერ მოსაუბრეს დიდრონ შუქიან თვალებს დააშტერებდა და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიდგამდა ენას. არც ერთი სიტყვა ისე არ უთქვამს, რომ მოსაუბრისათვის

ეროვნული

თვალებში არ ჩაეხედოს. თუ კაცს თვალებში არ ჩააცქერდებოდა, არც ხმის ამოღება შეეძლო.

და მაინც, განსაკუთრებით მეტი შნო და ლაზათი სწორედ მაშინ ექლეოდა გოდერძის ცეკვასაც, სიმღერასაც, სიტყვა-პასუხსაც, თუ სადმე ახლო-მახლო შავდათუაანთ მალალო ეგულებოდა.

შნოიანი, ფაქიზი, ზრდილი გოგონა იყო შავდათუაანთ მალალო.

რომ გეთქვა მზეთუნახავივით ლამაზიაო, ვერ იტყოდი, მაგრამ ისეთი სანდომიანი სახე ჰქონდა, ისეთი სათნო ღიმილი და წმინდა თვალები, რომ პირველ ნახვისთანავე მოგაჯადოებდა.

ოდნავ ტანსავსე ჩანდა და წაბლისფერი ნაწნავები კოჭებამდე წვდებოდა. ამ ჯანმრთელსა და ღონიერ გოგოს საოცრად თეთრყირმიზა სახე ჰქონდა, რომელზედაც ანთებულ კელაპტრებივით კიაფობდნენ გრძელი წამწამებით დაბინდული ვეებერთელა თაფლა თვალები.

როცა ეს თვალები გოდერძის დააშტერდებოდნენ, ჭაბუკს გონება ენისლებოდა, მისი გული კი ისე იწყებდა ფეთქვას, ლამის საკინძე დაეწყვიტა. შემცბარი გოდერძი მაშინ ხელს შეუგნებლად ყელისკენ გააპარებდა ხოლმე, ათრთოლებული თითებით ღილკილოებს ისინჯავდა, თავისთავად ხომ არ შეიხსნენო...

მაგრამ მალალოს ნახვა აგრე ადვილი როდი იყო! მისი მკაცრი შინაურები ქალს სახლიდან იშვიათად უშვებდნენ და ისე ერთგულად სდარაჯობდნენ, ცუდ-უბრალოდ ვერ დაელაპარაკებოდი.

მალალოს მამა, ნამამასახლისარი კაკოლა, ერთი აჯამი და პირქუში ადამიანი, ყველაზე შეძლებულ გლეხკაცად ითვლებოდა მთელს პირაქეთა მხარეში. მის ზვრებსა და ნაფუზვრებს შორსა ჰქონდა სახელი გავარდნილი.

დიდი სარჩო-საბადებლის პატრონი, წელმაგრობით გაამპარტავნებული კაკოლა ყველას როდი უყადრებდა თავს. ქედმაღალი მოხუცი სალამსაც კი იშვიათად იმეტებდა და თუ თავის თაგვისფერ ყალმუხის ბოხოხს ვისმეს მოუხდიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ დიდ წყალობას უშვებოდა.

კაკოლა შავდათუაშვილს ოთხი [illegible]ნიერი და გრუზათმიანი ვაჟკაცი ყავდა. ისეთი მუშა და ძალღონიერი ბიჭების ოთხეულს მეორეს ვერ მოაგროვებდი მთელს სოფელში.

„მგლიაანთ“ ეძახდნენ შავდათუაშვილების მამაკაცებს სამებლები და მართლაც მგლებსა ჰგავდნენ ეს ოდნავ მწითური, ბრგე ჭაბუკები, ბრიალა თვალებითა და შუბლზე წამოყრილი ქოჩრებით, რომლებზედაც ოთხივეს ერთნაირად გვერდულად ეხურა ჯვარედინად მოსირმული შავი ნაბდის ქუდები.

მწარე ენითა და მაგარზე-მაგარი მუშტით იყვნენ მგლიაანი განთქმული და, ალბათ, ამიტომ, მათ საფიცარ დას, მალალოს, ახლოს ვერავინ ეკარებოდა.

ერთადერთი ჭაბუკი, რომელსაც ტაშფანდურის დროს მალალოს ცეკვაზე გამოპატიჟება შეეძლო, გოდერძი იყო.

არავინ უწყოდა როდის, ან როგორ მოიპოვა ეს უფლება ამ ღარიბმა, ტლუ ბიჭმა, რომელსაც ორი ქვრივი დედაბრის მეტი სახლში არავინ არა ყავდა. ... ვინ იცის, რამდენი მდიდარი ოჯახის შვილი იყო ამით განაწყენებული, მაგრამ რა უნდა ექნათ, ან რა გაეწყობოდა?

როცა გოდერძი მალალოს გამოიპატიჟებდა, ქალის ძმები, მგლიაანთ ოთხი ბოკვერი, უკან გადგებოდა, გულხელს დაიკრეფდა და თავიანთ შუბლზე წამოყრილ ქოჩრებს ქვემოდან წარბშეკვრით შესცქეროდნენ უცნაურად გამხიარულებულ, ვარდივით გადაშლილ ერთადერთ დას, რომელსაც ამ დროს რაღაც სიხარული პირთამდე ავსებდა, აცისკროვნებდა და წრეში მკლავგაშლით დააქროლებდა.

შეშლით კი ხელს არ უშლიდნენ. მოთმინებით ელოდნენ როდის დაამთავრებდა მალალო ცეკვას. მაგრამ ვაი მას, თუ რომელიმე თამამი ბიჭი ამ დროს ცეკვაში ჩაერეოდა და მალალოს გადაბირებას მოისურვებდა. დამთავრდებოდა თუ არა ცეკვა-თამაში, მგლიაანი თამამ ჭაბუკს უკან დაედევნებოდნენ, სადმე ორღობეში მოიმწყვდევდნენ და ისე დაალურჯებდნენ, საწყალი, მთელი ორი კვირა ხალხს ველარ ენახვებოდა.

მალალო ოჯახის თვალი იყო. ხუთ მამაკაცს, — მამასა და ოთხ ძმას ერთი კრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი ჰყავდათ. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ სხვასთან მგლები, მალალოსთან თვითონ იყვნენ კრავებად ქცეულნი. ამ მორცხვ, თაფლათვალება გოგონას ისე ჰყავდა ეს უჯიათი მამაკაცები დამონებულ-მოთვინიერებული, როგორც უნდოდა ისე აპროწიალებდა.

გოდერძი ხედავდა, რომ მალალოს მისკენ მიუწევდა გული.

ალბათ, ამისი ბრალი იყო, რომ ქალის აბეზარა, მოჩხუბარი ძმები მას გამორჩეული სიდინჯით, რაღაც ხაზგასმული გულხალვათობით ხვდებოდნენ და თავდაჭერით ესაუბრებოდნენ.

შავდათუაანთ მხრივ ეს დიდ პატივად უნდა მიჩნეულიყო, რადგან სოფლის ყველაზე შეძლებული ოჯახიშვილებისაგან გოდერძისთანა ღარიბი გლეხისათვის თავის გაყადრება (რომლისნაირებიც კაკოლაანთ ათზე მეტი დაუდიოდათ მოჯამაგირედ), ბევრზე ბევრსა ნიშნავდა.

ეტყობა, ისიც თავნება და კუდრაჭა მალალოს მოწყობილი საქმე იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, დედამისი, ფაშფაშა და მუდამ კეკლუცად მორთულ-მოკაზმული დარეჯანი, ზენკლიაანთა გადავიდა და ხანულობა სთხოვა.

აბა, რა ხანულობა სჭირდებოდა შავდათუაანთ ამპარტავან დიასახლისს, როცა ბარემ ათი მეწველი ძროხა და ამდენივე ფურკამეჩი დაუდიოდა ნახირში და ისიც ერთი საცოდავი ძროხის პატრონთან..

კაკოლაანთ დარეჯანი ზენკლიშვილებმა დიდი პატივით მიიღეს და მეორე დღესვე, მთელი მონაწველი რძე თავიანთ ახალ ხანულებს გაუგზავნეს.

პირველსავე ორშაბათს, ზენკლიაანთ კარმიდამოზე თითქოს მზე გამობრწყინდაო: შავდათუაანთ ქალმა ხანულებს მოზრდილი ქილით რძე გადმოუტანა.

მეორე მოსვლაზე უფრო მეტად დაახანა მათთან ყოფნა.

ხოლო მესამე დღეს კარგა დიდი ლაპარაკი გაუბა გოდერძის დედასა და დიდედას.

ზენკლიაანთ ქვრივებს ვარდი ეფინათ სახეზე. ისინი სიხარულს ვერა ფარავდნენ. მალე ქალთა საუბრებში გოდერძიც ჩაერთო და მალალოს კისკისი კიდევ უფრო ხმამაღალი გახდა.

მაგრამ საოცრებანი ამით როდი დამთავრებულა. ეტყობა, გოდერძი ზენკლიშვილს იღბალმა გაუჭრა და დედა-დიდედის ღმრთისადმი ლოცვამ ბედს აწია...

იმ სამახსოვრო დილის გახსენება განსაკუთრებით უყვარდა გოდერძის.

რაც უფრო მეტად შედიოდა სიჭარმაგეში, მერე კი სიბერეში, მით უფრო ხშირად იგონებდა იმ შემთხვევას, რომელმაც ისე გადააგდო მთელი მისი ცხოვრება ახალ სადინარში, როგორც სარწყავ წყალს უქცევენ ხოლმე პირს და სულ სხვა მხრივ მიუშვებენ...

ზაფხულის დამდეგი იყო...

ერთბაშად დაცხა.

იმ წელს ზენკლიაანთ ხორბალი ადრე გამოუთავდათ და ხან ერთ მეზობელს ესესხებოდნენ, ხან მეორეს. სულის კაწკაწით ელოდნენ როდის გაილეწებოდა ყანები, რომ ახალი მოსავლით გაეხარათ და ვალები გაესტუმრებინათ.

იმ დღეს ზირაქიანთ გაუწოდეს ხელი და დარკვეული ხორბლის მთელი კოდიანი ტომარა ასესხეს.

გახარებულმა გოდერძიმ ვეება ჯვალოს ტომარა მხრებზე წამოიკიდა, დედის ვიშვიშს ყური არათხოვა და წისქვილში ციმციმად ჩაარბენინა.

მეწისქვილეს უკვე დაეყარა ვიღაცის ხორბალი და სანამ ჩამოიფქვევოდა, ჯერის მომლოდინე გოდერძის შავდათუაანთ ბაღისკენ გაუწია გულმა, ეგებ მალალოს მოვკრა სადმე თვალიო.

კაკოლიაანთ ტყრუშულ ღობეს რაც შეიძლება ახლოს დაუყვა და თან ბაღში იხედებოდა.

— ბიჭოუ, — შემოესმა მოულოდნელობისაგან შემკრთალ გოდერძის, — ი, კოდიანი ტომარა რო წამოგეკიდა და მიარბენინებდი, არ გეშინია წელი ჩაგწყდეს, თიაქარი ჩამოგივიდეს? შე, კაი კაცო, გეთქვა და ურემს გათხოვებდი... სულაც ერთმანეთის თხოვნითა და გატანით არა ვართ ამ ქვეყანაზე, შენ რატომ გერცხვინება?

გოდერძი გაშრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალ ტყრუშულ ღობესთან, თვითონ კაკოლა შავდათუაშვილი მომდგარიყო!

უკარება, გოროზი, ამაყი კაკოლა. სოფლის პირველი თავკაცი, რუსეთ-თურქეთის ომში წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოებული ,მდიდარზე — მდიდარი და ავზე — ავი.

გოდერძიმ ერთი სწრაფად ახედა ბერიკაცს და გაოცდა: მუდამ წარბშეკრული, კუშტი კაკოლა, ამჯერად გულღიად იღიმებოდა.

გოდერძიმ არ იცოდა, მართლაც ასე იყო თუ არა ,მაგრამ ისე ეჩვენა, თითქოს, კაკოლას კუნაპეტივით შავი, წვრილი თვალები, შავადვე მორკალულ ბანჯგვლიან წარბებს ქვეშიდან როგორღაც ალერსიანად გამოსცქეროდნენ. თვით მისი შექაღარავებული, ბოლოებაპრეხილი ჯაგარა ულვაშები ახლა ისე მეომრულად არ იყვნენ აფოფრილები, როგორც ყოველთვის. საერთოდ, კაკოლას მარად დაძაგრული ძლიერი სხეული, საჭიდაოდ გამოსული ფალავანივით მუდამ მომშვილდული და ნახტომისათვის გამზადებული, ახლა მოშვებულ-მოღვედილი იყო და მშვიდობის მოყვარულად დამცხრალიყო.

ნამამასახლარს, ვისი იფნის სახრეც არა ერთ გოდერძისთანა ჭაბუკს მოხვედრია, ცალი ხელით ნამყენი ღოღნაშოს ტოტი ჩამოეწია, მეორეთი კი თავისი ბაღის განთქმულ შავ ხილს გოდერძის სთავაზობდა, — აჰანდე, პირი გაისველეო...

უჩვეულო ყურადღებითა და იშვიათი პატივისცემით გაოგნებულმა გოდერძიმ ძლივს გაუწოდა თავისი ძლიერი, დაძარღვული მარჯვენა ძღვენის ჩამოსართმევად.

— ბიჭოუ, ერთი აქეთ მოდექი, შენთანა საქმე მაქვს, — შეუვალად მოსთხოვა ბერიკაცმა გოდერძის, ხელი გაუწოდა და თავის გაქნევით აჩვენა, ღობეზე გადმოდიო. ჭაბუკმა ღობეს შეავლო თვალი, კარი მართლაც შორს იყო მოსავლელად.

— აგრე გადმოდი, ნუ გეშინიან, არც ისეთი მძიმე ხარ, ღობე დამიდრიკო, — იხუმრა კაკოლამ და ჭაბუკს თავისი გრძელი მკლავი შეაშველა. გოდერძიმ იგრძნო, რომ ამ მკლავს ასაკის მიუხედავად ჯერ კიდევ შერჩენოდა ნაქები ღონე.

კაკოლა ბაღის შუაგულისკენ გაუძღვა და დიდი ხნის ჩამოკრეფილი, ხშირად ნაბარტყი ალუბლების ძირას კორდზე ჩამოჯდა.

— აი, აქ დამიჯექი. — თქვა მან და ნწვანედ მოხასხასე ძურწაზე ხელის გული დაჰკრა.

უცხო თვალთაგან ხურტკმელის გაბადრული ბუჩქები ფარავდათ. ეტყობა, კაკოლამ განზრახ ამოირჩია ხეხილის ტოტებქვეშ შეყუჟული ეს კორდი.

— ნეტავი რა უნდა? — გამალებით ფიქრობდა გოდერძი, — ალბათ მეველეობას ან მეხრეობას შემომთავაზებს, დავეთანხმები, რა ურიგო ეგ იქნება? თან საშოვარს ვიშოვი, თანაც მალალოსთან ახლო ვიქნები!..

კაკოლა არა ჩქარობდა, სათქმელს არ იწყებდა. გეგონება ამით თავისი სიტყვისათვის მეტი წონის მიცემა სურდა. ჯერ ჩიბუხი გაწმინდა, მერე სათუთუნე ქისა ამოიღო, პირი დინჯად მოუხსნა და ცერა თითით დიდხანს ბეკნა ჩიბუხში ჩაყრილი რამდენიმე მწიკვი თუთუნი. ამას რომ მორჩა, ჯიბეზე ხელი გაიკრა, ტალკვესი და აბედი მოიძია და ახლა ტალს დაუწყო კვესება, როცა აბედი აბოლდა, ჩიბუხს დაადო და ჩქარ-ჩქარა ბოლებას მოჰყვა, სანამ კარგად არ გააღვივა, ხმა არ ამოიღო.

მისი შემხედვარე გოდერძიც დინჯად იქცეოდა. არ უნდოდა სულსწრაფობა გამოეჩინა. გაუნძრევლად იჯდა, მაგრამ გული ისე უფართხალებდა, ასეთი სწრაფი გულისცემა ჯერ არ ეგრძნო.

— გამიგონე, რა გითხრა. — დაიწყო კაკოლამ და თავისი მკაცრი, სუსხიანი თვალები გოდერძის დააშტერა.

— თუ მოგეწონა, რასაც გეტყვი, კეთილი და პატიოსანი. თუ არ მოგეწონა, ჭკუაში არ დაგიჯდა, მაშინ გულში უნდა ჩაიმარხო, არავის არ უნდა გაანდო. ამ პირობას, ჯვარსაც რომ გაცვან, არ უნდა გადახვიდე. შემისრულებ?

— შეგისრულებ, ამისმა მადლმა... — პირჯვარი გარდაისახა გოდერძიმ.

კაკოლამ, თითქოს არა სჯერაო., დაკვირვებით ჩახედა ჭაბუკს თვალებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნამის სული არ წამიწყდეს, ნათლია კაკოლა...

— ჰო, კარგია, ვიკმაროთ ეგ შენი სიტყვა.

— სიტყვა ჯერ არ გამიტეხია, ნათლი...

— როგორც შეგატყვე, შენა ჩემ გოგოზე უდნა გეჭიროს თვალი, აგრეა, ხომა?

აი, თურმე რატომ ეღიმებოდა ამ არდასაცალებელ კაკოლას! ამის გასაგებად შემოიტყუა ბაღში და ახლა, ალბათ, სახრითააჭრელებს.

გოდერძიმ სწრაფად გადახედა კაკოლას გრძელ მკლავებს. მას ორივე ხელი კვირისტავებზე დაესვენებინა. ერთში ჩიბუხი ეჭირა ,მეორე კი ხელისგულით მუხლზე მშვიდად ჩამოედო. ბერიკაცის მკლავებს არავითარი საზავთო დაძაბულობა არ ემჩნეოდა.

ახლა თვალებში ჩახედა გოდერძიმ და გაოცდა: კაკოლას თვალები უჩვეულოდ ალერსიანად იცქირებოდნენ, ხოლო ტუჩებზე, რაღაც ეშმაკური ღიმილი ღასთამაშებდა.

— ი, გოგოსაცა შენს მეტი არავინ ნდომებია. — ისეთივე აუჩქარებლობით განაგრძო კაკოლამ. — სწორე გითხრა, არც მე მინდა დავაძალო, ერთადერთი ქალი მყავს, ჩემი დღევანდელი სიხარულიც ეგ არის და ხვალინდელი თვალის დამხუჭველიცა. მე, ძმაოსან, ქონებას აღარ ვეძებ, ნეტავი ის მომახმარებინა, რაცა მაქვს. ხოოდა, მომწონხარ, განა არა! ბიჭად ბიჭიც კარგი ხარ და გულითაც ხალვათი ყოფილხარ, მაგრამ შენისთანა ბოგანოსა ქალს ვერ მივცემ. შენც დაიჩაგრები, იმასაც დამიჩაგრავ.

ამის გაგონებაზე გოდერძის ყელში რაღაც მლაშე ბურთი მოაწვა. შეეშინდა, ცრემლები არ წამომცვივდესო და წამწამები ჩქარ-ჩქარა ააფახურა. ერთი სურვილიღა ჰქონდა — მალე გასცლოდა მოსაუბრეს და სადმე გადაკარგულიყო.

— ერთს გეტყვი და გამიგონე: თუ მართლაც გინდა მოგცე, — მიდექ-მოდექი, გაისარჯე, ხელი გაანძრიე, ღონე იხმარე. ქონება იშოვე, მეც დაგეხნარები...

— შენი ჭირიმე, შენი, ნათლია კაკოლა! — ძალაუნებურად აღმოხდა გოდერძის და ხელები მლოცველივით აღაპყრო.

— ჰო, ღმერთმანი, მეც დაგეხმარები და ღონივრადაც დაგეხმარები, განა არა!

— შენი ჭირიმე, ნათლია კაკოლა, მონად გაგიხდები, მონადა!

— იი, მონა რა ეშმაკად მინდა, კაცი მინდა, ვაჟკაცი, რომ სულ ხერხივით გაჰქონდეს და გამოჰქონდეს! უნდა გაფხიანდე, ბიჭო, გამიგეე?..

— კიდეც გავფხიანდები და კიდეც გიერთგულებ, ძიენ გიერთგულებ, მამის სული არ წამიწყდეს, აი, ამისმა მადლმა, — გოდერძიმ ისევ პირჯვარი გადიწერა.

— გამიგონე რა გითხრა. რვა თუმანს მოგცემ სესხათა. როცა გექნება თავნი დამიბრუნე, სარგებელს არ გამოგართმევ.

კაკოლამ ჯიბეზე ხელი გაიკრა და ტკიცინა ასიგნაციები დააძრო. — აჰაანდე, ღმერთმა სახეიროდ მოგახმაროს...

— შენი, ჭირიმე, ნათლი, შენი, მონად გაგიხდები, მონათა!

— იი, კარგი ერთი, და! აკი გითხარ, მონა ჭირსაც წაუღია-მეთქი. მონებად ბევრი მყავანან. მე სხვა მაქვს აზრათა: მინდა რომა კაცი გახდე, კაცი! გაიგონეე?

კაკოლამ საჩვენებელი თითი მაღლა შემართა, ერთხანს ასე იჯდა, მერე იგივე თითი გოდერძის მკერდზე ჯოხივით დაურაკუნა და სახის ახლო მიტანით, თვალებში ღრმა ჩაშტერებით, მძიმედ დააყოლა:

— ე, მაგ ფულითა. გინდა ხარები იყიდე ,მიწას მე გაშოვნინებ სამეოთხედოთა, ბატონებიანთა თავდებად დაგიდგები. გინდა ჩვენებიანთ ნიკასა ვთხოვ, მეტივედ აგიყვანოს. არტელი აქვს შეკრული, ბორჯომიდან მცხეთაში მორებს ეზიდებიან. მაგ ფულითა ფსონში შეგიყვანს და წელში გასწორდები. ახლა, ჩემო ძმაო, ფულის შოვნა ან მიწით შეიძლება, ანდა წყლითა. ვაჭრობითაც შეიძლება, მაგრამა კოჭებში გატყობ, რომ მაგ საქმეში არ ივარგებ. თუ ყისმათმა გაგიჭრა და ივარგე, — კაცობას დაკარგავ, ერთიანად გათაღლითდები. მე კიდევა ასეთ ადამიანსა სიძედ ვერ ვიგულებ. გაიგონე? თუ არ ივარგე — ხომ უარესად დაზარალდები და არც ეგა მწადია შენთვინა.

ის იყო და ის, სულ ზევით-ზევით შეითამაშა გოდერძი ზენკლიშვილმა.

კაკოლამ დანაპირები შეუსრულა. თავის ბიძაშვილთან მეტივედ დააყენა.

მოეწონათ მეტივეებს ჭაბუკის მხარმკლავი, საქმის ერთგულება და დინჯი ზნე. ისე სწრაფად ისწავლა ორთაყვირის ხმარება, ისეთი კარგი თვალი გამოადგა წყლის გამოცნობაში, რომ სულ ზეპირად ისწავლა ბორჯომიდან მცხეთამდე მტკვრის ყოველი მტკაველი. შეუცდომლად იცოდა სად თავთხელი იყო, სად ტრიალა მორევი და სად საშიში ჩქერალი.

წყლის ისეთი გუმანი ჰქონდა, თვით დიდი წყალდიდობის დროსაც არ უფრთხოდა ტივების დაცურებას. მის ვეებერთელა მკლავებს ორთაყვირის ორიოდე მოსმა ყოფნიდა, რომ ტივი რომელი ნაპირისკენაც გინდა, იქით მიეგდოთ.

მტკვარს თავისი ჯადო აქვს. ისე შეგაყვარებს თავს, რომ უმისოდ ველარ გასძლებ.

გოდერძისაც ასე დაემართა: მტკვარი და ტივი სიცოცხლეს ერჩია. ვერც კი წარმოედგინა, როგორ უნდა დასახლებულიყო სოფელში და ბიწა ეჩიჩქნა. თვით მალალოს სახეც კი გაუფერულდა მის წარმოდგენაში...

ბორჯომის ხეობაში, ხან ავალიშვილებისაგან, ხან სუმბათაშვილებისაგან ხე-ტყეს ყიდულობდა და მცხეთა-თბილისში აცურებდა.

ძალიან გაიტაცა ამ საქმემ.

მართალია, ხიფათიანი ხელობა იყო, მაგრამ დიდად სარფიანიც. გარდა ამისა, თავისი მომაჯადოებელი სილამაზეც ჰქონდა. აბა, რა ჯობდა მთვარიან ღამეში, ტივზე დანთებული კოცონის პირად ჯდომას, ტიკჭორიდან ნუნუას სმას, ცვრიანი მწვადის ცეცხლზე შიშხინს და ვარსკვლავებით მოჭედილი ცისკენ ავლენილ გეზრიელ მეტიურს...

ნედლი თევზი ხომ ულევი ჰქონდათ. ტივს ფაცერს გამოაბამდნენ და სანამ ავალიშვილების ტყეებიდან სუმბათაანთ ტაშისკარამდე ჩავიდოდნენ, ფაცერი პირთამდე ივსებოდა მურწათი და ლურჯათი, ციმორითა და ნემსიწვერათი.

ღვინის სმაც აქ ისწავლა და ისეთ ჩვეულებად ექცა, რომ არ დაელია, გუნება უსევდიანდებოდა, გული საგულეს აღარ უდგებოდა. დარდიმანდი მეგობრებიც მეტივეობაში შეიძინა და ასე ეგონა ეს არის და ესა, ჩემი ცხოვრება სულაც ასე ივლისო...

მაგრამ გოდერძი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდა...

ერთ მშვენიერ დღეს, ქარელის სატიოზე, კალმახელიძეებიანთ დუქანთან, წარბშეკრული კაკოლა თავზე წამოადგა და რაღაც ისეთი მწარე სიტყვები უთხრა, როყიო ხმითა და წარბშეკვრით, რომ ერთბაშად მოთვინიერებულ-მომჩვარული გოდერძი ცხრა ოფლში გაიწურა.

და დაიწყო ზენკლიაანთ გოდერძის ახალი ცხოვრება...

მალალოსთან იქორწინა, მის მზითევს თავისი მონაგარიც დაუმატა და მამის ნასახლარზე, მტკვართან ახლოს, პატარა, მაგრამ კოხტა აგურის სახლი წამოჭიმა., განიერი ლურჯი აივნითა და ღრმა სარდაფით.

მტკიცე, დალხენილი ოჯახი ჰქონდათ. სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. ერთმანეთზე ასეთნაირად გადაგებულ ცოლ-ქმარს მეორეს ვერ შეხვდებოდი მთელს სოფელში.

დრო და დრო მოყვარეებიც მოაკითხავდნენ ხოლმე სიძეს და მაშინ, გოდერძის სახლიდან შორს გაისმოდა მისი ჯერ კიდევ ტკბილი, მაგრამ უკვე ხრინწგარეული ხმა. ასეთ წუთებში ზენკლიაანთ ბიჭს თავი ისევ ტივზე ეგონა და ძველებურად ილხენდა.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, სევდა უფრო და უფრო ხშირად იბუდებდა გოდერძის ხალვათ გულში. ამას განსაკუთრებით მაშინ გრძნობდა, როცა სიდედრ-სიმამრი ეწვეოდნენ სტუმრად; მაშინ ფაშფაშა დარეჯანი მალალოს დაიმარტოხელებდა, კაკოლასა და გოდერძის თვალთაგან განარიდებდა და იწყებოდა გაუთავებელი, გულისგამაწვრილებელი გამოკითხვა, რჩევა, წუწუნი, ღმრთის სამდურავი, მიზეზის ძებნა.

ერთი დიდი უბედურება სჭირდათ გოდერძიანთ, შვილი არ უჩნდებოდათ და შავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათუაანთ ვერაფრით ვერ დაედგინათ, ვინ იყო დამნაშავე, მათი თეძოგანიერი ქალი, თუ ვეებერთელა სიძე.

„ნეტავი, მაცოდინა, ჩვენია ბერწი, თუ ის ბიჭია უძალო“ — ეტყოდა ხოლმე დარეჯანი ქმარს და თუმცა იგი ამ შეკითხვას მუდამ დუმილით პასუხობდა, დარეჯანი ნაინც ისე შეუტევდა, გეგონება, კაკოლამ რამე საწინააღმდეგო თქვაო. — „მაშ თუ არ მეცოდინა, როგორ ვუმკურნალოთ?“ — გადაიფოფრებოდა დარეჯანი და ორივე ხელით ქოქოლას მიაყრიდა.

ყოველი ასეთი დაკითხვის შემდეგ მალალო გულამომჯდარი ტიროდა და მეზობლიანთას გარბოდა.

აი, მაშინ გოდერძის სიცოცხლე სძულდა, კაციშვილის ნახვა აღარ უნდოდა, კარს გაიხურავდა, მტკვარზე წავიდოდა, ნაპირნაპირ აუყვებოდა, ბერიკლდესთან, დიდი მორევის პირას, მაღალ ფოტოროზე ჩამოჯდებოდა და თავს მოგონებებს მისცემდა..

თვალწინ ნაცნობი სურათები წამოუცურდებოდნენ: ბორჯომის ხეობის ტყით დაფარული ნთები. ლაჟვარდოვან ცაზე თეთრ ღრუბელთა ქარავანი. რიყის თეთრ ნაპირებში ჩამწყვდეული მომწვანო-მოზურმუხტო მტკვარი, თავისი საოცარი ჭალებით. მტკვრის ზვირთებზე მოქანავე ტივი. ტივზე შუაცეცხლი, ცეცხლზე სამფეხა, სამფეხაზე გამურული თანგირა ქვაბი, ქვაბში ახლადდაჭერილი მურწა და ციმორი...

ვეღარ უძლებდა ამ ჩვენებას ზენკლიაანთ ბიჭი, ერთს დაიზმუვლებდა, გიჟივით წამოვარდებოდა, ტანთ გაიხდიდა და თავდაყირა მტკვარში გადაეშვებოდა. მერე ცურვა-ცურვით დაუყვებოდა და მხოლოდ სადღაც შორს, ურბნისის ბორანთან ამოვიდოდა მტკვრიდან.

მერე ისევ ნაპირ-ნაპირ აუყვებოდა, ნარმის ზორტებშეკრული თეთრი საცვლის ამარა და ისევ თავდაყირა გადადიოდა მტკვარში.

მტკვრის ნელთბილი ტალღა, სიცოცხლისმომგვრელი, სხეულის გამკაჟებელი და სულის შემძვრელი, ისე მოაოხინებდა ხოლმე გულს, ისე დაუწმენდდა გუნებას, ისეთ ნეტარებას აგრძნობინებდა, რომ ყველაფერს ავიწყებდა.

მტკვრის ემბაზით განბანილი ზენკლიაანთ ბიჭი მზად იყო ისევ თავიდან დაეწყო თავისი არც თუ ძალღთუმადური, მაგრამ არც თუ მთლად დალხენილი და სვებედნიერი ცხოვრება...

მაგრამ ასეთი სიამე მხოლოდ უქმე დღეებში თუ ეწეოდა ხოლმე გოდერძის. დანარჩენი დრო სიმამრსა და ცოლისძმებთან ერთად მიწას ებრძოდა: ხნავდა, თესავდა, მკიდა, თიბავდა, ლეწავდა და ასე გაუთავებლად...

თუმცა არავის არ უტყდებოდა, მაგრამ მიწა სძაგდა გოდერძის. სულ იმაზე ოცნებობდა, როდის დაანებებდა თავს მის ჩიჩქნას.

ისევ მტკვრისაკენ უწევდა გული, მტკვარი იყო მისი სანატრიონი. მტკვარი კი ისეთი მაცდურია, ისეთი ჯადო აქვს, ერთხელ თუ დაიმონა კაცის გული, მერე მშვიდობით, ხელს აღარ შეუშვებს, სულ მონად იყოლიებს, მორჩილ ზვარაკად გაიხდის.

და გაუტყდა ერთ დღეს გოდერძი თავის სიმამრს, აღიარა ცოდო: — მიწა მძაგს, გამიშვი, ისევ მტკვარზე წავიდეო.

დინჯად მოისმინა ადამიანთა გულის კარგად მცნობმა კაკოლამ სიძის აღსარება. ეგ იყო მხოლოდ, რომ ულვაშს დაუწყო იმაზე უფრო ღონივრად და სწრაფად გრეხვა, ვიდრე ჩვეულებრივად იცოდა.

მერე თვითონაც გაუტყდა სიძეს: — გამჩნევდი, რა ცეცხლიც გწვავდაო, მაგრამ მტკვარზე ვეღარ გაგიშვებ, ემანდვე მტკვრის პირას, პატარა სახერხს გაგიჩენ, მეგობარი მეტივეები ბლომადა გყავს, მორები აზიდვინე და მანდვე ხერხეო. თან სარფიანი საქმეა, თან იმ შენ მტკვართანაც ახლოს იქნები. თანაც ოჯახს მიხედავო.

ბრძენი კაცი იყო ის ნამაცხონებული.

მაგრამ განა დრო საქმის დამთავრებას დაგაცდის, ან ნებაზე დაგყვება, ანდა წადილს აგასრულებინებს?

ჯერ იყო და, პირველი მსოფლიო ომი ატყდა. მაშინ გოდერძი ცალკე თიაქრისა გამო, ცალკე როგორც ორი მოხუცის მარჩენალი, ჯარში არ წაიყვანეს. მერე იყო და „რევოლუციაო“, დაიძახეს. ამის გაგონებაზე სამებელი თავადაზნაურობა პირწმინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ ქალაქში გაიხვეტა. მერე კი რუსთ-ხელმწიფე გადმოაგდეს და ქვეყანას მეშმ-ვიკები დაეპატრონენ.

აი, მაშინ ხელმეორედ გამოჩნდა სოფელში სოსო მაღალაშვილი.

გამოჩნდა და პირველად გოდერძი მოიკითხა.

როცა გვარდიელებმა ზენკლიაანთ ბიჭი მეშმევიკურ კომისარს მიჰგვარეს, შებრებული მაღალაშვილი გოდერძის ფეხზე წამოუდგა, ხელი ჩამოართვა, ზრდილობიანად მოიკითხა და ტკბილი მასლაათი გაუბა. როცა გაიგო შვილი არა ჰყავდა, დანანებით უთხრა: — აფსუს, რო გყოლოდა, მე მოგინათლავდი და ნათელმირონობით დაგიკავშირდებოდით.

მერე ცალკე გაიხმო და საქართველოს ბედიღბალზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ისე დახატა საქმე, თითქოს მთელი ქვეყნის მომავალი მას აწვა მხრებზე. ბოლოს, როცა კომისარს იმედი მოეცა, ახლა კი ჩემს ნებაზე დავიყოლიებ ამ ბიჭსაო, შეუვალად მოსთხოვა: — შენისთანა მამულიშვილები ჩვენს გვარდიაში უნდა იყონო, და ისე ჩასწერა ჯარში წასაყვანთა სიაში, გოდერძის პასუხს არც კი დალოდებია.

მეშმევიკურ გვარდიაში ჩაწერის ამბავი კაკოლამ რომ გაიგო, სულ დორბლები ჰყარა და ეს დროული, დინჯი კაცი, უჩვეულოდ აფორიაქებული, ბურთივით ახტუნავდა.

— ისინიც ემმაკს წაუღია, ესენიცა, — ყვიროდა დეუმორჩეული კაკოლა, — რაც ის მამაძაღლი მეფის მთავრობა იყო, ესენიც იგივე იქნებიან. ჩვენ გლეხები ვართ, ჩვენი საქმე მიწაა! ნუ გაერევი მაგათ ჩხუბშია, ჭირსაც გაუწყვეტია ერთნიცა და მეორენიც...

მაგრამ უკვე გვიან იყო: გოდერძი ზენკლიშვილი თბილისში წაიყვანეს, საბურთალოს სამხედრო ყაზარმებში შეამწყვდიეს და საარტილერიო საქმეში წვრთნა დაუწყეს. დამმიზნებლის ხელობა რომ შეასწავლეს, ახალციხეში გაამწესეს და თურქთა წინააღმდეგ აომეს. ეტყობა, ღმერთი ფარავდა სანდელ ვაჟკაცს, ვერც ერთმა ტყვიამ ვერ გაკენწლა.

ამ დავი-დარაბაში მოახლოებულმა 1921 წლის თებერვალმა, უკუღმა წასული საქმე წაღმა შეატრიალა და ყველაფერს სახე უცვალა.

მთელი ის საარტილერიო ნაწილი, რომელშიც გოდერძი მსახურობდა, საბჭოთა მთავრობის მხარეზე გადავიდა და გოდერძი ზენკლიშვილი წითელი არმიის მებრძოლი გახდა. თავზე წოწოლიკა „ბუდიონოვკა" დაახურეს, უმცროსი მეთაურობა მისცეს, თბილისში სასწავლებლად გაგზავნა შესთავაზეს.

მაგრამ გოდერძის სოფლისკენ მიუწევდა გული.

იქ მალალო ელოდებოდა.

იქ მტკვარი ეგულებოდა.

იქ გოხაზე ჩაყრილ ხეხილის ბაღს იმ წელიწადს პირველი მოსავალი უნდა მოეცა.

ზაფხულის დამდეგს, როგორც იქნა სოფელში ჩამოაღწია.

დიდხანს იდგა აბიბო ნეკრესელის მაღლობზე და საყვარელ სამებას გადასცქეროდა. თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა, სიხარულის ცრემლი.

შუადღე გადასულიყო. მზის სხივებით მოოქროვილი ქართლის ველი ზურმუხტისფრად ლივლივებდა. ირგვლივ ისეთი სიმწვანე იდგა, გაკაჟებულ გულსაც კი სიხარულით გაალხობდა.

ბექობს გადაღმა, ვერცხლისფერი ქამარივით დაკლაკნილი მტკვარი მიზლაზნებოდა. მდორე და უმოძრაო ჩანდა, გეგონებოდა, ერთ ადგილას დგასო. ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი იყო მქრქალად გაწოლილი. მისი თოვლიანი მწვერვალები აქა-იქ თეთრად ელვარებდნენ. მოპირდაპირე მხარეს კი მშობლიური თრიალეთი გამმულ შავ ტყედ ჩაქუფრებულიყო.

გოდერძიმ თვალი ყინწვისის ხეობას შეავლო, მერე გარაუდით ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია მოსძებნა, თავიანთი სოფლის პირველი სალოცავი, და ვინ იცის მერამდენედ, პირჯვარი გადაისახა,, მადლობა შესწირა საღ-სალამათად სახლში დაბრუნებისათვის..

მალალო ისე ატირდა, გეგონება ქმარი მკვდარი შემოესვენებინოთ.

დარდისა და ბოღმისაგან ჯერაც გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურკვეველ გოდერძის სოფელი გაღატაკებულ-გავერანებული ეჩვენა. საქონელი განახევრებულიყო, ნათესები ნასვენ მიწებად ქცეულიყვნენ, მამაკაცებს რიცხვში ეკლოთ, მოხუცები უფრო მოდრეკილიყვნენ, სოფელში სიღატაკე ჩაბუდებულიყო. დედისა და დიდედის საფლავები ბალახს გადაესწორებინა.

ბევრზე ბევრი ტოლ-სწორი მოისაკლისა მაშინ გოდერძიმ...

მაგრამ რაღაც ახალი სიხარულიც, ახალი სიჯიუტე, ახალი სული, ხალხში გამჯდარი ახალი შეგნება იგრძნო ზენკლიაანთ ბიჭმა!

სოფლის კანცელარიისათვის, რომლის აივანზე ფეხი-ფეხზე გადაგდებით უყვარდა ჯდომა სოსო მაღალაშვილს, ახლა წითელი დროშა მიეკრათ და მზეზე შეხუნებულ ტილოს ქარი აფრიალებდა. კარს ზემოთ, გარდიგარდმო, წითელივე ნარმა იყო გაჭიმული და ზედ დიდრონი თეთრი ასოებით ეწერა: „სამების სასოფლო საბჭო“. კარებზე ლურჯი ქაღალდი გაეკრათ. „კომუჯრედი“, — ამოიკითხა უჩვეულო სიტყვა გოდერძიმ.

კაკოლა დადარდიანებული და მოტეხილი ჩანდა. ზედვე ეტყობოდა, რომ მთავარი ძარღვი ჩასწყვეტოდა.

ბერიკაცმა გოდერძის ხელი თავის გამხდარ მკერდზე მიიდო და ეს ვეება, ბანჯგვლიანი ხელი დიდხანს ჰქონდა მკერდზე მიხუტებული.

ჯერ ორი ვაჟის ომში დაღუპვა მიატირა. დიდხანს ივიშვიშა, თავში ხელი წაიშინა. მერე მის მიერ შეძენილი მიწების ჩამორთმევა და სოფლისათვის გადაცემა ამცნო. როცა წყევლა-კრულვით გული იჯერა, სიძეს გლეხობის გაუკაცურება შესჩივლა. „ამისთანა ავნი და სხვის ქონებაზე მოძალებულნი, ახლა რომ გლეხები გახდნენ, ჯერ არცა მსმენია და არც მინახავსო“.

გოდერძის შეეცოდა მოხუცი. სინანულით დასცქეროდა ნის გაწვრილებულსა და კამეჩის ქედივით დაშაშრულ კისერს. თვალწინ კი ისევ ის ძველი კაკოლა ედგა, — მაღალი, ბეჭგანიერი, წელგაჩართული, მუდამ კუშტი და ამაყი, სოფლის ბიჭბუჭობისათვის რისხვად ქცეული შავდათუაანთ კაკოლა, თავის განუყრელი გიორგის ჯვრით მკერდზე.

ახლა სიმამრს ჯვარი აღარ ეკეთა, მაგრამ მეფისდროინდელი ორდენის ადგილი მკერდზე მაინც აღბეჭდოდა. იქ, სადაც ჯვარი ეკიდა ხოლმე, ლურჯი ახალუხი ისევ მუქ ლურჯად შენახულიყო, ეტყობა ბაფთას გახუნებისაგან დაეცვა. მხრებზე მოკლე ტყაპუჭი მოეგდო, მაგრამ მაინც ძიგძიგობდა, აღარ უთბებოდა ბებერი ძვლები ნირწამხდარ ნამამასახლისარს.

შეშინებული, გულჯავრიანი, იმედდაკარგული ჩანდა მოხუცი.

სიძე მაშინვე ვენახში წაიყვანა, რათა შინაურების დადარაჯებულ მზერას გასცლოდნენ და ერთბაშად გადაუხსნა გული. ალბათ, აქამდე ვერავის გაანდო ხვაშიადი, სათქმელი კი ბლომად დაჰგროვებოდა. წლობით დაგუბებულმა ვარამმა ერთბაშად გადმოხეთქა.

— ხედაავ, — საჩვენებელი თითის ჩვეული შემართვით დაიწყო კაკოლამ, როცა ვენახში განმარტოვდნენ, — წმინდა წიგნები თურმე არა სტყუოდნენ. განოგიტყდები, აქამდინა თუმცა ვკითხულობდი, მაგრამ არა მჯეროდა მათი. ახლა კი ძალიან ჩავუღრმავდი. ჩავუღრმავდი და რასაც ვხედავდი, ორი იმდენი დავინახე... ესა, ჩემო შვილო და ძმაო, ნამდვილი მეორედ მოსვლაა! გაიგონე კაცო, ნამდვილი მეორედ მოსვლაა. აბა, მაშ სად გაგონილა, რონა ჩემი მონაგარი შენა ადგე და სხვას უწილადო. მხოლოდ იმიტომ, უწილადო, რომა ისა — უქონელიაო! უქონელი თუა, რა ჩემი ბრალია? მე ხომ არ გამიხდია უქონელი, განა მე წავართვი, მე მოვპარე რამე?... უქონელი იმიტომ არის, რომ — უხეიროა, უტვინოა, უძალოა, ზარმაცია, დონდლოა და სულ სხვისაზე უჭირავს თვალი. თავისით არაფერი შეუძლიან. ახლა ეს მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ამისთანა კაცსა ნე რად უნდა ვუწილადო, რათა?...

— აი, გაღმა მიწები ხომ ჩამომართვეს და ჩამომართვეს, ის როინაანთ ნაფუზარიც ჩამომაჭრეს, ხეხილის დიდი ბაღიც წაიღეს, ეს ვენახიც გამინახევრეს, ოთხი ყევარი ხარკამეჩი წამართვეს, ორი ცხენი

ჯარში გაიწვიეს და კიდევ არ მასვენებენ, კაცოო, კიდევა!... გაგონილა ასეთი საქმე?!..

გვიან დაბინდებამდე ქაქანებდა, გულს ასკდებოდა, ილანძღებოდა, იწყევლებოდა კაკოლა.

მთელი თავისი სატკივარი თქვა და ყოველივე, რაც არ მოწონდა (მას კი აღარა ფერი აღარ მოსწონდა), ყველაფერი გაკილა, დაშხამა, გაატრიზავა, დასწყევლა, ყველაფერი ყირაზე დააყენა.

ბოლოს, ისევ გოდერძის საქმეებს დაუბრუნდა.

— გაიგონე, რა გითხრა, — გაიძახოდა საჩვენებელი თითის მაღლა შემართვით კაკოლა და სიძეს თვალებში აშტერდებოდა, გულისყურით მისმენს თუ არაო, — შენა მაგათ არ გაეკარო, არ გაერიო! ვითომ ეგენი შესძლებენ ახალი ქვეყნის აშენებას, რო გაჰყვირიან ავაშენებთო?, ისემც რა ვუთხარი მე მაგათ. მაგათა, ძმარსან, მხოლოდ სხვებისათვის წართმევა შეუძლიათ, თავისით ვერც ვერაფერს ააშენებენ, ვერც ვერაფერს დაამკვიდრებენ. ახლა, — არწმუნებდა ნამამასახლისარი გოდერძის,— ჩრდილში ყოფნა უჯობს კაცსა. შენც ასე მოიქეცი, ათასიც რომ გთხოვონ და მიგიწვიონ, ნაგათ საქმეში ნუ გაერევი, შენთვის იყავი, მიწას მიხედე, მიწაა ჩვენი მარჩენალი.

როცა სიძეს ყოყმანი შეატყო, უკანასკნელი ფანდი იხმარა:

— ჯარში გაწვევამდე რომ გირჩევდი, სახერხო დაიდგი მტკვრის პირასა-მეთქი, ახლა სწორედ მაგის დრო მოვიდა. ფულით შეგეშველები და სხვა შენ იცი... — შენაო, — ენად გაიკრიფა კაკოლა, — როგორც წითელ ჯარში ნამსახურს, უარს ვერ გეტყვიან, თხოვნა შეიტანე და აქეთ დაგეხმარებიანო. სოფელი უნდა გაშენდეს და ხე ტყე მისთვის სწორედ რომ ცხონება იქნებაო.

მაგრამ წარმო სიმამრი როდი ცდილობდა გზაჯვარედინზე მდგარი გოდერძის გადაბირებას. მისი ტოლსწორები კიდევ უფრო მეტი ძალით ეწეოდნენ თავისკენ...

ვინ იცის, რამდენჯერ მიადგა ხან უთენია დილით, ხანაც გვიან დაბინდებულზე შენკლიაანთ პატარა სახლს სოფლის კომუჯრედის მდივანი, სესკელაანთ იასონი.

ხან დაყვავებით, ხან ჯიქური შეტევით, ხან დინჯად, ხანაც ხმაწევით უმტკიცებდა იგი უცნაურად გაყურჩებულ გოდერძის, რომ ახალი დრო, ახალი მიზნები, ახალი გარდაქმნები მის პირად გარდაქმნასაც მოითხოვდნენ, რომ იგი, შრომელი გლეხობიდან გამოსული კაცი, ისევე ნშრომელ გლეხობასთან უნდა ყოფილიყო, მისი ცხოვრებით ეცხოვრა, მისი სურვილების სამსახურში ჩამდგარიყო...

და განა მარტო იასონი? მისი ძველი მეგობრები, ამჟამად უკვე კომკავშირელები, ხომ მოსვენებას არ აძლევდნენ; გზადაზნეულს ეძახდნენ, საჯაროდ კიცხავდნენ და მთელ თავიანთ მჭევრმეტყველებას ხმარობდნენ, რათა ჯიუტი თანატოლელი როგორმე ჭეშმარიტების გზაზე შეეყენებინათ.

მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა.

გოდერძის ვერც ხმა ამოაღებინეს, ვერც გადაწყვეტილება შეაცვლევინეს.

ერთნაირად იქნევდა თავს და ერთნაირ სიტყვებს დაჟინებულივით იმეორებდა: ეგა ყველაფერი აგრეა, მაგრამა მე ჩემთვის მინდა ვიყო...

ბოლოს მოსწყინდათ მისი დარწმუნება, თავი მიანებეს და გამოუსწორებელ „ერთპიროვნულ მეურნედ" მონათლეს. ეტყობა, სიმამრს, მართლაც, ღრმად ჩაენერგა თავისი რწმენა ერთადერთი სიძისათვის.

გავიდა ცოტა ხანიც და ყოველივე ისე მოხდა, როგორც კაკოლა ურჩევდა: სამების რკინიგზის სადგურთან, სოფელს ორიოდე კილომეტრით რომ იყო დაშორებული, მტკვარი გეზს იცვლიდა და მისი დინების სწორედ ამ მოსახვევზე პატარა ყურესა ქმნიდა.

აი, ზედ ამ ყურეს ძირში, კაკოლას დახმარებით, გოდერძიმ მოზრდილი ფარდული წამოჭიმა. ოთხი მუშა თვიურად იქირავა ,რამდენიმე ტივი შეისყიდა, ჯაჭვებჩაბმული მსხვილი მორები კამეჩებს ფარდულთან მიათრევინა, სამებელ ვაჭარ ცაკუნას გორიდან ორი დიდი ბირდაბირი ჩამოატანინა და მორების დახერხვას შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკოლას ვარაუდი მართალი გამოდგა; ვინ იცის საიდან არ მოაწყდა ფარდულს მუშტარი, საიდან არ დაიწყო დენა დახერხილი მასალის შესასყიდად დაძრულმა და ხე-ტყეს დახარბებულმა გლეხკაცობამ.

„თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდანაც მოვაო“ — იმეორებდა გახალისებული კაკოლა და ყოველი არშინი ფიცრის ასავალ-დასავალს წვრილად იწერდა ნიკოლოზისდროინდელ გრძელ დავთარში.

სწორედ ამ დროს დალოცვილმა „ნეპმაც“ მოუსწროთ და კაკოლას შავად შესუდრულ გონებას იმედის სხივი გამოუბრწყინდა.

გოდერძის სამხერხაოს საქმეები სულ უფრო და უფრო უკეთ წავიდა. ეს პატარა, შეუმჩნეველი ფარდული ისეთ ნოგებას იძლეოდა, რომ შემოსავლის ყოველ დაანგარიშებაზე კაკოლას გაკვირვებისაგან თვალები უფართოვდებოდა და მრავლისმნახველი ბერიკაცი გაოცებას ვერა მალავდა:

— დიდება შენდა, ღმერთო, რა ყოფილა ეს ოხერი, ყოველ მანეთზე ორ მანეთ მოგებას იძლევა!

— ნეტავი ადრე მოგვეკიდა ამისათვის ხელი. ან რა ეშმაკად ჩავაკალი ჩემი ჯანი იმ უმადურ ხვნა-თესვას, განა ეს არ გვეჯობდა შენცა და მეცა? — ეკითხებოდა კაკოლა სამხერხაოს ქებით ნასიამოვნებ სიძეს.

სიმამრის ხალისი გოდერძისაც გადაედო. როცა მუშები მორის ხარიხაზე შეცურებას დაიწყებდნენ, გოდერძი მორს ქვევიდან შეუდგებოდა, დაიძაგრებოდა და ისე ადვილად შეუდგამდა თავსა, რომ იქ მყოფნი ერთმანეთს გაოცებით გადახედავდნენ ხოლმე. მართლაც საკვირველი ძალის პატრონი იყო ზენკლიაანთ ბიჭი.

გოდერძი რომ მუშაობის ეშხზე დადგებოდა, ლურჯი სატინის მაღალსაყელოიან ხალათს გაიძრობდა, ჯარიდან გამოყოლილ საკერებლებიან გალიფე-შარვალს ჩაიცვამდა, ფეხით დაიხდიდა და მორზე გავიდოდა. მერე ხელისგულებზე ხმამაღლა დაიფურთხებდა, ერთს ომახიანად შესძახებდა: „ახლას ნახლასო“, ბირდაბირის ტარს ჩააფრინდებოდა და შავი ლარით გახაზულ მორს თავიდან ბოლომდე ისე ჩახერხავდა, სანამ ორ ნახევრად არ [illegible] აშორიშორებდა, არც ხიდან ჩამოვიდოდა, არც სულს მოითქვამდა.

იმ დროის განმავლობაში, როცა მორზე შემდგარი გოდერძი ხერხს გაშმაგებით ჩაფრენოდა, ქვემოური მუშა, ქვეშ რომ იდგა და ბირდაბირს ზემოდან ქვევითკენ ეწეოდა, რაც გაცილებით ადვილი იყო, ბარემ ორ-ორჯერ გამოიცვლებოდა ხოლმე. გოდერძი მათ ანოსუნთქვასაც არ აცდიდა, — „მიდიიი, მამყეეე“, — დაჰყვიროდა იგი მუშებს და, რა მეტი ჩარა იყო, ისინიც „მიჰყვებოდნენ“, თუმცა ოფლი ხვითქად გადასდიოდათ, თან საბერველებივით ქშენდნენ.

ჭამა-სმასა და მუშაობაში, მართლაც, უძლები გახლდათ ზენკლიაანთ ბიჭი. არც სათოხარში, არც მკასა და თიბვაში, არც კალოზე მუშაობაში და არც ძნის დადებაში მთელ სოფელში ბადალი არა ჰყავდა.

სამაგიეროდ, ჭამაც მადიანი იცოდა. მადიანობა ნაადრი ბავშვობიდანვე დაჰყვა. დედამისი ყვითლად მოჭიქურებულ ვეებერთელა ჯამს ნაწვნის ან დოს შეჭამანდით რომ გაულიცლიცებდა, გოდერძი შიგ პურის წვრილად ჩაფშვნას დაიწყებდა. მეტად ნელი, აუჩქარებელი ფშვნა იცოდა. მისიანები სადილობას დაამთავრებდნენ, ის კი ისევ იჯდა და ფშვნიდა. მერე დააცდიდა, სანამ შეჭამანდში ჩაფშვნილი პური ჩაბუჟბუჟდებოდა. ფაშარიც რომ არა ყოფილიყო და თონიდან ახლადამოღებული მიეცათ, მაინც ასე იქცეოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დააცხრებოდა და, იცოცხლე, ისე შეუტევდა, მთელ ჯამს თვალისდახამხამებაზე ამოსვლეპდა. პირველ ჯამს რომ მორჩებოდა, ისევ დაასხმევინებდა, ისევ ჩაფშვნიდა პურს და ასეთნაირად ბარემ სამ ჯამს ამოათავებდა.

სმა ხომ საოცარი იცოდა, პირდაპირ უთრობი იყო. გაუთავებლად შეეძლო სუფრაზე ჯდომა. მისი დამჯაბნი, მთელ ქართლში კაცი არ მოიძებნებოდა. საღამოს რომ დამჯდარიყო, დილამდე ისე მოილხენდა და იქეიფებდა, ფეხზე არ წამოდგებოდა. დილით კი წელამდე ვაშიშვლდებოდა, ცივი წყლით იბანებდა და ისევ სა-

ხერხში გასწევდა, ნასვამობისა აღარაფერი ემჩნეოდა.

შრომაშიც ასეთი გაუმაძღარი იყო: თუ მორების ხერხვას დაიწყებდა, ისე თავს არ დაანებებდა, რომ ოთხი ვეება მორი მაინც არ ჩაეხერხა ფიცრებად თუ კოჭებად. კომბოსტოს თოხნას თუ დაიწყებდა, სანამ ერთ დიდ ყანთარს არ მორჩებოდა, არ ჩამუხლებდა. თუ თიბვაში იყო, რამდენიმე განიერი სვე აუცილებლად უნდა გაეტანა. თუ გუთნიდედა იყო, დღიურს იმ დროში ხნავდა, რაშიც სხვანი ნახევარდღიურსაც ვერ ასდიოდნენ.

მაგრამ სხვა სამუშაოს იშვიათად მისდევდა. ერთთავად სამხერხაოში იყო. მორების ხერხვას რომ მორჩებოდა, რკინის სავარცხელს ამოიღებდა, ქოჩორს გადაივარცხნიდა და მტკვრისკენ საბანაოდ გასწევდა, თან მხერხავ ბიჭებს ვითომ სხვათაშორის მიუგდებდა:

— აი, ასე უნდა ხერხოთ, თქვე წვინტლიანებო, თქვენა!

ბიჭები კი მუდამ ერთნაირად პასუხობდნენ: — ჩვენც რომ შენისთანა ჯანი გვქონდეს, ერიჰაა, სულაც ერთ დღეში დავხერხავდით ამოტელა ხე-ტყესა". იცოდნენ, სიამოვნებდა ეს სიტყვები მათ „უფროსს".

ერთ მშვენიერ დღეს, გოდერძის საწყობში მაზუთზე მომუშავე დიზელი გაჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ, ვიღაც გერმანელმა ოსტატებმა მანამდე უნახავი მრგვალი ხერხიც ჩამოიტანეს სამებაში. სულ მალე, ამ ხერხის წივილი სამების ყველაზე შორეულ უბანსაც მისწვდა.

მანქანა კაცივით ქშენდა, თუხთუხებდა, ისეთნაირად ხმაურობდა, გეგონება, რკინის ზოდებს ერთმანეთზე ახლიხო და ისე სწრაფად ატრიალებდა დიდრონ კბილებიან რკინის ხერხს, რომ თვით ხერხი აღარა ჩანდა!

სივრცეში მოლივლივე ჰაერისნაირად რაღაც ტრიალებდა, უჩინრად ბზრიალებდა და ისე ფატრავდა უზარმაზარ მორებს, როგორც გალესილი დანა ციმორის გულმუცელს. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ გაალმასებულ, საშინელი სისწრაფით ბრუნვაზ ხერხს რაიმე სულიერი შეჰკარებოდა. ისე გაკვეთდა და აჰკეპდა, კაცი თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებდა.

ერთხელ, როცა მუშები საქმით იყვნენ გართული, ფარდულში, სადაც ის წყეული ხერხი იდგა, სადგურის უფროსის თხა შესულა (სადგურის უფროსი სამეგრელოდან ჩამოსული კაცი იყო და ძროხის რძეს თხის რძეს რჩეობდა). თხას არ მოსწონებია მობზრიალე ხერხი, ჯერ უცქერია, მერე გაქანებულა, რქები დაუჯახებია და... თავიდან კისრამდე ორად გაფატრული იქვე უსულოდ დაცემულა. ერთი რქა და მკერდამდე ჩაჭრილი თავ-კისერის ნახევარი აქეთ ეგდო, მეორე, — იქით.

გაწიწმატებული სადგურის უფროსი გოდერძის სამხერხაოზე მიჭრილა, ერთი დავიდარაბა აუტეხია და იქამდე უყვირუდავია, სანამ თხის ფასი მისთვის ჯიბეში არ ჩაუდიათ. ის იყო და ის, ალმასფრთიანი ხერხი სამივე მხრივ ახალდაწნული ლასტებით შემოღობეს და ახლოს აღარავის აკარებდნენ.

ვინ იცის, საიდან არ მოდიოდა ხალხი ამ „მრგვალი ხერხის" სანახავად. საათობით იდგნენ თვალებდაჭყეტილი სამეგრელები თუ კეხიჯვრელები, ხევდურელნი თუ ლეთეთელნი, წრომელნი თუ გომელნი, სადოლაშენელნი თუ რუისელნი და დიდიანპატარიანად უცნაურ ხერხს შესცქეროდნენ.

ამ დროს მანქანას გაბმული რაკა-რუკი გაუდიოდა ,განუწყვეტლივ ქშენდა ,ხერხი კი წიოდა ხან ყურისწამღებად წვრილად, ხანაც გაბმულად და ბოხად. ამ ხერხსაც „გოდერძის ხერხი" შეარქვეს და სხვაფრივ აღარ იხსენიებდნენ.

სახერხს აუარებელი ხალხი ესეოდა. ვისაც ახლომახლო სოფლებში სუფთად დაჭრილი ფიცარი ან სალამფე უნდოდა, ტყეში მოჭრილ ხეს ტოტებს დაასხეპდა, მსხვილ თავში ნახვრეტს ჩაუკაფავდა, შიგ ჯაჭვს ჩაუტარებდა და ამ ჯაჭვჩაბმულ მორს, ან ერთ უღელა, ანდა ყევარი ხარკამეჩით „გოდერძის სამხერხაოზე" მიათრიალებდა.

ბოროტი ენები ამბობდნენ, იმდენ ფულს შოულობს სიძე-სიმამრი თავიანთ სამხერხაოში, რომ მოიწადინონ სასახლეს წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიმავენ და გზას ჭიშკრიდან კიბეებამდე სულ სპარსული ხალებით მოჰფენენო.

შემოსავალი, ჩანდა, მართლაც დიდი ჰქონდათ, რადგან გულჩათხრობილი კაკოლა, რომელსაც გარეგნულად ძნელად თუ რასმე შეამჩნევდი, ამჯერად კმაყოფილებას ვერა მალავდა.

მხოლოდ დარეჯანმა იცოდა ქმრის საიდუმლო: ძველი სადღვებელი, მარნის ბნელ კუთხეში რომ ჰქონდათ ჩამოკიდებული, კაკოლამ სულ ტკიცინა „ჩერვონცებით“ გაავსო. ხერხიანად იქცეოდა ბერიკაცი: თვითონ გოდერძისთან მუშაობდა, მისი ორი შვილი კი კვლავ მიწას ამუშავებდა.

ისევ ძველებურად მოღონივრდნენ შავდათუაანი.

საქონელიც გაიმრავლეს, სახნავ-სათესსაც, ზვარსაც წაუმატეს და სათივე ადგილებიც შემოიმტკიცეს... კაკოლას ოჯახი კვლავ დოვლათით აივსო...

მაგრამ ტყუილად კი არ უყვარდა გოდერძის სიმამრის წამხედურობით ნასწავლი ანდაზის თქმა, — „დრონი მეფობენ და. არა კაცნიო“, არც კაკოლას დასცალდა დიდხანს მეფობა: სოფელში ხმა დაირხა „ნეპი“ დამთავრდა და ყველანი კოლექტივში უნდა შევიდეთო.

სოფლსაბჭოსა და კომუჯრედს ხალხი ჯგროთ მოაწყდა და ძველი კანცელარიის ფანჯრებში სინათლე გვიან ღამემდე აღარა ქრებოდა.

მალე სამებაში თბილისელი მუშა-ზეინკალი, ვარდენ ბიბილური გამოჩნდა. რაიონის ცენტრმა იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მოავლინა.

ვარდენზე ამბობდნენ „ოცდახუთიათასელიაო“, მაგრამ რას ნიშნავდა ეს „ათასელი“ ხეირიანად არვინ უწყოდა. სოფლსაბჭოს თავმჯდომარედაც ახალი კაცი გამოგზავნეს, გალშა სოფლელი, ვანო კამკამიძე.

არ გასულა დიდი დრო და, სოფლის სხვა ბობოლებთან ერთად, შავდათუაანიც განაკულაკეს.

ვერ უშველა კაკოლას სიძის სახერხმა.

უძრავ-მოძრავი ქონება პირწმინდად ჩამოართვეს, ცარიელზე დასვეს.

კაკოლას ორივე შვილი, სოფრომი და ყარამანიც, კულაკებად გამოაცხადეს, სოფლიდან აჰყარეს და მამასთან ერთად, სადღაც შორეულ მხარეში გადაასახლეს.

ფაშფაშა დარეჯანმა ვერ გაუძლო ოჯახის იავარყოფას და ელდით გარდაიცვალა.

ჯანგატეხილმა კაკოლამ კი მგზავრობა ვერ აიტანა და გზაში მოკვდა.

სოფელში ამბავი მოვიდა, ციმბირის რომელიღაც პატარა სადგურში ჩაასვენეს ვაგონიდან ნანამასახლისარის ცხედარი და იქვე, რკინიგზის ახლოს მიაბარეს მიწასო, უკუბოოდ დამარხეს, ზეწარში გახვეულიო.

— უპატრონოდ, დაუტირებლად ჩაფლეს ის საცოდავი ისა! — მოთქვამდა მალალო.

გოდერძის სახლკარსა და ქონებას მართალია ხელი არ ახლეს, მაგრამ სახერხი მაინც ჩამოართვეს, სახელმწიფო წარმოებად გამოაცხადეს. და რადგან ხერხისა და მანქანისა მის გარდა სხვას არაფერი გაეგებოდა, საწარმოს გამგედ ისევ გოდერძი დანიშნეს და ჯამაგირი დაუწესეს.

გოდერძი თვითონაც არ მოელოდა, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მასა და მის სიმამრს გადახდა, იგი ასე ბედნიერად იგრძნობდა თავს.

შრომას უმატა. გახალისდა. კრებებს აღარ აცდენდა. წარმოიდგინეთ, მის თამადობასაც ძველებური ჯავარი მიეცა და ნახევრადმივიწყებულ სიმღერებსაც კი უწინდებური ეშხით მღეროდა.

— რა გიხარია, შე უბედურო შენა, ან რა გემღერება, ცოტა მაინც მოიცადე, ჩემი მშობლების გლოვის ყავლი გავიდეს,— ანამუსებდა თვალცრემლიანი მალალო.

სოფელი კი არათუ თვეობით, დღეობითა და საათობით იცვლებოდა.

გავიდა რამდენიმე წელიც და სამება რაიონულ ცენტრად აქციეს. თუ აქამდე სამებელებს გორში უხდებოდათ ჩასვლა, ახლა ადგილობრივი მთავრობა იქვე დამკვიდრდა და გოდერძის თანასოფლელებმა ყელი ამაყად მოიღერეს, — რაიცენტრი გავხდითო.

ბატონებიანთ სახლში აღმასკომი დაბი-

ნავდა. სამებელი მკვიდრის, ყოფილი გენერლის სახლში — რაიკომი. შავდათუაანთ სახლი რაიკავშირმა დაიჭირა, განკულაკებული გოგიჩაშვილების კარმიდამოზე „ზაგოტზერნო“ მოთავსდა.

იბარტყეს და იბარტყეს სხვადასხვა დაწესებულებებმა: ეს კოოპერაციული მაღაზიაო, ეს ლიმონათის ქარხანაო, ეს „ემტეესიო“, ეს სასამართლო და პროკურატურაო, ეს მილიცია და რაიმიწგანიო.

ძველთ ახალი შენობებიც წაემატა: ორსართულიანი კლუბი, სასოფლო ბიბლიოთეკა, ახალი სკოლა, საბავშვო ბაღი, დიდი საავადმყოფო და იცვალა ფერი სამებამ, სამუდამოდ დაკარგა თავისი მყუდროებაც და თავისი სოფლური იერიც. აღარც სოფელი იყო, არც ქალაქი.

ცხოვრება კი ისე აჩანჩქერდა, მხოლოდ იმაზე უნდა გეზრუნა, დაოთხილ ჭენებაში არ ჩამორჩენოდი...

გოდერძიც სწორედ ამას ცდილობდა. მთელ დღეს სახერხეში ატანებდა. მხოლოდ გვიან დაბინდებულზე შემოაჭრიალებდა ხოლმე სახლის კარს და ეს ამოდენა დევკაცი მოცელილივით დაეგდებოდა ლოგინზე. დაღლისაგან ზოგჯერ ვახშმობის თავიც არა ჰქონდა.

— რაზე იკლამ, კაცო თავსა? მართალია, შვილი და ძირი ჩვენ არა გვყავს, მაგრამა მე მაინც არ გეცოდები? სულ გამოვყრუვდი მარტოობითა... რა ჩინ-მენდლებს ეგენი შენ დაგკიდებენ, ესე ულმერთოდ რომ იქანცები, აგერ რომ იდგამ წელებზე ფეხსა. გგონია დაგიფასებენ? ეგენი ისეთი უმადურები არიან, თავიც რო გადააგო, არაფერს დაგიმახსოვრებენ! — ვიშვიშებდა მალალო.

გოდერძი თვალნათლივ ხედავდა, როგორ გამოიცვალა მისი ერთ დროს სილამაზით ქებული ცოლი. არა, ახლაც ლამაზი იყო, ძალიანაც გამოსარჩევი, მაგრამ ის ძველი მალალო აღარ იყო...

„უმადურებმა“ ბოლოს მაინც დაუფასეს გარჯა ზენკლიაანთ ბიჭს: დამკვრელად გამოაცხადეს, საპატიო დაფაზე მისი სურათი გააკრეს და სამების „ემტეესის“ გაზეთში, „წითელ სამებაში“ მის შესახებ მთელი წერილი გაამანშალეს.

ის ფულიც კი, რომელსაც კაკოლა საოცარი სიზუსტით ანგარიშობდა და დადგენილ წილს უკლებლივ აბარებდა, ამ ზომამდე არ გაახარებდა გოდერძის, როგორც ეს უფულო პატივი...

სოფელში თავაწეული დადიოდა და ყველამ იცოდა, რომ მთავრობა მას კეთილი თვალით უყურებდა. სახელიც კარგი დაუვარდა, „პატიოსანი კაციაო“ — ამბობდნენ მასზე.

გოდერძის სახერხი კი განუწყვეტლივ მუშაობდა.

ერთი ხერხი რომ გაცვდებოდა, მეორეს დაუყენებდნენ. თუ მრგვალ ხერხს კბილები დაუბლაგვდებოდა, გოდერძი მაშინვე მიუჯდებოდა, თავისი განუყრელი ქლიბით ხელში, და ისე დაულესდა, ისე გაუსწორებდა, რომ ახალ გაჩალხულზე სულ აფთარივით გლეჯდა ნუხის ვეებერთელა მორებს.

მოულოდნელად რაისაბჭოს თავმჯდომარემ, პეტა ცხოვრებოვმა, გამოუძახა.

გუნება ეცვალა გოდერძის.

შიშმა დარია ხელი.

მთელ თავის სიცოცხლეში არც რაიაღმასკომის, არც რაიკომის ზღურბლზე ფეხი არ გადაუბიჯებია, ახლა კი პირდაპირ თავმჯდომარე იხმობდა.

— თუ ძველი ცოდვები მომკითხა, — ფიქრობდა გზად მიმავალი გოდერძი, — მაინცა და მაინც, რა უნდა მომკითხოს? სახერხი მქონდა და ჩავაბარე, მამულები მე არ მაბადია და სახლები მე არ მიდგას. მაშ, რაღა ეშმაკი უნდათ? შავ რაზმში მე არ მიბრძოლია და შავ სიაში მე არ ვწერებულვარ! თუ იმას მეტყვიან კულაკის ქალი რატომ შეირთეო, შევირთე და რა ვქნა, განა რა, ცუდი ქალია? თუ იმას მეტყვიან, შენა და შენმა სიმამრმა ფული რომ დააგროვეთ, რა უყავითო, აბა, მე რა შუაში ვარ, ფული, კაკოლას ებარა და დღემდე არ ვიცი, უპოვეს, როცა გაჩხრიკეს, და წაართვეს, თუ ახლაც დამალულია.

თავჩაქინდრული გოდერძი თან რაიაღმასკომისკენ მიალაჯებდა, თან ცდილობდა ყველა ის კითხვა ევარაუდნა, რასაც პეტა მისცემდა.

— ჰაი, გიდი აბასთუმან; — გესლიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიმებოდა გოდერძის, — პეტა მოჯამაგირე ახლა ქვეყნის მპყრობელია. აი, ჩასკდა შენი თავი, აჰაანდე!...

პეტა ცხოვრებოვი მეტად ზრდილობიანად შეხვდა. ფეხზე წამოუდგა, სკამი შესთავაზა, მოიკითხა. ასეთი ნიღებით გაოცებული გოდერძი თავდაჭერილად უპასუხებდა თავმჯდომარის კითხვებზე და წარბ ქვეშიდან ათვალიერებდა.

პეტას უბრალოდ ეჭირა თავი. დინჯად ესაუბრებოდა. შიგადაშიგ გულღიათ უღიმოდა და თავის ვეებერთელა ჩუქურთმებიან მაგიდაზე იდაყვებით დაყრდნობილი სახერხის გამგეს დაკვირვებით შესცქეროდა.

ყველაფერი რომ გამოჰკითხა, წამოდგა, თავზე დაადგა და ჰკითხა:

— იცი, ამხანაგო გოდერძი, რა გვიჭირს ყველაზე მეტად?

— რა? — მიამიტად იკითხა ზენკლიშვილმა.

— აგური.

— რაო? — ვერ გაიგო გოდერძიმ.

— აგური-მეთქი, საშენი ბევრი გვაქვს, მაგრამ აგური არ გვეშოვება. ამიტომ გადავწყვიტეთ დიდი კოროხის მახლობლად აგურხანა ავაშენოთ და აგური ადგილობრივ გამოვწვათ. თიხა მცნობებს გავასინჯეთ და ძალიანაც მოიწონეს, კარგი აგური გამოიწვებაო. შენ უნდა უთავო ამ საქმესა, შენზე უკეთეს ვერავის ვიპოვით.

— რას ამბობ, დალოცვილო, აგურისა მე რა გამეგება?..

— ნუ დაფრთხები. ხელობას შეისწავლი, წერე კი საქმე თვითონ გიჩვენებს თავის თავსა.

— არა, ძმაოსან, ეგ არა და სხვა რაც გინდათ, — თქვენი ხმალი და ჩემი კისერი...

— შენი დანიშვნა უკვე გადაწყვეტილი გვაქვს. ის კი არა, თანამშრომლებიც შეგირჩიეთ: რვა ებრაელმა გამოაცხადა სურვილი ფიზიკურად შრომისა და შენ მოგცემთ.

— რას ამბობ, პეტაჯან, ებრაელები რა ეშმაკად მინდა, მაგათი მუშაობა სად გაგონილა? ეგენი რას გამიკეთებენ?

— პირველ ხანებში თიხის ჭ[illegible]ხით დაგჭირდებათ, სანამ საზელ მანქანებს ვიშოვით. აბა, მაშ შენ ხომ არ დაიწყებ ზელასა?

— მე რათ დავიწყებ, შე დალოცვილო, ტალახი ჩემ დღეში არ მიზელია.

— ხოოდა ,მაგაში ებრაელები დაგეხმარებიან· იმათ ბრიგადას უფროსიც კი გავუჩინეთ, მორდეხა მანაშეროვი, იცნობ?

— ვიცნობ, ერთი გაუშვებელი ცუღლუტია.., მატარებლებში ალუბალსა და მაჟალო ვაშლსა ყიდის. აბა, ეგ რა მუშაა?

— შენ ის გირჩევნიან, ადამიანებსა ახალი თვალით შეხედო. ძველი შეხედულებები არ გარგებს. ხალხსა შრომა სწყურიან, თავისუფალი შრომა. გაიგე, ამხანაგო ზენკლიშვილო? საბოლოო პასუხს კიდევ ერთ დღეს დაგაცდით, ახლა კი წადი და მოიფიქრე.

რამდენჯერაც გაიხსენებდა ამ შეხვედრას გოდერძი, იმდენი უკვირდა, ნეტავი რამ მისცა ყოფილ მოჯამაგირეს ამდენი ძალა, ამდენი დაჯერება, ამდენი რიხი? ისე მტკიცედ ელაპარაკებოდა, გეგონება წინდაწინვე ყველაფერი მისხალმისხალ ჰქონდაო აწონილი.

ორიოდე დღის შემდეგ, უცნაურად მოწადინებული გოდერძი, გორიდან საგანგებოდ ჩამოსულ ინჟინერთან ერთად, საავგურე ქარხნისათვის ადგილს ეძებდა.

და, პირველად მთელ თავის სიცოცხლეში დაუდგა ზენკლიაანთ ბიჭს ასეთი ცხარე და მოუსვენარი დღეები, აღსავსენი მუშების შეგონებით, მოიჯარადრეებთან დავით, უფროსებთან ჩხუბით, მასალებზე სირბილით, განუწყვეტელი შიშით, რომ გეგმას არ ჩამორჩენოდა.

ამ ზრუნვამ, როგორღაც ერთბაშად გამოცვალა გოდერძი; თვითონვე უკვირდა — პირადი სარგებელი არაფერი ჰქონდა, საზოგადო საქმეს კი ისე დასტრიალებდა, თითქოს ღვიძლზე-ღვიძლი ყოფილიყო.

ამასთან ერთად, სულ რაღაც მოლოდინიც ჰქონდა, რაღაც კარგს უგრძნობდა გული. და მოხდა საოცრება: სწორედ [illegible] ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, როცა ქარხანამ აგურის პირველი წყება გამოწვა, მალალომ ბავშვის პირველი ფართხალი იგრძნო!

ცოლ-ქმარი გაოცებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს და ვერ დაეჯერებინათ, რომ დიდი ხნის ნანატრი ბედნიერება ასე უეცრად კარს მოსდგომოდათ...

მეორე დღეს, უთენია დილითვე წაიყვანა გოდერძიმ თავისი გაბადრული მეუღლე ხაშურში, ცნობილ ქალთა ექიმთან, გრიგოლ ციციშვილთან.

საღამოჟამს, კიდევ უფრო სახეგაბრწყინებულები ჩამობრუნდნენ ზეკნლიშვილები. ქმარიცა და ცოლიც, კი არ დადიოდა, — დაფრინავდა, ერთმანეთს კი არ ელაპარაკებოდა, — ეძღრუტუნებოდა.

მას შემდეგ მალალოსთან ხმაამაღლეულად მოსაუბრე გოდერძი აღარავის არ ენახა..

ხუმრობა ხომ არ იყო, ამდენი ხნის მოლოდინებს, სწორედ ახლა, როცა ქმარს, მალე ორმოცი წელი უსრულდებოდა, ხოლო ცოლი ოცდაათს ისრულებდა, მხოლოდ ახლა აღირსათ ბედმა ბიჭი, და, რომ სწორედ ბიჭი უნდა დაბადებულიყო, ამაში გოდერძის ეჭვიც არ ეპარებოდა...

მართლაც ბიჭი ეყოლათ.

დიდი, ფერხორციანი, დიდშუბლა ბიჭი.

— ზედგამოჭრილი მამაა, რა საოცრად დაემგვანა ამ არ გასაშვებს — ჩქმეტდნენ ერთმანეთს მელოგინის სანახავად მოსული მეზობლიანთ ქალები.

გოდერძიმ კი ძველი ხელობა გაიხსენა: სიხარულით სმას მიჰყო ხელი. ისეთი გამობრუჟებული ბრუნდებოდა სახლში, ფეხზე ძლივს იდგა. რამდენიმე დღე სამსახურშიც კი არ იარა.

ოთახში შევიდოდა თუ არა, მალალოს დაჰკოცნიდა, ბავშვს მოიკითხავდა, მერე აკვანს აიტაცებდა, მხარზე გაიდებდა და ბაღდადურს დაუვლიდა.

— ნელა, კაცო, ან შენ არ დაეცე, ან ეგ აკვანი არ გადმოგივარდეს და სამუდამოდ არ დავიღუპოთ, — შესთხოვდა ცოლი, მაგრამ გოდერძის არაფერი აღარ ესმოდა, ბაღდადურს უვლიდა. ჰანგსაც თვითონვე დაჰღიღინებდა, ცეკვითაც თვითონვე ცეკვავდა.

ბიჭს მალხაზი დაარქვეს...

* * *

ბიჭის გახსენებაზე ფიქრის ძაფი უწყდებოდა გოდერძის..

მალხაზი მხოლოდ ერთადერთი სიხარული კი არ იყო მისთვის, არამედ ერთადერთი საზრუნავიც, ერთადერთი იარაც, ერთადერთი სადარდებელიც...

არა, ისეთი ბიჭი არ დადგა მალხაზი, როგორსაც გოდერძი ნატრულობდა!

სულ სხვა ზნეს, სულ სხვა ხასიათს, სულ სხვა მიზნებს ამჟღავნებდა ქოჩორა ყმაწვილი, სულ სხვა სანატრიონით ჰქონდა გონება დანისლული.

დასახულზე ნიტანება მამაზე ნაკლებ არ იცოდა, მაგრამ ამოცანები ჰქონდა განსხვავებული...

დიაღაც, უცნაური ბიჭი დადგა მალხაზი, აგრე რიგად ადვილი არ გახლდათ მის გულში ჩახედვა. ამიტომაც უჭირდა მასზე ფიქრი გოდერძის. ბოლომდე არ ესმოდა შვილის ზრახვები, კარგად ვერ გაეგო რას ელტვოდა ეს გულჩათხრობილი ჭაბუკი!

ახლა კიდევ, ამ წყეულმა ისაკა დანდლიშვილმა აუმღვრია გუნება.

დიდიხანია, რაც ეს მელაკუდა ყარყატებს: — ვატყობ, დრონი აუცილებლად გამოიცვლებიან, ამიტომ სანამ საშუალება გვაქვს, მეტი ვისარგებლოთო.

მეტი კი რაღა შეიძლება? იმდენს ითლიან ეჩოსავით სამთავენი, რომ გოდერძის შიშისაგან ღამით აღარ ეძინება. სულ იმის მოლოდინშია აი, ახლა წარმომადგება „ობეხესი“, აი, ახლაო.

აფსუს, რა დამშვიდებული ცხოვრება ჰქონდა, სანამ ამ ოხრადდასარჩენ ბაზაში დანიშნავდნენ, სანამ ისაკა-სერგოს გადაეყრებოდა.

სახლშია და ის უჟიათი ბიჭი ულებს ბოლოს, სამსახურშია და ეს მამაძაღლები უსიებენ ნაღველას. რა გაუძლებს — აქეთაც, იქითაც! ხომ უნდა ჰქონდეს კაცს სადმე მყუდრო თავშესაფარი, გოდერძის კი შამფურზე წამოცმულივით ატრიალებენ ნელ ცეცხლზე.

— ეი, მიშაა, შენ დაგაყრუა ჩემმა გამჩენმა, ზაკრივაი ვარატა!

— ჯერ რა დროს ზაკრივაიტია, კაცო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარია ექვსისა, ხალხი აყაყანდება!

— ზაკრივაი-მეთქი!! აყაყანდება და მაგათი პატრონი დედაცა!

უხალისოდ მიალაჯებდა სახლისაკენ.

დრო და დრო ასე ეგონა თითქოს ფეხებს თავისთავად მოჰქონდათ მისი მძიმე სხეული.

ამმა ფიქრებმა დასძლიეს ბაზის მმართველი.

იმგვარი განცდა ჰქონდა, გეგონება, საკუთარი დაუდევრობით რაღაც ხიფათს გადაეყარა. ამ წუთებში ყველაზე ძალიან ისაკა ეჯავრებოდა, რადგან ყველა ეს უსიამო ფიქრი, ასე თუ ისე, სწორედ მასთან იყო დაკავშირებული.

ჯერ კიდევ შორიდან შეავლო თვალი თავის ვეებერთელა სახლს, უზარმაზარი თეთრსვეტებიანი აივნით, მაღლობზე რომ გადმომდგარიყო ძველი თავადის სასახლესავით. ეს სახლიც ისაკას რჩევით წამოიწყო და ქვეყნის ფული ჩააყარა.

თან აშენებდა, და თან შიშით ფიქრობდა: — რომ ჩამეძიონ და ჩამეკითხონ საიდანაო, რითი აშენებო, რა ვუთხრა?"

ყოველ დღე ამაზე დარდობდა. მაგრამ სახლს ყოველ დღე რაღაც ახალს მაინც უმატებდა. ხელოსნები ხან გორიდან ჩამოყავდა, ხან თბილისიდან. ისე ჩქარობდა თითქოს უსახლკარო ყოფილიყო და ცივი ზამთრისა შინებოდა.

და აი, დგას ახლა გოდერძის სასახლე მტრის თვალის დასაყენებლად...

დგას ორსართულიანი, თავის სარდაფითა და ვეებერთელა მარნით, ექვსი ოთახით ზევით, ოთხით ქვევით. პირველ სართულზე იმოდენა დარბაზია, ცხენი გაჭენდება.

— ესა, საბილიარდოა, — უხსნის გოდერძი შემოსულ სტუმრებს, — ერთი კარგი ბილიარდის მაგიდა უნდა ვიშოვნო, მარმარილოს დაფითა, ჩემს მუცელსა მარტო ის თუ უშველის. მაგრამ ჯერ ვერსად შევხვდი, — თითქოს მობოდიშებით დასძენს იგი.

გოდერძის მეორე სართული ხომ კაცს უნახავს გახდის!

სასტუმრო ოთახში სტენვეის ფირმის თეთრი ამერიკული საკონცერტო როიალი დგას. მის ორივე მხარეს ორი ძველებური ფრანგული „ბული" ასვეტილა, იტალიური მარმარილოს ვარდისფერი დაფებით, ბრინჯაოს ჩუქურთმებით კუთხეებში და სადაფის ინკრუსტაციებით. ერთ კედელზე უზარმაზარი ლურჯი იაპონური სუზანი ჰკიდია, ყვითლად ამოქარგული დახლაკნილი გველეშაპებით. სუზანთან ავღანური ხალიჩით გადაფარებული განიერი ტახტია მიდგმული.

პარკეტის პრიალა იატაკზე ვეება სპარსული ხალი აფენია და ზედ ოქროთი მოვარაყებული წითელფარჩიანი სავარძლები განლაგებულან. „ბულების" მოპირდაპირე მხარეს წითელი ხის ორი „გორკად" წოდებული კარადა დგას, სარკისებური სქელი მინებით და, რა გინდა სულო და გულო, იქიდან არ იჭვრიტებოდეს: განთქმული სევრის პორცელანი თუ ფრანგული ბროლი „ბაკარა", ინგლისური ფაიფური თუ ბოჰემიის ფერადი შუშა, საქსონიის ჭურჭლეულობა თუ ვენეციური წითელი მინა, იაპონური ყავის სერვიზი თუ სპილოს ძვლის ინდური სტატუეტები, ვიეტნამური ვერცხლის საჩაიე კომპლექტები თუ კოხტად მოჩუქურთმებული ჩინური ლანგარები, გველეშაპებშემოხვეული ჩაიდნები თუ მოოქროვილი ფინჯნები.

რაც კარადებში არ დატეულა, კედლებზე ჩამოკიდებულ ჩუქურთმიან თაროებზე შეუდგამთ: ვენეციური საარაყე თუ საღვინე ჭიქები, მწვანე, ლურჯი და წითელი ფერისა, ვერცხლის ყარყარა ქართული სურები, მოსევადებული და ოქროცურვილი თასები. როიალზე ხომ მთელი გამოფენაა ბროლისა. რა ზომისა და მოყვანილობის საყვავილეებსა თუ ლანგრებს არ ნახავ აქ! ყველაზე საპატიო ადგილას ჩეხური ბროლის უზარმაზარი საკრუშონე დგას. გოდერძის სიტყვით, შიგ ათი ლიტრა ღვინო ჩადის.

კედლებზე ოქროსვარაყიან ჩარჩოებში ჩასმული სურათები ჰკიდია და ბროლისავე შანდლებია ხისტად დამაგრებული.

— ესა, — დინჯად მოუთხრობს სტუმარს გოდერძი, — აივაზოვსკის სურათია, გარუსებული სომხისა, შემთხვევით ვიყიდე ოდესაში, ესა კიდევა, ბრიულოვისაა,

ეროვნული

გარუსებული გერმანელისა, იალტიდან წამოვიღე; ეს კიდევა, პეროვია, თვითონაც ნაღდი რუსი ყოფილა და სურათიც ნამდვილი რუსული გამოსვლია, ლენინგრადიდან ჩამომიტანეს, ერთ ვიღაც გამოტვინებულ პროფესორს გაუყიდია...

მარტო სასტუმრო ოთახი როდი ჰქონდათ გოდერძიანთ ძვირფასი ავეჯით გაწყობილი. სასადილო ოთახში, დიდ შუშაბანდში რომ გადიოდა, შავი ხის ძველებური ავეჯი ედგათ, დიდი ხელოვნებით ნაჩუქურთმები და ძვირფასზე ძვირფასი: უზარმაზარი კარადა ჭურჭლეულობისათვის ბროლისებური მინითა და ბრინჯაოს პრიალა საკეტებით. იგი მთელ კედელსა ფარავდა; მაღალსაზურგიანი, წითელტყავგადაკრული სკამები ჯარისკაცებივით შემოხვეოდნენ მძიმესა და განიერ მაგიდას, რომელიც ოთხმოც კაცზე იშლებოდა.

შუა ოთახში ცისფერი ფაიფურითა და მოელვარე ბროლით ნაკეთები ვებერთელა ჭაღი ეკიდა. კედლებზე, ისევე, როგორც სასტუმროში, წყვილ-წყვილად ბროლისავე ჩირაღდნები მიენაგრებინათ. როცა ჭაღსა და ჩირაღდნებს აანთებდნენ, ოთახში ელვა გამოკრთებოდა და უამრავ ბროლში გარდატეხილი შუქი თვალსა გჭრიდა.

კიდევ უფრო მეტი მონდომებით იყო გაწყობილი მალხაზის ოთახი, რომელსაც უცხოური ფერადი კაფელით მოპირკეთებული საკუთარი სააბაზანო და საპირფარეშო ჰქონდა. მალხაზის ნათელ, მხიარულ ოთახში იმოდენა საწოლი იდგა, ზედ გამოჩუქურთმებული ფარშავანგებითა და ხოხბებით, რომ გარდიგარდმო ბარემ ექვსი კაცი დაეტეოდა.

ფანჯარასთან საწერი მაგიდა მიედგათ, ისიც ძველებური და ძვირფასად შემკული, ღრმად გამოქანდაკებული ხახადაღებული ლომის თავებითა და ბრინჯაოჩატანებული ჩუქურთმებით.

ერთ კედელზე, მთელ მის სიგრძეზე, ოქრომოვარაყებულ ჩარჩოში უზარმაზარი სურათი ეკიდა. სურათზე მთვლემარე ზღვა იყო დახატული. წყალი ნაპირთან იმნაირი გამჭვირვალე და კამკამა იყო, პირდაპირ კენჭები დაითვლებოდა. კუთხეში ფერადი ტელევიზორი იდგა, შუაგულ ოთახში კი პატარა საჟურნალო მაგიდა, — ოთხი შავტყავგადაკრული რბილი, ინგლისური სავარძლით გარშემორტყმული.

გოდერძის საწოლ ოთახზე ხომ არაკები დადიოდა.

„ორი ვენეციური სარკე უდგათ, თითო ერთ კარგ სახლად ღირსო“, „იმათი საწოლი ძველი რუსი მილიონერის, ვიღაც გრაფ ბეზბოროდკოს ნაქონი ყოფილაო“, — ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს სამეზობლო დედაკაცები.

მაგრამ გოდერძიანთ საწოლისათვის არც ერთ მათგანს თვალიც არ მოუკრავს, რადგან ძველი ყაიდის ცოლ-ქმარს (დანავსისა და ავი თვალისა ყველაზე მეტად რომ ეშინოდა), მოშურნეთაგან განრიდება ყველაზე ნაღდ საშუალებად მიაჩნდა. ამიტომ, მეორე სართულზე ზენკლიშვილებს იშვიათად თუ ვინმე აჰყავდათ. განსაკუთრებით საპატიო სტუმარი უნდა ყოფილიყო, რომ ზემო სართულში აეპატიჟებინათ.

რიგითი სტუმრებისათვის პირველი სართული ჰქონდათ განკუთვნილი. მეორეზე კი მხოლოდ რჩეულთ ღებულობდნენ: რაიკომის პირველ მდივანს — ვახტანგ პეტროვიჩს, რაისაბჭოს თავმჯდომარეს ჯუანშერ ივანიჩს, და კიდევ რამდენიმე კაცს: რაიკომის მეორე მდივანს, რაისაბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, პროკურორს, უშიშროების განყოფილების უფროსს, სასამართლოს თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს, რაიმილიციის უფროსს, რაიკავშირის თავმჯდომარეს, რაიკომის განყოფილებათა გამგეებს, განათლებისა და ჯანდაცვის განყოფილებათა გამგეებს...

აი, მაშინ, დიდსტუმრობისას, ზენკლიაანთ ნაქები ბროლი თაროებიდან და განჯინებიდან მაგიდაზე გადმოინაცვლებდა, უცხოური სერვიზი ქათქათა სუფრაზე სხვადასხვა ფერად აკიაფდებოდა, ვერცხლის დანა-ჩანგალი, ცალი თავით სადებებზე შეყუდებული, თითბრის სასკვნებლებზე დაეწყობოდა, ხოლო დიდი ფოჩიანი ხელსახოცები, ვერცხლისავე ვენზელებიან რგოლებში გაჩრილი მწყობრად ელაგა.

სუფრის გაშლა და სტუმართა მიღების წესები მალალოს სოსო მაღალაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმცროსმა დამ, სოფამ ასწავლა. სოფა, ძმასთან ერთად, 1921 წელს მენშევიკებს პარიზში გაჰყვა, ორმოცდაათიან წლებში უკან ჩამობრუნდა და ახლა თბილისში დასახლებული ხშირად აკითხავდა მშობლიურ სამებაში თავის კბილა ქალს.

ძველ დროსაც ხშირად იგონებდნენ დობილები. მაშინ მაღალაანთ სახლში მხოლოდ კაკოლა შავდათუაშვილს შეესვლებოდა, სხვა გლეხთათვის თავმომწონე თავადიშვილის სახლის კარი ცხრაკლიტულზე იყო გადარაზული.

ზაფხულობით სოფა თითქმის მთელი დრო ზენკლიაანთ იყო. მალალოს ევროპულად ხედნიდა, მალხაზს ფრანგულისა და ინგლისურის ცოდნას უღრმავებდა, სტუმრიანობის დროს როიალზე უკრავდა, ხოლო ხანდახან თვით გოდერძისაც გადაუკრავდა ხოლმე ჭკუის სასწავლ სიტყვას.

ისეთი ნიხვედრილი და გონებაგახსნილი ქალი იყო, ყველაფერს წინასწარ ხედავდა და წინდაწინვე იაზრებდა. ავეჯიც, სახლის სხვა მოწყობილობაც სოფას დახმარებით ჰქონდათ ზენკლიშვილებს შეძენილი.

ამ ჭინკა ქალს გემოვნებაც ჩინებული ჰქონდა და ვაჭრობაშიაც დიდად გამოცდილი იყო.

— ჰო, ჰო, რა დაქოქილი ვინმეა, — იტყოდა ხოლმე გოდერძი, მალალოსთან მარტო რომ დარჩებოდა. მალალო კი ისეთი შეყვარებული იყო თავის დობილში, სოფას რომ ეთხოვა სულსაც კი ანაცვალებდა.

ქალების ეს მეგობრობა მანამდე გრძელდებოდა, სანამ ერთ კვირა დილით ნაბახუსევი გოდერძი მალალომ თავის დობილთან არ შეისწრო სარდაფში!

აი, მაშინ, იცოცხლე, ცეცხლები ჰყარა შავდათუაანთ ქალმა, ქმარს ქოთანი დასთხლიშა, წარბს ზემოთ შუბლი გაუხეთქა, თონიდან პურის ამოსაყრელი კაუჭი ბეჭებში სდრუზა, ხოლო ტანმორჩილი და გამხდარი სოფა თმებით დაითრია და ისე დაალურჯა, რომ დაოსებული დობილი ძლივს გამოგლიჯა გაასპიტებულ ცოლს შუაში ჩამდგარმა გოდერძიმ. დიდი, ბლომი, ღონიერი ქალი გახლდათ მალალო, რომ დასჭიდებოდა თავის ახმახ ქმარსაც კი არ დაუდებდა ტოლს.

როცა ოჯახში კვლავ მყუდროება ჩამოვარდა, გოდერძი დრო და დრო გაეხუმრებოდა ხოლმე მალალოს:

— რა ნახე, დედაკაცო, მაშინა, ისეთი, რომა ჭკუიდან აგრე შეიშალე? ის მამაცხონებული სულ შენ გასწავლიდა და ერთხელ რომ ჩემთვის ესწავლებინა, ვითომ რა დაშავდებოდა? — თან ყველის ვაჭარივით გაიკრიჭებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ აჭიხვინდებოდა.

სხვათა შორის, მალალოს დიდიხანია შემჩნეული ჰქონდა, რომ ქმარს სიცილი არ ეხერხებოდა და არც უხდებოდა. კაცმა რომ თქვას, ზენკლიაანთ ბიჭმა სიცილი არც იცოდა; თუ გულიანად გაეცინებოდა, ისე ახვიხვინდებოდა როგორც საღეჯღელაშლილი ულაყი, ნაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა.

გაუცინარი კაცი იყო გოდერძი, თუმცა გული ნამდვილად კეთილი ჰქონდა. ვინ იცის, ვისთვის არ გაეწოდებინა დახმარების ხელი.

— „ღვთისნიერი კაცია“ — ამბობდნენ ზენკლიშვილზე ერთნი.

— „ადვილად შეიძინა და იმიტომ არ ენანება. აბა, გარჯა-ოფლით ჰქონდეს ნაშოვნი, თუ აგრე ადვილად შეელეოდა“,— ამბობდნენ მეორენი.

ცოლ-ქმარს ერთი უცნაური ჩვევაც მოსდგამდა, თვითეულს ორი განსხვავებული ენა ჰქონდა: როცა მარტონი დარჩებოდნენ, იმ ძველისძველი სოფლური ენით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, ჯერ კიდევ ნაადრ ბავშვობაში რომ შეითვისეს. ალბათ სიამესა სძენდათ ამ გზით სიჭაბუკის გახსენება. თუ ვინმე უცხო ესწრებოდა, მაშინ, სხვა, უფრო გამართული და უფრო „ქალაქური ენით“ ალაპარაკდებოდნენ ხოლმე. ეს უკვე ახალი დროის ხარკი იყო, ახალი ბინის, ახალი ყოფის, ახალი ცხოვრებისადმი გაღებული ხარკი.

მალალო ყველაფერში თადარიგიანი ქალი იყო. ისეთი დიასახლისი გახლდათ, საათივით ჰქონდა საშინაო საქმე აწყობილი. მეოჯახეობის ჩვევები ჯერ კიდევ მამის ოჯახში შეიძინა, სადაც ერთი ლუკ-

მა პურიც კი არ იკარგებოდა უქმად და დოვლათიანობა ანგარიშიანობას ეთავსდებოდა.

ამასთან, პირდაპირ საოცარი ალღოც ჰქონდა. კაცს ფულთმისანი ეგონებოდა, ისე იყო ადამიანთა გულებში ჩახედული. ისე კითხულობდა სხვათა ზრახვებსა თუ აზრებს, გეგონება წინ მათი ცხოვრების გადაშლილი წიგნი უდევს და ცალი თვალით შიგ იხედებაო. სხვა ქალთაგან განსხვავებით, სიტყვაძვირიც იყო და ენაჭარტალა დედაკაცები სძულდა.

გოდერძი ხომ ისე ჰყავდა შესწავლილი, არც ერთი მისი ნაბიჯი, არც ერთი მისი სურვილი თუ ფიქრი არ გამოეპარებოდა. ყოფით წვრილმანებშიც ძალიან დახელოვნებული იყო. იცოდა რომელ დღეს როდის დაბრუნდებოდა ქმარი სამსახურიდან, როდის მოუწევდა ლათრობა, ან ცხარე ლაპარაკი „იმ ოხერ“ ისაკასთან.

მიუხედავად იმისა, რომ გოდერძი გვიან ბრუნდებოდა სახლში და ისიც სულ სხვადასხვა დროს, მალალო სწორედ მაშინ გამოვიდოდა ქმრის დასახვედრად აივანზე, როცა გოდერძი რკინის ჭიშკარს შემოაჭრიალებდა, მთელი მათი ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე არა ყოფილა შემთხვევა, რომ სახლში დაბრუნებულ ქმარს კართან არ დახვედროდა.

ახლაც ასე დახვდა მოქუფრულ გოდერძის და უგუნებობაც მაშინვე შეატყო.

გოდერძი ნელა ამოდიოდა კიბის მოზაიკურ საფეხურებზე და ყოველი ფეხის გადადგმაზე ბეტონისრიკულებიან სახელურს მძიმედ აწვებოდა.

არ ეჭაშნიკა მალალოს ქმრის დაღმარებული გუნება, მაგრამ არ დაიმჩნია, იცოდა თვითონვე გადაუხსნიდა გულს.

— მალალოჯან, შენს გახარებას, ერთი წყალი გააცხელე, ვიბანებ, რაღაც კისერი მაქვს დაძაგრული, ეტყობა, წნევამ აიწია...

— რაც შენ ღვინოში იხრჩობი, კიდევაც კარგადა ხარ... ყველაფერი იმისაგანა გჭირს, შე უბედურო!

— ნარტო ღვინისაგან, ხომა? საქმე რომ მაქვს ტვინის ასადუღებელი, ის ვითომც არაფერი ხომა? ვაი, თქვენს პატრონს, ტყუილად როდი უთქვამთ, ქალის ჭკუა თხამ მოძოვეო...

— თუ ასეა, რას იკლავ თავსა, შე უბედურო, მიაფურთხე ეშმაკსა, სძლიე სიხარბესა შენსა, გამოდი იმ წყეული ბაზიდან და გინდა სხვა საქმეს მოეკიდე, გინდა პენსიაზე გადი. ე, ოჯახს ხომ არაფერი აკლია, ტანთაც გვაცვია და ფეხთაცა, რა უნდა გაგვიჭირდეს?..

— ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო, ხომ გაგიგია?..

— იიჰ, შენ ისა სთქვი, რომ გლახა ამპარტავანიცა ხარ და უზომოდ ხარბიცა.

— ყველაფერი იმ სულგანათლებულმა მამაშენმა ნასწავლა.

— მამაჩემსა დაეხსენი. შენი საუგოდ მოსახსენებელი არ გახლავს, იმან დაგაყენა ფეხზე, მე, უბედურო, შენა...

— ცუდს რას ვამბობ, დედაკაცო, ყველაფერი იმან მასწავლა-მეთქი. ბოზებში სიარულიცა, შალიბაანთას რო დავყავდი გორშია, ჰაი, დედასა, რა დრო იყო.. .

— ვაი, სირცხვილო, ვაი, თავის მოჭრავ, დაგიდგა ეგ ხამიწე თვალები, მეტი აღარა თქვა მაგისთანა უწმაწური სიტყვები, თორემ, ღმერთმანი, თავს დავიხრჩობ! ნამაჩემზედა, თორემა შენ რა ოხერიცა ხარ, კარგად ვიცი.

ასეთ ლაპარაკს ხშირად გაიგონებდით გოდერძის საბაზანოში.

მთელი სოფლის სალაპარაკოდ ქცეული ეს საბაზანო პირველ სართულზე ჰქონდათ გამართული.

ერთ-ერთ ოთახში მოზრდილი აუზი გაეკეთებინათ, სამი მეტრი სიგრძისა, ამდენივე სიგანისა და კარგა ღრმაც, წყალი მკერდამდე სწვდებოდა ზენკლიაანთ ჩამომავალს.

აუზი ცისფერი კაფელით იყო მოპირკეთებული და შიგ ჩასხმული წყალიც ცისფერი ჩანდა. სახლს გარეთ, კედელზე შეკიდებული ავზიდან ტრაქტორის საწვავი, სოლარის ზეთი, წვრილი მილით ქურაში ჭავლებად ეშხაპუნებოდა და ორივე ღუმელს ახურებდა.

საბაზანოში ისეთი სითბო და სიმყუდროვე იდგა, წყალი ისეთი გამჭვირვალე ჩანდა, ღუმელებიც ისე თანაბრად ღუღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდნენ ,რომც არ გდომებოდა, ბანაობის ეშხზე დადგებოდი.

დათვივით ჩაეშვებოდა ხოლმე გოდერძი აუზში, ერთი კედლიდან მეორეს მიეხლებოდა, ახუნტრუცებული დევივით წყალს აბუყბუყებდა, აამღელვარებდა, მერე ზურგზე ნებიერად გადაწვებოდა, სხეულს აიტივტივებდა და დიდხანს იყო ასე გადაწოლილი. თან ღონივრად ქშენდა, პირში დაგუბებულ წყალს წვრილ ჭავლებად მაღლა ჰაერში ტყორცნიდა. ლაღობდა, ისვენებდა, ერთობოდა. მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, ოღონდ ჩაყვინთავდა, აუზის ძირზე ხელისგულებს დაალაგებდა, წამის შემდეგ კი ისევ ზედაპირზე ამოდგაფუნდებოდა.

— მტკვრის წყალია და იმიტომაც არის ასეთი გემრიელი, დაილოცა მაგისი ტალღა... ეი, დედაკაცო, ბაზასა თავი უნდა გავანებო!..

— უი, დამიდგა თვალები, რატომა კაცო, რატომა?

— ბიჭოს, ამ წუთში თვითონ არ მირჩევდი დაანებეო?

— ისა, სიტყვის მასალა იყო, თორემა რათ უნდა დაანებო, რა ცუდად შენა ხარ? ჯერ ის ბიჭიც დასაბინავებელი რო გვყავს?

— გამოდის რომა... ჰო, ჰო, რა წყალია ეს დალოცვილი!... გამოდის რომა, მე კი არა ვარ ხარბი და ამპარტავანი, შენა და შენი ბიჭი ხართ ეგეთები. რას იტყვი, აგრე არ გამოდის, ჰა?

— გამოდი, ჩემ ჭირასა, შენვე ინანებ, თორემა მე ყველაფერიც მყოფნის.

— ოცი კილო მოხერის ძაფი რო ჩამოგიტანეს, რატომ არ იმყოფინე, კიდევ ათი რო დააბარე? იმ შენ ბიჭსა ბარე ხუთი საკოსტუმე რო უდევს განჯინაშია, და სურამელ ებრაელებს, რო კიდევ ერთი დაუბარე, მაინც და მაინც შოკოლადის ფერიო, რატომ არ იმყოფინე?

— ადექი ბარემა და ისიც გვითხარ ტიტლიკანებმა იარეთო. ერთი ბიჭი გყავს და იმისთვისაც არ გემეტება?

არ გემეტებაო? მაშ ვიღასთვის ემეტება გოდერძის თუ არა ერთადერთი ბიჭისათვის?...

და აი, ისევ ბიჭზე ჩამოვარდა [illegible] კი.

ისევ ბიჭი წამოეძალა გონებას.

ისევ იმ მტკივან ადგილზე წაატანეს ხელი, ყველაზე მეტად რომ აწვალებს და სტანჯავს.

ბიჭი,

ბიჭი,

ბიჭი!..

* * *

მალხაზი შობა დილით დაიბადა.

ოდესღაც დიდად მიჩნეული ეს დღესასწაული სანებელებმა ამჯერად მხოლოდ აქა-იქ და ისიც ფარულად იზეიმეს.

იწურებოდა ოცდაჩვიდმეტი წელი...

როცა ბებია ქალმა, სესკელაანთ მარიამმა, ახლადშობილი ხელებში შეათამაშა და ხმამაღლა შესძახა „იხარე ჭერო, დაბრმავდი მტეროო“, გოდერძიმ მალულად პირჯვარი გადაისახა, მკერდზე ხელი დაიბაგუნა და გულაჩუყებულმა თქვა:

— ახლა გინდაც დამიჭირონ, უძიროდ მაინც არ გადავშენდებიო.

ფერდაკარგულ, მაგრამ სიხარულით სახეგანათებულ მალალოს მადლიერი თვალი შეავლო და კარი გაიბრახუნა. დილამდე არ მოსულა. სატიოზე, კალმახელიძეებიანთ დუქანში, გათენებამდე ღვინოსა სვამდა და არღანს აჭყვიტინებდა.

ისევ გული მოიცა ზენკლიაანთ ბიჭმა. ისევ ძველებურად დაუტრიალდა სამსახურს. მაგრამ სამუშაო დროს მოილევდა თუ არა, ქარხანაში ვეღარ ჩერდებოდა, გული არ უთმენდა, სახლისკენ მიეჩქარებოდა. იქ დიდმუხლა და თაფლათვალება პატარა არსება მოელოდა.

ძალიან გულმისასვლელი ბიჭი დგებოდა გოდერძიანთ მალხაზი, საზრიანი, ბუნჩულა. წაბლისფერი ხუჭუჭა თმები ნხრებზე გოგოხავით ეყარა. სიარულიც ადრე დაიწყო და ენაც ადრე ამოიდგა.

თუმცა, დედ-მამა უსაშველოდ ანებივრებდა, მაგრამ მალხაზს არც ზნე გამრუდებია, არც ჭირვეულობა დასჩემებია. ისეთივე იყო, როგორც ყველა მისი ტოლი სამებელი ბიჭი.

ზენკლიაანი მაშინ იმავე პატარა სახლში ცხოვრობდნენ გოხაზე, გოდერძიმ რომ დაიდგა დედისა და დიდედის სიცოცხლეში.

ახლა მართალია, ძველებურად გაჭირვებულნი აღარ იყვნენ, მაგრამ არც თუ ბევრი რამ ებადათ.

აგურის ქარხნიდან შემოსული ხელფასითა და პატარა საკარმიდამო ნაკვეთით, მალალო რომ უვლიდა, იოლად მიდიოდნენ, ბედს არ ემდუროდნენ.

იმ ნეტარ, მაძღარსა და მშვიდობიან წლებში თანხმობით მცხოვრებ ცოლ-ქმარს სიხარბის მატლი ჯერ კიდევ არ გასჩენოდა და, ხელმოკლეობის მიუხედავად, თავს არხეინად გრძნობდნენ.

მაგრამ ისევ დაჰბერა მძვინვარე ქარმა და დაუნდობელმა ბედმა, ვინ იცის, წერამდენედ პირდაპირ საკირეში ისროლა გოდერძი.

სამამულო ომის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე, ორმოცდა ერთი წლის ოცდაათ ივნისს, იგი სამარშო ბატალიონთან ერთად უკვე სმოლენსკში იყო, ხოლო კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ორშის რაიონში გააფთრებულ ბრძოლებში ჩაება.

ოთხი წელიწადი იარა მან ომის გზებით...

ოთხი წელიწადი იდგა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, როგორც ყალყზე შემდგარი ცხენი უფსკრულის პირას.

ორჯერ დასჭრეს, ერთხელ კონტუზია დამართეს, მაგრამ ყველაფერს გაუძლო, ყველაფერი გადაიტანა და გამარჯვების წელს, თიბათვის დამლევს თავის მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა...

იმავე დღეს, მუხთალი ბედის ჯიბრზე, სათიბში გავიდა და გარს შემოჯარული მეზობლების თვალწინ ისე ცელავდა მაღალ ბალახს, თითქოს ყოველი ღერის მაგივრად ავტომატიანი ფაშისტი მდგარიყოს...

ომიდან დაბრუნებულმა გოდერძიმ შვილი ველარ იცნო. მალხაზს ტანი აეყარა, სახე გამოსცვლოდა, მამისნაირი ქოჩორი ამოსვლოდა, მხრაც თამამი გახდომოდა და თვალებიც ჭკვიანური უჩანდა. მაგარი, ტანჩასხმული, ბოტა ბიჭი დამდგარიყო იგი.

პირველი რაც გოდერძიმ გაიგონა, შვილის ქება იყო. მესამე კლასელი მალხაზი საუკეთესო ფრიადოსნად ითვლებოდა და ამ დინჯ ბიჭუნას ყველა ემადლიერებოდა. მისი მასწავლებელი, ყორბესაანთ ნატო, ხომ მოწაფის ქებით ვერა ძღებოდა.

...დილაადრიან, როცა გულაფართხალებულმა გოდერძიმ ოთხი გრძელი წლის წინ მიტოვებული სახლის კარი შეაჭრიალა, სამხედრო ფარაჯა, ჯარისკაცულ ზურგჩანთასთან ერთად სკივრზე მიაგდო და ხმამაღლა დაიძახა, — მალალოო, უკანა ოთახიდან გაფითრებული, გულაჩქროლებული ცოლი გამოვარდა. დაინახა თუ არა ასე მოულოდნელად დაბრუნებული ქმარი, წვრილი ხმით შეჰკივლა და იქვე ფეხი მოეკეცა.

გოდერძი მივარდა, წამოაყენა, გულში ჩაიკრა და დიდხანს კოცნა. მალალო კი მოთქმით ტიროდა, სახეს ცრემლებით უსველებდა და მთლად გაოგნებული ჩანდა.

როგორც იქნა შეუშვა გოდერძიმ ხელი ცოლს და ესოდენ ნაცნობი ოთახი რომ მოათვალიერა, მხოლოდ მაშინ შენიშნა ფანჯარასთან მდგარი პატარა ბიჭუნა: მას ხელი რაფისათვის ჩაევლო და მოთმინებით ელოდა როდის მიაქცევდნენ ყურადღებას.

გოდერძის თითქოს რაღაც ჩასწვიტესო. ბიჭისკენ ნაბიჯი სწრაფად გადადგა და უეცრად გამშრალი ყელიდან ამოწურული არათავისი ხმით შესძახა:

— მალხაზო, შენაა?

— მამაშენი დაბრუნდა, ბიჭო, მიდი!— მეტისმეტად ხმამაღლა შეჰყვირა მალალომ.

ბიჭი როგორღაც გვერდულად წამოვიდა და ვეებერთელა გოდერძის წინ მორჩილად დაუდგა.

გოდერძი დასწვდა, აიტაცა, წუთით თვალწინ გაიჩერა ,მერე მკერდზე მიიკრა, და დიდხანს ყავდა ჩიტივით გატვრენილი ბავშვი გულში ჩახუტებული.

როცა პირველმა მღელვარებამ ჩაიარა და ის, რაზედაც გული არ უთმენდათ, ორთავემ გამოიკითხა, მალალომ საჩქაროდ

სუფრა გაშალა, მეზობლებს გადასძახა, მარნიდან თავკვერით სავსე დოქი გამოიტანა.

ქალი კი არ დადიოდა, დაფრენდა, თან მალულად რიღაცით გაუცხოებულ ქმარს გაჰყურებდა.

მეზობლები შემოლაგდნენ თუ არა, პირველი მოკითხვის აურზაურმა და გულღია ყაყანმა ნამდვილი ორომტრიალი გამოიწვია.

როდის-როდის როგორც იქნა დაცხრნენ, როგორც იქნა მიუჯდნენ სუფრას, როგორც იქნა ყველამ გამოსცალა ხელიდან ხელში გადმოლოცვილი წითელი ღვინით გალიცლიცებული ჯამი და დიდი ხნის დადუმებულმა ზენკლიაანთ ჭერმა გულსავსედ გაიხარა...

მალხაზი გოდერძის გვერდით იჯდა და მდუმარედ შესცქეროდა ამ ჯერ კიდევ უცნობ ზორბა ვაჟკაცს, გახუნებულ გიმნასტურაზე, ბეჭებსა და იღლიებთან, ოფლის კვალი რომ აჩნდა, ასე დიდხანს რომ ელოდნენ და ასეთი ჩვეულებრივი რომ ყოფილა.

— ნამი, — მკლავზე ხელი წაატანა მალხაზმა, — შენა რა, ცუდად ომობდი?

— უი, დამიდგა თვალი, ცუდად როგორ ომობდა, ორჯერ დაიჭრა! ეგ რა სთქვი შვილო? — შეიცხადა მალალომ.

— ცუდად რატომ ვომობდი, ბიჭო?

— მაშ, რატომ მოგცეს მხოლოდ ერთი ორდენი? ეგ დანარჩენი სამი ხომ მედლებია? ზოგსა კიდევა გული სულ მოჭედილი აქვს. აი, ბაბილიძეანთ ანდრომა ბარე თორმეტი ჩამოიტანა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

გოდერძის პირისახე წამოენთო.

ისე გაჰკენწლა შვილის მიამიტმა სიტყვებმა, თითქოს რაღაც დიდი ბრალდება წაუყენესო.

ამაზე გულის კუნჭულში თვითონაც ბევრჯერ უფიქრია...

— ეგა, ბიჭო, მოსვლაზეა. — უხალისოდ წაილაპარაკა მან.

— მოსვლაზე არ არის. — შეუვალად განაცხადა მალხაზმა.

— მაშ რაზეა? — თითქოს შვილს ბოდიშსა ხდისო, ისე ჩაიღიმილა მამამ.

— რაზეა და გმირობაზეა. ნატო მასწავლებელმაც ასე აგვიხსნა. დაჯერებით უპასუხა ბიჭმა.

იქ მყოფნი თითქოს მიუხვდნენ უხერხულობისგან აწრიალებულ გოდერძის და შვილის უსიამო კითხვათაგან დასახსნელად ერთბაშად ახორხოცდნენ.

გოდერძის კი სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს კითხვა-მიგებაც და შვილის ჯიუტი შიტანებაც. უხედნი მოზვერივით მოერკალა მაშინ ბიჭს კისერი და ისე იწევდა მამაზე, როგორც სარქენად გამზადებული მოზვერი.

— ალბათ, იმისი ბრალია, რომ უჩემოდ გაიზარდა. ჯერაც არ შემჩვევია რიგიანად, — ფიქრობდა გოდერძი და იმედი ჰქონდა, რომ უცნაური ბიჭუნა მალე შეეტკბებოდა, აუცილებლად იგრძნობდა ნამის უძირო სიყვარულს.

მაგრამ ბიჭი ისეთივე ეკლიანი და მიუკარებელი რჩებოდა.

ვერა და ვერ იპოვნა გოდერძიმ მასთან მისასვლელი გზები.

ვერ მოარგო გასაღები შვილის გულში შესაღწევ კარს.

წლები კი ელვის სისწრაფით გარბოდნენ.

მამა სამუშაოზე აღამებდა დღეს, მალხაზი წიგნებს ჩაჰკირკიტებდა.

სულ ცოტა ხნით ხვდებოდნენ ერთმანეთს და ორიოდე კითხვის შემდეგ, რომელსაც გოდერძი დაზეპირებულივით აძლევდა შვილს, ორივე ატყობდა, რომ სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ.

მალხაზი ისევე ჩინებულად სწავლობდა. ეს ნაადრევად დაბრძენებული ბიჭი მთელი სკოლის თვალი იყო. სოფელში დიდპატარა ზენკლიაანთ ბიჭს აქებდა (ეს სახელი ახლა მასზე გადმოვიდა).

ჯერ კიდევ მეოთხე კლასის მოსწავლემ, საქართველოს ელექტროფიცირებული რუკა გააკეთა. რუკა საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრესა და მსხვილ საწარმო დაწესებულებებს ანიშნებდა. დააჭერდი თითს ერთ ღილაკს, და სადაც კი ქვანახშირი მოიპოვებოდა, იმ ადგილას რუკაზე პაწია ნათურები აციმციმდებოდნენ. დააჭერდი მეორეს, და მარგანეცის საბადოებს

მიგანიშნებდა. ამნაირად, ყველა ღილაკი თავ-თავისი დარგის მანიშნებელი იყო, ზოგი ღვინის ქარხნებისა, ზოგი ციტრუსების პლანტაციებისა, ზოგი ჩაის ფაბრიკებისა, ზოგიც სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატებისა და ვინ მოსთვლის კიდევ რისი.

მალხაზს ამ რუკისათვის პატარა ნათურები რომ დასჭირდა და ვერ იშოვნა, დედას ფული გამოსთხოვა, რამდენიმე ათეული ჯიბის ელექტროსანთებელა იყიდა, ნათურები დააძრო, ბუდეები და ბატარეები კი სხვენში დაჰყარა. ხარჯს არ დაჰრიდებია, ოღონდ თავისი საწადელისათვის მიეღწია.

გოდერძიმ შეიტყო თუ არა ეს ამბავი, შვილი იხმო, დინჯად გამოელაპარაკა, რუკის გაკეთება მოუწონა, მაგრამ უყაირათიანობისათვის დატუქსა. — ეს იმას ნიშნავსო, — აუხსნა კოპებშეკვრით გამომზირალ, უცნაურად აფოფრილ ბიჭუნას, — რომ ოცი ბატის ფრთისათვის, ოცი ბატი იყიდო,დაკლა, თითოს თითო ფრთა დააძრო, დანარჩენი კი ხორციან-ბუმბულიანად წყალში გადაჰყაროო.

მალხაზმა დინჯად მოისმინა მამის არაკი, დამცინავად ჩააშტერდა თვალებში, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. ასე იცოდა: მოგისმენდა, არაფერს გეტყოდა, გაკეთებით კი ისევ თავისას აკეთებდა.

გოდერძის ძალიანაც არ მოწონდა შვილის ეს თავდაჯერებულობა, მისი მეტისმეტი სიჯიუტე, მაგრამ ატყობდა, რომ ბიჭის გადაჯიშება აგრე ადვილად ვერ მოხერხდებოდა.

თავის კლასელთაგან, პიონერიც პირველად მალხაზი გახდა, კომკავშირშიაც პირველად ის მიიღეს.

მეცხრე კლასში იყო, როცა სტალინი გარდაიცვალა. სკოლა დაამთავრა თუ არა, სტალინის სურათი ნამის უკითხავად კედლიდან ჩამოხსნა.

სახლში დაბრუნებული გოდერძი თვალებს არ უჯერიდა.

— ბიჭო, ეს რა გიქნია, ი, სურათის ჩამოხსნაზე ხელი როგორ შემართე, შე უღმერთო, შენა! — ხმის კანკალით შეეკითხა კუშტად გამომზირალ შვილს.

— მამაჩემო, ცხოვრებასა მხარ და მხარ უნდა მიჰყვე, არ უნდა ჩამორჩე. გასწრებით შეგიძლიან გასწრო, მაგრამ ჩამორჩენით არა.

— ჭკუასაც მარიგებ, განა?

— არ კი გარიგებ, რჩევას გაძლევ!

— დამეკარგე აქედან, შე ცინდლიანო მამაძაღლო, — თოფის წანალივით იფეთქა გოდერძიმ.

შვილისკენ ფეხი წადგა, უნდოდა ალიყური ეტკიცა, მაგრამ უკანასკნელ წამს თავი შეიმაგრა და გაგულისებული, მძიმედ მსუნთქავი, სახელეწილი კარში გავიდა. კი არ გავიდა, გავარდა.

— აგრე არ უნდა მოვქცეოდი, — მაშინვე დაინანა მან, — ჯეელია, რა იცის, რასაც ჩასძახებენ, იმას ამოიძახებს. ჭკუა უნდა დამერიგებინა, ადამიანურად დავლაპარაკებოდი. მე კიდევა ისე ჯიქურად შევუტიე, ალბათ, ვერც კი გაიგო რისთვის გავუჯავრდი... ანდა რა მაგის ბრალია, იმ მანაცხონებულსა ყველა გადაუდგა და მაგან რა ქქნას?.. ისე კაცმა რომ თქვას, იმ ცხონებულმა ცოდოც ბევრი ქნა და მადლიცა... შეიძლება, მართალიც იყვნენ... ე, ბიჭი კი ტყუილად დავტუქსე.

მერეც ბევრჯერ უფიქრია ამ შემთხვევაზე გოდერძის.

დილით, როცა გოდერძი წინა ოთახში გავიდა, მალხაზი სუფრას მისჯდომოდა და რძესა სვამდა. დროზე ადრე იცოდა სკოლაში წასვლა. გოდერძი მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა. მერე საჩვენებელი თითი ნიკაპქვეშ ამოსდო და თავი მაღლა აუწია, თვალებში ჩახედა.

ბიჭი არ გაძალადიანებია. მამას თავისი თაფლისფერი თვალები შეანათა, მაგრამ ამ თვალებში გოდერძიმ ვერც ის სიყვარული ამოიკითხა, რომელიც ასე სწყუროდა, და ვერც ის სითბო იგრძნო, ბავშვების თვალები რომ ასხივებენ, — სანამ წლებისა გამო გული გაუხაკვდებათ და მზერა გაუცივდებათ.

— რატომა ხარ აგეთი ეკლიანი, შე მამაძაღლო, შენა, — ალერსიანად, თუმცა გულჩაწყვეტილად უთხრა ბავშვს და გვერდით მიუჯდა, — ხომ არაფერი გაწუხებს, ბიჭო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უნდა მაწუხებდეს? — თამამად და, როგორც გოდერძის ეჩვენა, ცოტა გამომწვევად უპასუხა შვილმა, თანაც უფრო მტკიცედ შეხედა.

— რა ვიცი, კაცნი ვართ, შენც უკვე კაცებში წერიხარ.. თუ რამე დაგჭირდეს, ხომ იცი, შენთვის არაფერს დავიშურებ. ვინა მყავს შენს მეტი. შენა ხარ ჩემი დღევანდელი დღეცა და ხვალინდელიცა... — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოულოდნელად ყელში რაღაც მწარე მოაწვა, ხელი ჩაიქნია და წამოდგა.

ეს იყო პირველი მძიმე საუბარი შვილთან. შვილთან, რომელიც ესოდენ პატარა და უსუსური დატოვა, ახლა კი ასეთი დიდი და ეკლიანი რომ განხდარა.

— ალბათ, ჭკუისაგანა სჭირს, თანდათან მოლბება. — თავი ინუგეშა გოდერძიმ.

შვილისგან ჩამოხსნილი სტალინის სურათი კედელზე აღარ დაუკიდია. ქაღალდში ფრთხილად გაახვია, ამოიღლიავა და სამსახურში წაიღო.

დიდხანს ურჩია ადგილი. ბოლოს, შემოსასვლელი კარის პირდაპირ დაჰკიდა.

სტალინის სურათს ბაზის თანამშრომლები სხვადასხვანაირად შეხვდნენ.

ფრონტზე ფეხდასახიჩრებულმა მიშამ უყურა, უყურა, და დანანებით წარმოთქვა:

— ჰაი, გიდი აბასთუმან! — შეტრიალდა და წავიდა.

დილიდანვე არაყნახუხმა ბაგრატამ გაკვირვებისგან წარბები შეჰყარა:

— კაცო, სხვები ხსნიან და შენა ჰკიდებ? — ცოტა ხნის შემდეგ კი შემარიგებლურად დააყოლა: — გეკიდოს, მაგრამა ნეშინიან, არაფერი მოიწიო, არ გისაყვედურონ. ხომ იცი, ჩვენა შენგნივა ვჭამთ ლუკმასა. შენ რომ რაიმე მოგივიდეს, ჩვენც დავზარალდებით...

სერგოს, ეტყობა, თავის თანაშემწეებისაგან შეეტყო სურათის ამბავი. გოდერძის კაბინეტში შემოვარდა, სურათს კისერწაგრძელებით დააცქერდა, მერე მუხლებზე ხელები დაიტყაპუნა და შეჰყვირა:

— ვაჰ, ეს რა გიქნია!

— ეი, მუტრუკო, შენ რა იცი მაგის ფასი! — უბოროტოდ მიუგდო მამაჯანთვის გოდერძიმ და სურათისკენ კისერი მიიღრიცა, — ეკიდოს ეგრე, ვის რას უშავებს?

ისაკას კი სურათისათვის თვალი არ გაუსწორებია. ერთხელ ახედა წარბქვეშიდან და მაშინვე მზერა აარიდა. ნოღუშული, შუბლშეკრული უხმოდ იჯდა და უხმოდვე წავიდა. მხოლოდ მეორე დღეს უთხრა თავისი სათქმელი:

— ცხოვრებას არ უნდა გადაუდგე. აგიყოლიებს, — აჰყევი, დაგიყოლიებს — დაჰყევი, ჩაგიყოლიებს — ჩაჰყევი. თუ გაუჯიუტდი, უფრო ადრე დაგახრჩობს, ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა...

— ეჰეი, რამდენი მტერი გყოლია, შე კურთხეულო, შენა. ანდა როგორ გაუძელი ამდენსა? — უთხრა გოდერძიმ სურათს და ახლა სულ სხვაგვარად წარმოუდგა შვილის საქციელი: ეტყობა, ჭეშმარიტება მართლაც ყრმათა პირით ღაღადებსო, — გაიფიქრა მან.

ყველაზე მეტად კი გოდერძის ის უძნელდებოდა, რომ ვერა და ვერ გაეგო რასა ფიქრობდა შვილი, ან რა აზრისა იყო იგი მამაზე. ბევრჯერ სცადა ბიჭის გულში ჩახედვა, მაგრამ მალხაზი ისეთი გულჩათხრობილი გამოდგა, ვერც სიტყვა დააცდენინა, ვერც გრძნობა გამოამჟღავნებინა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვერ უგებდა მამა-შვილი ერთმანეთს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მალხაზმა საშუალო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა და თბილისის უნივერსიტეტში აპირებდა საბუთების შეტანას.

სკოლაში განსაკუთრებით ფიზიკა და მათემატიკა აინტერესებდა და ყველას ეგონა, რომ ამ ორი დარგიდან ან ერთზე შევიდოდა, ან მეორეზე. მაგრამ რაოდენ დიდი იყო ყველას გაოცება, როცა მალხაზმა ისტორიული ფაკულტეტი აირჩია.

— ბიჭო, — გამოელაპარაკა ნავახშმევს გოდერძი, — ისტორია მაინცდამაინც არასოდეს გყვარებია და ახლა რამ შეგაცვლევინა აზრი?

— მამაჩემო, კარგი და ცუდი მეცნიერება არ არსებობს. ყველა კარგია, თუ ძალა გერჩის. მე ახლა ისტორიისკენ მიმიწევს გული.

— ასე ამბობენ, ფიზიკას ახლა დიდი მომავალი აქვსო. კადრიც ყველაზე მეტი იქა სჭირდებათო.

— ეგა, ალბათ, ისაკა დანდლიშვილმა გასწავლა არა?

— რა უხიაკი პასუხები იცი, ბიჭო, ნეტავი რათა ხარ ეგეთი... ეგეთი... — გოდერძიმ სიტყვა ვერ მოძებნა და მძიმედ ამოიქშინა. — შენოდენა რომ ვიყავი, უფროსისათვის სიტყვა არ შემიბრუნებია.

— მამიჯან, როგორიცა ვარ, ეგეთი ვარ, და რა ვქნა!?

არც ეს იყო მაინცდამაინც საკადრისი პასუხი. ასეთი ასაკის ბიჭისათვის იგი შეუფერებლადაც ჟღერდა, მაგრამ გოდერძი ამას აღარ გამოდევნებია. როცა შვილი „მამას“ დაუძახებდა (რაც მეტად იშვიათი იყო), მას მაშინვე გული მოულბებოდა ხოლმე. ახლა კი ბიჭის პასუხში რაღაც ტკივილიც იგრძნო.

— მე შენთვის ვამბობ, შვილო, შენი სიკეთისათვის, თორემ მე და დედაშენს არც ფიზიკა გვჭირდება და არც ქიმია.

— ჩემი სიკეთისათვის ავირჩიე, აბა, მაშ რისთვის?...

— ვითომ რა სიკეთეს მოგიტანს, დიდი-დიდი მასწავლებელი გამოხვიდე, მეტი რა?

— როგორ თუ რა? რაც გინდა! ხელმძღვანელი კადრის უმეტესობა ისტორიკოსები და იურისტებია!

— ვინაა?

— ხელმძღვანელი კადრები-მეთქი.

მხოლოდ ახლა მიხვდა გოდერძი საით უმიზნებდა მისი ჯიუტი ბიჭი.

„აი თურმე რა სდომებია, უყურე ერთი ამას“, — ფიქრობდა გაოცებული გოდერძი.

ეტყობა, მართლაც ჩამორჩა ცხოვრებას, რადგან აქამდე ასე ეგონა, ხელმძღვანელებს საგანგებოდ კი არ ამზადებენ, არამედ თვით ცხოვრება აწინაურებსო. ჯერ კარგი სპეციალისტი უნდა გახდე, მერე თუ ნიჭი და უნარი გამოიჩინე ხელმძღვანელადაც გაგხდიან.. ეს კიდევა ახლავე ხელმძღვანელობაზე ოცნებობს და დარგსაც კი ამის მიხედვით ირჩევს!.. მაგრამ ერთი მაინც ცხადი იყო: მიამიტი ბიჭი ეგონა და ეს კი თურმე, ნუ იტყვი, რა-შორიდან უკაკუნებს ცხოვრებას!.. აი, მახლას, მახლას...

ამ შემთხვევის შემდეგ გოდერძიმ უფრო გულდაგულ დაუწყო შვილს თვალთვალი; იჭვნეულად აკვირდებოდა, ყოველ წვრილმანს იმახსოვრებდა, იაზრებდა, მისი ხასიათის შეცნობას ცდილობდა.

ეშინოდა ისეთი არაფერი გამოჰპარვოდა ბიჭის ქცევაში, რაც შემდეგ გამოუცდელ ყმაწვილს შესაძლოა ძვირად დასჯდომოდა. მაგრამ მალხაზს არაფერი ეშლებოდა, ყოველივეს გონივრულად, წინდახედულად აკეთებდა. თვით დაუფიქრებელი სიტყვა თუ საქციელიც კი ისეთი გამოსდიოდა, გეგონება დიდი ხნის მოფიქრებული აქვსო.

არ მოსწონდა გოდერძის შვილის ესეთი უშეცდომობა, ყველაფერში წინასწარ გამიზნული საქციელი.

უკვირდა, ასე რამ დასცალაო ჭაბუკურ ვნებათა ღელვისაგან, ახალგაზრდული ცდუნებებისაგან, ამ ასაკისათვის უჩვეულო გატაცებებისა თუ ჭირვეულ სურვილთაგან.

საოცრად თანაბარი, აუღელვებელი, გარეგნულად მშვიდი, მაგრამ შინაგანად დადარაჯებული ზნე ჰქონდა ზენკლიაანთ ჭაბუკს.

— ან ძალიან შორს წავა, ანდა დაკოდილ ბოჩოლას დაემსგავსება, — წუხდა გოდერძი, რადგან არც ერთი სურდა შვილისათვის და არც მეორე.

მედალოსნის ატესტატით უნივერსიტეტში რომ ჩარიცხეს და თბილისში გასასტუმრებლად ამზადებდნენ, გოდერძიმ შესთავაზა: — მეც წამოგყვები, იქ ოთახს გიქირავებ და დაგაბინავებო.

მალხაზმა ცივი უარი სტკიცა მამას. როგორც ყველა, ისე მეო. ამხანაგებს რად უნდა გამოვეთიშო, საერთო საცხოვრებელში მოვეწყობიო. არაფერმა არ გაჭრა, მართლაც საერთო საცხოვრებელში დაბინავდა.

ხუთი გრძელი წლის მანძილზე მხოლოდ წელიწადში ორიოდე თვით ჩამოდიოდა საზაფხულოდ სამებაში.

შვილს დანატრებული გოდერძი და მა-

ლალო ხულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე უფრო მეტ ხანს დარჩენილიყვნენ მასთან, მაგრამ მალხაზი უკანა, ნახევრადბნელ ოთახში ჩაიკეტებოდა ხოლმე და ან გამუდმებით წერდა ანდა თავაუღებლად კითხულობდა.

წიგნებით სავსე ჩემოდანს ჩამოიტანდა თბილისიდან და სანამ დანიშნულ „ნორმას“ არ შეასრულებდა, არავის დაენახვებოდა. ყველაფერი ზუსტად დაგეგმილი ჰქონდა, დღის განრიგიც, მუშაობის მიმდევრობაც, წასაკითხი წიგნებიც და ძილის დროც.

— ნეტავი ვის გამოემგვანა ეს მამაძაღლი, — ხელებს შლიდა გოდერძი, — ჩვენს გვარში მწიგნობარი და მწერალი არავინ გვყოლია. არც შავდათუაანი ყოფილან განათლებული, ეს კიდენა...

— ოჰ, ჰო, ჰო, რა მაცადინია, რა მაცადინი, დედა ენაცვალოს მაგასა, — იკვეხნიდა მეზობლებში მალალო, — სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებს, ძალისძალათი თუ ავაგლეჯ ხოლმე, პური რომ ჭამოს. ნეტავი რა აძლევს ასეთ გაძლებასა?...

— ალბათ, მეცნიერი უნდა გამოვიდეს. — მარჩიელობდნენ მეზობლიანთ ქალები.

როცა მალხაზი სამებაში ჩადიოდა, გოდერძი უფრო აფორიაქებული და მოუსვენარი ხდებოდა.

— არ მომწონს ამ ბიჭის საქციელი,— მრავალჯერ შეუჩივლია მალალოსათვის ძილდაკარგულ მეუღლეს, — ყმაწვილი კაცია და ჯერ გოგოსთან დალაპარაკებული არ მინახავს. ქალაქშიაც თურმე ასეა, აღკვეცილი ბერივითა!.. რო არც მეგობრები ყავს? გაგიგია, ქალო, უმეგობრო კაცი, ისიც მაგის ასაკშია? ეჰ, რაღაც უბედურებაა ჩვენს თავსა...

— ნუ იცი, ადამიანო, ასეთი ლაპარაკი! არაფერი მოიწიო შენივე ტარტარითა, განგებას ნუ სცოდავ... ჯერ ჯეელია, წიგნებმა გაიტაცეს. აი, ნახე როგორ ყველაფერს შეისრულებს. აბა, შეხე რა ვაჟკაცია, ყველას თვალი ზედა რჩება... ქალაქშიც ბერივით არისო, რო ამბობ, მე სხვა ცნობა მაქვს...

— კარგი ერთი, მამა ნუ წაგიწყდება, რაც აქ არის, იქაც ის იქნება. კაცსა კოჭებში ეტყობა კაცობა. სად გაგონილა, სოფელში ერთი იყოს და ქალაქში მეორე?

— ვიცი, ნამდვილად ვიცი, ვიღაც პროფესორის ქალი ყოლია შეგულებული. აბა, რა ქნას, ყველას ხომ ვერ გაუყადრებს თავსა, აბა შეხედე, რა ბიჭი დადგა!

— მამა უცხონდა, ვერ გაუყადრებს, დიდი მუხრან-ბატონი ეგა მყავს!

მალხაზი კი მართლაც ლამაზი ბიჭი დადგა. მაღალი, მხარბეჭიანი, მამისნაირი ღონიერი კისრით და დედისეული თაფლისფერი თვალებით. თეთრყირმიზა სახე შავად მომშვილდული წარბები და მაღალ შუბლზე ჩამოცოცებული წაბლისფერი ქოჩორი, ისეთ მარილიან შესახედაობას სძენდა, რომ მისი მშვიდი სახე პირველ ნახვისთანავე გამახსოვრდებოდა.

ამაყი სიარული იცოდა, მკერდგაშლით, კისრის კოხტა მორკალვით, ფეხების ოდნავ განზე გადგმით. ისე ლაღად მოდიოდა, გეგონება, მთელი ქვეყნის თვალი ყოფილიყო... თან ცოტა ბეჭებს არხევდა, ალბათ, თავპატიჟისათვის.

არც ეს მოსწონდა შვილისადმი იჭვნეულ გოდერძის: — მაგის ხნისათვის თავი მეტად მაღლა-მაღლა მიაქვსო. ხალხი ყველაფერს გაპატიებს, გარდა გლახა ამპარტავნობისა. ეგეთი თამამი წიწილა ქორს პირველი მიაქვსო, — ჩაფიქრებით ამბობდა იგი.

მაგრამ მალხაზი აინუნშიაც არ აგდებდა არც მამის გაფრთხილებას, არც დედის თხოვნას. სოფელში ყველას ზემოდან დასცქეროდა და საშინელი უკარება იყო.

მალხაზის უნივერსიტეტში სწავლის მანძილზე კი სამებამ დიდი ცვლილებები განიცადა.

სოფელსაც იერი ეცვალა და ხალხიც სხვანაირი გახდა.

ყველაფერი თვალსა და ხელს შუა სხვაფერდებოდა: სახლებიც, ქუჩებიც, ადამიანებიც.

რაიკომის ახალი მდივანი, ვახტანგ პეტროვიჩი, ძალიან ენერგიული და მონდომებული ხელმძღვანელი გამოდგა. სამების მთავარ ქუჩაზე ასფალტი დააგებინა, სკვერები გააშენებინა, ლამპიონები გაამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წკრივა. რაიკომსა და ალმასკომში ძველები დახსნა, ახლები დანიშნა. ისე დღე არ გავიდოდა, რაიმე ღონისძიება არ ჩაეტარებინა. გაზეთებისა და რადიოს კორესპონდენტებს თბილისიდან ეპატიჟებოდა, და ძალიან ხშირადაც ჩამოყავდა. ამის წყალობით ცენტრალურ გაზეთებში სამების შესახებ ხშირად იწერებოდა კორესპონდენციები და წერილები (რა თქმა უნდა, ფრიად დადებითი და მაქებარი!).

ვახტანგ პეტროვიჩს განსაკუთრებით მიტინგები უყვარდა. ლაპარაკი კარგი იცოდა და შემთხვევას არა ტოვებდა სიტყვა არ წარმოეთქვა. მოხსენებებსა თუ სიტყვებს ხან პროპაგანდის განყოფილების გამგე უწერდა, ხანაც ალმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

პურმარილიანი კაციც იყო, სმაც კარგი შეეძლო და თამადობაც. ისეთ ბანკეტებს მართავდა, ალბათ თბილისის საუკეთესო რესტორნებსაც შეშურდებოდათ. თბილისიდან არქიტექტორები და მხატვრები ჩამოიყვანა. ერთი დიდი წყარო, შესანიშნავი ვეებერთელა ძეგლი და მარმარილოთი მოპირკეთებული ორი ისეთი რესტორანი წამოჭიმა, ალუმინის კარფანჯრებით, უზარმაზარი სარკისებური მინებით, რომ შორეული რაიონებიდანაც კი მოდიოდნენ მათ სანახავად და სამებური პურმარილის დასაჭაშნიკებლად.

მართალია, ხმა გავარდა ამ რესტორანთა მშენებლობაზე ფულის გადახარჯვისათვის ვახტანგ პეტროვიჩს საყვედური გამოუცხადესო, მაგრამ განა ორი დიდებული რესტორანი ერთი საყვედურის ფასად აღარა ღირდა?

სამების მთავარ ქუჩაზე ვებერთელა მოზაიკური პანო დაადგმევინა. მართალია, ვერც ერთი ნიჭვედრილი კაცი ვერ მიხვდებოდა რა ეხატა ამ უცნაურ პანოზე, მაგრამ ისეთი ბრჭყვიალა იყო, თვალს ისე ჭრიდა, რომ ყოველი გამვლელ-გამომვლელი კისერმოღრეცით შეჰყურებდა უცნაურ სურათს, რქებზე სანთლებდანთებული ხარებით, აკიდობიანი გლეხებით, გალაჯული დედაკაცებით, ფიროსმანისებური ბატკნებით და ცოცხისებური ხეებით.

ვახტანგ პეტროვიჩის ხელმძღვანელობის პერიოდში რაიონმა საგრძნობლად წინ მოიწია.

სამებელთა სასახელო საქმეებზე თითქმის მთელი საქართველო ალაპარაკდა.

მართალია, რაიონის მაღაზიებში არც რძე იშოვებოდა და არც კვერცხი, არც ხორცი და არც ბოსტნეული, მაგრამ ყველა ამათი გეგმა ვახტანგ პეტროვიჩის მეთაურობით დიდი გადაჭარბებით იყო შესრულებული. ამისათვის პრემიებიც კი დარიგდა და თვითეულმა პრემირებულმა ისეთი მაღარიჩი გადაიხადა (რა თქმა უნდა ვახტანგ პეტროვიჩის თამადობით), რომ სუფრას არც ჩიტის რძე აკლდა და არც რაიონული კულტურის სახლის მოსამღერლები.

სამებაში რამდენიმე დიდი მშენებლობაც წამოიწყეს. მართალია, ზოგიერთ მათგანში მსხვილი გაფლანგვა აღმოაჩინეს, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია, ორიოდე ბუღალტრის გულისათვის მშენებლობას ხომ არ შეკვეცავდნენ?

ვახტანგ პეტროვიჩი თავისი შავი „ვოლგით“ გოდერძის აგურის ქარხანაშიც მისრიალდა. საწარმო გულდასმით დაათვალიერა, გოლიათი ავებულების დირექტორიც მოიწონა და მისი საქმიანობაც.

მდივნის თანმხლები პირების წათამამებით, გოდერძიმ რაიკომის შავი „ვოლგა“ მალალოსთან აფრინა, მერე კი გაფოთლილი ცაცხვების ჩრდილში ისეთი პურმარილი გაშალა, სტუმრები სულ თითებს ილოკავდნენ.

ძველებურად მოილხინა მაშინ გოდერძიმ. თავისი ნაქები „მეტივურიც“ შემოსძახა, გლეხკაცური ლეკურიც დაუარა, დარდიმანდულადაც ითამაშა, აუარებელიცა სვა და ისე მოხიბლა ვახტანგ პეტროვიჩი, რომ თავკერძით შეეინებულებული, პატივით გულაჩუყებული რაიონის ხელმძღვანელი განუწყვეტლივ ლოშნიდა აგურის ქარხნის დირექტორს და ცაცხვების სურნელებით დაბნედილს, იქაურობა „ნამდვილ სამოთხედ“ ეჩვენებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გოდერძიმ ბარათი მიიღო. მდივანი თავის „კოტეჯისათვის“ აგურსა თხოვდა. გოდერძიმ პასუხი არ დაუგვიანა, — მეორე დღესვე ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებოდ გამომწვარი და საგანგებოდ არჩეული აგური.

შემდეგში, კიდევ ორჯერ თუ სამჯერ მიიღო ასეთივე ბარათები და არც მაშინ დაუხანებია შიგ ჩაწერილი თხოვნის შესრულება.

მართალია, ბარათის გამომგზავნთ ფულის გამოგზავნა ავიწყდებოდათ, მაგრამ ამ „გულმავიწყობამ" კიდევ უფრო მეტი სარგებელი მოუტანა გოდერძის: მისი სახელი, როგორც წარმოების კარგი ხელმძღვანელისა, სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა და წელიწადიც არ იყო გასული ვახტანგ პეტროვიჩის რაიონში მოვლინებიდან, რომ ზენკლიშვილი ახლად გახსნილი „ლესსტროიტორგის" ბაზის მმართველად დააწინაურეს, თანაშემწეებად კი ისაკა და სერგო დაუნიშნეს.

გოდერძი მანამდე არც ერთ მათგანს არ იცნობდა, მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩმა დაამშვიდა: — ნუ გეშინიან, ორივე სანდო პირია, კარგადაც შეეწყობით ერთმანეთსაო.

ასეც მოხდა. ბრძენი იყო ვახტანგ პეტროვიჩი.

გოდერძი რომ ბაზის მმართველად დააწინაურეს, მალხაზი მესამე კურსზე სწავლობდა.

ჯერ კიდევ თბილისში შეიტყო მან მამის ახალ ადგილზე დანიშვნა, მაგრამ ვითომც არ შეეტყოს, ერთი სიტყვითაც არ გამოხმაურებია ამ ამბავს, ვერ გაიგებდი, იცოდა, თუ არა.

ზაფხულის არდადეგებზე სამებაში რომ ჩავიდა, მხოლოდ ერთი მისალმებით გამოამჟღავნა საქმეში ჩახედულება:

— ბაზის მმართველს გაუმარჯოსო, — ღიმილის მინაგვარი ტუჩების ბრეცვით წარმოთქვა მან მამასთან შეხვედრისას და თან ჩამოტანილი გაზეთების ფურცვლას შეუდგა.

მალხაზს არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ოჯახს უკვე დასტყობოდა გოდერძის „დაწინაურება". ოთახში ახალ-ახალი პრიალა მაგიდა და ექვსი მწვანე მაუდგადაკრული კოხტა სკამი იდგა. კედელთან რიგის სარკისშუშებიანი სერვანტი აყუდებულიყო. კუთხეში საგანგებო პატარა მაგიდაზე ტელევიზორი გაჩენილიყო. ბუზების-გან კვალდამჩნეული ერთი ნათურის მაგიერ, ლამფაკრული ჭერის შუაგულში, ძველისძველ ჟანგიან კაუჭზე ლამაზი ჭაღი კაშკაშებდა.

პირდაპირ გასაკვირი იყო, რა მოთმინება ეყო ამ ახალგაზრდა კაცს, რათა ერთხელაც არ ეკითხა, ერთხელაც არ გამოეხატა სიხარული თუ არა, უბრალო სიამოვნება მაინც, ახალი ნივთების შეძენის გამო.

ისე შეუდგა გაზეთების კითხვას, ვითომც არაფერი შეემჩნიოს. ეგ იყო მხოლოდ, პრიალა მაგიდას ხელი გადაუსვა, ჭაღი აანთო, მერე ისევ ჩააქრო და ტელევიზორის გადასაყვანი დააჩხაკუნა.

ნალალომ ვეღარ მოითმინა:

— როგორ მოგწონს, დედა გენაცვალოს, ეს ახალი ნივთები, მამაშენმა ჩამოატანინა!...

— ეჰ, დედაჩემო, შენ ნამდვილი ნივთები არ გინახავს და არც ნამდვილ ოჯახებში ყოფილხარ, თორემ ეს არ გაგაკვირვებდა, — ცივი წყალი გადაასხა შვილმა.

— თბილისში არ ვიცი, — თქვა გაკუწულმა მალალომ, — სამებაში კი, უკეთესი ცოტას უდგას..

— ბედნიერი ხართ შენა და მამაჩემი, სამებით ზომავთ ყველაფერს და სამებისავე მასშტაბებით აზროვნებთ.

მალალომ არ იცოდა რა იყო მასშტაბი, ამიტომ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „სამების მასშტაბებით აზროვნება", მაგრამ იმას კი ადვილად მიხვდა, რომ შვილმა გაატრიზავა თავისი მშობლები და გონების სივიწროვე უსაყვედურა.

— რა ვქნათ, ბიჭო („ბიჭოს" მხოლოდ მაშინ ეძახდა, როცა სტუქსავდა, ან ნაწყენი იყო), მე და მამაშენი ძველი ხალხი ვართ. შეიძლება ახლისა ბევრიც არა გვესმოდეს რა, მაგრამ თვითონ თუ იცი, — გვითხარი, გვასწავლე, დაგვაკვალიანე. შენ კიდევა, პირში წყალი ჩაგიგუბებია და, აბა, საიდან მივიხვდეთ რა გინდა?

— მე რაც მინდა, იმას თვითონ მივაღწევ...

— ჩვენ რომ შემოგეშველოთ, უფრო ადვილად არ მიაღწევ?

— რანი ვართ ჩვენ ერთად, იცი დედაჩემო?

— ჰო, ვითომ რანი ვართ? აღარ დაგედგომება ჩვენთან, არა?

— კიბორჩხალა, გედი და ნემსიყლაპია!

— უი, ჩასკდა აჰანდე შენი გლახა ამპარტავანი გოგრა! რა უხიაკი ლაპარაკი იცი შე, მართლაც მამაძაღლო, კიბორჩხალაც შენა ხარ, გედიცა და ნემსიყლაპიაცა! ასე გგონია, მარტო მაგ წიგნებით გახდები კაცი. წიგნიერიც ბევრი მინახავს, მაგრამ კაცად მაინც არა ვარგებულა... — და გაბრაზებულმა მალალომ კარები გაიჯახუნა.

იცოდა დრო და დრო გაჯავრება შავდათუაანთ ქალმა, ტყუილად როდი უჩქეფდა ძარღვებში კაკოლას სისხლი.

მაგრამ აღარც მალხაზი გახლდათ მთლად ჩუმი და მიამიტი სოფლის ბიჭი. ქალაქს გაეხედნა, უფრო ცბიერი გაეხადა, ფლიდობაც ესწავლებინა. დედის გულის მოლბობა კი ადრევე კარგად იცოდა. ეხლაც ასე ნოიქცა: დაედევნა, წელზე ხელი მოხვია, ლოყაზე აკოცა.

მალალო მაშინვე დაღნა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა, ლამის ატირდა. არ იყო დაჩვეული შვილისგან ალერსს.

— აი, შენ დედაჩემო, ის გეწყინა, რომ ნივთები არ შეგიქეთ. იცი რატომ არ შეგიქეთ? ისეთი ნივთები და ისეთი ოჯახები გავიცანი ამ ბოლო დროსა, შენა და მამაჩემს სიზმრადაც არ გინახავთ. მარტო ერთი ჩემი კურსელის მშობლების ბინა უნდა ნახო, უნახავს გაგხდის!...

— აი, ისა, ლამაზი გოგო რომ არის? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა მალალომ.

— ჰო, შენ რა იცი?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი. — იმავე ორაზროვანი ღიმილით მიუგო დედამ, — მამამისი ინჟინერიაო, ტრესტის მმართველი?!..

— ახლა, დედაჩემო, სხვა დროა. ხალხმა მიდგომ-მოდგომა ისწავლა, უფრო ფხიანი გახდა, ძალა მოიცა, ქონიც მოიდო. ისეთი ოჯახები გაჩნდა, ყველაფრით საფსე არიან ყელამდე. უნდა ნახო, რა ნივთებს შოულობენ, როგორ აცვიათ, სად არ დადიან! საზღვარგარეთ ისე მოგზაურობენ, შენა და მამაჩემი იმდენჯერ თბილისში არა ყოფილხართ... ახლა ბინების კოოპერატიული მშენებლობა გაჩაღდა. მარტო ვაკეში ასამდე კოოპერატივი შენდება, მერე რა ბინებია! ხუთოთახიანებიც კი არის! ხალხი გამდიდრდა. იმდენი ფული შესდით, პირდაპირ გაგიკვირდება. თქვენ კიდენა ექვსი სკამი გიხარიათ, არათუ გიხარიათ, გინდათ სიხარულით მეც ფეხზე აღარ ვიდგე!...

რა ვქნათ, შვილო, მე და მამაშენი სოფლელი ხალხი ვართ, ქალაქელებს სად გამოვეკიდებით, ან როგორ უნდა გავეჯიბროთ? ჩვენა, ჩვენს კვალობაზე რაც შეგვიძლიან...

— რაც შეგიძლიათ! რატომაც არ შეუძლიან? აგურის ქარხანას მიაკლა თავი და რა გამოვიდა? — თვითონ სახლი არ უდგას! განა ეს სახლია? ახლა, ვეებერთელა ბაზა ჩააბარეს და რა გამოდის, აქვს რაიმე სარგებლობა? მაგისთანა ადგილი რომ მიიღონ, ფულს იქით აძლევენ. მამაჩემმა კი მუქთად მიიღო და ისიც არ იცის როგორ მოიხმაროს. ხალხი ორ-ორ სახლს იშენებს, ერთსა — სოფელში, ან აგარაკზე, ერთსაც — თბილისში. ჩვენ კი ერთიც არა გვაქვს ხეირიანი... შენ კიდევ ანბობ რატომ მხიარული არა ხარო, გულჩათხრობილი რატომა ხარო, ესაო, ისაო, ეეჰ...

მალალო პირდაღებული უსმენდა შვილს. ამდენი სიტყვა ერთად მისგან თქმული, ისიც ასე ცხარედ, ასე მღელვარედ, ჯერ არა სმენია. თითქოს გონება გაეხსნა, თითქოს მხოლოდ ახლა აეხილა თვალები, მხოლოდ ახლა დაინახა ქვეყანა.

აი, თურმე რა აწვალებდა მალხაზს! ხალხი დამდიდრებულა, ქვეყანა წინ წასულა და მხოლოდ ზენკლიაანი ტკეპნიან ერთ ადგილს!

და, განა, მათ სოფელშიაც ასე არ არის? კოლმეურნეობის ახალმა თავმჯდომარემ, ჩამოსვლა ვერ მოასწრო, და ორსართულიანი სახლი წამოჭიმა, რაიკავშირის თავმჯდომარემ იმოდენა დევერხანა სახლი სულ თუთიათი გადახურა. ახლა მჭედლიაანი, გოგიჩაანი, საზანდრიანი, რონაანი, ბაბლიძიანი, მეხრიანი! ერიჰა, რა ქონება დააგროვეს, რანაირად მოეწყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, ვინ დათვლის ჯერ მარტო სამებაში რამდენი ახალი სახლი წამოიმართა, უბრალო კი არა, აგურისა, თეთრი თუთიათი გადახურული, მოზაიკის კიბეებითა, განიერი ფანჯრებითა, შემინული ლოჯიებითა, მარან-სარდაფითა, შიგნიდან პარკეტითა, კაფელითა, თბილი ფეხსალაგითა, ცხელი აბაზანებითა.. და მალალოს ლაშის სუნთქვა შეეკრა...

— ჩვენა? ჩვენა კიდენა ამ ბიჭს შევცქერით და გვიკვირს რატომ არ იცინისო, რა გააცინებს, დედა ენაცვალოს, გულში საკირე ჰქონია და ვერა ვხედავდით, საკირე, ნამდვილი საკირე!..

გოდერძი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ნასვამი მობრძანდა.

რაც ბაზაში მუშაობა დაიწყო, კვირაში ხუთი დღე მაინც შეჭიკჭიკებული ბრუნდებოდა სახლში,. მოვიდოდა თუ არა, მისთვის წინასწარ მოწზადებულ მაწვნის ქილაში პურის საჭრელ დანას ჩაჰყოფდა, დინჯად ადღვებდა, მერე მოიყუდებდა და სანამ ქილას არ გამოათავებდა, ტუჩებიდან არ მოიშორებდა.

ახლაც ქშენით გამოათავა ნახევარჩარექიანი, მაგიდაზე ბრახუნით დადგა და ლოგინზე ჩამოჯდა ფეხსაცმელების დასახდელად. მალალო უკვე დაწოლილიყო, საბანი თავზე წაეხურა.

ეს ცოტა არ იყოს ეუცხოვა გოდერძის. რაც თავი ახსოვდა, ცოლი ლოგინში არ დახვედრია, გარდა იმისა ავად თუ იყო.

— დედაკაცო, — შეეხმიანა გოდერძი, — რა, ძილქუში დაგაწვა?

მალალომ ხმა არ გაიღო. თავი მოიმძინარა.

„...ხელსახოცსაც გადმოგიგდებ“... — წამოიწყო გოდერძიმ ციციაანთში გაგონილი ძველის-ძველი სიმღერა. კრინით მღეროდა, ეტყობა, კარგ გუნებაზე იყო.

მალალომ იდაყვი ფერდში ამოჰკრა, — დაწექი, შუაღამეა.

— ვაჰ, — ახლა ეგეც დამითვალე, — წაიბუზღუნა გოდერძიმ.

თან ხვნეშით ტანთ იხდიდა, თან სიმღერას განაგრძობდა. როცა ბალიშები აიპენტა, დაწვა და ძილისათვის უფრო მოხერხებულად მოეწყო, მალალო ლოგინზე წამოჯდა.

— კაცო, საქმეა, უნდა გელაპარაკო!

— ვაჰ, — აღმოხდა გაკვირვებულ გოდერძის. რაც იქორწინეს, მას აქეთ ასეთი მოთხოვნა მალალოს ჯერ არ წამოეყენებინა. ცოლისკენ შებრუნდა, ერთბაშად გამოფხიზლდა.

— რა იყო ქალო, რაზე უნდა მელაპარაკო?

— მალხაზზედა.

— ეეჰ, დამანებე ერთი თავი, რა დროს მალხაზია, თვითონ არა თქვი შუაღამეაო. ახლა მოუნდა ლაპარაკი, ვითომ დღე არა ყოფნის..

ასე უდიერად მალხაზს მხოლოდ მაშინ ახსენებდა, როცა მეტად გაანჩხლებული იყო. ეტყობა ახლაც გულაღრენილი ბრძანდებოდა შვილზე.

— ძალიან გულნაკლულად არის ჩვენზედა.

— ვითომ რა ეწყინა? — ისე იკითხა გოდერძიმ, არც მობრუნებულა.

— აბა, რა ვიცი, მართალი კი უნდა იყოს...

— ჰო, რა მინდაო, რას გვემართლება?

— აბა, რა ვიცი, ძველებურად ცხოვრობთო, ახალი ცხოვრების წადილი არა გაქვთო, ხალხი დაკეთდაო, სახლები აიგოო, კარგ ცხოვრებას ეწიაო, თავისთავს დაზრუნავენო. თქვენ კიდევა ბოთეები ხართო, არ იცით ცხოვრებას მეტი როგორ უნდა გამოსძალოთო, კიბორჩხალები ხართო, აი,ისა.. .ღმერთო მომაგონეი, გედები ხართო... ყურები გამოიბერტყეთო. მამაჩემსაო იმოდენა საქმე ჩააბარეს და ვერ უსარგებლიაო. მაგ ადგილში ფულს აძლევენ, მერე ორმაგად რომ ისარგებლონო. მოჰყვა და მოჰყვა, მოჰყვა და მოჰყვა, ისე კარგად ილაპარაკა, დედა ენაცვალოს!

— ბიჭოს, — წამოჯდა ლოგინზე, ერთბაშად გამოფხიზლებული გოდერძი, ეგ რეები უთქვამს, უყურე შენა! სწორედ ისე ულაპარაკნია, როგორც ისაკა დანდლიშვილი ლაპარაკობს, რა ერთნაირი აზრები ჰქონიათ, კაცოო!..

— მეხი კი დავაყარე იმ შენ ისაკასა. ისა, — გველაძუა ვაჭარია, ესა კიდევა აზრიანი ბიჭია. ცხოვრების პირსაც ხე-

დავს და სარჩულსაცა... მიდი, გამოელაპარაკე, შენ გახარებასა...

— რა ერთნაირად მღერიან, კაცოო! — გაკვირვებით გაიძახოდა აფორიაქებული ბაზის მმართველი, — გეგონება პირი შეუკრავთო!..

იმ ღამეს არც გოდერძის დასძინებია, არც მალალოს მოუხუჭავს თვალი. უთენია დილით წამოდგნენ ორივენი და უძილარნი, ფიქრით დაოსებულნი, მთვარეულებივით დაბორიალობდნენ.

ძალიან შეატორტმანა, შეძრა, აალელვა შვილის ნათქვამმა გოდერძი ზენკლიშვილი.

მალხაზი და ისაკა კი მართლაც ერთნაირად „მღეროდნენ“.

ერთმანეთს არ იცნობდნენ, არც ოდესმე ენახათ, არც აზრი გაეზიარებინათ ერთურთისათვის და სულ ერთნაირად კი მსჯელობდნენ. ეტყობა, სურვილებიც ერთნაირი ჰქონდათ...

* * *

თვეც არ იყო გასული ბაზაში მუშაობის დაწყებიდან, რომ ისაკა საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა გოდერძის და მმართველის გულისნადები თვით მასზე უკეთ ესმოდა.

გავიდა კიდევ ერთი თვე და ისაკამ ნელნელა შეუტია თავის „უფროსს“ (ასე მიმართავდა ხოლმე იგი ჩვეულებრივად გოდერძის, „უფროსოო“). ხან რა საქმეში მოინდომა მისი ჩაბმა, ხან რა, მაგრამ გაჯიუტებული გოდერძი ერთნაირად გაიძახოდა: — „არამი პური არ მიჭამია და ღმერთმა ნურც მაჭამოსო“.

მაგრამ არც ისაკა იყო ნაკლებ ჯიუტი. იგი დაჟინებით განაგრძობდა გოდერძის „დამუშავებას“ და ამ საქმეში მარტო როდი იყო: სერგო უფრო ხერხიანი გამოდგა. სადაც ისაკას ფილოსოფია ვერა ჭრიდა, იქ სერგოს ორიოდე ხუმრობა და გულღია, ვითომც მეტად მიამიტი სიტყვა (როგორც წესი, მლაშე გამოთქმებით შეზავებული) გოდერძის ერთბაშად ათვინიერებდა.

გავიდა კიდევ ორიოდე თვე და გოდერძი პატარ-პატარა საქმეებში „ჩააბეს“: შტაბელებად დაწყობილ ხე-ტყეს კატეგორიას უცვლიდნენ, ახალ ზედნადებებს ადგენდნენ და ფასაწევით ყიდდნენ. ამგვარადვე იქცეოდნენ სხვა მასალების „რეალიზაციის“ დროსაც.

ყოველივე ეს მცირე შემოსავალს როდი იძლეოდა, მაგრამ ისაკა რის ისაკა იყო, მცირეს დასჯერებოდა! იგი უფრო დიდი მასშტაბის კაცად თვლიდა თავს და სულ სხვა ზრახვები ჰქონდა. პატარა ქურდბაცაცობა სერგოს ემარჯვებოდა. იგი ერთნაირად მიდიოდა დიდ საქმეზედაც და პატარაზედაც. ისაკას კი სულ სხვაგვარი მადა მოსდგამდა, სხვაგვარი მიზნები ამოძრავებდა.

კიდევ რამდენიმე თვე უტრიალა ისაკამ თავის უფროსს. ხან რა ვნებათა აღმძვრელი ამბავი მოუთხრო, ხან რა; როგორი მაგალითები არ მოუყვანა „მილიონერების“ ინიციატივიანი საქმიანობისა, არაფრიდან ფულს რომ აკეთებდნენ და იმავე დროს დიდად მიღებული პირებიც რომ იყვნენ, დიდად თვალსაჩინო როლსაც რომ თამაშობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მაგრამ ყოველივე ამაოდ: — „პურის ფულს ხომ ვშოულობთ და მეტზე ნუ წავალთო“, — დაიჩემა გოდერძიმ.

დაიღალა ისაკა თავისი უფროსის შეგონებით. ხან ერთი „ნაღდი“ საქმე უხსენა, ხან მეორე, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიყოლია.

არადა, ისაკასი ირ იყოს, უმდიდრესი ოქროს ძარღვი ეჭირათ ხელში. ბაზა ისეთ ადგილას მდებარეობდა, დახარბებული მუშტარი ქართლის ყველა რაიონიდან აწყდებოდა „გოდერძის საწყობს“.

ისაკამ კარგად იცოდა, როგორი საქმეების დატრიალებაც შეიძლებოდა, მმართველი რომ უფრო დამყოლი კაცი შეხვედროდა. ამიტომ იყო, რომ დღე და ღამ მის მოტეხვაზე ფიქრობდა და არც თავისთავს აძლევდა მოსვენებას, არც ჯიუტად ფეხგაბიჯგულ თავის უფროსს.

დიაღ, დიდ შინაგან ჭიდილსა და გრძნობათა ორმოტრიალში იყო სურვილებაშლილი, წადილაღერღილი ისაკა.

ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა: ცდილიყო გოდერძის თავიდან მოშორებას, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა უფრო „მოქნილი“ კაცი დაენიშვნინებინა მის ადგილზე, თუ არა. თანაც ეშინოდა, უარესი მამაოხერი არ გამომიგზავნონო.

მართალია, გოდერძის გადაყვანას ადვილად შესძლებდა, ანაში ეჭვიც არ ეპარებოდა, მაგრამ მის ნაცვლად ისეთი ვინმე რომ გამოეგზავნათ, შემდეგში თვით ისაკა გადაეყლაპა? ხომ დაიღუპებოდა მაშინ ყველაფერი?

ერთხანს ისიც იფიქრა, თვითონ გასცლოდა აქაურობას, მაგრამ ეს აზრიც მალე მოიშორა. ჯერ ერთი, ამაზე უკეთეს ადგილს სად იშოვიდა, მეორეც, ენანებოდა, რაც ამ თანამდებობის დევნაში დახარჯა. ანგარიშის კაცი იყო ისაკა დანდლიშვილი, უანგარიშოდ ფეხს არ ვადადგამდა სწორედ ასე იყო თავისი ნაადრი, ღრუბლიან-ავდრიანი ბავშვობიდანვე დაჩვეული.

მაგრამ ნათქვამია, ბედი მომეცი და სანეხვეზე გადამაგდეო. ბედი სწყალობდა ისაკას. დროზე მოვლენილმა შემთხვევამ ამჯერადაც იხსნა განსაცდელისაგან; გოდერძის აქამდე აუღებელი ციხე-სიმაგრე მოულოდნელად შიგნიდან გატყდა, მალხაზნა და დედამისმა დაბზარეს ამ თითქოსდა მიუვალი ციხის კედლები...

შემოალაჯა თუ არა იმ უძილო ღამისაგან მოთენთილმა, ცოლის მონაყოლით დადარდიანებულმა გოდერძიმ ბაზის ეზოში, ისაკამ მაშინვე შეატყო უგუნებობა.

— რა, უფროსოჯან, არ გეძინა? — გულთმისნური გუმანითა და დათაფლული ხმით ჰკითხა უფროსმა ბუღალტერმა მოღუშულ-დადარდიანებულ მმართველს.

— ეეჰ, — ჩაიქნია ხელი გოდერძიმ და კაბინეტისაკენ წავიდა.

იმ წუთიდან დაწყებული ისაკა აღარ მოსცილებია თავის უფროსს. უკან მიჰყვა, პირისპირ ჩამოუჯდა, დაუძლეველად მოუნდა გაეგო, რა აწუხებდა ბაზის მმართველს. ეგება მას დარდს, ისაკასთვისაც ჰქონოდა რაიმე მნიშვნელობა? ასე იცოდა ბუღალტერმა, ტკიპასავით მიეკვროდა ვისაც ჯერ იყო, და ისე ჩასდევდა, ისე დაუტრიალდებოდა, რომ გასაგებს აუცილებლად გაიგებდა, საჭიროს აუცილებლად შეიტყობდა.

— რა იყო, კაცო, აღარ იტყვი? ადამიანის წამალი ისევე ადამიანია. გულჩათხრობილი კაცი თვითონვე ხერხავს თავის თავსა. მითხარი, გეშელავათება, ამ ქვეყნისა ცოტა რამე მეც გამეგება.

გოდერძის შემდეგში არა ერთხელ უფიქრია ამ შემთხვევაზე და თვითონვე გაჰკვირვებია, როგორ გაენდო ასე უცებ, მაშინ თითქმის უცნობ ადამიანს.

მართლაც საოცარი იყო, რომ ამ ფრთხილმა, სიტყვა ძუნწმა კაცმა ასე ერთბაშად გაუხსნა გული საეჭვოდ მოძალებულ არამკითხე მოსაუბრეს და თავისი საიდუმლო ხვაშიადი გაუზიარა. ეტყობა, რაღაც ჯადო ჰქონდა ცხვირკაუჭა და ლოყებჩაცვენილ ისაკას, გულახდილობის ჟამს გამოცდილ კომერსანტს რომ უწოდებდა თავის თავს.

მაგრამ არც გოდერძი იყო მთლად მიამიტი.

აზრის სიტყვებად ჩამოსხმა ეძნელებოდა, თორემ თვით აზრი და გუმანი არასოდეს არ შეშლია. ფიქრი ყოველთვის სწორი ჰქონდა, ამოთქმა უჭირდა მხოლოდ. „ეეჰ, მე რომ ისეთი ენა მქონდეს, როგორიც ჭკუა მაქვს“... — არაერთხელ გაუფიქრია გუნებაში და სინანულით თავი გადაუქნევ-გადმოუქნევია.

ახლაც, როცა ისაკა მეტისმეტად მიეძალა და ჩაეკითხა, ჩაეძია და გაუშინაურდა, გოდერძის თანდაყოლილმა სიფრთხილემ ერთბაშად გაიღვიძა და გულის გახსნის მაგიერ თავდაჭერისაკენ უბიძგა.

— რა ვიცი ჩემო ისაკ-ჯან, წუხელისა ბიჭთან შევლაპარაკდით...

ისაკამ მაშინვე ყურები ცქვიტა. ეს შემთხვევაც ნავარაუდევი ჰქონდა; არა ერთხელ უფიქრია, რომ ადრე თუ გვიან, თვითონ გოდერძის თუ არა, მის ოჯახს მაინც გაეღვიძებოდა მადა.

ამ სიტყვებმა იმაზე მეტი უთხრეს ისაკას, ვიდრე სხვა რამ ეტყოდა. ტყუილად ფიქრობდა გოდერძი, ვითომც ყველაზე უწყინარ თემას მიაგნო. მან თვითონაც არ უწყოდა, როგორ გაუადვილა საქმე ადამიანური ბუნების კარგადმცნობ დანდლიშვილს.

— რა გაქვთ სადაო? — ფრთხილად

და თითქოსდა სხვათა შორის შეაპარა ისაკამ.

— ხომ იცი, მადა ჭამაში მოდისო. ახლა ისეთი ახალგაზრდობა წამოვიდა, ყველაფერი ეცოტავება, ყველაფერი ახლავე უნდა, ყველაფერი თავისთვის უნდა...

— ჰოო, — გააბრტყელა ისაკამ, — მეც მაგ დღეში არა ვარ! — მის კილოში თანაგრძნობით შენიღბული სიხარული ჟღერდა.

— მართლა? — თვალები ჭყიტა გოდერძიმ, — მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, შეეშინდა ხომ არ შევტოპეო. თუმცადა უკვე გვიან იყო, ყოველივე დანარჩენს ისაკა ადვილად მიუხვდა.

— მახლას, მახლას, — ხვნეშით წარმოთქვა გოდერძიმ და კარისკენ გაემართა.

კანტორის გვერდით მსხვილ მორებს აწყობდნენ ხოლმე. ამ მორებზე უყვარდა ჯდომა გოდერძის. სულ მაღლა ავიდოდა და ზედა მორზე წამოსკუპდებოდა. გაზაფხულზე, როცა სითბო ჯერ კიდევ სასიამოვნო იყო, ბაზის მმართველი მზის ალერსიან სხივებს ეფიცხებოდა. საათობით შეეძლო ასე ჯდომა და მარმარა სივრცეში ყურება.

ახლაც გაზაფხული იდგა სამებაში...

ამწვანებულ ბაღ-ვენახებში ხეხილი ყვაოდა. განთქმული სამებური გულაბები თეთრად გადაპენტილიყვნენ. მზით გამთბარ ჰაერში ფუტკრების ზუზუნი ისმოდა.

ჰაერი ისეთი ბროლგამჭვირვალე იყო, ირგვლივ ისეთი სიჩუმე დასადგურებულიყო, თუ მოინდომებდი ბაზის ეზოდან გოდერძის სახლამდე ხმას მიაწვდენდი.

ლამაზად აჭრელებულიყო აქამდე სევდიანად გამომზირალი „სპარსთა ველი".

ფერდობის თავში, შემწვანებული ძეძვნარის ხშირად დატოტვილ ბუჩქებს ყვითელი ფერი დაეკრათ და წვრილკბილა ფოთლებს შორის პატარა თაფლოვანი ყვავილები იჭყიტებოდნენ. ქვემოპირზე კი ფერდობს ქაფთარი მოსდებოდა და თანდათან სოფლისკენ იწევდა.

ეს ეკალა ბუჩქები ბავშვობიდანვე მშობლიური იყო გოდერძისათვის. ვინ იცის, რამდენჯერ დაეჩხვლიტა მათ წვეტიან ეკლებზე თავისი ბავშვური თითები, როცა დიდედასთან ერთად ძეძვის ფარჩს კრეფდა. მთელი მათი ეზო ძეძვნარით იყო შემოპირული და დიდედა ძეძვის ნაყოფისაგან, — ფრთა შემოვლებულ ბრტყელ-ბრტყელი ძეძვისფრიალასაგან — ხველების წამალს აყენებდა.

ძეძვნარის შეყვითლებულ ბუჩქებს შორის გამომზირალი ოქროცოცხას ლამაზი მოწითალო ყვავილები თვალს ახალისებდნენ.

საოცრად ლაჟვარდოვანი ზეცა კი ისეთი მოკრიალებული და უძირო ჩანდა, დიდხანს რომ გეცქირა, მოგეჩვენებოდა, მეც ზევით-ზევით ვიწევიო.

გოდერძი მორებზე წამომჯდარიყო, ხელისგულები მუხლისთავებზე დაესვენებინა, ფეხები განივრად გაეშალა და იქით გასცქეროდა, სადაც ბექობებსა და გორმახებს შორის მტკვრის ვერცხლისფერი ქამარი ბზინავდა.

მტკვარი იყო მისი სანატრიონი, გონებიდან მოუშორებელი, გულში სიხარულად ჩაღვენთილი...

ისაკა ფრთხილად მიუახლოვდა ბაზის მმართველს და დინჯად ავიდა მორებზე. თვითეულ მორს ისე ფრთხილად ადგამდა ფეხს, გეგონება უზარმაზარ მძინარე გველს აბიჯებს და ეშინიან, არ გააღვიძოსო.

საშინლად ეჯავრებოდა, ამ ვეება მორებზე ასვლა. ისინი ხომ ყოველ წუთს შეიძლებოდა დაგორებულიყვნენ და ისაკა ლავაშივით გაებრტყელებინათ. ძველი მეტივე კი ისე იჯდა მათზე, გეგონება რბილ სავარძელში მჯდარიყოს.

ისაკა მორებზე ავიდა, ერთი მათგანი ცხვირსახოცით გადაბერტყა, მერე ცხვირსახოცი ქვეშ გაიფინა და მმართველს გვერდით მიუჯდა.

— ახლა რუსეთშიაც გაზაფხული დგება. საცაა ციმბირში გზები გაიხსნება, საწყალოსნოცა და სახმელეთოცა...

— რა, ძმაოსან, ციმბირი მოგენატრა? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა გოდერძიმ.

— ციმბირი ჩემს მტერს მოენატროს. მე იმას ვამბობ, მალე ციმბირიდან ხე-ტყის გამოზიდვას დაიწყებენ-მეთქი. სამუშაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონი დგება და, იცოცხლე, იხვირებენ ჩემი ამხანაგები. მე კი აქა მშრალზე ვზივარ და რასაც ის შტერი სერგო ბიჭი გაახერხებს, ნარტო იქიდან ვიღებ წილსა. აფსუს, ისაკ, რა ტყუილად ცდები...

— ტყუილად რათა ცდები, — ეშმაკური ღიმილით ჩამოართვა სიტყვა გოდერძიმ, — ხელფასი ყოველთვიურად მოგდის, — ერთი თითი მოკეცა ზენკლიშვილმა, — ცოტა-ცოტას ხეირობ კიდეც, — მეორე თითი მოკეცა მან, — კარგ ჰაერზე ხარ, ეს სამი, და კორმაც კარგი გაქვს: ხარიტონა ყოველ დღე ცხელ-ცხელ სალიანკას ან ბუღლამას გიგზავნის, ესეც ოთხი. სხვა რაღა ეშმაკი გინდა?...

უყვარდა გოდერძის ისაკას გაბრაზება.

დროს შეურჩევდა ხოლმე და დაიწყებდა თუ არა ისაკა შორსგამიზნულ ლაპარაკს, გოდერძი მაშინვე სახუმარო კილოზე გადადიოდა, რითაც წარბშეკრულ მთავარ ბუღალტერს სულ ჭიჭინაზე ხეთქავდა, ნაღველას უსივებდა.

— ეეჰ, დალოცვილო, ხუმრობის გუნებაზე. ხარ. მე კი ჯავრითა ვსკდები. იცი, რა საქმეების დატრიალება შეიძლება აქა? მერე სულაც სტოპროცენტნად უშიშრად. მაშინ არც ის შენი ბიჭი წაგეჩხუბება და არც შენი ცოლი იწუწუნებს, სულ შაქარივით დაგიტკბებიან, ჩემმა მზემ. ისე ხეირი მიეცეს შენს ისაკას...

შვილის ხსენებამ ძველი ტკივილები აუშალა გოდერძის. სახეზე ჭმუნვა დაემჩნა, როგორღაც ერთბაშად დაუდარდიანდა გული.

ისაკა ქვეშ-ქვეშიდან გაჰყურებდა საავდრო ღრუბელივით მოქუფრულ ბაზის მმართველს.

— ახლა, მაგალითად, შენი შვილი ავიღოთ... — დათაფლული ხმით დაიწყო ისაკამ.

— ჩემს შვილს დაეხსენი. თუ მაგალითი გინდა, შენი შვილი აიღე. — ყრუ ხმით წარმოთქვა გოდერძიმ და კიდევ უფრო მოიღუშა.

— ბატონი ბრძანდები, ბატონი ბრძანდები, — იმ წამსვე ხალისიანად დაეთანხმა ისაკა, — ჩემს ქალებზედაც გეტყვი, ბიჭი არა მყავს, ღმერთმა არ მომცა, ამიტომ ჯერ შენით დავიწყებ... ამბუ[illegible] ყოფილოაო. მა რა იქნება? შე კაი, კაცო, ახალგაზრდა კაცია, ჭკვიანი, ლამაზი, თავმომწონე, შენსავით ამაყი, მაგას ახლა უნდა სიცოცხლეცა და ლაზათიც, გართობაცა და სახსარიც, ქალიცა და სიხარულიც. როცა ჩვენნაირად დაბერდება, მერე რა თავში იხლის? ნაგრამ რა აქვს? — არაფერი. ქალაქშია და საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, აქ არის და ორ პატარა ოთახშია გამომწყვდეული, ზოოპარკში რომ მგლებია, იმნაირად. კაცო, თვალები გაახილე, ყურები გამოიბერტყე, ნახე, ადამიანო, ხალხმა როგორი ცხოვრება დაიწყო!... იცი თბილისში რა ხდება? ხალხმა არ იცის, ფული სად წაიღოს. და მერე საიდანა აქვთ? — არსაიდან! ერთმანეთი გააქვთ, ერთმანეთს აჭმევენ, ერთმანეთს ამდიდრებენ. ხელი ხელსაო, ხომ იცი! ამ დროს კი მე და შენი ხელები რასა შვრებიან? ხარიტონას სალიანკასა და ბუღლამაში პურს აწობენ. ...ჰა, ჰა, ჰა როგორ მეცინება ხოლმე სიმწრითა. ეგ გვეყოფა ჩვენა? ეგ გაგვიტანს ჩვენა? მაგის ამარა უნდა ვიყოთ მე და შენა? ვაჰ, კაცოო, კაცოო, გამოიღვიძე რაღა, ადამიანი არა ხარ!?

— ისაკ, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, მე ჩემი დარდიც მეყოფა...

— მეც მანდა არა ვარ, მეც მაგიტომ არ გელაპარაკები? ისე უნდა მივხედოთ ჩვენს საქმესა, ისე მოვიქცეთ, რომა დარდი ნაკლები გვქონდეს, სიხარული კი მეტი!

— ეჰეი, ჩემო კარგო, უდარდელ კაცსა ამ ქვეყნად სად იპოვი... ხოლო თუ იპოვი, იცოდე, ის კაცი — კაცი არ არის..

— ისეთი ამხანაგები მყავს რუსეთშია, გინდა კემეროვოს ოლქში, გინდა ტიუმენში, გინდა ნოვოსიბირსკში, გინდა ომსკში, ერთი რომ არ დავუსტვინო, რამდენ ვაგონ ხე-ტყესაც გინდა, იმდენს გამოვაგზავნინებ!... უფულოდ, კაცო, სრულიად უფულოდ! არც ბე, არც არაფერი, გესმის? ჯერ გაყიდე, ფული მერე ჩაუთვალე. მე ისეთი დავერია მაქვს, არაფერი დოკუმენტი საჭირო აღარ არის. ერთს დავუსტვენ, ივხიო! რაც გინდა, რამდენიც გინდა, რანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირიც გინდა! არც ნარიადი, არც ატნაშენია, არც გოსპლანი, არც ნაკლადნოი, არც ფული! არც ფსტანი, არც ფლავი. პაჟალუსტა, მიირთვი, რამდენიც გინდა წაიღე, გაყიდე, ანგარიში შემდეგ!.. შენა გგონია, ასეთი დავერია ბევრსა აქვს? განა აფსუსი არ არის, ასეთი დავერია არ გამოიყენო? განა ასეთი ბაზა უქმად უნდა ცდებოდეს, განა ეს სამართალია? მარტო გეგმის დარდი უნდა გვქონდეს!.. ვახ, კაცო, გამოიღვიძე, კაცო ნუ გძინავს, ნახე რა პერსპექტივებია...

— მერე, ჩვენც რომ იქ გვიკრან თავი ეტაპითა, საიდანაც მაგ ხე-ტყეს წამოვიღებთ? — კითხა ერთხელ გოდერძიმ.

— ეეჰ, კარგი რაღა, შე დალოცვილის შვილო, მიიხედ-მოიხედე, ნახე ყველა როგორა თქვლეფავს. ჩვენ კიდევა, უფრო ფრთხილად მოვიქცევით, ცოტა-ცოტას შავი დღისათვისაც გადავინახავთ და თუ ღმერთი გაწყრა, — პირში მივცემთ. შენ ფული დააყარე, თორემ რა წყლიდანაც გინდა მშრალი გამოხვალ.

— არა, ისაკ, მაგაზე ვერ წავალ,.. არამი ლუკმა ჯერ არ მიჭამია.

— ვაჰ, არამი რათ იქნება? შე დალოცვილო, განა შრომით, ოფლით, რისკით, ცოდნით მოგებული, არამია?

რაც დრო გადიოდა, ასეთი საუბრები გოდერძისა და ისაკას შორის სულ უფრო და უფრო ხშირად იმართებოდა, ისაკას თუმცა შოთა რუსთაველი არ წაეკითხა, მაგრამ გუმანით იცოდა: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ და რაც შეიძლება გამეტებით ტეხდა ბაზის მმართველს. დღეს რომ ერთი მხრიდან შეუტევდა, ხვალ მეორიდან გადადიოდა იერიშზე.

— არაფერი საშიში აქ არ არის, — ვითომ სხვათაშორის მოუთხრობდა იგი გოდერძის, რომელიც სულ უფრო მეტი ყურადღებით უსმენდა მთავარი ბუღალტრის თამამ გეგმებს, — ეს ამბავი ასე კეთდება: ჩვენ მივწერთ ოფიციალურ ატნაშენიეს, რომ ბაზის საჭიროებისათვის, გამოგვიყავით ასი კუბომეტრი ხე-ტყე... ამ ხე-ტყეს რომ მივიღებთ, იმის ნაკლადნოის სანდო კაცის ხელით უკან გავაგზავნით. იქ იმ ნაკლადნოის სპობენ და კიდევ ას კუბომეტრს გიგზავნიან, ახალი ნაკლადნოით, რომელიც გამომგზავნთან წიგნში არა ტარდება, ესე იგი ყასიდია, გაიგე? როცა ამ მეორესაც მივიღებთ, ამის ნაკლადნოისაც ვხევთ, როგორც იმის წინას, ხე-ტყეს კი ვიბარებთ. მერე ისინი იქიდან მესამედ გიგზავნიან ისევ ას კუბომეტრს, მესამე ნაკლადნოით. ბოლოს, რა გამოდის? რომ საბუთების თანახმად ერთხელ გამოგვიგზავნეს ასი კუბომეტრი, რომელიც ჩვენ ვითხოვეთ, სინამდვილეში კი გინდა შვიდას გამოგიგზავნიან, გინდა ათასს, გინდა მეტს!.. მერე შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, გაყიდე და ნახევარი შენია, ნახევარიც იმათი. და იცი კია რამდენია ეს ნახევარი? — სამუდამოდ წელში გაგასწორებს... ვახ, კაცო, გაიგე რაღა, მიხვდი რაღა!!

გოდერძი პირველ ხანებში ადვილად ახერხებდა ისაკას მოგერიებას. ცდილობდა არ ელაპარაკებინა, მაგრამ ბოლოს მაინც იმძლავრა ენერგიულმა ბუღალტერმა და თანდათან დააინტერესა მმართველი.

სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღებით უსმენდა გოდერძი ისაკას მონათხრობს და თვალებიც სულ უფრო და უფრო უფართოვდებოდა, ჯერ გაკვირვებისაგან, მერე თანდათან აღძრული წადილისაგან.

— ამასა, უფროსო, „ლევი“ საქონელი ჰქვია. ახლა ეს არის ყველაზე სარფიანი საქმე. დღეს-დღეობითა წარმოება ისე განვითარდა, ტექნოლოგიაც ისე წავიდა წინა, რომა ყოველ დაწესებულებაში, სადაც კი რაიმე პროდუქტს ამზადებენ, ყველგან შეიძლება ცოტა „ლევიც“ დაამზადო. აბა, მაშ როგორ გინდა, ყველაფერი სახელმწიფომ ხომ არ უნდა წაიღოს? დეე, ცოტა ხალხმაც იხეიროს. თუ სახელმწიფოსათვის გეგმის ზევით ოც შარვალსა კერავ, ვითომც რა დაშავდება, რომა ერთი შარვალი შენთვის შეიკერო? თუ არ შემაკერინებ, არც მე დაგიმზადებ იმ ზედმეტ ოცსა, ჩემი ჯანით რომ გიკერავ გეგმის ზევითა. ახლა მითხარი, რა ჯობია, ერთი მე ნამცე და ოცი შენ წაიღო, თუ მე არ გამაკეთებინო და ამით თვითონაც იზარალო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვითა, „ლევი“ ყველგან არის. მთავარია იცოდე ამ „ლევის“ გამონახვა და რეალიზაცია, გაიგე?

ახლა მაგალითადა ჩვენი საქმე ავიღოთ. ციმბირში აუარებელი ხე-ტყეა, არ იციან სად წაიღონ, პირდაპირ უთვალავია. იმათთვის, ათი, ოცი, ოცდაათი ვაგონი ერთი გადაფურთხებაა და მეტი არაფერი. უხარიათ კიდეც, როცა მოითხოვ. მთავარია გზაში არ ჩავარდე და ადგილზედაც არ ჩავარდე, არავინ არ უნდა იცოდეს რამდენი გაჰყიდე; თუ რევიზია მოვიდა, ისე უნდა აჩვენო: აი, ბატონო ასი კუბომეტრი მივიღე, — ასი გავყიდე, ესე იგი ვირი ვიყიდე — ვირი გავყიდე, ი, ვსიო! გაიგე, კაცო!

— მერე, ასის მაგიერ ათას რო გაყიდი, იქ თუ არა, აქ ნაინც არ შეიტყობენ? — დაეჭვებით იკითხა ერთხელ გოდერძიმ.

— არ უნდა გააგებინო, უფროსო, მაგაშია მთელი ვაჟკაცობა! და თუ ვინმემ გაიგო, უნდა პირში ბურთი ჩასჩარო, მიმიხვდი რა ბურთზედაც ვამბობ?

გაზაფხულის მიწურულს ისაკამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი იერიშები. იგი კარგად ხედავდა, რომ გოდერძი, თუმცა არ იმჩნევდა, მაგრამ აშკარად დაინტერესდა მისი ნონაყოლითაც და მადისაღმძვრელი გეგმებითაც.

იმ დღესაც ასეთ ლაპარაკში იყვნენ. მორებზე მჯდარი გოდერძის გვერდით ისაკა წამოსკუპებულიყო, თითებგადაწნული ხელები ლაჯებშუა ჩაეკიდა და თავჩაქინდრული ყრუ ხმით ბუბუნებდა:

— თბილისში, უფროსოჯან, ისეთი ძმაკაცები მყავს, თუ მოვინდომებ მთვარეს ჩამოვაღებინებ შენთვისა. საბინაო კოოპერატივში შეგიყვან, ერთ კარგ ბინას გაყიდვინებ, მოწყობაში დაგეხმარები და იმ შენ შვილსა სამუდამოდ ჭერს გავუჩენ. აბა, როდემდე უნდა იყოს საერთო საცხოვრებელში? ერიჰაა, მაგისთანა ბიჭი რო ნყავდეს, ღმერთმანი, იმის გულისთვინა არაფერზე არ დავიხევდი, თუ გინდა საკირეში ჩავიდოდი...

როცა გოდერძი დაატყობდა ხოლმე, რომ ცდუნება ძნელი ასატანი ხდებოდა, წამოდგებოდა და კანტორაში შედიოდა. თავისი კაბინეტი ციხე-სიმაგრედ ეჩვენებოდა. მართლაც, ისაკა ვეღარ ბედავდა უკან დადევნებას და ლაპარაკი მორებზე ახალ დასხდომამდე წყდებოდა. მაგრამ იმ დღეს ისაკა უკან აედევნა უფროსს და ფეხდაფეხ შეჰყვა კაბინეტში. ენაწყლიანმა ზულალტერმა ახლა იქ განაგრძო გოდერძის გათვითცნობიერება, ბევრი იბუბუნა, ბოლოს ფეხზე წამოდგა, მმართველს წინ გაუჩერდა და დაქადნებასავით მკაცრად ჰკითხა.

— როგორა გგონია, რამდენი გვერგება თვითეულსა, შენ რომ მინნართვაზე ხელი მომიწერო, მე კი რუსეთიდან „ლევის“ ჩამოტანა გავახერხო?

— აბა ,მე რა ვიცი. „ლევისა“ და „პრავის“ ჯარში მიყვიროდნენ, როცა სამწყობრო სიარულს მასწავლიდნენ .ერთი ლეიტენანტი გვყავდა, სულ იმას დაგვჩხაოდა თავზე, — ლევოი, ლევოი, ლევოიი...

— მხოლოდ ერთი წელიწადიც რომ გვაცალონ, თვითეული ჩვენგანი სულ ცოტა თითო მილიონს ავიღებთ, სუფთადა, ძველი ფულითა. როგორია!?

— რაიო, კაცო? — პირი დააღო გოდერძიმ.

— ერთ მილიონს მოგითვლი სუფთად, ძველი კურსითა!..

— არა, არა, ეგ მეტად აღარა თქვა! — ხელები გაასავსავა გოდერძიმ და შუბლის ძარღვები ლურჯად დაებერა.

— მერე თითქოს რაღაცის შეეშინდაო, წამოხტა, კარი გამოაღო. ალბათ ჰაერი აღარა ყოფნიდა, ზღურბლზე შედგა და ქურდულად გაიხედ-გამოიხედა.

— რას ამბობ, კაცო, მაგის გულითვინა ჯვარს გვაცმევენ! ამათ რა დაემალებათ? სულ რომ არაფერი, ი ვახტანგ პეტროვიჩს რა პირით შევხედო, იმან არ დამნიშნა აქა?... — *როდის, როდის ამოიდგა ენა ბაზის მმართველმა.*

ისაკამ ხმამაღლა გადაიხარხარა. ვერ ნიხვდებოდი, ყასიდად თუ მართლა.

— რომ იცოდე, ვახტანგ პეტროვიჩი დიდი ხანია შენგან მოსაკითხს ელის და რომ უგვიანებ, ფიქრობს, ესე როგორ შევცდი, რომ ამისთანა ბოთე კაცი ასეთ ხარფიან ადგილზე გავუშვიო... — შხამივით

ჩააწვეთა დაბნეულ გოდერძის ისაკამ.

— ტყუილია! — ცხარედ გამოენთო გოდერძი, — ისა, პატიოსანი კაცია!

— მერე ვინ ამბობს უპატიოსნო არისო? მაგრამ განა პატიოსან კაცს არ უნდა კარგი ცხოვრება? მაგას ხომ თავისი ხარჯი აქვს, საიდან გაიღოს, თუ თვითონაც არ აიღო? შენა გგონია უარს იტყვის, თუ მიეცი? მე შენზე უკეთ ვიცნობ მაგასა, ბარე ხუთი წლის მეგობრობა გვაქვს.

— ვისა, კაცო, ვახტანგ პეტროვიჩსა?

ისაკამ არ უპასუხა, ეტყობა, რაღაცას გამალებით იაზრებდა.

— გინდა ი, შენი ვახტანგ პეტროვიჩი სახლში მოგიყვანო თავის ფეხითა?

— ვინა, კაცო, ისა? შენა?.. ჩემთან?..

— შენ ერთი კარგი პურ-მარილი გააწყე, დანარჩენი მე ვიცი!

— პურ-მარილი ჩემზე იყოს, თუ მართლა...

— შაბათისათვის დაიჭირე თადარიგი. ერთი მსუქანი ბოზბაში მოამზადებინე. ხარიტონას უთხარი, პეტროვიჩისთვის მინდათქო. გაახსენე, ბატკნის ხორცი სულ წვრილად უნდა დაკეპოს, პატარა ნამცეცებადა. ძუძუთა გოჭები თონეში უნდა ჩააკიდებინო. ღორის სუკები, აუცილებლად მუხის ნაკვერჩხალზე დატრიალებული. შავი ვარიკები, კეცებზე აგურისფრად შემწვარი, ნიორწყლით. ნივრის წნილი, ბეჭი აუცილებლად დეკეულისა, ძროხისა არა, ღოლნაშოს ტყემლით. შენი დაყენებული თავკვერი, აი, ურწყავის ვაზისა... მაშინ იმასაც ნახავ, როგორ მოილხენს.. .ერთ ლამაზ გოგოსაც თუ მოუსვამ გვერდით და ორიოდე კარგ მოსიმღერესაც დაუპატიჟებ...

— გოგო სადღა ვუშოვო?

— აი, მარიკა მასწავლებელი რომ არის, რომ იპრანჭება, ძალის ძალათი, როგორმე ის დააპატიჟებინე.

ამ საუბრის შემდეგ ჭინკა შეუძვრა გოდერძის, დაიმორჩილა, თავისკენ მიდრიკა. ერთხანს თითქოს უძალიანდებოდა, მაგრამ მერე თანდათან დაყვა მის ღონიერ ალვირს და იქით წათოხარიკდა, საითკენაც ისაკა უთითებდა.

რაც უფრო ახლოვდებოდა შაბათი დღე, მით მეტი მღელვარება ემჩნეოდა გოდერძის.

ბოლოს ხელი ჩაიქნია და ზუსტად შეასრულა ისაკას რჩევა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ასე განუხრელად ასრულებდა თავისი ხელქვეითის „მითითებას".

შაბათ საღამოს მოუთმენელმა მოლოდინმა ცოლ-ქმარი ჭაჭანაჭამ ინდაურებივით დააბნია და გამოათაყვანა.

დამფრთხალმა მალალომ ისე დაწმინდა, ისე დააკრიალა მთელი სახლი, გეგონება ვახტანგ პეტროვიჩი გამადიდებელი შუშით დაიწყებდა ყველა კუთხე-კუნჭულის შემოწმებას.

კერძები მთელს ქართლში განთქმულ მზარეულს, ხარიტონას, მოამზადებინეს. გოდერძიმ თავისი ხელით მოჰხადა თავი მოზრდილ ქოცოს და თიხის ყარყარა ხელადები ლალისფერი ღვინით პირთამდე აავსო.

საღამოჟამს სტუმრებმა დენა იწყეს. დასაპატიჟებელ პირთა სია ისაკამ ჯერ კიდევ ორი დღით ადრე გადასცა გოდერძის, ზოგიერთ მათგანს ოჯახის პატრონი სახით თავაც კი არ იცნობდა.

ახალდაბინდებულზე, ავტომანქანის შუქმა მასპინძლები დააფეთა.

სტუმრების დასახვედრად ძუნძულით წასულმა გოდერძიმ ხის ალაყაფი ფართოდ გამოაღო და შავი ვოლგა რბილად შესრიალდა ზენკლიაანთ მწვანე კორინდრიან ეზოში.

მანქანიდან ვახტანგ პეტროვიჩი გადმობრძანდა. მისი ფართოფარფლებიანი თეთრი შლიაპა საღამოს ბინდ-ბუნდში იალქანივით ქათქათებდა.

მდივანთან ერთად კიდევ ოთხი კაცი გამოლაგდა ვოლგიდან: პროპაგანდის განყოფილების გამგე, ბეჟიკო ცქვიტინიძე, რომელიც ყოველ კრებასა და სუფრაზე სულ იმას ამტკიცებდა ვახტანგ პეტროვიჩის ჩვენს რაიონში მოსვლით, სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო სამების ძველთაძველ ისტორიაშიო; რაიაღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მარკოზა ნოზაძე; რაიკავშირის თავმჯდომარე, მამია ერქომაიშვილი და უცნაურად გამხიარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებული ისაკა. მას თუ ასეთი გულღია სიცილი შეეძლო, გოდერძის არც კი წარმოედგინა.

ვახტანგ პეტროვიჩი ისე თავაზიანად, ისე გულღიად მიესალმა გოდერძისა და მალალოს, გეგონება ძველის-ძველი ნათელმირონობა ჰქონოდათ. სხვა სტუმრებსაც სათნოდ გაუღიმა და რიგრიგობით ყველას ხელი ჩამოართვა.

თავიდანვე ცხადი გახდა, მდივანი სტუმრიანობაში ერთობ გაწაფული კაცი იყო. იგრძნო თუ არა, რომ მისი მოსვლის შემდეგ ხალხმა ცოტა დაირცხვინა, ცოტა შეიბორკა, ვახტანგ პეტროვიჩმა მაშინვე სახუმარო კილო მოიმარჯვა და რამდენჯერმე მოხერხებულად იოხუნჯა კიდეც.

გოდერძის ცოტა თამამად შეექილიკა კიდეც: — გამეგონა ლამაზი ცოლი რომ გყავდა, მაგრამ ასე ვარდივით თუ იყო გადაშლილი და დედოფალივით თუ გამოიყურებოდა, არ მეგონაო. ამის გამგონე მალალო ყურებამდე გაწითლდა, დიასახლისობაში სიმარჯვე მოემატა და სულ ციბრუტივით დატრიალდა.

— სანამ სუფრას გაშლიან, მოდით ნარდი გავაგოროთ, — შესთავაზა ისაკამ ახალ მოსულთ და ვახტანგ პეტროვიჩი მეორე ოთახისაკენ გაიპატიჟა, იქ უფრო მყუდროაო.

გოდერძიმ იცოდა, ისაკა დანდლიშვილი გამოცდილი მონარდე იყო და იშვიათად აგებდა. მაგრამ ახლა, მის თამაშს ზემოდან რომ დასცქეროდა, ვეღარა ცნობდა; ისაკა ვერც კამათელს აგორებდა ხეირიანად და ქვებსაც არასწორად გადადიოდა. უკვირდა გოდერძის, ძალიან უკვირდა, ეს რა ემართება ამ კაცს, რაიონის ხელმძღვანელთან თამაშმა ასე როგორ დააბნიაო.

დანდლიშვილი კი ხელს ხელზე აგებდა. ალბათ, დიდ ფულზე თამაშობდნენ, რადგან ისაკა წუწუნით იყოფდა ჯიბეში ხელს და სულ ახალთახალი ტკიცინა ასმანეთიანები ამოჰქონდა.

ვახტანგ პეტროვიჩი კი სიცილით იგუდებოდა. თან თამაშობდა, თან რაღაც სასაცილო ამბებს ყვებოდა. დრო და დრო ისაკას დასცინოდა: — თამაში არა გცოდნია, მე რას დამიჯექი, წადი, ტოლი მონახე, კოჭი გააგორეო.

ისაკამ კარგა ბლომად ფული რომ წააგო, როგორც იქნა წამოდგა და ახლა რაიკავშირის თავმჯდომარეს დაუთმო ადგილი.

წითელლოყებამ, ჩასუქებულ-ჩაკურატებულმა მამია ერქომაიშვილმა იმდენი ირტყა ხელი მსუქან ბარძაყებზე, ლამის მთლად დაითქვიფა. მაგრამ რამდენიც არ შეუძახა, რამდენიც არ შეუყვირა კამათელს, არაფერი გამოვიდა, მანაც ზედიზედ წააგო და კარგა ბლომადაც, ანდა როგორ არ წააგებდა, თუ კარგად დამჯდარ კამათელსაც ვერ იყენებდა. გოდერძი აშკარად ხედავდა, რომ მამიაც არასწორად თამაშობდა: ზოგჯერ, თითქოს, ძალათი აკვლევინებდა თავის ქვებს მოწინააღმდეგეს.

გოდერძის ვერაფერი ვერ გაეგო. გაკვირვებული ფიქრობდა: — რა ემართებათ ამ ღმერთძაღლებს, ასე უტვინოდ როგორ თამაშობენო.

ვახტანგ პეტროვიჩმა მამიაც გაფცქვნა და მისი ადგილი ახლა რაიაღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მწითურზე-მწითურმა მარკოზა ნოზაძემ დაიკავა. არც იმას დაადგა კარგი დღე. მანაც ზედიზედ წააგო რამდენიმე ხელი. საკვირველი ამჯერად ის იყო, რომ მარკოზა აშკარად წაგებულ მდგომარეობაშიც კი დავს უცხადებდა პეტროვიჩს, გეგონება, დათქმულზე უფრო მეტის წაგება სურდა.

ვახტანგ პეტროვიჩი კი ხითხითებდა და ხითხითებდა. დრო და დრო, სიცილსა და სიცილს შუა თამაშს შეწყვეტდა, რაღაც სასაცილო ანეგდოტს მოჰყვებოდა და ტკიცინა ასმანეთიანებს ჯიბეში იწყობდა.

ყველაზე ძალიან გოდერძი იმან გააოცა, რომ სამივეს მხოლოდ ასმანეთიანები ამოჰქონდათ ჯიბიდან და ისიც სრულიად ახალთ-ახალი, სხვა ფული არ ამოუღიათ.

ერთ-ერთი ბოლო ხელის დროს, როცა რაიკავშირის თავმჯდომარემ „დავბა-შაში“ წააგო და ჯიბიდან ექვსი ტკიცინა ასმანეთიანი დააძრო, გოდერძის ჭირვეულმა აზრმა გაურბინა: — ნეტავი საიდან გაუჩნდათ ამდენი ასმანეთიანები, წინასწარ ხომ არ მოიმარაგეს?

და მაშინვე მეორე კვიმატმა აზრმაც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულვა: —ძალათი აგებენ, უყურე ერთი ამ მამაძაღლებს!..

ბოლოს, ყველა გვარიანად რომ დაფცქვნა, ვახტანგ პეტროვიჩი ნარდის თამაშს როგორც იქნა, მორჩა, გემრიელად გაიზმორა და წამოდგა.

მისი ჯიბეები შესამჩნევად დაბერილიყვნენ.

— თამაში არა გცოდნიათ და ნეტავი რას მეთამაშებოდით, — იხუმრა მან და აშკარად კმაყოფილმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

— კაცი და მისი ხასიათი ყველაფერში მჟღავნდება, თამაშშიაც და საქმეშიაც, სიხარულშიაც და სიმძიმილშიაც! — პათეტიკური აღტაცებით წარმოთქვა პროპაგანდის განყოფილების გამგემ, რომელსაც ძალზე უყვარდა ფართო განზოგადებები, მით უფრო თუ მათ რაიმე სარგებლობის მოტანაც შეეძლოთ. ხოლო, რომ უფროსის ქებას, ძაგებაზე მეტი ხეირი მოაქვს, ეს ბეჟიკო ცქვიტინიძემ დიდი ხანია კარგად იცოდა.

— თქვენ ამბობდით, პურმარილიანი კაციაო, აბა, საიდან ჩანს? ლამის შიმშილით მოგვკლას, ნარდის ჩხაკუნით სული ამოგვართვა. აღარ უნდა დაგვაჯინო შე კაი კაცო სუფრაზე? — დიდიხნის შეხუნრებული მახლობელივით მიმართა ვახტანგ პეტროვიჩმა გოდერძის.

სუფრის თავში ვახტანგ პეტროვიჩი დასვეს. გვერდით მარიკა მასწავლებელი მოუსვეს. იგი აქამდე ციბრუტივით ტრიალებდა, მალალოს პურმარილის გაწყობაში ეხმარებოდა. მარიკა ხალისიანი და მხიარული ქალი ჩანდა, ტანათქვირებული და თეძოგანიერი.

რამდენიმე დღე იყო ,რაც გოდერძი თამადობისათვის ემზადებოდა, რადგან თავის სახლში ყოველთვის თვითონ თამადობდა. ის-ის იყო პირველი ჭიქა უნდა აეწია, რომ მეტიჩარა (ამ სახელით ნონათლა თავის გუნებაში გოდერძიმ) ბეჟიკო ცქვიტინიძე ადგილიდან წამოიჭრა და თამადობა თვითონ ვახტანგ პეტროვიჩს მიულოცა.

ყველანი წამოიშალნენ და თამადად მდივანი ადღეგრძელეს.

გოდერძი სახტად დარჩა. ჯერ არა სმენოდა, რომ სხვის სახლში, სხვა კაცს, სხვა კაცი თამადად დაენიშნა. ისე დაიბნა, ერთხანს საქციელიც კი წაუხდა.

ვახტანგ პეტროვიჩს სუფრის ხელმძღვანელობა არ უუარია, არც გაპრანჭულა. თამადობა როგორც კუთვნილი, ისე მიიღო და პირველად გოდერძის ოჯახი ადღეგრძელა, — კეთილი იყოს ჩვენი ფეხი ამ ჭერქვეშაო.

რა თქმა უნდა, ნან ეს სადღეგრძელო ენაწყლიანად „გააფორმა". ფრიდრიხ ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაც" გაიხსენა და ბრძნული სიდინჯით დაასკვნა: ოჯახი იყო, არის და იქნება ერის ცხოვრების ძირითადი უჯრედი; რომ მის სიწმინდეს, სიმტკიცეს, შეურყვნელობასა და ძალას თვალის ჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ. მალალოსა და გოდერძის ოჯახი ვახტანგ პეტროვიჩმა ქართული ყოფა-ცხოვრების უმშვენიერეს ნიმუშად აღიარა და ამგვარი ოჯახების გამრავლება საქართველოს ბედნიერების საწინდრად მიიჩნია...

სუფრა სწრაფად გამხიარულდა. მოსიმღერეები, რომლებიც გოდერძიმ საგანგებოდ ნოიწვია, თამადის ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ მწყობრ სიმღერას შემოსძახებდნენ ხოლმე და ზენკლიაანთ პატარა სახლს ლამის ჭერი ახადეს.

დრო და დრო მათ გოდერძიც უერთებდა თავის სასიამოვნო ხმას და მაშინ სიმღერას ლაზათი ემატებოდა.

მარიკა მასწავლებელი სკამიდან აღარ წამოსდგარა, თამადას ნისთვის ხელი გადაეხვია, ყურში რაღაც სასაცილო ამბებს ჩასჩურჩულებდა და ნარიკაც განუწყვეტლივ კისკისებდა.

ვახტანგ პეტროვიჩი გამოცდილი თამადა გამოდგა. ისე მიუძღვებოდა ნადიმს, როგორც მრავალისმნახველი კაპიტანი ზღვაში გემს.

გოდერძის სადღეგრძელო დიდის ამბით შესვა. ჯერ მისი მეტიველობა გაიხსენა, თანაც დიდი ფერადოვნებით დახატა ტივებზე მუშაობის საფრთხე, ამას ნამდვილი ვაჟკაცობა სჭირდებაო; მერე სახერხეზე გადავიდა, საბჭოთა ხელისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამდე ეს იყო ერთადერთი დაწესებულებაო, რომელიც გლეხობიდან გამოსულმა კაცმა დააარსა და დიდი სიკეთეც მოუტანა მოსახლეობასაო; მერე აგურის ქარხანა გაიხსენა და ამ ქარხნის დაარსებაში გოდერძის დამსახურება აღნიშნა; ბოლოს ბაზის დანიშნულებაზე შეჩერდა და მისი მმართველის კარგი მუშაობა მჭევრმეტყველურად შეაქო.

გოდერძი შელოცვილივით უგდებდა ყურს ლამაზად მოლაპარაკე თამადას.

უკვირდა, ნეტავი, საიდან იცის ასე წვრილად ჩემი ამბავიო. მდივანი იმდენად აქებდა და ადიდებდა მას, რომ დრო და დრო გოდერძიმ აღარც კი იცოდა, მასზე ლაპარაკობდა იგი თუ ვიღაც სხვაზე. ბოლოს, უთხრა: ძალიან მიხარიან, რომ შენს სახლში ვარ და ამიერიდან უფრო უნდა დავახლოვდეთ, დავძმაკაცდეთო. მერე გოდერძი იხმო, სადღეგრძელო ვახტანგურად ხელგადაჭდობილმა დალია და ძმურად გადაკოცნა.

სტუმრებმა რომ ნახეს, რაიკომის მდივანმა ასერიგად შეაქო მასპინძელიო, თვითონ კიდევ უფრო გამოიდეს თავი და ისე შეამკეს მისი „ნათელი და კოლორიტული პიროვნება“, ისე განადიდეს და აღზევეს, იმდენი ტყუილი და მართალი უთხრეს, ყოფილ მეტივეს ლამის თავბრუ დაეხვა.

ისაკა ვახტანგ პეტროვიჩმა სულ ბოლოსათვის მოიტოვა. მისი სადღეგრძელოც შორიდან დაიწყო. ჯერ საერთოდ მეურნეობაზე ილაპარაკა, მერე მისი ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საკითხებს შეეხო, მერე სახალხო მეურნეობაში აღრიცხვის როლი განმარტა. აღრიცხვის მუშაკები ჩვენი სოფლის მეურნეობის ოქროს ფონდიაო. ზოგიერთი ადამიანი მათ ათვალისწუნებით, ქედმაღლურად უყურებსო, რაც სწორი არ არისო და თავისი აზრი სტალინის სიტყვებით გაამაგრა, რომელიც მას მომსახურეობის სფეროს მუშაკების შესახებ ჰქონდა ნათქვამი .მეინახეებს ესეც ძალიან მოეწონათ, რამდენადაც, სტალინის ხსენება, როგორც ოფიციალურ პირს, ვაჟკაცობად ჩაუთვალეს.

აღრიცხვის მუშაკებს ჩვენ ხშირად არასწორად ვეპყრობითო, ენამზეობდა ვახტანგ პეტროვიჩი, — იმიტომ, რომ მეურნეობა ჯერ კიდევ ცუდად ვიცითო, ცუდი მეურნეები, ცუდი ეკონომისტები, ცუდი ორგანიზატორები ვართო. ყველა ხელმძღვანელი, იმავე დროს, ეკონომისტი უნდა გახდესო და რენტაბელობისათვის იბრძოდესო. მშიშარა კი არა ,ინიციატივიანი მეურნეები უნდა ვიყოთო; ამ საქმეში ამერიკამ ძალიან გაგვისწროო. შიშველი ადმინისტრირებით, ეკონომიკისა და ბუღალტერიის ცოდნის გარეშე, საქმეს წინ ვერ წავწევთო და ამიტომ მეურნეობის მრავალ უბანზე არაფერი არ გამოგვდისო..

ისაკა სწორედ ისეთი კაცია, — დაასკვნა ბოლოს მდივანმა, — როგორიც ჩვენ ახლა გვჭირდებაო: ინიციატივიანი, მუყაითი, საქმის ერთგული, დაუზარელი, ენერგიული და, ვინ იცის, კიდევ რა სიტყვებით არ შეამკო.

გოდერძი ხან რაიკომის მდივანს შესცქეროდა გაფართოებული თვალებით, ხანაც საჩვენებელი მოკრძალებით მდგარ ისაკას. უკვირდა, რატომ აქამდე არ ვიცოდი, თუ ისაკა ასეთი საჭირო კაცი იყო, ან რაიკომის მდივანი ასე ახლო თუ იცნობდაო.

— მე — ენაწყლიანად განაგრძობდა ვახტანგ პეტროვიჩი, — ისაკას ჯერ კიდევ ავტობაზის მთავარ ბუღალტრად ყოფნის დროიდან ვიცნობ. მერე სარაიონთაშორისო სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მთავარი ბუღალტერი იყო და ორივეგან კარგად გამოიჩინა თავი. როცა „ლესსტროიტორგის“ სამების კანტორის გახსნა გადაწყდა, მაშინვე იგი მომაგონდა და ახალ თანამდებობაზე მოვიწვიეო. წინასწარ ვიცოდი, ისეთი კარგი მუშაკები, როგორიც გოდერძი და ისაკა არიან, აუცილებლად შეეწყობოდნენ ერთმანეთს, და აკი შეეწყვნენ კიდეცო.

აქაოდა მდივანმა შეაქოო, დანარჩენებმაც გუდას მოხსნეს და ისაკა ისე აღამაღლეს, მისნაირი თუ კიდევ ვინმე დადიოდა ამ ცისქვეშეთში აღარ გეგონებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისაკამ რიხიანად, ამასთან საკმაოდ დალაგებულად ნათქვამ სამადლობელში სულ საქართველოს მზე და მთვარე იფიცა.

ქართველი ხალხი მსოფლიოს უპირველეს ხალხად გამოაცხადა და საკუთარი ქართველობაც თავის უპირველეს ღირსებად მიიჩნია.

გვიან დაიშალნენ გოდერძის სტუმრები. შუაღამის სიჩუმეში შორს გაისმოდა მათი ხმამაღალი საუბარი და უთავბოლო ყაყანი.

მთვრალი ხალხის ეს გაუთავებელი ლაპარაკი მჭახე შეძახილებით, მლაშე თქმებით და შიგჩართული სიმღერით, გოდერძის გულს უბზარავდა: ეს იყო პირველი შემთხვევა მის სიცოცხლეში, რომ სახლში ლხინი ჰქონოდეს და არც ერთი მეზობელი არ დაეპატიჟოს...

იცოდა, რომ ახლა არც ერთ მათგანს არ ეძინა და შურიანი გაბოროტებით, ღვარძლიანად ისმენდნენ გოდერძის სტუმრების მთვრალ აურ-ზაურს.

მეორე დღეს, ისაკა დანდლიშვილი ისეთი მოღუშული და ჩაფიქრებული აღარ ეჩვენა გოდერძის, როგორიც ჩვეულებრივად იყო ხოლმე.

ისაკამ წვეულება მოუწონა და ოჯახიც შეუქო.

— შენა, ძმასავით საყვარელო ჩემო უფროსო და გულთან ახლო მყოფო საამაყო მამულიშვილო, — თვალების წკურვით და ხელაპყრობით ამბობდა ისაკა, — მართლაც დიდებული ოჯახი გქონია!.. მანქანაში რომ ჩავსხედით და სანამ სახლში მივიყვანდით, ვახტანგ პეტროვიჩი სულ შენს ქებაში იყო. უნდა გენახა ან როგორ შეგაქო, ან რეები ილაპარაკა. მაგრამ შეგიცოდა კიდეც: ასეთი კარგი კაცი, მერე ისიც ასეთი ოჯახის პატრონი, იმ პატარა საქათმეში როგორ ცხოვრობსო! ნუთუ იმდენი არ შეუძლიან, ერთი ხეირიანი, თანამედროვე სახლი დაიდგასო...

ამას რომ ამბობდა, ისაკა ქვეშ-ქვეშიდან გოდერძის შეჰყურებდა. ბაზის მართველი აშკარად ნასიამოვნები ჩანდა, გაბადრული, პირმცინარი იდგა იგი ბუღალტრის წინაშე და რკინის სავარცხლით თმებს ივარცხნიდა.

ახლა ვახტანგ პეტროვიჩის ქებას შეუდგა ისაკა. ასეთი ნიჭიერი ორგანიზატორი და გამოცდილი პარტიული მუშაკი რესპუბლიკაში მეორე არ მოიპოვებაო.

— ძალიან წინდახედული და პროგრესული კაცია ჩვენი მდივანი. — დარწმუნებით გაიძახოდა ენადაკრეფილი და შაქარზე უფრო დამტკბარი ბუღალტერი. მერე გოდერძის სახე მიუახლოვა და თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა:

— რაღა დაგიმალო და, რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, აი, ასე არის, — და ორივე ხელის საჩვენებელი თითები ერთმანეთს გადააჭდო, — ისინიც ძალიან აფასებენ, ძალიან, რომ მეტი არ შეიძლება. ქართლში როცა წამოვლენ ხოლმე, ვახტანგ პეტროვიჩთან ჩერდებიან, ღამეს სულ მასთან ათევენ. იცის ბიჭმა როგორ დაუხვდეს! ისე ისწავლა ხელმძღვანელთა ხასიათი, სულ ზეპირად იცის რა უყვართ და რა არა. ისე უმარჯვებს ყველაფერს, ლამის სულში ჩაიძვრინონ.

ახლა თურმე რესპუბლიკის ხელმძღვანელობას გადაუწყვეტია ძმის აქეთა ნაპირზე, აი, ზემო ჭალა რომ არის და ნოდარიანთ წყარო გადმოჩუხჩუხებს, — ეჰ, რა საქეიფო ადგილია! — აი, იქა სანადირო სახლი უნდა ააშენონ. სანადიროც იქნება და საპატიო სტუმრების მისაღებიც. ამ სახლის აშენება ვახტანგ პეტროვიჩისათვის მიუნდვიათ. პროექტიც მაგან უნდა შეუკვეთოს და ხარჯთაღრიცხვაც მაგან უნდა შეადგინოს. რესპუბლიკის ხელმძღვანელს უთქვამს, ფული არ დაიშუროთო, რაც შეიძლება კარგად გააკეთეთ და შიგნიდანაც მდიდრულად, გემოვნებით მორთეთო.

მშენებლობა რომ დაიწყება, მე შეთავსებით ბუღალტრად ვიმუშავებ. ასე თქვა ვახტანგ პეტროვიჩმა. ხომ იცი, სანდო კაცია იქ საჭირო, არაფერი გააფუჭონ, მაშინ თავი გამოსაჩენად აღარ გვექნება...

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

# დალ-ექიმი

მოთხრობა

გარეთ ბარდნიდა დინჯად, ხვავრიელად. ტოტები თოვლის სიმძიმისაგან იზნიქებოდა. ბეღურები ზედ ფანჯარასთან ჟივჟივებდნენ და ვიღაც ღვთისნიერის მიერ დაგდებულ პურის ნატეხს კორტნიდნენ.

სახურავებს ფუმფულა თოვლის ჩაფხუტები ეხურა.

„გადასათოვლია!“ — წამიერ გაუელვა ბაჯუს.

მხოლოდ ერთხელ ასწია თავი. თვალი ჰკიდა ფანჯარას და უმალვე დაავიწყდა თოვლი, ტოტები, სახურავები, ბეღურები.

ქალს ახლადდაბადებული ბავშვი ეჭირა. ჩვილი ჭყლოპინებდა.

ბაჯუმ ხმამაღლა, მელოგინის გასაგონად წამოიძახა:

— გაიზრდება!

სამი-ოთხი საათის წინ, აქ რომ შემოაბიჯა, იმედი თითქმის არ ჰქონდა. გამოცდილებამ უკარნახა, მძიმე მშობიარობასთან რომ ექნებოდა საქმე. ბათიმათ ცინდელიანი ორმოცი წლისა მაინც იყო, ცხრა ბიჭის დედა, ცხრაჯერ ბეწვის ხიდზე გასულა, ახლა კი მეათემ — გოგომ კინაღამ თან გადაიყოლა.

„რომ არ მომესწრო, გაიკუდებოდა“ — ბაჯუმ რეზინის ხელთათმანები წაიძრო, ტაშტში ჩააგდო, ნეტარებით მიუშვირა ხელი თბილ წყალს.

მელოგინემ ოფლით დაცვარული სახე მოაბრუნა. ქვედა ტუჩი დასისხლიანებოდა. მშობიარობის დროს ხმა არ ამოუღია, ჩივილი არ დასცდენია, ალბათ უცხო კაცისა რცხვენოდა; მხოლოდ ტუჩს იკვნეტდა. გადატანილი ტკივილებისაგან ბაგეები კვლავაც ებრიცებოდა, როგორც განაწყენებულ ბავშვს, მაგრამ ინსტინქტურად... აქამდე თვალებში ძრწოლა ეხატებოდა, ახლა კი შიში თანდათან მიმქრალიყო და შიგ შვება, მადლიერება, სინაზე ჩანდა, ლმობიერებასა და სიწყნარეს დაებუდა.

— ქალიშვილია, ყაჩაღანა და ეშმაკისფეხა, — მეორედ შეახსენა ბაჯუმ.

— გმადლობთ, დალ-ექიმო, — ძლივს წაიჩურჩულა მელოგინემ.

დალის მთელ ხეობაში მოფერებით ასე ეძახდნენ ბაჯუს და ამ მეტსახელში სიყვარული და პატივისცემა იგრძნობოდა.

— კაჟივით გოგოა, — ხალისით შეეპასუხა და ხელები შეიმშრალა.

ოთახში მეზობლის დედაკაცები ფა-

ციფუცობდნენ, ვედროები და ტაშტები გაჰქონდათ.

ბაჯუმ კარი გამოაღო, ბეჩუ ცინდელიანი გამოატარა. ოჯახის უფროსი ერთი კვირის გაუპარსავი მაინც იყო და ჭადარანარევი ბანჯგვლი მოსდებოდა, თვალები მღელვარებისაგან ჩასცვენოდა.

— გადარჩება, დალ-ექიმო?

— გადარჩენილია და ევაა, — გაამხნევა ბაჯუმ.

ბეჩუ სარეცელს მიუახლოვდა. მელოგინეს გვერდით პაწია, დამანჭული არსება წკვიტინებდა. კაცმა თვალი აარიდა.

— როგორა ხარ, ბათიმათ?

ქალმა საწყლად გაუღიმა.

ზღურბლს გაღმა უმცროსი ცინდელიანები შეყრილიყვნენ და კარისაკენ კისერს ცნობისმოყვარეობით იწვდენდნენ.

— შემოდით, შემოდით!

ბაჯუმ უფროსს, თხუთმეტი წლის გიას მხარზე ხელი დაჰკრა, დედისაკენ უბიძგა. ერთმანეთის მოყოლებით შემოძწკრივდნენ, ერთიმეორეზე პატარები. უფროსი დაიხარა, დედას აკოცა, ჩვილს თვალი შეავლო და უკან გადგა, სხვა ძმები მიუშვა. მათაც უფროსს მიბაძეს. რიგრიგობით იხრებოდნენ დედისაკენ, კოცნიდნენ, ჩვილს დახედავდნენ, ზოგი ინტერესით, ზოგი გაოცებით, ზოგი ინსტინქტური ზიზღით, ყველაზე პატარამ კი — ორი წლის დათუნამ ცრემლები გადმოყარა — „ალ მინდა დაიკოო!“

ყველა ერთად მიაწყდა კარს, გაიჭედნენ და ჯაჯგურით, ჭიკავ-ჭიკავით გავიდნენ.

— ყაჩაღანა და ეშმაკისფეხა იქნება, მაგასაც ნახავთ, — ბაჯუმ მკლავზე ხელი შეავლო ბეჩუ ცინდელიანს, მელოგინეს გაარიდა როცა ოთახიდან გადიოდნენ, კართან ჩამოკიდებულ სარკის ნატეხს შეავლო თვალი, საკუთარი ფერი არ მოეწონა. გასცრეცოდა, წვერიც წამოზრდოდა, არა და, რაც დაქორწინდა, ყოველდღე იპარსავდა.

იგრძნო, რომ უსაშველოდ დაიღალა. წუხელ წუთითაც ვერ მოისვენა, ქვეყანას ერჩივნა თბილი ლოგინი და ძილი. ძლიერი მტერი იყო სიკვდილი, ჭირდა მასთან ბრძოლა. ხან იმარჯვებდა ბაჯუ, ზოგჯერ კი მარცხდებოდა და გულზე იარას იარა ემატებოდა. თერაპევტი ვარ და სხვა სპეციალისტები მომაშველეთო, — რაიონს სწერდა. თერაპევტი კი არა, თვითონვე იყო ქირურგიც, გინეკოლოგიც, ფსიქიატრიც, კარდიოლოგიც და ვინ იცის კიდევ რა, რადგან დალი მთელ ხეობაში ერთადერთი მკურნალი გახლდათ. დროგამოშვებით მუქარით აცნობებდა ჯანდაცვას, დავკრავ ფეხს და მეც ქალაქში გადავვარდებიო, სხვაზე ნაკლებ არ დავიმშვენებ კათედრებსა და რესტორნებსო. მუქარა მუქარადვე რჩებოდა, წელი კი წელს მისდევდა. დალ-ექიმს ქოჩორი შეუთხელდა, უპეებში ნაოჭი მოუხშირდა...

გარეთ კი ხვავრიელად ბარდნიდა და ხეთა ტოტები მძიმედ იზნიქებოდა.

„გადასათოვლია“, — ერთხელაც გაიფიქრა ბაჯუმ და საექიმო ჩემოდანი დახურა.

სასტუმრო ოთახში ქალები უხმოდ შლიდნენ სახელდახელო სუფრას. ბაჯუს გაახსენდა, დღეს რომ პირში ხემსი არ ჩასვლოდა.

— ერთი ჭიქა დაგვილიე, დალ-ექიმო! — შესთხოვა ბეჩუ ცინდელიანმა.

— მაშ, ოჯახის პირველი ქალიშვილი ხომ უნდა დავლოცოთ, — უმალვე დაეთანხმა ბაჯუ, სკამი გამოსწია.

— თამარს დავარქმევ, — ბეჩუ ფეხზე იდგა და არაყი ისე ჩამოასხა.

— კარგი სახელია, — ბაჯუს ცოლი გაახსენდა. მასაც თამარი ერქვა. ჩვილის მობრუნებას რომ ცდილობდა, იმ დროს ამოეშალა მეხსიერებიდან. თამარიც დღე-დღე ელოდა ბავშვს. ბაჯუ შორს არ უნდა გასცდენოდა საკუთარ კერას, რათა დროზე ეშველა ახალგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდა მეუღლისათვის, რომელიც აგერ, სიბერის ზღვარზე შეერთო და მისი ორსულობა ღვთიურ სასწაულად მიაჩნდა.

— კარგი სახელია, — თავის ფიქრს გაუღიმა ბაჯუმ. თასი ხელში ეჭირა და ბეჩუ ცინდელიანი მოთმინებით ელოდა, როდის დაჯდებოდა სტუმარი. აივანზე ვიღაც ამობრაგუნდა.

— დალ-ექიმი თქვენთანაა? — ხმამაღლა იკითხა.

ბაჯუს ხელი აუკანკალდა, არაყი თითებზე გადმოეღვარა. უმალვე ის იფიქრა, ჩემი თამარი ცუდადაა და ალბათ შინიდან დამირეკესო. თასი დადგა, კარისაკენ შებრუნდა და ახლა უკვე არ ახსოვდა არც არაყი, არც შიმშილი, არც მასპინძელი.

კარი მოურიდებლად გაიღო, ოთახში ორთქლი შემოვარდა და ბაბუაწვერასავით ფიფქები შემოიტანა.

— გუდუ? — ბეჩუ ცინდელიანი სტუმრისაკენ დაიძრა, უნდოდა ეკითხა, ასეთი რა გაგჭირვებიაო.

ახალგაზრდა კაცი სირბილისაგან სულს ძლივს ითქვამდა. სახე ულაჟღაჟებდა. თმაზე და მხრებზე თოვლი ადნებოდა.

„თამარ?“ — უხმოდ შეეკითხა ბაჯუ.

— დალ-ექიმო, გოჩა ვიბლიანი კვდება!

ბაჯუ შეყოვნდა, გულზე მოეშვა და კიდეც შეწუხდა...

ვერ გაიხსენა ვინ იყო გოჩა ვიბლიანი, ან სად ცხოვრობდა.

— რა დაემართა?

— კარგად არ ვიცი, დარეკეს, მაგრამ ხაზი უცებ გაწყდა, იქნებ ჩაინამქრა...

— სად გაწყდა ხაზი?

— თეთნე მანჩხააპამდე ხომ იცით რა გზაა, სადმე გაწყდებოდა და...

თეთნე მანჩხააპი... პაწია სოფელი, ათიოდე კომლი, ათიოდე კილომეტრი გზა თოვლით ამოვსებულ ვიწრო ხეობაში...

— მაშ წავიდეთ! — ყოყმანი იგრძნობოდა ბაჯუს ხმაში. სიკვდილს გამოსტაცა ბათიმათ ცინდელიანი, უკან დაახევინა მტერს, მაგრამ ვინ იცის სადაა იგი დადარაჯებული.

— დალ-ექიმო, — გაუბედავად შეახსენა ბეჩუ ცინდელიანმა. ვერ ეტყოდა, დავჯდეთ და ვიქეიფოთო, ერთი ჭიქა ასწიეო, ამასღა სთხოვდა.

— სხვა დროს, სხვა დროს, — გახუნებული პალტო ჩაიცვა ბაჯუმ, თბილი კაშნე ყელზე შემოიხვია, ბეწვის ქუდი თავზე ჩამოიფხატა.

გასვლის წინ მელოგინის ოთახში შეიხედა, შორიდან შეავლო თვალი. ქალს სახე გამკრთალებოდა, თვალდახუჭული იწვა. თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბაჯუს წინათგრძნობამ მოსვენება დაუკარგა. ბეჩუ ცინდელიანი გააფრთხილა, დალში ჩადი, საავადმყოფოს მიაკითხე და ექთანი ამოიყვანეო.

თოვლი საქენზე იდო. მთელი სოფელი შიგ ჩაფლულიყო. ზოგან სახლები გადაეთოვლათ და ბუხრის მილებიდან თითრი, მოცისფრო კვამლი ამოდიოდა.

ერთგან კი სახურავზე მამაკაცი იდგა, ნიჩბით თოვლს ყრიდა. ზედ სახლის კუწუბზე ბავშვი დამჯდარიყო და გაბმულად იძახდა:

— დალ-ექიმი მოდის!.. დალ-ექიმი მოდის!..

მამაკაცმა მოიხედა, ხელი დაუქნია, იკითხა, საქმე როგორააო. ბაჯუმ ცერი ასწია, კარგადო, თუმცა გული მაინც ეთანაღრებოდა.

ორღობეებში საცალფეხო ბილიკი გაეკვალათ.

გუდუ წინ მიკელანობდა. ბაჯუს წვრილად მოუთხრო, წუხელ ფეხი დამიცდა და ძარღვი გამეჭიმაო. მერე ამინდზე გადავიდა, რადიოს გამოუცხადებია, ორი-სამი კვირა დიდთოვლობა მოგველის და ფრთხილად იყავითო.

ბაჯუ არ უსმენდა ამ უთავბოლო რატრატს. ფიქრებმა წაიღეს. ბეჩუ ცინდელიანის მეუღლეს უბრუნდებოდა ფიქრში ისევ და ისევ. თავს ერთ

წმუნებდა, დროზე მივუსწარი და გადავარჩინეო, მაგრამ მოუსვენარი ეშმაკუნა — ეჭვი სულს უწიწკნიდა... გულის დასამშვიდებლად პაწია, მუშტისტოლა თამარს იხსენებდა, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ სიკვდილს გამოსტაცა... აქ კი ცოლიც მოაგონდებოდა, რომელიც მეცხრე თვის მიჯნაზე, ვინ იცის, როგორ მიტოვებულად გრძნობდა თავს..

ფოსტაში არავინ იყო. არც კარი ჩაეკეტა ვინმეს. გაუხარდა, როდესაც ყურმილში ზუმერის ხმა გაიგონა, აქეთ მაინც ყოფილა ხაზიო. იმ ბოლოს ტელეფონს დიდხანს არავინ იღებდა და წყეული შიში თანდათან ჩაეჭდო ძარღვებში, შეჰბოჭა.

ამ დროს გაიჩხაკუნა და ერთადერთმა, მოკლე, უბრალოდ ნათქვამმა სიტყვამ კინაღამ შეახტუნა. იქვე ატუდებულ გუდუს ანიშნა, კარში გადი და მარტო დამტოვეო.

— დიახ, — იკითხა ქალის ხმამ.

— მე ვარ, ოქრო, ხომ მშვიდობაა?

— სადა ხარ? — ქალის ხმაში მოუსვენრობა იგრძნობოდა.

— ზემო სოფელში ვარ, ბეჩუ ცინდელიანის ცოლს გოგო შეეძინა.

— მოდიხარ?

ბაჯუმ ამოიოხრა. მცირე ხანს დუმდა, მერე თითქმის ცივად შეეპასუხა:

— ვერა, ოქრო, დღეს ნუ მელი!

— ხვალ? — ხმა ჩაუვარდა ქალს.

— არ ვიცი, შენ ნუ გეშინია.

— მეშინია, — წაიჩურჩულა ქალმა და ყურმილი დადო.

ბაჯუს ხელი შეუყოვნდა. ყურში უწყვეტად მეორდებოდა ზუმერის ხმა და შეშფოთებული სიტყვა:“ მეშინია, მეშინია, მეშინია...“

— დალ-ექიმო! — შემოიჭყიტა გუდუმ.

— ჰო, ჰო, წავიდეთ, შენ ოღონდ თხილამური მიშოვე...

სოფლის განაპირას გავიდნენ. ამის იქით გზა გაკვალული არ იყო.

ვიწრო ხერბა დამრეც ფერდობებს ჩაეჭეჭყა. ზედ შესეული უღრანი ტყე თოვლს ჩაენამქრა. ასწლოვან წიწლებს ქაჯის ცოცხივით გაეფარჩხათ ტოტები. სადმე თუ ობოლი ნაძვი გამოკრთებოდა, ისე იყო თოვლით დამძიმებული, უფრო შაქარყინულის პირამიდას ჰგავდა.

ბაჯუმ ჩემოდანი თოვლში ჩადგა, ზედ დაჯდა და თხილამურების მორგებას შეუდგა.

გუდუ იქვე იდგა. თოვლს ტკეპნიდა, უხერხულად იშმუშნებოდა.

— თასმებს გაგიკრავთ, დალ-ექიმო!

ბაჯუმ გამომცდელად ახედა.

— შინ დაბრუნდი, მარტო წავალ!

გუდუ გაწითლდა, არაფერი უთქვამს.

თხილამურები რომ მოირგო, საათს დახედა. ისარი ოთხზე გაყინულიყო.

უხმოდ გამოესალმა გუდუს და გაუკვალავ, უბიწო თოვლზე შედგა. თოვლი ჩაიზნიქა, აჭრაჭუნდა, მაგრამ შეიკავა...

ალღოთი მიიკვლევდა გზას. მიახლოებით ახსოვდა, ზაფხულობით სად გადიოდა ვიწრო, საცალფეხო ბილიკი, რომელიც გიჟის აჩემებულობით ეხვეოდა მღვრიე ნაკადულს, ახლა კი ყველაფერი ერთნაირად იყო მოსწორებული და ნადირის კვალიც არსად აჩნდა თოვლს.

მთელ გზაზე თამარის ხმა ჩასჩურჩულებდა. ბაჯუ მოუსვენრობამ შეიპყრო. რაც უფრო შორდებოდა თავის სახლ-კარს, იქნებ მით უფრო უჭირდა თამარს. თუმცა თავს ირწმუნებდა, რა უნდა მოხდეს, უსაფუძვლო შიში კაცისათვის სამარცხვინოაო.

კვლავაც გადაუღებლად ბარდნიდა. გოჯისტოლა ფანტელები ბზრიალ-ბზრიალით ეფინებოდა მდუმარე ტყეს. სახეზე უცაცუნებდა ბაჯუს, წამწამებზე ადნებოდა და ცრემლებივით უპეებს ჩამოჰყვებოდა. ორიოდ ნაბიჯზეც ძნელი იყო რამის გარჩევა და ბაჯუს ეჩვენებოდა, რომ მიარღვევდა რაღაც უსაგნო კედელს, რომელსაც ბოლო არასოდეს არ ექნებოდა.

ფაფუკი თოვლი სუსტი ჭრაჭუნით იზნიქებოდა. ბაჯუ უსმენდა სუსტ ჭრა-

ჭუნს, საკუთარ სუნთქვას, ტოტებიდან მოულოდნელად გადმოვარდნილი გუნდის ბათქუნს... ყოველი ბგერა იხშობოდა თანაბარ, თითქმის უხმო შრიალში, რასაც მირიადი ფიფქები გამოსცემდნენ და ბაჯუს ისევ და ისევ ახსენდებოდა თამარ, თვალწინ წარმოუდგებოდა, ხან ისეთი, როგორიც ქორწინების დღეს იყო, — სუსტი, ნაზი არსება, ხან კი ისეთი, როგორიც ახლა დატოვა, ჭორფლის წინწკლებით სახეზე, დედობრივი სისავსით დამშვენებული... იქნებ არც ეთქმოდა ლამაზი, ვინ იცის როგორ უყურებდნენ სხვათა და სხვათა თვალები, მაგრამ ბაჯუ გრძნობდა საოცარ სითბოს, გულუბრყვილო, სათნო, ცრემლი აღგებოდა... ფიქრში ეალერსებოდა თავის ყმაწვილ მეუღლეს, მაგრამ გულის სიღრმეში მალავდა მთავარს, უთქმელს, რადგან რცხვენოდა ბავშვური სინაზისა, რცხვენოდა ჩაუმქრალი სურვილისა, რომელიც მუდამ კარნახობდა, გულში ჩაიკარი შენი თამარი, არ გაუშვა. თორემ იქნებ გაგიფრინდეს ჩიტი-ჩიორაო... ებრძოდა არამკითხე მოკარნახეს, არ ემორჩილებოდა, თუ დაუთმობდა, მხოლოდ მცირეოდენს. მკლავზე ოდნავ შეახებდა ხელს, ორიოდე სიტყვით მოუყვებოდა თავის პაციენტებზე და ხუთი დღით დაგვიანებულ გაზეთებს გადაშლიდა. თამარი კი ფაციფუცობდა, სუფრას შლიდა... ბაჯუ ხანდახან გახედავდა გაზეთიდან, წამით წამზე ივსებოდა რაღაც უჩვეულო, განუზომელი ნეტარებით, გაზეთს დააგდებდა, წამოიწეოდა, რათა ხელში ჩაეგდო, დაეჭირა, ჩაეხუტებინა, მაგრამ ერთს ამოიხვნეშებდა, ეგ რა ამბებს მომხდარა ამერიკაშიო და ონკანს მიუშვერდა ხელს. მერე სუფრის ორ მხარეს დასხდებოდნენ. თამარი არაფერს ჭამდა, ბაჯუ აძალებდა, უჯავრდებოდა კიდეც, შენ თუ არ გინდა, ბატონო, ბავშვს ხომ უნდაო. თამარს უმალვე ცრემლი გაუკრთებოდა, საწყალი ღიმილით შემოსცინცინებდა და ბაჯუ ენას იკვნეტდა, მზად იყო თეფშების რეცხვისაგან დაშაშრული ხელები დაეკოცნა მისთვის, ოღონდაც ვერასოდეს ახერხებდა ამას.

ახლა კი, ამ თოვლით სავსე ხეობაში, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი, უცბად ბავშვურმა სიანცემ შეიპყრო და ხმამაღლა წარმოთქვა:

— მიყვარხარ, თამარ!

შერცხვა ამ უცოდველი ანცლობისა, თითქოს თოვლის ფარდის მიღმა ვიღაც იდგა და შეეძლო გაეგონა. იგრძნო, რომ წითლდებოდა, მაგრამ უჩინარი და ოხერი მოყურადის ჯიბრზე უფრო ხმამაღლა გაიმეორა:

— მე შენ მიყვარხარ, თამარ!

გაეცინა.

ექო არ გამოუცია ხმას, თითქოს გაიგუდა, ჩაიკარგა თოვლის ფანტელებში.

ფაფუკი თოვლი თხილამურებქვეშ ჭრაჭუნით იზნიქებოდა.

ღამე ნელა წამოეპარა, მაგრამ თოვლის სიქათქათეში ბინდი ფეხს ვერ იკიდებდა.

გუგუნი გვიან ჩაესმა. საიდანღაც, თითქოს მიწისქვეშეთიდან, ყრუ, დახშული ხმა ამოიდოდა და თავდაპირველად ვერც მიხვდა, რა უნდა ყოფილიყო.

თანდათან გაძლიერდა...

წამოუბერა მძაფრმა ქარმა, ფიფქები გაიტაცა და უცბად ერთმანეთში აირია უჩვეულო ღმუილი, გრიალი, ფხრაწუნი... ბაჯუმ იგრძნო, რომ მიექანებოდა... ასწია ქარბორიამ და განზე მოისროლა.

კარგა ხანს ისმოდა შორეული ექოს ყრუ, ჩაგუდული გამოძახილი.

მერე კვლავ მიწყნარდა ყოველივე.

...ძლივს ამოფოფხდა თოვლიდან. მუხლი ეტკინა. ხომ არ მოვიტეხეო, შეამოწმა, ეტყობა რაღაცას გაჰკრა და დაბეჟილი ჰქონდა.

ზვავმა ჩამოიტანა მთელი ფერდობი. ერთმანეთში აიზილა ქვა, ხე, ჭუჭყიანი თოვლი და ხევი ჩაიჭედა.

„კარგად გადავრჩი“, — გაიფიქრა ბა-

ჯუმ. ზვავის კიდემ ოდნავლა გაჰკრა და აძან იხსნა.

მიიხედ-მოიხედა, ცალი თხილამური არც ჩანდა, მეორე შუაზე გადაფხრეწილიყო. საექიმო ჩემოდანი შორიახლო თოვლში ეგდო. ჩემოდნამდე მიფოფხდა. გახსნა, რამე თუ ვადარჩაო; ყველაფერი თავის ადგილზე იყო.

„ახლა რა ვქნა?“

არ იცოდა რა მანძილი ედო წინ, ალბათ ნახევარზე მეტი გაიარა.

მოულოდნელად მწვავე შიმშილი მოაწვა, ააწრიალა. ახლა ინანა, ცინდელიანებთან პურის ნატეხი მაინც უნდა ჩაედო ჯიბეში. ფიქრმა თავისთავად ბეჩუ ცინდელიანის ოჯახში დააბრუნა. „რომ არ მომესწრო, გაიგუდებოდა“,— ჩვილზე გაიფიქრა. ამ ფიქრმა გაახალისა, თუმცა ხალისში შფოთიც ერია.

პირში თოვლი ჩაიდო და მოწუწნა.

ხვნეშით წამოდგა.

ფეხის გამართვა გაუჭირდა. მუხლები დაიზილა და კოჭლობ-კოჭლობით წინ გაემართა.

იქ,სადაც ზვავმა ჩამოიარა, ფერდობი გაეტიტვლებინა და ქვებზე ადვილი იყო ფეხის მოკიდება. ასე გაიარა ასიოდე მეტრი და კვლავ უბიწო, ხავერიელ თოვლში შეაბიჯა. ჩემოდანს ეყრდნობოდა და ასე მიარღვევდა წელამდე თოვლს. მუხლის ტკივილი თითქმის დაუამდა, თავს არ ახსენებდა. ოღონდ, როგორც კი შეჩერდებოდა, უმალვე მოაგონდებოდა.

ასე მიდიოდა ერთი საათი, მეორე, მესამე... ისევ ისე ბარდნიდა. მძიმე, საშიშროებით სავსე ღამე ჩამოწვა. არსაით ხმა არ ისმოდა, გარდა ფიფქების თანაბარი, უწყვეტი შრიალისა.

უზომოდ დაიღალა. ფიქრის თავი არ ჰქონდა, მაგრამ ერთ სიტყვას მაინც იმეორებდა თავისთვის, იმას ებღაუჭებოდა, ის სიტყვა აკავშირებდა ადამიანებთან, რომლებიც ასე უცბად გამქრალიყვნენ პირისაგან მიწისა.

„თამარ... თამარ... თამარ...“

სადღაც ნაშუაღამევს თოფის სროლა მოესმა.

„ბუმ“! — ყრუდ ჩაიხშო თოვლში, თითქოს ბამბაზე ჯოხი დაერტყათ.

მერე უჩვეულო, დახშული, ხმები ამოცოცდა თოვლიდან, თითქოს ძველი პატეფონის ფირფიტას ატრიალებდნენ სწრაფად.

ბაჯუმ წაიფორხილა, თოვლში ჩაემხო, ადგომის ღონე კი უკვე არ შესწევდა.

— ეჰეი! — წამოიძახა, მაგრამ მისი ხმა იქვე ჩაიკარგა, ორიოდ ნაბიჯზე.

— ეჰე,ჰე! — მოესმა თვითონაც და თეთრი სიბნელე ჩირაღდნებმა გაარღვია, თვალებში ნაპერწკლები მოაფრქვია.

ბაჯუმ თვალები დახუჭა და მინებდა ღონიერ ხელებს, რომლებმაც თოვლიდან აიტაცეს და წააციმციმეს. ფანტელები სახეზე ეცემოდა, ბავშვის ცივი თითებივით ელაციცებოდა, მაგრამ ცნობიერება თანდათან ქრებოდა და იგი თბილ ბურანში ჩაიძირა. ოთახის დახუთული, მკვრივი ჰაერი შემოეტმასნა. იგრძნო, რომ პალტოს ხდიდნენ. ეზარებოდა თვალის გახელა. ვიღაცის ხმა კი უწყვეტად ჩასჩურჩულებდა:

— დალ-ექიმო, გონს მოდი, დალ-ექიმო!..

— სახეში წყალი შემომასხით, — ჩაიბურტყუნა ძილში გახვეულმა ბაჯუმ.

— როგორ გაკადროთ, დალ-ექიმო?

— ცივი წყალი... — ბაგე ძლივს გახსნა ბაჯუმ და უცბად სახეში ცივი წყალი შემოესხა, თითქოს ცეცხლი შემოენთო კანზე, აუწვა.

ბაჯუ გამოფხიზლდა, თავი ასწია.

მის წინ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმაწვილი იდგა. ნირწამხდარს ჯერაც სველი ჭიქა ეჭირა და მისი დადგმა ვერ მოეფიქრებინა.

— ყოჩაღ შენ, — გაეღიმა ბაჯუს. პირსახოცი მიართვეს. სახე შემშრალა და დაბნეულ ყმაწვილს შეეკითხა, — რა გქვია?

— გიორგი.

— აბა, გიორგი, თუ ძმა ხარ, მაგარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაი მომიხერხე, ქვას რომ ენას აადგმევინებს, ისეთი... მიჩვენეთ, აბა, ავადმყოფი!

დიდ ოთახში თითქმის მთელი სოფელი შეყრილიყო. კუთხეში მდუმარე მამაკაცები იდგნენ. ეტყობოდათ, შთაბეჭდილებათა გაზიარება რომ მოათავეს და ახლა ავადმყოფს მისჩერებოდნენ. კედლების გასწვრივ თალხ კაბებში გამოწყობილი დედაკაცები ისხდნენ და ხმადაბლა მოსთქვამდნენ.

„დამგვიანებია", — გულზე ეცეცხლა ბაჯუს, საბოლოოდ გამოფხიზლდა. გიორგი თვალით მოიხმო, ამ ოთახიდან ყველანი დაითხოვეო, ჩასჩურჩულა. ჯერ მამაკაცები გაიკრიფნენ, მერე ქალები, რომლებსაც ცნობისმოყვარეობა უბორკავდათ ფეხებს.

გოჩა ვიბლიანი, ვეება ბერიკაცი, ხის ტახტზე გაშოტილიყო და მძიმედ ქშინავდა.

მაჯისცემა გაუსინჯა, არ მოეწონა... წამით დუმდა, ავადმყოფს დასცქეროდა. გოჩა ვიბლიანს დანაოჭებულ საჯ.ზე ოფლის ხშირი წინწკლები ესხა. ჭაღარა თმა ოფლს გადაეგლისა და უბრწყინავდა. გაუპარსავ სახეზე ქათქათა წვერი მოსდებოდა. მკერდზე შემოხვეული ზეწარი სისხლით იყლინთებოდა.

— რა დაემართა? — დაკვირვებული მზერა მიაცივა გიორგის; სახის ნაკვთებით მიამსგავსა ბერიკაცს, შვილი იქნება, ივარაუდა.

— წაიქცა... — ენის ბორძიკი აუტყდა ყმაწვილს.

— მთვრალი იყო?

— ცოტა დალია, ხომ იცით ამ თოვლობაში... — ყმაწვილს სახე გაუხურდა.

— იჩხუბა?

გიორგიმ არაფერი თქვა.

ბაჯუს დაავიწყდა დაღლილობა, წინა ღამის უძილობა, ცინდელიანების ოჯახი, თოვლიანი გზა, მუხლის ტკივილი, მისი მომლოდინე თამარ...

ავადმყოფის სარეცელთან იდგა მკაცრად მოღუშული, მომთხოვნი, უხეშიც კი.

— დიდი მაგიდა გააჩინეთ!.. ზეწრებია საჭირო, ბევრი ზეწარი, ოღონდ სუფთა, გამოხარშული, მთელ სამეზობლოში მოაგროვეთ!.. სინათლე არაა?.. ორი კვირაა, რაც დენი გამოირთო?.. ოხრობა!.. ლამფები მოიტანეთ!.. ქალებს უთხარით, წყალი ბლომად მოადუღონ, ეს ინსტრუმენტებიც მომიხარშონ... ორი-სამი გულმაგარი ვაჟკაცი ჩემთან გამოაგზავნე!..

გიორგი ბრძანების შესასრულებლად გავარდა, ბაჯუ კი ტახტის კიდეზე ჩამოჯდა, ავადმყოფის მსხვილი, მაგრამ ახლა უღონო ხელი აიღო, ისევ მაჯა გაუსინჯა. პულსი სუსტად გამოიცნობოდა... სარს დაარტყამდნენ, შესაძლებელია ნეკნები ჩაემტვრა, ან სისხლძარღვები აქვს დაწყვეტილი და თანდათან იცლება; იქნებ მთლად უარესი სჭირს, გულს მისწვდა ჭრილობა, ან ფილტვები შეხია... თუმცა მაშინ აქამდე ვერც მოაღწევდა...

გოჩა ვიბლიანს ოხვრა აღმოხდა. მძიმედ, მძიმედ გახსნა ქუთუთოები, ექიმს მზერა მიაპყრო, ალბათ ვერ ცნობდა. თანდათან გამოერკვა და ტუჩები ოდნავ შეარხია:

— დალ-ექიმო...

ეს იყო და ეს. უმალვე ჩაეფლო ბნელ ბურანში, დავიწყების ფსკერზე, სადაც ერთადერთი ეს სიტყვა ჩაიყოლია იმედად.

კარის ხმამ მოახედა. კაცები იყურებოდნენ. ხელი დაუქნია, პომეშველეთო.

გასაშლელი მაგიდა შემოიტანეს, ზეწარი გადააფარეს. ფრთხილად წამოსწიეს ავადმყოფი და მაგიდაზე დააწვინეს... ოთახის კუნჭულებში ლამფები დაჰკიდეს. სინათლე მაინც არ კმაროდა, მაგრამ მეტი რა გამოსავალი იყო.

ავადმყოფმა დაიკვნესა. ერთხანს მძიმედ ფშვინავდა. უცბად ალაპარაკდა. ვიღაცას ლანძღავდა, უშმი ქართულით აგინებდა, სიკვდილით ემუქრებოდა. ბაჯუ მიხვდა, ბნელ უკუნს ებრძოდა გოჩა ვიბლიანი, უფსკრულიდან ცდილობდა ამოსვლას. არ შეიძლებოდა და-

ყოვნება, ბაწარი უნდა გადაეგდო, სინათლეზე ამოეყვანა.

— უნდა გაუძლო, გოჩა ბიძია, უნდა გაუძლო... — ბაჭუს ხმა დაბზილდა. იქნებ არა ესმოდა რა ბერიკაცს, მაგრამ სიტყვებიც უფსკრულში ჩაწვდენილი თოკი იყო და ბაჭუ ერთსა და იმავეს იმეორებდა ათასჯერ.

ავადმყოფთან სიმკაცრე უქრებოდა. ყოველი ავადმყოფი მისთვის ბავშვი იყო, თვითონ კი საყოველთაო მამა და გუნებაში ამ ჭაღარა ბერიკაცსაც ისე ეფერებოდა, თითქოს მის წინ სასიკვდილოდ განწირული ათიოდე წლის ბიჭუნა ყოფილიყოს.

— გამაყუჩებელი ცოტა მაქვს, გეტკინება, მაგრამ სხვა საშველი არ არის, უნდა გაუძლო, გოჩა ბიძია... — ოდნავ წამღერებით იმეორებდა. თან კი ნელი-ნელ აცლიდა სისხლიან ტილოებს, პირდაპირ იატაკზე ყრიდა.

კართან ვიღაც აჩურჩულდა.

ბაჭუმ კოპები შეჰკრა, კარისაკენ მტრულად მოიხედა.

— რა ამბავია, მანდ?

— ჩაი, ექიმო, თქვენ რომ ბრძანეთ, — ძლივს გაბედა გიორგიმ, თან ხელში ფინჯანი ეჭირა.

— რა დროს ჩაია, მომაშორე აქედან!.. ხაზი აღადგინეს?

— დილამდე ვერ მოხერხდებაო.

— როგორც კი მოხერხდება, სოხუმში დარეკეთ, ვერტმფრენი გამოგზავნონ!

ისევ ავადმყოფს მიუბრუნდა. ყველა დანარჩენი წამში დაივიწყა. გოჩა ვიბლიანთან ჩაეშვა, ბნელ უფსკრულში და ახლა ხელის ფათურით ეძებდნენ ერთმანეთს, ბურანში ჩაკარგული ბერიკაცი და მისი მხსნელი.

„მთავარია სისხლის დენა შევაჩერო“, — ათჯერ გაიმეორა.

შიშველ მკერდზე სისხლი მოჰბანა. უკვე იცოდა, რისი გაკეთებაც მოხერხდებოდა, რათა ვერტმფრენის მოსვლამდე მაინც შეენარჩუნებინა სიცოცხლე.

სკალპელი რომ აიღო, ხელი გაუშეშდა. ბერიკაცს ჯერაც ახალგაზრდული, ღონიერი კუნთები ებერებოდა. უნაოჭო კანს სოცარი სითეთრე გადაჰკრავდა... გონებაში ამოტივტივდა სიტყვები: „მარადი ბავშვობა...“ და უმალვე სკალპელმა გადასერა, გახსნა თეთრი კანი...

ამ წუთიდან არაფერი ახსოვდა, გარდა სისხლთან და სიკვდილთან ბრძოლისა... მის ირგვლივ კი ლანდებივით დაბორიალობდნენ დაზაფრული, ფერდაკარგული თანაშემწეები, რომლებსაც სხვა დროს სიკვდილი არ აშინებდათ, ახლა კი სისხლის დანახვაზე გონს კარგავდნენ და ძლივს ახერხებდნენ ბაჭუს მოკლე, მკაცრი ბრძანებების შესრულებას.

დრომ სწრაფად გაირბინა. განთიადმაც მოატანა. ფანჯრიდან ზამთრის გაცრეცილმა სინათლემ შემოიჭყიტა, მაგრამ უამრავი ლამფის შუქით დაშინებული უკანვე გაიპარა.

— მორჩა, — წაიჩურჩულა ბაჭუმ.

დაღლილი ხმით კიდევ იძლეოდა ბრძანებებს, თვითონ კი აუჩქარებლად იძრობდა რეზინის ხელთათმანებს, ნეტარებით იბანდა ხელს თბილი წყლით, ხარბად შესვა მაგრად დაყენებული ფინჯანი ჩაი, თან კი ავადმყოფის შფოთიან სუნთქვას უსმენდა...

— იცოცხლებს, ბიჭო, მაშაშენი, — ხმადაბლა უთხრა გიორგის და უცბად მუხლები მოეკვეთა, ვაჟის ღონიერ მკლავებში უგონოდ ჩავარდა...

* * *

შუადღემდე მკვდარივით ეძინა. უცბად გაახილა თვალი. გაქათქათებულ ლოგინში იწვა, სინათლით სავსე ოთახში. კუთხის ღუმელში ცეცხლი მხიარულად გურგურებდა. ფანჯრის მიღმა თოვლით დატვირთული ტოტები მზის სხივებზე ბრწყინავდნენ. „სად ვარ?“ — ზანტად გაიფიქრა. დაეზარა ბალიშიდან თავის წამოწევა, კვლავ მოუბრუნდა ძილი, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით, რადგან მოულოდნელად გაცოცხლდა მეხსიერება, გაახსენდა ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივე გადახდენილი და წამოიჭრა.

— ჰეი, ვინაა მანდ?

გიორგიმ შემოიხედა.

— როგორაა?

— ჯერაც სძინავს, დალ-ექიმო!

ბაჯუ დამშვიდდა, ჩაცმას შეუდგა. მასპინძლებს მისი ტანისამოსი და ბათინკები ღუმელთან საგულდაგულოდ გაეშროთ და ესიამოვნა.

— ისე სწრაფად ჩაგეძინათ, დალ-ექიმო... — მოუბოდიშა ყმაწვილმა, აქაოდა პატივი ვერაფერი გეცითო.

— ტელეფონის ხაზი აღადგინეს?

— კი, ერთი საათიც არაა.

— წამომყევი, დასარეკი მაქვს.

— უკვე დავრეკეთ, დალ-ექიმო, სოხუმიდან ვერტმფრენი გამოგზავნეს.

ბაჯუმ მხარზე ხელი მოუთათუნა, ყოჩაღო.

გზად ავადმყოფთან შეიხედა, მაჯისცემა გაუსინჯა, სიცხე იკითხა. გოჩა ვიბლიანის სახეზე ტკივილებს ტანჯვის ღრმა კვალი დაემჩნია.

ტელეფონი დუქანში იყო და ნოქარი ქუდის მოხდით მოესალმა.

გიორგიმ თვალი უყო და ბაჯუ მარტო დატოვეს.

იმ ბოლოს ყურმილი უმალვე აიღეს, თითქოს დარაჯობდნენო.

— როგორ ხარ?

— კარგად, მთელი დღე გელოდი,— თამარის ხმაში ფარული მღელვარება იგრძნობოდა, — აღარ ჩამოხვალ?

— შევეცდები... შენ ნუ გეშინია...

— გელოდები...

ბაჯუს გულზე თბილი ტალღები მოაწყდა და პირველად თავის სიცოცხლეში მოუნდა ეთქვა ისეთი სიტყვები, პირისპირ ყოფნისას ვერაფრით რომ ვერ დასცდებოდა.

— იცი, რას გეტყვი? — ცოტა ცივად დაიწყო, ასე თავისთავად გამოუვიდა.

— რა? — გამოეპასუხა შემკრთალი ხმა.

— მე შენ მიყვარხარ, მთელ ქვეყანას მირჩევნიხარ...

ხმა შეუგუბდა, მეტის თქმა ვერ მოახერხა.

— გელოდები, — ნიავივით მოესმა პასუხი.

კარგა ხანს ეჭირა ყურმილი. ჩუმად უსმენდა თამარის სუნთქვას.

— ალო, ალო!.. — მოულოდნელად ჩაერია ტელეფონისტის უხეში ხმა, მდუმარება გაფხრიწა, — ქალბატონო, დადეთ ყურმილი!.. ალო, ეს თეთნე მანჩხააპია?

— დიახ!

— ილაპარაკეთ!

ყურმილში რაღაცამ გაიტკაცუნა: ზედ ყურთან აჩქარებული სუნთქვა გაისმა, თითქოს კაცს დიდხანს ერბინა. და სულს ვერ ითქვამდა.

— ალო, რომელი ხარ? — გუდუს ხმა კითხულობდა, — დალ-ექიმი მანდაა?.. მეგობარო, შენი სულის ჭირიმე, იჩქარე-თქო... ეეჰ, დაგვაგვიანდა მგონი...

ბაჯუს ხელი გაუშეშდა. გულში თითქოს ყინულის ლოლუები ჩაუდვეს, სუნთქვა შეეკრა. ტელეფონი კი მომაბეზრებლად ბზუოდა.

— ალო, ალო, ბეჩუ ცინდელიანის ცოლი წუხელ ცუდად გახდა... ალო, ვერაფერს ვშველით... ვერაფერს ვშველით... მეგობარო, გაიგე?.. ეეჰ, ვერ მოგვისწრებს მგონი... ეეჰ...

ბაჯუ ანგარიშმიუცემლად ტაბურეტზე ჩამოჯდა. ვერ მოესაზრებინა ყურმილის დაგდება. ის კი რაღაცას განუწყვეტლივ ყბედობდა და ყბედობდა.

თეთნე მანჩხაპის თავზე ვერტმფრენი აგუგუნდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერიხ ვაინერტი

## შენ რომ არა, საბჭოეთო

შენ რომ არა, საბჭოეთო,
მოამაგევ ხალხის,
მთელ მსოფლიოს დაბინდავდა
ომის ნისლი, თალხი.
შენ რომ არა, მშვიდობის და
მეგობრობის მხარევ,
საზღვარი არ ექნებოდა
ქვეყნად სისხლის ღვარებს.
შენ რომ არა, ჩვენს პლანეტას,
ამ ძველისძველ მიწას —
ყაჩაღები ცეცხლის ალში
გაახვევდნენ იმწამს.
დიადია შენი ძალა,
ურყევი და მტკიცე,
შენ მტარვალებს ხალხთა ჟლეტის
უფლებას არ მისცემ.

შენ მშვიდობის მედროშე ხარ,
მაგრამ ბრძოლაც იცი,
უძლეველი სიმაგრე ხარ
ამ ცისა და მიწის.
შენ ხარ ხალხთა მტკიცე რწმენა,
სურვილი და ნება,
შენი შუქის ელვარებით
ცაზე ნისლი ქრება.
აგუგუნებ გამარჯვების
ძლევამოსილ ჰანგებს,
სანეტარო კომუნიზმის —
ხარაჩოებს აგებ...
ვერ ჩაგვახრჩონ მონობაში
შიმშილით და ცრემლით,
რადგან ხალხებს გზას უნათებს
ვარსკვლავები კრემლის.

გერმანულიდან თარგმნა
**შოთა ამირანაშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურტ ბარტელი

## რა რიგ აყვავდი სამშობლო მიწავ

ჯერ კიდევ როდის ურტყამდა რისხვით
მტერს მიუნცერის მძლავრი მარჯვენა,
ო, რაოდენი დაღვრილა სისხლი
თავისუფლების გადასარჩენად.
წინაპართ ძვლებით ნაპოხი მიწა
თბილი და ტკბილი დედის რძესავით,
დღეს მეგობრობის შუქითა ბრწყინავს,
განახლებული დილის მზესავით.
რა რიგ აყვავდი სამშობლო მიწავ,
შენვე ხარ შენი ბედის მჭედელი,
ქვეყნად სანუკვარ მშვიდობას იცავ,
უდგეხარ როგორც რკინის კედელი.
სამშობლოს რწმენის და ძლიერების
ჰანგი ჟღერს აწვდილ დროშის შრიალში.
ხალხთა დიადი ბედნიერების
რესპუბლიკაა გერმანიაში.
წინაპართ ძვლებით ნაპოხი მიწა,
თბილი და ტკბილი დედის რძესავით,
დიდ მეგობრობის შუქითა ბრწყინავს
განახლებული დილის მზესავით.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ჭირაძე

## მზეო, მზეო!

სიო ფოთლებს აცახცახებს,
ქუხს რიონი, —
როგორც ტაში;
დილა ჰყვავის და ჩახჩახებს
გაზაფხულის თბილ კალთაში.

მიდი-მოდის ფერთა ჯარი,
სხივი ფერავს ხეთა ტოტებს,
სული მღერის, —
დარდის ბრჭყალი
თითქოს ჯერ არ მოხვედროდეს.

მზეო,
მზეო,
გაბზარული
გული ყველას გაუმთელე
და ჩემს მამულს
დღე ყოველი
სიხარულით გაუთენე

## ბერიკაცები

სხედან მყუდროში
და ძველ ამბებს ისევ ჰყვებიან
და შორს გაფრენილ
სიჭაბუკეს ეფერებიან.
მზის ჟრუანტელი
ვნებადამცხრალ ძარღვებში უვლით,
თანდათანობით ეკიდებათ
თვალებზე რული.
სხედან მყუდროში,
ერთ დროს მძიმე
უღლის გამწევნი,
და მოგონებით
თავს იქცევენ ბერიკაცები.

## საძმო საფლავი

სივრცეს კოცონად შეღაღადებს
საძმო საფლავის
მარადი სული, —
ძლიერი და დაუჯაბნავი!..
ოი, რამდენი ტკივილია
ჩარჩენილი სულში ხიწვებად!..
საძმო საფლავზე
მწუხარე ფრთებით
დაფარფატებს არდავიწყება!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ კობიძე

# გვიმრის ფოთლები

## რომანი

— ქალბატონი ზეინაბი... — ზეინაბმა ხელჩანთიდან სუნამოპკურებული ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩებსა და ნიკაპზე მოისვა, — ქალბატონი ზეინაბი ცოტა უხერხულ მდგომარეობაშია. ახლავე მოგახსენებთ... ბატონი სარდიონის მხრივ აქ არავითარ ანგარებას და რაიმე ამისთანას, რა თქმა უნდა, ადგილი არა აქვს და ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შახტის უფროსის ბრძანება მიმართულია საერთო კეთილდღეობისაკენ. მაგრამ... ასეც არ შეიძლება, ამხანაგებო. ამ შემთხვევაში მე პირადად ამხანაგ ჩახუნაშვილს კი არ ვიცავ, არამედ ჩვენს კანონებს... მე გთხოვთ, სწორად გამიგოთ. მე ბატონ სარდიონსაც ამასვე ვეტყვი. ამ ადამიანს — მე ანთიმოზზე მოგახსენებთ — წლითიწლობამდე მადლობის მეტს არაფერს უცხადებთ და — უცბათ! — განთავისუფლდეს, ეს არ შეიძლება. არც ერთი სასამართლო ჩვენს დადგენილებას არ დაამტკიცებს. აი, მე მხოლოდ ამისი თქმა მინდა.

— თქვენი წინადადება?

— ჩემს აზრს მე კენჭისყრის დროს გამოვთქვამ.

— თქვენი ნებაა.

ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ყველაფერი თვითონ მინაგო ჩარკვიანის სიტყვას უნდა გადაეწყვიტა. მინაგომ წინდაწინვე იცოდა, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდებოდა და საამისოდ როგორც შეეძლო, ისე ემზადებოდა. მაგრამ ახლა მაინც ანერვიულდა და კარგა ხანიც დასჭირდა, სანამ თავს ასე თუ ისე დაიმშვიდებდა და სიტყვის დაწყებას შესძლებდა.

— ამხანაგებო, — თქვა მან ბოლოს, — ჩვენი კომისია იქითკენაა მოწოდებული, იმისათვის არსებობს, რომ დაიცვას მშრომელთა ინტერესები. კანონი ამას გვავალებს. მაგრამ კანონი... გააჩნია, კანონს როგორ გავიგებთ. ამხანაგი ანთიმოზი ჩვენ შეურაცხყოფობას გვაყენებს. მე ვაცხადებ, რომ გულწრფელად მწამს, მთელი ჩემი არსებით მჯერა, რომ შახტის უფროსის ბრძანება, რომელიც ანთიმოზმა გაასაჩივრა, მიმართულია მთელი ჩვენი საერთო საქმის კეთილდღეობისაკენ და ამას აი, ამ ოფიციალური ტრიბუნიდან ყველას გასაგონად ვაცხადებ. რას მიქვია, ამხანაგებო, რაღაც თხუთმეტი-ოცი მანეთი და რაღაც ამბიციები! სამეფო ტახტზე ჩვენ არც ერთი არ დავბადებულვართ საქმემ მოითხოვა, არა? კეთილი ინებე, გულისთქმას მოერიე, ნუ გაყოყოჩდები და საერთო საქმეს ფეხი აუბი. აი, ასე მესმის მე ყოველი ჩვენგანის მო-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 10.

ეროვნული

ვალეობა. ასე რომ, ჩემო ანთიმოზ, მე შენ მხარს ვერ დაგიჭერ, ძმაო! არჯევანიძემ უკვე საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭა და მაგ ახალგაზრდას ჩვენ ხელს ვერა ვკრავთ. ჩვენ მოვალენი ვართ, მას შესაფერისი მოადგილე გამოვუძებნოთ, და ამ საქმეში ყველანი შახტის უფროსს მივემხრობით. ყველანი, ესე იგი უმრავლესობა, მე და კახაბერი. ქალბატონი ზეინაბი რასაც ფიქრობს, ეგ კენჭისყრის დროს გამოჩნდება.

კენჭისყრის დროს ზეინაბ ოცხელმა თავი შეიკავა. საკონფლიქტო კომისიამ ორი ხმის უმრავლესობით მხარი დაუჭირა სარდიონ რაჭველიშვილის ბრძანებას. კომისიის დადგენილება ადგილკომმაც დაამტკიცა. ანთიმოზ ჩახუნაშვილმა იმ დღესვე დადგენილების ასლი მოითხოვა და საქმე ქალაქის სახალხო სასამართლოში გაასაჩივრა. თანაც თავის გამარჯვებაში ისე იყო დარწმუნებული და ასეთ საქმეებში იმდენი გამოცდილება ჰქონდა, რომ ადვოკატიც კი არ აუყვანია.

## თავი XIII

ქალაქის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ ბარე თხუთმეტი წელიწადიც იყო, სიმონ მენაღარიშვილი მუშაობდა, — კაცი ნაფრონტალი. ექვსჯერ მძიმედ დაჭრილი, ასთმითა და რევმატიზმით დაავადებული, დაღლილი, ნერვებდაწყვეტილი და, თუ მხოლოდ მისი გარეგნული ქცევის მიხედვით იმსჯელებდით, ყველაზე ხელჩაქნეული. ისინი, ვისაც სიმონთან რაიმე საქმე ჰქონია, ხშირად ჩიოდნენ ხოლმე, მოსმენა არ იცის, სიტყვას შუაზე გაგაწყვეტინებს და კაბინეტიდან ისე გამოგისტუმრებსო, თავაზიან სალამსა თუ დამშვიდობებას კი მისგან ტყუილად ნუ მოელი. ეს მართლაც ასე იყო. ზედმეტ ლაპარაკსა და ამისთანებზე, სიმონს დროის დაკარგვა არ უყვარდა. მაინცადამაინც არც მისალმება და დამშვიდობება ეხერხებოდა. ასე იტყოდა ხოლმე, დღეში ჩემთან ასი კაცი შემოდის და ყველას რომ თავი ვუქნიო, ეს დალეული კისერი კიდევაც მომწყდებაო. მაგრამ, თუ ამ უხიაგობას ყურადღებას არ მივაქცევდით, მალე დარწმუნდებოდით, რომ უპატიოსნესი და, რაც მთავარია, მეტად გულისხმიერი ადამიანი იყო. წამლადაც კი არავის ახსოვს, რომ სიმონს კანონისთვის 'გადაეხვიოს. ვინმესი შეშინებოდეს, ან ვისმეს ხათრი შეენახოს, ამიტომაც, მისი განაჩენი ყოველთვის საბოლოო იყო ხოლმე. შემთხვევა არ ყოფილა, რომ რესპუბლიკურ ინსტანციებს მენაღარიშვილის განაჩენი შეეცვალოთ — შეერბილებინოთ, ან დაემძიმებინოთ. რესპუბლიკის პროკურატურასა და უმაღლეს სასამართლოში მომჩივნებს პირდაპირ ასე ეტყოდნენ ხოლმე, — ტყუილა ცდილობ, გენაცვალე, სიმონ მენაღარიშვილის გასამართლებული ხარ, მაგის განჩინებას აქ არავინ შეცვლისო.

ანთიმოზ ჩახუნაშვილს სწორედ სიმონ მენაღარიშვილის იმედი ჰქონდა.

კაბინეტში შესული ანთიმოზი სიმონმა მაშინვე იცნო.

— შენ ჩახუნაშვილი არა ხარ?

— ჩახუნაშვილი გახლავართ, ბატონო სიმონ!

— ერთხელ თანამდებობიდან მოგხსნეს და მე აღგადგინე. ახლა რაღას შეუწუხებიხარ?

— ახლაც ის მეხი დამეცა.

— იფ! — მენაღარიშვილმა გულიანად გადაიხარხარა. — შენს უფროსებს მეტი საქმე არაფერი აქვთ?

— ასე გამოდის.

— ჰმ! მაჩვენე ეგ განცხადება.

ანთიმოზმა განცხადება გაუწოდა. სიმონმა ყურადღებით ჩაიკითხა.

— მეტი არაფერი?

— მეტი სულ არაფერი, ბატონო სიმონ!

— ესე იგი, მიხვედი შახტზე, გაემზადე მიწისქვეშეთში ჩასასვლელად და — უცბად გამოგიცხადეს, თანამდებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან მოხსნილი ხარო?

— ზუსტად აგრე, ბატონო სიმონ!

— ჰმ!

— შეამოწმეთ,, ბატონო!

— შემოწმებით კი შევამოწმებ, მე სხვა საქმე კი არაფერი მაქვს, მაგრამ... ეს მითხარი: ბრძანება ვისი ხელმოწერილია?

— სარდიონ რაჭველიშვილის.

— ჰმ! სარდიონზე არ გამიგია, უსამართლო და ღრძო კაციაო. არ გამიგია. რაღა შენ ჩაგაჯინდა?

— რა მოგახსენოთ.

— კაცი, ის ახალგაზრდა ბიჭი, თქვენს უბანზე დაიღუპა?

— დიახ! და საქმეც მაგაშია.

— მაინც — რაში?

— ეჰ! თქმაც კი მიჭირს, ბატონო სიმონ! ჩვენს დროში ასეთი უსამართლობა, ასეთი განუკითხაობა, რატომ უნდა ხდებოდეს? იმ ბიჭის დაღუპვაში ჩემზე უფრო უცოდველი რა ვიცი, ვინღა უნდა იყოს!

— ნამდვილად მასეა?

— შეამოწმეთ, ბატონო! მადლობა ღმერთს, მთელი უბანი მოწმეა. თუ იოტისოდენა...

— კარგი! მოიცა! შევამოწმებ. აბა, ერთი ჩამოჯექი ცოტა ხანს.

— მენაღარიშვილმა ანთიმოზს ჩამოჯდომა ახლა-ღა შესთავაზა, თვითონ კი ტელეფონის ყურმილი აიღო და რაღაც ნომერი აკრიფა. — მეორე შახტის კომუტატორია? ერთი, თუ ღმერთი გწამს, შახტის უფროსთან დამალაპარაკე. ვიცდი... სარდიონი ხარ? სიმონ მენაღარიშვილი გაწუხებს. გმადლობთ, არა მიშავს, თქვენ? ოჯახით, ცოლ-შვილით? კარგი დაგემართოს! ახლა ასე, ჩემო სარდიონ: აგერ ჩემთან შენი თანამშრომელი ზის. ხვდები,, ხომ? ეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, უკვე მეორე შემთხვევაა. ა? არა, მაგისგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ... მაშინ, მახსოვს, ეს საქმე უშენოდ გავარჩიე. კი, კარგად მახსოვს. ჰოდა, ახლა კი, თუ ნამეტანი არ შეწუხდები, იქნებ, თვითონ მობრძანდე. ა? საკუთარი ხელით დაწერილი ბრძანება შენვე დაიცავი, შე კაცო! ა? ოო, ძალიან კარგი! აბა, ასე, ჩემო სარდიონ: ამ საქმის განხილვას... ჰო, ამ საქმის განხილვას მე დავნიშნავ მომავალი... მომავალი სამშაბათისთვის. ა? გაწყობს, ხომ? კი, ვიცი, მოუცლელი რომა ხარ. ესე იგი, მომავალ სამშაბათს, ზუსტად თორმეტ საათზე. ოო, სწორედ! მოდი და ერთი ძირფესვიანად გავერკვეთ. ჰოდა, ასე ძალიან კარგი! ოღონდ — გეყურება? არავითარი შენი მოადგილე, არავითარი მთავარი ინჟინერი და ამისთანები. სამშაბათს გელი შენ, სარდიონ რაჭველიშვილს! მორჩა! კარგად და ბედნიერად!

მენაღარიშვილმა ყურმილი მიაგდო და ჩახუნაშვილს მოკლე თავის აქნევით ანიშნა, აუდენცია დამთავრებულია და შეგიძლია, მიბრძანდეო.

ანთიმოზი გამოვიდა.

სამშაბათს სასამართლოს სხდომაზე, სარდიონ რაჭველიშვილი მარტო არ მოსულა. თან ხუთი თუ ექვსი კაცი ახლდა, — კახაბერ გურასაშვილიც, ტერენტი ჩაგუნავაც, მინაგო ჩარკვიანიც და სხვებიც. სიმონ მენაღარიშვილმა სარდიონსა და მის გუნდს ღიმილით თვალი შეავლო და გრძელ სკამებზე მიუთითა, დაბრძანდითო. ყველანი დასხდნენ. მათ პირდაპირ, კედელთან მდგარ სკამზე, მარტოდმარტო ანთიმოზ ჩახუნაშვილი იჯდა.

— სასამართლოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ, — თქვა მენაღარიშვილმა. — მხარეები ადგილზეა. შეგვიძლია შევუდგეთ საქმის გარჩევას. რამდენადაც ვიცი, მოქალაქე ჩახუნაშვილმა ადვოკატის აყვანაზე უარი განაცხადა. ასეა, ხომ?

— დიახ, ბატონო! — ჩახუნაშვილი წამოდგა და მოსამართლეს თავი მდაბლად დაუკრა.

— კეთილი და პატიოსანი. უადვოკატოდაც იოლას წავალთ. აბა დავიწყოთ.

მენალარიშვილს მხარმარჯვნივ, შუახნის, შავკაბიანი, ყვითელსახიანი ქალი უჯდა, მხარმარცხნივ — წითელჰალსტუკიანი, თმახუჭუჭა ახალგაზრდა. ესენი სახალხო მსაჯულები იყვნენ. მოსამართლის წინ პატარა მაგიდას სასამართლოს მდივანი, ტანდაბალი, მორგვივით ჩაფსკვნილი ქალიშვილი უჯდა და, თუმცა სხდომა ჯერაც არ დაწყებულიყო, კალამს თავაუღებლად აწრიპინებდა.

— დავიწყოთ. — გაიმეორა მენალარიშვილმა. — მოქალაქე ანთიმოზ ჩახუნაშვილი გიჩივით თქვენ, მეორე შახტის ადმინისტრაციას, რომ ამა წლის 28 მარტს იგი უსაფუძვლოდ და უკანონოდ გაათავისუფლეთ უბნის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან, რომელიც მას ეკავა... მას ეკავა თითქმის თექვსმეტი წლის განმავლობაში. ამასთან... დიახ!... ამასთან, იგი გაათავისუფლეთ და გადაიყვანეთ სხვა, უფრო დაბალ ხელფასიან თანამდებობაზე ისე, რომ არ გქონიათ ჩახუნაშვილის თანხმობა. ჩახუნაშვილს არ ჰქონია აგრეთვე არც რაიმე საყვედური, ან თუნდაც მითითება შახტის ადმინისტრაციის მხრივ. შახტის ადგილკომმა, საკონფლიქტო კომისიამ, ჩახუნაშვილს უარი უთხრა თანამდებობის დაბრუნებაზე. აი, ასეთია საქმის ვითარება. ჩახუნაშვილი სასამართლოს სთხოვს, გაუქმდეს შახტის უფროსის ბრძანება და იგი, ესე იგი, ჩახუნაშვილი, აღდგენილ იქნას უბნის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. მოქალაქე ჩახუნაშვილი!

— დიახ!

—საქმის ვითარება მე სწორედ გადმოვეცი!

— დიახ!

— დაბრძანდით. ახლა შემიძლია, დავუმატო ისიც, რომ მოქალაქე ჩახუნაშვილი უსაფუძვლოდ იქნა განთავისუფლებული იმავე თანამდებობიდან რამდენიმე წლის წინათ, და სასამართლომ იგი მაშინ აღადგინა. არ დავმალავ და პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს გარემოება ახლაც ჩახუნაშვილის სასარგებლოდ მეტყველებს. ამას მე ახლავე ვამბობ. ახლა მოვუსმინოთ შახტის ადმინისტრაციას. გთხოვთ, ბატონო სარდიონ!

სარდიონი წამოდგა:

— თუ საკითხი უკვე გადაწყვეტილია... — მან მხრები აიჩეჩა.

— ვინ მოგახსენათ, საკითხი გადაწყვეტილიაო?!

— ეს წუთია ბრძანეთ, ის გარემოება ჩახუნაშვილის სასარგებლოდ მეტყველებსო.

— ეგ სრულიადაც არაფერს ნიშნავს. ის გარემოება თუ ჩახუნაშვილის სასარგებლოდ მეტყველებს, სხვა გარემოებებმა, შეიძლება, მხარი თქვენ დაგიჭირონ. ჰო... მე უნდა განვმარტო, რატომ ესწრება სასამართლოს სხდომას თვითონ შახტის უფროსი. ეს მე თვითონ მოვითხოვე, როცა ერთსადაიმავე ადამიანს რამდენჯერმე ხსნიან ერთსა და იმავე თანამდებობიდან, და არც ერთ შემთხვევაში ეს მოხსნა კანონიერი არ არის, მაშინ... მაშინ ის საქმე განსაკუთრებულ ყურადღებასა და მიდგომას თხოულობს. უფრო გასაგებად: მე მინდა ვიქონიო ამომწურავი ინფორმაცია ამ საქმის თაობაზე. ასე რომ ბატონო სარდიონ, გთხოვთ!

— მე ისე ვატყობ, რომ აქ ჩახუნაშვილის პირადი მტრობა მბრალდება.

— რატომ გგონიათ? არაფერი მაგის მსგავსი. ჩახუნაშვილო!

— დიახ

— თქვენ თვითონ რას იტყვით: აქვს თუ არა შახტის უფროსს პირადი თქვენი ინტერესი.

— არა. მე მაგას არ ვამბობ.

— დაბრძანდით! — მენალარიშვილი სარდიონს მიუბრუნდა. — ხომ ხედავთ, პირად მტრობაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია. ასე რომ... გისმენთ.

— მოგახსენებთ. ჩახუნაშვილის მოხსნა, უფრო ზუსტად, ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანა, გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვეულია შახტის ინტერესებით. ეს ახლაც ასეა და მაშინაც ასე იყო.

— როდის მაშინ?

— აი, თქვენ რომ ბრძანეთ, რამდენიმე წლის წინათო.

— მაშინ რაც იყო, იყო. ჩვენ ახლანდელზე ვილაპარაკოთ. ესე იგი, თქვენ ბრძანებთ, რომ...

— მე ვბრძანებ, რომ ჩახუნაშვილის გადაყვანა ნაკარნახევია საწარმოს, შახტის ინტერესებით. და ეს თვითონ ჩახუნაშვილმაც კარგად იცის.

— მოითმინეთ, მოითმინეთ... ჩახუნაშვილმა რაც იცის, მაშინ იტყვის, როცა ვკითხავთ. ესე იგი, საწარმოს ინტერესებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ჩახუნაშვილი მაგავე თანამდებობაზე დარჩა, მაშინ შახტი — მთელი შახტი დაზარალდება, ხომ?

— დიახ! თქვენ კარგად ბრძანეთ. თუ ჩახუნაშვილი მაგავე თანამდებობაზე დარჩა, მაშინ მთელი შახტი დაზარალდება.

— ბიჭოს! საქმე, როგორც ჩანს, მეტად მნიშვნელოვან პიროვნებასთან გვქონია. ეს მიბრძანეთ, ჩახუნაშვილი ამ რამდენიმე წლის წინათ რომ მოხსენით, მაშინაც ეს მოსაზრებები გამოძრავებდათ?

— დიახ!

— ესე იგი, მაშინ მოხსენით იმიტომ, რომ არ მოგეხსნათ, მთელი შახტი ზარალდებოდა, ხომ?

— ე... დიახ!... რა თქმა უნდა...

— მერე? მაშინ სასამართლომ ჩახუნაშვილი აღადგინა, ხომ?

— დიახ!

— მერე? შახტი დაზარალდა?

— არა.

— არ დაზარალებულა?

— არა.

— რაღა გამოდის? მაშინ მართლაც ტყუილად მოგიხსნიათ. ა?

— მთლად მასე არაა, ბატონო სიმონ!

— აბა, როგორაა?

— ალვადგინეთ, მაგრამ... მაგის საქმეს სხვა აკეთებდა.

— ბატონო მოსამართლე! — წამოხტა ჩახუნაშვილი.

— წყნარად! დაბრძანდით! თქვენც დაგკითხავენ.

ჩახუნაშვილი დაჯდა და გამწარებით რაღაც ჩაიბურტყუნა.

მენაღარიშვილი ისევ სარდიონს მიუბრუნდა:

— თქვენ ბრძანეთ, შახტი არ დაზარალებულა, იმიტომ, რომ მაგის საქმეს სხვა აკეთებდაო. მაინც, ვინ?

— უბნის უფროსი, ცვლების უფროსები, ყველანი...

— და ეს გრძელდებოდა... რამდენი წელიწადი?

— რაც ეგ ამ თანამდებობაზე მუშაობს. ხუთი, ათი, რა ვიცი...

— ძალიან გულკეთილი ხალხი ყოფილხართ.

—ბატონო?

— რაღა — ბატონო! თვითონ ბატონო! კაცი წლობით არაფერს აკეთებდა და მის მაგიერ, სხვები მუშაობდნენ. ბოლოსდაბოლოს, ეგ ჩახუნაშვილია, დადეშქელიანია თუ ბაგრატიონ-მუხრანსკი. ა? რას მელაპარაკები, სარდიონ?

— ასე იყო და...

მენაღარიშვილმა ხელი ჩაიქნია, — რასაც შენ ლაპარაკობ, ის მოსმენადაც არ ღირსო.

— კარგი. — მენაღარიშვილი სკამს ზურგს მიეყრდნო. — წინათ რაც იყო, იყო. ახლა რას იტყვით?

— ახლა მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია.

— რატომ?

— უბანზე მძიმე ვითარებაა.

— ჩახუნაშვილის მიზეზით?

— არა, შეიძლება მთლად მაგისი მიზეზით არა. მაგას ჩვენ არ ვამბობთ!

— აბა?

— უბანს ახალგაზრდა ინჟინერი ხელმძღვანელობს.

— მერე, მიდგეს და უხელმძღვანელოს, ამ საწყალ ანთიმოზთან რაღა გინდათ?

— გვინდა.

— მაინც — რა?

— იმ ყმაწვილს დამხმარე ჰირდება. უბანი დიდია.

— აჰა! ეგ ამბები მეც მსმენია. თუ იმ ბიჭს დამხმარე არ მიუჩინე, გაგინაწყენდება, გაგიფრინდება და სულაც უინჟინროდ დარჩებით, ხომ? საერთოდ ასე ხდება.

— დაახლოებით.

— მესმის. მესმის და თანაგიგრძნობ მაგ საკითხში, ნამდვილად თანაგიგრძნობ, მაგრამ... — მენაღარიშვილი უეცრად ჩაფიქრდა. ვითომ, ანთიმოზი თუ არ მოხსენით, ისე იმ ბიჭს არაფერი ეშველება?

— თუ ანთიმოზი არ მოვხსენით, უბანს არაფერი ეშველება.

— ესე იგი, ან ანთიმოზი, ან უბანი. სხვა გამოსავალი არ არსებობს, ხომ?

— ან ანთიმოზი, ან უბანი, სხვა გამოსავალი არ არსებობს.

— კეთილი და პატიოსანი. ყველაფერი გასაგებია. ნათქვამს კიდევ ხომ არაფერს დაუმატებდით?

— ჯერჯერობით არა.

— ეგეც გასაგებია. კეთილი. სხვა ამხანაგები ხომ არაფერს გვეტყვიან? ვთქვათ, მინაგო ჩარკვიანი, შახტის პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი... ჩვენ ერთმანეთს ხშირად შევხვედრივართ, ხან აქტივის სხდომაზე, ხან რაიკომში... ხომ? ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. არა?

— დიახ!

— ხომ არაფერს დაუმატებდით ბატონი სარდიონის ნათქვამს?

— არა, არაფერს. ვფიქრობ, ამხანაგ ანთიმოზს ეს საქმე არც უნდა გაესაჩივრებინა.

— გასაგებია. სხვა ამხანაგები რას გვეტყვიან.

— არაფერს.

— დასამატებელი არაფერი გვაქვს.

— ყველაფერი ნათელი და გასაგებია.

— კეთილი და პატიოსანი. — მენაღარიშვილმა ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი შეიწმინდა. — ერთი სიტყვით, საკითხი ასე დგას: ან უბანი და შახტი, ან ანთიმოზ ჩახუნაშვილი, ხომ? ასეა! აბა, ახლა მოქალაქე ჩახუნაშვილს მოვუსმინოთ.

და მენაღარიშვილი სკამის ზურგს მიაწვა.

ჩახუნაშვილი წამოდგა, ჩაახველა და ხანგრძლივი ლაპარაკისათვის მოემზადა.

— რაც შეიძლება, მოკლედ და კონკრეტულად. — გააფრთხილა იგი მენაღარიშვილმა. — ნუ დამღლით. თუ დავიღალე, შეიძლება, უსამართლო განაჩენი გამოვიტანო. ჰოდა, არც მე მინდა სიბერეში სული წავიწყმიდო.

— მესმის, — ანთიმოზმა ერთხელაც ჩაახველა. აშკარად ღელავდა და სიტყვებს ვერ პოულობდა, — მე, რა თქმა უნდა, ასე ვიტყოდი.ერთი სიტყვით, მე არ მინდა იმისი თქმა, თითქოს ამხანაგი სარდიონი ჩემდამი ცუდად განწყობილი იყო და სხვა ამგვარები. დიახ! და ყოველთვის, როცა კი ლაპარაკი ამხანაგ სარდიონზე ჩამოვარდნილა, მე ყოველთვის ჩემი ღადებითი აზრი გამომითქვამს და მომავალშიც, რასაკვირველია, გამოვთქვამ, — დღევანდელმა სასამართლომ რაც არ უნდა გადაწყვიტოს. მაგრამ მე არ შემიძლია იმისი თქმა, თითქოს ამხანაგი სარდიონი პირადად მე ობიექტურად მეპყრობოდეს. რა არის ამის მიზეზი, ეგ მე არ ვიცი, მაგრამ... მშრომელ ადამიანს, მიწისქვეშეთში გაჭალარავებულ ადამიანს, არ უნდა ჰქონდეს იმისი შიში, რომ აი, მივალ დღეს შახტზე და ვაი, თუ ჩემი მოხსნის ბრძანება დამხვდეს. სულ ამის შიშში ყოფნა და ასე მუშაობა, დამეთანხმებით, ნამდვილად არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ამხანაგი სარდიონი პატივსაცემი პირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნებაა, მაგრამ... ამ მიწისქვეშეთში ცხოვრებამოთეულ ადამიანს რომ ასე ხელს წამომკრავ, მიბიძგებ და სადღაც გადამისვრი — რატომ და რისი გულისთვის? არ ვცდილობ, თავს ვიზოგავ, ძილი ვიცი, მოსვენება ვიცი, თუ რა? გასინჯეთ, ამხანაგო მოსამართლე, ჩემი პირადი საქმე და თუ თქვენ იქ რაიმე ისეთი დაინახოთ, მაშინ — კი, ბატონო! მაგრამ რომ ვერ დაინახავთ? რომ არ დამიმსახურებია? მხოლოდ მადლობები, მხოლოდ პრემიები და ამისთანობა. მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ეს თქვენც იცით. ახლა — აქ ლაპარაკობენ, ან უბანი და შახტი, ან ანთიმოზ ჩახუნაშვილიო. აი, ეს კი მართლაც... ასეთი რა გახდა, ბატონო, ეს უპატრონო ანთიმოზ ჩახუნაშვილი? თუ საქმე მართლაც ასეა და ყველაფერი მარტო ჩემზეა დამოკიდებული, ავდგები, ბატონო, და სულაც გადავიკარგები ამ ქალაქიდან. თუ ჩემს უბანს, ჩემს ამხანაგებს, ჩემი აქ ყოფნით რაიმე უშავდებათ, ჯანდაბას ეს ჩემი ბეხრეკი თავი, ბატონო! მაგრამ ასეა კი? ჩემი სახით, მართლა იმოდენა ნაღმი დევს უბანზე, რომ კაცმა არ იცის, როდის აფეთქდება და იქაურობას როდის მიანგრევ-მოანგრევს? არა, ბატონო! ნურც ამოდენა ბოროტმოქმედად ჩამთვლით. აქ საქმე სულ სხვა რამ არის და მე ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ მას შემდეგ, რაც უბანზე ახალგაზრდა ინჟინერი მოვიდა, იქ მოხდა ავარია და შეეწირა უდანაშაულო ადამიანი.

— ეგ ვიცით, — შეაწყვეტინა მენაღარიშვილმა, — შენ სხვა გვითხარი.

— მეტი რაღა გითხრათ? ძაღლის თავი აქ მარხია, ბატონო! რაიკომმა ეს საკითხი განიხილა და დაადგინა, უბნის ხელმძღვანელობა გაძლიერდესო. კი, ბატონო, გაძლიერდეს, მაგის წინააღმდეგი ვინ იქნება? მაგრამ რაიკომის ბიუროს ვითომ ჩემი მოეხათრა? რატომ ასე არ დაადგინა, ჩახუნაშვილი მოხსენითო. ჩახუნაშვილი იქ არც კი უხსენებიათ. იმიტომ, რომ ჩახუნაშვილი ამ საქმეში უდანაშაულოა. ეს ყველამ იცის. ახლა მივყვეთ: უბანზე კაცი დაიღუპა. ვიღაც ამაში დამნაშავეა. ისე, ასეთი ამბები არ ხდება. როცა შახტში კაცი იღუპება, ამაში ვიღაც დამნაშავეა. ნამდვილად, მაგრამ ამ კაცის დაღუპვაში, ჩახუნაშვილი უდანაშაულოა. რაკი ჩახუნაშვილი უდანაშაულოა, დამნაშავე — უბრალო ლოღიკა ამას გვიკარნახებს — სადღაც სხვაგან უნდა ვეძიოთ. მაგრამ ამის ნაცვლად, სამუშაოდან ისევ იმ უდანაშაულო ჩახუნაშვილს ხსნიან. დაუკვირდით, ბატონო მოსამართლე, განა მართლაც ასე არ არის? ნამდვილად ასეა. და რაღა გასაკვირია, ამის შემდეგ, რომ ჩახუნაშვილმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, ეს უსამართლობა, ეს აბუჩად აგდება ვეღარ მოითმინა და ეს ბრძანება გაასაჩივრა? ნუთუ ეს გასაკვირალი და დასაგმობი საქციელია? არა მგონია, ნამდვილად არ მგონია. აი, ბატონო მოსამართლე, რისი თქმაც მინდოდა მე ჯერჯერობით.

— გასაგებია, — მენაღარიშვილმა ღრმად ამოისუნთქა. მარჯვნივ გადაიხარა და შაოსან მსაჯულ ქალს რაღაც წასჩურჩულა. შაოსანმა თავი უხმოდ დაუქნია. ამის შემდეგ მენაღარიშვილი წითელჰალსტუხიანი მსაჯულისაკენ მიბრუნდა და თითქოს დააპირა მისთვის რამე ეკითხა. მაგრამ გადაიფიქრა და მის წინ მაგიდაზე მდებარე საკმაოდ სქელი „საქმე“ გადაფურცლა.

— მე შევისწავლე ეს საქმე, — თქვა მან და მზერა სარდიონს გაუსწორა.—უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე, ჩახუნაშვილს მართლაც არ მიუღია არც ერთი საყვედური, ან გაფრთხილება. მითითებაც კი არ მიუღია. მარტო მადლობები და პრემიები. რითი ხსნით ამას?

— უბნის კარგი მუშაობით, — სარდიონმა მხრები აიჩეჩა.

— ეგ პასუხი არ არის, — მენალარიშვილმა თავი მძიმედ გადააქნია.

— შეიძლება? — ტერენტი ჩაგუნავამ ხელი მოწაფურად ასწია.

— ბრძანეთ.

— მე, ბატონო, შახტის პარტორგანიზაციის მდივანი გახლავართ.

— ძალიან სასიამოვნოა. სახელი და გვარი?

— ჩაგუნავა ტერენტი ძუკუს-ძე, დაბადებული 1939 წელს, სოფელ...

— გისმენთ, ამხანაგო ჩაგუნავა.

— აქ, ამხანაგო მოსამართლე, საქმე ისეა, რომ... აგერ, თქვენ ბრძანეთ, რატომ საყვედურები და გაფრთხილებები არა აქვსო. მაგი ისეთი ადამიანია, რომ ჩვენ თუ მოვინდომეთ, დღეში სამ საყვედურს მივარტყამთ! მაგრამ მისთვის ვის სცალია? ჩვენ საქმე ვაკეთოთ და ქვეყანა ქვანახშირით მოვამარაგოთ, თუ ჩახუნაშვილს საყვედურები ვუწეროთ... და მე ძალიან მიკვირს, ბატონმა სარდიონმა ამ საკითხზე, რატომ არ გაამახვილა ყურადღება.

— რომელ საკითხზე? — სარდიონი ვერაფერს მიხვდა.

— რომელზე და საყვედურებზე. რა, ჩახუნაშვილი არ იყო, რომ ჩამონგრეულ გვირაბში ექვსი კაცი მიატოვა და თავის თავს უშველა. ეს როგორ არ გახსოვთ? მაშინ მაგას საყვედური კი არა, ციმბირი ეკუთვნოდა, მაგრამ მაგ ქაღალდების საწერად, ვის ეცალა მაშინ? ჩვენ ექვსი კაცი გვყავდა გადასარჩენი და გადავარჩინეთ კიდეც. და მერე, ლაპარაკი რომ ჩამოვარდა, თქვენ, ბატონო სარდიონ, ხელი ჩაიქნიეთ, ჩახუნაშვილს მაინც ვერ გამოვასწორებთო. ასე არ იყო? არა, თქვით, თუ ასე არ იყო, და მე სულ გავჩუმდები მაშინ. შენ თვითონ ეს არ გახსოვს, ამხანაგო ჩახუნაშვილო? ეს შარშან ზაფხულს მოხდა, არც ისე დიდი ხნის ამბავია. შენ არ იყავი, სავენტილაციო შურფიდან რომ ამოძვერი? და ახლა აქ ლამაზ-ლამაზებს კი ლაპარაკობ!

— იჰ! — ჩახუნაშვილმა ჩაგუნავას ხელი დაღრეჯით აუქნია. — რაღაცა ზღაპრებს ჰყვები აქ.

— დიი! — უზომოდ გაოცებულმა ჩაგუნავამ აქეთ-იქით მიმოიხედა.

მენალარიშვილმა ღიმილი შეიკავა და ჩახუნაშვილს მიუბრუნდა:

— ეს ამხანაგი მართალს ამბობს?

— ტყუილი, ბატონო, მტკნარი ტყუილი!

— დიი! — კიდევ უფრო გაოცდა ჩაგუნავა.

— თუ ეგრე იყო, უნდა გაგეფორმებინათ, — დამრიგებლური კილოთი უთხრა ჩაგუნავას მენალარიშვილმა. — ახლა თქვენ თქვენსას ამბობთ, ეს კი თავისას. საქმეში კი არაფერი ჩანს. კიდევ ვინ რას იტყვის?

ჩაგუნავამ ხელი ჩაიქნია და დაჯდა. სიტყვის თქმას მეტი აღარავინ აპირებდა. გურასაშვილმა ერთი კი ამოიხვნეშა. თითქოს ყველამ უკვე იგრძნო, სასამართლო რასაც გადაწყვეტდა.

— სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად! — გამოაცხადა მენალარიშვილმა.

* * *

სასამართლოს დადგენილებით, რაჭველიშვილის ბრძანება გაუქმდა და ანთიმოზ ჩახუნაშვილი უბნის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე აღადგინეს. სხდომა დამთავრდა, მენალარიშვილმა სარდიონი თავის კაბინეტში შეიხმო და მეგობრული კილოთი უთხრა, მშვენივრად ვხედავ, ეგ ჩახუნაშვილი რა შვილიცა ბრძანდება ,მაგრამ კანონი კანონია; თქვენ რო აკეთებთ, ეგრე ადამიანის მოხსნა არ შეიძლება; მე შენი ბრძანება კიდეც რომ დავადასტურო, უმაღლესში გაასაჩივრებს და ორივეს, მეც და შენც ერთად გაგვმტყუნებენო.

— აბა, რა ვქნა? ეგ ტვირთი სანამდე ვათრიო? — ჰკითხა გულგასიებულმა სარდიონმა.

— მაგას, მე შენ ვერ გასწავლი. მაგისი უფლება მოსამართლეს არა აქვს. — ღიმილით უთხრა მენაღარიშვილმა, — შენ თითონვე მოისაზრე, — ხელი ჩამოართვა და გამოისტუმრა.

## თავი XIV

იმ დღიდან, როცა სარდიონმა ჩახუნაშვილის მოხსნის ბრძანება დაწერა, მანამდე, სანამ სასამართლო ამ ბრძანებას გააუქმებდა და სასამართლოს დადგენილება შახტამდე მოაღწევდა, ბარე, სამი თუ ოთხი კვირაც გავიდა. ამ ხნის განმავლობაში თეიმურაზ არჯევანიძე და მისი ახალი მოადგილე, ერთმანეთს მშვენივრად შეეწყვნენ და უბნის მუშაობას უკვე გულდაჯერებულად ხელმძღვანელობდენ. როგორც თავიდანვე შეთანხმდნენ, თეიმურაზი პირველსა და მეორე ცვლას ხელმძღვანელობდა, უშანგი კი მეორე ცვლის დასასრულისათვის მოდიოდა და უბანზე გათენებამდე რჩებოდა, ყოველგვარ საჩოთირო. საეჭვო და სახიფათო საკითხს ერთად წყვეტდნენ, რა თქმა უნდა, გერასიმე ცნობილაძის, არქიფო ცალუღლიშვილის და სხვა გამოცდილი მეშახტეების მონაწილეობითა და დახმარებით. ასე უნდა გაგრძელებულიყო მთელი ამ პირველი თვის განმავლობაში. მერე უშანგი პირველსა და მეორე ცვლაში გადმოინაცვლებდა, თეიმურაზი კი ღამის ცვლას გაუძღვებოდა.

უშანგი მონასელიძე ბუნებით რბილი, ხათრიანი და მორცხვი კაცი იყო. სხვის დასაქმებას მუდამ ერჩია, რომ ის საქმე თითონვე გაეკეთებინა. სამთო საქმე კი მართლაც დიდებულად იცოდა. იოტისოდენა შეცდომაც კი არსად მოუვიდოდა. უბნის მეშახტეები მას ადრევაც იცნობდნენ ახლა კი, რაკი მონდომება და საქმის ერთგულება შეამჩნიეს, შეითვისეს, მიუხვდნენ და ყოველ მის მითითებას, რა ხათრიანი კილოთიც არ უნდა ყოფილიყო გამოთქმული, ულაპარაკოდ ასრულებდნენ. უბანი სადღეღამისო ნორმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებდა. თანდათან ნელდებოდა ioრამ ნოსელიძის დაღუპვით გამოწვეული გულისტკივილიც. (თუმცაღა ბიჭები უდროოდ დაქვრივებულ იამზეს ყურადღებას არ აკლებდნენ და ისიც საბოლოოდ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ იორამს „ორმოცივა“ და წლისთავიც, უსათუოდ უნდა გადავუხადოთო).

ერთი სიტყვით, უბანზე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. სანამ ჩახუნაშვილი თავის საქმეებს სასამართლოში დასდევდა და, უბანზე ერთხელაც აღარ შემოუხედავს. ასე გავიდა ერთი კვირა, მეორე, მესამე, ასე მიიწურა მეოთხეც. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მეშახტეებმა საბოლოოდ ირწმუნეს, ჩახუნაშვილი მოგვაშორეს და მის ადგილზე უშანგი მონასელიძე საბოლოოდ დამკვიდრდაო . ამით კი ყველა კმაყოფილი და წელგამართული იყო. როგორც იქნა, უბანს ნამდვილი პატრონები გაუჩნდაო, ამბობდნენ მეშახტეები და ყოველგვარ დავალებას დაუზარებლად ასრულებდნენ.

ერთხელ, ნაშუაღამევს, შახტიდან ამოსულმა უშანგი მონასელიძემ ჟურნალი შეავსო და ცოტა თვალის მოსატყუებლად მოემზადა, სამორიგეოში, სკამლოგინზე პალტო გაიგო და ის იყო, უნდა წამოწოლილიყო, რომ ოთახში გრიშა ოდიბაშევი შევიდა. მის ბრიგადას კონვეიერი გადაჰქონდა. თვითონ ბრიგადირი კი ზევით ამოსულიყო, ხელ-პირი დაებანა და მონასელიძეს სთხოვა, თუ მართლაც ძალიან არ გეძინება და საჩქარო საქმეც არაფერი გაქვს, ქვევით, გარდერობში ჩამომყევი, ორიოდე ბოთლი კარგი ღვინო მაქვს გადანახული და ცოტა ყელი გავისველოთო. მონასელიძეს საჩქარო საქმე მართლაც არაფერი ჰქონდა. უბანზე საგანგაშო არაფერი იყო მოსალოდნელი. კონვეიერს ოდიბაშევის ბიჭები უბრიგადიროდ კარგად გადაიტანდნენ. თითო ბოთლი ღვინო კი ამ

ლომივით ვაჟკაცებს რას უზამდა? და უშანგიც დათანხმდა. გარდერობში ჩავიდნენ. ოდიბაშევმა კარადიდან ორი ბოთლი სამარკო „ოჯალეში“, თორნის პური, სულგუნი, ძეხვი, რამდენიმე თავი ხახვი გამოიღო და ორიოდე წუთში, კოხტა სუფრა გაშალა. ბევრი აღარ დაუხანებიათ, პურის ჭამას შეუდგნენ. რაკი ჭიქები არ ჰქონდთ, მარჯვენა ხელში ორივემ თითო ბოთლი დაიჭირა და პირდაპირ ასე სვამდნენ, საჭმელს კი მარცხენა ხელით იღებდნენ. ორ-ორი ყლუპი რომ მოსვეს, ოდიბაშევმა მონასელიძეს თვალი ჩაუკრა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

— ბიჭები ძალიან გემადლიერებიან.

— ვის?!

— შენ...

— იჰ! — მონასელიძეს ლოყები შეეფაკლა. ოდიბაშევმა იფიქრა, ყველაფერი მინახავს და ამისთანა მორცხვი მეშახტე კი არაო.

—ნამდვილად გემადლიერებიან, ძმაო უშანგი. შენ რომ არა, ეს უბანი ასე ვერ იმუშავებდა.

— კარგი ახლა...

— მესმის, პირში ქება რომ არ გსიამოვნებს, მაგრამ სიმართლე სიმართლეა, — ოდიბაშევმა ტუჩები მარჯვენა ხელის ზურგით მოიწმინდა, ისე. რომ ღვინიანი ბოთლი ხელიდან არ გაუშვია, და მონასელიძეს თვალი ერთხელაც ჩაუპაჭუნა.

„ამას ჩემგან რაღაცა უნდა“. — მიხვდა მონასელიძე, ღვინიანი ბოთლი ფრთხილად დადგა და ტუჩები ამანაც ხელის ზურგით მოიწმინდა.

— შენ რომ არ გამოჩენილიყავი, — უთხრა ოდიბაშევმა, — მე, ალბათ, ამ უბნიდან გავიქცეოდი.

— რატომ?

— იმიტომ! რაღაც გროშების გულისათვის ამ ჯურღმულში მე არ ვიმუშავებ. გროშებს, ზევით, სუფთა ჰაერზეც კარგად ვიშოვნი.

— ახლა ხომ გროშებს არ იღებ.

— არა, ახლა არა, მე რაღაც-გიდუმ-კიდეც მყოფნის. აი, ბიჭები კი...

— ვინ ბიჭები?!

— ჩემი ბიჭები. მაგათ მეტი უნდა. რას იზამ! ჯიბრაილ ხელთუფლიშვილმა მიაჩვია. ჯიბრაილის ხელში, თვიურად, ოთხ-ოთხი თუმანი ზედმეტი გამოგვდიოდა, ეს კი წელიწადში ხუთასი-ექვსასი თუმანია. თანაც, ნუ დაგავიწყდება, სამუშაო ნაკლები გვქონდა.

— ეგ როგორ?

— ისე.

— მაინც მონასელიძე ნამდვილად გაკვირვებული იყო. ღვინიანი ბოთლი გვერდზე გასწია და ტუჩები ახლა იდაყვით მოიწმინდა.

— კარგი, გეტყვი. ოღონდ — ჩუ! აი, აქ ჩვენ ორს მეტი არავინ არის და ჯერჯერობით ეს ლაპარაკი მეტმა არავინ უნდა გაიგოს. გაიგე?

— მითხარი.

— გეტყვი. უჯიბრაილოდ, ძმაო, უკვე რამდენი თვეა ვმუშაობთ. არა უშავს, ყველაფერი ნორმალურად მიდის. საქმე კარგადაც მიდის. მაგრამ კარგს უკეთესი სჯობიაო, ხომ გაგიგონია. ეს თეიმურაზი ნამდვილად პატიოსანი და ალალი ბიჭია, ყველას ძმასავით შეგვიყვარდა, მაგრამ... ეგ, ძმაო, კანონებით მუშაობს, ჩვენ კი ეგრე მუშაობა ხელს არ გვაძლევს. ამას მარტო შენ გეუბნები, თუ გამთქვამ, მაშინვე უარს დავარტყამ, მაგისი თქმა არც მიფიქრია-მეთქი. ჰო! და ვერაფერსაც ვერ დამიმტკიცებ. მაგრამ ეს — სხვათა შორის. მე შენ გენდობი, ჩვენი ბიჭი ხარ, ნამდვილი მეშახტე ხარ და ამიტომაც... ჰო! ეგ ჩვენი საყვარელი თეიმურაზი კანონებით მუშაობს. რაც პასპორტში უწერია, იმას ერთი ნაბიჯითაც კი არ გადაუხვევს. ჩვენ კი... ვიღაც ქეციანმა ინჟინრებმა, სულ ქაღალდებში რომ იცქირებიან, სადღაც რაღაცა დაადგინეს, ეგ რა, ჩვენი საქმეა? მე შენ რამეს გეუბნები. დაიცა! დრო მოვა და თვითონ თეიმურაზსაც ვეტყვი. თუ ჭკუა და ადამიანობა აქვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გამიგოს. ჰო! ახლა მოიხედე. პასპორტში რა სწერია? სამთო კომბაინი, თუ საყელავი მანქანა, სანგრევში სამჯერ გაატარე, ქვანახშირი გამოიღე, მერე კონვეიერი გადაიტანე და ჭერი ჩამოაქციეო. ხომ? ასე სწერია და ეს კანონია. ეს კანონი სწორედ იმ ქეციანმა ინჟინრებმა დაწერეს. ისინი, ძმაო, თავს იზღვევენ. მაგრამ შენ თუ ნამდვილი მეშახტე ხარ, ჯერ ის ჭერი კარგად გასინჯე და თუ საიმედო იყოს, კომბაინი სანგრევში მეოთხეჯერ გაატარე. მერე კიდევ გასინჯე და — თუ ჭკუაში დაგიჯდეს ,კომბაინი მეხუთეჯერაც გაატარე. მაშ! აი, ნამდვილი მეშახტე მაშინ იქნები, ახლა მოიხედე: ხე-ტყე გეზოგება? გეზოგება. კონვეიერის გადატანა ზედმეტად აღარ დაგჭირდება. ქვანახშირს სამშობლოს მეტს მისცემ? მეტს მისცემ, მეშახტეები ფულს მეტს გამოიმუშავებენ? მეტს გამოიმუშავებენ. მაშ, მეტი რაღა გინდა? კაცი სულელი, აი, მთლად იდიოტი უნდა იყო, რომ ასეთ ვარიანტზე უარი თქვა. ხომ წარსული საქმეა, აი, ახლა გეუბნები: ჯიბრაილმა ერთხელ, კომბაინი ხუთჯერ ზედიზედ გაატარა. გინდ დაიჯერეთ და გინდ არა. და ფრჩხილიც არავის წამოტკენია. აი, ნამდვილი მეშახტე ვინ იყო. თვის ბოლოს გამომუშავება რომ დაგვიანგარიშეთ, ხალხმა სიხარულისაგან ცეკვა დაიწყო. მაშ!

— ჰმ!

— აი, ამ პატარა პურ-მარილის მადლს გეფიცები!

— თეიმურაზმა ეგ ამბები იცის?

—არაა! უფრო კარგად რომ გითხრა, ერთი-ორჯერ სიტყვა გადავუკარით, მაგრამ ვითომ არც გაუგონია. ალბათ, იფიქრა, რისკიაო. მაგრამ მეშახტის ცხოვრება რისკისა და ხიფათის მეტი რა არის. თუ რისკისა გეშინია. ზევით ადი და პურის ქარხანაში იმუშავე.

— ჰმ!..

— რას იტყვი?

„რას ვიტყვი და იმას, რომ ნამდვილი არამზადა ხარ, — გაიფიქრა მონასელიძემ, — მემონტაჟეებს რა გენაღვლებათ, სანამ სანგრევში კომბაინი მიდის, თქვენ ზევით განცხრომაში ხართ, მერე კი... არა, ძმაო, ვერ მოგართვეს! შენი მოსატყუებელი კბილო, დიდი ხანია, მოვიცვალე“.

— რას გაჩუმებულხარ? — ოდიბაშევმა ბოთლი მოიყუდა.

— ფიქრსაც აღარ მაცლი?

— იფიქრე. ოღონდ...

— ოღონდ რა?

— უბანი რომ ახლა მუშაობს, ასე მუშაობა ჩვენ ხელს არ გვაძლევს.

— ჰმ!..

— ასეა!

ოდიბაშევმა ბოთლი მოიყუდა, ბოლომდე გამოსცალა და ოთახის კუთხეში მიაგდო. მონასელიძის ბოთლი კი ჯერ სანახევროდაც არ იყო დაცლილი. უშანგიმ ბოთლი გასწია და წამოდგა.

— ამის სათქმელად დამიძახე?

— რა, ეს პატარა საქმეა? დაუკვირდი: სახელმწიფოსთვისაც სასარგებლოა და მეშახტეებისთვისაც. მე ყველასთვის კარგი მინდა. მე ხალხზე ვფიქრობ.

„რა თქმა უნდა! — გაიფიქრა მონასელიძემ, — ხალხის დარდით დღე და ღამე არ გძინავს“.

— კიდევ ერთსაც გეტყვი, — ოდიბაშევმა თითი დამარიგებლად ასწია, — ხომ გაგიგონია, შეჩვეულს ნუ გადააჩვევ და შეუჩვეველს ნუ შეაჩვევო. ამ უბნის ხალხი, ძმაო, კარგ ცხოვრებასაა მიჩვეული. რა ვუყოთ, რომ ის ბიჭი დაიღუპა. ეგ ერთი ეპიზოდია და მეტი არაფერი. ისე ჩვენი ხალხი განებივრებულია. კარგ ფულსაა მიჩვეული. აკი წელან გითხარი. შენ და არჯევანიძემ თუ ასე იჩალიჩეთ, რა ვიცი... სხვებისა რა მოგახსენო და მემონტაჟე კი ამ უბანზე ერთიც არ დარჩება შენ პირდაპირ მითხარი, რა სჯობია: ნაკლები მუშაობა და მეტი ფული, თუ მეტი მუშაობა და ნაკლები ფული. ჰოო! ეგ უბრალო არითმეტიკაა ყველამ ზეპირად იცის. მე შენ

ეროვნული

და თეიმურაზს კი არ გერჩით, არც გემუქრებით. ორივე კარგი ბიჭები ხართ, — ნამუსიანი, გამგებიანი, ამხანაგური, მაგრამ... არა, ძმაო! ეგრე მუშაობით ჩვენ შორს ვერ წავალთ. კარგად დაიხსომე, რასაც გეუბნები. თუ ცოტა არ მოუმატეთ, მაშინ... არ ვიცი... ღმერთმა კარგი ჰქნას, მაგრამ... ერთი სიტყვით, მე შენ ყველაფერი გითხარი, — ოდიბაშევმა უშანგის ბოთლი აიღო, იდაყვით თავი შეუწმინდა და მოიყუდა.

* * *

უშანგი მონასელიძე გარდერობიდან გულგასენილი გამოვიდა. წელან, სანამ ოდიბაშევი მიიპატიჟებდა, სანგრევების ჩამოვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ახლა კი ამის გუნებაზე აღარ იყო. სამორიგეოში ავიდა, კარი ჩაიკეტა, მაგიდას მიუჯდა, თავი ხელებში ჩაირგო და ფიქრს მიეცა.

თურმე, ტყუილად არ ურჩევდა ზოგი ამხანაგი, რა ჭირად გინდა, იმ თანამდებობას რომ კისრად იდებ, შენთვის მოსვენებით იყო, ისა სჯობიაო, რა მალე აუხდა იმათი ნათქვამი? ეგონა, უბანზე მე და არჯევანიძემ საქმე უკვე მოვაწესრიგეთ და ამას იქით მოსვენებით ვიმუშავებთო, მაგრამ თურმე, ნურას უკაცრავად! აი, ოდიბაშევმა რაები ჩამოუკაკუნა და ამისთანა უკუღმართობა ვინ იცის, ამას იქით კიდევ რამდენი გამოჩნდება. კაცის გულმა რამდენ ამისთანას უნდა გაუძლოს!

უშანგი კარგა ხანს ბორგავდა, სამორიგეოში მაგრად ჩაკეტილი. მერე იფიქრა, თეიმურაზი დილამდე არ გამოჩნდება, მანამდე კი ეს ამბავი თუ არავის გავუმჟღავნე, ჩემს გულს შევასკდებიო. გამოვიდა, შახტში ჩაეშვა და დასავლეთის ფრთაზე, მოსამზადებელი გვირაბისაკენ გაეშურა, სადაც იმ ღამეს გერასიმე ცნობილაძე და არქიფო ცალუღლიშვილი მუშაობდნენ.

გერასიმე და არქიფო სწორედ უკანასკნელ ბიგას დგამდნენ. უშანგის დანახვაზე ერთმანეთს გაკვირვებით შეჰხედეს და მუშაობა შეწყვიტეს.

— აღარც ჩვენ გვენდობი? — გერასიმემ ჩაფხუტი მოიხადა და შეოფლილი სახე იდაყვით მოიწმინდა.

— რა საკადრისია!..

— აბა, რამ შეგაწუხა?

— გეტყვით.

— საჩქაროა?

— არც ისე.

— აბა, ამ ბიგას ჩავდგამთ და.

ბიგა უკვე ზომაზე იყო გამოჭრილი. მის შეყენებას და გამაგრებას გერასიმემ და არქიფომ, სულ ოციოდე წუთი თუ მოანდომეს. მერე ჭერი ფიცრებით აფარეს, ფუჭი ქანის ნატეხებით გამოტენეს და ხელსაწყოები კუთხეში მიჰყარეს.

— აბა, ახლა გვიბრძანეთ, — უშანგის ერთი მარჯვენა მხრიდან მიუჯდა, მეორე კი მარცხნიდან.

უშანგიმ ოდიბაშევის ნალაპარაკები დაუფარავად და შეულამაზებლად უამბო. თან ბერიკაცებს კითხვით მისჩერებოდა, ოდიბაშევმა ხომ არ გამომცადა, ან რაიმე ხათაბალაში ჩაბმა ხომ არ დამიპირაო.

— სულ ეგ იყო? — გერასიმემ სახე ერთხელაც შეიწმინდა.

— ეს ცოტაა?

— ცოტა არ არის, მაგრამ... მაინცდამაინც დიდ ყურადღებასაც ნუ მიაქცევ. ჯიბრაილმა, რაღა დასამალავია, კი იცოდა ხანდახან ეგრე განავარდება. ხუთი ციკლის რა მოგახსენო, ოთხჯერ, კომბაინი ჩემს მახსოვრობაში რამდენჯერმე გაუშვა. რატომ შვებოდა ამას, ალაჰმა იცის. ისევ მაგ მემონტაჟეების ხათრით, სასარგებლო ეგ მხოლოდ მაგათთვისაა, კონვეიერის გადატანა, სიტყვაზე, თვეში ექვსის მაგიერ, ხუთჯერ უწევთ, ფულს კი ცოტა მეტსაც კი იღებენ. მაგრამ სულ ეს არის და ეს. სხვებისთვის — ამწმენდებისთვის, ჩამომქცევებისათვის თუ მებიგეებისთვის მაგ მაიმუნობაში დიდად სახეირო სწორედ არაფერია. პირიქით, მეტი რისკია და ხალხსაც დიდად არ ეხალისება. ეს იცოდე შენ ჩემგან, უშანგი, და ალბათ, აგერ, არქიფოც დამეთანხმება: ნამდვილი მეშახტე ერთ და ორ ზედმეტ კაპიკს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს გამოეკიდება. ფულით შენ ვერავის აცუნცრუკებ. ჩვენთვის მთავარია სიმშვიდე და ნაღდი საქმე. არქიფო, მართალს არ ვამბობ?

— სრული ჭეშმარიტებაა.

— ჰოდა, ასე. შენ და თეიმურაზმა, ჩემო უშანგი, ამ უბნის გაძღოლა ძალიან კარგად დაიწყეთ. ხალხი წელში გაიმართა, იმ საწყალი ბიჭის დაღუპვა აღარც კი ახსოვთ. ჰოდა, ბარემ ასე გააგრძელეთ. ოდიბაშევისთანა მატრაკვეცა ბევრი გამოგიხტებათ, მაგრამ ყველას ყურადღებას ნუ მიაქცევ. ხელში დამამტკიცებელი პასპორტები გიჭირავთ, მოდექით და მაგის მიხედვით იმუშავეთ. ცუდად გეუბნები?

— სრული სიმართლეა.

— ჰოდა, კარგი დაგემართოს. და კიდევ ერთი: რაკი ეგ ოდიბაშევი გაგენდოსავით და ვითომ გული გადაგიშალა, შენც ნამუსი შეუნახე, მაგის ნალაპარაკევს აგერ, ჩემსა და არქიფოს მეტს ნურავის უამბობ. ასეთ საქციელს მეშახტეები არ მოგიწონებენ. რაკი კაცი გენდო, რანაირი კაციც არ უნდა იყოს, შენ ნამუსი უნდა შეუნახო, იმის ნდობას არ უნდა შეაფურთხო. გამიგე? მაგ ოდიბაშევმა თუ ჭკუა არ ისწავლა, სარდიონი ამ უბანზე მაინც დიდხანს არ აბოგინებს. სახუმროდ და სამაიმუნოდ აქ აღარავისა სცალია, ასე, ჩემო კარგო და სასურველო!

გერასიმე და არქიფო წამოდგნენ და ხელსაწყოები აკრიფეს. სანგრევიდან სამივენი ერთად წამოვიდნენ და გზადაგზა უშანგი ღმერთს მადლობას სწირავდა, რა კარგად მოვიფიქრე, რომ ჭკუის საკითხავად ამ ბერიკაცებთან მივედიო.

* * *

მაგრამ გერასიმესეული შეგონებანი უშანგი მონასელიძეს აღარაფერში გამოსადგომია. მეორე დღეს, ნაშუადღევს სამორიგეოში მოსულ მონასელიძეს, იქ ანთიმოზ ჩახუნაშვილი დახვდა. სკამლოგინზე გაშხლართულიყო და პაპიროსს აბოლებდა. უშანგის დანახვაზე თავი თითქოსდა გულგრილად მიიბრუნა, პაპიროსი წკიპურტით ოთახის კუთხეში მიაგდო და წელში გასწორდა. ოთახში მყოფ მეშახტეებს უგუნებობა ეტყობოდათ. ხმას არავინ იღებდა.

— მობრძანდი? — დამცინავი კილოთი ჰკითხა ანთიმოზმა მონასელიძეს.

— ბატონო?

— არაფერი. ამხანაგის უბედურებით არ უნდა ისარგებლო. აბა, ეს ქაღალდი წაიკითხე,—და რაღაც წითელღერბიანი ქაღალდი გაუწოდა. ეს სასამართლოს დადგენილება იყო, რაჭველიშვილის ბრძანება გაუქმდეს და ანთიმოზ ჩახუნაშვილი აღდგენილი იქნას უბნის უფროსის მოადგილის თანამდებობაზეო.

## თავი XV

„გამარჯობა, მზევინარ!

რამდენი ხანია, რაც თბილისიდან წამოვედი და ჯერ შენთვის წერილი არ მომიწერია. ალბათ, გულნატკენი ხარ. მაგრამ როცა გაიგებ, თუ ამ ხნის განმავლობაში რამდენი რამ გადამხდა, იქნებ, მაპატიო. მით უმეტეს, რომ, როგორც ეტყობა, ჩემს ცხოვრებაში ახლა სწორედ პატიებისა და შეწყალების ხანა დგას. აქ იმდენი რამ მაპატიეს და იმდენჯერ შემიწყალეს, რომ სათვალავიც კი ამერია. ახლა მხოლოდ ის-ღა მაინტერესებს, თუ ეს ხანა როდის დამთავრდება და ჩემს გარშემომყოფნი ისე როდის მომექცევიან, როგორც ზრდადასრულებულ, სრულწლოვან ადამიანს შეეფერება. ღმერთმანი ეს, რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესი. ჩემთვისაც და, ალბათ, იმისთვისაც.

ძალიან ბევრს ვლაპარაკობ? არ იფიქრო, რომ ენამრავლობა დამჩემდა. არა. უბრალოდ, კარგა ხანია, გული არ მომიოხებია. სატკივარი კი იმდენი დამიგროვდა, რომ ერთ ადამიანს ამის გადატანა ნამდვილად გაუჭირდება. რაღა დაგიმალო, ჩემი ძვირფასი და საყვარელი დაიკოც სწორედ ამ სატკივარმა გამახსენა.

ამას წინათ, ჩემს უბანზე ახალგაზრდა მეშახტე დაიღუპა. (დედას ამას ნუ

ეტყვი). ეს რატომ და როგორ მოხდა, ახლა ამის განსჯაში ნუ შევალთ. როდესმე ყველაფერს დაწვრილებით გიამბობ. მე კი ჯერ იყო და — სირცხვილისა და სასოწარკვეთილებისაგან კინაღამ ქალაქიდან გადავიკარგე. ჩემს თვალწინ უკუნეთი სიბნელის მეტი აღარაფერი იყო. ისიც კი აღარ მახსენდებოდა, რომ ადამიანმა ხანდახან პურის პატარა ნატეხი მაინც უნდა გადაყლაპოს, თორემ შიმშილისაგან სული ამოხდება. მაგრამ სულ ცოტა ხანმა — სულ ორიოდე კვირამ გაიარა და — ნახე ჩემი სულმოკლეობა! ახლა სულ სხვა შიშმა და ძრწოლამ შემიპყრო: აცა, თანამდებობიდან არ მომხსნან და იმ უბედური ბიჭის დაღუპვა, მართლაც მე არ დამბრალდეს-მეთქი. ახლა შენ თვითონ განსაჯე, ჩემო დაიკო, რა მძიმე პროფესია ამირჩევია ჩემს ცხოვრებაში.

იმ ბიჭს, იორამ ნოსელიძეს, სულ ახალგაზრდა ცოლი დარჩა. ჩემი აქ ჩამოსვლის შემდეგ იქორწინეს.

ჩემი თანამდებობიდან მოხსნა კი ფიქრადაც არავის მოსვლია. რაიკომის ბიურომ დაადგინა, უბნის ხელმძღვანელობა გაძლიერდესო. მეორე თუ მესამე დღესვე გამოირკვა, რომ ეს მე სრულიადაც არ მეხებოდა. ერთი უმაქნისი მოადგილე მყავს, ის მოხსნეს და მის ნაცვლად ძალიან კარგი ბიჭი დამინიშნეს. მაგრამ ამ უმაქნისმა ეს იუკადრისა, როგორ თუ გამიბედეთო, შახტის უფროსის ბრძანება გაასაჩივრა, საქმე მოიგო, თავი აღიდგინა და ის ჩემი კარგი ბიჭი — უშანგი მონასელიძე — იძულებულნი გავხდით, ისევ უკანვე გაგვებრუნებინა. ახლა გვერდით, ისევ ანთიმოზ ჩახუნაშვილი მიდგას და, რაღა დაგიმალო, თავისი ეშმაკობით, მეთავისეობითა და მელაძუობით ხანდახან ისეთ გუნებაზე მაყენებს ხოლმე, რომ ლამის არის, უროს ხელი დავტაცო და თავი გავუჭეჭყო. მაგრამ არა! ეს არ შეიძლება. მაშინ უბანი სულაც უუფროსოდ დარჩება, შენ ერთადერთი ძამიკო აღარ გეყოლება, დედაჩემს კი — ერთადერთი ვაჟიშვილი.

ეს ყველაფერი შენთვის, ალბათ, სამსახურის დავიდარაბაა და არც იმდენად გაინტერესებს. ალბათ, ფიქრობ, ეგ ყველაფერი უნდა გცოდნოდა, როცა სამთო ინჟინრის პროფესია აირჩიეო. მაგაზე შემიძლია, გითხრა, რომ როგორც ყოველი თბილისელი წესიერი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა, მეც ასპირანტურას ვუმიზნებდი, და ჩემი ბრალი სულაც არ არის, თუ ამ მიზანს ვერ მივაღწიე. მაგრამ ერთს კი გეტყვი, ჩემო დაიკო, ჩემო მზევინარ: რაკი ბედმა ისურვა, რომ სამთო ინჟინერი ვყოფილიყავი და ნათელი კაბინეტის ნაცვლად. ჩაბნელებულ მიწისქვეშეთში მემუშავნა, მე თავს არც აქ შევირცხვენ და არც თქვენ შეგარცხვენთ. ვინმემ ხომ უნდა ზიდოს ეს ტვირთი და რატომ ის ვინმე მე არ უნდა ვიყო? საასპირანტო ხალხი კი თბილისში უჩემოდაც ბევრი მოიძებნება. დე, საწყალი იორამ ნოსელიძის სისხლი და მისი ქვრივის ცრემლები იყოს იმის თავდები, რომ მე ჩემს გზას სიკვდილამდე არ გადავუხვევ.

სიკვდილისა და ცრემლების ხსენებამ ხომ არ შეგაძრწუნა? ჩემი უბნის მეშახტეები, იმ ბიჭის დაღუპვით ისე გულმოკლულები იყვნენ, რომ ვერ აგიწერ ყოველ მათგანს, სახეზე რამდენიმე ნაოჭი მიემატა. მაგრამ ცხოვრება მაინც თავისას თხოულობს, დაო. ტკივილი გულში ჩავიკალით და ისევ ჩვენს ყოველდღიურ შრომას შევუდექით. ამას შენი ძმა გწერს, რომელსაც — გახსოვს? — მეზობლის ქალი, ვართანუშა რომ მოკვდა, შიშისა თუ რაღაც სხვა გრძნობისაგან მთელი ერთი თვე არ უძინია, ხორციან საჭმელს კი მთელი წელიწადი ველარ ეკარებოდა. რა ჩქარა გარბის დრო! და რა მალე იცვლება ადამიანი!

რაკი სიტყვა ისევ იორამ ნოსელიძეზე ჩამოვარდა, მოდი, გულს ბოლომდე მოვიოხებ. ეს კოშმარი, ჩემო, მზევინარ, ალბათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გამყვება. ვერ ვიტყვი, თითქოს მისი დაღუპვა ჩემი ბრალი იყოს.

მაგრამ ეს კია: მე რომ ქალაქში არ ჩამოვსულიყავი, ის ბიჭი ახლა ცოცხალი და საღ-სალამათი იქნებოდა. ახლა შენ, როგორც გინდა, ისე განსაჯე როგორ ხასიათზე უნდა ვიყო? ხანდახან გაოცებაც კი მიპყრობს, — რატომ არ ვყვირი, რატომ კედლებზე მუშტებს არ ვუბრახუნებ და რატომ ჩემს უფროსებს ყელში არ ვაფრინდები, ახლავე ამ დაწყევლილი თანამდებობიდან გამანთავისუფლეთ-მეთქი. მაგრამ — არა! საამისო ვაჟკაცობაც არ მყოფნის. ჩემი შახტის უფროსს თავი ისე უჭირავს, რომ მასთან კრინტის დაძვრაც კი ვერ გამიბედნია. მე კი... დილით ადრე ვდგები, რომ სამუშაოზე არ დამაგვიანდეს და შენიშვნა არ დავიმსახურო, მეშახტეებს დავალებას ვაძლევ, მერე შახტში ჩავდივარ და ვამოწმებ, საქმეები როგორ მიდის და ასე შემდეგ. ასე ყოველდღე, მორჩა და გათავდა.

გავათავოთ. არ მინდა, თავი ძალიან შეგაწყინო, ეს კია: უფრო უკეთეს ხასიათზე ვიქნებოდი, ვინმე რომ მცემოდა და ერთი ლაზათიანად გამოველანძღე. მაგრამ არა. როგორც ჩანს, თბილისიდან წამოსვლა და აქ მუშაობის დაწყება იმოდენა გმირობად ითვლება, რომ შეიძლება, ამაზე უფრო დიდი დანაშაულიც კი გაპატიონ.

მოვრჩეთ-მეთქი! მართლაც მოვრჩეთ. სხვა? თქვენ როგორა ხართ? ბავშვები რას შვრებიან? სიძე - ბატონი როგორ ბრძანდება? მოიწერე, მზევინარ. ჩემგან წერილებს ნუ დაელოდები, ისე მოიწერე ხოლმე. მანდაური ამბები ყველაფერი მაინტერესებს. დედას უთხარი, რომ კარგად ვარ და ძალიან მენატრება. შენი თეიმურაზი“.

## ᲗᲐᲕᲘ XVI

ერთ თოვლჭყაპიან ხუთშაბათს, ნაშუადღევს, სარდიონ რაჭველიშვილს შახტზე მოულოდნელად სტუმრები ეწვივნენ. ის იყო, სარდიონმა თავის კაბინეტში საქმეები მოათავა და სადისპეტჩეროში უნდა გასულიყო, რომ კარი გაიღო და შაშისა და მღელვარებისაგან ფერდაკარგულმა მარგალიტა ხეცურიანმა მოახსენა, მგონი, რაიკომის მდივანი და ტრესტის მმართველი უნდა იყვნენო. იმავე წუთში, კარებთან ლონგინოზ ფეიქრიშვილი და აკაკი ნიშნიანიძეც გამოჩნდნენ. ლონგინოზმა მარგალიტას ფრთხილად შეახო მხარზე ხელი, ანიშნა, გზა დამითმეო, და კაბინეტში პირველი შევიდა.

— არ გველოდი? — ლონგინოზმა სველი ქუდი მოიხადა და მიმოიხედა, სად დავდოო. მარგალიტა მივარდა, ქუდი ჩამოართვა და ტახტზე ისე ფრთხილად დაასვენა, თითქოს ქუდი კი არა, საბანში გახვეული ორიოდე კვირის ბავშვი ყოფილიყოს.

— არ გველოდა, — დაუდასტურა რაიკომის მდივანს აკაკი ნიშნიანიძემ, თავისი ბეწვის ქუდიც იმავე ტახტზე მიაგდო და ორივე ხელი ჭაღარა თმაზე გადაისვა. გამოტყდი, სარდიონ!

— არ გელოდით, — სარდიონმა მხრები გულგრილად აიჩეჩა. იგი ახლა, იმ წუთში იმაზე ფიქრობდა, ამათ უპატივცემულოდ ხომ არ გავუშვებ და როგორ მოვახერხო, რომ თეოლინეს დავურეკოო.

— მობრძანდით!

ლონგინოზმა და აკაკიმ პალტოები გაიხადეს, იმავე ტახტზე მიჰყარეს და სავარძლებში ჩასხდნენ.

— ხელს არ გამოგვიწვდი? — ლონგინოზმა სიგარეტების კოლოფი ამოიღო.

— უფროსები თქვენა ხართ.

— მასპინძელი შენა ხარ.

— თქვენი ნება იყოს. — სარდიონმა ხელი ჯერ ლონგინოზს ჩამოართვა, მერე აკაკის და თავის მაგიდას მიუჯდა. ამ მოულოდნელი სტუმრობის მიზეზებს ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ამის გამოსაცნობად თავს დიდად არც იწუხებდა, — რაც უნდათ, თითონვე მეტყვიანო, სიგარეტი მანაც ამოიღო და აუჩქარებლად გააბოლა. — გისმენთ, ჩემო ბატონო. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ლონგინოზი სიგარეტს აბოლებდა და ფიქრიან მზერას სარდიონის მაგიდის ლურჯ მაუდს არ აშორებდა. მეორე მხარეს მჯდარი ნიშნიანიძე, იმ მაგიდაზე თითს უხმოდ უკაკუნებდა და ფანჯარაში იცქირებოდა. ასე გავიდა რამდენიმე წუთი. მერე ლონგინოზმა ნიშნიანიძეს მოკლე მზერა შეავლო და სარდიონს მიუბრუნდა.

— შენთან მასლაათი მოგვენატრა.

— ერთხელ უკვე გითხარით, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი-მეთქი.

მაგრამ მასლაათის დაწყებას არც ერთი სტუმარი არ აპირებდა. ლონგინოზი ისევ სიგარეტს აბოლებდა, ნიშნიანიძე კი ისევ ფანჯარაში იცქირებოდა. ბოლოს, სიჩუმე ისევ ფეიქრიშვილმა დაარღვია.

— სახლში მიდიოდი?

— სადისპეტჩეროში.

— ისეთი ხომ არაფერია?

— ისეთი არაფერი, ჯერჯერობით...

— ეგ ჯერჯერობით სანამდე გაგრძელდება?

— ვინ იცის...

—არავინ, — თვითონვე დაუდასტურა ლონგინოზმა და სიგარეტი საფერფლის თავზე ნეკით დაბერტყა. — ეგ, ჩემო სარდიონ, ნამდვილად არავინ იცის.

— მაგის სათქმელად მოხვედით!

— თითქმის.

— აი, საქმე მოგვითავებია. ერთ კარგ შინაურულ სადილზე რას იტყოდით?

— არა, აჰ! — ორივე სტუმარმა ხელები ერთდროულად გაასავსავა.—საჭმელი არც გვიხსენო. პროკურორის სუფრიდან მოვდივართ. ალარაფერი გვინდა.

— პროკურორისთანა სუფრა ნამდვილად არ მექნება.

— ჰოდა, ჩვენც ეგ გავითვალისწინეთ.

— ასე რომ, თევზის საცივი ისევ შენზე რჩება, — დაუმატა ნიშნიანიძემ.

— კი, ბატონო. როცა გენებოთ...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ფეიქრიშვილი როგორღაც ძალიან უბრალოდ, თავისუფლად და ძალდაუტანებლად ალაპარაკდა. ეტყობოდა, სათქმელი წინდაწინვე კარგად ჰქონდა მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი.

— ამ სიშორეზე და ასეთ ამინდში ეს ორი დროული კაცი ტყუილად რომ არ მოვიდოდით, ეს, ჩემო სარდიონ, შენც კარგად მოგეხსენება. ხომ? კეთილი, ჩემო ძმაო, და პატიოსანი. ახლა ასე: ყოველგვარი იწილო-ბიწილოს გარეშე: არც მე და არც ბატონ აკაკის ნამდვილად არ გვინდა, რომ შენ, სარდიონ რაჭველიშვილი, კიდევ რაიმე უსიამოვნებაში გაება. შე კაცო, რაიკომის ბიუროზე გაგიყვანეთ, საყვედური გამოგიცხადეთ და — კიდევ რამეს-ღა გვთხოვ? იკმარე. მეტს ჯერჯერობით არც რაიმეს გპირებთ, მაგრამ... სარდიონ, ძმაო ჩემო საყვარელო, შენ თუ ისევ ასე გააგრძელე, მაშინ... მოიცა! თუ ხათრი გაქვს, მათქმევინე. ამ კაბინეტში, ჩვენ სამის მეტი ახლა არავინ არის და, მოდი, გულახდილად მოვილაპარაკოთ. შენ თუ ისევ იმ გზით იარე, და თუ აქ კიდევ რაიმე უბედურება მოხდა, მაშინ... რატომ შვრები ამას?

— არ მესმის.

— გესმის! არ შეიძლება, რომ არ გესმოდეს. ბიურომ ჩაგიწერა, უბნის ხელმძღვანელობა გააძლიერეო? ჩაგიწერა. აბა, იმას ხომ არ ჩაგიწერდით, ახალგაზრდა სპეციალისტი, არჯევანიძე გაანთავისუფლეო. ცოტა რამე ამ ქვეყნისა, ჩვენც გაგვეგება. ჰოდა... არა, რათ გვინდა ახლა ეს მიკიბულ-მოკიბული? შენ რაიკომის ბიუროს დადგენილება შეასრულე? არ შეგისრულებია. უბანს ისევ არჯევანიძე ხელმძღვანელობს. ჰოდა... აი, შენ თითონვე გვითხარი, ამაზე, ჩვენ რა ვიფიქროთ?

ფეიქრიშვილი ამ კითხვის პასუხს, კარგა ხანს ამაოდ ელოდა. სარდიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგარეტს აბოლებდა და საკუთარ ფიქრებში წასულს ჰგავდა. ლონგინოზმა ერთ ხანს უცადა, იქნებ, რაიმე მიპასუხოსო, მერე თავი გადააქნია და აკაკი ნიშნიანიძეს კითხვით გადაჰხედა.

— არა, — აკაკი სავარძელში შეინძრა და უფრო მოხერხებულად დაჯდა.

— სარდიონს ნუ ვაფიქრებინებთ, თითქოს აქ იმისთვის მოვედით, რომ მაგას ჭკუა ვასწავლოთ. ხომ, ბატონო ლონგინოზ? ოღონდ... რაღა დაგიმალოთ, სარდიონ და — შენი საქციელი არაფერს არ ჰგავს. არა, ცუდად არ გამიგო...

— ნამდვილად, — დაუდასტურა ფეიქრიშვილმა, — ნამდვილად არაფერს არა ჰგავს!

— ჰოდა, რაღაც უნდა გავახერხოთ. აგერ, ამ შახტის და მთელი ამ ქალაქის ბატონ-პატრონები, აგერა ვართ. — აკაკიმ მხიარულად გაიღიმა. — ჰოდა, რაღაცა ერთად ვიფიქროთ ა? ბატონო ლონგინოზ...

— ეჰ.. არჯევანიძე როგორი ბიჭია? — ცოტა ხნის შემდეგ იკითხა ფეიქრიშვილმა.

— კარგი — მხრები აიჩეჩა სარდიონმა.

— კარგი. ეს ზოგადი სიტყვაა. მაინც?

— მაინც? თავმდაბალი, სიტყვაძვირი, მტკიცე ხასიათის, პრინციპული, პატიოსანი... მცოდნე... რა თქმა უნდა, მე თეორიულ მომზადებას ვგულისხმობ, სხვა რაღა გინდათ?

— ჰმ! — ფეიქრიშვილმა და ნიშნიანიძემ ერთმანეთს გადაჰხედეს.

— აბა, გაბედნიერებულხარ და ესაა. — ცოტა ხნის შემდეგ ღიმილით უთხრა სარდიონს ფეიქრიშვილმა.

— ასეთია.

— ეგ კარგია, თუ ასეთია, მაგრამ..

— მაგრამ — რა? არ გჯერათ?

— არა, როგორ არა გვჯერა, მაგრამ... ჩახუნაშვილს ვერაფერი მოუხერხე?

— ვერაფერი.

— ესე იგი?

— არაფერი, როგორც აქამდე, ისე იმას იქითაც.

— ჰმ..

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ რა გგონიათ, მე რომ ახლა, ამ წუთში არჯევანიძე აქ დავიბარო და ვუთხრა, შენი უფროსად დანიშვნა ნაადრევი იყო და განთავისუფლების განცხადება დაწერე-მეთქი, გგონიათ, ერთი წუთით მაინც შეყოყმანდება? არც იფიქროთ. იშვიათი ბიჭია: ჭკვიანი, შეგნებული. თუ თქვენ ის გგონიათ, რაც დამიანე ჭყონიამ რაიკომის ბიუროზე ილაპარაკა, ყველაფერი მართალი იყო? არაფერიც. არაფერი განსაკუთრებული პანიკა უბანზე არ ყოფილა და, არც არის. ხელთუფლიშვილის მოხსნა ეწყინათ, მაგრამ მოინელეს. იმ ბიჭმა, იმ საწყალმა, ნოსელიძემ, თავი პირდაპირ ძალით მოიკლა. ესეც ყველამ ძალიან კარგად იცის, ამას, არჯევანიძეს, ნამდვილად პატივსა სცემენ. სხვას მე აქ რას ვუყურებ. ზოგჯერ კიდეც მიკვირს, ასეთ მოკლე ხანში როგორ მოახერხა ამდენი ხალხის გულის მონადირება. კარგი, ვთქვათ, მაშინ ავჩქარდი, მაგრამ ახლა რომ ეგ გავანთავისუფლო, ხალხი რას იტყვის. უმაქნის ჩახუნაშვილს ვერ მოერია და არჯევანიძე კი გააქრო. არ იტყვიან?

— იტყვიან, — დაუდასტურა ნიშნიანიძემ, — უსათუოდ იტყვიან.

— აბა, რაღას მერჩით?

— ვინ რას გერჩის? ვინ რას გერჩის, ქრისტიანო?! — ფეიქრიშვილმა თავი საყვედურით გადააქნია. — აქ ჩვენ სარჩოლად არ მოვსულვართ. ერთხელ ხომ გითხარი? მაგრამ კიდევ რამე რომ მოხდეს?

— შახტზე, ყოველთვის შეიძლება, რამე მოხდეს.

— კარგი პასუხია, მე და ჩემმა ღმერთმა! პირდაპირ დავვამშვიდე.

და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ფეიქრიშვილიცა და ნიშნიანიძეც მიხვდ-

ნენ, რომ სარდიონი არჯევანიძის მოხსნას არ აპირებდა და ამ გადაწყვეტილებას ვერასგზით ვერ შეაცვლევინებდნენ.

— მესამე უბანს ახლა კარგი ხელმძღვანელი ჰყავს. — დაბეჯითებით, ოდნავ გამომწვევი კილოთიც კი თქვა სარდიონმა. — თუ შევცდით, ერთად შევცდებით.

— ღმერთმა კარგი მოგცეს, მაგრამ... — ნიშნიანიძემ მზერა ისევ ფეიქრიშვილს შეავლო. — ჩემი ტრესტის ინჟინრებში ერთიც კი არ მოგწონს?

— გითხრა?

— მითხარი.

— შენი ტრესტის ინჟინრები ღმერთმა შენვე მოგახმაროს!

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა!... — ხმამაღლა გადაიხარხარა ნიშნიანიძემ და ფეიქრიშვილს მიუბრუნდა. — მე ხომ გეუბნებოდი?

— მერე რა, რომ მეუბნებოდი! — ფეიქრიშვილი სიცილის ხასიათზე სულაც არ იყო, ეტყობოდა, იმან ისიც გადაწყვიტა, ჩვენ აქ ყოფნას აზრი აღარ აქვსო. წამოდგა და ტახტიდან თავისი ქუდი აიღო. — ღმერთმა მართლაც კარგი ჰქნას, სარდიონ ჩემო! შენ ჩვენგან რა ჭკუა გესწავლება, ამ შახტებში ჩაბერდი, მაგრამ... გაფრთხილდი მაინც. ნუ აჩქარდები. შენ, აკაკი, წამოხვალ თუ აქ დარჩები? — ფეიქრიშვილმა პალტოც ჩაიცვა.

— წამოვალ მეც, — ნიშნიანიძეც წამოდგა, — პურმარილზე ამ ადამიანს წელანვე უარი ვუთხარით, სხვა კი... ცოტა უჯიათი და თავისნათქვამია ეს ჩვენი სარდიონი, მაგრამ... ამ ხნის მოიყარა და ჯერ არაფერი დაუშავებია, ახლა რაღა ღმერთი გაუწყრება!

— ჰოდა, ჩვენც ყველას ეგ გვინდა: — ფეიქრიშვილმა პალტოს ღილები შეიბნია, — ნახვამდის, სარდიონ! თუ რამე გაგიჭირდეს, არ მომერიდო.

— ნახვამდის! არ მოგერიდები.

## თავი XVII

ის დღე თეიმურაზ არჯევანიძეს ორი ამბით დაამახსოვრდა. ჯერ იყო და — მეორე ცვლის დაწყებისას გერასიმე ცნობილაძემ და არქიფო ცალუღლიშვილმა სამორიგეოდან გასვლა დააგვიანეს და ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ თეიმურაზთან რაღაც სალაპარაკო ჰქონდათ. როცა სხვები გალაგდნენ, — ზოგიერთმა თითქოს რაღაცას ხვდებიანო, გასვლისას ცნობისმოყვარეობით რამდენჯერმე უკანაც კი მოიხედა, გერასიმემ ჩაახველა და თეიმურაზს თავისი ჩვეულებისამებრ, მეგობრულად, ალერსიანად გაუღიმა. ყოველივე ამით ოდნავ გაკვირვებულ თეიმურაზს ახლა არქიფომაც გაუღიმა — თავისი ჩაყვითლებული კბილები გამოუჩინა და სკამ-ლოგინზე უფრო მოხერხებულად მოეწყო.

— ხომ არაფერს გვიბრძანებ, ჩვენო ახალგაზრდა უფროსო? — ისეთი კილოთი ჰკითხა გერასიმე ცნობილაძემ, თითქოს რაღაც სათქმელი და სალაპარაკო თვითონ მას კი არა, თეიმურაზს ჰქონდესო.

— მე არაფერს, — ღიმილითვე უპასუხა თეიმურაზმა, დავთარი დახურა, გვერდზე მისწია და მოსასმენად მოემზადა. ის უკვე კარგად ჰხედავდა, რომ ბერიკაცებს რაღაც სალაპარაკო ჰქონდათ.

— უშანგი მონასელიძეს დამშვიდობებისას არაფერი უთქვამს?

— არაფერი.

— თუ ერთმანეთს საერთოდ არც კი დამშვიდობებიხართ? — გერასიმემ და არქიფომ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

— არც კი ვიცი, რა დავარქვა... — თეიმურაზმა მართლაც არ იცოდა, რა ეთქვა, — შემოვიდა, მითხრა, სასამართლოს ჩახუნაშვილი აღუდგენიაო, და... ეგ იყო. ხელი ჩამომართვა და წავიდა. მას მერე აღარ მინახავს.

— ვერ დაემართა, საწყალს, კარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე. როგორია, ჯერ ბრძანებაში გამოგჭიმავენ, დაგაწინაურებენ, ცასა და დედამიწას შეაზანზარებენ და მერე, რაღაც ორიოდე კვირაში, ისევ უკან, ძველ ადგილზე მიგაბრძანებენ, შევცდით და მიდი, ისევ ნიჩაბი იქნიეო. ახალგაზრდა კაცისათვის ძნელი ასატანია. არადა, დამნაშავე არავინ იყო. ოღონდ ეს იცოდე შენ, თეიმურაზ, უშანგი საერთოდ მაინც არ დაიკარგება. მშრომელი და კეთილსინდისიერი ბიჭია. თავს, ასე თუ ისე, მაინც გამოიჩენს. მაგრამ ეს ყველაფერი — სხვათა შორის. ახლა ეს: დამშვიდობებისას, ესე იგი, არაფერი უთქვამს?

— არაფერი, ლაპარაკის ხასიათზე არც იყო.

—არ იქნებოდა... და კიდეც რომ ყოფილიყო, ჩვენ, მე და არქიფოს, ხათრს შეგვინახავდა. ჩვენ კი ვთხოვეთ, თეიმურაზისა და უფროსების ყურამდე მაგ ამბავს ნუ მიიტანთ-თქვა.

— რომელ ამბავზე ლაპარაკობთ?

— მოგახსენებთ, დიდად საიდუმლო არაფერია. გრიშა ოდიბაშევს ხომ იცნობ?

— ეგ-ღა მაკლია. გრიშა ოდიბაშევს არ ვიცნობდე.

— ჰოდა, მაგას, აგერ, არქიფოც მოწმეა, ცოტა სხვანაირი ლაპარაკი დაუწყია. ის ხომ არავინ იცოდა, რომ ჩახუნაშვილი უკანვე დაბრუნდებოდა. ქვეყანა მაგას მიესია და გამარჯვებული მაინც ეგ გამოვიდა. ჰო... ჰოდა, ოდიბაშევსაც უფიქრია. უშანგი ჩვენი ბიჭია, გამოცდილი მეშახტეა, ამისთანა ამბები მისთვის პირველი არ იქნება და თუ მაინც ღმერთი გაუწყრა და დათანხმებით არ დამეთანხმა, გათქმით მაინც არ გამთქვამსო. უშანგის. როგორც ახლა აგერაც ირკვევა, მართლაც არ გაუთქვამს. და ახლა არც ჩვენ ვჯაშუშობთ. შენ ასეთნაირად არ გაგვიგო. ეგ ოდიბაშევი ცუდი ბიჭი კი არ არი. არა, შენც არ მომიკვდე! ჭირში გინდა, ლხინში, მუშაობაში თუ ამხანაგობაში, არაფერში მაგას წუნი არ დაედება. მაგრამ... ფული კი უყვარს. ამ არქიფოს მართალს არ ვამბობ?

— სრული სინამდვილეა.

— ფულის გულისათვის უკან ბევრ რამეზე არ დაიხევს. არა, კი არ იქურდებს და სხვას ჯიბეში ხელს კი არ ჩაუყოფს, მაგრამ... ერთი სიტყვით, მხარჯველიცაა, და მხარჯველ კაცს ფული მუდამ აკლია. ჰოდა, ჩვენმა ჯიბრაილმა, ეგ მემონტაჟეები ცოტა გაგვითამამა. განსაკუთრებით, სწორედ ოდიბაშევი. მე, ჩემო შვილო, მეც და აგერ, არქიფოსაც, მოსვენებული ცხოვრება და ზომიერი შრომა ყველაფერს გვირჩევნია. ამ ხნობამდეც ამიტომ მოვაღწიეთ. ორმოცდახუთი წელი, შახტში ვტრიალებ და ჯერ ფრჩხილიც კი არ წამომტკენია. ისეა ეს არქიფოც. ამან ერთხელ ცერი იტკინა, და ერთხელაც კოჭში რაღაც ანასხლეტი მოხვდა. ეს იყო და ეს. ეგენი კი... მაგათ, შვილო, სისხლი უდუღთ. არა, რა თქმა უნდა, ეგენიც მეშახტეები არიან, მაგრამ... რაღა დაგიმალო, ყოფილა შემთხვევები, რომ მაგათი ხათრითა და ძალდატანებით, ჯიბრაილს კანონები დაურღვევია, კომბაინი თუ საყელავი მანქანა ზედმეტად გაუშვია, რისკზე წასულა... ასეთ დროს, ის საწყალი, სხვებზე უფრო ღელავდა ხოლმე. სანგრევებში ათენებდა და აღამებდა. სახე ისე შეეცვლებოდა ხოლმე, რომ ველარც კი იცნობდი. აბა! ახალგაზრდა და თავმოყვარე ბიჭი იყო, ეგენი კი ნამუსზე შეაგდებდნენ ხოლმე, ვაჟკაცობას უხსენებდნენ, რისი ვაჟკაცი ხარ, თუ ამის გაკეთება ვერ გაგიბედნიაო. ჰოდა, ისიც... კი, იყო რამდენიმე ასეთი შემთხვევა. მოგება და ხეირი დიდი არაფერი, არც ჩვენთვის, არც შახტისათვის და არც მაგ მემონტაჟეებისათვის. სალაპარაკოდ არცა ღირს. ეს შახტი, ეს ოხერი, ისეთი უკუღმართი რამაა, რომ დღეს თუ ერთი კაპიკის საღირალს ზედმეტს მოგცემს, ხვალ და ზეგ სამაგიეროდ თუმნის საღირალს უკანვე წაგართმევს: აბა! და შე-

იძლება, რამე დავიდარაბასაც გადაგკვიდოს. ჰოდა, ახლა მე და არქიფოს, აგერ, აი, რისი თქმა გვინდა შენთვის. ოღონდ ჭკუის სწავლებად და ამისთანობად არ მიიღო. ისე, მამაშვილურად გელაპარაკებით, როგორც ხნოვანებით უფროსები ხნოვანებით უმცროსს. ახლა... ერთი სიტყვით, ვისთვის რა საიდუმლოა, შენც ახალგაზრდა კაცი ხარ, შენც თავმოყვარეობა გაქვს და ვაჟკაცობითაც არავის ჩამოუვარდები. ჩვენ ყველაფერი ვიცით, უბანი ახლა კარგად მუშაობს და ამან, შეიძლება, შენზე უფრო გამოცდილიც კი გაათამამოს. ეგ ოდიშაშევი, ახლა სამგლე გოჭივითაა ატეხილი. თითქოსდა, საბუთიცა აქვს — ჭერი ახლა ჩვენს სანგრევებში, მართლაც. ძალიან საიმედოა. პირდაპირ სარკესავითაა მოკრიალებული. შენ რომ ახლა კომბაინი ან საყელავი მანქანა ზედმეტად გაუშვა, იქნებ, მართლაც ხაზვივით შეგრჩეს, მაგრამ... ნუ იზამ, მამაშვილობას! რაღაცა კაპიკებისა და ასევე ცოტა ზედმეტი ქვანახშირის გულისათვის მაგისთანა რისკზე ნუ წახვალ. მაგისთანა საქმეებმა, ჯიბრაილსაც არა ერთი და ორი ღერი თეთრი თმა შესძინა. ისე ჩვენმა მარჯვენამ იხაროს! შენ მაგისთანები ნუ გინდა, ჯერჯერობით მაინც. ჩვენ, მთელი ეს უბნის მეშახტეები მხარში ამოგიდგებით და მარტო ოდიშაშევი თუ ორიოდე მისი ამყოლი რას გაბედავს. იმდენს რას იგებენ? აღარ შერცხვებათ? შენ კანონებით იმუშავე. ის პასპორტები, მართლაც, მცოდნე ხალხის შედგენილია, ოდიშაშევმა იმ ხალხზე მეტი რომ იცოდეს, აქ კი არ იქნებოდა, უფრო დიდ ადგილს გამოუნახავდნენ. ჰო! აი, მთელი ჩვენი სათქმელი ეს არის. ამას ახლა იმიტომ გეუბნებით, რომ უშანგი, შენც ჰხედავ, მოგვაცილეს, ანთიმოზის ნდობა კი ერთ ნაბიჯზედაც არ შეიძლება. სიტყვაზე, შეიძლება მესამე ცვლაში შენ რომ არ იქნები, სიტყვიერად ქე მისცეს მექანიკოსებს ერთი ზედმეტი ციკლი გაიარეთო — სიტყვიერად, მაგრამ მერე თუ რაიმე მოხდა, თვითონ ხელებს დაიბანს, გვერდზე გადგება. და ყველაფერი ისევ შენ დაგბრალდება. ამისთანები მაგას ბევრჯერ უქნია. მაგას მარტო სამარე გაასწორებს. ჰოდა, გაფრთხილდი, ჩვენ, ჩვენის მხრივ, ყველას გავაფრთხილებთ და იმ უკუღმართ ოდიშაშევსაც მოველაპარაკებით. თუ საჭირო შეიქნა, რასაკვირველია, შენც შენი მხრივ მეტი სიფრთხილე გამოიჩინე. განსაკუთრებით მესამე ცვლას უდარაჯე. მაგისთანა უკუღმართი ამბები ღამ-ღამობით უფრო ხდება. დღისით მთელი უფროსობა აქ არის და იმდენს ვერაფერს ბედავენ. ნუ დაგეზარება, ძილს თავი წაართვი და ხანდახან მესამე ცვლაშიც ჩამოიხედე ხოლმე. მარტო ჩახუნაშვილს ნუ დაენდობი. მაგისთანა მოადგილე გინდ გყოლია და გინდა არა. ეს შენ უჩვენოდაც კარგად იცი. ახლა ეს გვითხარი, ცუდი ვქენით, რომ გაგაფრთხილეთ?

— ცუდი როგორ ქენით, პირიქით, მადლობელი ვარ.

— ჰოდა, ასე. შენ კი ოდიშაშევს ნურაფერს ეტყვი. ენატანიაობა გამოგვივა და არ გვინდა, ჯერ საჭიროც არ არის. დრო მოვა და ჩვენ თვითონვე ისე ვეტყვით, როგორც საჭიროა. როცა დაინახავს, აღარავინ ამყვაო, თითონაც გაჩერდება. არ გაჩერდება და... ერთი სიტყვით, ვნახოთ. ყაბული ხარ?

— ყაბული და მადლობელიც ვარ.

— ჰოდა, აბა, კარგად იყავი. არქიფო, შენ სათქმელი გაქვს კიდევ რაიმე?

— აღარაფერი.

— აბა, ბედნიერად, ჩვენო თეიმურაზ! ამ საღამოს. ალბათ, კიდევ შევხვდებით. მე და არქიფო ხან პირველ ცვლაში ვართ, ხან მეორეში და ხან მესამეში. რას ვიზამთ, საქმე ასე თხოულობს.

— ვიცი, კარგად იყავით!

ბერიკაცები წამოდგნენ და წავიდნენ. თეიმურაზი ერთ ხანს, კიდევ იჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამორიგეოში. ოდიბაშევი რომ თავის კანში არ ეტეოდა, თეიმურაზმა უკვე დიდი ხანი იყო, რაც იცოდა. თავის პრეტენზიებს მაინცდამაინც. არც თვითონ ოდიბაშევი მალავდა. მაგრამ თუ ასე მალე ამდენსაც გაბედავდა და მონასელიძეს იმ რაღაც ავანტიურებს შესთავაზებდა, თეიმურაზს ნამდვილად არ ეგონა. და ეს ყველაფერი, ამოდენა რისკი და თავგანწირვა რისთვის? ათი-თხუთმეტი მანეთის გულისთვის? თუმცა, ისიც უნდა ითქვას, პირადად ოდიბაშევი და მისი მემონტაჟეები სხვებთან შედარებით, უფრო ნაკლებ რისკზე მიდიოდნენ. თვითონ უკვე გამოსუფთავებულ სანგრევში ჩავიდოდნენ და კონვეიერს გადაიტანდნენ. თვის ბოლოს კი გამოუვიდოდათ, კონვეიერი ექვსჯერ კი არა, რვაჯერ გადაიტანესო. „არა, ჩემო კარგო, — გაიფიქრა თეიმურაზმა, — ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი , კარგი ბიჭი იყო, მაგრამ შენ რამდენჯერმე აგიყოლიებია. ჩემთან მაგისთანეები არ გამოგივა. ახლა ჯერ არაფერს გეტყვი, ენატანიაობა რომ ცუდია, ეს ბავშვობიდანვე ვიცი. მაგრამ თუ შენს კანში არ დაეტევი და ხალხის მიმხრობასაც შეეცდები, მაშინ კი სარდიონს ვეტყვი, ერთმანეთს დაგვაშოროს და ვნახოთ, ვისი სიტყვა უფრო გასჭრის, ჩემი, თუ შენი“.

თეიმურაზმა სამორიგეო დაკეტა და წამოვიდა.

სახლში კი უფრო მოულოდნელი ამბავი ელოდა.

* * *

საერთო საცხოვრებლის კომენდანტი, ანთიმოზ ჩახუნაშვილის მეუღლე მარიამი თეიმურაზს აშკარა ლიქნით ექცეოდა. თეიმურაზმა ამისი მიზეზებიც იცოდა და იმასაც ხედავდა, რომ ასეთ წრესგადასულ ყურადღებასა და პატივისცემაზე უარი არაფრით არ გაუვიდოდა. ამიტომ ხელი ჩაქნეული ჰქონდა და ვითომ ვერც კი ამჩნევდა ხოლმე, რომ ლოგინის თეთრეულს, მაგალითად, მას უფრო ხშირად და გულმოდგინედ უცვლიდნენ, ვიდრე მისი ოთახის მოზიარეს — გერონტი ჩაფიჩაძეს. და ასე დაუსრულებლივ. პირდაპირ თვლა აღარ ჰქონდა ყურადღების იმ ნიშნებს, რომლებსაც მარიამი თეიმურაზისადმი იჩენდა. თეიმურაზს ხშირად უფიქრია კიდეც. ამ ჩაფიჩაძეს მაინც დასაკლავად ვემეტები და მარიამ ჩახუნაშვილმა, ნეტავი, ის მაინც თუ იცის, თავისი საქციელით ცეცხლზე ნავთს რომ ასხამსო. მაგრამ მარიამს პირდაპირ ამას ხომ არ ეტყოდა? რამდენჯერმე თავაზიანად შეახსენა, არაა საჭირო ჩემდამი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა, ჩაფიჩაძეც ისეთივე მდგმურია, როგორიც მეო. მაგრამ მარიამს ეს ვითომ არც კი გაუგონია და თეიმურაზმაც ხელი ჩაიქნია — თუ ჩაფიჩაძეს კანონით რამე ეკუთვნის და არ აძლევენ, იბრძოლოს და მოიპოვოსო.

მაგრამ იმან, რაც იმ დღეს მოხდა. თეიმურაზიც კი საგონებელში ჩააგდო. მან საერთო საცხოვრებლის ვესტიბულში შესვლა და გასაღებების დაფისკენ მიხედვაც კი ვერ მოასწრო, რომ მარიამი, რომელიც თავის მაგიდასთან იჯდა და თითქოს სწორედ თეიმურაზის გამოჩენას ელოდა, სწრაფი ნაბიჯით მივარდა და წაულაპარაკა, გასაღებს ნუ ეძებთ, ჩაფიჩაძემ წაიღოო. დღეის ამას იქით კი იმ ოთახში მარტო თქვენ იცხოვრებთო. თეიმურაზმა შეამჩნია, რომ მარიამი უჩვეულოდ აღელვებული, სახეზე ავარდისფერებული იყო და თვალები აღტაცებით უბრწყინავდნენ.

— მარტო ვიცხოვრებ?

— დიახ!

— ჩაფიჩაძე?

— ჩაფიჩაძე გადადის, ცოლი ითხოვა.

— ცოლი ითხოვა?!

— დიახ! იმ ქალს თქვენ კარგად იცნობთ.

— კარგად ვიცნობ?

— დიახ! გოგოლა ხომასურიძე ითხოვა.

თეიმურაზს გაოცებისაგან ენა ჩაუვარდა.

— გოგოლა ხომასურიძე?

— დიახ! მიბრძანდით, ახლა ოთახში არიან და ბარგს ჰკრავენ. დაემშვიდობეთ.

თეიმურაზი თავის ოთახისაკენ ისე წავიდა, რომ კარგად მოსაზრებული არც კი ჰქონდა, სად მიდიოდა და იქ რა უნდა ეკეთებინა.

ოთახის კარი ღია იყო. ჩაფიჩაძის ბარგი — თითქმის უკვე შეკრული. სახეზე წამოჭარხლებული ჩაფიჩაძე დიდ შავ ჩემოდანზე დახრილიყო და შიგ რაღაც თეთრეულს სტენიდა. უკვე ალაგებულ ხის საწოლზე, რომელზეც ახლა მხოლოდ ლეიბი და უშალითო საბანი ეყარა, თვითონ გოგოლა იჯდა და ჩაფიჩაძის ჩალიჩს თვალყურს მშვიდად ადევნებდა. ქალს აღელვების ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. მაგრამ თეიმურაზის დანახვაზე გოგოლას ლურჯი თვალები ანაზდად ისეთი თავდავიწყებული, უნაპირო სიყვარულითა და ალტაცებით აბრიალდნენ, რომ თეიმურაზს გული აუბაგუნდა.

„შენთვის... — თითქოს ეუბნებოდნენ თეიმურაზს გოგოლას ლურჯად ანთებული თვალები, — ყველაფერ ამას შენთვის ვაკეთებ".

თეიმურაზის ფეხის ხმის გაგონებაზე ჩაფიჩაძემაც მოიხედა. ოთახის მოზიარის დანახვაზე, იმ ჩემოდანსა და თეთრეულს თავი ანება, წელში გასწორდა და სახეზე კიდევ უფრო მაგრად წამოწითლდა. თვალები ზიზღითა და სიძულვილით აუელვარდნენ.

„არა, — გაიფიქრა თეიმურაზმა, — ამათ ცოლქმრობას დიდი დღე არ უწერია".

გოგოლა ხმაამოუღებლად წამოდგა, შავ ჩემოდანთან მივიდა და იმ თეთრეულის ჩაწყობა ახლა თვითონ დაიწყო. ჩაფიჩაძემ ჩემოდანს რატომღაც ფეხი წაჰკრა, წავიდა და კუთხეში მდგარ სკამზე ჩამოჯდა. თეიმურაზს მზერას არიდებდა. წამოჭარხლებული, მრისხანე სახე ოფლით ჰქონდა შეცვარული.

„ყველაფერი გასაგებია, — დაბნეულად გაიფიქრა თეიმურაზმა, — გოგოლამ... გოგოლა ამაზე იმიტომ დათანხმდა, რომ ჩემთვის მტერი მოეცილებინა, ან ეს ასეა, ან მე ნამდვილი პირუტყვი და რეგვენი ვარ. მაგრამ... მიაღწევს კი ამ მიზანს? ან ახლა მე რა ვქნა, რა ვთქვა, ან რა მოვიმოქმედო?"

ჩამოვარდნილ სიჩუმეში დერეფნიდან ქალის ფეხის ხმა მოისმა. ღია კარებთან მარიამი მოვიდა და გაჩერდა.

— ორი დიდებული საქმე კეთდება, — თქვა მან, — ამ ახალგაზრდებმა ახალი ოჯახი შექმნეს, ბატონი თეიმურაზი კი, დღეის ამას იქით, უფრო ხალვათად იქნება. სანამ აქ კომენდანტი მე ვარ, ამ ოთახში ვერავინ შემოსახლდება.

— ოჯახის შექმნა ერთი საქმეა, ქალბატონო მარიამ, — ღვარძლიანი კილოთი უთხრა ჩაფიჩაძემ. — ოთახში შესახლება კი მეორე. ამ ორ რამეს ერთმანეთში ნუ ავურევთ.

— რა თქმა უნდა, — მყისვე დაუდასტურა თეიმურაზმა.

— მე არც ამირევია, — გულგრილად იმართლა თავი მარიამმა. იგი, საერთოდ, ჩაფიჩაძეს რატომღაც კაცად არ აგდებდა. ასე იყო ყოველთვის და ასე იყო ახლაც. — ისე ვთქვი.

— ისე ლაპარაკი არ შეიძლება, — ჩაფიჩაძე წამოდგა და ისევ შავ ჩემოდანთან მივიდა.

— ბოდიში!

—არაფრის.

„ნუთუ ამ ბიჭს მართლა შეუყვარდა. — უკვირდა თეიმურაზს, — ნუთუ ადამიანურად მოექცევა? ხომ იცის, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, გოგოლა ხელიდან ხელში გადადიოდა? ეს მეც კი ვიცი და მაგას როგორ არ ეცოდინება?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომეცალე. — უთხრა ჩაფიჩაძემ გოგოლას. გოგოლა მაშინვე წელში გაიმართა, შუბლზე ჩამოყრილი ჰოწითალო თმები ხელის ზურგით გაისწორა, თეიმურაზს სწრაფი მზერა შეავლო და იმავე სკამზე ჩამოჯდა, რომლიდანაც ის-ის იყო, ჩაფიჩაძე ადგა.

ჩაფიჩაძე ჩემოდანს დასტრიალებდა.

— ბინა მიიღეთ? — უმისამართოდ იკითხა თეიმურაზმა. რაღაცა ხომ უნდა ეთქვა!

— იქირავეს, — სწრაფად უპასუხა მარიამმა, — გერონტიმ იმარჯვა. ძალიან კარგი ოთახი იქირავა.

ჩაფიჩაძე და გოგოლა სდუმდნენ.

— რომ მცოდნოდა... — თეიმურაზი სიჩუმეს ველარ იტანდა. — რაიმე საქორწილო საჩუქარს მაინც...

— მოესწრება, — ისევ მარიამმა უპასუხა თეიმურაზს, — ჩვენც წილში შემოგიდგებით.

საქორწილო საჩუქრის ხსენებაზე გოგოლა რატომღაც გაწითლდა. თეიმურაზს სწრაფი, მრისხანე მზერა ესროლა. მერე პირი იბრუნა და ფანჯარაში ცქერა დაიწყო. თეიმურაზს მოეჩვენა, თითქოს ქალს ნიკაპი უთრთოდა.

„აი, ხათაბალა! — გაიფიქრა, თეიმურაზმა, — ახლა ტირილი რომ აუვარდეს?“

მაგრამ არა! გოგოლას ტირილი არ დაუწყია. თმები ერთხელაც შეისწორა და თეიმურაზს ახლა უკვე, ნათელი, ლმობიერი, თითქოს გულგრილი მზერაც კი გაუსწორა.

„ვიცი, რაც მომელის, — ეწერა იმ გამოხედვაში, — მაგრამ არავისი და არაფრის არ მეშინია. შენ იცი, რომ მიყვარხარ. დაინახავ, მე როგორი სიყვარული შემძლებია“.

თეიმურაზი კრიჭაშეკრული იდგა.

— მოდი, — უთხრა ჩაფიჩაძემ გოგოლას, — სახურავს მუხლით დააწექი.

გოგოლა მშვიდად წამოდგა. თეიმურაზისთვის აღარც კი შეუხედავს. ჩემოდანთან ჩაიჩოქა და სახურავს მუხლის მაგიერ ორივე ხელით დააწვა. ჩაფიძემ ჩემოდანი ჩაჰკეტა. ისიცა და გოგოლაც წამოდგნენ.

— ჩვენ მზადა ვართ, — უთხრა ჩაფიჩაძემ მარიამს. თეიმურაზს იგი თითქოს ვერც კი ამჩნევდა, მაგრამ ყველაფერზე, განსაკუთებით კი დაძაბულ ხმაზე ეტყობოდა, რომ ოთახში არჯევანიძის ყოფნას მთელი თავისი არსებით გრძნობდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ სცემოდა, არ დაესახიჩრებინა, ან არ მიეხრჩო.

— აბა, კეთილად! — მარიამმა თავი დახარა და ხელები ფართოდ გაშალა.

გოგოლამ და ჩაფიჩაძემ ჩემოდნები აიღეს და ოთახიდან ისე გავიდნენ, რომ აღარც მარიამს დამშვიდობებიან, და აღარც არჯევანიძეს.

* * *

ის ღამე თეიმურაზმა თეთრად გაათენა. მან სწორედ, უშეცდომოდ გაიაზრა, თუ რაც უნდა მომხდარიყო გოგოლასა და ჩაფიჩაძეს შორის. თავის დროზე ჩაფიჩაძემ ამ ქალთან ურთიერთობა სრულიად გარკვეული მიზნით დაიწყო და საწადელსაც მალე მიაღწია. მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, რომელნიც გოგოლას თავიდან, ერთ ან ორ თვეში იშორებდნენ, მას ამ ლამაზი და თბილი, ლმობიერი ქალისადმი განსაკუთრებული გრძნობა გაუჩნდა. უამქალობა მას აღარც კი შეეძლო. ამას თეიმურაზის ჩამოსვლაც დაემთხვა. ჩაფიჩაძემ ისიც მალე დაინახა, თუ როგორ ფითრდებოდა და წითლდებოდა, როგორ კრთოდა და იბნეოდა მისი სატრფო ახალგაზრდა ინჟინრის დანახვაზე. ამან ჩაფიჩაძეს წონასწორობა საბოლოოდ დააკარგვინა. ერთ საღამოს გოგოლამ ჩაფიჩაძეს ცივი, გადაჭრილი უარი უთხრა მასთან ხარეცელის გაზიარებაზე. აშკარა იყო, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა. იგივე განმეორდა მეორე, მესამე, მეოთხე დღეს... ეჭვიანობით გახელებულ ახალგაზრდას აღარ შეეძლო გოგოლას გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეში ცხოვრება. მას იმისი ერთი გაფიქრებაც კი ზარავდა, რომ შეიძლებოდა, გოგოლას ვინმე სხვა დაპატრონებოდა. და მან გოგოლას ცოლობა სთხოვა.

— ხუმრობ?

— არა. გეფიცები, რაც კი წმინდა გამაჩნია.

— რომ გამოგყვე, ცუდად მომექცევი?

— არა. ხელის გულზე გატარებ.

— აბა, კარგი. ოღონდ...

— ოღონდ რა?

— არაფერი. თანახმა ვარ.

და მეორე დღესვე ხელი მოაწერეს.

თეიმურაზმა, რა თქმა უნდა, ეს წვრილმანები არ იცოდა. მაგრამ საერთოდ კი ყველაფერი კარგად და სწორედ გაიაზრა... და ძილიც. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამიტომ გაუტყდა: მას ერთი წუთითაც კი არ სჯეროდა, რომ ჩაფიჩაძე დანაპირებს შეასრულებდა და ცოლ-ქმრობაში გოგოლას კარგად მოექცეოდა. ამაზე უფრო ძლიერ კი მეორე ფიქრი სტანჯავდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ გოგოლამ ეს ნაბიჯი მისი გულისთვის გადადგა. ახალგაზრდა ქალმა მოისურვა, რომ თეიმურაზს ამ უცხო ქალაქში, მისი მიზეზით, მტერი არ ჰყოლოდა და საამისოდ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო. უფრო მეტიც. იგი ცოლად გაჰყვა ადამიანს, რომელსაც უკვე ველარ იტანდა ვერც სულიერად და ვეღარც ფიზიკურად. ასეთი საქციელის სამაგიერო კი თეიმურაზს როდის, და როგორ უნდა გადაეხადა? ან საერთოდ, ეს ყველაფერი რითი გათავდებოდა?

თეიმურაზს ამ დღის შემდეგ დასჩემდა: დილით, როცა მეშახტეების პირველ ცვლას დავალებებს გაუნაწილებდა და შახტში გაისტუმრებდა, თვითონაც — შახტიდან მესამე ცვლასთან ერთად სულ ერთი საათის წინ ამოსული, — ისევ სპეცტანსაცმელს გადაიცვამდა და შახტში ჩაეშვებოდა: იცოდა, რომ გოგოლა მთელი ეს თვე პირველ ცვლაში მუშაობდა. მთავარ შტრეკზე ჩავიდოდა თუ არა, იმის მაგივრად, რომ მარჯვნივ გაეხვია და თავისი სანგრევებისაკენ წასულიყო, მარცხნივ შეუხვევდა და მიწისქვეშა დეპოს ჩაუვლიდა. დილის საათებში, სანამ სანგრევებიდან ქვანახშირის გამოზიდვა დაიწყებოდა და ტრანსპორტი ამუშავდებოდა, გოგოლა მუდამ იქ ტრიალებდა. ერთმანეთს უხმოდ ესალმებოდნენ. თქმით არც ერთი და არც მეორე არაფერს ამბობდა და თეიმურაზი მერე თავის გზას გაჰყვებოდა ხოლმე.

ორიოდე კვირამ ისე გაიარა, რომ თეიმურაზს ცუდი და ავისმომასწავებელი არაფერი შეუმჩნევია. გოგოლა მუდამ თავდაჭერილი, მაგრამ თან ხალისიანი ღიმილით ეგებებოდა, თვალებით აგრძნობინებდა, ნუ სწუხარ, ყველაფერი კარგადააო, და ისევ თავის ვაგონეტებს მიუბრუნდებოდა. ისე ჰგავდა, რომ გოგოლამ და ჩაფიჩაძემ ჩვეულებრივი, ნორმალური ოჯახი შექმნეს და ერთმანეთს კარგად ეწყობოდნენ.

მაგრამ ორიოდე კვირის შემდეგ შახტში ჩასულ თეიმურაზს გოგოლა ჩვეულ ადგილზე აღარ დახვდა. თეიმურაზმა ვეღარ მოითმინა და გამურულ მეელმავლეს, იქვე შორიახლოს თავის მანქანის მოტორს რომ ჩაჰკირკიტებდა, ჰკითხა გოგოლა სად არისო. მემანქანეს თავიც არ აუწევია, ხელი ჩაბნელებული შტრეკის სიღრმისაკენ აიქნია.

თეიმურაზი შტრეკს გაჰყვა და დეპოდან ოცდაათიოდე ნაბიჯზე, გვირაბის კუთხეში სინათლის სუსტი წერტილი დაინახა. სიბნელეში ვიღაც ბიგების ძირას ჩამჯდარი ილანდებოდა, თეიმურაზმა თავისი ნათურა მოიმარჯვა და ნაბიჯს აუჩქარა. უეცრად ის სინათლის წერტილი შეინძრა, სიბნელეში ვიღაც ჩამჯდარი წამოდგა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფი ნაბიჯით საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა.

თეიმურაზმა იგრძნო, რომ ის გოგოლა იყო და, მას გაურბოდა. ნაბიჯს კიდევ უფრო აუჩქარა, მერე სირბილზეც გადავიდა და ქალს სწორედ საკონვეიერო შტრეკის შესასვლელთან წამოეწია. გოგოლას წასასვლელი აღარსად ჰქონდა და გაჩერდა. მძიმედ სუნთქავდა და თეიმურაზს სახეს არიდებდა. თეიმურაზმა ხელი წაავლო და ნათურა სახეზე მიანათა. გოგოლას მარჯვენა თვალი საშინლად გასიებული და ჩალურჯებული ჰქონდა. გოგოლამ ხელი გამოსტაცა და პირი იბრუნა.

— რატომ გამექეცი?

გოგოლა ხმას არ იღებდა.

— გცემა?

გოგოლამ არაფერი უპასუხა. მხარით ბიგას მიეყრდნო და თავი ჩაღუნა. აჩქარებით სუნთქავდა, ხმამაღალი ტირილი არ აუვარდესო და მართლაც, იმავე წამს გოგოლას მხრები აუცახცახდა, ორივე ხელი სახეზე აიფარა და ჩაბნელებული, ნესტიანი შტრეკი ქალის გულსაკლავმა ქვითინმა შესძრა. თეიმურაზი გოგოლას მივარდა, ორივე ხელი მხრებზე მოხვია, გულზე მიიკრა და ცრემლებით სველ სახეზე კოცნა დაუწყო. გაშმაგებით კოცნიდა და თან ათასგვარ საალერსო სიტყვას ეუბნებოდა. გოგოლა არ ეწინააღმდეგებოდა, თვითონაც ეკვროდა, მაგრამ კოცნით კი არ პასუხობდა და ისევ ბავშვურად, გულამომჯდარი ქვითინებდა.

არც ერთს აღარ ახსოვდა, ასეთ დღეში რამდენ ხანს იყვნენ. პირველად ისევ გოგოლა გამოერკვა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სველ სახეზე ფრთხილად მოისვა. — აღბათ. ტკივილი აწუხებდა, — ფეხის წვერებზე აიწია და თეიმურაზს ლოყაზე აკოცა.

— წადი, — წაიჩურჩულა ქალმა და ცხვირსახოცი დაჭმუჭნილი. ცრემლებით სველი ჩალურჯებული თვალზე მიიდო, — არაფერია წადი!

თეიმურაზმა მიმოიხედა ასე დგომას მართლაც არავითარი აზრი არ ჰქონდა. ვინმე დაინახავდა და ჩაფიჩაძეს ცოლის საცემრად კიდევ ერთი მიზეზი მიეცემოდა.

— წადი. — გაუმეორა გოგოლამ, — მე თვითონ გნახავ!

— სად? როდის?

— მერე მოვალ, ახლა წადი.

თეიმურაზმა გოგოლას ერთხელაც აკოცა და შტრეკს დამძიმებული ნაბიჯით გაჰყვა. იმ დღეს თავი აღარ აუწევია და არავისთვის თვალებში არ შეუხედავს.

რა უნდა ვქნა?

ჯერჯერობით ერთი-ღა რჩებოდა: მოეცადა, სანამ გოგოლა მასთან მივიდოდა.

## ᲗᲐᲕᲘ XVIII

გამომძიებელ ვალერიან მექვაბიშვილს, თავისი განყოფილების უფროსთან, პოლკოვნიკ ავქსენტი შარაშენიძესთან მეტად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ჩასუქებული, ხმაჩახრინწული და თვალებჩასისხლიანებული შარაშენიძე სახელგატეხილი კაცი იყო. ჯერ ერთი. ქალები რომ უყვარდა. რომელიმე დამთმობი ლამაზმანის გულისთვის, თვითონაც ბევრ რამეს დათმობდა. გარდა ამისა, არც ქრთამის აღებას ერიდებოდა.

ვალერიან მექვაბიშვილს შარაშენიძემ თავიდანვე ეჭვის თვალით შეხედა. მექვაბიშვილი რომ განათლებით ისტორიკოსი იყო. ეს. კაცმა რომ თქვას. დიდი არაფერი ამ დაწესებულებაში ბევრი ისტორიკოსიც მუშაობდა, ბევრი ფილოლოგიც. ეკონომისტიც და თავიანთ მოვალეობებს მშვენივრად ასრულებდნენ. შარაშენიძემ ეს კარგად იცოდა. მაგრამ როცა მან გაიგო. მექვაბიშვილი ისტორიაში ჩხირკედელაობას მაინც არ იშლის. თავის კაბინეტში შუაღამემდე რჩება. რაღაცეებს წერს და რაღაც გამოკვლევებს გამოსაქვეყნებლად ამზადებსო. ეს უკვე აღარ ეჭაშნიკა თვითონ საკმაოდ უწიგნური კაცი იყო და ყოველ წიგნიერ, განათლებულ ადამიანს

უნდობლად, ცუდად დაფარული ზიზღით ეკიდებოდა. მიდი და გაიგე, ეს მექვაბიშვილი თავის კაბინეტში ღამღამობით რასა სწერს? მართლა ისტორიულ გამოკვლევებს ჩმახავს, თუ იმის აღნუსხვას უნდება, შარაშენიძე თავის განყოფილებაში რას ამბობს და რას, ან როგორ აკეთებს? ერთ მშვენიერ დღეს, ეს შენი მექვაბიშვილი რომ ადგეს და მინისტრს ლამაზად აკინძული წიგნი მიართვას, აი, თქვენი განყოფილების გამგე რაებს აკეთებსო, მაშინ? არა, ავქსენტი შარაშენიძეს არც ამისი ეშინია. ავქსენტი რასაც აკეთებს, კანონის მფარველობით აკეთებს. სისხლის სამართლისა თუ პროცესიალური კოდექსი ავქსენტიმ ძალიან კარგად იცის. დამტკიცებით ვერაფერს დაუმტკიცებენ. მაგრამ... ის აკინძული წიგნი მაინც სიგნალად, დოკუმენტად ჩაითვლება და ეს კი დიდად ვერაფერი სასიამოვნო ამბავია.

შარაშენიძემ რამდენჯერმე ისიც კი იფიქრა, მიდი, მაგ მექვაბიშვილს მოულოდნელად კაბინეტში შევეჭრები და შევამოწმებ, რა გამოკვლევებსაც სწერსო. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს გაჩხრეკვას დაემსგავსებოდა და ამისი უფლება შარაშენიძეს არ ჰქონდა, და მეორეც, მაშინ საბოლოოდ გამოაშკარავდებოდა, რომ შარაშენიძე თავის თანამშრომელს არ ენდობოდა. ეს კი ავქსენტის არაფერში სჭირდებოდა.

ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც მექვაბიშვილი მასთან მუშაობდა, შარაშენიძემ რამდენჯერმე სცადა მისი „მოთვინიერება". ერთხელ, ვიღაც გამფლანგველების საქმის ძიებისას, გამოიძახა, კაბინეტის კარი ჩაჰკეტა და „მამაშვილურად" ურჩია, მაგათ, მაგ უბედურებს, მაინცდამაინც ღდინამდე ნუ ჩაჰყვები, ცოლ-შვილის პატრონი ხალხია, ამდენი ადამიანის გაუბედურება ჩვენ რაში გვჭირდება, ჩვენ იმდენად დასჯისაკენ არა, რამდენადაც გამოსწორებისაკენ ვართ მოწოდებულნიო. მაგრამ მექვაბიშვილმა არ დაუჯერა და იმ ცოლშვილიან ხალხს, თითოეულს რამდენიმე ასეული ათასი მანეთის სახელმწიფო ქონება რომ ჰქონდა ჩაჯიბებული, სულ თხუთმეტ წლიანი მუხლები მიუყენა. ზოგმა თანამშრომელმა ვალერიანს მაშინ ამხანაგურად ურჩია კიდეც, შარაშენიძეს ნუ გადაიკიდებო. მაგრამ ძიების დამთავრების შემდეგ შარაშენიძემ მექვაბიშვილი გამოიძახა, მხარზე ხელი ღიმილით მოუთათუნა და უთხრა, ყოჩაღ, მე მაგ საქმეს, ცოტა ზერელედ ვიცნობდი და კარგია, რომ შენ ასეთი პრინციპულობა გამოიჩინე და მაგ გარეწრებს ის მიაგე, რასაც იმსახურებდნენო. მეორე დღეს კი მექვაბიშვილს ბრძანებით მადლობა გამოუცხადა.

თავდაპირველად, შარაშენიძეს არც კი უნდოდა, რომ ანზორ კუპატაძის მკვლელობის საქმის გამოძიება მექვაბიშვილისათვის მიენდო. იცოდა, რომ ამ საქმეში ჯიბესქელი ხალხის შვილები უნდა იყვნენ გარეულნი. მაგრამ ისე მოხდა, რომ როცა საქმე პროკურატურას გადასცეს, განყოფილებაში თავისუფალი მხოლოდ მექვაბიშვილი იყო. ისის იყო, რაღაც უბრალო საქმის გამოძიება დაამთავრა. და შარაშენიძეც ბედს დაემორჩილა. მექვაბიშვილი გამოიძახა, წინასწარი მასალები გააცნო და გაафრთხილა, არაფერი გამოგრჩეს, შეიძლება, აქ საქმე ნამდვილად ორგანიზებულ მკვლელობასთან გვქონდესო. საქმე გადასცა, ხელი ჩამოართვა და წარმატება უსურვა, გულში კი ასე ფიქრობდა, ვნახოთ, იქნება, კისერი სწორედ მაგ საქმეზე მოვატეხინოთ.

* * *

ნათია ავალიშვილს რომ გული შეუწუხდა, მექვაბიშვილი ამ ამბავმა დიდად შეაცბუნა. მაგრამ დაბნეულობას საკმაოდ მალე დააღწია თავი, უგულო კაცი არ იყო, მაგრამ ასეთი შემთხვევები უკვე ჰქონია და იცოდა, რომ ნათია, ისევე როგორც ყველა სხვა, ვისაც საგამომძიებლო ორგანოებთან საქმის დაჭერა უხდება, თავის მდგომარეობას მალე შეეგუებოდა და გამომძიებლის შეკითხვებზეც პასუხის გაცემას დაიწყებდა. თლონდ ის იყო, რომ ვალერიანს

უნდა მოეცადა, სანამ ნათია გამომჯობინდებოდა.

მაგრამ მოცდას შარაშენიძე არ აპირებდა. მან იმ დღესვე გაიგო, მექვაბიშვილთან დაკითხვაზე გამოძახებულ ახალგაზრდა ქალს გული შეუღონდაო, და გამომძიებელი თავისთან გამოიძახა.

როცა ვალერიანი შარაშენიძის კაბინეტში შევიდა, პოლკოვნიკი კუთხეში, ნაცრისფერ სეიფთან იდგა და რაღაც „საქმეს“ ფურცლავდა. მექვაბიშვილს თავი მოკლედ დაუქნია. ის „საქმე“ სეიფში ჩაჰკეტა და მაგიდას მიუჯდა.

— დაჯექი. იმ ქალს რა დაემართა?

— გული შეუწუხდა.

— ასეთი ნაზი ვინმე ბრძანდება?

—მე არაფერი მიკადრებია. მადლობა ღმერთს, ქმარი იქვე იყო.

— ქმარს იქ რა უნდოდა?

— მომერიდა. ცნობილი კაცია.

— ჩვენთვის ცნობილი და უცნობი არ არსებობს. კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

— მესმის.

— სხვები რას ამბობენ?

— ისევ იმას. კუპატაძე ექვსი საათის შემდეგ თვალითაც არ გვინახავსო.

— ჩვენ თვითონ სად ვიყავითო?

— მაგასაც ერთნაირად ამბობენ...

— როცა ყველა ერთნაირად ლაპარაკობს, საეჭვო სწორედ ეგ არის.

— მესმის.

— დღეს უკვე მეორეჯერ მესმის შენგან, მესმისო. ის ქალი სად წაიყვანეს, სახლში, თუ საავადმყოფოში?

— არ ვიცი.

— უნდა იცოდე, ვინაა, ვინ ცნობილი კაცის ცოლიაო?

— ნომალი დიხამინჯიასი. წყალბურთელის.

— ჰოო... ვიცი... იჰ! მეც ვინმე არ მეგონა! თუმცა რა, ქვეყანა დღეს წყალბურთელების და ფეხბურთელებისაა. დღეს აქ არიან, ხვალ ამერიკაში, ზეგ იაპონიაში. მე კი ამ მაგიდას ვერ მოვშორებივარ. ახლა ასე, ძმაო ჩემო საყვარელო: მაგ კუპატაძის მკვლელობაზე, უკვე მთელი ქვეყანა ლაპარაკობს — და მართალიცაა. სწორედ ის-ღა გვაკლია, ვიღაც გარეწრებმა ჩვენი ბავშვები პირდაპირ ქალაქის ბაღებში ჰხოცონ და ჩვენ მკვლელების კვალსაც ვერ მივაგნოთ. ეს აღარ გამაგონო. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. შენ კიდეც უნდა გიხაროდეს, რომ ამ ახალგაზრდა გამომძიებელს ასეთი საპასუხისმგებლო დავალება შეგხვდა. შენხნობაზე, პირდაპირ გეტყვი, შენხნობაზე მიწას გავაპობდი და მკვლელებს კი ნამდვილად ვიპოვნიდი. აბა!... პირდაპირ გეუბნები. ახლა ეგ ქალი... უჩემოდ აღარ დაჰკითხო. აცალე, მომჯობინდეს, სული მოითქვას. მე ისევ იმ აზრისა ვარ, რომ მანდ საქმე ჯგუფურ, ორგანიზებულ მკვლელობასთან გვაქვს. ეგ ქალი რა? ძალიან ლამაზია?

— საკმაოდ.

— აი, ხომ ხედავ! შენ კი ერთ ადგილზე იტკეპნები. არვარგა. მეტი, მეტი ცეცხლი მუშაობაში. ჩემგან ხომ არაფერი გჭირდება?

— ჯერჯერობით არაფერი.

— თუ რამე დაგჭირდეს, არ მომერიდო. და იცოდე: მეორეჯერ რომ გამოგიძახებ, ძაფის ბოლო ხელში უნდა გეჭიროს. აბა, ნახვამდის.

* * *

მექვაბიშვილი შარაშენიძის კაბინეტიდან შეფიქრიანებული და გუნებაწამხდარიც კი გამოვიდა.

თითქოსდა, არაფერი იყო უცნაური იმაში, რომ უფროსმა ხელქვეითი გამოიძახა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. მით უმეტეს, რომ პროკურატურაში გამოძახებულ მოწმეებს, გულისყრა ყოველ დღე არ ემართებათ. შარაშენიძის საქციელი, ერთი შეხედვით, ნორმალური და კანონიერი იყო. მაგრამ მექვაბიშვილს პოლკოვნიკის გულწრფელობა მაინც ერთი წუთითაც კი არ სჯეროდა.

ჯერ ერთი, დაუჯერებელი იყო, რომ მთელს ქალაქში ცნობილ საქმოსანს და უამრავი ფულის პატრონს, კალისტრატე მაგრაქველიძეს, ვისი ერთადერთი ვაჟიშვილიც უკვე რამდენჯერმე ბრძან-

დებოდა დაკითხვაზე, ასევე მთელს ქალაქში ცნობილ მექრთამესთან, ავქსენტი შარაშენიძესთან მისასვლელი გზები არ ეძებნა და არ ეპოვნა კიდეც. ყველამ კარგად იცოდა, როგორი ხალხის ფულებით შეიქმნა შარაშენიძის ზღაპრული ფუფუნება, რომელშიც თვითონ ის და მისი ოჯახი ცხოვრობდა, და თუ ასე იყო, თუ კალისტრატე მაგრაქველიძემ უკვე მიაკითხა შარაშენიძეს და მასთან „საერთო ენაც გამონახა“ (რასაც ამ ბოლო ხანებში ქრთამის მიცემას უწოდებდნენ), მაშინ პატივცემული პოლკოვნიკი რატომ-ღა იმეორებს გაუთავებლად იმ ვერსიას, მანდ საქმე ჯგუფურ, ორგანიზებულ მკვლელობასთან გვაქვსო? ხომ ქვეყანამ იცის, რომ იმ ჯგუფის მეთაური ბესარიონ მაგრაქველიძე იყო! რატომ არ ცდილობს შარაშენიძე მაგრაქველიძის ხვედრის შემსუბუქებას? აქ ორში ერთია: ან შარაშენიძე მაგრაქველიძეს არ ენდობა (რაც ძალიანა ჰგავს სიმართლეს), ან ის უნდა, რომ საქმე ძალიან დაამძიმოს, ბესარიონ მაგრაქველიძეს მძიმე ხვედრი განუმზადოს და ამ გზით, მამამისს უფრო მეტი ფული დასცინცლოს. სიმართლეს ეს მეორე ვარიანტიც ძალიანა ჰგავს. მაგრამ შარაშენიძე ერთში სცდება: თუ მართლა დამტკიცდა, რომ მკვლელობა ჯგუფური, ორგანიზებული იყო, მაშინ პატივცემული პოლკოვნიკი როგორ-ღა მოახერხებს ბესარიონ მაგრაქველიძის ხვედრის შემსუბუქებას? მამამისს მეტ ფულს როგორ-ღა ააფცქვნის? დეე, ახლავე იცოდეს შარაშენიძემ, რომ მექვაბიშვილი არავითარ კომპრომისზე არ წავა და ბესარიონ მაგრაქველიძისათვის ზუსტად ისეთს სასჯელს მოითხოვს, როგორსაც საქმის გარემოებანი უკარნახებენ. მაშ, რისი იმედი უნდა ჰქონდეს შარაშენიძეს? მექვაბიშვილმა ამ კითხვაზე გადაჭრილი პასუხი ჯერჯერობით ვერ იპოვნა.

თუმცა, ერთი კი იყო: შარაშენიძემ უბრძანა, ნათია ავალიშვილი უჩემოდ აღარ დაჰკითხოო. შარაშენიძის მსუნაგობა საქვეყნოდაა ცნობილი. მაგრამ ნათიას ქმარი მთელს ქალაქში ცნობილი ვაჟკაცია და ძალიან საეჭვოა, რომ შარაშენიძემ მის ცოლს რაიმე გაუბედოს. ალბათ, აქ უფრო ისაა, რომ შარაშენიძეს უნდა, ნათიას ისეთი რამ დააცდენინოს, რაც შემდეგ (ოდესმე) ისევ ვალერიანის წინააღმდეგ გამოადგება. ნათია ავალიშვილისათვის ვალერიანს, — ღმერთი და თვითონ იმ ქალის ქმარია მოწამე! — ნამდვილად არაფერი დაუშავებია. მაგრამ... წადი და ეგეთ სუსტნებისყოფიან ქალს რამეში ენდე. იტყვის, ავად შემომხედაო, თვალები დამიბრიალაო, უკმეხად დამელაპარაკაო... მაგრამ ხომ ყველაფერი ელანდებათ. გამომძიებელი მაგათ ადამიანის ტყავში გახვეული მგელი ჰგონიათ. ვალერიანმა თავი როგორც არ უნდა იმართლოს, შარაშენიძე ერთ ყურში შეუშვებს და მეორედან გაუშვებს. მორჩა და გათავდა. შარაშენიძე კი მინისტრთან ყოველდღე შედის.

არადა, საქმეც ძალიან წინ რომ არ მიიწევს... არა, საქმე წინ სულაც არ მიიწევს. ერთ ადგილზე იტკეპნება. ან რა ჰქნას ამ საწყალმა ვალერიან მექვაბიშვილმა. იმ სალახანებს, იმ მართლაც კაცის მკვლელებს სდიოს და სიმართლე წამოაცდენინოს, თუ პოლკოვნიკი შარაშენიძის ხრიკებს უყარაულოს, აცა, არაფერი დამაბრალოს და სამსახური არ დამატოვებინოსო?!..

## თავი XIX

როცა კუპატაძის მკვლელობის გამოძიებას შეუდგა და წინასწარ მასალებს გაეცნო, მექვაბიშვილმა გადაწყვიტა, ყველაზე ძნელი და მტკივნეული ოპერაცია — თვითონ მოკლულის მშობლების დაკითხვა — ყველაზე ადრე, თავიდანვე ჩაეტარებინა, ერთ დაკითხვაზე გაეგო ყველაფერი, რის გაგებაც კი შესძლებდა და ამის შემდეგ, ეს გულმოკლული ადამიანები ერთხელაც კი აღარ შეეწუხებინა. კარგა ხანს ყოყმანობდა — დიმიტრი და ივლიტე კუპატაძეებს სახლში აწვევოდა, თუ პროკურატურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მოეწვია. ბოლოს გადაწყვიტა. ისევ სახლში მივალ, საღამო ჟამს, და შინაურულად მუსაიფს გავუბამ, იქნებ, ამ გზით მაინც რაიმეს მივაღწიოო. ისე კი, გამოტეხილად უნდა ითქვას, ამ დაკითხვისაგან ბევრს არაფერს მოელოდა. ყველაზე მეტად სავარაუდო ის იყო, რომ ანზორის დედ-მამას ხეირიანად არც კი ეცოდინებოდა, მათი შვილი ვისთან მეგობრობდა და დროს სად და როგორ ატარებდა.

კუპატაძეები ვერაზე, ერთ ძველებურ, ორსართულიან, ღია აივნიან სახლში ცხოვრობდნენ. მექვაბიშვილი კუპატაძეებს საღამოს ექვს საათზე ეწვია. შავებში ჩაცმული ივლიტე აივანზე იჯდა, ორივე იდაყვით მოაჯირს დაყრდნობოდა, სახე ხელებში ჩაემალა და მთვლემარეს ჰგავდა. თურმე, მართლაც თვლემდა. ეს გასაკვირი არც იყო — შვილის სიკვდილის შემდეგ ივლიტემ ბევრი უძილო ღამე გაათენა, გადაიქანცა და დღისით ძილი უდროო დროს მოერეოდა ხოლმე. მექვაბიშვილის მძიმე ნაბიჯების ხმაზე მყისვე გამოფხიზლდა, თავი ასწია და ცივილურ ტანსაცმელში გამოწყობილი უცხო მამაკაცს გაკვირვებული მზერა შეაგება.

— უკაცრავად, ქალბატონო, მე პროკურატურიდან გახლავართ.

— მობრძანდით, — გულგრილად უპასუხა ივლიტემ (ჩემს შვილს ვერავინ გამიცოცხლებს და, შენ გინდ პროკურატურიდან იყავი და გინდ საიდანაც გინდა, იქიდანო, — გაისმა ქალის კილოში), — ახლავე...

ქალი ოთახში შევიდა, იქ ვიღაცას რაღაცა წაულაპარაკა და გამოტრიალდა.

— მობრძანდით.

მექვაბიშვილი რომ ოთახში შევიდა, ტახტიდან ის-ის იყო წამომდგარი დიმიტრი აბურდულ თმებს ისწორებდა. ისიც ნამძინარევი ჩანდა. „დარდმა ასე იცის, — გაიფიქრა მექვაბიშვილმა, — ღამ-ღამობით არ სძინავთ და რული დღისით მოეკიდებათ ხოლმე".

— მობრძანდით. — გულგრილი კილოთი უთხრა დიმიტრიმაც.

მექვაბიშვილს სკამი მიუწიეს, დაჯდა და ოთახი მოათვალიერა. ღარიბი ოჯახი მას ბევრი უნახავს, მაგრამ კუპატაძეების სიღატაკემ ისიც კი გააოცა. ერთი დანჯღრეული, სიძველისაგან ჩაშავებული, კარებმორყეული კარადა, მუშამბაგადაფარებული მაგიდა, სამიოდე სკამი, ერთი ტახტი და ერთიც ძველებური, უბრალო რკინის საწოლი — ეს იყო ამ ოჯახის მთელი ავლა-დიდება.

„და ამათი შვილი მაგრაქველიძესთან მეგობრობდა, — მწარედ გაიფიქრა მექვაბიშვილმა, — წარმომიდგენია, როგორი მეგობრობაც ექნებოდათ".

— მე პროკურატურიდან გახლავართ, — ახლა დიმიტრის უთხრა მან, — ქალბატონს უკვე მოვახსენე.

— მესმის.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძალიან... სამწუხაროა თქვენი შვილის დაღუპვა. ასეთი ამბავი მარტო მშობლებისთვის კი არ არის სამწუხარო. რა თქმა უნდა, თქვენს გულისტკივილს რა შეედრება, მაგრამ ასეთი ამბები ჩირქსა სცხებს მთელს ჩვენს საზოგადოებრიობას.

— დიახ, — დიმიტრი აუჩქარებლად მიუჯდა მაგიდას.

ივლიტე გულგრილი, არაამქვეყნიური გამომეტყველებით იდგა კარებთან, გულხელდაკრეფილი და კედელს მიყრდნობილი. მერე ხმამაღლა ამოიხვნეშა, — ჩვენ მაინც აღარაფერი გვეშველება, — აივანზე გავიდა და წინანდელ სკამზე, წელანდელსავით პოზაში გაქვავდა.

— აღარც კი მახსოვს, ჩემს ცოლს უკანასკნელად როდის ეძინა, — წაილაპარაკა დიმიტრიმ, — არც სვამს, არც ჭამს. არც კი ვიცი, სული როგორ უდგას.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ რა გაინტერესებდათ? — დიმიტრიმ გარეთა გულის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ეწევით?

— არა, გმადლობთ. მე მაგ საქმის გამოძიებას ვაწარმოებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე და ჩვენ რა შეგვიძლია?

ამ კითხვას ვალერიანი არ მოელოდა. ცოტათი დაიბნა კიდეც.

— ჩვენ რა შეგვიძლია? — გაიმეორა დიმიტრიმ — ანზორი შუადღისას გავიდა სახლიდან. ყოველთვის ისე გადიოდა. მეორე დღეს კი მკვდარი იპოვნეს. მეტი რა უნდა გითხრათ?

სიგარეტს მოუკიდა და მაგრად მოქაჩა.

ვალერიანმა მაგიდაზე თითები აათამაშა. ეს კაცი, დიმიტრი კუპატაძე, მას სულ უფრო და უფრო ნაკლებად მოსწონდა.

— რაც არ შეგიძლიათ, იმას ვინ მოგთხოვთ? — უთხრა მან ბოლოს, — მესმის, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ხართ, მაგრამ...

— ჩემს შვილს არარაფერი ეშველება, ბატონო!

„მაგაზე ცოტა ადრე უნდა გეფიქრა, — გაიფიქრა ბრაზწაკიდებულმა ვალერიანმა, — ჭკუას აქეთ მასწავლის“.

— მესმის, რომ მძიმე მდგომარეობაში ხართ, — გაუმეორა მან კუპატაძეს, — მაგრამ თქვენი ვალია, დაეხმაროთ ძიებას. რა თქმა უნდა, შეძლებისამებრ.

— ჰოდა, სწორედ მაგას გეკითხები: რა შემიძლია? ანზორისთანა უწყინარი ბიჭი თბილისში მეორე არ დადიოდა. ბუზს არავის აუფრენდა. ვისთვის რა უნდა დაეშავებინა? მაგრამ... აი... ალბათ, ჩემი ბედი ესა ყოფილა. — დიმიტრიმ ხელი ჩაიქნია და ახლად მოკიდებული სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო.

„კიდეც დარდობს და... კიდეც რაღაცას მიმალავს, — გაიფიქრა მექვაბიშვილმა, — არა, ამასთან მე დღეს ვერაფერს გავხდები. ახლა ყველაფერს ის სჯობია, რომ წამოვდგე და დავემშვიდობო. იგრძნოს, რომ რაღაცით უკმაყოფილო ვარ“.

მექვაბიშვილი წამოდგა.

— უკვე მიბრძანდებით?

— დიახ!

წამოდგა დიმიტრიც:

— მე რაც შემიძლია... მილიციიდანაც იყვნენ... რა ვიცი... მე რაც შემიძლია... [illegible]

— მესმის, ყველაფერი მესმის. [illegible] კარგად ბრძანდებოდეთ! თუ უწყება გამოგიგზავნოთ, ნუ დააგვიანებთ. ამ საქმეში ყოველ წვრილმანს მნიშვნელობა აქვს.

— გასაგებია.

აივანზე მჯდომ ივლიტეს ვალერიანმა ფეხაკრეფით ჩაუარა. ქალი არ განძრეულა და არც მოუხედავს.

* * *

ალაყაფის კარებიდან გამოსულ მექვაბიშვილს მოულოდნელი რამ შეემთხვა. კარებიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, დაბალ, გისოსებიან ფანჯარასთან, შუახნის, ჭაღარაშერეული, შინაურულად ჩაცმული ქალი იდგა. ფეხები პირდაპირ საშინაო ფლოსტებში ჰქონდა წაყოფილი. მექვაბიშვილის დანახვაზე შეინძრა, ვალერიანს შორიდანვე მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა და წინ გადაუდგა.

— ბოდიში... თქვენ გამომძიებელი ბრძანდებით?

— დიახ! — „ამ სახლების ბინადრებმა ერთმანეთის ყველაფერი იციან“ — გაიფიქრა ვალერიანმა. — გამომძიებელი ვარ.

— მერე?

— რა — მერე?

— ყველაფერი ჩაგიკენჭეს? ისემც მაგათ რა ვუთხრა! მაშ, ეგენიც ხალხია? შვილი კარგი ჰყავდათ, მაგრამ... იცით, რა, ამხანაგო გამომძიებელო? — ქალმა ხმას დაუწია, — თქვენ მაგათ ერთი ისა ჰკითხეთ, იმ საწყალ ბიჭს ისეთი მდიდრული გასვენება როგორ მოუწყეთ-თქო. აი, მეზობლები აქ არ ვართ? ორ-ორი—სამ-სამი მანეთი შევაწიეთ და ეგ იყო. გასვენება კი ისეთი ჰქონდათ, რომ ნულარ იტყვი! და ეს როდის! ეს მაშინ, როცა პურის ფული მუდამ საძებნელი აქვთ. მაშ! ეგეთი გასვენება ჯერ ჩვენს უბანს არ მოსწრებია. ახლა — რა პურმარილი! მეორეჯერ როცა მობრძანდებით; უთუოდ ჰკითხეთ. ისეთი გასვენება რომელი თანხებიდან მოუწყვეთ-თქო. ჰკითხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვკითხავ, — გაიფიქრა მექვაბიშვილმა, მაგრამ მეტყვიან, ამხანაგების მშობლები დაგვეხმარნენო. კალისტრატე მაგრაქველიძეს ათი მაგისთანა გასვენების მოწყობა არ გაუჭირდება. მაგრამ ის როგორ-და დავადგინო, უანგაროდ დაეხმარნენ, თუ თავისი დარდი ჰქონდათ? ამას რომელი მეტყვის? ეს დიმიტრი, თუ თვითონ კალისტრატე?“

— თქვენ მეზობელი ბრძანდებით? — ჰკითხა ვალერიანმა ქალს.

— დიახ! აი, ჩემი ფანჯარა. ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა. ჭურჭელს ნაშუაღამევამდისა ვრეცხავდით. მაშ, მეზობლებს ისე ხომ არ მივატოვებდით.

— რა თქმა უნდა! ნახვამდის, ქალბატონო!

— ნახვამდის!

## თავი XX

ვალერიან მექვაბიშვილს ძიება ხეირიანად დაწყებულიც კი არ ჰქონდა, რომ უკვე დარწმუნდა: ანზორ კუპატაძე მისივე მეგობრების — ბესარიონ მაგრაქველიძის, თენგიზ ჯაველიძის, მირზა ჭირაქაძის და თაზო ბულესკირიას მოკლული იყო. უფრო ზუსტად, ერთ-ერთი ამათგანისა. მექვაბიშვილმა უკვე კარგად იცოდა, რომ ეს ბიჭები დღე და ღამე ერთად იყვნენ, ამ წრის მეთაურად ბესარიონ მაგრაქველიძე ითვლებოდა, ბესარიონს რომანი ჰქონდა, ან უფრო უკეთ, უნდოდა, რომ რომანი ჰქონოდა ნათია ავალიშვილთან, ამ წრეში კი ყველაზე უფრო დაბეჩავებული და აგდებული სწორედ ანზორ კუპატაძე იყო. მექვაბიშვილს ჰქონდა სამედიცინო ექსპერტიზის კატეგორიული დასკვნაც — კუპატაძე მზის წნულში ფეხის, ან რაიმე მაგარი საგნის დარტყმით არის მოკლული.

ეს ყველაფერი გამორკვეული იყო.

თავსატეხი და სადავიდარაბო სწორედ ამას იქით იწყებოდა. მზის წნულში ფეხი (ან რაიმე მაგარი საგანი) ადამიანს შეიძლება განგებაც მოარტყა, და შემთხვევითაც. ვინ და რატომ დაარტყა კუპატაძეს? შემთხვევით, თუ განგებ? თუ წინასწარი განზრახვით მოჰკლეს, ამისი მიზეზი რა იყო? ეჭვიანობის მოტივი მექვაბიშვილმა თავიდანვე გამორიცხა: პირადად ანზორ კუპატაძეზე არავინ იეჭვიანებდა. მაგრამ ერთი რამ კი საფიქრალი იყო: იქნებ, როგორც ეს ასეთი სალახანების წრეში ხშირად ხდება, ნათია ბესარიონის გარდა, სხვამაც ინდომა, ანზორ კუპატაძე, ნებით თუ უნებლიეთ ან ერთს მიემხრო და რაიმე სამსახური გაუწია, ან მეორეს, და მოწინააღმდეგის მსხვერპლი შეიქმნა?

ეს ვარიანტი შესასწავლი და შესამოწმებელი იყო, თუმცა, ერთი შეხედვით, არც ბესარიონ მაგრაქველიძე ჰგავდა ისეთ ახალგაზრდას, რომელსაც ვინმე ამხანაგთაგანი მეტოქეობას გაუბედავდა. ბესარიონთან მეტოქეობა მხოლოდ ისეთ მართლაცდა უშიშარ ვაჟკაცს შეეძლო, როგორიც ნომალი დიხამინჯია იყო და აკი კიდეც მშრალზე დასტოვა...

მექვაბიშვილი მხოლოდ სულ უფრო და უფრო დარწმუნებით ფიქრობდა, კუპატაძე რომელიღაც ამხანაგთაგანს შემთხვევით შემოაკვდაო. მაგრამ ეს „რომელიღაც“ შეიძლება მკლავღონიერი ბესარიონ მაგრაქველიძეც ყოფილიყო, გულბოროტი და დაუნდობელი თაზო ბულესკირიაც და, ასე გასინჯე, მირზა ჭირაქაძეც. ამ უკანასკნელს თავი დახვეწილ ინტელიგენტად მოჰქონდა, მაგრამ მექვაბიშვილს უკვე ჰქონდა უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ ეს დახვეწილი და ინტელიგენტური ჭირაქაძე, არც თუ ისე იშვიათად კადრულობდა იმას, რომ ფიზიკურად მასზე უფრო სუსტებს დაუნდობლად გასწორებოდა და ამ დროს პირდაპირ გაუგონარ სადისტობამდე მისულ სისასტიკეს იჩენდა. სულ ექვსიოდე თვის წინათ სანაპიროზე ვიღაც თექვსმეტიოდე წლის უგონოდ მთვრალ ჭაბუკს ჭირაქაძემ — თვითონ აბსოლუტურად ფხიზელმა, ნატიფად ჩაცმულმა და მოდური ჰალსტუხით ყელდამშვენებულმა — წიხლებით [illegible] მთელი პირისახე დაუსისხლიანა და ოთა-

ხი კბილი ჩაუმტვრია ნამდვილად საციხო საქმე ჟყო ააგრამ ამფსონებმა მოახერხეს და იმ ნაცემ ჭაბუკს საჩივარზე ხელი აალებინეს ჭირაქაძეს ჰქონდა კიდევ სამი თუ ოთხი ასეთი შემთხვევაც. ასე რომ. კუპატაძის მკვლელი — განზრახ თუ უნებლიედ — შეიძლებოდა, ეს „დახვეწილი ინტელიგენტიც“ ყოფილიყო.

მაგრაქველიძის წრის ერთადერთი წევრი, რომელზეც მექვაბიშვილი უკვე დარწმუნებით ფიქრობდა, კუპატაძის მკვლელი ეს ნამდვილად არ იქნებაო, თენგიზ ჯაველიძე იყო. ამ ფლეგმატურმა, გონებაშეზღუდულმა და ყველაფერზე ხელჩაქნეულმა ჭაბუკმა მექვაბიშვილს პირველსავე დაკითხვაზე ნერვები მოუშალა ჯაველიძეს ერთი შეხედვითვე შეატყობდით, რომ ადამიანის მოკვლა მას არ შეეძლო, — იმდენად ფლეგმატური ბუნებისა იყო, რომ უკიდურესობამდე მას ვერაფერი გაახელებდა. მაგრამ იმავე დროს ისეთი გონებაშეზღუდულიც იყო, რომ მის თვალწინ თუნდაც ასი კაცი ამოეხოცათ, წარბსაც არ შეიხრიდა — მე არავინ მომკლავს და სხვებმა რაც უნდათ, ის ქნან, ეგ რა ჩემი საქმეაო. ამავე დროს, მეტად თავისებური, მტკიცე, პირდაპირ ძვალრბილში გამჯდარი შეხედულება ჰქონდა ადამიანის პატიოსნებაზე: მისი მიზეზით არავინ უნდა დაზარალებულიყო, მისი მონაწილეობის გარეშე კი თუნდაც ქვა ქვაზეც ნუღარ დარჩებოდა...

— კაცო, ვთქვათ, შენს თვალწინ ადამიანს ჰკლავენ. შენ შეგიძლია, ხელი აუქნიო და ადამიანის მკერდს მოქნეული დანა ააცილო. ამას არ გააკეთებ?

— შეიძლება არც კი გავაკეთო.

— რატომ?

— რა ჩემი საქმეა!

— კაცს რომ ჰკლავენ?

— თავისი საქმე თვითონ იციან. მე ხომ არა ვკლავ?

— რა უნდა გელაპარაკო! — ნერვებაშლილმა მექვაბიშვილმა საქმე სეიფში შეაგდო და ჯაველიძე გარეთ გაისტუმრა, თან მიაძახა, წადი, ოღონდ გახსოვდეს, თბილისიდან გასვლა აკრძალული გაქვსო.

— აკრძალული სანამდე მექნება? — ჯაველიძეს ქუდი ხელში ეჭირა და კართან იდგა.

— სანამ საჭიროა.

— თქვენი ნებაა. მე კი არავინ მომიკლავს და... — ჯაველიძემ ამოიოხრა და გავიდა.

ამავე დროს, ჯაველიძეს არც თავისებური ეშმაკობა აკლდა. დაკითხვებისას სახიფათო მოსახვევებს მყისვე რაღაც გუმანით იგრძნობდა ხოლმე და პირდაპირი პასუხისაგან თავს მოხერხებულად დაიძვრენდა.

— თქვენს წრეში ყველანი ერთნაირი უფლებებით სარგებლობდით? — ჰკითხა მას ერთხელ მექვაბიშვილმა.

— როგორ თუ — უფლებებით?

— ვერ გაიგე, რასაც გეკითხები?

— ვერა.

— თავს ნუ იკატუნებ. უფროს-უმცროსობა ყველგან არის. ზოგი ძლიერია, ზოგი სუსტი. თქვენს წრეში ყველანი ერთნაირები იყავით?

— თქვენ მითხარით, უფლებებით?

— მერე?

— უფლებები ყველას ერთნაირი გვქონდა. მაშ, რაღა ძმაკაცობაა?!

— მე გითხარი, თავს ნუ იკატუნებმეთქი.

— მე არ ვიკატუნებ.

— ოჰ! — მექვაბიშვილმა ამოიოხრა. — მოიხედე: ვთქვათ, ერთ საღამოს სადმე შეიკრიბეთ. ხომ იკრიბებოდით? ახლა, ამაზეც უარი არ მითხრა. ჰოდა, მაგრაქველიძემ თქვა, მოდით, საქეიფოდ სამადლოზე ავიდეთო. ანზორ კუპატაძე კი წინააღმდეგი წავიდა და დაიჟინა, არა გინდათ, თუ არა, საქეიფოდ ორთაჭალაში წავიდეთო. ვისი სიტყვა გასჭრიდა?

— აბა, ეგ როგორ გითხრათ? საქეიფოდ ჩვენ სამადლოზეც ბევრჯერ ვყოფილვართ და ორთაჭალაშიც. — ეგ ვიცი. თქვენ სად არ ყოფილხართ? მე გეკითხებით, ვისი სიტყვა უფრო გასჭრიდამეთქი.

— ახლა როგორ გითხრათ... მოვილა-

პარაკებდით და, რაც უფრო ჭკუაში დაგვიჯდებოდა, იმას ვიზამდით.

— მეტი მაგ შენს გასიებულ თავს რა ვუთხრა!

— ეგრე რატომ მელაპარაკებით?

— აბა, როგორ გელაპარაკო!? აბა, გაიხსენე ერთი შემთხვევა, როცა მაგრაქველიძემ თქვა ერთი, კუპატაძემ მეორე, და თქვენ კუპატაძეს დაუჯერეთ. აბა!

— ახლავე, ამ წუთში გავიხსენო?

— ჰო, ახლავე გაიხსენე.

— ამ წუთში როგორ გავიხსენო!.. ვინ იცის, ეგეთი შემთხვევები რამდენჯერ ყოფილა...

— უთვალავჯერ!

— ბატონო?

— არაფერი. ჭირაქაძეზე რას იტყვით?

— ჭირაქაძეზე რა უნდა ვთქვა?

— თქვენს წრეში რომელს უფრო მეტი წონა ჰქონდა, მაგრაქველიძეს თუ ჭირაქაძეს?

— ორივენი კარგი ბიჭები არიან.

— ორივენი ერთნაირად?

— ახლა... როგორ გითხრათ... ბესარიონი უფრო ყარაჩოღელია, ვაჟკაცურია, ქართული ჯიგარი მაგას უფრო მეტი აქვს. მირზა უფრო ინტელიგენტი კაცია. ევროპელია. კარგი ლაპარაკი იცის. უფრო კარგი ჩამცმელიცაა. თუმცა... ეგ ხომ ისეა, თუ ვის რა უფრო მოსწონს. ორივენი კარგი ბიჭები არიან.

— კარგი შენც მოგივა და იმ ორივესაც! აქ ხელი მოაწერე.

ჯაველიძემ მოუწერა:

— ქალაქიდან გასვლის უფლება როდის მექნება?

— როცა საჭირო იქნება.

— ნახვამდის!

— კარგად ბრძანდებოდე!

არა, ჯაველიძე არც თვითონ იყო მკვლელი და არც მკვლელს დაასახელებდა. სახიფათო შეკითხვებზე მოხერხებულად პასუხობდა, თავს უცოდველ სატანად ასაღებდა და მთელი თავისი ქცევით, მექვაბიშვილს თითქოს ამასეუბნებოდა, ხომ ჰხედავ, რომ არაფერში ვარგივარ, მე თავი დამანებე და მთელი ეს ქვეყანა, მოკლულ-მკვლელებიანად, თუ გინდა, ნაცარ-ტუტად აქციეო.

ასევე აწვალებდნენ მექვაბიშვილს დანარჩენი ეჭვმიტანილებიც. ოღონდ ყოველი მათგანი — თავისებურად.

ბესარიონ მაგრაქველიძე მექვაბიშვილის კაბინეტში სახეაწითლებული, ერთიანად გაოფლიანებული შეზნიქა. ამის დანახვაზე მექვაბიშვილს გული სიხარულისაგან შეუტა — ძალიან აღელვებულია და იქნებ, რამე წამოვაცდენინოო. მაგრამ ძალიან მალე დარწმუნდა, რომ აჭარხლებული სახე და ოფლით შეცვარული თავ-კისერი მაგრაქველიძისათვის თითქმის თანდაყოლილი, ნიშანდობლივი თვისება იყო. ყავისფერ კოსტუმსა, ცისფერ პერანგს. და შავ ტუფლებში გამოწყობილ ბესარიონს მარჯვენა მუშტში ცხვირსახოცი ეჭირა და წამდაუწუმ სახესა და თავკისერზე ისვამდა. შეკითხვებზე კი საკმაოდ დალაგებულად პასუხობდა და აღელვებას მხოლოდ იმაზე თუ შეატყობდით, რომ ზოგჯერ მეტისმეტად ენამრავლობდა და ისეთ რამეებზე ალაპარაკდებოდა ხოლმე, რასაც არავინ ეკითხებოდა.

— თქვენი გვარი, მამის სახელი.

— მაგრაქველიძე... მაგრაქველიძე ბესარიონ კალისტრატეს-ძე.

— დაბადების წელი, ადგილი?

— დაბადების წელი 1940, ქუთაისი. ოღონდ თავს, რასაკვირველია, თბილისელად ვთვლი.

— რა ბრძანეთ?

— ესე იგი, როგორც ყველა... ერთი სიტყვით, ქუთაისი კარგად აღარც კი მახსოვს. არა, ახლაც ხშირად ჩავდივარ, მაგრამ... ბავშვობიდან, რასაკვირველია. მე ამისი თქმა მინდოდა. სულ ახლად ფეხადგმული ვყოფილვარ, როცა მამაჩემმა თბილისში გადმოუყვანიათ. ამიტომაც ჩემი თავი თბილისელად მიმაჩნია.

— განათლება?

— უმაღლესი.

— სად მუშაობთ?

— დროებით უმუშევარი... მე თვითონ...

— ბატონო?

ეროვნული

— არა, არაფერი ოღონდ... მე თვითონ, რა ქვია, ერთგვარ უხერხულობას განვიცდი, როცა ვამბობ „დროებით უმუშევარიო“. მოგეხსენებათ, ზოგიერთი მშობელი თავის შვილს, მეტად ანებივრებს. თითქოსდა... მე ბევრჯერ მითქვამს კიდეც, რასაკვირველია, მამაჩემისათვის, პირდაპირ მინისტრად მე არავინ დამსვამს, სამსახური რაიმე უბრალო თანამდებობიდან უნდა დავიწყო-მეთქი, მაგრამ...

— მაგრამ ვერ დააჯერეთ ხომ?

— ნამდვილად. ხე-ხე!.. ვერ დავაჯერე.

— ერთხელაც შეეცადეთ. იქნება, დაგიჯეროთ.

— შევეცდები. ნამდვილად. რაქვია...

— პასუხისგებაში ნამყოფი ხართ?

— მე? არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ! ჯერ მასე ღმერთი არ გამწყრომია. პირიქით...

— რა — პირიქით?

— არა, არაფერი, მაგრამ... პირიქით, ახალგაზრდებს ვარიგებ ხოლმე, რაქვია... არა, პასუხისგებაში ნამდვილად არ ვყოფილვარ.

— მესმის.

მექვაბიშვილმა მაგრაქველიძეს ხელი სტანდარტულ ბლანკზე მოაწერინა, ვალდებული ვარ, გამოძიებას სრული სიმართლე ვუთხრაო. მერე სკამის ზურგს მიაწვა და მაგრაქველიძეს პირდაპირ თვალებში მიაჩერდა.

— ალბათ, ხვდებით, რისთვისაც გამოგიძახეთ, ხომ?

— როგორ არა, ბატონო!

— ანზორ კუპატაძის მკვლელობის საქმეზე.

— დიახ.

— რისი თქმა შეგიძლიათ?

—რა მოგახსენოთ, პატივცემულო... რა ქვია... ის ბიჭი პირადად ჩემთვის, ბედნიერებაც იყო და უბედურებაც. ბედნიერება, რასაკვირველია, იმდენად რომ მეტად სათნო და საყვარელი პიროვნება იყო და მასთან მეგობრობამ პირადად მე, ბევრი კარგი წუთები განმაცდევინა. ის იყო გულჩვილი, ამხანაგური, მოკრძალებული... დიახ! უბედურება კი, რათქმა უნდა, იმიტომ რომ, ხელიდან ასე მოულოდნელად გამოგვეცალა, ვიღაც გარეწარის ხელით და ასე ღრმად დაგვამწუხრა. მე პირადად ამ სატკივარს დიდხანს ვერ მოვინელებ.

— მკვლელობის დღეს ერთად იყავით?

— დიახ. ერთად გახლდით .

— რომელ საათამდე?

— ექვსამდე. დაახლოებით.

— მერე?

— მერე დაგვშორდა. ჩვენ „ნად კუროიში“ შევედით, ის კი შინ წავიდა. ჩვენ ასე გვითხრა, სახლში მივდივარო.

— ნად კუროიში“ რატომ არ წამოგყვათ?

— რა მოგახსენოთ... რა ქვია... ეგ ჩე- მი თავისთვის ვერ მიპატიებია.

— რა ბრძანეთ?

— ერთი სიტყვით... ანზორი ცოტა უფულო ახალგაზრდა იყო. ჩვენ, მშობლები, არის საჭირო თუ არა, მაინც ზოგჯერ ფულს გვაძლევენ. ეს, შეიძლება, ერთგვარი მინუსია. დიახ! ის კი... არა, ჩვენ საკუთარ ძმაში არ გამოგვერჩეოდა და ერთ ჭიქა ღვინოს, ვინმე როგორ დაამადლიდა, მაგრამ მეტად თავმოყვარე ყმაწვილი იყო და ზოგჯერ პირდაპირ ძალა რომ გეხმარა, მაინც არ წამოგყვებოდათ. და ჩვენც... ერთი სიტყვით, უფრო ზუსტად რომ მოგახსენოთ, ზოგჯერ მის თავმოყვარეობას ვუფრთხილდებოდით. ზოგჯერ ძალას მაინცდამაინც არ დავატანდით ხოლმე.

— იმ დღესაც ასე მოხდა?

— დიახ. სამწუხაროდ.

— სად დაშორდით ერთმანეთს?

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, მუშტაიდთან.

— მართლა? აფსუს!

— ბატონო?

— მუშტაიდიდან „ნად კუროიმდე“ ორი ნაბიჯია, თან რომ წამოგეყვანათ, იქნებ, ახლა ცოცხალი ყოფილიყო.

— ნამდვილად.

— როგორი ბიჭი იყო?

— კარგი, ბატონო! უნაკლო! ამხანაგების დამამშვენებელი.

— ვინმესთან მტრობა, ან უსიამოვნება ხომ არ ჰქონია?

— როგორ გეკადრებათ! ანზორ კუპატაძე და ვინმესთან უსიამოვნება. ეგ ნამდვილად წარმოუდგენელია, ბატონო!

— მაინც რას ფიქრობთ, ვისი მოკლული უნდა იყოს?

— ეჰ! არ დამიჯერებთ, ბატონო გამომძიებელო. და მაგაზე ვფიქრობ მთელი ეს ხანია და ვერაფერი, სრულიად ვერაფერი მომისაზრებია. ანზორ კუპატაძის მოკვლა ჩემთვის იგივეა, ცისკრის ვარსკვლავს რომ ვინმემ, თოფი ესროლოს, ნუღარ ანათებო აი, ჩემი გულწრფელი სიტყვა ეს არის. მე პირადად... თუ რაიმე გავიგე... თუ რაიმე კვალს წავაწყდი, პატიოსნებას, ადამიანობას, კაცობას გეფიცებით, რომ, იქნება თქვენთან აღარც კი მოვიდე, აგერ, ამ ჩემი ორი ხელით წავახრჩობ თუნდაც ჩემი საკუთარი ძმა იყოს.

— უკაცრავად! მაგისი უფლება თქვენ არა გაქვთ და არც საჭიროა. ჩვენი მართლმსაჯულება სათანადოს მიუზღავს მკვლელსაც და მის მფარველებსაც. აი, აქ ხელი მომიწერეთ.

ბესარიონმა დაკითხვის ოქმს ხელი მოაწერა, — ქაღალდს ოფლის ნაკვალევი დაამჩნია. — ოფლიანი სახე და თავკისერი სველი, პირდაპირ გასაწური ცხვირსახოცით მეათასეჯერ შეიწმინდა და კაბინეტიდან გამოსვლისას მექვაბიშვილს რამდენჯერმე თავაზიანად თავი დაუკრა.

მეორე დღეს მირზა ჰირაქაძის ჯერი იყო.

როგორც კი ეს უზადო გემოვნებით ჩაცმული ჰალსტუხიანი, სუფთად პირგაპარსული და თმადავარცხნილი ახალგაზრდა კაბინეტში შევიდა და მექვაბიშვილს გულგრილი მზერა შეავლო, გამომძიებელი მაშინვე მიხვდა, რომ მკვლელი ეს არ იყო და მომხდარი ამბის გამო არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობდა. ოცდაოთხიოდე წლის ახალგაზრდა, რომელსაც რამდენიმე კვირის წინათ ამხანაგი შემოაკვდა, ისე თავდაჯერებულად და გულცივად ვერ მოიქცეოდა. უფრო მეტიც: მექვაბიშვილმა მყისვე გუმანით მიხვდა, რომ ჰირაქაძე გულის სიღრმეში სრულ არარაობად თვლიდა იმ ახალგაზრდებს, ვისთანაც მეგობრობდა და ვის წრეშიც მკვლელობა მოხდა. მაგრამ მკვლელს, — თუ, რა თქმა უნდა, იცოდა, მკვლელი ვინც იყო, — არაფრის გულისთვის არ გასცემდა. იგი ამაზე უფრო მაღლა იდგა. ეს საქციელი — მკვლელზე ხელის დადება — მას არაფერს შესძენდა, ხოლო თუ თავს შეიკავებდა და გამომძიებელს არაფერს ეტყოდა, ეს მას თანატოლებსა და ამხანაგ-მეგობრებში სახელსა და ავტორიტეტს შესძენდა. ამის საწინააღმდეგო კი მას უბრალოდ არაფერი ჰქონდა.

„ნეტავი, თუ იცის, რომ მკვლელზე ხელის დაფარება სისხლის სამართლის დანაშაულია?“ — გაიფიქრა მექვაბიშვილმა. მაგრამ ამაზე სიტყვის ჩამოგდება ჯერ ნაადრევად მიიჩნია.

— დაბრძანდით.

მირზა დაჯდა და მუხლებზე შარვალი გაისწორა.

— გვარი, სახელი, მამის სახელი?

— ჰირაქაძე მირზა კონსტანტინეს-ძე, მამა პროფესორი, დედა...

— ეგ მე თქვენთვის არ მიკითხავს.

— მაინც იცოდეთ.

— მეცოდინება. დაბადების წელი, ადგილი?

— 1950, თბილისი.

— განათლება?

— უმაღლესი.

— მუშაობის ადგილი?

— მოსკოვის უნივერსიტეტის მომავალი ასპირანტი.

— ?!

— იქ მალე ჩემთვის შტატს დაუშვებენ.

— პირადად თქვენთვის?

— პირადად ჩემთვის.

— საინტერესოა.

— მაგრამ თუ ეგრე არ მოხდა?

— მოხდება..

— მაშ, წინდაწინვე გილოცავთ.

— გმადლობთ!

მექვაბიშვილმა ჭირაქაძეს ხელი იმავე სტანდარტულ ბლანკზე მოაწერინა, მოვალე ვარ გამოძიებას სრული სიმართლე ვუთხრაო, და თან ფარულად თვალს ადევნებდა, რას იზამსო. ჭირაქაძეს წარბიც არ შეუხრია. ბლანკზე ხელი გარკვევით მოაწერა და მექვაბიშვილს დაუბრუნა.

— იცით, რისთვის გამოგიძახეთ?

— ვხვდები.

— ხვდებით, თუ იცით?

— ვიცი.

— ვისგან?

— ვინც ჩემზე ადრე გამოიძახეთ.

— მესმის. ოღონდ უნდა გაგაფრთხილოთ: მკვლელისათვის ხელის დაფარება კანონით ისჯება.

— ეგრეც უნდა იყოს.

— რისი თქმა შეგიძლიათ ანზორ კუპატაძის მკვლელობის შესახებ?

— სრულიად არაფრის.

მომდევნო შეკითხვებზე ჭირაქაძემ თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რაც მექვაბიშვილს წინა დღით მაგრაქველიძემ უამბო, ოღონდ ერთი უმნიშვნელო განსხვავებით: კარგად არ მახსოვს, მუშტაიდთან კუპატაძეს რომელ საათზე დავშორდით, ალბათ, დაახლოებით შვიდი საათი იქნებოდაო.

— მაგრაქველიძემ — ექვსი საათიო.

— შეიძლება. ზუსტად არ მახსოვს.

— „ნად კუროიში“ ვინ მოგემსახურათ?

— ვინმე ჩოლახ კარაპეტა.

— სახელი და გვარი არ იცით?

— არა...

— კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ?

— მკვლელობასთან დაკავშირებით? სრულიად არაფრის.

— ყველაფერი გასაგებია. ოღონდ ჯერჯერობით თბილისიდან გასვლის ნებას ვერ მოგცემთ.

ჭირაქაძემ პასუხად ხელები გაშალა — ძალაუფლება თქვენს ხელთააო. მერე ოქმს ხელი მოაწერა და კაბინეტიდან ვალმოხდილი, გულგრილი, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანის ნაბიჯებით გავიდა.

მომდევნო დღეს მექვაბიშვილის კაბინეტის კარი თაზო ბულესკირიამ შეაღო.

ამ თავჩაღუნული, შუბლზე ძარღვდაბერილი, ავადმომზირალი ახალგაზრდის დანახვისთანავე მექვაბიშვილმა გაიფიქრა, კუპატაძე თვითონ ამას თუ არ შემოკვდომია, ის მაინც არ გაჩერდებოდა, რომ უკვე სულთმობრძავისათვის კიდევ ერთი წიხლი მაინც არ მიეყოლებინაო. ვალერიანმა ბულესკირია პირველი შეხედვისთანავე იმ ადამიანების რიცხვს მიაკუთვნა, რომელთაც არასგზით არ უნდათ, რომ სხვებს რაიმეში ჩამორჩნენ და, სხვათა შორის, არც ავკაცობაში. მაგრამ გამომძიებელს შეუძლია საერთოდ ბევრი რამე ივარაუდოს. ვარაუდებს შემოწმება და დამტკიცება სჭირდება. მექვაბიშვილმა ბულესკირიას თავი უხმოდ დაუქნია, სკამზე მიუთითა და ჩვეულებრივი კითხვების შემდეგ, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— იცით, რისთვის გამოგიძახეს?

— ამხანაგებმა მითხრეს.

— რისი თქმა შეგიძლიათ?

— არაფრის.

„აღელვების ნიშან-წყალიც კი არ ეტყობა“ — გაიფიქრა მექვაბიშვილმა.

— სულ არაფრის თქმა არ შეგიძლიათ?

— არაფრის, რაც მე ვიცი, ის უკვე სხვებმაც გითხრეს.

— შეიძლება, ეგ მართლაც ეგრეა. მაშ, თქვენც ადასტურებთ, რომ იმ საღამოს კუპატაძეს ექვს თუ შვიდ საათზე დაშორდით, სავახშმოდ „ნად კუროიში“ შეხვედით და ამის შემდეგ კუპატაძე თვალითაც არ გინახავთ. მეორე დღეს კი გაიგეთ, რომ ის მკვდარი უპოვნიათ, ხომ?

— ზუსტად.

— კეთილი. ყველა თქვენი ამხანაგი ადასტურებს, რომ კუპატაძე უწყინარი ბიჭი იყო და არ შეიძლება მას მტრები ჰყოლოდაო.

— მეც მაგას ვადასტურებ.

— მკვლელობის საქმეზე რაიმე მოსაზრებები ხომ არა გაქვთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ გავიგე.

— როგორ ფიქრობთ, კუპატაძე ვის შეეძლო მოეკლა, ან რატომ?

— ძალიან ძნელი სათქმელია.

— არავითარი მოსაზრება არა გაქვთ?

— არავითარი.

— გასაგებია. — მექვაბიშვილმა დაკითხვის ოქმი შეავსო და მაგიდის კიდისაკენ გამოსწია.

ბულესკირიამ ქაღალდი გულდასმით წაიკითხა და ხელი მოაწერა.

— შემიძლია, წავიდე?

— შეგიძლიათ. ოღონდ ჯერჯერობით თბილისიდან გასვლის უფლებას ვერ მოგცემთ.

— ეს ხომ ვიცი, ოღონდ...

— დიახ?

— თქვენ გაქვთ კი მაგისი უფლება? მე ეს ისე, სხვათა შორის მაინტერესებს.

— გვაქვს, ქაღალდი ხომ წაიკითხეთ?

— წავიკითხე. ნახვამდის!

— ნახვამდის!

ბულესკირიამ კარი გაიხურა.

„ადვილი შესაძლებელია, — გაიფიქრა მექვაბიშვილმა, — რომ მაგ წრეში ყველაზე საშიში და თავზე ხელაღებული კაცი სწორედ ეს იყოს და მაგრაქველიძე ტყუილად იქაჩებოდეს. ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს“.

თაზო ბულესკირია ყველაზე უფრო ჰგავდა ისეთ ადამიანს, რომელსაც სრულიად უდანაშაულო ამხანაგის სასიკვდილოდ გამეტება შეეძლო. ამ ხანმოკლე გასაუბრებამ მექვაბიშვილი იმაში თვალნათლივ დაარწმუნა, თუ კუპატაძის მკვლელი რომელიმე ამ ოთხ ახალგაზრდათაგანი იყო, ეს სწორედ ბულესკირია იქნებოდა. ბულესკირიას ნამდვილად შეეძლო, რაღაც წამიერი აფექტის შედეგად, კუპატაძე სასიკვდილოდ გაემეტებინა. და ,იქნებ, სწორედ მან გაიმეტა კიდეც. მაგრამ ამას გამოკვლევა და დამტკიცება სჭირდებოდა.

მექვაბიშვილს უკვე არავითარი ეჭვი აღარ ეპარებოდა იმაში, რომ ეს ახალგაზრდები იმ საღამოს „ნად კუროიში“ მართლაც იყვნენ, ან იმისათვის, რომ, კუპატაძე მათი მოკლული იყო, ან თავისთვის რაღაც ალიბის მსგავსი შეექმნათ, ან მართლაც საქეიფოდ. მიუხედავად ამისა, მექვაბიშვილმა „ნად კუროის“ ოფიციანტის „ჩოლახ კარაპეტას“ გამოძახება და დაკითხვა გადაწყვიტა.

მექვაბიშვილი თბილისელი კაცი იყო, სომხურ ლაპარაკზე ბავშვობიდანვე ყური ჰქონდა მიჩვეული და იცოდა, რომ სომხური სიტყვა „ჩოლახი“ ქართულად კოჭლს ნიშნავდა. ამიტომ მოელოდა, ვინმე კოჭლი გამომეცხადებაო და კიდევაც უკვირდა, კოჭლი კაცი ოფიციანტად როგორ აიყვანესო. და გაოცება ვეღარც კი დამალა, როცა კაბინეტში ოდნავ ხანდაზმული, თმაშეთხელებული, შავულვაშებიანი და შავთვალება კაცი გამოეცხადა. იმ კაცს მშვენივრი ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა, წითელწინწკლებიანი ჰალსტუხი ეკეთა და... არც ერთი ფეხი არ აკლდა. შემოვიდა, კარი მიხურა, კაბინეტის შუაგულამდე მივიდა. შეჩერდა, ფეხი ფეხს მიარტყა და მდაბლად წელში მოიხარა.

— კარაპეტ დალაქიანი, რესტორან „ნად კუროიდან“ — „ჩოლახ კარაპეტა!“

— დიახ! — დალაქიანმა უხალისოდ გაიღიმა და მოჭრით მიწყობილი ოქროს კბილები გამოაჩინა.

კარგა ხანი გავიდა, სანამ მექვაბიშვილი გონს მოვიდოდა.

— ერთი ეს მითხარი, თუ შმა ხარ, „ჩოლახი“ კოჭლს არ ნიშნავს?

— დიახ, სომხურად ეგრეა.

— მერე, შენ კოჭლს რა გიგავს? პროტეზი გაქვს?

— რის პროტეზი!.. ეგ უფროსო ზოგიერთ ჭკუანაკლებ ხალხსა ჰკითხე. აიღეს და დამარქვეს. მეც რასა ვკარგამ? თუ ეხალისებათ, მეძახონ. ისე, როცა დამარქვეს, ფეხი ცოტათი მართლა მტკიოდა. კიბეზე ვიღრძე.

— ჰოო... ახლა ხომ კარგადა ხარ?

— ახლა რა მიშავს.

— მაშ, დაბრძანდი.

— გმადლობთ! — დალაქიანი რატომღაც აფუსფუსდა და სკამი კარებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისწია. — აი, ბატონო, ჩვენი ცხოვრება რა არის. ხალხს მუდამ მე თვითონ ვეუბნები ხოლმე, დაბრძანდით-მეთქი. ახლა კი ამ ერთხელაც მე თითონვე დავჯდები. — დალაქიანი სკამის კიდეზე ჩამოჯდა და მექვაბიშვილს შემკრთალი, შიშითა და მოლოდინით აღსავსე თვალები შეაცეცა.

— სახელი, გვარი, მამის სახელი?

— დალაქიანი კარაპეტ ერვანდოვიჩ!

— დაბადების წელი, ადგილი.

— ორმოცდათხუთმეტი წლისა ვარ. დაბადების ადგილი - ახალციხის რაიონი.

— განათლება?

— ორი კლასი. ოღონდ...

— ?!..

— პირდაპირ, აი, ვაჟკაცურად გეტყვი, უფროსო: იმ საქმეში, როგორც მე მართალი ვარ, ისე ნეტავი, ყველა ადამიანები ერთმანეთთან მართალი იყვნენ. ჩიჟი-პიჟის ფასი რომ მანეთი და ხუთი შაურია, ეგ ვინ არ იცის? შემეშალა. მაგრამ რაც მართალია, მართალია, ცოტა უგუნებოდ ბრძანდებოდა. რას იზამ, კაცნი ვართ. მაგრამ ისიც ხომა თქვა კარგი, ამ აქტს დავხევო, მაგრამ... იმ რიჟასთვის კი მე არ ჩამირტყამს... ა-პა-პა-პა!.. თავის დღეში! აი, ამ ხნის კაცი მოვყრილვარ, ჯერ იმ რიჟასთვის კი არა, ადამიანიშვილისთვის თითი არ დამიკარებია. როგორ იქნება!... მე მთელი ხალხი მიცნობს. პირიქით, იმ რიჟამ თითონვე მომიქნია. რას იზამ, ძალიან მთვრალი იყო. მე ავიცდინე, თავი დავღუნე, ხელში კი ლანგარი მეჭირა, ზედ „შამპანურებით“ წავედი, ის შამპანურები მივიტანე და ეგ იყო... მერე ის რიჟა გარედან მიყვიროდა, გამოდით ერთი ეგ სიფათი დაგისახიჩროო, ესაო, ისაო, მაგრამ ა-პა-პა-პა! იმისაკენ ერთხელაც აღარ გამიხედავს. მთელი რესტორანი მოწმეა.

— შენ... როდინდელ ამბავს ჰყვები?

— გუშინწინ, რაღა...

— მე ეგ არ მაინტერესებს. შენთან სულ სხვა საქმე მაქვს...

— სულ სხვა საქმე?! — დალაქიანმა თვალები გაკვირვებით ჰახამხამა. — რაღა საქმე?!..

— მოგახსენებ.

მექვაბიშვილი წამოდგა, სეიფიდან ბესარიონ მაგრაქველიძისა და მისი ამფსონების ფოტოსურათები გამოიღო და მაგიდაზე ერთიმეორის მიყოლებით დაალაგა.

— ამ ბიჭებს თუ იცნობ?

— ახლავე! — დალაქიანი ზეწამოიჭრა, სათვალე მოირგო და სურათები ყურადღებით დაათვალიერა, — ჰმ! ესენი? როგორ არა! ვიცნობ. ბესერიონა და მისი ხალხია, — დალაქიანმა სათვალე მოიხსნა და თავი გადააქნია, — ამ ბესარიონას მამა, დიდი ფულის გამკეთებელი კაცია. ჩვენს რესტორანში ხან მამა ქეიფობს, ხან შვილი. ორივეს თავისი ამხანაგები მოჰყავს. თვითონ ბესარიონა ხომ ჯერ არსადაც არ მუშაობს, სტუდენტია, თუ რაღაც... იმოდენა ფული მაგას სად ექნება. ჰოდა, მამის თუ შვილის დანახარჯს — ორივეს მამის ჯიბე იხდის. ვიცნობ, უფროსო, როგორ არ ვიცნობ. ოღონდ, პირდაპირ გეტყვი მაგათთან ჯერ უსიამოვნება არ მომსვლია. ა-პა-პა-პა-პა! არც მამასთან, გინდაც ორმოცი კაცი მოიყვანოს, არც შვილთან. აჰ! რასაც ხარჯავენ, ულაპარაკოდ იხდიან კიდეც. ჩუქებითაც გულით მაჩუქებენ ხოლმე. როგორც ერთი, ისე მეორე. ან კი რატომ, რა... როცა ადამიანს ფული ბლომადა გაქვს...

— ამ ბიჭსაც იცნობ? — მექვაბიშვილმა თითი ანზორ კუპატაძის სურათს დაადო.

— ჰა? ეგა... დაიცა... ჰო, როგორ არა. რიჟა ბიჭი. ეგეც მაგათთან ერთად მოდის ხოლმე.

— ეს ხუთი ახალგაზრდა ყოველთვის ერთად მოდიოდა?

— ჰა? ერთად? აბა, მაგისი რა მოგახსენო... ხან ერთად მოდიან, ხან ზოგი მოდის, ზოგი არა, ოღონდ, უფრო ხშირად კი, ერთად მოდიან ხოლმე. მხოლოდ დანახარჯს უფრო ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონა ისტუმრებს, რომ არა ვთქვა, მუდამ ეგ ისტუმრებს ხოლმე. ხალხს ფული აქვს, რას იზამ!..

— ამ ბიჭის ამბავი არაფერი გაგიგია?

— ჰაჯან? რომლის?

— აი, ამისი.

— არა. რა ამბავი უნდა გამეგო. მაგ კამპანიასთან, მე ჩემს დღეში...

— ეს ბიჭი მოჰკლეს.

— ეგა? რიჟა? საწყალი ერთი წყნარი, ბუნჩულა ბიჭი იყო. ვაჰ! მართლა მოჰკლეს?

— მოჰკლეს.

— ახარ, როდის?

— რატომ — არ ვიცი. მოჰკლეს კი იმ საღამოს, ესენი რომ შენთან იყვნენ.

— ეგ რომელ საღამოს?

— იმ თვის ოცდაშვიდში. აბა, გაიხსენე... ესენი ყველანი ამბობენ, ჩოლახ კერაპეტა მოგვემსახურაო.

— იმ თვის ოცდაშვიდში?... ჰმ! — კარაპეტა ჩაფიქრდა და ტუჩები ააცმაცუნა. — ოცდაშვიდში... ჰო, ოცდაშვიდში მორიგე მე ვიყავი. ჰო, რა, სწორია! იმ საღამოს ეგენი ჩვენთან იყვნენ: მამის ფულები რა ენაღვლებათ... მაშ ეს ბიჭი მართლა მოჰკლეს? აფსუს! ბატკანივით ბიჭი იყო, აი! კუთხეში დაჯდებოდა ხოლმე და მთელი საღამო ხმას არ ამოიღებდა.

— ხომ არ გახსოვს, რომელ საათზე მოვიდნენ?

— ჰა? საათზე? აბა, მაგისი რა გითხრათ, უფროსოჯან! იქ იმოდენა ხალხი გვეხვევა, ვინ როდის მოდის, როდის მიდის, — საიდან დაგვამახსოვრდება. ისე კი, რომ არ მოგატყუო... ჰო, ან საღამოს პირი იქნებოდა, ან უკვე შეღამებული. ზუსტად ვერ გეტყვი, ოღონდ რა მიირთვეს...

— რა მიირთვეს არ მაინტერესებს. იქნებ, მაინც როგორმე გაიხსენო, რომელ საათზე მოვიდნენ?

— საათზე? ახლავე! ჰმ!... აბა, რა ვიცი, რომელ საათზე მოვიდნენ. ჩვენ ხომ თოთხმეტსაათიანი სამუშაო დღე გვაქვს, აღარც კი გვახსოვს ხოლმე, როდის გათენდა და როდის დაღამდა. აქ კი... მკვლელობაც მომხდარა. თქვენ თვითონ არა ბრძანეთ? არა უფროსო, ვერავის ცოდვაში ფეხს ვერ ჩავიდგამ და ტყუილს ვერ ვიტყვი. რაკი მეკითხები, როდის მოვიდნენო, ალბათ, საჭიროა, ხომ? ჰოდა, ჩემი სიტყვით ტყუილ-უბრალოდ ვინმე რატომ უნდა გაფუჭდეს? რაც არ მახსოვს, არ მახსოვს. რა ვქნა? საღამოს პირი იქნებოდა.

— აი აქ ხელი მომიწერე. აქ სწერია, რომ ეგ ბიჭები თქვენთან იყვნენ ოცდაშვიდში, მოვიდნენ საღამოს პირზე, ზუსტი დრო არ გახსოვს, ეს ანზორ კუპატაძე, შენ რომ ამბობ წყნარი და ბუნჩულაო, მათთან არ ყოფილა. ხომ არ ყოფილა? თუ იყო?

— იმ საღამოს? ოცდაშვიდში? არა, ნამდვილად არ ყოფილა. ეგ კარგად მახსოვს.

— ჰოდა, მოაწერე.

კარაპეტამ ისევ სათვალე მოირგო, დაიხარა და ქაღალდზე ხელი მოაწერა.

— ყოჩაღ! კარგი წერა გცოდნია. აკი განათლება არაფერი მაქვსო. ახლა კიდევ ერთ შეკითხვას მოგცემ.

— მიბრძანე!

— აი, ასეთი... მაღალ-მაღალი, ლამაზი გოგო მათთან ერთად არ მოდიოდა ხოლმე?

— როგორ არა! მაღალ-მაღალი, ლამაზი... როგორ არ დადიოდა. ხშირად დადიოდა.

— იმ საღამოს ეგ გოგო მაგათთან იყო?

— არა, იმ საღამოს ეგ გოგო მაგათთან ნამდვილად არა ყოფილა.

— ისე, როგორ ხასიათზე იყვნენ?

— აბა, როგორ გითხრათ... ისეთი არაფერი შემიმჩნევია. ჩვეულებრივად, რა... საუზმის მერე, ჩიქი-ბიჭი მოათხოვეს, მერე წიწილები... ბასტურმა იმ დღეს საერთოდ არ გვქონია. ჩვენი მომმარაგებელი ცოტა უფროსებს ა-

შალა...? არა, მერე კი მორიგდნენ, ოღონდ...

— კარგი, გავიგე. მაშ, ნახვამდის, კარაპეტ!

— მაშ, მიშვებთ, არა! ოჰ, შენ გაიხარე! ან კი დასაჭერი რა მაქვს! ნახვამდის უფროსო! კარგად გვეყოლე! სულ ბედნიერად! სულ გახარებული! ხეირი მოგცეს! სულ კარგად!..

დალაქიანი შეშინებული პირისახით გაძვრა კარებში. სწორედ ამ წინასწარმა დაკითხვებმა, ეჭვმიტანილთა ხასიათების შესწავლამ და მათ პირად ურთიერთობებში ჩახედვამ შეუქმნა მექავაბიშვილს იმისი რწმენა, რომ ანზორ კუპატაძე შემთხვევით, წამიერი აფეთქების შედეგად იყო მოკლული. მკვლელი ან თვითონ მაგრაქველიძე უნდა ყოფილიყო (ეს მექავაბიშვილს ნაკლებად სჯეროდა), ან ბულესკირია. უფრო ეს უკანასკნელი. ეჭვმიტანილები ერთმანეთთან მტკიცედ იყვნენ დაკავშირებულნი და გამომძიებელს ამ მტკიცე კედელში რაიმე ბზარის აღმოჩენა ძალიან გაუჭირდებოდა. ეჭვმიტანილებს ჰქონდათ რაღაც ალიბის მსგავსიც — უკვე ნათელი იყო, რომ იმ საღამოს, „ნად კუროიში" უქეიფიათ და, როგორც ოფიციანტ დალაქიანის ჩვენებიდან ირკვეოდა, თავი სრულიად ჩვეულებრივად ეჭირათ.

მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა მექავაბიშვილმა ნათია ავალიშვილის დაკითხვა. ნათია — იქნებ, თავისდა უნებლიედაც, — გამოიძიებას ძალიან უნდა გამოსდგომოდა. მისი დახმარებით შეიძლებოდა ამ მჭიდრო შეკავშირებულ ჯგუფში რაიმე ბზარის აღმოჩენა. მექავაბიშვილს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, იმაში, რომ, ნათია მას მთელი მონდომებით დაეხმარებოდა. მართალია, ახალგაზრდა ქალი ამ ხალხთან ამხანაგობდა და ბესარიონ მაგრაქველიძის ტრფობასაც იტანდა, მაგრამ — მექავაბიშვილმა უკვე ესეც კარგად იცოდა. — ნათია შეურყვნელი, პატიოსანი, ალალმართალი ბუნებისა იყო და რაღაც ყალბად გაგებული „ამხანაგობისათვის", არავითარ ბოროტმოქმედებას და, მით უმეტეს, მკვლელობას ხელს არ დააფარებდა. გარდა ამისა, ნათიას მაგრაქველიძის და მისი ჯგუფისა უკვე შიშითაც აღარ უნდა შინებოდა, ვინაიდან უკვე ნომალი დიხამინჯიას ცოლი იყო და ვაგლახად ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა.

მაგრამ ნათიას პირველსავე დაკითხვაზე გულს შემოეყარა. ქმარმა და მამამთილმა ექიმები დაახვიეს. ნათიას დედა, ნინო და მამინაცვალი ანდრო მთვარელიშვილიც აფორიაქდნენ. ექიმების დასკვნა ასეთი იყო — გულისყრა ნერვიული შოკის ნიადაგზე მოხდა, საშიში არაფერია, მაგრამ ავადმყოფს ხანგრძლივი მოსვენება და სრული სიმშვიდე ესაჭიროებაო. დასაკითხად გამოძახებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გამოძიება შეფერხდა და თვითონ მექავაბიშვილიც ველარ გეტყოდათ, საქმეს როდის გააგრძელებდა.

მორიგ ოპერატიულ თათბირზე პოლკოვნიკმა შარაშენიძემ ვალერიან მექავაბიშვილს შავი დღე აყარა „გამოძიების უხეიროდ, უტაქტოდ და არა პროფესიულ დონეზე წარმართვისათვის", სასაცილოდ აიგდო მექავაბიშვილის ვერსია, კუპატაძე შემთხვევით, წამიერი აფექტის შედეგადაა მოკლულიო და თავისი პირვანდელი აზრი ახლაც დაბეჯითებით გაიმეორა, მანდ საქმე ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს და მიკვირს, რომ გამომძიებელ მექავაბიშვილს დღემდე ეჭვმიტანილთა დაპატიმრებაც კი ვერ მოუხერხებიაო.

მექავაბიშვილმა უკვე მშვენივრად იცოდა, ის „ჯგუფური დანაშაულის" ვერსია შარაშენიძეს რისთვისაც სჭირდებოდა.

ეჭვმიტანილების დასაპატიმრებლად ჯერჯერობით მასალა საკმარისი არ არის — უთხრა მან შარაშენიძეს.

— როდის იქნება?

— ძნელი სათქმელია. შეიძლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავალიშვილის დაკითხვამ რაიმე მოგვცეს.

— ეგ იმ ქალის? ჰმ!.. — შარაშენიძემ ხელი ჩაიქნია. — სწორედ ვერაფერი გამიგია. ქალი წლების მანძილზე მაგ სალახანებთან მეგობრობდა, ვიღაც უყვარდა, ვიღაცას უყვარდა, ერთ ამბავში იყო და ახლა მექვაბიშვილი მაინც დარწმუნებულია, რომ ასეთი ქალი, დაკითხვისას გულწრფელ ჩვენებებს მისცემს და ყველაფერს ხელის გულზე გადაუშლის. ეგ რატომ გგონია?

— ასე ვფიქრობ.

— სანამ შენ რაღაცეებს ფიქრობ, საქმე ერთ ადგილზეა გაჩერებული.

— საქმე ძალიან ძნელი გასახსნელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ არსებობს, არსად არ ჩანს, რაიმე სერიოზული მიზეზი, რომელსაც კუპატაძის მოკვლა უნდა გამოეწვია. ერთი უწყინარი ბიჭი იყო და ამქვეყნად არავის არაფერს უშავებდა.

— ადვილად გასახსნელი საქმეები არ არსებობს, ამხანაგო მექვაბიშვილო!

— გეთანხმებით.

— ეჭვმიტანილების მშობლები თუ დაჰკითხე?

— არა.

— რატომ?

— ეჭვმიტანილი ყველა სრულწლოვანია.

— მერე რა? კალისტრატე მაგრაქველიძეს არ იცნობ? არაფერი დაშავდება, თუ ცოტა ხნით აქ გამოცხადდება და ორიოდე სიტყვას მოგახსენებს. ოღონდ რასაკვირველია, უნდა უბრძანო, რომ პროკურატურას ეჭვი ჯგუფურ დანაშაულზე აქვს. თორემ, შენ თუ შენებურად მოუყევი, კუპატაძეს ვიღაცამ შემთხვევით სული შეუბერა, სურდო დამართა და მერე მოუვლელობით მოკვდაო, მაშინ ვერც კალისტრატე გვიშველის და ვერც მამა ღმერთი. გესმის? შეიგნე და დაიჯერე, რომ საქმე გვაქვს ჯგუფურ დანაშაულთან. ჯგუფურ და-ნა-შაულთან. — დამარცვლით გაიმეორა შარაშენიძემ.

— მესმის.

— ასე. ყველაფერზე ჩემი კარნახი არ უნდა გჭირდებოდეს. იმოქმედე! მომავალ ორშაბათს კი ყველაფერი დაწვრილებით მომახსენე.

„მომავალ ორშაბათს, ალბათ, კიდევ უფრო უარეს დღეს დამაყრის, — გაიფიქრა მექვაბიშვილმა კაბინეტიდან გამოსვლისას, — ისე მეჭიდავება, თითქოს ამ პროკურატურაში სამუშაოდ ძალით შემოვჭრილიყავ. ჯანდაბას! თუ მომერევა, გამაგდოს! მე ისტორიკოსი ვარ. მაგრამ ასე ადვილად კი მაინც არ წავექცევინები. დამიმტკიცოს, რომ ეგ მართალია, მე კი მტყუანი ვარ. ვარავითარ ჯგუფურ დანაშაულს მანდ მე ვერა ვხედავ. და არც ისა მგონია, რომ ნათია ავალიშვილმა მკვლელს ხელი დააფაროს, და არც მაგ სალახანების მშობლების დაკითხვა მომცემს რამეს. კალისტრატე მაგრაქველიძის გამოძახება და დაკითხვა მე კი არა, შარაშენიძეს უფრო გამოადგება“.

მაგრამ უფროსის ბრძანებას ვერ გადავიდოდა და ამიტომ ეჭვმიტანილთა მშობლები მექვაბიშვილმა მაინც გამოიძახა.

ყველაზე ადრე პროფესორი კონსტანტინე ჭირაქაძე გამოცხადდა. კარზე მკვეთრად დააკაკუნა, მოუპატიჟებლად შემოაღო, შემოვიდა, მექვაბიშვილს ქედმაღლური, ზიზღითა და დაცინვით სავსე მზერა შეავლო და კედელთან მდგარ სკამზე ხმაამოუღებლად დაეშვა. ახალთახალი, უზადოდ შეკერილი შავი კოსტუმი და ძველმოდურად გახამებული თეთრი პერანგი ეცვა. ყელზე ნაცრისფერი ჰალსტუხი ეკეთა.

„ეს ჭირაქაძეა“ — მიხვდა მექვაბიშვილი. მართლაც, მამა-შვილი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს — საერთო იერით, მოგრძო სახეებით, უნაკლო ჩაცმულობით და თხელ, ბოროტ ტუჩებზე — ოდნავ შესამჩნევი, თავდაჯერებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, დამცინავი და ზიზღიანი ღიმილითაც.

ვალერიანი წამოდგა.

— მე პროკურატურის გამომძიებელი მექვაბიშვილი გახლავართ, — ოფიციალური კილოთი მოახსენა მან, — პროკურატურა აწარმოებს მოქალაქე ანზორ კუპატაძის მკვლელობის გამოძიებას. ჩვენ იძულებული გავხდით, თქვენთვის ცოტა ხნით მობრძანება გვეთხოვა. იქნებ, თქვენ შეგეძლოთ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა. შეწუხებისათვის წინასწარვე ბოდიშს გიხდით.

ეს ყველაფერი ჭირაქაძემ ისე მოისმინა, რომ მის მოგრძო, ნაოჭებიან სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შერხეულა. უბრალოდ, პროფესორმა ეს ყველაფერი ცნობად მიიღო. ჯიბიდან თეთრი ბატისტის ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩ-ნიკაპზე მოისვა. მერე, ცხვირსახოცი აუჩქარებლად ჩაიდო შარვლის ჯიბეში.

„რა ყველაფერი ძველმოდური აქვს, — გაიფიქრა მექვაბიშვილმა, — გახამებული პერანგიც, ჰალსტუხის დასაბნევიც, ბატისტის ცხვირსახოციც აქაოდა, ახლანდელებს არაფრით არ ვგევართო?"

— მე მოვალე ვარ, შეგასრულო ხელისუფლების ყოველი განკარგულება, — ძველი გამოცდილი, ლექტორის კარგად დაყენებული, ოდნავ ცივი ხმით, მკაფიო დიქციით წარმოთქვა ჭირაქაძემ და მექვაბიშვილის უბრალოდ მოწყობილი კაბინეტი ზიზღით მოათვალიერა, — ამიტომაც გეახელი. მე ვერავის მივცემ უფლებას, ხელისუფლებისადმი რაიმე უპატივცემულობა დამწამოს. ახლა ეს მიბრძანეთ გეთაყვა ვინ არის ეს... ანზორ კუპატაძე?

— ანზორ კუპატაძე, — მექვაბიშვილმა მხრები აიჩეჩა, —თქვენი შვილის ამხანაგია. უფრო სწორედ. იყო.

— ახლა კი აღარ არის, იმიტომ, რომ მოჰკლეს. გასაგებია. მერე? თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს საკმაო მიზეზია იმისათვის, რომ რათა მოუცლელი კაცი, უმაღლეს სასწავლებლის ლექტორი, თავის საქმეებს მოსწყვიტოთ და აქ მოიყვანოთ?

— არა, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ...

— მაგრამ — რა?

„დაკითხვას ეს აქეთ მიწყობს, — გაიფიქრა მექვაბიშვილმა, — ვიცოდი, რომ ასეც იქნებოდა".

— იცით, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ...

— თქვენ ივარაუდეთ, რომ პროფესორი ჭირაქაძე თქვენ მოგეშველებოდათ მკვლელის მოძებნაში?

— არა, ასე ნუ გამიგებთ...

— აბა, როგორ გაგიგოთ?

— ჩვენ.... ზოგი რამ გვაინტერესებს.

— სახელდობრ?

— კუპატაძე, მოკლული, თქვენი შვილის ამხანაგი იყო.

— ეს მე უკვე მოვისმინე.

— ჯერჯერობით... მეტი... — მექვაბიშვილი დაიბნა და მაგიდაზე ქაღალდები უაზროდ მისწი-მოსწია. — არა, თქვენ სწორედ უნდა გაგვიგოთ ჩვენ...

— იცით რა, ყმაწვილო კაცო? მე ინსტიტუტშიც მომბეზრდა იმ ახალგაზრდების მოსმენა, რომლებიც გამოცდებზე გამოდიან და არ კი იციან, რა ილაპარაკონ. არაფერზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. იმათი უთავაზო მიეთ-მოეთი იქაც მომბეზრდა. მე თქვენ იმათ არ გადარებთ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ... ძალიან გთხოვთ, ნულარ შემაწუხებთ. თუ თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ ის... კუპატაძე ჩემი შვილის მოკლულია, აიღეთ და დააპატიმრეთ. ესე იგი, ჩემი შვილი და არა კუპატაძე. მკვდრებს არ აპატიმრებენ. თუმცა-ღა, გამოგიტყდებით, მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ საბრალო... კუპატაძე ციხეში უფრო მისთვის შესაფერ ადგილზე იქნებოდა, ვიდრე იქ, სადაც ახლა... განისვენებს... აი, ასე, ჩვენი მისამართით თქვენ გცოდნიათ. თუ ჩემი შვილი დამნაშავეა, მობრძანდით და დააპატიმრეთ. მე ხელისუფლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს არავითარი წინააღმდეგობა არ გამიწევია და არც ახლა ვაპირებ. ნახვამდის!

ჭირაქაძე წამოდგა, მექვაბიშვილს თავი მოკლედ დაუკრა და კარი გაიხურა.

უფრო ნაკლები შესძინა მექვაბიშვილს, დანარჩენ ეჭვმიტანილთა მშობლების დაკითხვამაც. ფერუმარილით უშნოდ სახეშეგლესილი ეკატერინე ბულესკირია ერთთავად იმას ცდილობდა, გამომძიებლისათვის თავისი ჩამრგვალებული მუხლისთავები დაენახვებინა და თვალების ნაბვით, სულ ერთსადაიმავეს იმეორებდა, — რასა ბრძანებთ, ჩემი თაზო და ეგეთი რალაცეები? შესახედავადაა ცოტა უკარება, თორემ მაგისთანა ჩვილი გული ნეტავი სხვებსა ჰქონდეთო.

თენგიზ ჯაველიძის მამამ, ერმალოზმა „ერთი წუთით შემოირბინა", საჩქარო საქმეზე მივდივარ და თუ შეიძლება დიდხანს ნუ დამაყოვნებთ ან ისეთი სერიოზული საქმე, თქვენ, ჩემთან რა უნდა გქონდეთო. ერმალოზმა „საწყალი ანზორ კუპატაძე" ხმამაღლა შეიცოდა, მაგისთანა უწყინარი მაგ კამპანიაში ერთიც არ არის, რაღა ეგ უბედური მოკლეს, მაგრამ ხომ იცით, ცხოვრებაში მუდამ უთქმელი და უწყინარი იჩაგრებაო; ისე კი, ვინ მოკლა და რატომ, მაგისას ვერაფერს გეტყვით, ვერც კი წარმომიდგენიაო, და „საჩქარო საქმეზე გაიქცა".

ყველაზე უფრო დიდხანს მექვაბიშვილის კაბინეტში კალისტრატე მაგრაქველიძე იჯდა. საქმიანი და ღირსეული კაცის გამომეტყველებით შემოვიდა, გამომძიებელს ხელი თითონვე გამოუწოდა და დაჯდა. ყოველ შეკითხვაზე სრულ, ამომწურავ პასუხს იძლეოდა. მექვაბიშვილს პირდაპირ უთხრა, იმ საწყალი ბიჭის გასვენებამ სულ ჩემს კისერზე გადაიარა, სიცოცხლეში ვერაფერი გავუკეთეთ და პატივი გარდაცვლილისათვის მაინც უნდა გვეცაო; ანზორის სიკვდილი რომ გავიგე, ჩემს ბიჭს პირდაპირ ტყავი გავაძრე, ის ჯობდა, შენ თვითონ მოეკალი ვინმეს, რა გექეიფებოდა, თუ შენი ამხანაგი სადღაც გასაჭირში იყო, გულმა რატომ არაფერი გიგრძნო-მეთქი. მაგრამ რაღა ჩემგან ტყავის გაძრობა უნდოდა, საწყალი ბიჭი თვითონაც გათავებული იყო, ისე კი, ვისი მოკლული უნდა იყოს და რატომ, მაგისას ვერაფერს გეტყვით; ქვეყანა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ისე გაფუჭდა, რომ ვინმემ, შეიძლება, პანღური თავშესაქცევადაც კი ამოარტყა და შემოაკვდა, არადა მოკვლა, იქნებ, ფიქრადაც არა ჰქონიაო; ან მაგისთანა უბედურსა და საწყალს, ხელი ვისთვის რაში უნდა შეეშალაო, და სხვა ამგვარები. კალისტრატეს თავი ძალიან მშვიდად ეჭირა და როგორც ეტყობოდა, შარაშენიძისათვის ქრთამის მიცემას, ჯერჯერობით მაინც არ აპირებდა., მექვაბიშვილმა საბოლოოდ დაასკვნა, შეიძლება, მთლად ვულწრფელი არ იყოს და რაღაცას მიმალავდეს, მაგრამ ის კი ნამდვილად იცის, რომ კუპატაძე მისი შვილის მოკლული არ არის და ასე არხეინადაც ამიტომააო.

რჩება მარტო თაზო ბულესკირია.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

# თუ სადმე იყო ედემი...

ალაზანგაღმა მხარე სიღნაღიდან უეცრად, ერთბაშად გამოჩნდება ხოლმე და, რაკი-ღა მთელ გაღმართს თვალი ადვილად ვერ ერევა, ის ბურუს-ნისლში გახვეული გეჩვენება. ამ ნისლსა და ბურუსში იმალება სოფელი აფენი, რომელსაც მცირედად კი არ გაუთქვეს სახელი მეაბრეშუმე ქალებმა — რძალ-დედამთილმა მერი და ოლღა მახათაძეებმა.

ლაგოდეხის რაიონი, რომლის შემადგენლობაშიც აფენი შედის, ალაზნის მარცხენა ნაპირმხრის მიწა-წყალი, უველაზე აღმოსავლეთით აღინიშნება ჩვენი რესპუბლიკის რუკაზე. იმის ერბოსავით ნოყიერი სახნავ-სათესები, თვალის გამხარებელი და სააგარაკო, გასაძლისი ადგილები უმალ მოგტაცებს თვალსა და გულს. წელიწადის რა დროც არ უნდა იდგეს, ამ მხარის ნახვას არაფერი ჯობს. უველაზე უკეთესი კი ის ზაფხულზე და შემოდგომაზეა, როცა პური მომკეს, იქვე ხვნა გაჩაღდა, ხიმინდი, ხილი შემოვიდა.

ლაგოდეხის რაიონში ადრეც ხშირად ვყოფილვარ. კარგად ვცნობ ვარდისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — ბონდო ლომიძეს. სასიხარულოა, რომ სანახავი და მოსაგონარი ბევრი გვაქვს. ვარდისუბანთან აფენიც ახლოს არის.

ბონდო ლომიძე ცხრაასიან წლებში ქიათურიდან კახეთში, ვარდისუბანში გადმოსახლებული გლეხის შვილია. გადმოსახლებულები აქ მოვიდნენ სრულიად დაუსახლებელ, უღრან ტყეებით დაფარულ დაბლობ-ვაკეებზე.

მახსოვს და არ დამავიწყდება ძველი მონადირის, ამ მიწა-წყალზე დასახლებულთაგან ერთი პირველთაგანის — ზაალ ლომიძის ნაამბობი:

— ეს მიწა-წყალი, ილია ჭავჭავაძის წყალობით გვაქვს, — განაცხადა ერთხელ მან.

— როგორ თუ ილიას წყალობით! — გაოცდეს მონადირის მსმენელებმა.

— მე იმას გეტყვით, რაც მამაჩემმა იორამ ლომიძემ და მისმა ძმამ პავლემ მითხრეს, — წარმოსთქვა ზაალ ლომიძემ და განაგრძო: — ლაგოდეხის რაიონი მაწიმის წყლიდან ყვარლამდე დაუსახლებელი ყოფილა ამ საუკუნის დამდეგს. უდაბური ადგილები და გაუვალი ტყეები თვალში მოსვლია, მოსწონებია ვიღაც ფულიან გადამთიელს. მოუნდომებია მისი შესყიდვა. გასული საუკუნის დამლევს მიუმართავს კიდეც ქართველ თავად-აზნაურთა ბანკისათვის, სადაც ეს მიწა-წყალი ქართველ თავად-აზნაურთ დაგირავებული ჰქონიათ.

ილია ჭავჭავაძე მიწის მეპატრონეებს უგრძელებდა ვალის დასაფარავ ვადებს. ისინი კი დავალიანებას ვერ ფარავდნენ. ფულიანი უცხო კი დაჟინებით მოითხოვდა ეს ადგილები მაწიმისწყლიდან თითქმის ყვარლამდე, მისთვის მიეყიდათ.

ზაალ ლომიძის სიტყვით, ილია ძალზე შეშფოთებულა, დაუწყია გამოკითხვა — ქართლსა და იმერეთში მიწის მყიდველი ხომ არავინ გეგულებათო.

— მთელი ზემო იმერეთი მიწის სასტიკ ნაკლებობას განიცდის, — მოუხსენებიათ ილიასათვის.

— ხომ არ იცით, კახეთში არავინ წამოვა? — უკითხავს ილიას.

— მიწას ვინ მისცემს, თორემ როგორ არ წამოვლენ!

ილიას თურმე ჩვეულებად არ ჰქონდა მონაფიქრის განხორციელება დაეყოვნებინა, იმ ცოტახანში მოიწვია კახელი თავადები — ჯორჯაძეები, ვაჩნაძეები, ანდრონიკაშვილები, ქობულაძეები და ჩოლოყაშვილები. შეუთავაზებია მათთვის ვალების ჩამოწერა და ცარიელ ადგილებზე ხალხის ჩასახლება

ხელმისაწვდომ ფასებში ისინი დათანხმებულან ილიას რჩევას. ამ საუკუნის დასაწყისში უკვე იწყებ მოსვლა ახალმოსახლეებმა. პირველად ისინი დასახლებულან ივანე ჯორჯაძის მიწებზე, წმინდა თევდორეს მონასტერთან, ახლანდელ ლელიანში. ივანე ჯორჯაძის მამულის მახლობლად ილიას მამის კუთვნილი მიწებიც ყოფილა.

გადმოსახლებულები სიხარულით ცას ეწეოდნენ. დესეტინაზე ახოებში, ახლად გატეხილ მიწებზე, ასოცი ფუთი პური და ბარე სამასი ფუთი სიმინდი მოდიოდა. ტყეები სავსე იყო კაკლის ხეებითა და ნადირით. მოაწყდა და მოაწყდა უმიწაწყლო ხალხი იმერეთიდან, გურიიდან, რაჭიდან, ქართლიდან. მალე უკვე რამდენიმე სოფელი გაჩნდა ლაგოდეხსა და ყვარელს შორის. გადმოსახლებულთა შორის ბევრს, რომ ქინა-ქინა უფასოდ ეძლეოდა, ახალმოსახლეები ამასაც ილიას ამაგს მიაწერდნენ.

ახალმოსახლეებს სინოყივრით დიახ მოსწონდათ ადგილები, მოსწონდათ ის მისი მდებარეობით და თვალის საამურობითაც.

ახალი დასახლების სოფლებს თავს გადმოსდგომიან კავკასიონის ცადაზიდული მწვერვალები. ახლა ამ მდიდარ და მშვენიერ ბარში გზა წნორის წყლიდან პირდაპირ გადის ლაგოდეხისაკენ და მას იქითაც — საინგილოში.

გზის მხარდამხარ, პარალელურად „მთები კავკასიონისა" მთელ მის კალთებზე ფოთლოვანი ტყეებით შენაბდულან. მუხა, წიფელი, წაბლი, ბოყვი, პანტა-მაჟალო, შვინდი და მრავალი სხვა სახის ხე-ბუჩქი იზრდება ყოველ გორსა და ხევ-ხუვში. ამ ხეთა გაფოთლილ ტოტების საფარველში ქვესკნელიდან ამოდიან წყაროები, მოჩუხჩუხებენ საკალმახოები, ამაყად მობორგავენ მდინარეები. სადაც ტყეები თავდება, მთის კალთათა ზემოთ, მწვერვალების თხემები და ყვრიმალები, ალპური ზონა, მთის კალთებს გამოსჭიბრებიან ლამაზი მორთულობით. ალპური მდელოები დაფარულან მატყლივით სქელი, სურნელოვანი, რძიანი ბალახებით.

თეთრი, წითელი, ლურჯი, ყვითელი ყვავილების გვირგვინები ადგათ თავზე იმ მაღალ ქარაფებს, რომლებიც შორიდან, საავტომობილო გზატკეცილის პირიდან მგზავრს, მნახველს აოცებს მათის სიდიდით და მიუდგომლობით.

ბალახებით შემოსილ ქარაფებზე და მათ მომიჯნავე ღრმა ღარტაფებში გაფანტულან საქონლის ჯოგები. შინაური ცხოველებისა და მათი მწყემსებისა თითქმის არ ერიდებათ ჯიხვებს, ფსიტებს, შველსა და ირემს. მეტის-მეტად გათავხედებულა გარეული ტახ-ბურვაკი. კოლტს რომ ზედ გადაეყრები, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, დინგსაც არ იწევს მაღლა ტახი და გოჭებს გასაფრთხილებლად ნეზვი არც კი შეუხოთხოთებს. ტყეებში, დიახ, უშიშრად დაბრძანდებიან ტყიური ლამაზები. ან კი რად უნდა ეშინოდეთ! გასროლის ხმა იქ აღარსად ისმის. ტყე, მთის კალთები ან ალპური ზონები რა არის! დაბლობებშიც, ბარშიც აკრძალულია ნადირობა.

ნამდვილად ვეღარც დაბლობებში, ვეღარც მთებში ვერავინ კადრებს თავს წელზე ხანჯალი დაიკიდოს, მხარზე გაიდოს თოფი, ხელში თუნდაც ცული დაიჭიროს. ყველას ეშინია, სულმა არ წამძლიოს, ნებსით და უნებლიეთ არაფერი ზიანი მივაყენო ბუნების უწყინარ და ლაღ შვილებს — გარეულ ნადირ-ფრინველსო.

ბრაკონიერებს აქ გზა ჩაკეტილი აქვს.

არა, არა, ლაპარაკი არ უნდა, თუ ედემი მართლაც არსებობდა, ის უთუოდ სადღაც ლაგოდეხის რაიონში იყო. იმიტომ, რომ, აბა ედემი, ზღაპრული ბედ-სამყოფელი, უკეთესი რა უნდა ყოფილიყო, ვიდრე საქართველოს ეს შეუდარებელი კუთხე.

აი, რა მიწა-წყალი, რა მშვენიერი, მდიდარი ადგილები მიუკერძებია ილია ჭავჭავაძეს ქართველი უმიწაწყლო გლეხობისათვის. ის კი, უთუოდ ბევრმა არავინ იცის რა წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდა ამისათვის ჩვენ დიდ განუმეორებელ მოღვაწეს, ჩვენს განმანათლებელს!

მაშ ნურვის გაუკვირდება, რომ ამ კალმით აუწერელ ლამაზ და შეუდარებლად ნოყიერ მიწების სამყაროში მაღალი ზნეობის, სოციალიზმის ერთგული მშენებელი ადამიანები ცხოვრობენ; აგერ, ოქტომბრის სამოცი წლის თავზე ისინი მთელი მათის სიკეთით გამობრწყინდნენ!

ბონდო ლომიძე მათ ყველაზე უკეთ იცნობს. მაგრამ ის ვარდისუბანში აღარ არის. ლაგოდეხის რაიკომის მდივნად აურჩევიათ. კიდევ უკეთესი. ახლა მან მთელ რაიონში იცის, ვინ და როგორ გამოიჩინა თავი შრომაში.

მოსავალი რომ საერთოდ კარგი იყო ლაგოდეხის რაიონში, ამაზე ბონდო ლომიძე არაფერს გეტყვით. ეს ისედაც ცნობილია, მაგრამ მეაბრეშუმეებმა (ყველას მოეხსენება, მეაბრეშუმეობის ოსტატები ქალები არიან), რომ წელს ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი — ყველაზე მეტადაც ახარებს აქაურსაც და სტუმარსაც. ამიტომაც ლომიძე მეაბრეშუმე და სამაგალითო მეოჯახე ქალის მერი მახათაძის სახელს მიხვლით უმალ დაგისახელებთ — პირველს მეწინავე მშრომელთა შორის. და როგორ უხარია, რომ ამ გამოჩენილი მანდილოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის და იმისი მოხუცი დედამთილის ამბავი თქვენაც გცოდნიათ.

— საინტერესოა, თქვენ როგორ გაიგეთ ჩვენი მეაბრეშუმე მერის (რძლის) და ოლღას (დედამთილის) ამბავი? — კითხულობს ლომიძე.

— თქვენი რაიონის გაზეთიდან და ჩვენი, ცენტრალური პრესიდან.

ლომიძე იქვე მიმართავს ლაგოდეხის სათავო პარკსაშრობის დირექტორს ლევან ჩიკვაიძეს: — ლევან, აბა, შენ იცი, მეაბრეშუმეები თქვენთან არიან დაკავშირებული. თქვენზე უკეთ აბა, ვინ გააცნობს ჩვენ სტუმრებს რაიონის მეაბრეშუმეებს.

ლევან ჩიკვაიძე ლაგოდეხელი ძველზე-ძველი მოღვაწეა. ის კარგად ხანდაზმული მოქალაქეა და ლაგოდეხის რაიონის მოსახლეთა შორის, დიდი იქნება თუ პატარა, ქალი თუ ვაჟი, თითქმის ყველას იცნობს, რაღა თქმა უნდა, პირველად ყოვლისა მეაბრეშუმეებს.

— მერი მახათაძეს მართლაც კარგად ვიცნობ, — მაშინვე ამბობს ჩიკვაიძე — იმისთანა მეაბრეშუმე და მეოჯახე დიასახლისი ადვილად არ მოიპოვება რაიონში.

— სულ რამდენი მეაბრეშუმე ქალი გებულებათ? — ეკითხება ლევანს.

— რვაათას ოცდაოთხი მეაბრეშუმე ქალი მყავს, — უმალვე მოგიგებთ ლევან ჩიკვაიძე და იქვე შენიშნავს: — თამამად შემიძლია ვალიარო, მეაბრეშუმეობას დიდი ყურადღებით ეკიდებიან ჩვენებური ქალები. იგი ბევრს თავის საყვარელ პროფესიად მიაჩნია. მერე და როგორ უყვართ ეს საქმე. ზაფხული ისე როგორ გავა, აბრეშუმის ჭია არ მოამრავლონ, — და ამას ხუმრობანარევი კილოთი დასძენს: — დაკვირვებული ვარ, სწორედ მეაბრეშუმე ქალებს ჰყავთ გამოსარჩევად შეხმატკბილებული ქმრები, დედამთილ-მამამთილი, შილ-მაზლი, შვილები, ნათესავები, მოდით ამაში თვალნახულით დავრწმუნდეთ, ნულარ ვაყოვნებთ, გავსწიოთ აფენში, თავიანთ სახლში ვნახოთ მერი და ოლღა მახათაძეები. ვიჩქაროთ, თორემ მერის ბევრი სხვა არანაკლები ოჯახური და სამეურნეო საქმეები აქვს. და რაღა მერი იმისი მოხუცი დედამთილი ოლღაც მეაბრეშუმეობის კარგად მცოდნე და რძალსაც დიდად შეწყობილი ქალია. ასეც ვიტყოდი: „ახალგაზრდა რძალი მოხუცი ოლღას სული და გულია, რძლის სული და გული კი იმისი დედამთილი. აბრეშუმი აბრეშუმია და მერისა და ოლღას რძალ-დედამთილობა დიდი ბედნიერებაა ოჯახში.

შრომასა და ყოფიერებაში განუმეორებლად ერთმანეთს შეწყობილი რძალ-დედამთილის დიდი, მშვენიერი ცხოვრება ურთიერთ მოკრძალებისა და სიყვარულის მაგალითია.

**მერი და იმისი დედამთილი სოფელ აფენის შუაგულში ცხოვრობენ, ლაგოდეხიდან ათიოდე კილომეტრის მოშორებით. როგორც მთელი ამ მხრის ბუნება, გზა აფენამდეც თვალწარმტაცია.**

ხანამ სოფელში მიხვალთ, თითქმის შუა გზაზე, კავკასიონის ქედის ძირიდან გამოპარული, ტყით შემოსილი ქონდარა სერგრძელი შემოგეყრებათ წინ. ის შესამჩნევად შეჭრილია ბარში. ვერ მოითმენთ იმის ერთ მაღალ წერტილზე არ შედგეთ, არ გადაიხედ-გადმოიხედოთ.

სერგრძელი როგორც პატარა, წინწკილა წყარო დიდ კლდეს, დიახ ქვეშიდან გამოპარვია კავკასიონის ქედს და თითქოს შუაზე გაუყვია რაიონი. სერგრძელის მაღალი წერტილიდან მოჩანს ყვარელი, ლაგოდეხის დიდი დაბლობი ალაზნამდე, შოთის პურის ყუასებრ გადაჭიმული გომბორის ლამაზი ქედი სიღნაღიანურთ.

მანქანა ჩრდილ-ჩრდილ მიდის ფართო ასფალტნაგით. სწორ გზას ზემოდან გადმოქოლგვია თუთის უთვალავი ნარგავი. გაშლილი ხელის სიფართოვე მათი ფოთლები აბრეშუმის ჭიის ერთადერთი საკვებია და ზაფხულობით მგზავრსაც იცავენ გაგანია მზის სხივების მცხუნვარებისაგან.

თუთის ნარგავში გამორეულად გაშენებული ხეხილიც ბევრია. ქუჩიდან, თუ გინდათ, ხელს წაავლებთ ქლიავის დახუნძლულ ტოტს, ვაშლისა და ჩაყვითლებულ მსხლის კუნწულებს. ისინი თითქოს თვითონ გეპატიჟებიან — მგზავრო, შეყოვნდი, აბა, ინებე მწიფე ნაყოფი, ამ სიცხეში პირი გაისველეო. ჩვენ სტუმართმოყვარე პატრონს, გამშენებელს თქვენი სითამამით ასიამოვნებთ, გაახარებთო.

მაგრამ წამითაც ვერ შეჩერდებით. ცხენით ერთი დღის სავალი მანქანამ ათიოდე წუთში დალია. აგერ აფენი. ქუჩის პირას კი მერი და ბახვა მახათაძის ორსართულიანი სახლი და რა სახლი. ავ თვალს არ ენახვება!

ფართო, ხალვათ აივანზე შევდივართ მოაჯირებს თუთის ტოტები შემოსევიან. ქვემოთ ეზოში ნაყოფით მიწამდე დატანილი ტოტების სიმძიმით ვაშლებს ფეხზე დგომა გაჭირვებიათ. მწვანე ფოთლებს შორის წითლად ხასხასებენ მოგრძო, შაქარა სინაპები.

— თქვენი სტუმარი ვართ, — ეუბნება ხანში შესულ ქალს ჩიკვაიძე.

— მობრძანდით! — გვეპატიჟება მერის დედამთილი.

— კიდევ ერთხელ უნდა გნახოთ და გესაუბროთ, — ეუბნება ლევან ჩიკვაიძე თამამად, ისინი ხომ დიდი ხნის ნაცნობები არიან.

— სანახავი ალარა არის რა. პარკი უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვკრიფეთ ცახებიდან და კიდეც ჩაგაბარეთ. მობრძანდით!

— როგორ გიკითხოთ? — სტუმრები შინ შედიან.

— გმადლობთ. აი, ვცოხვრობთ, ვირჯებით. მალე შემოდგომაც გავა, — ამბობს ოლღა და შესულებს უჩვენებს თავის სახლ-კარს. იმ სახლ-კარს რაც მას, მის მეუღლეს, ვაჟს — ბახვას, რძალს — მერის ერთად შეუძენიათ და უშენებიათ. ბინა დიდი და ხალვათია. ორსავე სართულზე ბარე ათი ოთახია. თითო მათგანში, შემთხვევის დროს, დიდი ცეკვა-თამაში შეიძლება გაიმართოს.

რძალ-დედამთილს — მერისა და ოლღას ამ ათი ოთახის ყოველ კუნჭულში აბრეშუმის ჭია ჰყავდათ. ჩელტები ერთი მეორის ზემოთ იყვნენ შეკიდულები. და ისე ხშირად, რომ ჭიისათვის თუთის ფოთლის დასაყრელად მომვლელები გასასვლელებში ძლივს აღწევდნენ.

ოლღა პირველად ქვედა სართულის ოთახებში შეგვიძღვებათ. იქიდან კი ერთ მოდგმულ ფარდულში შევახედებთ, იქ მუშაობს იმისი ქმარი, სამოცდაათ წელს გადაცილებული ლავით მახათაძე. დავითს სიყრმის წლებიდანვე მეჭურჭლეობა სცოდნია წელსაც ბარე ოცი თონე ერთად გამოუწყია და თანდათან აშყავს. სულ ცოტა ხანში თონეები გამოშრებიან და ქურაში შესაწყობად და გამოსაწვავად მზად იქნებიან.

მალე ოლღა მეორე სართულსაც დაგვათვალიერებინებთ. მოხუცი მანდილოსანი წინ მიდის. გიჩვენებთ როგორ იყო იქაურობა გამოტენილი ჩელტებით, რომლებიც ახლა ეზოში უწყვია.

მთელი ეს საკმაოდ დიდი შენობა, მერისა და ოლღას აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად ჰქონდათ გადაქცეული. რძალ-დედამთილმა კი, მათ რაიონში კი არა, შედარებით უფრო შორსაც. სარეკორდო მოსავალი მიიღეს. ოთხას ორმოცდაცხრამეტი კილოგრამი მაღალხარისხოვანი თეთრი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს სათავო საშრობში ლევან ჩიკვაიძეს.

ბინაში, თუმცა ის კარგად გაუწმენდიათ და გაუნიავებიათ. ახლაც იგრძნობა, რომ ოთახებში ყველგან აბრეშუმის ჩელტები ეკიდნენ. დაკვირვებაც არ უნდა, აქა-იქ, კედლებზე, ჭერზე. სხვადასხვა ჭუჭრუტანებში ჩაჭსხდარან და თეთრად ბრწყინავენ პარკები.

— ეს იქ როგორ მოხვდნენ? — იკითხავთ.

— აბრეშუმის ჭიას მისებურად ეშმაკობაც შეუძლია. ჩელტებიდან გაგვეპარნენ, ზოგიერთებმა იქ გაიკეთეს პარკები, — ამბობს ოლღა.

— ჭუპრები რა იქნენ?

— გამოსჭრეს, გაფრინდნენ პეპლებად. გამოსასვლელი ხვრელები ისე მოფარებით გაუკეთეს, რომ ადვილად ვერ დაინახავთ.

— რად არ გამოკრიფეთ?

— იყვნენ. ლამაზად არიან. თვალს აამებენ, გულს ახარებენ, ხელს არავის უშლიან.

მართლაც, უნდა ნახოთ როგორ შვენის ოთახებს აქა-იქ შერჩენილი თეთრი გვირილისებური ბურთულები, რომლებიც იქ ჭიებს თავიანთ სახსოვრად გაუკეთებიათ.

— ეს თქვენ აქ შინ ბრძანდებით, ოლღა ბატონო, მაგრამ, სად არის თქვენი რძალი, აბრეშუმის მოყვანის ოსტატი მერი?

— რა გაეწყობა, შვილო! — თითქოს ბოდიშობს ოლღა, — ისეთი რძალი მყავს, რომელსაც არ შეუძლია გულში ამოჭრილი ნასურვილევის ხელის შეშვება.

მისი ზნეა, რაკილა საქმეს წამოიწყებს, ბოლომდე არ მოუსვენებს.

— ახლაც საქმეზეა წასული?

— დიახ, ჩემი შვილიშვილი, მერის ვაჟი თბილისში წავიდა უმაღლესში შესასვლელად, მას დედაც მიჰყვა თან.

— ჰო, დიახ, მერი ეგეთი ხასიათის ქალია, ყოველ მის ოჯახურ თუ საზოგადო საქმეს თვითონ სდევს ბოლომდე. და მანამდე არ მოისვენებს, არც სხვას მოასვენებს, სანამ თავისას არ გაიტანს — შენიშნავს უბნის აგრონომი. ელვირა კაპანაძე.

ამ საუბრიდან სტუმრები ხვდებიან რა სიკეთით აღვსილი ბუნების ქალია მერი მახათაძე.

— ეჰ, ისეთი გამოჩენილი მანდილოსანი, როგორიც მერია, მის დედამთილთან ერთად ვერ ნახეთ. ამაზე გვწყდება გული, — შენიშნავს ერთი სტუმართაგანი.

— გაისადაც აქ ვართ, კვლავაც გვინახულეთ! — ეღიმება ელვირა კაპანაძეს. — მაშინ უთუოდ მერიც შინ დაგვხვდება. ჩვენი სახლკარიც ისევ აქ იქნება. დიახ, უნდა მობრძანდეთ. აქ ადვილად სათქმელი განზრახვები კი არ გვაქვს. მერი და ოლღა ვარაუდობენ მერმის უფრო მეტი აბრეშუმი მოიყვანონ, ვიდრე წელს.

— თქვენ რას იტყვით, ოლღა, თქვენი აგრონომის განცხადებაზე?

— ოღონდაც განგებამ მერი და მთელი ოჯახი კარგად მიმყოფოს და შეუძლებელი არა არის რა, — მიუგებს ოლღა.

— აბრეშუმის მოყვანა რთული საშრომია. აფენელებს თამბაქოც მოგვყავს, მაგრამ აბრეშუმი თამბაქოს მოყვანაზე ბევრჯერ ძნელი საქმეა, — ამბობს მერი მახათაძის მამა მინაგო მოდებაძე.

— დიახ უდასტურებს მას ოლღა. — აბრეშუმის მოყვანას ერთი საიდუმლოება აქვს. ეს საიდუმლოება თვითონ ჭიის ბუნებაშია,

იმისთანა გაუმაძღარი მატლი მე არც გამიგონია. განუწყვეტლად ხრავს, ფქვავს თუთის ფოთოლს. ერთი წამით არ მოისვენებს არც დღით, არც ღამით. თუთის ფოთოლი თავზე საყრელად უნდა უმარაგო. რაკი ეს ვიცით, დიდი და პატარა, ყველა ყურადღებით, სმენაზე ვართ.

იშვიათად თუთა ბევრი გვიდგას ეზო-გარეშემოში. ვთქვათ მოხდა რაღაცა შემთხვევა, შემოგვაკლდა ფურცელი. მაშინ ტყე არის ჩვენი ხელის გამმართველი. იქაც ბევრი იშოვება ველურად ეს ძვირფასი საკვები, თუმცა ჯაფარიძის გამოყვანილ თუთის ფოთოლს არაფერი შეედრება. ამიტომაც ორი ძალზე ხნიერი კაცი მინაგო მოდებაძე (მერის მამა), დავით მახათაძე (მერის მამამთილი), მე, დედამთილი, ჩემი ვაჟი — ბახვა (მერის მეუღლე), ჩვენთან ერთად ჩვენი უმცროსები, მერისა და ბახვას შვილები, როცა აბრეშუმის ჭია გვყავს, სულ ყველა თუთის ფოთოლზე დავდივართ. აბრეშუმის ჭიას, რომ საკვები, სულ ახალ-ახალი ფურცელი მოვაკლოთ, ეს ჩვენ ბუნებაში არ სწერია.

— ოლღა, ეგ აგრეა და სხვა რამეც არის სათქმელი, — კვლავ ერთვის საუბარში ელვირა კაპანაძე, — მერი, დიახ, საოცარი ყურადღებით უტრიალებს გარს აბრეშუმს. მურით დაწყებული პარკის ჩაბარებამდე ზედ ელევა, ნეტავი აბრეშუმის მოყვანის მერისებურ ოსტატად აქცია ჩვენი კოლმეურნეობის ყველა ქალი. მაშინ, ვინ იცის რა სიხარულს იგემებდნენ ჩვენი მეაბრეშუმეები აფენში.

ბოლოს, ისიც ვთქვათ, როგორი მოქალაქე, დედა და მეუღლეა მერი. რა ვიცი და, იმისი ტოლი ბევრი არავინ მეგულება. აგერ ოქტომბრის სამოცი წლისთავი გვიახლოვდება და თუ მკითხავთ ვიტყოდი: მერი ჩვენი ახალი დროების მშრომელი ქალი და დედაა. ამრავლოს ისინი ღმერთმა ქვეყანაზე მეთქი! — ამას განვაცხადებდი თამამად.

საუბრის ბოლოს ოლღამ დასძინა:

— რა ვთქვა! — აი, ეს ჩემი ქმარი, შვილი, რძალი, შვილიშვილები, აი, ეს ჩვენი სახლ-კარი. კარზეც არავის ვადგივართ. თვითონ განსაჯეთ. მერი არის ჩემი სიხარული. მან განამტკიცა და შეამაღლა ჩემს სახლში ქალის სახელიცა და ერდოც. ნუ გაგიკვირდებათ მთელი ოჯახის ბედნიერებაც მერი არის და განსაკუთრებით კი ჩემი — დედამთილისა.

ეზოში ჩამოვდივართ, ვაშლის, გულაბი მსხლის, ნესვ-საზამთროს მათრობელა სუნი დგას. შეთვალებულია ქურძენი. მთებიდან ჭავლა-ჭავლა მოდის გრილი ნიავი. უკან, ლაგოდეხისაკენ გაბრუნებული მანქანა ისევ სერგრეხილს უახლოვდება. მისი მწვერვალიდან კიდევ ერთხელ შეხედავ ლაგოდეხის რაიონის შუაზე გაყოფილ ბარს. ფიქრობ და ვერ გადაგიწყვეტია: ამ უკეკლუცესმა და მდიდარმა ბუნებამ შექმნა მერისა და ოლღასებრი სიცოცხლის, ცხოვრების, შრომის მოყვარული ადამიანები, თუ დიდი ილიას ამაგმა იხარა, რომელმაც როგორც აქ ხმაა გავრცელებული, ამ მხარის დასახლებას ხელი შეუწყო.

მანქანის ძარაში საუბარიც ისმის. ლევან ჩიკვაიძე მოუთხრობს თავის თანამგზავრებს:

— რაიონში რვაათას ოცდაოთხი მეაბრეშუმე ქალია. საშუალოდ მათ წელს სათავო საშრობს ოცდათხუთმეტი კილოგრამი პარკი ჩააბარეს. ნეტავი რა იქნება, რა მოხდება, რომ მერი მახათაძის მაგალითს ყველამ მიბაძოს, შრომის ნაყოფიერება თუნდაც, მერის სამეოთხედოდ, საშუალოდ ას კილოგრამამდე აიყვანოს. გეფიცებით, ამის განხორციელებას წინ არაფერი უდგას. აბა თვითონ განსაჯეთ: მერი მახათაძემ აკი ოთხას ორმოცდაცხრამეტი კილოგრამი პარკი მოიყვანა. — აქ ლევან ჩიკვაიძე გარშემო იხედება და ხმადაბლა ამბობს: ეჰ, ეჰ, სად გაჭკრავ, თავს მაშინ ლაგოდეხის საყვარელო მთებო, ტყეებო, დიდო ბარო და მეაბრეშუმეებო.

ლაგოდეხი. 1977 წ. სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

# ოქტომბერი და ქართული მწერლობა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სუსტად იყო განვითარებული მრეწველობა. მრეწველობის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგები — თუჯისა და ფოლადის წარმოება, მანქანათმშენებლობა — თითქმის სულ არ გაგვაჩნდა, ხოლო ქვანახშირის ამოღება, მიუხედავად მდიდარი საბადოებისა, ძალიან სუსტად წარმოებდა.

მსხვილი მრეწველობის შექმნა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით საქართველო მსხვილი ინდუსტრიის განვითარების გზას დაადგა. ამას ხელი შეუწყო დიდმა დახმარებამ, რომელსაც საქართველოს იმთავითვე უწევდა საბჭოთა რუსეთი. ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, აგრეთვე მრავალი დიდი ფაბრიკა-ქარხნის აგება საქართველოში ამ დიდი ზრუნვის შედეგი გახლდათ.

საბჭოთა კავშირმა, მოკავშირე რესპუბლიკებმა, მათ შორის საბჭოთა საქართველომ, დიდი სიძნელეების მიუხედავად, იმის მეოხებით, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელში იყო შემოსავლის ყველა წყარო (ფაბრიკა-ქარხნები, ტრანსპორტი, ვაჭრობა), მოახერხეს უახლოეს დროში განეხორციელებინათ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რომელიც ჩვენმა პარტიამ დასახა. პარტიის XIV ყრილობის ტრიბუნიდან ამხანაგმა სტალინმა მტკიცედ მოითხოვა: „გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც შეეძლება თავისი საკუთარი ძალებით აწარმოოს საჭირო მოწყობილობა, — აი რაშია ჩვენი გენერალური ხაზის დედაარსი, საფუძველი“.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც სოციალიზმის გზაზე წარმატებით სძლევდა ყველა სიძნელეს და ყოველგვარ წინააღმდეგობას, ჩაფუშა ჩვენი შინაური და გარეშე მტრების ვარაუდი და ქვეყანა მტკიცედ წაიყვანა წინ, ინდუსტრიალიზაციის გზით; მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან ერთად, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გამარჯვებამ ახლა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა, რომ აუცილებელი იყო სოციალისტური განვითარება სოფლის მეურნეობისა, რომელიც ამ წლებში საგრძნობლად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების დონეს. პარტიამ კურსი აიღო საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობისაკენ, კოლექტივიზაციის პოლიტიკისაკენ. სოფლად დაიწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, ხოლო 1929 წლის დამლევს ბოლშევიკური პარტია გადავიდა კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან ახალ პოლიტიკაზე — მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

ქართული მწერლობის ძირითადი ბირთვი გვერდით ამოუდგა საბჭოთა ხელისუფლებას და მხატვრული სიტყვის საშუალებით ჩაება სოციალიზმის მშენებლობაში. ჩვენი ინტელიგენციის ძირითადი ნაწილი დაადგა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას. ძველი ლიტერატურული თაობის ეს მობრუნება უფრო თვალსაჩინო და აშკარა გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავზე. საკმარისია გავეცნოთ 1927 წლის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომ ამის დამადასტურებელი ფაქტები დავინახოთ. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავს გამო-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 10.

სერგი ჭილაია

ეხმაურა იმ დროის ყველა მოწინავე მწერალი. მარტო ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი ოცამდე ნაწარმოები, მათ შორის გ. ტაბიძის „1917 წელი“, ს. შანშიაშვილის „ლენინი ჯავშნოსანზე“, გ. ქუჩიშვილის „ოქტომბრისათვის“, რ. გვეტაძის „ოქტომბერი თბილისში“, დ. სულიაშვილის „ლენინი და ოქტომბერი“, ს. ჩიქოვანის „ოქტომბრიდან ოცდა შვიდამდის“, ა. მარცხულავას, კ. კალაძის, კ. ლორთქიფანიძის, ე. ზედგინიძის, ვ. გაბესკირიას და სხვათა ლექსები. ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში ფართოდ ჩაება სამწერლო ინტელიგენცია.

უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოებისათვის გადადგა საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობამ, რომელიც მოიწვიეს 1928 წელს. ამ ყრილობაზე ჩვენი მოწინავე მწერლები უფრო მტკიცედ იდგნენ გეზს საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოებისაკენ. ეს ნათლად გამოჩნდა თუნდაც ალ. აბაშელის მაგალითზე, რომლის შემოქმედებაში ადრე აშკარად იგრძნობოდა არასაბჭოური განწყობილება; ამ ყრილობის შემდეგ კი ალ. აბაშელი წერდა:

„საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობამ ცხადყო ერთი დიდი მნიშვნელოვანი ფაქტი: რომ პირველი ყრილობის შემდგომ ორ წელიწადს არ ჩაუვლია უქმად და ქართველ მწერალთა ფართო წრეები ჩაბმულან კულტურული მშენებლობის იმ დიდ პროცესში, რომელიც ასეთის ინტენსივობით წარმოებს ჩვენს ქვეყანაში. პირველმა ყრილობამ გააერთიანა მწერალთა დამოუკიდებელი და ხშირად ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი დაჯგუფებანი და განვლილმა საერთო მუშაობამ დაუახლოვა ერთმანეთს მოქიშპე ჯგუფები... თუ პირველ ყრილობას ჰქონდა უაღრესად დეკლარაციულ-ორგანიზაციული ხასიათი, მეორე ყრილობამ, დაასრულა საორგანიზაციო მუშაობა და ენერგიულად მოხაზა მომავალი საქმიანობის პერსპექტივა“. („მნათობი“, 1928 წ. № 4).

საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობის მთავარი საკითხი იყო სოციალისტური მშენებლობასთან საბჭოთა მწერლების დამოკიდებულების საკითხი. ამის გამო შენიშნავდა დემნა შენგელაია: „მწერლების ყრილობის მთავარი საკითხი. რომლის ირგვლივ ყველა ორატორები ტრიალებენ, იყო თანამედროვეობის საკითხი. მწერალი თანამედროვეობის გარე ფიქციაა. თუ ის ეპოქის ტონუსსა და პულსაციას არ გრძნობს, თუ ის არ არის შვილი თავისი ეპოქისა და მისი ინტერესებისა, ის მოწყვეტილი იქნება დროის ყველა აქტუალურ საკითხებს და ლიტერატურას გვერდით აუვლის. („მნათობი“, 1928 წ. № 4).

ეს ნათქვამი იყო გადაჭრით და მტკიცედ, ავტორი სწორად განსაზღვრავდა მწერლის ყველაზე მთავარ ამოცანას.

* * *

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე დიდი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა იმ შემოქმედებით თანამეგობრობამ, ის ნაყოფიერმა ურთიერთ ზეგავლენამ, რომელიც ჩვენი მოძმე ერების ლიტერატურათა შორის თავიდანვე დამკვიდრდა და კეთილშობილურ ტრადიციად იქცა. ქართული საბჭოთა მწერლობა, ნაციონალური თვითმყოფობის საფუძველზე მტკიცედ დაადგა ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური მწერლობის გზას. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. გორკისა და ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების მნიშვნელობა ქართული საბჭოთა მწერლობისათვის. ამ ორი დიდი მწერლის ქმნილებებში ზოგი რამ შევიდა ქართული ყოფიდან. ქართული მსოფლმხედველობიდან; იმავე დროს, მათ დიდად კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს ქართულ მწერლობაზე.

მაქსიმ გორკის სახელი ქართულ ლიტერატურას იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა. 1892 წელს თბილისში, გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, გრძელდება მ. გორკის კეთილმყოფელი გავლენა; ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ჩვენში 900-იანი წლების რევოლუციური მწერლობის განვითარებას.

მაქსიმ გორკიმ, როგორც მხატვარმა, ყველაზე ტიპიურად გამოხატა და იგრძნო რუსეთის მუშათა კლასის, სოციალისტური რევოლუციის ამ „დამკვრელი ბრიგადის“ საერთაშორისო როლი.

გორკიმ ნათლად დაინახა, რომ ახალ ვითარებაში, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა ევროპიდან რუსეთში გადმოინაცვლა და მისი მეთაური რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასი გახდა. რამდენადაც პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, არ შეიძლებოდა ამ მოძრაობის სწორუპოვარი მხატვარი გორკი მხოლოდ ნაციონალური, რუსული მოვლენა ყოფილიყო. და იგი, თავისი შემოქმედების ადრინდელი პერიოდიდანვე, სრულიად კანონზომიერად გახდა შთამაგონებელი ამ ახალი მოძრაობისა სხვა ქვეყნების ლიტერატურისათვის, და მათ შორის მაშინდელი რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს მწერლობისათვის, სადაც დაირწა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის აკვანი.

აქ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: როცა გორკის კეთილისმყოფელ გავლენაზე ვლაპარაკობთ — ეს როდი უნდა გავიგოთ გამარტივებულად და გაუბრალოებულად, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი უნდა დავუწყოთ ძებნა პერსონაჟებისა თუ მხატვრული პასაჟების უშუალო პარალელებს. არა ეს გავლენა მოჩანს XX საუკუნის ლიტერატურათა საერთო ხასიათსა და თვისებაში. ჩვენ რომ შევადაროთ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა", გორკის „დედას", ან სხვა რომელიმე ნაწარმოებს და, აქ პირდაპირი პარალელების ძებნა დავიწყოთ, ეს ამაო საქმე იქნება, მაგრამ „ტარიელ გოლუა", როგორც მხატვრული ნაწარმოები გამსჭვალულია თავის ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეებით, რევოლუციური მოძრაობის იდეებით, ისე როგორც გორკის „დედა", აი რა აკავშირებთ მათ ერთი-მეორესთან; სხვა მხრივ კი ტარიელ გოლუა სრულიად ეროვნული ხასიათია ,აღმოცენებული ქართულ ნიადაგზე, ისევე როგორც რუსული ეროვნული ხასიათია ნილოვნა, ან მისი შვილი პავლე ვლასოვი, მთავარი გმირები გორკის „დედისა": ყველა მათ აერთიანებს დიდი იდეა რევოლუციისა, ინტერნაციონალური ძმობის, რომლებმაც ერთი დროშის ქვეშ დარაზმა ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხები.

1928 წელს აღინიშნა მ. გორკის დაბადებიდან 60 წლისთავი. ქართული საზოგადოებრიობა, ქართული მწერლობა, ქართული საბჭოთა პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ მნიშვნელოვან თარიღს, ჟურნალებმა — „მნათობმა", „ქართულმა მწერლობამ," „პროლეტარულმა მწერლობამ", „დროშამ" და გაზეთებმა — „კომუნისტმა", „ზარია ვოსტოკამ", „მუშამ" და „ახალგაზრდა კომუნისტმა" ფართოდ აღნიშნეს გორკის სამოცი წლისთავის იუბილე.

1928 წლის ზაფხულში გორკი თბილისში ჩამოვიდა. საბჭოთა საქართველომ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სახელგანთქმულ მწერალს. „მე ჩემს მეორე სამშობლოში, თბილისში, — განაცხადა გორკიმ, — უკანასკნელად ვიყავი 25 წლის წინათ, 1903 წლის ივლისში, მაშინ ჩემთან ერთად იყვნენ ჩეხოვი და მხატვარი ვასნეცოვი"... დიახ, გორკი თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა საქართველოს დედაქალაქს, გორკიმ აქ ყოფნის დროს დაათვალიერა თბილისი, ზაჰესი, ესტუმრა კოჯრის პიონერთა ბანაკს, დაესწრო თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომას, მწერალთა სახლში შეხვდა და ესაუბრა ქართველ მწერლებს. მას ყველგან უღრმესი სიყვარულით და პატივისცემით ხვდებოდნენ. იმ დღეებში „მნათობი" მ. გორკისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილში აღნიშნავდა „მაქსიმ გორკი პროლეტარული ხელოვნების მართლაც უდავო ავტორიტეტია მთელს მსოფლიო ლიტერატურაში. მწერალი ცხოვრების ფსკერზე ჩაძირული მილიონებისა, მუშათა რიგებში მებრძოლი, მუდმივი თანამგზავრი ბოლშევიკური პარტიისა, ლენინის განუყრელი ამხანაგი, მსოფლიო მასშტაბის ხელოვანი — აი ვინ არის მ. გორკი. მ. გორკის იუბილე ზეიმია პროლეტარული ხელოვნების, თვით პროლეტარიატისა, რომელმაც წარმოშვა უდიდესი, მსოფლიო ხელოვანი".

მაქსიმ გორკის ნაწარმოებების თარგმნა ქართულ ენაზე დაიწყო ჯერ ისევ საუკუნის გარიჟრაჟზე, თვით მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. 1902 წელს მ. გორკის მოთხრობების ქართული თარგმანი ცალკე კრებულის სახით გამოიცა. 1928 წელს, იუბილესთან დაკავშირებით, ქართულად ითარგმნა „არტამონოვების საქმე" (თარგმანი ლ. ქიაჩელისა, „ქარიშხალა", „ფერია" (თარგმანი ნ. ზომლეთელის), ადგილები წიგნიდან „მოგონებანი ლენინზე" (თარგმანი დ. შენგელაიასი); იმავე ხანებში გამომცემლობებმა „შრომამ" და „სახელგამმა" გორკის მოთხრობები ცალკე წიგნებად გამოსცეს.

ასევე, საქართველოში დაიწყო თავისი ცხოვრების გზა საბჭოთა ლიტერატურის მეორე დიდმა ოსტატმა — ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. იგი იყო მგზნებარე მომღერალი რევოლუციისა და მისი ლექსებისა და სიტყვის გავლენას მსოფლიო მასშტაბები ჰქონდა, მთელ კონტინენტებს სწვდებოდა; მაიაკოვსკის მებრძოლი ლირიკის გავლენის კვალი უდაოდ ატყვია ალიო მირცხულავას („აი, ადამიანი") და სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ ლექსებს, რასაკვირველია აქაც, ისე როგორც აღვნიშნეთ მ. გორკის შესახებ, არ შეიძლება ვეძებოთ მოწაფეური პარალელები, აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მწერლობის იმ მებრძოლ ხასიათზე, რომელიც მაიაკოვსკის პოეტურ სახელს უკავშირდებოდა. მაიაკოვსკი იყო აქტიური შემოქმედი, პოეტი, რომელიც მუდამ ცხოვრების ცენტრში იდგა. მაიაკოვსკისებური ცხოვრებაში ღრმად შეჭრის საკითხი დიახაც იყო ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა მწერლობისათვის გზის მაჩვენებელი. აქ მწერლის წინაშე გადაშლილი იყო დიდი თემები, დიდი მასშტაბები, უჩვეულო პოეტური სითამამე და ნოვატორობა, რაც უხვად მიმადლებული ჰქონდა მაიაკოვსკის, როგორც შემოქმედს. მაიაკოვსკის ბრძოლა — ეს იყო ბრძოლა ნოვატორისა სტანდარტულობასთან, ეპიგონობასთან, არქაისტულობასთან. ახალგაზრდა ქართველი საბჭოთა მწერლობა იყენებდა ამ გამოცდილებას, იღებდა მას როგორც მაგალითს.

ვ. მაიაკოვსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლობასთან. იგი ხომ საქართველოში დაიბადა და 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გავლენა აქ განიცადა; პოეტი შემდგომშიც ხშირი სტუმარი იყო საქართველოსი, თბილისში იგი აწყობდა დიდ ლიტერატურულ საღამოებს. დამახასიათებელია ერთი შტრიხი: ვ. მაიაკოვსკი ამ საღამოებზე, თავის ლექსებთან ერთად, დიდის მგზნებარებით კით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულობდა ქართულ ენაზე ბავშვობიდანვე დასწავლილ მებრძოლ ლექსს ი. ევდოშვილისა — „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“...

ორი პოეტის შედარება ყოველთვის სახიფათოა, მით უმეტეს ორი დიდი პოეტისა, რომელნიც თავიანთი შემოქმედებით მთელ ეპოქებს მოიცავენ. ვლადიმერ მაიაკოვსკი და გალაკტიონ ტაბიძე ჭეშმარიტად ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, საოცრად ორიგინალური, განსხვავებული კონცეფციის, პოეტური ბუნების, მუსიკალური ხმებისა და ფერების მხატვრები არიან, ოღონდ მათ აერთიანებს მე-20 საუკუნის რევოლუციებთან — 1905 წლის, 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებთან განუყოფელი კავშირი. არის საერთო შტრიხები მათ ბიოგრაფიებშიც. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მოწაფეობის წლებში, 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში, როგორც ქუთაისის რევოლუციის დემონსტრაციის მონაწილენი.

1900 წელს ვლ. მაიაკოვსკი ბაღდადიდან ქუთაისში ჩამოუყვანიათ და კლასიკურ გიმნაზიაში ჩაურიცხავთ. ერთი წლით ადრე გალაკტიონ ტაბიძეც სოფელ ჭყვიშიდან ქუთაისში ჩამოუყვანიათ და სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ.

1905 წლის რევოლუციის ქუხილი და მარსელიოზას ხმები ქუთაისის ქუჩებსა და მოედნებს მოედო, სკოლებსა და თეატრებშიც შეიჭრა, გალაკტიონ ტაბიძე, ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ერთად, მონაწილეობდა დემონსტრაციაში და მუშებთან ერთად რევოლუციურ სიმღერებს — „მარსელიოზასა“ და იროდიონ ევდოშვილის ლექსს — „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ მღეროდა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ასე იგონებს რევოლუციური ქუთაისის დღეებს: „გაჩნდა სიტყვა პროკლამაცია. პროკლამაციებს ქართველები ჰკიდებდნენ, ქართველებს კაზაკები ჰკიდებდნენ, ჩემი ამხანაგები ქართველები იყვნენ. მე შემძაგდნენ კაზაკები... ქუჩებში სულ ერთიანად მარსელიოზას ჰანგები გაისმის“, აქ შეისისხლხორცა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ რევოლუციის ხმები და სიმღერები და ასე ბოლომდის მისი სულის განუყრელი ნაწილი გახდა.

გალაკტიონ ტაბიძის პირად ჩანაწერებში რამდენჯერმე არის აღწერილი 1905 წლის რევოლუციის დღეები ქუთაისში, მოწაფეთა გამოსვლები... „აქ, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, ამხანაგების წრეში წავიკითხე ლექსი „პირველი მაისი“ — სიამაყის გრძნობით იგონებს პოეტი. ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუცია ერთ საერთო გარემოში, ერთად განიცადეს ქუთაისის სკოლის მოწაფეებმა, შემდეგში რევოლუციის დიდმა პოეტებმა — ვლადიმერ მაიაკოვსკიმ და გალაკტიონ ტაბიძემ.

1906 წელს ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც მამა მოულოდნელად გარდაიცვალა, ოჯახთან ერთად, მოსკოვში გადადის საცხოვრებლად. ვლადიმერ მაიაკოვსკი ახლა მოსკოვში აგრძელებს არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობას...

1908 წელს გალაკტიონ ტაბიძე თბილისში ჩამოდის და სასულიერო სემინარიაში განაგრძობს სწავლას. რეაქციის მიერ დარბეული თბილისის, ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობით ჭრილობამოუშუშებელი საქართველოს ეროვნული ტკივილები გალაკტიონ ტაბიძემ მწვავედ განიცადა. იგი ვერ შეეგუა სემინარიის რეაქციულ სულს, წინ აღუდგა მას. პოეტის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ბურსას ვერ შევეთვისე... ვცემდი რევოლუციურ ჟურნალს „შუქს“...

1915 წელს გალაკტიონ ტაბიძე მიემგზავრება მოსკოვს, მაგრამ უსახსრობის გამო 1916 წელს უკან ბრუნდება. 1916 წლის ბოლოს. გ. ტაბიძეს კვლავ მოსკოვში ვხედავთ. 1917 წლის დასაწყისში მოსკოვიდან ბრუნდება ქუთაისს, თებერვლის რევოლუციის დღეებს და თვითმპყრობელობის ტახტის დამხობას გალაკტიონ ტაბიძე მიესალმა ცნობილი ლექსით: „დროშები ჩქარა!“ სულ მალე პოეტი მიემგზავრება პეტროგრადს და სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული დღეების მოწმე ხდება.

1918 წელს იგი საქართველოში ბრუნდება და თბილისის კონსერვატორიის დარბაზში კითხულობს ლექსს „გემი დალანდი“, ამ ლექსიდან პირველად გაისმა ქართულ პოეზიაში ლენინის სახელი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც იმ ხანებისთვის უკვე გავლილი ჰქონდა დიდი სკოლა იატაკქვეშეთისა და არალეგარული ბრძოლისა. პირველი გამოარღვევს ფუტურისტების კორპორაციას და 1918 წელს გადაჭრით აცხადებს: „საჭიროა მივესალმოთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და მოვნახოთ მასთან კონტაქტი... მე ხელს ვართმევ რევოლუციას, ჩემს რევოლუციას.“ ვლადიმერ მაიაკოვსკი გახდა სწორუპოვარი მხატვარი, პოეტი-ტრიბუნი სოციალისტური რევოლუციისა, ფუძემდებელი და წინამძღოლი საბჭოთა სოციალისტური პოეზიისა...

როგორც აღვნიშნეთ, 1922 წელს გალაკტიონ ტაბიძემ დააარსა თავისი ჟურნალი „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომელშიც იგი გამოვიდა ლოზუნგით — „განახლება ან სიკვდილი“, ხოლო ამავე ჟურნალის ფურცლებიდან იგი კვლავ აცხადებდა: „საქართველოს ორმილიონიანი თვალით ვუცქერი ახალ 1923 წელს და ვამბობ: „გაუმარჯოს რევოლუციურ საქართველოს“; ერთი წლის შემდეგ პოეტი აქვეყნებს თავის ცნობილ ლექსს: „ჩვენ, პოეტები საქართველოხი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

ეს ლექსი გახდა მანიფესტი ქართული საბჭოთა პოეზიისა, გალაკტიონ ტაბიძე კი მისი მეთაური და ფუძემდებელი.

გალაკტიონ ტაბიძე თავის წერილებსა და ლექსებში მუდამ დიდი პატივისცემით იხსენიებდა და მიმართავდა საბჭოთა სოციალისტური ლირიკის დიდოსტატს, ვლადიმერ მაიაკოვსკის. ცნობილ სტატიაში — „ლირიკა“ გალაკტიონ ტაბიძე წერს:

ამ საუბრით მე მივმართავ ჩვენს მგზნებარე ახალგაზრდობას.

მიზანი ის არის, რომ გაღვივდეს მოზარდი თაობის გონებაში ინტერესი პოეზიისადმი... ვსაუბრობ რა ლირიკის შესახებ. მე გვერდს ვუხვევ მის თეორეტიკას: ჩემი მუშაობა სავსებით შემოქმედებითი სფეროს ეხება; როგორც პოეტი და მოქალაქე, მე შეძლებისდაგვარად ვემსახურები ხალხს და რევოლუციას.

ლექსების წერა მსუბუქი შრომა როდია: ეს საქმე, ნიჭის გარდა, შემეცნებას, გამომგონებლობას, გემოვნებას, ორიგინალობას და კიდევ განვითარებულ ტექნიკას მოითხოვს, რაც მიღწეულ იქნება — მხოლოდ შეურყეველი, შეუდრეკელი, შეუპოვარი, გულდადებული მუშაობის შემდეგ სიტყვაზე: „ერთადერთი სიტყვისათვის — ათასეული ტონები სიტყვიერი მადნის“ — ამბობს მაიაკოვსკი პოეტის მუშაობაზე

ეს გარემოება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როდესაც ვლადიმერ მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიების მსგავსებაზე ვსაუბრობთ. ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ არ შეიძლება ვეძებოთ მოწაფური პარალელები, ფრაზებისა და სიტყვების დამთხვევანი. არა, აქ ლაპარაკია ორ დიდ ნოვატორ პოეტზე; მაიაკოვსკის ბრძოლა ჭეშმარიტი პოეზიისათვის, ბრძოლა პრიმიტივიზმთან. არქაისტებთან, იყო რევოლუციის დიდი პოეტის გზა და ამ პოზიციას იზიარებდა გალაკტიონ ტაბიძე.

ვლადიმერ მაიაკოვსკი იყო დიდი და განუმეორებელი ნოვატორი რუსული ლექსისა, მისმა ქმნილებებმა „ლენინი“, „კარგია“, „საბჭოთა პასპორტი“, მისმა ლირიკულმა ლექსებმა ახალ ხმაზე ააწყო ულრესად თვითმყოფი და მაღალი რუსული პოეზია.

ასევე გალაკტიონ ტაბიძე დიდი და განუმეორებელი ნოვატორია ქართული ლექსისა. მან ახალ ხმაზე ააწყო ქართული ლექსის მთელი ინსტრუმენტი, იგი სიტყვიერი ხელოვნების ნამდვილი ჯადოქარი იყო.

გ. ტაბიძე ვლადიმერ მაიაკოვსკის სახით ხედავდა რევოლუციის დიდ პოეტს, რომელიც მსოფლიო პოეზიის დროშად იქცა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ გალაკტიონ ტაბიძე, 1935 წელს, პარიზში, კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე წერს ცნობილ ლექსს „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, სადაც მაიაკოვსკი გამოცხადებულია საერთაშორისო რევოლუციური პოეზიის, სოციალისტური რეალიზმის მედროშედ. სწორედ აქ, პარიზში გალაკტიონ ტაბიძემ საკუთარი თვალით ნახა, როგორ აერთიანებდა და აკავშირებდა ერთ ბანაკად მსოფლიოს მოწინავე პოეტებს რევოლუციის დიდი პოეტის — მაიაკოვსკის სახელი: „უცებ გაბრწყინდა კონგრესი მაიაკოვსკის ხსენებით“. „ჯონ რიდისა“, „ეპოქის“ და „რევოლუციურ საქართველოს“ ავტორს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო რევოლუციის პოეტის დიდი ძალა. გიორგი ლეონიძე სამართლიანად შენიშნავს: „მაიაკოვსკის ლექსი აპობდა ცრურწმენისა და წინასწარ აღიარებული აზრების ქერქს, ანგრევდა უკვე განმტკიცებულ წარმოდგენებს პოეზიაზე. იგი აღვივებდა უჩვეულო სიახლის წინასწარ გრძნობას, სიახლისა, რომლისგანაც სული უგუბდებოდა მკითხველს. იგი გაიძულებდა, რომ გულლია და პატიოსანი მზერით, პოეტი-მოქალაქის მზერით შეგეხედნა ყოველივე შენს მიერ გაკეთებულისათვის, ყველაფრისათვის, რასაც დღეს აკეთებ, ან აპირებ გააკეთო ხვალ. აი ასე უნდა გვესმოდეს ჩვენ ვლადიმერ მაიაკოვსკის გავლენა ქართულ მწერლობაზე...“

გ. ტაბიძის პოეზია იყო გამოძახილი რევოლუციის ხანისა, ეს „იყო გუგუნი მთელი ეპოქისა“. რევოლუცია იქცა გალაკტიონ ტაბიძის სულის განუყოფელ ნაწილად.

* * *

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში ქართული საბჭოთა ლიტერატურა თავისი განვითარების ახალ ხანაში შევიდა. ამ ეტაპზე „მნათობი“ ასე განუმარტავდა მწერლებს თავის პროგრამას: „მეექვსე წელს თავისი მუშაობისას „მნათობი“ იწყებს განცხადებით: „მნათობის“ კარები ღიაა მწერლობისათვის, რომელსაც მხატვრულ მიღწევებთან ერთად აშკარად შეუგნია მარქსისტული პროლეტარული იდეოლოგიის სიძლიერე და სოციალისტური კულტურის შესაქმნელად თავის წვლილის გაღება გადაუწყვეტია. „მნათობის“ რედაქცია შეეცდება შექმნას მხატვრული ლიტერატურა ნაციონალური ფორმით და ინტერნაციონალური შინაარსით“.

ასეთი გარკვეული მოთხოვნა წაუყენა ჟურნალმა „მნათობმა“ ქართულ საბჭოთა მწერლობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმდროინდელი ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია მწერლობის ძველი თაობის მასობრივი გამოსვლა საბჭოთა ლიტერატურის პლატფორმაზე. ამასთან ერთად, საბჭოთა ლიტერატურა იზრდება რაოდენობრივადაც ალმავ-

ლობის გზას ადგას ქართული საბჭოთა პროზა, პოეზია, დრამატურგია. საკმარისია ითქვას, რომ ამ დროს გამოდის რამდენიმე დიდი ჟურნალი: „მნათობი", „ქართული მწერლობა", პროლეტარული მწერლობა", „ახალგაზრდა ლენინელი", „დროშა", რომელთა ფურცლებზე ქართველი საბჭოთა მწერლები საკმაოდ ვრცლად არიან წარმოდგენილნი.

ამ პერიოდის ქართული მწერლობის ლიტერატურული ჯგუფების დახასიათება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

1. ეს პერიოდი აღინიშნა პროლეტარული მწერლობის შემდგომი განმტკიცებითა და განვითარებით. მათ რიგებს შეემატნენ ნიჭიერი ახალგაზრდები. გაიზარდა ახალი საიმედო კადრი, თანდათანობით ამაღლდა პროლეტარული მწერლობის პრესტიჟი ქართულ მწერლობაში. ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ ამ თაობის წარმომადგენლები: ა. მაშაშვილი, ჯ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ე. ზედგინიძე, პ. ჩხიკვაძე, ი. ლისაშვილი, ს. ეული, ი. ვაკელი, ბ. ჩხეიძე, კ. ბობოხიძე, გ. კაჭახიძე, ფრ. ნაროუშვილი და სხვ. მათი ნაწერების მთავარი თემა იყო ჩვენი სოციალისტური სინამდვილე, საბჭოთა სინამდვილე.

2. ამ პერიოდის მეორე ლიტერატურულ ჯგუფში უნდა მოვიხსენიოთ ძველი თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ და ცნობილი იყვნენ „თანამგზავრების" სახელით (როგორც მათ ამ დროს უწოდებდნენ).

„ცისფერყანწელების" სკოლის თვალსაჩინო, მოწინავე წარმომადგენლები: გ. ლეონიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე თანდათან ემიჯნებიან დეკადენტური სკოლის ტრადიციებს და უახლოვდებიან საბჭოთა სინამდვილეს. ასევე ითქმის იმ მწერლებზე, რომელნიც ადრე „აკადემიურ" ჯგუფის სახელწოდებით იყვნენ გაერთიანებულნი (ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, შ. დადიანი, ილ. მოსაშვილი, ს. შანშიაშვილი და სხვ.).

საბჭოთა სინამდვილისკენ უფრო გაბედულად აიღეს კურსი ე. წ. „მემარცხენეობის" ჯგუფის მწერლებმა — ს. ჩიქოვანის, დ. შენგელაიას, ა. ბელიაშვილის, დ. გაჩეჩილაძის შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო ნათელ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა სინამდვილე.

იმ ხანებში ქართულ მწერლობაში აღმოცენდა ახალი ლიტერატურული ჯგუფი — „არიფიონი". 1928 წელს გამოვიდა ჯგუფის სპეციალური ორგანო, კრებული „არიფიონი"; მას წინ უძღოდა სალიტერატურო განცხადება, რომელიც მკითხველს აცნობდა ჯგუფის იდეურ მრწამსს; განცხადებაში აღნიშნული იყო:

„თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერჯერობით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ასოციაცია „არიფიონის" მიზანს შეადგენს ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში.

ქართული ხელოვნებისა და მწერლობის განახლება ძველი კულტურის უარყოფას კი არ გულისხმობს, არამედ მასში დამარხულ ზნეობრივ-ესთეტიურ ღირებულებათა გამოყენებას დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით.

კულტურული წარსული, აწმყო და მომავალი „არიფიონს" ორგანულ ერთეულად მიაჩნია. შემოქმედების პროცესი უაღრესად ინტიმურია და პიროვნული, მაგრამ მხატვრული სტილის შექმნას აადვილებს კოლექტივი, რომელიც აერთიანებს თავის წევრებს სულიერი ნათესაობის საფუძველზე ახალი შეგნების, შეგრძნებისა და გემოვნების დასამკვიდრებლად.

ახლის ძიებას ქართული ლიტერატურა მიმდინარე საუკუნეშივე შეუდგა. „არიფიონი" იმ ქართველ მწერლებს აკავშირებს, რომელთაც ამ გზაზე უკვე შეიძინეს საკუთარი გარკვეული სახე მეტყველებისა და ესთეტიური ხილვის. მხატვრის თვალი და ალღო თავისუფალია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვნება მიწის წვენით საზრდოობს და სინამდვილის დაკვირვებიდან გამოდის.

რევოლუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოახდინა, საბჭოთა სისტემამ ღრმად გაიდგა ფესვები ხალხის შეგრძნებაში და უზრუნველყო ჩვენი მომავალი.

„არიფიონიც" ამ ნიადაგზე მუშაობს და თავის ძალღონის მიხედვით ხელს შეუწყობს ამ საერთო სულიერ შემოქმედებას, ლიტერატურის, ხელოვნების და აზროვნების განახლებას".

ამ განცხადებას ხელს აწერდნენ ვასილ გორგაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი, ლევან მეტრეველი, ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი, პეტრე ქავთარაძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიხეილ ჯავახიშვილი.

„არიფიონის" ამ დეკლარაციაში საუბარია რევოლუციურ საქართველოზე და საკმაოდ პოლიტიკური საუბარი და ამის გამო ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს „სალიტერატურო განცხადება" რეაქციული შინაარსის იყოს, როგორც ეს რაპელებმა გამოაცხადეს 1928 წელს. აქ დაბეჭდილი ზოგი ნაწარმოებიც საბჭოთა მწერლობის ფონდში შევიდა; ასეთი იყო, მაგალითად, ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია", შალვა დადიანის „ა. თ. ე.", ილო მოსაშვილის „ულელტეხილზე" და სხვ.

ახევე რევოლუციურ საქართველოსთან დაახლოების ცდა იყო დავით სულიაშვილის „კედელი", ლევან მეტრეველის „ბოლშევიკი"... ყველაფერი ეს უთუოდ საბჭოთა მწერლობის აქტივში შედიოდა, ცხადია, კრებულში იყო ცალკეული ნაწარმოებები, რომლებიც სწორად არ ასახავდნენ სინამდვილეს, მაგრამ ეს ნაწარმოებები როდი განსაზღვრავდნენ „არიფიონის" იდეურ-პოლიტიკურ კონცეფციას.

საერთოდ, მთელი ქართული მწერლობა უფრო და უფრო მტკიცედ იბრძოდა ახლისათვის. ცდილობდა მხარი გაესწორებინა ახალი ეპოქისათვის, ამ წლებში, გალაკტიონ ტაბიძე წერდა:

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ —
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ.

ხოლო მეორეგან შენიშნავდა:

დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს —
ეს წელიწადი დღე და საათი.
არა თუ წლები გადიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი,
არის გაჭრილი კლასობრივ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.

ამავე აზრს გამოთქვამს გ. ქუჩიშვილი:

იყავ მსახური.
მუშათა კლასის,
ყოველი ლექსის
ყოველი სტროფი —
შრომის თუ ბრძოლის
მედგარ შეხლაში —
უმიზნე მტერთა,
ვით მარჯვე თოფი!

მძაფრად ილაშქრებდა უიდეობის, აპოლიტიკურობის წინააღმდეგ ჩვენი ეპოქის მოწინავე პოეტი ალიო მირცხულავა:

რად გინდა ლექსი,
უდღეური და უფერული,
საკუთარ ცისქვეშ
სიმწრის ოფლში დღეს რომ გალაქე.
ადამიანთა მოძრაობას
თუ არ ბელადობ
როგორც პოეტი,
ბოლშევიკი და მოქალაქე.

კარლო კალაძე 1927 წელს გამოქვეყნებულ ლექსში წერდა:

ხომ გვსურს ხმა ჩვენი მასის გულში
დრომ ვერ გარიყოს
და ეს მგოსნობაც მისთვის არის
გამოგონილი,
თორემ ვის უნდა, მეგობრებო, ჩემი არ
იყოს,
მთვარეს შეჰყეფდე ფრთამოტეხილ
იადონივით.

ქართული მწერლობა მასობრივად დაადგა საბჭოთა საქართველოსთან თანამშრომლობის გზას. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ 1929 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში" დაბეჭდილი ტიციან ტაბიძის წერილი „პოეზიის დღე". ავტორი ამ წერილში აღნიშნავდა:

„წინათ პოეზიის დღეს მარტო მწერლობა დღესასწაულობდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ხუთი მაისი საზოგადო ბეჭდვითი სიტყვის დღეა და მწერლობა ამ უზარმაზარ ფრონტზე მხოლოდ ერთ რაზმს წარმოადგენს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, რომ მწერლობას ახალი ძალები ემატება, გამოსული მუშათა ფენებიდან: მუშკორთა, გლეხკორთა, ახკორთა, სამხკორთა და სხვათა სახით; მთავარი სწორედ ის არის, რომ საგრძნობლად იზრდება მწერლობის კადრები. მწერლობა ხდება მასიური და მწერლობის პროფესიაც მისაწვდომი ხდება იმ ფენებისათვის, რომელნიც წინათ სოციალურ უკულმართობის წყალობით გარიყულნი და განწირულნი იყვნენ...

ეხლა მწერლობა, საგრძნობი ძალა ხდება კულტურული რევოლუციის ფრონტზე და მისი ხვედრითი წონა თანდათანობით იზრდება.

ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო დამახასიათებელია საკავშირო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქცია რომელიც მოითხოვს, აგრეთვე ხელოვნების რეკონსტრუქციასაც, რადგან ცხოვრებამ მათ შორის დაამყარა ორგანული კავშირი.

მწერლობა, რომელსაც უნდა თავისი ეპოქის გამომხატველი იყოს, ამ გზას ვერ ასცდება; წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის მოდუნება და მოკვეთა, ამიტომ მწერლობის მიღწევაც სწორედ ამ ხაზით უნდა გაიზომოს.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ წინა თაობის ოსტატობა და ცოდნა ჩვენ ეპოქაში მარტივად იქნეს გამოყენებული, პირიქით, სწორედ ამ თაობას მეტი შრომა აწევს თავზე გადატეხოს ძველი ფორმა და შეუფარდოს ეპოქის ხუნთქვას, რადგან ახალი სოციალისტური სამყარო ახალ ფორმას მოითხოვს ასახახავად და გამოსათქმელად.

ამის გარდა, ქართული ენის ნორმები არც წინათ ყოფილა ჩამოკვეთილი და ჩამოქნილი, და ამ მწერლობას უხდება ზოგჯერ საერთო მემკვიდრეობით დაყოლილი სენის გადალახვა.

ამ მიმართულებით საჭიროა საერთო ფრონტის გაშლა და სწორედ ამ გასულ წელს ეს საკითხი მეტად აქტიურად იდგა.

საკითხი დაისვა ხელისუფლების სათავეში მდგომ პირებისაგან და გადავიდა სადისკუსიო მწერლობაში: განზრახულია ქართული ენის მცოდნეთა კონგრესის მოწვევა, რომ დაკანონდეს ენის ნორმები, წინასწარ მუშაობას ეწევა საქართველოს ცაკ-თან არსებული კომისია, რო-

მელიც აგროვებს მასალებს ამ კონგრესისათვის. საზოგადო კვალიფიკაციის აწევა და სწავლის ლოზუნგი საერთოდ ქართულ მწერლობისათვის „განურჩევლად თაობისა და მიმართულებისა — დიდხანს კიდევ დარჩება აქტიურ ლოზუნგად, რადგან ბევრია გასაკეთებელი და ერთი ორი წელი ვერ ამოავსებს იმ ხრამს, რომელიც ბორკავს მწერლობის განვითარებას.

ინტერნაციონალური შინაარსით და ნაციონალური ფორმით — ასეთია ლოზუნგი ახალი კულტურისა, მაგრამ ჯერ ეს კიდევ ლოზუნგია, ამას სჭირია ხორცისა და სისხლის შედუღება, ამას სჭირია ლიტერატურული ფაქტებით გამაგრება, და რამდენადაც ეს ლოზუნგი ახალია, იმდენად მოსალოდნელია გადახრა და ძველის რეციდივიც, რომელიც უნდა გაასწოროს ხალმა და მიუდგომელმა ამხანაგურმა კრიტიკამ.

გამწვავებას შეუძლია საქმე გამოკეთების მაგიერ გააფუჭოს კიდეც, მით უმეტეს, რომ მწერლობას შეცდომა აუცილებლად ექნება, რადგან არა თუ მწერლობა, რომელიც მაინცდამაინც ვერ დაიჩემებს დიდ პოლიტიკურ ცოდნას, არამედ ბრძოლაში გამოცდილი და ნაწრთობი ხალხიც იჩენს ზოგჯერ სულმოკლეობას და პანიკას და პარტიას უხდება ბრძოლა კაპიტულანტებთან და ლიკვიდატორებთან.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა ასეთ შემთხვევაში ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულ უკრაინის კვირეულს. მოსკოვში მიწვეულ იქნა მთელი რიგი უკრაინის მწერლებისა და ხელოვნების მუშაკებისა, რომ გამოენახათ საერთო ენა რუს ამხანაგებთან თანამშრომლობის საკითხში.

ამ დელეგაციის ჩასვლამ მოსკოვში დიდი როლი ითამაშა, ორი მოძმე ხალხის წარმომადგენელნი ერთიმეორეს გაეცვნენ და გამოიმუშავეს საერთო მუშაობის გეგმა, ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ამ დაახლოვებამ თავისი ნაყოფი გამოიღო, და შემუშავდა სისტემა საკავშირო ერთა შორის თანამშრომლობისა.

რუსეთში და უკრაინაში დღე არ გავა არ გამოვიდეს ახალი წიგნი, სადაც მწერლები თარგმანებში ეცნობიან მეზობელ მწერლებს, წინათ. რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო, რადგან არა თუ მეფის მთავრობა, არამედ კერენსკის უდღეური დროებითი მთავრობაც ვერ ინელებდა რუსეთში შემავალი ერების ეროვნულ თვითგამორკვევას.

ყველას ახსოვს, როგორი რიხით ექადნებოდა ჯამბაზი კერენსკი უკრაინას 1917 წელს ავტონომიის მოთხოვნისათვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ქართველ მწერალთა ფედერაციასაც დაეტყო გამოცოცხლება, ამ ორი წლის წინათ აღძრული იყო საკითხი კავკასიაში მოსახლე ერების კულტურული დაკავშირებისა, განზრახული იყო დელეგაციის დაგზავნა ტფილისში, ერევანში, ბაქოში. წელს ეტყობა ეს საქმედ იქცა. სომეხ მწერლების მიწვევით ქართველ მწერალთა დელეგაცია მაისის ბოლო რიცხვებში მიემგზავრება ერევანში. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ყველას ახსოვს, როგორი გამწვავებული იყო წინათ ეროვნული შუღლი კავკასიაში, სადაც არა ერთხელ მომხდარა ხოცვა-ჟლეტა და ხშირად აშკარა ომი.

საერთოდ ქართველ ხელოვანთა პოლიტიკურ მუშაობაში ჩარევა, რაც გამოიხატა მწერლებისა და თეატრის მოღვაწეთა საკანონმდებლო ორგანოებში არჩევაში, კიდევ მეტ გარანტიას იძლევა, რომ ხელოვნება დაუახლოვდება მასებს და ორგანულად ჩაებმება ცხოვრების ამ მშენებლობაში.

უმთავრესი მიზანი მწერლობისა, მაინც არის მასობრივ მკითხველთან დაკავშირება და დაახლოვება. არასდროს ხალხში არ ყოფილა ასეთი წყურვილი დაწაფებოდა მწერლობას და თეატრს: შეიძლება ითქვას, რომ გასული წელი ამ შემთხვევაში უფრო რეკორდის წელი იყო“.

ასე წერდა ტიციან ტაბიძე. აბა დააკვირდით რა საოცარი გარდატეხა მოხდა მწერლობაში! სიმბოლიზმის ერთ-ერთი მეაბჯრე ქართულ მწერლობაში, რომელიც მწერლობას სრულიად ანთავისუფლებდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის მოვალეობისაგან, ახლა რა თავგამოდებით იბრძვის მუშათა აუდიტორიისათვის და მოითხოვს მწერლის განუყოფელ კავშირს „საბჭოთა ცხოვრების რიტმთან და პულსთან“.

ვნახოთ ახლა მეორე ისტორიული დოკუმენტი — „ქართული მწერლობის მიმართვა“. — ალექსანდრე აბაშელი, მწერალი, რომელიც 1921 წელს იგივეობის ნიშანს სვამდა „კრწანისის ველსა“ და „თებერვალს“ შორის, ახლა, 1927 წელს, მოხსენებით გამოდის საქართველოს მწერალთა პრეზიდიუმის სხდომაზე საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად; მისი ინიციატივით იბეჭდება აი ეს მოწოდება:

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გაფართოებულმა პრეზიდიუმმა, რომელიც აერთიანებს ქართული ლიტერატურის მუშაკებს, განურჩევლად ჯგუფებისა და პოლიტიკური მრწამსისა, მოისმინა რა თავის სხდომაზე, 8 ივნისს, კავშირის თავმჯდომარის მოქალაქე ალექსანდრე აბაშელის მოხსენება შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მიმართა ქართველ ხალხს და მთელს კულტურულ კაცობრიობას შემდეგი მოწოდებით:

1. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის, გლეხობის და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ლონისძიებათა შემწეობით მსოფლიოს ვეებერთელა ნაწილი — ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორია განთავისუფლებულ იქნა მეფის თვითნებური რეჟიმისაგან **და კომუნის-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური პარტიის ხელმძღვანელობით იქცა ხალხთა თავისუფალ ერთობის ქვეყნად მშრომელთა დიქტატურის დროშის ქვეშ.

2. მეფის გენერლების ყოველგვარი ცდა, დამარცხებული და ქვეყნიდან განდევნილი ბურჟუაზიის ყოველგვარი ღონისძიება, საერთაშორისო კაპიტალის და იმპერიალისტურ სახელმწიფოების ყველა ოინები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, დაამსხვრია საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ურყევმა ნებისყოფამ; უკანასკნელებმა ომის შემდგომი ნგრევის საშინელ პირობებში, როცა მათ იარაღიც კი არ გააჩნდათ საბრძოლველად, შემუსრეს კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, ვრანგელის და სხვ. დამარცხება და განდევნა შრომის რესპუბლიკის საზღვრებიდან; მათ მოიგერიეს პოლონეთის თავდასხმა, ეკონომიური ბლოკადა და უცხოელების ინტერვენცია. ბრძოლის ამ მძიმე, აუწერელ გაჭირვებით სავსე წლებში საბჭოთა კავშირის მშრომელებს არგუნეს საბოლოო გამარჯვება მტერზე.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მოიპოვა მშვიდობიანი შრომის უფლება, და მიუხედავად იმისა, რომ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა სამოქალაქო ომით გამოწვეული ჭრილობები, მან თავისი ძალების დაუზოგავად გაშალა მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტი.

3. მთელი მსოფლიო იმის მოწმეა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა და მუშათა კლასი მთელს თავის ყურადღებას აქცევს სამოქალაქო ომისაგან დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, ქვეყნის ახალი კულტურული ფონდის შექმნას, მუშური სახელმწიფოს საფუძვლების განმტკიცების საერთო საქმეში მოსახლეობის ყველა ქვეყნების ჩაბმას, საერთაშორისო ხასიათის საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას და საერთოდ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებას. ამრიგად, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მიერ დასახული მიზნები წარმოადგენს უკეთილშობილეს მიზნებს, მიმართულს იმ პრინციპების განხორციელებისაკენ, რომელთათვის კაცობრიობის საუკეთესო შვილები იბრძოდნენ.

4. მაგრამ მთელ რიგ წლების მანძილზე, დასავლეთ ევროპა, რომელიც თანამედროვე კულტურის კერად არის მიჩნეული, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი კლასების სახით, დაჟინებით და სისტემატურად სცდილობს დალუპოს მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ისინი ამ საქმისათვის არა თუ ახდენენ საკუთარ ცოცხალ და ფინანსიურ ძალების მობილიზაციას, არამედ საბჭოთა კავშირიდან განდევნილ ელემენტებს შორის, როგორც ქართული ემიგრაციის, ისე რუსულ მონარქიზმის რიგებიდან ფულით ყიდულობენ რევოლუციის ყველაზე უბოროტეს, ყველაზე ამორალურ მტრებს.

5. და აი, ჟენევაში ჰკლავენ ვოროვსკის, პეკინში ძარცვავენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას, ახდენენ ძალადობას საბჭოთა მოქალაქეებზე, ლონდონში არბევენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობას, სწყვეტენ დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოებთან. დაბოლოს, პოლონეთში მუხანათურად ჰკლავენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან ელჩს ამხანაგ ვოიკოვს.

6. და როცა ხდება ასეთი დიდი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტები, ჩვენ, ქართველი მწერლების იმ გაერთიანებული ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლის წევრთა უმრავლესობას შეადგენს არა კომუნისტები, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია საპროტესტოდ აღვიმაღლოთ ხმა. გავაფრთხილოთ ჩვენი ხალხი, რომ მის მომავალს, მის მშვიდობიან შრომას ემუქრება საფრთხე იმპერიალიზმის და ბურჟუაზიის მხრით, და რომ ამ საფრთხის წინაშე ქართული ლიტერატურის მოღვაწეები მშრომელი ხალხის და რევოლუციის სადარაჯოზე დგანან.

7. ჩვენ, ქართველ მწერლებს საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ ხაზი გავუსვათ ჩვენს მიერ არაერთხელ აღნიშნულ ფაქტს, რომ ოქტომბრის რევოლუციის პრინციპებზე აღმოცენებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი პოლიტიკა კიდევ უფრო მჭიდროდ აახლოვებს საბჭოთა კავშირის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლებასთან და დღითი-დღე არწმუნებს მათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული გაფურჩქვნისა და აღორძინების უპირველესი საწინდარი, კერძოდ საქართველოში, არის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და ოქტომბრის რევოლუციის დიად პრინციპების გამარჯვება.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება გვაძლევს ჩვენი ნაციონალური აღორძინების სრულ გარანტიას და მოუწოდებს კაცობრიობის კულტურულ წარმომადგენლებს აღიმაღლონ პროტესტის ხმა ჩვენი მტრების ახალი ცდის წინააღმდეგ, რომლის მიზანია კვლავ თავს დაგვატეხონ ომისა და ინტერვენციის ახალი საშინელებანი".

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი.

ამ მართლაც ღირსშესანიშნავ ისტორიულ მანიფესტს ხელს აწერენ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები: ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ მიწიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მერკვილაძე

# პოეზია და თანამედროვეობა

## ქართული ლირიკის მოქალაქეობრივი პათოსის ზოგიერთი ასპექტი

პოეზია, როგორც ერთიანი ეროვნული სულიერი ფენომენი, თავის საუკეთესო კონკრეტულ გამოვლინებებში საზრდოობს ხალხის ფიქრებით, განწყობილებებითა და იმედებით.

უპირველესად ხალხის გულისთქმა, მისი მიზანი და საქმე ასულდგმულებს პოეზიას. სწორედ ისინი პოულობენ ხატოვან ათვისებას პოეტურად მომართული გონების ძიებებსა და მიგნებებში. რა ძლიერადაც უნდა ვლინდებოდეს მასში პირადი განცდა თუ გამოცდილება, თავისი არსით იგი ხალხურია, თუ ჭეშმარიტად დიდ იდეებს არის ნაზიარები.

ეს არის არა უბრალოდ უპირველესი მოთხოვნილება და შინაგანი გარდუვალი აუცილებლობა ნამდვილი პოეზიისა, იგი, ამასთანავე, ის კრიტერიუმიცაა, რომლითაც იზომება ყოველი გარკვეული ეპოქის პოეტური აზროვნების ძალა, დროისადმი შესატყვისობა, მისი წარუვალი ესთეტიკური ღირებულება და ადამიანთა გონებაზე ზემოქმედების უნარი.

ცხოვრებისეული ყოველდღიური მწვავე პრობლემები, როგორც აუცილებლის კონკრეტული გამოვლინება, პოეზიაში აშკარავდება უკვე სულიერად გარდატეხილი და ხატოვნად აღქმულ-განზოგადებული. ამ აღქმისა და გამოხატვის ფენომენური ძალა დამოკიდებულია როგორც ტალანტის რეაგირების დონეზე, ასევე მისეული ორიენტაციისა და ხილვის სრულყოფილებაზე.

ბევრი რამ არის განპირობებული იმით, თუ რა ექცევა პოეტური ხილვის ორბიტაში; როგორია მისი საზოგადოებრივი არსიც და პირად-ინტიმური ულერადობაც, აქტუალობის შინაგანი ძალაც და ხვედრითობაც, ლოგიკური თავისთავადობაც და ეპოქის საერთო პროგრესულ განვითარებადს ტენდენციასთან შესატყვისობაც.

ამ თვალსაზრისით, ნამდვილი ლირიკოსის მიერ აღქმული სამყარო, მისი თვით ყველაზე მგრძნობიარედ გამოვლენილი „განდგომის“ შემთხვევაშიც კი, ობიექტური ჭეშმარიტების თავისებური გახსნის შინაგან კანონზომიერებას ექვემდებარება; შემოქმედის ასეთი „განმარტოება“ უნდა გავიგოთ როგორც საკუთარი გრძნობებისა და განცდების სამყარო, ინდივიდუალური ხატოვანი ქმნადობის პროცესი და არა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან მოწყვეტა, განდგომა.

ასეთი მოწყვეტა-განდგომა, რაც, როგორც წესი, დაბალი ძაბვის კამერულ ტენდენციებს ბადებს, გამორიცხულია ხოლმე იმ შემთხვევაში, თუ ლირიკოსი ქმნის ერთსა და იმავე დროს სხვებისათვისაც და „საკუთარი თავისათვისაც“; თუ მისი „განდგომა“ მაღალ პოეტურ განზოგადებაში იმგვარი გადასვლის ბედნიერი თანამთხვევაა, როდესაც ინტიმური იმპულსირებულია აგრეთვე საერთო-საზოგადოებრივით და მჭიდროდ უკავშირდება მას როგორც ინდივიდუუმის შემეცნებაში გამოვლენილი კონკრეტული პიროვნული განცდა.

ყოველთვის, როდესაც ხალხის ცხოვრებაში ჩნდება ფრიად საპასუხისმგებლო მომენტი, რომელთანაც დაკავშირებულია დიდი ძვრები სოციალურ თუ სულიერ სფეროში, როდესაც მთელი სულიერი კულტურა განსაკუთრებულ დატვირთვას იღებს და მომავალი თაობების წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობს, ერის პოეტური აზროვნება მკაცრი გამოცდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე დგება: მან — მთელი ხალხის სულიერმა ფენომენმა — ერთი მხრივ, სეისმური სიზუსტით უნდა იგრძნოს დიდი ძვრების ძალა და აღიქვას მათი მასშტაბების გრანდიოზულობა, მიაგნოს ძვრების შინაგანი ტალღების რხევას, კონკრეტულ პოეტურ სახეებში განახატოვნოს არსებითი მოვლენების არსი და თვით იქცეს თავისებურ მატერიალურ ძალად — თვალსაჩინო ზემოქმედების ფაქტორად; მეორე მხრივ, მან უნდა იკისროს ეპოქის მხატვრული მატიანეს ფუნქცია, რომელშიც თუმცა განზოგადებულად, მაგრამ სინამდვილისადმი ხაოცარი შესატყვისობითა და სიზუსტით ნაჩვენები იქნება კონკრეტულ დროში გამოვლენილი ისტორიის დიდი მოძრაობის არსი და სული. ეპოქის ამგვარი განცდა ჩამოყალიბდება როგორც პოლიტიკური და ესთეტიკური ფენომენი — მხატვრული აზრის მთლიანი პროცესის გარკვეული საფეხური.

ქართულ პოეზიას უცვლელი ანდერძივით მოჰყვება ერის ცხოვრებაში პოეტის ადგილისა და მისიის კლასიკური განსაზღვრა, ილიასა და აკაკის მიერ მოცემული. ილიას რომ პოეტი „ერის მოძმედ“ მიაჩნდა, ხოლო აკაკის „გარემოების საყვირად“, ამით გაცხადებული იყო არა მხოლოდ მათი ესთეტიკური კრედო, არამედ ამასთანავე საოცარი ძალის შემცველი ძვრების ეპოქის თავისთავადი მოთხოვნილება.

და სწორედ დიდი ქართველი კლასიკოსების მიერ უკვე ტრადიციად რეალიზებულმა ამ მოთხოვნილებამ ბევრად განაპირობა მთელი XX საუკუნის ქართული პოეზიის ხასიათი, პათოსი, შინაგანი ესთეტიკური ძალა და საზოგადოებრივი დანიშნულება.

ჩვენი საუკუნის მხატვრულ აზრს ზარის გამაფრთხილებელი გუგუნივით მოსდევს გალაკტიონის ცნობილი პოეტური შეგონება: „დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს — ეს წელიწადი, დღე და საათი.“ წელიწადის, დღისა და საათის „მოწერა“ ლექსისათვის, ისევე როგორც „გარემოების საყვირად“ ქცევა თუ „ერის მოძმის“ მძიმე ტვირთის ზიდვა, ნიშნავს ეპოქის სულის გამოხატვას, საყოველთაო-სახალხო განწყობილებათა იმგვარ პოეტურ „რეალიზაციას“, როდესაც მხატვრული სიტყვა იქცევა თვითდამკვიდრების, თვითგანმტკიცებისა და ფსიქოლოგიური თვითგახსნის ერთერთ უპირველეს საშუალებად; ხალხის უძლიერეს სულიერ თანაშემწედ თუ თანამებრძოლად; მისი რთული სულიერი ცხოვრების ამოხსნისა და გამოვლენის ფაქტორად.

რასაკვირველია, პოეზიის ამოცანა თუ მისია უფრო ფართომომცველიცაა, მაგრამ მის ეპოქისეულ ძალისხმევას, მაღალ ესთეტიკურ რეგისტრს განაპირობებს დ რ ო შ ი გ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი მ ა ღ ა ლ ი პ ო ე ტ უ რ ი ძაბვა.

შემთხვევით როდი უთქვამს პოეტს:

სული პოეტის
  სარკე არის
    სივრცის, დროისა...
...სული პოეტის
  არის მისი
    ყოფნის დღეები,
არის ფოკუსი,
ერთდებიან
  სად იდეები.

ამ სტრიქონებით გამოხატულია, უპირველესად, სწორედ ლირიკის მოქალაქეობრივი პათოსის არსი. ეს პათოსი აქ დანახულია, როგორც თანამედროვე სინამდვილისადმი პოეტური დამოკიდებულება; შენს დროსთან, „ყოფნის დღეებთან“ უწყვეტი სულიერი კავშირი და ნათესაობა. ეს — ერთი მხრივ. მეორე მხრივ, პოეტური შემოქმედება აქ აღქმულია როგორც სივრცეში გააზრებული კონკრეტული დროს არეკლვა, ხატოვან-განწყობილებითი „ფიქსირება“, როდესაც კონკრეტული დროისა და მოვლენის კვლავ გააზრება (ახლა უკვე პოეტური!) ფართო, საყოველთაო განფენას იღებს. და მესამეც, პოეტური ხილვა წარმოდგენილია როგორც გარკვეულ იდეათა თავისებური ფოკუსი.

ერთობლიობაში აღქმული ეს სამი მხარე ლირიკისა ალბათ ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს პოეზიის მოქალაქეობრივი პათოსის არსს.

ლირიკის მოქალაქეობრივი პათოსის თუ არსის ცნება ფართოდ უნდა გავიგოთ. დღეს ეს მით უფრო აუცილებელია, რადგან არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იგი მეტად ცალმხრივად, გაღარიბებულად ესახებოდათ. იგი წარმოედგინათ მხოლოდ სოციალური პლანით; როგორც საჭირბოროტო-სადღეისო პრობლემების გამოძახილი და დანამატი. ამ მხრივ მთელი კლასიკური ლიტერატურის ვებერთელა გამოცდილება და ტრადიცია უგულებელყოფილი იყო ან, უკეთეს შემთხვევაში, გაუბრალოებულად იყო გაგებული.

როცა ლირიკის მოქალაქეობრივ პათოსზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს სრულყოფილი პოეტური ფენომენი: მაღალ პოეტურ ფორმაში გაცხადებული მაღალი იდეა. შემოქმედებითს წვაში განხორციელებული მათი შესატყვისობა, ორგანული სინთეზი წარმოშობს ჭეშმარიტ ეროვნულ პოეტურ ქმნილებას. იგი ძლიერია არა მარტო იმით, რომ გარკვეული ეპოქის სულს გადმოსცემს, რომ კონკრეტულ ისტორიულ განწყობილებათა გახსნაა, რომ თავისი შემეცნებითი თუ წარმმართველი ძალის წყალობით ეხმარება ადამიანებს ცხოვრების უკეთ ორგანიზებაში და შეესაბამება მათს ესთეტიკურ გემოვნებასა და ისტორიულად გაპირობებულ მოთხოვნილებებს, არამედ იმითაც, რომ ადამიანთა შემეცნებაში ცნობიერდება როგორც გარკვეული საზოგადოებრივ-

სულიერი ყოფის შედეგიც და ძეგლიც; როგორც კონკრეტულ-ეროვნულის გამოვლენაც და საერთო-საკაცობრიო კულტურის მონაპოვარიც ერთსა და იმავე დროს.

ლიტერატურის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ეგრეთ წოდებული თანამედროვეობის თემები თითქმის ყოველთვის შეადგენდა პოეზიის მძლავრ ნაკადს; მისი „მოძალება" ყოველ ცალკე აღებულ პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურებული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში თვალსაჩინო იყო თავისი გამორჩეული ტენდენციით. მაგრამ ამ ძლიერი ნაკადიდან მხოლოდ ის შერჩენია ლიტერატურას, რომელშიც თანამედროვეობის ცნება გაიგივებული არ ყოფილა მიმველ აქტუალობასთან; პირიქით, პოეტური ტალანტის მიერ ფართო მხატვრული გააზრებით მას სხვა დროსთან გატოლების სიმაღლე შეუძენია.

ამგვარ სიმაღლეს ლირიკულ ნიმუშს აძლევს როგორც პოეტური გულწრფელობა, განცდის უშუალობა და მხატვრული სიმართლის შინაგანი ძალა, ასევე სწრაფვაც ეპოქის რიტმში უ შ უ ა ლ ო  მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს ა კ ე ნ. გულწრფელად დაწერილი, მაღალი პოეტური განცდით და პროგრესული პერსპექტივის ნიშნით აღბეჭდილი ნიჭიერი ლექსი თუ პოემა თვით შეიცავს პოეტური აზრის აქტივიზაციის ტენდენციას, ხოლო პოეტური აზრის აქტივიზაცია იბადება როგორც დიად საქმეთა განხორციელებაში უშუალო მონაწილეობის აუცილებლობა.

რუსულ ლიტერატურულ კრიტიკაში ამას წინათ დიდი კამათი მოჰყვა სტ. რასსადინის სტატიას — „წინ, პუშკინისაკენ". კამათი კი მნიშვნელოვნად იმან განაპირობა, რომ წერილის პათოსი ცალმხრივად გაიგეს. მართალია, ს. რასსადინი გარკვეულ აქცენტს აკეთებდა ეგრეთ წოდებული ტრადიციულად გაგებული „ჰარმონიული" პოეზიის სასარგებლოდ, მაგრამ ჩემი აზრით, სტატიაში გაცილებით მეტი რამ იყო თქმული, კერძოდ, საქმე შეეხებოდა პუშკინის პოეზიის აღქმას როგორც ესთეტიკურ, ისევე სოციალურ და ეროვნულ ფენომენად; არა მხოლოდ საკუთრივ პოეტიკას, ლექსის წმინდა პოეტიკურ სტრუქტურას, არამედ მასში იმგვარად განხორციელებულ ჰარმონიულობას, რომლისაც მაღალი პოეტური ხედვა ორგანულად ეთანწყობა საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ ჟღერადობას.

მხატვრული ფენომენის შეფასების სხვაგვარი კრიტერიუმი არც არსებობს. ლექსის სტრუქტურა თავისთავად არაფერს ამბობს, თუ მთლიანად შემოქმედის პოეტიკაში არ დავინახეთ გარკვეული ეპოქის პიროვნების ზნეობრივი, სოციალური და ფსიქოლოგიური ურთიერთობა მის გარემომცველ კონკრეტულ სამყაროსთან. ეს ერთი მთლიანი კომპლექსია თავისი შინაგანი რთული ხასიათით.

ამგვარად, როგორც უკვე ითქვა, მოქალაქეობრიობა პოეზიაში ფართოდ გაგებული ცნებაა (საქმე ეხება ჭეშმარიტი ხასიათის მოქალაქეობრივ პათოსს, თორემ პოეზიის — კერძოდ ლირიკის — ისტორიამ ფსევდომოქალაქეობრიობის ნებსითი თუ უნებლიე გამოვლინების საკმაოდ ბევრი მაგალითიც იცის!). იგი თავის არსით უპირისპირდება ეგრეთ წოდებული „წმინდა პოეზიის" მოდურ კონცეფციას — ამ პოეტური ინდიფერენტიზმის, გულცივი რაციონალიზმის, აპათიურობის ტენდენციას.

ლირიკის მოქალაქეობრიობის — ამ გაცნობიერებული ესთეტიკური აუცილებლობის — რწმენით არის შთაგონებული და დამუხტული თანამედროვე ლირიკის ბევრი ნიმუში.

პოეზიის მოქალაქეობრივი პათოსი გამსჭვალავს, მაგალითად, გრიგოლ აბაშიძის მომწოდებლურ სტრიქონებს: „მხოლოდ მართალი მარჯვენის მადლი, მხოლოდ მართალი შემოქმედება.,. ადიდე მძლავრი ზვირთების ზათქი, ცეცხლის გიზგიზი ღამით და დღისით და ხელთუქმნელი ძეგლები დადგი, შენი დროის და სახელის ღირსი".

ლირიკის მაღალ მოქალაქეობრივ დანიშნულებას ქადაგებს კარლო კალაძის, ხუტა ბერულავას, შოთა ნიშნიანიძის, იოსებ ნონეშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილის, რევაზ მარგიანის, ოთარ ჭელიძის, მურმან ლებანიძის, ნაზი კილასონიას და ბევრი სხვა თანამედროვე ქართველი პოეტის ჭეშმარიტად პოეტური ლირიკული ნიმუშები, რომლებშიც მაღალი იდეის გამოხატვის ოსტატობა მიღწეულია არა იმდენად დეკლარაციული ელემენტის მომარჯვებით, რამდენადაც შინაგანად დამაგნიტებული დიდი აზრის გაშუქარავებით.

...არა, სულისთქმას ვერ ჩავამწყვდევ ცივ
აკლდამაში,
ბავშვივით მიყვარს დაუნდობელ ცეცხლთან
თამაში
და თუმცა ჩემი
ბედის ცდაა, ჩემი შიშია —
ყოველთვის უფრო მიფიქრია ბედის ცდა
მაშინ,
როცა ის ცეცხლი იქნებ ჩემშიც შემინიშნია!
ვწერ, უმეტყველო დუმილისთვის არც მე
მცალია,
და ლექსიც, ლექსიც უეცარი ნაპერწკალია..
...ბრმა უმწეობა დამიხშობდა ალბათ
გონებას,
რომ დავხვედროდი მზის ამოსვლას ხმა-
გაკმედილი!..
(კ. კალაძე).

აქ ფიქსირდება პოეტის შემეცნებაში მისი ადგილისა და ამოცანის შეცნობა. აქ ჩვენ ვხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავთ აზროვნების იმგვარ შეტოლებას რეალობასთან, როცა მოვალეობის თვითშემეცნება ამავე დროს იქცევა კონკრეტული ამოცანას განზოგადებად, მისი საყოველთაობის ფუნქციის ამოხსნად.

* * *

ახლა ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია აღვნიშნოთ დღევანდელი ქართული პოეზიის ახალი თვისობრივი ტენდენცია — მისი გააქტიურება და გამდიდრება სწორედ მოქალაქეობრივი მოტივების ხარჯზე. საქმე ეხება კლასიკური პოეტური ტრადიციების ახლებურ აღორძინებას, მათს შემოქმედებითს განვითარებას.

აღნიშნული ხაზი ქართული თანამედროვე ლირიკისა თვალსაჩინოდ რომ შესუსტდა, იქნებ ეს თავისებური რეაქცია იყო ამ ოცი წლის წინათ ხშირად გამოვლენილი გაუზრალოებული პოეტური ფორმებისა, ყალბი პათეტიზმისა და ვულგარულად გაგებული პოეზიის რაობისა? ჩვენი პოეზია ხომ ამ მხრივ მარტო 20-30-იან წლებში არ ცოდავდა!

არც უამისობაა; თუმცა უფრო მართებული ის იქნებოდა ლირიკას ბოლომდე, ყველა თავის მნიშვნელოვან გამოვლინებაში შეენარჩუნებინა მაღალი მოქალაქეობრივი დატვირთვა და შინაგანი გამდიდრების წყარო თემატიკურ გამრავალფეროვნებასა და ახალ ვერსიფიკაციულ საშუალებებში მოეძებნა, ისე როგორც ამის ნიმუშები მოგვცეს გალაკტიონ ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ თუ სიმონ ჩიქოვანმა თავიანთი ბოლო პერიოდის ლირიკული ლექსების სახით.

ნათქვამი სწორად უნდა გავიგოთ. საქმე ეხება ქართული პოეზიის ახალ საფეხურს და არა მიბრუნებას უკვე გამოყენებული ფორმებისაკენ. ეს საფეხური კი იმით არის ახალი, რომ თანამედროვე მოქალაქეობრივი ლირიკა, მისი საუკეთესო ნიმუშების სახით, 20-30-იანი წლების მთელი რიგი, თვით საკმაოდ გახმაურებული ლირიკული ლექსებისაგანაც კი გამოირჩევა ახალი ხარისხით, წვდომის სხვაგვარი მანერითა და საგნის ხილვა-გახსნით.

ეს ჩვენი ცხოვრების დღევანდელი ეტაპის თავისებურებაა, როდესაც ფაქტის, მოვლენის, სახის, საგნის პოეტურმა „ათვისებამ" თითქოს კიდევ რაღაც ახალი განზომილება შეიძინა. უფრო ტევადი და მოცვითი გახდა.

უნდა ვივარაუდოთ, მაგალითად, რომ შოთა ნიშნიანიძის „კომუნისტები" ამგვარად შეიძლებოდა დაწერილიყო მხოლოდ დღეს. მასში ხორციელდება ჩვენთვის კარგად ცნობილი კომუნისტის ტრადიციული მხატვრული სახის ახალი ნიუანსირება, ეპოქის მოწინავე ადამიანის ერთგვარად ტრადიციული ჩარჩოდან ამოყვანა, ამ ჩარჩოს უჩვეულოდ გაბედული გაფართოება.

ლექსის პირველი ნაწილი, ბუნებრივად, ის გასაღებია, რომლითაც უნდა მოხერხდეს ამ ტრადიციულ თემასთან მისვლა. ამიტომ აქ ტრადიციულია ხილვის პლანიც, სახის კონკრეტული მონახაზიც და პოეტური ფაქტურაც:

…თუ კომუნისტი გქვია სახელად,
ძალა არ არის შენი მომრევი,
შენ ხალხს ეკუთვნი არა ნახევრად,
არამედ
მთელი ცხოვრებით.

ეს პოეტური პრეამბულაა და უფრო ამიტომაც იგი ტრადიციული უნდა იყოს. ხილვითი ნოვატორობის სიმძიმეს კისრულობს შემდგომი ნაწილი, სადაც ხდება ადამიანებისათვის, მომავლისათვის, სიკეთისათვის, პროგრესულსა და ჰუმანურისათვის ისტორიულად შეწირულთა სახელების თუ მითოსის გმირის გაბედული „შემოყვანა" კომუნისტთა დიდ გალერეაში.

ეს ნოვატორული შიგნება იმ ჭეშმარიტების პოეტური დასტურია, რომ კომუნისტი საკუთარ სულში უნდა ატარებდეს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე დანერგილი სიკეთისა და პროგრესის მუდმივ ღვივებადს მარცვალს, როგორც ხალხის დიდ შვილთა მემკვიდრე და საკაცობრიო მოწინავე იდეალებისათვის თავდადებული საზოგადოებრივი პიროვნება.

იყოს მემკვიდრე ყოველივე იმისა, რაც კაცობრიობის ისტორიას დაუგროვებია, როგორც პროგრესული გამოცდილება — ეს მისია თვით ისტორიამ დააკისრა კომუნისტს.

ამ ისტორიული აუცილებლობის გაცხადებაა შ. ნიშნიანიძის „კომუნისტების" პირველი მთავარი სათქმელი. და იგი ნოვატორულად ჩინებულად არის კიდეც აღქმული.

მაგრამ ესეც შორეული პლანის შემცველი ექსპოზიციაა ძირითადი სათქმელისა. ბუნებრივად, ამ ექსპოზიციური ხილვის შემდეგ უნდა მოხდეს მთავარი თემის გაშუქარავება ყველაზე უფრო ტიპიური ფაქტის, მოვლენის, სახის „გამოყენებით":

უბრალო კეპი… უბრალო პალტო..
შიმშილი… თმი… დრო რთულზე რთული..;
ის გადიოდა კრემლიდან მარტო
და ბავშვებისთვის გაჰქონდა პური.
მისი სახელი ხალხში ამზევდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის,
…ორმოცდაორის თოვლი წითელი…
ველზე გვთიბავდა ცეცხლი მყეფარე…
წამოდგა ვილაც ყრმა პირტიტველა
და სიკვდილს მკერდით გადაეფარა.
ვაშა, დიდება ძეგლებს ასვეტილს…
იბრძოლა, მოკვდა ხალხის გულისთვის,
აი ასეთი, აი ასეთი, აი ასეთი მწამს
კომუნისტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრალო კაცი, თავისი ხალხის ჭეშმარიტი შვილი, გულითადი, ამტანი, მამაცი, თავგანწირული ადამიანი — ასეთად წარმოუდგენია პოეტს კომუნისტი, ვისი სახელიც „გმირული სისხლით არის დაფერილი“. მხოლოდ ასეთ ადამიანს ანდობს ხალხი თავის ბედს და მიჰყვება განსაცდელითა თუ ხიფათით აღსავსე გზაზე, ძნელზე ძნელი დაბრკოლების გადასალახავად, წარმატებათა სიხარულის მოსაპოვებლად. ამ დიდი ნდობისა და პასუხისმგებლობის დავიწყება არ შეიძლება ერთი წუთითაც კი!

შ. ნიშნიანიძის „კომუნისტები“ სწორედ ისეთი „ეპიკური და ლირიკული გაქანების“ ლექსია, რომელზეც ამ ცოტა ხნის წინათ ლაპარაკობდა ე. ევტუშენკო. საყურადღებო ის არის, რომ ასეთი მასშტაბური, განვრცობითი, ეპიკურსარჩულოვანი ლირიკული ლექსი ქართულ პოეზიაში ახლა იშვიათი მოვლენა აღარ არის.

მათში შეიმჩნევა ბოლო ოცი წლის მანძილზე შემოჩვეული ეგრეთ წოდებული თემატური დაწვრილმანების ავადმყოფობის დაძლევის მეტად თვალსაჩინო ტენდენცია. ეს ავადმყოფობა, იგივე ე. ევტუშენკოს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გვევლინება „წყნარი პოეზიის“ პასპორტით და თავისი არსით უპირისპირდება, ებრძვის კიდეც მოქალაქეობრივ ლირიკას.

საერთოდ, თვალსაჩინოა ის ცვლილებები, რაც ბოლო დროის ლირიკაში მოხდა კომუნისტის სახის პოეტურ ინტერპრეტაციაში. ამ მხრივ გ. აბაშიძის, რ. მარგიანის, ჯ. ჩარკვიანის, ი. ნონეშვილის, ხ. ბერულავას, ო. ჭელიძის, მ. ფოცხიშვილის, ნ. კილასონიას, ნ. გურეშიძის თუ ლ. სულაბერიძის ლირიკულ ლექსებში განხორციელდა ძირითადად წარმატებული ცდა ძველი შტამპის უკუგდებისა.

მაგრამ შაბლონის დაძლევის ტენდენცია არც თუ ისე ძარღვიანი იქნებოდა ახალ ფორმათა დაძებნისა და მიგნების გარეშე. აქეთკენ სწრაფვა ქართული პოეტური აზრის პერმანენტული საზრუნავი იყო მუდამ, თუმცა ყოველთვის როდი მიიღწეოდა მკვეთრად გამორჩეული ახალი ხარისხი. თანამედროვე ქართულ ლირიკას ამჯერადაც მოუხდა საკუთარი შინაგანი ძალების განსაკუთრებული მობილიზება ამ ახალი ხარისხის შესაძენად. ბევრი საყურადღებო მონაპოვარი ამ დარგში პოეზიის ახალი ალმავლობის ერთ-ერთი მკაფიო დასტურია.

ამ თვალსაზრისით საკმაოდ თვალსაჩინო ზოგიერთი ფაქტიდან ჩვენ შევჩერდებით იმ ახალ პოეტურ ინტონაციებზე, რომელთაც შეიცავს ნაზი კილასონიას მიერ ბოლო პერიოდში დაწერილი ლექსები.

ეს არის ორატორიის ელემენტების გაბედული შემოტანა თანამედროვე ლირიკაში და ამ ჟანრის შესაძლებლობათა განვრცობის საყურადღებო ცდა.

ჩვენს ეპოქაში ამ მხრივ საინტერესო მომენტებს შეიცავდა ჯერ კიდევ გ. ტაბიძის თუ ვ. მაიაკოვსკის პოეზია, ხოლო 50-60-იან წლებში საბჭოთა ლირიკაში ამ თვალსაზრისით ახალი კვალი გაიტანეს ე. ევტუშენკომ, რ. როჟდესტვენსკიმ...

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად უადვილებდა ამოცანას ნ. კილასონიას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით.

და აი, იგი ზედიზედ აქვეყნებს თავის პოეტურ ორატორიებს: „ეს არის რწმენა დღევანდელობის“, „პათეტიკური“, „არის!“ მათში ვლინდება დიდი შინაგანი მოქალაქეობრივი პათოსიც და ვერსიფიკატორული სიახლეც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას პირველი ლექსი, სადაც ჩვენთვის მრავალჯერ ნაცნობი თემა სრულიად ახლებურ გამომეტყველებას პოულობს და, პირობითად რომ ვთქვათ, ახალ პოეტურ კატეგორიად ყალიბდება.

პოეტი ეპოქას განიცდის როგორც მის მომმართველ ძალას, ხოლო საკუთარ თავს აღიქვამს ამ ეპოქის მომღერლად, ვინც უნდა თქვას შთაგონებული „არია“ („თითქოს მილიარდი ჰალები აენთო და ჰავლთა თამაში ფერებში არია და ამ დროს პულტიდან მომიხმობს მაესტრო: — თქვენი არია-“).

აქაც, თავისებური შესავლის შემდეგ უნდა გამჟღავნდეს დიდი სათქმელი: „როგორც არასდროს! როგორც არასდროს, როგორც არასდროს მამულს ვჭირდებით!“

ეს ხაზგასმული შეცნობა აუცილებლობისა განსაკუთრებით ემთხვევა ჩვენი დღეების საყოველთაო-სახალხო განწყობილებას, დროის რიტმს, გამოხატავს მათ. ხალხი, რომელიც პოეტის შემეცნებაში სახიერდება, როგორც მიწა და სიცოცხლე, ბრძოლა და მუდმივი განახლება, არის ის ისტორიული ძალა, მთელ ეპოქებს რომ ჰქმნის, რომელთა სიდიადე მარადისობს ისტორიაში. ხალხი — მთელი ეპოქის შემოქმედი ძალა და ეპოქა — ეს ხალხის უსასრულო ძლიერების მონუმენტური ძეგლი, როგორც ურთიერთგანმაპირობებელი ცნებები, ნაზი კილასონიას ლექსებში აირეკლება მონუმენტური ხილვის ასპექტით.

ამ სიდიადის გაცნაურება, აღქმა და საკუთარ სინამდვილედ განცდა პოეტის სულის შეწირვას ითხოვს. ლირიკული პოეტური განცდების მთელი გამა — ეს არის სულიერი წვის რამდენადაც შთაგონებული, იმდენადვე მტკივნეული პროცესი.

ირგვლივ სამყაროს ფხიზელი გრძნობა-გონებით განცდამ და მახვილი თვალით ხილვამ, ეპოქის სიდიადის შეცნობამ და დიდმა შინაგანმა სულიერმა მომართვამ არ შეიძლება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოშვას დიდი იმედით აღქმული პერსპექტიული პლანი, თუმცა ეს იმედები დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან:

ეს არის რწმენა დღევანდელობის
და უფრო მეტად ხვალის-ხვალისა!

პოეტური ორატორიების მთელი ციკლი ჩინებული პოეტური ექსპერიმენტი გამოდგა ნ. კილასონიასათვის. ორატორიიდან მან აიღო მაღალი რეგისტრი, მუსიკალურ ბგერათა განსაკუთრებული თანაწყობა, კეთილხმოვანების სიმრავლე თუ მუხლებად შედგმული და ხაზგასმულ ტონალობად ქცეული მონაცვლეობითი განმეორებანი, ხოლო დრამატულ ნასკვს შეანაცვლა ზეიმურ ტონად გადაზრდილი მაჟორული განწყობილება.

რასაკვირველია, ზეაწეულმა ტონმა მის ლექსებში შექმნა პათეტიზმის ერთგვარი საშიშროებაც. მაგრამ იგი წარმატებით იყო დაძლეული პათეტიკურის ჭეშმარიტი რომანტიკული ბუნებით. არა პათეტიზმი, არამედ პათეტიკა — აი რამ განსაზღვრა ნ. კილასონიას ორატორიების პოეტური სული და იდეა. ზოგიერთო „ამოვარდნილი" სტრიქონი, ამ ლექსებში რომ გვხვდება, პოეტური ფრაზისა და სახის ერთგვარი გაშიშვლების, სწორპლანოვანი წარმოსახვის შედეგია და არა, ვთქვათ, პათეტიკური ტონისა.

ეროვნული, იდეური პათეტიკური პოეზიის ქადაგება და ახალ ფუძეზე დამკვიდრება პოეტმა მიიჩნია თანამედროვეობის აუცილებელ ესთეტიკურ ნორმად. პოეზიის მთავარი არსის პათეტიკური გააშკარავება იქცა მის უპირველეს ხატოვან სიტყვად.

* * *

ჩვენი დღეების ადამიანი მრავალმხრივად საინტერესოა არა მხოლოდ თავისი სწრაფვითა და ინტერესებით, არამედ ამ ინტერესთა რეალიზაციის საშუალებათა ძიებით, სწრაფვის მთელი შინაგანად რთული კომპლექსის განხორციელებულ რეალობად ტრანსფორმირების დაუოკებელი სურვილით.

განა ადრეც არ იყო იგი ასეთი?

რასაკვირველია; დღეს მიღწეული მისი რეალობა ასეთი პერმანენტული სწრაფვისა და ძიების შედეგია. მაგრამ პიროვნება დროის ყოველ ახალ მონაკვეთში ახალ სირთულეებთან ჭიდილისა და მათი დაძლევის აუცილებლობის წინაშე დგება ხოლმე. უკვე შეცნობილი, მოპოვებული მდგომარეობა ის თავისებური კარიბჭეა, საიდანაც იწყება ახალი საფეხური საზოგადოებრივ. ყოფიერებაში პიროვნების თვითგახსნის პრინციპის მაქსიმალური რეალიზაციისათვის.

პიროვნების ფსიქოლოგიური ორგანიზების სირთულე ყოველ ახალ საფეხურზე კიდევ უფრო ძლიერად ვლინდება, რადგან სულიერი ფენომენი გარემოს ახალ „დაწოლას" განიცდის და ყოველი ახალი სირთულე უკვე ახალ ახსნასა და წვდომას მოითხოვს.

ადამიანის ასეთი ახალი საზოგადოებრივი მდგომარეობა მხატვრული აზრისაგანაც მოითხოვს სულიერი სფეროს ახალი შრეების მოსინჯვასა და გახსნას.

ამიტომ ესთეტიკური განვითარების ყოველი ახალი საფეხური არის უკვე მიღწეულის შემდგომი გაღრმავებისა და დახვეწის, მასში სრულიად ახალი მომენტების რეალიზების, ახალი ნიუანსების შეტანის პროცესი.

როცა ყოველივე ეს ახალ კატეგორიად ყალიბდება, ჩვენ ვლაპარაკობთ ახალ საფეხურზე, მთლიანის ახალ თვისებრივ რგოლზე.

იძლევა თუ არა თანამედროვე, კერძოდ, 70-იანი წლების ქართული ლირიკის მდგომარეობა იმის საფუძველს, რომ ვაღიაროთ მისი ასეთი თვისობრივი სიახლე, კერძოდ, მოქალაქეობრივი ცალკეული მოტივების თუ მთლიანი პათოსის თვალსაზრისით?

ამ კითხვას ობიექტურად უკვე გაეცა პასუხი ზემოთ. აქ საჭირო იქნება ამ პოზიციური დასკვნის შემდგომი დადასტურება ახალი კონკრეტული მასალის მოშველიებით.

თავისთავად ცხადია, დადებითი პასუხი ამ კითხვაზე როდი ნიშნავს, რომ ქართულმა ლირიკამ ამ სფეროში მიაღწია თავის შესაძლებლობათა სრულ რეალიზაციას. როგორც ჩვენი დღეების ადამიანის ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ასევე ამ ადამიანის შინაგანი რთული სამყაროს წვდომის თვალსაზრისით ლირიკას ჯერ კიდევ ბევრი ზღუდის გადალახვა მოუწევს. მაგრამ ეს არის ერთი მხარე საკითხისა. უფრო მთავარი კი ის გახლავთ, რომ მოქმედი და აქტიური ადამიანის მრავალწახნაგოვანი სულიერი სამყარო, მისი საინტერესო სრულყოფილი გახსნისათვის, მხატვრული აზრისაგან მოითხოვს ამ სულიერი ძალების თვით ყველაზე უფრო სათუთი მოძრაობის მთელი პროცესის ნიუანსების როგორც გაგებას, ასევე შეგრძნებას.

პოეტი არის სარკე, რომელშიც
საწუთრო, როგორც ადამიანი
ამოწმებს თავის სულის სიწმინდეს.
(მ. ფოცხიშვილი)

ვინ მომცემს ძალას —
ხალხის სუნთქვას გავუთანაბრდე,
გავყვე ათასი ნაკადულის
აწკრიალებას...
... სუნთქვა, ღელვა, გულმხურვალება
ვით თესლი ხნულში —
სტრიქონებში აღმთვაცენოთ...
(რ. მარგიანი).
ცოტაა, ცეცხლი რომ აფრქვიო მარჯვნივ
და მარცხნივ,
თუ გსურს იმღერო მთელი გულით და
მთელი განცდით,

გახდი სახალხო ლაშქრობათა მედროშე
კაცი.
... გახსოვდეს მუდამ, მოწოდება რომ არა
კმარა,
რევოლუციურ დღეებს ჩვენსას დაუდექ
ფარად,
რევოლუციურ პოეზიას დიდება მარად!
(ხ. ბერულავა).

მე ვარ პოეტი,
ოქრომჭედში გაცრილი
ქვიშა,
გამოკვეთილი
ფიქვის ქერქით,
როგორც ფიქალით.
მე ვარ პოეტი,
მე დღეს ვცხოვრობ,
ეს იმას ნიშნავს,
ქურუმობს ფიქრი
საფიქრალი
და ნაფიქრალი...
(ჯ. ჩარკვიანი).

გმირობა სულ სხვა ნადირობაა,
როდესაც კალმის წვერის შეხებით
გატეხავ ღამეს და მის ნამსხვრევებს
წყალში ჩასაყრელად მხრებით შეებმები
და გასწევ ტვირთით, სადაც
მთამსვლელებს
გვანან უშველებელ კედლის მშენებლები...
და მიადგები სულ სხვა სამყაროს,
როგორც მეგობრობის ღმერთი
მულღაზანზარს...
(თ. ჭელიძე).

აქ საქმე ეხება არა იმდენად პოეტური გამოხატვის თავისთავად სირთულეს, რამდენადაც ჩვენი თანამედროვის რთულ სულიერ სამყაროში შეღწევის, მისი გარემომცველი სინამდვილის გახსნის სიძნელეებს.

ასეთ შემთხვევაში რაციონალიზმი ადვილად გასაკვლევი გზაა და, შესაბამისად, მას ჩვენ ცნობიერებაზე ზემოქმედების არც თუ ისეთი ძალა აქვს. უფრო რთული და ჭეშმარიტი გზა ლირიკისა ინდივიდუუმის შინაგანი სულიერი ხმის დაჭერა და ამეტყველებაა. მე არ ვიტყოდი, რომ ეს მხოლოდ თანამედროვე ლირიკის განმასხვავებელი ნიშანია სხვა ეტაპების ეგრეთ წოდებულ მოქალაქეობრივ ლირიკასთან შედარებით, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ხასიათის ლირიკაში დღეს იგი წამყვან ესთეტიკურ ფაქტორად იქცა.

თანამედროვეს, ვისაც გამოხატავს საგნად იღებს პოეზია, ახლა ცხოვრებისა და ყოფის მნიშვნელოვნად განსხვავებული რეჟიმი, გართულებული რიტმი და ამის შედეგად, საგნებისადმი გაცილებით სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს.

თანამედროვე ადამიანისათვის უფრო რთული გახდა ზრუნვა არა მხოლოდ საკუთარი თავის „მოწესრიგებისათვის“ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ მთელი ამ საზოგადოებრივი სინამდვილის „მოსაწესრიგებლად“ მისი მაღალადამიანური იდეალების შესაბამისად. ამიტომ მასების თვით უშუალო ძირეულ ფენებში იბადება უკვე მორალურ-საზოგადოებრივ კანონად ქცეული მოთხოვნილება მაღალი დისციპლინით ორგანიზებული ურთიერთობისა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ინიციატივა ამ თვალსაზრისით ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს შემდგომი საზოგადოებრივი თვითგაჯანსაღების, ადამიანთა ყოფიერებაში თვისობრივად ახალი ურთიერთობის დამკვიდრების კომუნისტურ პრინციპებთან შესატყვისად მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების თვითორგანიზების აშკარა ტენდენციას.

ლირიკაში „გადატანილი“ და განცდილი ეს მოვლენები განზოგადების, განვრცობის, ახალ სინამდვილედ „ქცევის“ თვალსაჩინო მასშტაბებს იძენენ, როცა საქმე ეხება ჭეშმარიტ პოეზიას, სწორედ სულის შინაგანი ხმის მოდულაციურ სიხშირეს და არა ცივი გონებით აღქმულ, მშრალი დეკლარაციული ტონით გაცხადებულ სიმართლეს.

როცა განვითარებული სოციალიზმის ლიტერატურის სპეციფიკის ნიშნებზე მიუთითებენ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების ლიტერატურაში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება „ადამიანისა და მის ღირებულებათა“ პრობლემებზე, მხედველობაში აქვთ ამ პრობლემათა ახლებური მხატვრული გადაწყვეტა (თორემ ისინი ყოველთვის იდგა ლიტერატურის ყურადღების ცენტრში!). ეს გადაწყვეტა კი ემყარება ტრადიციული პრობლემების — ჰუმანიზმის, სულიერ-ზნეობრივი სიფაქიზის, ადამიანის სულში აქტიური საწყისების მეტობის და ა. შ. — როგორც ნოვატორულ გააზრებას, ასევე მათს შევსებას პიროვნების ყოველმხრივ შესაძლებლობათა მაქსიმალური თვითგახსნის, ერთიანი პროცესის აქტივიზაციის თუ მორალურ-ეთიკური ნოვაციების, მაღალი იდეური მომართულობისა თუ ახალი სირთულეების დაძლევისაკენ ლტოლვის ტენდენციათა ნიუანსირებითა და ხაზგასმით; ემყარება ისეთი მაღალი ფსიქოლოგიური დატვირთულობის ასპექტს, რომელიც გამორიცხავს სულიერი დაცლილობის შესაძლებლობას.

ძირითადად ამით უნდა აიხსნას თანამედროვე ლირიკის ფორმის „სირთულე“. პოეტი ეძიებს გართულებული სულიერი მდგომარეობის გამოხატვის ადეკვატურ მხატვრულ საშუალებებს, როცა საქმე გვაქვს ჭეშმარიტ ვერსიფიკატორულ სიახლეებთან და არა აზრსა და გრძნობაზე ხაზგასმული ძალადობის ფორმალისტურ ტენდენციასთან.

ანა კალანდაძე (ცხადია, არა მხოლოდ იგი) ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესო ფიგურაა ქართულ პოეზიაში. სულიერი თვითგახსნის მისეული მანერა, რაც ხშირად, თვალის ერთი მოვლებით, ჰერმეტული ლირიკული „სიმშვიდის" შთაბეჭდილებას ახდენს, ფაქტიურად შინაგანად საოცრად დამუხტული სულის მოძრაობაა. ამ მოძრაობაში აღქმულია თანამედროვე ადამიანის გართულებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ამგვარი რთული ფსიქოლოგიური ხასიათის, მთელი მისი დაძაბული შინაგანი მდგომარეობის პოეტური გაამკარავება, როგორც მოვლენებსა და ფაქტებზე რეაგირება სულისა, პოეტის რწმენით, სწორედ ნახევარტონებში, საკმაოდ დიდი იმანენტური დოზით უნდა იქნას ათვისებული.

თანამედროვე ლირიკოსი არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს ინტელექტუალიზაციის სფეროს იმ ცვლილებებს, რომელსაც დაექვემდებარა ჩვენი დროის მკითხველი. დღევანდელი ადამიანი „ხელთ არ აიღებს" წიგნს, რომელშიც სწორხაზოვნად აღიქმება სინამდვილე; პირველი სტროფების წაკითხვისთანავე გვერდით გადადებს მას და არც არას დროს მიუბრუნდება. ამ თვალსაზრისით დღევანდელი პოეზია ახალი გამოცდის წინაშეა.

და მით უფრო რთულია იმ შემოქმედთა ამოცანა, ვინც ეგრეთწოდებულ „აქტუალურ" თემატიკაზე მუშაობს. ეს თემატიკა ენერგიისა და ნიჭის ორწილად მეტ დაძაბვას საჭიროებს, რომ ის, რაც თვალხილული და ხელშესახებია ჩვენი თანამედროვისათვის, ჭეშმარიტებას ახალ ხარისხში იყოს აყვანილი, უკვე ახალ ხატოვან — სიმართლედ იყოს ქცეული.

თანამედროვე ქართულ ლირიკას „სადღეისო" თემების ამგვარი პოეტური აღქმის თვალსაჩინო ნიმუშებიც მოეპოვება. ისინი არა თუ უთანაბრდებიან დღევანდელი პოეტური აზრის დონეს, არამედ ბევრ შემთხვევაში თვით განაპირობებენ ამ დონეს. მათში თემატურად თითქმის არაფერია ახალი, მაგრამ პოეზიის მუდმივ თემების „გაცხადებას" მაინც დიდი სიახლე ახლავს თან, რადგან მონახულია თემის გახსნის ახალი გასაღები, ნაპოვნია ახალი ფორმა და დაჭერილია აზრის ჩვენთვის არაჩვეული მოძრაობა.

ამის დასტურია როგორც ზემოთ განხილული მაგალითები, ასევე ბევრი სხვაც. მაგალითად, ლირიკისათვის თემატურად ახალი არ არის შეშფოთება ომის საფრთხესა და მშვიდობას შორის მოქცეული ადამიანების ბედისათვის, პიროვნების იმგვარი ლეგენდური თვითაღზევების შედეგებისათვის, როცა იგი „ღმერთად იქცევა" და განუზომლად მაღლა დგება ხალხსა და რეალურ სამყაროზე, ძალადობს გონიერებაზე. მაგრამ ეს „მუდმივი" თემა სრულიად ახლებურად აჟღერდა ირაკლი აბაშიძის ლექსში — „შეხვედრა პეკინში". მან [illegible] ჩვენი დღეების კონკრეტული შინაარსი შეიძინა, რადგან მის შინაგან მუხტად იქცა თანამედროვე ადამიანის ფიქრი და წუხილი.

პოეტი შეუცნობელი საშიში ძალის გამო შეშფოთებული იგონებს შეხვედრას მაო ძე დუნთან ტიან ან მინის მოედანზე გამართული აღლუმის დროს. იგი ხედავს საკუთარი ნებით ღმერთადქცეულ კაცს, რომელიც უსაშველოდ დაშორებია თავის ხალხს, მაღლიდან დაჰყურებს და საკუთარი ნების მორჩილად აქცევს მას. „ღმერთს შიში შობს" და სწორედ ეს ძალა განაპირობებს ამ შემთხვევაში პიროვნების დიდებას:

ო, რა ძველია,  
რა ძველი და სამუზეუმო  
ხატად განდგომა,  
        ღმერთად ქცევა,  
            ზეცას შეწვდომა...  
ბატონობს კაცი? —  
        მხოლოდ ერთი სიტყვა ზეიმობს;  
ბატონობს კაცი? —  
        სხვა რამ სიტყვა არის შეცდომა.

ქართველ პოეტს აქვს ამ ღმერთის მიმართ თავისი პრეტენზია. მისი განდიდების შარავანდს ქართველი კაცის გონებაში არ შეუძლია არ აღძრას გარკვეული ასოციაციები, შემფოთებით არ მიახედოს იგი შუა საუკუნეების ისტორიისაკენ.

მაგრამ ამ პოეტურ „ექსკურსში" მხოლოდ მისი მშფოთვარება როდი მოძრაობს; იგი სხვა ხალხების მჭმუნვარებასაც იტევს:

მაშ, ეს თქვენა ხართ?  
მზე ამ ძალთა,  
    ამ წვრილ უნასთა,  
ღმერთი ამ ტალღის  
    ამ გუგუნის  
      ამ ხმის მრისხანის...  
გეტყვით პირდაპირ:  
    თქვენს აღლუმზე,  
თქვენს ტრიბუნასთან  
მე სულში მომხვდა  
    ავბედითი ხმა ჩინგისხანის...

თანამედროვეობის პოეტურ გააზრებას მრავალგვარი პლანი აქვს და მისი ერთერთი პლანი ასეთიცაა. რამდენად გულწრფელად გამოხატავს იგი ხალხის განწყობილებას, იმდენადვე მოქალაქეობრივია და აქტიური.

სხვა „პლანებში" სხვა განწყობილებანი და რაკურსები მონაცვლეობენ. და ყველანი ისინი ერთად ქმნიან თანამედროვე ლირიკის საერთო გამას, მრავალხმოვანსა და მრავალფეროვანს.

ღ. ჭილაძის, ა. სულაკაურის, მ. ლებანიძის,

მ. მაჭავარიანის თუ ტ. ჭანტურიას ლირიკაში, ისევე როგორც ი. ნონეშვილის ფართოდ ცნობილ ე. წ. პოეტურ „სამოგზაურო“ ციკლებსა თუ ლ. სულაბერიძის ლირიკულ „მოგონებებში“ სხვადასხვა პლანით გამოვლენილი ეროვნულისა და სოციალურის აქტუალობა გამძაფრებულ ძაბვას იღებს როგორც სხვა განწყობილებებთან სინთეზირებული, თანამედროვე სწრაფვათა მთლიანობას შინაგანად დამორჩილებული მოვლენა. აქ მოტივთა, თემათა, პრობლემათა სიმახვილე თანაეწყობა პოეტური ინდივიდუალობის სტიქიას, „საკუთარი ხმის“ მუდმივს ძიებასა და მიგნების ფაქტს.

სხვადასხვაგვარი პოეტური მოვლენებია, მაგალითად, ი. აბაშიძის ზემოთხსენებული ლექსი და, ვთქვათ, ჯანსუღ ჩარკვიანის პუბლიცისტური პოემა — „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“ ან გივი გეგეჭკორის „ფეოდალი“, მაგრამ ჩემთვის ისინი აღიქმება მძაფრად შეგრძნობილი თანამედროვეობის საერთო პოზიციით.

ი. აბაშიძის დაფიქრება და პრობლემის ფილოსოფიური წვდომა, ჯ. ჩარკვიანის რომანტიკულ-მომწოდებლური გზნება და გ. გეგეჭკორის მამხილებლური პათოსი — ყოველივე ეს არის სხვადასხვა ფორმაში მოქცეული პოეტური განცდა თანამედროვეობისა; მისი სირთულეების თუ სიხარულის, სიდიადისა თუ მახინჯი მხარეების ხილვა და გააზრება სწორედ თანამედროვე ადამიანის თვალითა და გონებით. ყველაფერი ეს ლირიკის საგანია, მისი არსობის პურია. ჯ. ჩარკვიანს საოცრად ეხერხება დიდ მოვლენებზე ჭეშმარიტად პოეტური რეაგირება ჯერ კიდევ მანამ, სანამ ახლადგავლებული კვალის ბელტს მზე დაჰკრავს და მიწის პირველ სისველესა და სურნელს განუქარვებს.

შესაძლებელია, ეს ტენდენცია „წაგების“ რომელიღაც საფრთხესაც შეიცავდეს, მაგრამ „მოგების“ შანსი მასში გაცილებით მეტია, თუ პოეტური წვდომის ძალა მოვლენის არსისადმი ექვივალენტურია.

კოლხეთის თემა ერთ-ერთია იმ მუდმივ თემათა შორის, ქართულ საბჭოთა ლირიკას რომ მოჰყვება. იგი განიცდის მუდმივი ტრანსფორმირების პროცესს თემათა და პრობლემათა თვალსაზრისით. 20-იანსა და განსაკუთრებით კი 30-იან წლებში ქართულმა ლირიკამ დაამკვიდრა ამ თემის „ათვისების“ გარკვეული ტრადიცია.

ჯ. ჩარკვიანი თავის ახალ კოლხურ პოემაში ცდილობს ამ თემის ახლებურ გააზრებას დროის ამოცანების შესატყვისად. გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კონსტანტინე ჭიჭინაძის და სხვათა „კოლხური“ პოეტური ტრადიციების აღორძინება დღეს ვეღარ მოხერხდება, რადგანაც უბრალოდ, იგი ქართული ლირიკის ერთი გარკვეული საფეხურია. ამიტომ ესწრაფვის პოეტი განსხვავებულ ფორმას — ქმნის პუბლიცისტურ-პათეტიკურ საწყისებზე დამკვიდრებულ პოეტურ ეპოსს.

მომწოდებლური ტონი, ახალგაზრდული ენერგიის ახლებური „აფეთქება“, მეტი კონკრეტული სინამდვილისა და სახეების შემოტანა ეპოსის პლანში, თანამედროვე ეპოსისათვის „გარდუვალი“ ლირიკული ელემენტი — ამგვარი სიახლეები აყალიბებს, ძირითადად, ჩარკვიანისეული ახალი კოლხური პოეტური ეპოსის არსს. უთუოდ მისი ახლებური ინტონაციებია:

ხან მიგლოვია,
ხან დავკოდილვარ,
გავმართულვარ და ისევ მოვხრილვარ,
მაინც ვხმაურობ,
მაინც მოვდივარ,
მაინც ვიბრძვი და
მაინც კოლხი ვარ.

ამ რწმენას უნდა მოჰყვეს სულის ერთგულებისა და ნების უტეხობის პოეტური გაცხადება, აუცილებლობის იმგვარი გაცნობიერება, როდესაც იგი ფიცადაც იქცევა. ესეც გარკვეული პოეტური ნოვაციაა:

ამ სიყვარულის სით ვიდრე ჰქრის,
ვიდრე ვამაყობ საქართველოთი,
შენთან ვიყავი, შენთან ვიდექი
და შენს დაძახილს მარად ველოდი...
...მუხლმოდრეკილი მე შენ წინაშე
ვდგევარ და ველი ახალ დაძახილს.

შემდეგ — ტრადიციული პოეტური წარმოსახვა ადამიანის წვისა და თავდადებისა — ამ დიდი შემოქმედებითი პროცესისა — და ისევ ნოვატორული წიაღსვლა — კვლავ მოწოდება ახალი დიდი საქმეებისაკენ („ვინც ხართ მოყვარე და ჩვენებური, კოლხეთისაკენ იარ ნაბიჯით“).

პოემის პათეტიკური, ორატორული პათოსი ეწვნის პოეტური სენტენციების წყებას, რომელთა საგანია არა ბანალური შეგონებები, არამედ სულის ახალი ორგანიზების აუცილებლობა, ახალ ჭეშმარიტებათა — როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების ახალი შედეგების — დამკვიდრება.

ამ სენტენციებს მრავალი მისამართი აქვს. იგი, სხვებთან ერთად, პოემის ლირიკულ გმირსაც „ეგზავნება“ და საკუთარ პოეტურ დეკლარაციასაც შეიცავს. ეს დეკლარაცია განმტკიცებულია ექოსმიერი დასტურით:

შვილად გექმნები
და ცაზე მზეს ავიტან.
ხმაი ზეგნებიდან:
ცხად არს, ჭეშმარიტად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ემყარება გ. გეგეჭკორის „ფეოდალის“ მოქალაქეობრივი პათოსი? იმასვე, რასაც ი. აბაშიძის ლექსისა თუ ჯ. ჩარკვიანის პოემისა: მეტად გამძაფრებული აქტუალობის გრძნობას, მოვლენის არსის სიღრმის წვდომას და მომწოდებლურ ტონს. აქ უკვე ობიექტურად გამოვლენილს. როგორც წინა ორ შემთხვევაში, აქაც დიდია გრძნობა მორალური და სოციალური. პასუხისმგებლობისა პოეტის ირგვლივ არსებული სინამდვილისათვის.

„ფეოდალში“ დახატულია პიროვნების სულიერი დეგრადირების პროცესი და მისი შემზარავი შედეგი. ამ „გოროზი, გულღვარძლიანი და თავგასული თანამედროვე ფოლადის“ მთელი სულიერი „სარჩული“ აქ ამობრუნებულია და დაუნდობლად გამომზეურებული.

ამ „ტალახიანი“ სულისა და ბინძური სიტყვის კაცმა ახლა უკეთ ისწავლა ნიღბის მორგება, ვიდრე ამას ახერხებდა დღემდე ვინმე. ერთია მისი ბრჭყვიალა, „საგარეო“ მოსასხამი, მეორეა „შინაგანი“ სულის ჭუჭყი და ბინძური ნალექი: „ის საქართველოს სვამს სადღეგრძელოს“, მაგრამ „ხვალ რომ დასჭირდეს, საქართველოს ისევ გაყიდის“. ამასთან, ეს ნიღაბი ყოველთვის როდი ჭირდება მას; დგება წამები, როდესაც მისი უტიფრობა ნიღაბს იგლეჯს და შიშვლდება თანამემამულეთა წინაშე, ვისაც, ქონების ძალით გონება-დახშული, არარად აგდებს. მის არსებაში ერთმანეთს შერწყმია თვალთმაქცობაც, თავხედობაც, უტიფრობაც, უხამსობაც, უვიცობაც, პატივმოყვარეობაც და ამით მისი სული ნეხვით ავსებულ „ბოსლად“ ქცეულა.

თავისთავად შემზარავია ამის შეცნობა, მაგრამ უფრო შემზარავი ის იქნება, თუ ეს გაცნობიერება ინფორმაციად გექცევა მხოლოდ.

და აი, მხილების პათოსიდან ხდება მკვეთრი მომწოდებლური შემობრუნება, როდესაც ლექსის სტრიქონები უკვე ახალ სოციალურ-პოლიტიკურ-ესთეტიკურ დატვირთვას კისრულობენ:

კაცი ურცხვი და უტიფარი თავს დაგდგომია.
ხმა ამოიღე,
დამნაშავეს გადაელობე,
არ დაიხიო,
ესეც ომია!

შედარებით შიშვლად არის ნათქვამი? შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ისეთ შინაგან ექსპრესიას ემორჩილება აქ აზრი და სიტყვა, ისეთი მომმართველი მექანიზმი ძევს მის სიღრმეში, რომ ეს „სიშიშვლე“ იფარება ჩვენი დღეების პათოსითა და საბოლოოდ დასამკვიდრებელი სიწმინდის აუცილებლობის უშუალო შეცნობით.

ამბობენ, პოეზიას თანამედროვეობა კვებავსო. თანამედროვეობა კი — ეს არის რთული კომპლექსი მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისა მისი განვითარებადი, მომავალს დამიზნებული ტენდენციებით.

მოქალაქეობრივი ლირიკის ძალაც ის არის, თუ რამდენად ჭეშმარიტად, სრულყოფილად აისახება მასში თანამედროვე ცხოვრების ყოველი აშკარა თუ ფარული მდინარება, დროის საერთო მაჯისცემა, ხალხის სულის მოძრაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

# ახალი პოეტური ხმების ოსტატი

ლიტერატურაში მკვეთრად განსხვავებული, უაღრესად თავისებური პოეტური ტალანტის გამოჩენა არაერთხელ გამხდარა თანამედროვეთა დაეჭვებისა და ორჭოფობის მიზეზი. აქ გასაკვირველი არაფერია: უკვე გაბატონებულ პოეტურ აზროვნებას, ფორმასა და გამომსახველობით საშუალებებს შეჩვეული საზოგადოების გემოვნება ხშირად დიდხანს ვერ ეგუება ახალ, მოულოდნელ პოეტურ ხილვებსა და წარმოსახვებს, მომეტებულად გაუცხოებულ, უჩვეულო პოეტურ აზროვნებასა და ფორმას, ვიდრე ნიჭიერი პოეტის გამუდმებული შემოქმედებითი ძიებით მიკვლეულსა და აღმოჩენილ ყოველგვარ აზრობრივ თუ ფორმალურ პოეტურ სიახლეს, თუ ის ჭეშმარიტებასთან წილნაყარია, დრო არ აქცევს ბუნებრივ ლიტერატურულ კანონად.

ამის მაგალითი პოეზიის ისტორიაში უამრავია. მკვეთრად გამორჩეული ინდივიდუალური შემოქმედების მქონე პოეტები ხშირად იძლევიან როგორც გაოცებისა და აღფრთოვანებით, ისე დაეჭვებისა და ორჭოფობის საბაბს, რადგან პოეზიას უყვარს მოულოდნელობაცა და უცნაურობაც.

სიმონ ჩიქოვანი იმ დროს გამოჩნდა ქართული ლიტერატურის სარბიელზე, როცა მეოცე საუკუნის ახალი ქართული პოეზია უკვე დამშვენებული იყო გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილებით“ და ქართული პოეტური სიტყვის სადავე, გალაკტიონთან ერთად, ხელთ ეპყრა „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ ჯგუფს, რომელთა ლიდერები ქვეშეცნეულად, კეთილშობილი იდუმალი ზრახვებით, იქნებ პირველობასაც კი ეცილებოდნენ დიდ პოეტს... ამ პოეტებს გავლილი ჰქონდათ სიმბოლისტური პოეზიის სკოლა და ახალ, მოდერნიზებულ პოეტურ სიტყვას, პოეტიკას თითქმის აბსოლუტურად ფლობდნენ. ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანი გუმანით მიხვდა — მათ გვერდით, მათ მიერ დამკვიდრებული ლიტერატურული პრინციპებითა და გამომსახველობითი საშუალებებით შეუძლებელი თუ არა, მომეტებულად ძნელი იყო რაიმე ახალის თქმა პოეზიაში და უმალვე თვით გახდა მეორე ლიტერატურული მიმდინარეობის — ფუტურიზმის ერთ-ერთი ლიდერი და ამით სავსებით გაემიჯნა მაშინდელ ყველა სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებას; სიმონ ჩიქოვანის ამ პერიოდის შემოქმედება მით არის საინტერესო, რომ, თუმცა პოეტი მცდარ ლიტერატურულ პოზიციაზე დგას, მის ლექსებში მაინც მკაფიოდ შეინიშნება რაღაც ერთგვარი პოეტური ხიბლი, საკუთარი პოეტური გზის დაუოკებელი ძიების ჟინი, ჭეშმარიტად დაუოკებელი ძიების ჟინი, რის საფუძველზეც პოეტმა ისეთი ღრმა, თავისებური, ნათელი და, ამავე დროს, სასიამოვნო იდუმალებით მოცული პოეზია შექმნა, შეიძლება მეორე მაგალითი ვერც დავასახელოთ, რომელზედაც თანამედროვეთა ამდენი სხვადასხვა აზრი არსებობდეს...

სიმონ ჩიქოვანის პოეზიის განუმეორებელი, იდუმალი თავისებურება, ხიბლი სწორედ მისი პოეტური სტილითა და სინტაქსური წყობით ცნაურდება უპირატესად.

„სინტაქსი სულის უნარია“, წერს პოლ ვალერი და აქ უსათუოდ იგულისხმება დიდი პოეტური ინტელექტიცა და ნატიფი გემოვნებაც, პოეტური სიტყვის შერჩევა და მისი სტრიქონში თავის ადგილას ბუნებრივად ჩასმა, მოწესრიგება, არ არის მარტო ნიჭის საქმე. „ნიჭი ჰბაძავს ბუნებას, გემოვნება შთააგონებს არჩევანს“, ამბობს დენი დიდრო და იქვე დასძენს: „ამასთან ერთად, მანჭიაობას მე გაუთლელობა მირჩევნია“. და მართლაც, არაფერი ისე არ ამჟღავნებს ადამიანის უგემოვნობასა და სულის სიღარიბეს, როგორც უადგილო „მანჭვაგრეხა“, მოსაწყენი მანერულობა, არა მარტო

პოეზიაში, არამედ ცხოვრებაშიც. რაც შეეხება „გაუთლელობას", მართლაც, ზოგჯერ ის სასიამოვნოც კი არის, რასაც ხშირად თან ახლავს შემოქმედების წუთებში მიღებული პირველადქმნილი სიწმინდე და უბიწოება, რომელიც მომეტებული ემოციურობით გვაგრძნობინებს პოეტურ აზრს, იმ რაღაც უხილავს, რასაც პოეზიას ვუწოდებთ.

ამგვარ დამოკიდებულებას პოეტურ ფრაზასთან, უფრო მეტად, მეოცე საუკუნის პოეტებს შორის სრულიად განსხვავებული ორი სხვადასხვა სტილის პოეტის — ტიციან ტაბიძისა და სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში ვხვდებით, რაც მათი შემოქმედებითი დაუდევრობით კი არ არის გამოწვეული, არამედ მათი შესაშური პოეტური უცნაურობით, რითაც ისინი, თითქმის ყოველთვის აღწევენ მოულოდნელობას, მოულოდნელობას, რომელიც ჩვენში იწვევს გაოცებასა და დიდ ემოციას. და ეს ეგრეთწოდებული „პოეტური უცნაურობა" სრულიად არ გულისხმობს „მომხიბვლელი ლამაზ" ბუნდოვანებას, რომელსაც ხშირად მიმართავენ ხოლმე სულიერი სიცარიელისა და პოეტური აზრის სიღარიბის დასაფარავად.

პოეტური აზრის მომეტებულად თავისებურად, „უცნაურად" გამოთქმის დიდი წყურვილის მეოხებით არცთუ ისე იშვიათად ვხვდებით სიმონ ჩიქოვანის ლირიკულ ქმნილებებში რამდენადმე უხერხულად გაწყობილ პოეტურ ფრაზას, გამოთქმას, მაგრამ პოეტი იქვე დიდ სიამოვნებას გვანიჭებს ცინცხალი პოეტური აზრის სიმკვირცხლით, წრფელი, ხელოვნურად შეუფერავი, ხორკლიანი, ნედლი მხატვრული სიტყვის კეთილშობილი დამორჩილებით, რითაც პოეტური სულის მოულოდნელ, უმშვენიერეს ნახატს ქმნის. და სწორედ აქ მოჩანს პოეტის უეჭველად დიდი ინტელექტიცა და ფაქიზი გემოვნებაც. „მე ზოგჯერ ერთი უბრალო სიტყვა ან უცნაური გამოთქმა უფრო მეტს მაგრძნობინებს, ვინემ ათი ლამაზი ფრაზა" გვასწავლის ისევ დიდრო; პოეტური აზრის, სიტყვის შერჩევისა და სტრიქონის უცნაურად გამოთქმისა თუ შექმნის საიდუმლოება თავისი თაობის პოეტებს შორის, ეჭვი არაა, ყველაზე უკეთ სიმონ ჩიქოვანს ხელეწიფოდა...

სიმონ ჩიქოვანის ლირიკული ლექსების კითხვისას ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სტრიქონები ერთმანეთს არც კი ეხებიან, განცალკევებით დგანან, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქმნიან პოეტურ სახეს; მაგრამ ხშირად, როცა მისი დამუხტული სტრიქონები თავისებური რიტმული რხევის დროს ერთმანეთს ეჯახებიან, ფერთა იმგვარ ნათებას გამოსცემენ, ერთბაშად ავსებენ ჩვენ სულს მშვენიერების შეგრძნებით, ძალდაუტანებლად გადავყავართ რთული პოეტური ხილვებისა და წარმოსახვების იდუმალებით მოცულ სფეროში, ოღონდ იქ მიღებული შთაბეჭდილებების გამოსათქმელად სიტყვები არ გვყოფნის, უცხო პოეტური სანახაობით გაოცებული, მეტი გულისყურით, ისევ პოეტის სტრიქონებს ვუბრუნდებით და პოეტურ აზრს, ლირიკულ ჩანაფიქრს, სტრიქონსა და სტრიქონს შუა გავლებული უხილავი ხაზების ხინატიფეს ყოველი წაკითხვისას ახალი ძალით აღვიქვამთ.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური პალიტრა ჩვენი მიწისა და მზის უამრავ ფერთა ნაზავით ისეა განათებული, გვეჩვენება: პოეტის ლირიკული ლექსები, როგორც მზის ჩასვლისას მისი საყვარელი ბროწეულისა და ზეთისხილის ხეები, გარემოცული არიან რაღაც გამჭვირვალე, სასიამო მწვანე ბურუსით და, როცა ჩვენ მათ ვკითხულობთ ან ვუცქერით, პოეტური აზრის სრულყოფილება, პოეზიის მშვენიერება უფრო თვალით აღიქმება,, ვინემ ყურით. ამას ქვეშეცნეულად, გუმანით გრძნობს პოეტი და შემოქმედებითი შთაგონებით ეგზალტირებული მუდამ განსხვავებული პოეტური ხმების, ინტონაციისა და კილოს ძიებაშია, თავდავიწყებით ილწვის გემოვნებით შესრულებული ფერწერული ნახატისა და გალობის შერწყმისათვის; პოეტი მიმართავს შთაგონებას: „შენ გამიღრმავე ზღვისფერი თვალი და განმარიდე სოფლის სიავეს" და მერე დაეჭვებული შთაგონების დედას ევედრება: „სმენა არა მაქვს და გალობას ვბედავ, მოდი, მაჩუქე ბუნების თვალი". და „ბუნების თვალი" სწორედ ის ფენომენია, რომელიც ყველაზე კარგად ხედავს და გრძნობს სამყაროში გაბნეულ მშვენიერებასაცა და ცხოვრებისეული მოვლენებისა და საგნების დიდ ჰარმონიულობასაც! ამ ჰარმონიის შეგრძნებისათვის ილწვის პოეტი და სამყაროს სრულყოფილად აღქმისათვის უფრო სულის შინაგან სმენაზე გადააქვს აქცენტი, რამეთუ გალობის დროს მარტო ყურს ბოლომდე ვერ ენდობა. ამ შინაგანი სმენის მეოხებით აღწევს იგი პოეზიის იმ იდუმალი ნათების ხილვას, რომელიც ამაღლებული სულის ხვედრია მუდამ. შინაგანი სმენით ამყარებს კავშირს გარე სამყაროსთან, ხოლო მისი გამჭრიახი თვალი მომეტებული ემოციურობით აღიქვამს „ხილულ მშვენიერებას" და პოეტს ხანდახან ეჩვენება: სადღაც თითქოს ხმა ღალატობს და სტრიქონებს ათასნაირი ფერებით შეზავებულ სალებავს უფრო ქარბად ურთავს, ხელნაწერს აყვავებულ ბაღნარს, ცხელ ლადარს ადარებს, ლექსის განუყრელ მშვენებად ფერი ესახება, მაგრამ ამაღლებული პოეზიის ღირსებად მაინც კეთილხმოვანება და უზადო გალობა მიაჩნია.

ხელნაწერი ჰგავს ბაღნარს და ლადარს,
ვგონებ, ფერია მშვენება ლექსის,
მაგრამ როდესაც განვლილ დღეს ვხატავ,
მე ავთანდილის გალობა მესმის.

ბიბლიოთეკა

. . . . . . . .   . .

ხმების ოსტატი არა ვარ, ვიცი,
ხმა მიწყდება თუ მიწივის ყური,
მე მხოლოდ ხილულ მშვენებით ვიწვი
და ბალს მიაგავს პატარა გული.

. . . . . . . . . . .

ამიტომ, სანამ სალებავს ვურთავ,
ან წრფელი ჰანგი სტრიქონებს ბადებს,
მეგობარ მკითხველს გულისთქმა ვუთხარ,
რომ ხმის ჰაშნიკი აიღოს ადრე...

როცა ხმის კილოს და გულის კოკორს,
ყურით და თვალით გასინჯავს ტოლი;
მაშინ შეგრჩება გალობა, როგორც
ირმის ნახტომით შექმნილი ზოლი.

სიმონ ჩიქოვანის რთული პოეტური წარმოსახვები, მოულოდნელი მხატვრული სახის იდუმალი ხილვისა და საგნის შინაგანი არსის ბოლომდე წვდომის დიდი უნარი ხანდახან ვერ გუობს ლექსის აჩქარებულ რიტმს, სტრიქონის თავისუფალ, მსუბუქ მიმოხვრას. ღრმა პოეტური აზრის ემოციურად, შთამბეჭდავად გამოთქმის წყურვილი თუ აუცილებლობა პოეტს აიძულებს, მხატვრული სახის თავისებურად გამოსახვისა და სტრიქონის უცნაურად დატრიალებისათვის მეტი იზრუნოს, ვიდრე მათი ელასტიურობისა და ჰაეროვნებისათვის. პოეტი შემოქმედების ბედნიერ წუთებში ლექსს უფრო ახლად აღმოჩენილი თუ მიკვლეული სახეებითა და ფერებით ტვირთავს, რის გამოც მისი სტრიქონი შეიძლება რამდენადმე მოკლებული იყოს კლასიკურ სისადავესა და უშუალობას, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი მეტ სინედლესა და სიცოცხლის უნარს იძენენ. და აქ იკვეთება სწორედ პოეტის სტილისა და აზროვნების, საერთოდ მისი პოეზიის განუმეორებელი, მიმზიდველი სახიერება.

მაგრამ ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სიმონ ჩიქოვანი არ იზიარებდა კლასიკური პოეზიის პრინციპებს. პირიქით: პოეტი ახალგაზრდობიდანვე დაეწაფა დიდი რუსი და ქართველი პოეტების შემოქმედებას და მათი გამოცდილების გათვალისწინებით შესძლო მეოცე საუკუნის ქართული ლექსის ერთგვარი მოდიფიცირება და ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიების შედეგად საგრძნობლად გაამდიდრა ქართული ლიტერატურა ახალი პოეტური ხმებით, ინტონაციითა და ტონალობით პოეზიაზე ფანატიკურად შეყვარებული არასოდეს არ კმაყოფილდებოდა ერთხელ მიღწეულით, მუდამ თანახლდა უკმარისობის გრძნობა და ზოგჯერ შემოქმედების დაუოკებელი წყურვილით გაღიზიანებული, როგორც ვნახეთ, გამომწვევად აცხადებდა: „ხმების ოსტატი არა ვარ, ვიცი, ხმა მიწყდება თუ მიწივის ყური“, და აქ ეშველებოდა პოეტს თავისი დიდი შინაგანი სმენა და ფხიზელი თვალი, რისი მეოხებითაც ასე თავისებურად ხედავდა და აღიქვამდა სინამდვილეს.

სიმონ ჩიქოვანმა, ფუტურისტული პოეტიკის გავლენით, მომეტებულად რთული ექსპერიმენტები ჩაატარა ფორმალური და თემატიკური თვალსაზრისით. მაგრამ ყოველივე ამას შეუმცდარი გემოვნებისა და ინტუიციის წყალობით, მალე დააღწია თავი და ოცდაათიან წლებში იგი მოგვევლინა როგორც ორიგინალური მუსიკალური ტონალობისა და ზედმიწევნით თავისებური ხელწერის პოეტი. ეს იყო დრო, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა ახალი ფაბრიკა-ქარხნების დაუცხრომელი მშენებლობა, ქვეყნის ელექტროფიკაცია, მთლიანი კოლექტივიზაცია. ამ პერიოდში შექმნა პოეტმა მთელი რიგი საინტერესო ლირიკული ლექსები: „შემოღამება ხახმატში“, „ხევსურული ძროხა“, „უშგული“, „ვაჟა-ფშაველას ბილიკებზე“, „განშორების საღამო“ და ბევრი სხვა, სადაც იგი ცოცხლად და შთამბეჭდავად გამოხატავდა ახალი ცხოვრების აღმავლობას, ახალი ადამიანის ფიქრებსა და კეთილშობილ შინაგან ზრახვებს, მაგრამ სიმონ ჩიქოვანის პოეტური ნიჭი მთელი თავისი შესაძლებლობით გაიშალა და გამოვლინდა, როცა მან ორმოციან წლებში ზედიზედ გამოაქვეყნა უაღრესად რთული ფსიქოლოგიური და ღრმა პოეტური აზრის შემცველი მთელი რიგი ციკლები ლირიკული ლექსებისა და თავისი ერთ-ერთი საუკეთესო პოემა „დავით გურამიშვილი“.

სიმონ ჩიქოვანი მწვავე ეროვნული ტკივილით აღიქვამდა ქართველი ხალხის დიდი კატაკლიზმებით სავსე ისტორიულ წარსულს. მას თანდაყოლილი ჰქონდა მოუწყინარი მოგზაურობის ჟინი და ხშირი სტუმარი იყო სვანეთის ციხე-კოშკების, ფშავ-ხევსურეთის, მიუვალი ადგილებისა და ძველი ციხე-ტაძრებისა, თმოგვისა და ვარძიის ზღაპრული მღვიმეების. გახარებული თვალით შესცქეროდა წინაპარ დიდოსტატთა განსაცვიფრებელ ნააზრევსა და ნახელავს, ქვაზე აღბეჭდილ მათ სიბრძნესა და ნატიფ გემოვნებას და მერე ამაყად აცხადებდა: „აღბეჭდილი ვარ სიცოცხლე ერთი თმოგვის ქვაზე და კოლხურ გუთანზე“. დიახ, ქართველი ხალხის დიდი სულიერი საგანძურისა და მატერიალური კულტურის შეგრძნებითა და შეგნებით შთაგონებულმა შექმნა საქართველოზე დაუვიწყარი სტრიქონები:

ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!
აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები — შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.
გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით,
წყალი მქუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით.
წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი — ძლეული გაფრენილ ცხენით,
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთად აღბეჭდილი ქართველის რწმენით.
შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.
ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

როგორი მკაცრი კრიტიკული თვალითაც არ უნდა შეხედოთ ამ ლექსის სტრუქტურულ აღნაგობას, არ შეიძლება, აღტაცებაში არ მოხვიდეთ და სიამოვნება არ იგრძნოთ პოეტური თემის ორიგინალურად გადაწყვეტითა და ღრმა ლირიკული ჩანაფიქრის ემოციურად გადმოცემის დიდი ოსტატობით. ამ ლექსში, როგორც იტყვიან, სულმოუთქმელად, თითქოს და კალმის ერთი მოსმით ახერხებს პოეტი, თვალწინ გადაგვიშალოს სამშობლოს დიდი ისტორიული წარსული, ქართველი ხალხის უსაზღვრო შემოქმედებითი ენერგია და სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც საქართველოს მთებსა და მაღლობზე გაშენებული ტაძრებისა და ციხე-კოშკების კედლებზე მეტად მეტყველი ფერებითა და ორნამენტებითაა აღბეჭდილი და მათი რაოდენობა თითქოს იმდენივეა, რამდენი მთა და მაღლობიცაა ჩვენში.

სიმონ ჩიქოვანმა დიდი სამამულო ომის წლებში შექმნა პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც ორიგინალური მოფიქრებითა და გააზრებით მკვეთრად გამოირჩევიან იმდროინდელ ქართულ პოეზიაში. ეს ლექსები გახლავთ: „თავსაფარი“, „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, „დაჭრილი“, „მტრის თვითმფრინავების თავდასხმის დროს თქმული“, „ჯამის ნამსხვრევები“, „ქართველი დედა“ და ბევრი სხვა, რითაც პოეტი გულწრფელად მოუწოდებდა სამშობლოს დასაცავად ყველა პატიოსან მოქალაქესა და ჯარისკაცს. ამ ლექსებში პოეტი ოსტატურად აცოცხლებდა ქართველი ხალხის ისტორიულ ყოფას სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცების ნათელ სახეებს და ამით სამამულო ომის მონაწილეებსა და მათ ოჯახებს ახსენებდა სამშობლოს წინაშე წმინდა მოვალეობის უკვდავ გრძნობას.

პოეტი შთაგონებული უმღეროდა ქართველ დედას, რომელიც ცხრა შვილს, ცხრა ვაჟკაცს მიაცილებდა ომში და თვითონაც უკან მისდევდა ლოცვა-კურთხევით. და როცა ერთი დაეცემოდა, განრისხებული დედა დროშას მეორე შვილს აბარებდა, ამხნევებდა, რათა მტერს კიდევ უფრო მედგრად შერკინებოდა. ეს ლექსი საქართველოს სისხლიანი ისტორიის მწარე გამოძახილია. ცხრა ძმა ვაჟკაცი ერთ დღეს დაეცა სამშობლოსათვის მარაბდის ველზე. ეს ტრადიციული ფაქტი განაზოგადა პოეტმა და ქართველი გმირი დედის უკვდავი სახე შექმნა.

**1942** წელს აქვს სიმონ ჩიქოვანს დაწერილი ჭეშმარიტად პატრიოტული ლირიკის შედევრი „აჩრდილი“, რომელსაც წინ ილია ჭავჭავაძის დიდებული სიტყვები აქვს წამძღვარებული: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“, ეს ლექსი კიდევ უფრო მკვეთრად წარმოსახავს სიმონ ჩიქოვანის რთული, ყოვლისმომცველი ფანტაზიის ცხოველმყოფელობასა და ღრმა პოეტური აზროვნების თავისებურ უნარს. სამშობლოს განსაცდელის ჟამს პოეტს ქართველი ერის უკვდავი სული, განსხეულებული, განცალკევებული, ეცხადება მყინვარზე ამაღლებული მოხუცის სახით, და ეს ერთი კაცი კი არა, ერის უკვდავებაა, ერის ენერგია, ერის გონიერება ერთად შეკავშირებული, შედუღებული, რომელიც წინათაც და ახლაც მყინვარზე დგას და ქართველ ხალხს მოძღვრავს ბრძნულად:

მყინვარზე იდგა კაცი პეპერა,
წელზე მოერტყა სუროს ქამარი.
გლოვა სურდა თუ სურდა ემღერა,
ნისლი ეხვია, როგორც ვარამი.

რქვა: საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
შენი მცხუნვარე მიწის ნაწილი.
ჩვენი მარჯვენა არსად შემკრთალა,
არსად გამტყდარა თვალი არწივის.

. . . . . . . . . .

სთქვა და გარეკა ნისლი მხუთავი,
მშვიდად განსჭვრიტა კლდენი, ციხენი.
ხელში აიღო ქართლის გუთანი
და გადაჰკიდა ხმალი ფიცხელი.

. . . . . . . . . .

თვითონ მყინვარიც პაპა მეგონა,
ხავსი ერტყა თუ ყინვის ჯაგარი!
მთელი სამშობლო ვაზით შეჰკონა
და წარუმძლვარა თერგი მაგარი.
წინ, საქართველოვ, მიღმა ვინ არი?
გქონდეს მარჯვენა ომში ქებული,
შეუდრეკლობა, დარი მყინვარის,
მტერზე შეტევა თერგისებური.

წინ, ვაჟკაცებო! მთები იძახდნენ,
მდინარე ჰქუხდა ხევში გაჭრილი.
და საქართველოს მიწის სიმართლე
მთებზე ყიოდა ჩვენი აჩრდილი.

სიმონ ჩიქოვანმა ამ ლექსის დაწერამდე ცოტა ადრე, როგორც ზემოთ ვთქვით, ზედიზედ გამოაქვეყნა ლირიკული ლექსების ორი ციკლი: „ეზოდან გაველ სამშობლოს გზაზე“ და „არმაზის აჩრდილები“, რითაც ერთბაშად მოხიბლა და განაცვიფრა მაშინდელი ლიტერატურული საზოგადოება, ფართო მკითხველი. ეს იყო უკვე პოეტის „სიმწიფის ჟამი“ და აქ გამომჟღავნდა ყველაზე მეტად მისი შემოქმედების დიდი შინაგანი ენერგია, სულიერი არტისტიზმი, ღრმა პოეტური აზროვნება და გულწრფელი, ფაქიზი დამოკიდებულება ყოველგვარ ადამიანურ ტკივილთან, სიხარულთან, რაც ასე ბუნებრივადაა შერწყმული თუ შეხამებული მისეულ, თვისობრივად სრულიად ახალი ლექსის ფორმის მრავალწახნაგოვანებასთან. ეს ლექსები გახლავთ: „პირველთქმა“, „დის დაკარგვა“, „ნუგეში“, „პირველი მინაწერი“, „დის დარგული უნაბი“, „მამა“, „მამის ოცნება“, „დედაჩემი“, „იჟვი“, „მესამე მინაწერი“ და სხვა. ამ ლექსებში ფრთხილი ლირიკული წიაღსვლებითაა გახსნილი კეთილშობილი შემოქმედი ადამიანის სულის წვწვა, მწუხარება და სიხარული, ადამიანის ყოველდღიური ყოფა, რასაც მუდამ თან ახლავს ჩრდილიცა და სინათლეც. პოეტმა განაზოგადა კონკრეტული ფაქტი — დის დაკარგვა და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ღრმა ფილოსოფიური „საგალობელი“ სთქვა ხატოვანად, ისე რომ საკუთარ უაღრესად ინტიმურ გრძნობებსა და განცდებს ზოგადადამიანური ჟღერადობა მისცა, საკუთარ ტკივილს ზედ ზოგადადამიანური ტკივილი გადააწნა და პოეტურ ფრაზას მეტი აზრობრივი დატვირთვა დააკისრა, მეტი ემოციური ძალმოსილება შესძინა. ამ ლექსებში პოეტის ლირიკული ხმა უფრო ლბილია და თბილი, ფერები — სათნო და სიტყვა—ნატიფი, განწყობილება გადამდები, უაღრესად ემოციური, შთამბეჭდავი. ფიქრობს პოეტი დის დაშრეტილ სიცოცხლეზე და უმალ მისგან დარგული უნაბი ახსენდება, უყურებს მოწყენილ, ფოთოლშეყვითლებულ მცენარესა და ეჩვენება, თითქოს „უნაბს ფესვები ტკივა“ და სინანულით „ბალახზე ცვივა წითელ-წითელი ნაყოფი მწიფე“. უყურებს ამ სურათს და მეხსიერებაში განვლილი დღეები ცოცხლდებიან, ახსენდება ძველი ცხოვრების სიდუხჭირე, სიღარიბე და შემოქმედებითი ცეცხლით აღგზნებული შეშფოთებული შესცქერის ადრე გარდაცვლილი მამის აჩრდილს:

ბრგეს და ახოვანს ვხედავ მამაჩემს,
როგორც მინახავს ჭადართან მდგარი.
ისევ ეყრდნობა კოჭლი ყავარჯენს
და მოჰყოლია კოლხიდის ქარი.
ჯერ აუტყდება ხველა ჩვეული,
დაცლის ჭიქას და მდუმარებს დიდხანს.
ბინას შეხედავს დამშვიდებული
და სიყვარულით რძალს მოიკითხავს.
დაახამხამებს თვალებს ნაწვიმარს,
ცრემლად დაავდებს ვარამის ფიორს:
შენს დას დავეძებ, გარეთ დავძრწივარ,
სად არის ბავშვი, არ გამიცოთ!
მამის ხმა რეკავს, როგორც სანთური,
იგი ჩურჩულებს: ბავშვი სად არი?
საით გაუშვი, თუ აქვს სათბური,
არ მოეწიოს გზაში ავდარი...
რა ვუპასუხო. მაწვება ლოდი.
წვეთების კვნესა აღწევს ზემოდან.
მამა, სად იყავ, სიდან ჩამოდი,
მეგონა გზაში შემოგხვდებოდა!
ჩოხა გაიშრე, დარჩი ამაღამ,
ნარდი ვამღეროთ, შევექცეთ ვახშამს.
ნუ იცქირები აგრე ამაყად
და ნუ დამიშლი მაგიდის გაშლას.
მაგრამ ნაწყენი მშორდება მამა,
მესმის წვეთების წკარუნი ნელი.
ქუჩუნა წვიმა მიდამოს ლამავს,
და ნაწყენ მამას დილამდე ველი.

არ შეიძლება ეს ლექსი წაიკითხო და გული არ შეგეკუმშოს, არ იგრძნო რაღაც მძიმე ტკივილი, რომელსაც ამგვარი ცხოვრებისეული ტრაგიკული მოვლენა წარმოშობს და ამავე დროს არ განიცადო რაღაც დიდი ესთეტიკური სიხარული, რომელიც გულში ქარიშხალივით შემოდის, მოსვენებას არ გაძლევს და შენც ისევე გაფორიაქებს, როგორც ალბათ მის შემოქმედს, როცა მწუხარე მამის აჩრდილი ეკითხებოდა: „შენს დას დავეძებ, გარეთ დავძრწივარ, სად არის ბავშვი, არ გამიცოთ!“ ანდა როცა ამ სტრიქონებს წერდა: „რა ვუპასუხო, მაწვება ლოდი, წვეთების კვნესა აღწევს ზემოდან. — მამა, სად იყავ, სიდან ჩამოდი, მეგონა, გზაში შემოგხვდებოდა!“

ამგვარივე პოეტური ნათელხილვითაა დაწერილი სიმონ ჩიქოვანის ლირიკული ქმნილებები: „დედაჩემი“, „ნანგრევის სურო“ და „ციხით შობილი“. ამ ლექსებში დაუვიწყარი, გამჭვირვალე, ხელშესახები ფერებით ხატავს დედის სათნო, ღვთაებრივ სახეს, — სახეს, რომელიც მას არასოდეს უნახავს: „მშობელო ჩემო მომკვდარა ადრე“, წერს პოეტი და შეშფოთებული იმით, რომ „აკვნის მახლობლად ჩამქრალა დედა, არ მოღწეულა ხატება მისი“, დაუშრეტელი ფანტაზიით სურს წარმოიდგინოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის რეალური სახე და, როგორც იტყვიან, მართლაცდა ჭეშმარიტად მოულოდნელი პოეტური წარმოსახვებით აღადგენს მის სურათს და ხაოცარ მხატვრულ სახეებს ქმნის:

დედავ, ხატება არ დაგრჩა არსად,
ჰაში ვიცქირო, დამჩემდა სენი.
შენ ხომ იდექი გვიმიან ჰასთან,
ეგებ შიგ ჩარჩა სახება შენი.
ან იქნებ შენი ოქროს თმა არი
კოლხურ კერაზე ამდგარი ალი!
ეგებ ვაზია შენი ქამარი,
ხეს რომ ეხვევა ცოცხალი კვამლი!
როგორ შევიცნო, თუ გნახე სადმე!
მოდი, გვალვაში მიგრილე რტოთი,
მე უკუღმართი განგება დავგმე,
რტო დამირხიე, ჩამიქრე შფოთი.
როგორც სკაშია ზუზუნი ფუტკრის —
შენი ხმები მყავს გულის ბუდეში.
არ დამეკარგოს — სათუთად ვუვლი,
არ გამიფრინდეს ჩემი ნუგეში!

ბუნებრივია, პოეტს სურს იხილოს დედის სახე და „კოლხურ კერაზე ამდგარი ალი“ — მისი „ოქროს თმა“ ჰგონია, ვაზი კი მისი ქამარი, „ხეს რომ ეხვევა“, როგორც „ცოცხალი კვამლი“. პოეტს მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შორდებოდა დედის ხატება, რომელიც მას არასოდეს უნახავს და დაუსრულებლად ეძებს. დედა კი, პოეტის რწმენით, ყველგანაა, როგორც უკვდავი სული, დაუშრეტელი სიცოცხლე, ერის მამოძრავებელი ენერგია, როგორც მზისა და მიწის ცხოველმყოფელი ნათელი, ყოველივე სიკეთის შემოქმედი. და პოეტის სულში დედის ხატება შემოდის, როგორც ქართველი ხალხის მწვავე სულიერი კატაკლიზმებით სავსე წარსული, როგორც სამშობლოს დიდებისა და დაუსრულებელი ბრძოლების მოწამე ქართული ციხე. ამგვარ ასოციაციებს იწვევს ლექსები: „ნანგრევის სურო“ და „ციხით შობილი“; „ეგებ იშვილა ქართული ციხეც, წინაპრის ძვლით რომ ააგო ხურომ, შიგ შეიფუთნა, როდესაც ვიხმე, კედელს ჩუქურთმად მიაკრა ხურო“. ასე იაზრებს პოეტი ქართველი დედის უკვდავ სახეს ჩვენი ისტორიის სისხლიან ფონზე და ქართულ პოეზიას ჭეშმარიტად მაღალი მხატვრული ნააზრევითა და სანდომიან ფერთა სიუხვით ამდიდრებს: „ნანგრევებს სურო ეხვევა სალტედ, ეგებ ეს არის ხელები დედის“, წერს პოეტი და მეორე საუკეთესო ლექსში „ციხით შობილი“ გადაჭრით ამბობს: „ჩაკირულ ვიყავ ციხეში წინათ, მერე ნანგრევმა დამბადა თურმე“, და იზრდებოდა ნანგრევებზე ამოსული ვაზის რტოებითა და მწვანე ბალახის ფოთლებით გარემოცული, ტანზე სუროს პერანგი ეცვა და თავზე ციხის კედელი დასტიროდა როგორც მშობელი დედა:

სუროს პერანგით ნაპირზე ვეგდე,
თავს დამტიროდა მშობელი ჩემი,
ავდექ, შევწმინდე შემოქმედ კედელს
სიმწრის ოფლი და სიამის ცრემლი.

სიმონ ჩიქოვანის თვისობრივად ახალი ლექსის სიტყვიერი ფაქტურისა და პოეტური აზროვნების თავისებურება. გამორჩეული ინდივიდუალური ხელწერა, ფორმისადმი საკუთარი დამოკიდებულება, ფერწერული სახიერება კიდევ უფრო მკაფიოდ მოჩანს ლექსებში: „ძველი მცხეთა“, „ფიქრი სერაფიტაზე“, „საგალობელი“, „სერაფიტის გამოხმობა“ და „ბროწეული პიტიახშების სამარეზე“. ამ ლექსების წიაღისეული სითბოსა და სინაზის, ემოციური ლირიკული აზრისა და განცდის სიტყვებით გადმოცემა თითქმის შეუძლებელია — იგი უნდა წაიკითხო და იგრძნო. „მცხეთა არის ჩემი დედულეთი“ — ჩაგვესმის ყურში პოეტის ნაღველშერეული სიხარულით სავსე ხმა და მყისვე თვალწინ გვესახება უხსოვარ დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხის ძველი საცხოვრისები, გარდასული, ფერფლად ქცეული სილამაზე და მშვენიერება, სერაფიტის სახით რომ წარმოგვიდგენია მუდამ. ამ ლექსებში, არც ზღაპრული ელემენტია, არც მომაბეზრებელ ლეგენდებს მოუხმობს პოეტი. აქ უმეტესად ვნებაა, დიდი სულიერი ძაბვითა და ძლიერი განცდით რომ მიიღწევა მხოლოდ. აქ უმთავრესად სულის მოძრაობაა, ნათელ, რეალურ წარმოსახვებთან შერწყმული. ჩვენი წარსულის ამგვარ დრამატიზირებულ ალქმას იშვიათად ვხვდებით ქართულ პოეზიაში: „მცხეთის დამე გახლართულა სუროში, ქვას ატყვია ძველი დროის ჭვარტლი. სერაფიტი წევს გარანდულ კუბოში, მისი თმებით მორთულია ქართლი“, წერს პოეტი და ბოლოს ამაყად დასძენს: „სილამაზე, სერაფიტის სადარი, არსად არი ივერიის გარდა“.

პოეტი შესცქერის „პიტიახშების სამარეზე“ აყვავებულ ბროწეულს, შემოდგომით მწიფე ნაყოფით დაზნექილი ტოტებით დავიწყებულ საფლავზე აბიბინებულ ბალახს რომ სწვდება და ეჩვენება; ამ კეთილშობილი მცენარის სხეულში სერაფიტის სული ფეთქავს, ფოთლებიდან მისი სილამაზე გამოსჭვივის; ხოლო ბროწეულის ნაყოფში სერაფიტის სიცოცხლე ღვივის, მგრძნობიარე ფესვებით ოცი საუკუნის შემდეგ რომ ამოუტანია მზის სინათლეზე ხელმეორედ, იმ წმინდა ფესვებით, უმშვენიერესი ასულის ძვირფას სამაჯურში რომ გაუყრია ფრთხილად:

ბროწეულმა ფესვით კუბო გაარღვია,
საფლავს ჩასწვდა და იპოვა სამაჯური,
სერაფიტის ფერფლი თითქო დაარხია,
სამაჯურში ფესვი გაჰყო დამანჭული.
როგორ გასჭრა ან გაბურღა ლოდის ხიდრმე,

დაფერფლილ და სანუკვარ ტანს
ჩაეხლართა,
სამარეში თუ იპოვა ქვეყნის სიყრმე,
თუ ამ ფერფლის მოფერება გაეხარდა.
აიშოლტა და ნაყოფი გამოფინა,
ფერფლში ჰპოვა სამაჯური დანისლული,
მოწეული ბროწეული რა ყოფილა,
ჩამავალ მზით დაჭრილი და დაისრული.
არ სწვევია შებინდება კაეშანად,
ქალწულის ფერფლს, როგორც ყვავილს,
გაუფრთხილდა,
დაისივით გაწითლდა და გაიშალა
და რტოებზე სილამაზე აუფრინდა.
შენს ქისაში ვარსკვლავები მიჯრილია,
თუ ცრემლები გამოგიკრავს, სანატრელო,
შენი ჩრდილი, მითხარ მაინც, რა
ჩრდილია,
შენს რტოებში გალობს ძველი საქართველო.
შენ მოჰყევ, თუ შენ გამოგყვა სერაფიტი,
მისი ფერფლი იპოვე და ჩაგვაბარე.
მოწეულო ბროწეულო, გადმოფრინდი,
შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.

სიმონ ჩიქოვანს უაღრესად თავისებური და მდიდარი ლექსიკა აქვს. მის ყოველ პოეტურ სიტყვას საკუთარი ბგერითი ხმოვანება და ფერიახლავს მუდამ. და თუ ამას მივუმატებთ სუროს ფოთლებითა და ვაზის ლერწმებით, ბროწეულისა და ზეთისხილის რტოებით მოფენილ ციხე-კოშკების იმ თავისებურ აღქმას, რომლის ფონზე იგი ცინცხალი მხატვრული სახეებითა და ფერებით ხატავს მშობელი დედისა და მამის, ქართლის დედისა და იმ მოხუცი კაცის ღვთაებრივ სახეს, რომელთა შესახებაც ზემოთ საკმაოდ ვისაუბრეთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ამ მხრივ პოეტი ქართულ კლასიკურ პოეზიაში ყველაზე მეტად დავით გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას ეხმიანება. ამ პოეტებისაგან ითხოვს იგი უფრო ხშირად შთაგონების კურთხევასა და ქართულ დიდ კლასიკურ პოეზიას მათ მიერ გაჭრილ სარკმლიდან ზვერავს ფხიზელი თვალით. 1940 წლითაა დათარიღებული სიმონ ჩიქოვანის ერთი უსათაურო ლექსი, სადაც პირდაპირ ამბობს: „გურამიშვილის და ვაჟას ფერი, მათი მომდევნო მე ვარ მესამე“. და ცოტა ქვემოთ კიდევ უფრო გარკვევით იმეორებს: „გურამიშვილის და ვაჟას დარი, სიმართლის მთქმელი მე ვარ მესამე, მათთან ყანები მქონდა ზიარი და მძიმე უღლით ბევრჯერ ვეწამე.“ როგორც ვხედავთ ,აქ პოეტი გულწრფელად მიგვანიშნებს თავისი პოეზიის ძირეულ საწყისებზე და ბოლოს, თავისი შემოქმედების ზედმეტად გაზვიადება რომ არავინ დასწამოს, ამ ლექსს ასე ამთავრებს: „მეათე ვარ თუ მე ვარ მესამე, მთიდან დამყურებს ვაჟას კესანე. ჩემი მოძმენი ხორბალს თესავენ და მე ხმებს ვთესავ, თქვენი კვნესამე“.

დიახ, სიმონ ჩიქოვანი ქართულ თავისებურ პოეტურ ხმასა და კილოს გურამიშვილისა და ვაჟასეული ლირიკული წიაღსვლებითა და წარმოსახვებით შთაგონებული ძერწავდა უმთავრესად. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი მხოლოდ ამ ორი დიდი პოეტის შემოქმედებით იფარგლებოდა. სიმონ ჩიქოვანი, როგორც ზემოთაც ვთქვით, თავიდანვე დიდი მოწიწებით მიმართავდა ქართული პოეზიის დიდოსტატებს: რუსთაველსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, რომელთაც მშვენიერ ლექსებს და ლიტერატურულ წერილებს უძღვნიდა. და ასე ეძიებდა და ჰპოვებდა საკუთარ გზას პოეზიაში.

სიმონ ჩიქოვანმა დიდი სამამულო ომის წლებში შექმნა ვრცელი ლირიკული პოემის საუკეთესო ნიმუში — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. ამ ნაწარმოებში ღრმა მეტაფორული აზროვნებითა და მგრძნობიარე ლირიკული წიაღსვლებით ემოციურად გამოხატა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის კეთილშობილი იდეა. პოეტი დიდი პატრიოტული მგზნებარებითა და შევნებით უმღერის რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხის კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას. ვახტანგ მეექვსის, საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების გათვალისწინებითა და გააზრებით ოსტატურად ხატავს პროგრესულად მოაზროვნე წინაპართა დიდებულ სახეებს. იგი ახერხებს მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს როგორც პოლიტიკურ ეკონომიურ, ისე მატერიალურ-სულიერი კულტურის სწორ ისტორიულ ასპექტში წარმოდგენას და ზედმიწევნით რეალისტურად აღიქვამს იმდროინდელ ჩვენს ტრაგიკულ ყოფას. პოემის მთავარი ლირიკული გმირის — დავით გურამიშვილის დიდი პოეზიის ღრმა ანალიზის საფუძველზე შექმნა სიმონ ჩიქოვანმა, თუ შეიძლება ასე გამოვთქვათ, ფილოსოფიური ლირიკის საუკეთესო ნიმუშები სიცოცხლესა და სიკვდილზე, მარადიულ ყოფასა და წარმავლობაზე, ადამიანის გაჩენასა და მის დანიშნულებაზე. მაგრამ ამ თვალსაზრისით სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ ყოველივე ზემოთქმულის უტყუარ საბუთად მოვიტანთ ერთ ლექსს ამ პოემიდან:

უეცარად ომში მიხმეს,
ტყეში იყავ, სოკოს კრეფდი, ვინანე.
მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის,
ვერ გიპოვე, სიმძიმილი ვინანე.
ამხედრების შემხვდა ჯერი,
დაიფერე თაფლისფერი ბაია.
დამიქროლე დარაია ჭრელი,
ბალისფერი როგორც ჭიამაია.
მე დავრახტე ჰუნე მალი,
დამეფუშა ჩრდილოვანი კარავი,
გამომხედე, შეიფუთნე შალით,
განშორების ჟამია და ვარამი!

თუ დავიჭრე, მწვავდეს წყლული,
ვაი დედა, მეწილადოს ვაგლახი,
მომიტანე თვალით გაზაფხული,
შემირჩიე სამკურნალო ბალახი.
მეამება სამაია,
ივერიის ღვთისმშობლის ბაია
შენი თვალი ღია სამარეა,
შენი კაბა — ჭრელი ჭიამაია.
სად მოკვდები სადაური!
ვერ დავკრიფე დაშაქრული ყურძენი.
მე ვარ წიგნის მხოლოდ სათაური,
ჩემი ქამი — დასაწერი ფურცელი.
გამაყოლე ტურფა ლანდი,
ყივჩაღივით თუ მეტოქემ ამკაფა.
გამონახე ჩემი მუზარადი,
ჩააწვეთე შენი ცრემლი კამკამა.
მოძმეს მიეც სასოებით,
მუზარადით შესვას ჩემი ვარამი.
გამაგონე მოთქმა განშორების,
დამაფარე ივერიის ალამი!

ამ ლირიკულ მონოლოგს პოეტი დავით გურამიშვილს წარმოათქმევინებს, როცა მას ომში უხმეს უეცრად, და რა საოცრად ეხმიანება თანამედროვე ადამიანის ფიქრებსა და განწყობილებებს, ყველა მას, ვისაც უგრძვნია მშობლიური ივერიის სიყვარული. „ქართული მზის სიტკბო, ჩვენი ცისა და მიწის", „დაბინდული ქლიავისფერი მთების" სინათლე, ვისაც განუცდია საყვარელი არსების „გამოთხოვება და ომში წასვლა", უგრძვნია მშვენიერება სილამაზისა, ნიკოლოზ ბარათაშვილი ხორციელების ნიჭს" რომ უწოდებდა. ამ ლექსის მაცოცხლებელი შინაგანი არსის, მისი აღნაგობის, ტონალობისა და ინტონაციის სიახლეზეც ალარაფერს ვიტყვით. მხოლოდ დავსძენთ, რომ ამგვარი დახვეწილი ფორმით შესრულებული ლირიკული მონოლოგები სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში უხვადაა.

სიმონ ჩიქოვანი უაღრესად ფართო მასშტაბების მოაზროვნე პოეტი იყო. იგი სისხლხორცეულად განიცდიდა ახალი საქართველოს აღმავალი ცხოვრების სწრაფ განვითარებასა და ზრდას. მისი შემოქმედებითი პათოსი სწორედ ახალი ადამიანის შინაგან სულიერ სწორ ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში იდებდა სათავეს მუდამ. მას თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, მისი პატიოსანი მშრომელი ადამიანები. „ზღვაზე მზე დადგა, როგორც ირემი, ალანდარქები მოლურჯო ბროლში, ალვები, როგორც ტურფა ცირები, დაისხ ელიან სამეგრელოში", მღეროდა პოეტი და ყოველდღიური შრომის ფონზე მშობლიური კუთხის განუმეორებელ კოლორიტულ სურათებს ხატავდა, გულში ჩუმად ელერსებოდა კოლხეთის დაბლობზე მიმობნეულ ალვის ხის წვრილ კენწეროებს. ბავშვობას იხსენებდა, თვალწინ ედგა მოლურჯო ბუხარი, „ნიჟარის საფერფლე" და უნაზეს სტრიქონებს ქმნიდა: „მაგიდაზე დევს ნიჟარა თეთრი, საფერფლე ზღვაში ნახული წინათ, კოლხიდელი და უყელო გედი, ზურგით მწოლარე და პაწაწინა". და ყოველივე ეს იყო გულიდან წამოსული, მართალი, ნაგრძნობი, ზედმიწევნით მწვავედ განცდილი...

კოლორიტისა და პეიზაჟის დიდი გრძნობითა და გემოვნებითაა შესრულებული სიმონ ჩიქოვანის ლექსები: „ქართლის საღამოები", „ქართლის მებაღე", „ატენის ხეობაში", „რთველში", „ირმები კალოზე", „კოლმეურნის აივანზე", „ქვაზე ამოჭრილი ნადირობა", „პაპა". და ეს ლექსები ახალი ქართული პოეზიის შედევრებს შორის საუკეთესონი არიან. ამ ლექსებში პოეზიის იდუმალ ენაზე მოთხრობილია თანამედროვე ჯანსაღი განწყობილებების მქონე ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი პროგრესული მისწრაფებები და მიღწევები, წარმოსახული და გააზრებული ადამიანის ყოფის ცხოვრებისეულ, ფილოსოფიურ ასპექტში, — რომ სიცოცხლე ფიზიკურ და სულიერ მოძრაობასა და ჯაფას გულისხმობს მუდამ.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიის სახიერება, მისი ხატოვანი სიტყვის, პოეტური ფრაზის თავისებურება თუ სიახლე, ორიგინალური, ნედლი სტრიქონების რიტმული რხევა და, რაც მთავარია, მხატვრული სახის წარმოსახვის მოულოდნელობა, რომლის გარეშე საერთოდ ყოველგვარ პოეტურ სიახლეს მუდამ რაღაც აკლია ემოციურობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს ლექსში „ქართლის მებაღე". თანამედროვეობის ასეთი მძაფრი განცდა, ამგვარი ფეროვნებით აღქმა ანიჭებს სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებას ადამიანის სულზე კეთილისმყოფელ მოქმედების უნარს და აქ იკვეთება მისი პოეზიის უკვდავებაცა და სწორედ ის პოეტური სახიერებაც, რაც ასე მკვეთრად გამოარჩევს მას სხვა დიდი ქართველი პოეტებისაგან.

სიმონ ჩიქოვანმა ათიოდე წლით ადრე თავისი სიცოცხლის მიმწუხრამდე, ჭეშმარიტად პოეტური სიმწიფის ჟამს, მისთვის ჩვეული ლირიკული წიაღსვლებით შექმნა უსათაურო ლექსი „არის სიყრმის და სიმწიფის შორის"; ეტყობა ეს ლექსი პოეტის ხანგრძლივი შემოქმედებითი წვის შედეგია და აქ კიდევ უფრო მეტი სიცხადით მოჩანს გაუცხოვებული პოეტური აზრისა და სიტყვის ის დაუვიწყარი თვალსაჩინოება, იდუმალი სულის წევა, რომელიც მუდამ თან ახლავს დიდ პოეტურ წვასა და ტანჯვას, რომლის უზიარებლად შეუძლებელია იდუმალებით მოცული სუბსტანციის რეალური ხილვა, საიდანაც იწყება ამაღლებულის წვდომა, ჩვენს მეხსიერებაში მშვენიერების შეგრძნების უდიდეს სიამოვნებად, პოეზიად რომ აღიქმება მუდამ...

ამ ლექსის ხიბლი მოულოდნელი პოეტური

აზრის წარმოჩენით ცნაურდება სწორედ. აქ ისეთ უცხოდ განათებულ პოეზიის დარბაზში შევდივართ, სადაც სხვას არავის შეუხედავს, არავის უგრძვნია ასე ცხადად სიყრმისა და სიმწიფის შორის შესვენების თუ სიმორცხვის ჟამის მწარე სინამდვილე, როცა გამუდმებული, დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით დაქანცულს „ხელში შეგრჩება დალლილი ქორი“ და სიყმაწვილის მშფოთვარე წლებს სინანულით იხსენებ. ეს საკუთრივ სიმონ ჩიქოვანის ცხოველი ფანტაზიის ნაყოფია, რომელმაც სიყრმიდან მოკიდებული ჭეშმარიტი პოეტური სიმწიფის ჟამამდე მომეტებულად დახლართული რთული შემოქმედებითი გზა გაიარა, რათა ახალი პოეტური ხმებისა და ფერწერის შექმნის საიდუმლოების ამოხსნასა და აღმოჩენას დიდოსტატურად დაუფლებოდა და ისეთ მწვერვალზე ასულიყო, საიდანაც ყველაზე კარგად მოჩანს მარად შეუცნობელი პოეზიის ხატის მშვენიერება.

სიმონ ჩიქოვანი მომეტებულად რთული სულიერი წყობის ადამიანი იყო. შემოქმედებით წუთებში საგნებსა და მოვლენებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უფრო გონების თვალით აღიქვამდა... მაგრამ ათასნაირი ლირიკული ჩანაფიქრით აღსავსე, ზოგჯერ ზომაზე მეტ ვნებიანობას იჩენდა და უაღრესად ეგზალტირებულ ლექსებს ქმნიდა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დიდი პოეტებისა და ძველი მწერლობის საკვანძო საკითხებზე ისევე გატაცებით და ინტერესით წერდა, როგორც თანამედროვე ლიტერატურისა და პოეზიის ცოცხალ პროცესებზე. და თუ კი ახალი სახელი გამოჩნდებოდა, პოეზიისა და ცინცხალი მხატვრული სიტყვის სიყვარულით ანთებული, უმალვე მამობრივ ზრუნვას იჩენდა, ყოველგვარ დახმარებას უწევდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა, რათა უკვალოდ არ გამქრალიყო, არ გაუჩინარებულიყო ახალბედა, დამწყები შემოქმედი...

სიჭაბუკიდანვე თანდაყოლილი მოგზაურობის ჟინი ბოლომდე შემორჩა და ორმოცდაათიან წლებში „პოლონეთის გზებზე“ ხალხთა მეგობრობასა და მშვიდობას მისთვის ჩვეული მომხიბლავი ფერებითა და ინტონაციით უმღერა შთაგონებულად. მერე განთავისუფლებულ დემოკრატიული გერმანიის მიწაზე „გოეთეს ცაცხვების“ ყვავილების სურნელი იყნოსა და დიდი შემოქმედის საფლავთან მუხლი მოიყარა და, როგორც შოპენსა და მიცკევიჩს, მასაც თავისი სამადლობელი უთხრა პოეზიისა და კაცთმოყვარეობის ნათელი გრძნობით გამსჭვალულმა.

საოცარია სწორედ, რომ მან ბოლო წლებში, თითქმის სრულიად ჯანგატეხილმა და დაბრმავებულმა, შექმნა მშვენიერი ლექსების ციკლი „განჯის დღიური“. და აქ საგულისხმო ის არის, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მან კვლავ ნიკოლოზ ბარათაშვილის ტრაგიკული ბედი გაიხსენა და ამით თითქოს თავისი მშფოთვარე, სიჭაბუკისდროინდელი ენერგია და პოეტური აღტაცება დაიბრუნა.

... მაღლა მთაწმინდის ხშირი ძეძვია,
არ გამიშლია სხვაგან სუფრები.
გულზე მაჩნია შენი ანდერძი,
როგორც გუჯარი თავისუფლების.
. . . . . . . . .
მეც მხედარი ვარ და ვიმარტვილე,
შენი მოძმე ვარ თუ ხმის მემინდე,
სიძნელე გზისა გამიადვილე
და უნებლიე ცოდვა შემინდე.
. . . . . . . . .
შემოლამებით ფიქრი შემიკრთე,
ვხედნი სამერნოდ უდამლო კვიცებს.
და მე რომ არ ვარ შენი მემკვიდრე,
შთამომავლობას ვინ დაუმტკიცებს?

წერდა პოეტი 1925 წელს და მერე მთელი თავისი სიცოცხლე, შემოქმედებითი გზა, როგორც მრავალგზის იყო აღნიშნული, თვისობრივად ახალი ქართული ლექსისა და პოეტური ხმების ძიებაში განვლო და პოეზიას და სამშობლოს ისევ ბარათაშვილის საკვირველ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ფიქრით გამოეთხოვა სამუდამოდ...

ლექსების ციკლი — „განჯის დღიური“, ეტყობა, პოეტს ვრცელ ლირიკულ პოემად ჰქონდა გაფიქრებული, მაგრამ მძიმე ავადმყოფობით დაძაბუნებულმა მხოლოდ პირველი ნაწილის გამოქვეყნება მოასწრო, სიკვდილი სწორედ ბარათაშვილის მწარე ხვედრზე ფიქრის დროს წამოეწია და, ვინ იცის, რამდენი კარგი ლირიკული ლექსი და უცნაური, ახალი პოეტური სახე ჩარჩა სამუდამოდ გულში ჩვენთვის გაუმხელელი. მაგრამ პოეტი რამდენიმე ლირიკულ ლექსში დიდი ოსტატობით მაინც ახერხებს მაიკო ორბელიანის კეთილშობილი სახის, მისი სულიერი სიმდიდრის სრულყოფილად წარმოჩენას. ასევე შთამბეჭდავად ხატავს ეკატერინე ჭავჭავაძისა და თათრის ქალის გონჩა-ბეგუმის მიმზიდველ მშვენიერებასა და სილამაზეს, მათი სიყვარულის მწუხარე ამბავს, ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ ტანჯვასა და ტრაგიკულ ცხოვრებას, მისი სიცოცხლის მწარე დასასრულს. ამ ლექსებში სიმონ ჩიქოვანმა ქართული პოეტური კულტურა, პოეტური აზროვნებისა და სიტყვის სიახლის თვალსაზრისით, კიდევ უფრო ახალ ხარისხში აიყვანა უთუოდ. ლექსები: „ისევ სინანული“, „პირველი ბარათი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი“, „შენს სავარძელზე“, „მეორე ბარათი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი“, „მინაწერი, უცხო საყურე“ მომეტებულად ლბილი, მეტყველი ფერებითა და ფაქიზი გემოვნებითაა შესრულებული. სანიმუშოდ ამ მშვენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი ციკლიდან კიდევ მოვიტანთ ერთ ლექსს მთლიანად:

მე დამესიზმრა უცხო საყურე,
როგორც პეპელა ვარდზე გაჭრილი,
წამოვვარდი და კარი დავხურე,
არსად გაფრინდეს შენი აჩრდილი.
არ გამიფრინდეს წინანდლის დილა,
დილის მშვენებას ვერ ვეურჩები.
საყურის ჩრდილში ვინ დაიჩრდილა,
ვინ გაიგრილა ცხელი ტუჩები.
როგორ დაფუშე სულთა კავშირი,
შენმა ტკბილმა ხმამ გული მატკინა.
მტკვართან ზის ობლად ბარათაშვილი,
რატომ დასტოვე მარტო კატინა?
შეპყრობილი ვარ წარბთა მშვენებით,
მომწვდა ქუქუნა თვალთა ისარი,
მეც დაგედევნე ცხენის ჭენებით
და შინ ვერასდროს ვერ მოგისწარი.
ვერ დავეწიე წინანდლის ირემს,
როგორც ზარის ხმა, ფეხის ხმა ვთვალე,
ვპოვე ტაძარი, ტაძარში ვწირე,
სადაც საყურეს დაჰყურებს მთვარე.
ჩემს შემოჭვარტლულ სანთურს გავტეხავ,
შუბლს გავიგრილებ სარკმლის მინაზე
და ჩემსკენ მოჭრის სიზმრად ამდენხანს
ნაბადმოსხმული შენი სინაზე.
მე დამესიზმრა უცხო საყურე,
როგორც პეპელა ვარდზე გაჭრილი,
წამოვვარდი და კარი დავხურე,
არსად გაფრინდეს შენი აჩრდილი.

ამ ლექსში უაღრესად მეტი გრძნობიერებითა და სინაზით მოგვითხრობს პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის უიღბლო სიყვარულზე და სტრიქონსა და სტრიქონს შორის შეფარვით წარმოაჩენს ერთის მხრივ მათ საბედისწერო განშორებას, ხოლო მეორეს მხრივ, ზღაპრული სილამაზის მქონე ასულის გასაოცარ სინაზესა და სინატიფეს. აქ კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინოებით ვგრძნობთ სიმონ ჩიქოვანის უცნაური, მოულოდნელი პოეტური ხილვებისა და წარმოსახვების სიღრმესა და სიახლეს. და როცა ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ იგი, ცხოვრების გზაზე ხანგრძლივი შემოქმედებითი წვითა და რუდუნებით დაღლილი, სინათლედაკარგული, ზეწამოიჭრება და სიბნელეში ხელის ფათურით კარებს ხურავს, რათა არსად გაექცეს ღვთაებრივი ჩვენება, არ შეგვიძლია არ ვიწამოთ მისი მართლაც პოეტური ნათელმხილველობა და დიდოსტატობა.

ამრიგად, სიმონ ჩიქოვანმა, ითვალისწინებდა რა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ცოცხალ პროცესებს, სრულიად განსხვავებული პოეტიკა შექმნა და უაღრესად თავისთავადი, ორიგინალური პოეტური ხმა და ხელწერა გამოუმუშავა, რომლის ნიშნის ქვეშ ახლა ასე თვალსაჩინოდ ვითარდება თანამედროვე ქართული პოეზიის ერთი ძლიერი პოეტური ფრთა.

აქ ერთ პოეტურ ფრთაზე იმიტომ მოგახსენეთ, რომ კლასიკურ, მრავალხმოვან ქართულ პოეზიაში ძველ სასულიერო ლირიკასა და რუსთაველის დაბალ და მაღალ შაირს რომ თავი დავანებოთ, დავით გურამიშვილის შემდეგ, რომლის უშუალო ბუნებრივი ხმის ინტონაცია ვაჟა-ფშაველამ აიტაცა, უმთავრესად ორი ძირითადი პოეტური ხმა ბატონობდა: ერთი — გრიგოლ ორბელიანის ვეებერთელა, ღონიერი ფილტვებიდან ამოფრქვეული პოეტური ხმაა, რომლის შორეული ექო ძალუმად ისმის ილია ჭავჭავაძის ძვალმაგარ სიტყვასა და ლექსში, ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის ნაპირებმორღვეულ, ნიაღვარივით მოხეთქილ სტრიქონებში; ხოლო მეორე — ნიკოლოზ ბარათაშვილის იდუმალებით მოცული, ენერგიული პოეტური ხმა გახლავთ, რომლის ელვარებამ, ხილბომ და სიფიცხემ აკაკი წერეთლის ჯადოსნური თილისმით სავსე ლირიკა წარმოშვა, მერე ორივე ამ პოეტურმა ხმამ — გალაკტიონ ტაბიძის განუმეორებელი პოეტური ხმა... მაგრამ ამაზე ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ეს უკვე სხვა წერილის თემაა, უკეთ, სხვა თეორიული მსჯელობის საგანია ..

ამდენად ეჭვი არაა, რომ სიმონ ჩიქოვანმა დიდად შეუწყო ხელი მეოცე საუკუნის ახალი საბჭოთა პოეზიის განვითარებას, გამდიდრებას, ფორმისა და პოეტური აზროვნების თვალსაზრისით, ახალი, თავისებური ინტონაციით და განწყობილებებით, ლექსის შინაგანი თუ გარეგნული სტრუქტურული წყობით, მხატვრული სახისა და სტრიქონის მისეული არქიტექტონიკული შენებითა და პრინციპებით.

დასასრულს იმას ვიტყვით, რომ სიმონ ჩიქოვანის პოეზიას იმდენი თავისებურება, იმდენი რაღაცნაირი იდუმალება და სიახლე ახლავს, რომ იგი რამდენადმე ჯერაც თითქოს უცხოდ გამოიყურება ქართულ პოეზიაში. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რაც დრო გაივლის, მისი პოეტური სახიერება, პოეზიის სიახლე და დიდი ღირებულება მით უფრო მკვეთრად გამოიკვეთება მომავალი თაობების თვალში და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მუდამ მწვავე ინტერესით წაიკითხავს შთამომავლობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერემია ქარელიშვილი

# ქართული საბჭოთა დრამატურგია გუშინ და დღეს

დრამატურგია ქართული მხატვრული კულტურის ყველაზე ახალგაზრდა დარგია. ქართული ლიტერატურა შორეულ საუკუნეებში იღებს სათავეს, თავისი ტრადიციებით იგი მხარს უსწორებს მსოფლიოს ნებისმიერ მოწინავე ერის მწერლობას, როგორც ნალალმხატვრული ფორმით, ისე საკაცობრიო იდეალებით. დრამატურგია კი ორიოდე საუკუნეს ითვლის, მისი პროფესიული სახის ფორმირება არსებითად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგიდან იწყება. სოციალისტურ რევოლუციამდე თითქმის ვერ მოასწრო დიდი მემკვიდრეობის შექმნა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე დიდებულ ქმნილებას, რომლებშიც მკაფიოდ გამოიხატა ქართველი ხალხის ცხოვრების თავისებურება, მისი მშფოთვარე სული და საბრძოლო იდეალები, პატრიოტიზმი და კაცთმოყვარეობა. როცა ამ თვალსაზრისით გაავლებთ თვალს ქართული დრამატურგიის წარსულს, ჰორიზონტზე შეამჩნევთ ეპოქის მოთხოვნილებით ნაკარნახევს და განპირობებულ გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვისა და ავქსენტი ცაგარლის დრამატურგიას, რომელშიც რეალისტურად გამოიხატა ფეოდალიზმის დაისი, სავაჭრო ბურჟუაზიის ჩასახვა და მისი პირველი ხუხტი ნაბიჯები. მათი სახეები ლოკალურია, ერთგვარად ეგზოტიკურ იერსაც ატარებენ, მაგრამ მოკლებული არ არიან იდეურ და მხატვრულ განზოგადებებს. მათში თავისი დროის ტიპიური ცხოვრება და ხალხის სულიერი ტკივილები, მოქალაქეობრივი იდეალები აისახა. მათი ავტორები პროგრესულ თვალსაზრისზე იდგნენ და ერის სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურებოდნენ, დროის აქტუალურ პრობლემებს აყენებდნენ, მანკიერების მხილებისა და პატრიოტული შემართების პათოსი არ აკლდათ. დიდი ამაგი დასდეს ქართულ თეატრსა და დრამატურგიას ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, დავით კლდიაშვილმა. მათმა პიესებმა გამოიყვანეს ქართული დრამატურგია დიდი ლიტერატურის შარაზე.

ქართული მწერლობის ბედზე მძიმე გავლენას ახდენდა ცარიზმის ბატონობის შემხუთავი ატმოსფერო, თავისუფალი აზრის დევნა, ხალხის ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრა, მაგრამ ყოველივე ამან მაინც ვერ შეაჩერა მისი პროგრესული სულის ლტოლვა, პოტენციალური ენერგია.

პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ქართულმა მწერლობამ, თავის ხალხთან ერთად, შემართების დიდი ძალა და შესაძლებლობა გამოამჟღავნა; მის ყველა დარგში, მათ შორის დრამატურგიაშიც წარმოიშვა მძლავრი დემოკრატიული მიმდინარეობა (შ. დადიანი, ნ. შიუკაშვილი, ი. გედევანიშვილი, პ. ირეთელი, ტ. რამიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ია ეკალაძე...) რომელიც უშუალოდ ეხმაურებოდა საბრძოლველად ფეხზე დამდგარი მშრომელი მასების განწყობილებას, აღვივებდა ხალხში პატრიოტულ და რევოლუციურ სულისკვეთებას.

მაგრამ რევოლუციის დამარცხებამ, გაბატონებულმა სასტიკმა რეაქციამ, პირველმა მსოფლიო ომმა ქართული კულტურის განვითარების გარკვეული კრიზისი გამოიწვია, შეანელა მისი იდეური მაჯისცემა. ქართული მხატვრული სიტყვა, დრამატურგია და თეატრი ამ ხანებში დიდად დააზიანა ფეხმოკიდებულმა სიმბოლიზმმა, დაცემულობამ.

ასეთი მდგომარეობა ჩვენში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე გაგრძელდა. 1917

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართული ლიტერატურა და ხელოვნება გერის მდგომარეობაში აღმოჩნდა და მის ბედზე იშვიათად თუ ვისმეს გული შესტკიოდა, ცალკეული მოღვაწეების წუხილს ყურს არ უგდებდნენ, მათი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შიდა. წვრილბურჟუაზიული უზურპატორები ხელოვნების მოღვაწეებს აბუჩად იგდებდნენ.

1920 წელს ცნობილი დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი გულისტკივილითა და აღშფოთებით წერდა: „...ისე არაფერია დღეს მივიწყებული და ნაგავში გადაგდებული, როგორც ხელოვნება... მსახიობნო, თქვენი გაძევება ცხოვრებიდან ეგრე განუკითხავად, უგვაწოდ — ეს განდიდებული კაცუნების ზნეა.“

ამავე წელს, ცალკეულ მოღვაწეთა თაოსნობით მოწვეულმა მსახიობთა კავშირის წევრთა ყრილობამ ორგზის გაუგზავნა დელეგაცია მენშევიკურ მთავრობას თხოვნით, დახმარება აღმოეჩინა თეატრისათვის, მაგრამ მთავრობამ ყურიც არ შეიბერტყა, ორივე შემთხვევაში დელეგაცია ფუჭი დაპირებებით გამოისტუმრეს. ყრილობის განცხადება ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „საქართველოს დედაქალაქში ქართული თეატრის კარები დაკეტილია და უსახლკარო ქართველი მსახიობი შეუბრალებლად არის განწირული უსახელოდ დასაღუპავად...“

თეატრზე მსჯელობა ცოტა გაგვიგრძელდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩვენი წერილის თემიდან გადახვევას. თეატრი და დრამატურგია ერთმანეთისაგან განუყოფელია, ისინი პარალელურად როდი არსებობენ. ხშირად გაიგონებთ — დრამატურგია, პირველყოვლისა, ლიტერატურული მოვლენააო, მაგრამ ჩვენ ეჭვი გვეპარება რომ ის ასევე, პირველყოვლისა, თეატრალური მოვლენაც არ იყოს. პროფესიული ეროვნული დრამატურგია და პროფესიული ეროვნული თეატრი თანატოლები უნდა იყვნენ. თუმცა ყოველი განვითარებული ერის თეატრალური კულტურის, კერძოდ აქტიორული ხელოვნების განვითარებაში მცირე როლს არ თამაშობს მსოფლიო დრამატურგიული კლასიკა, მაგრამ მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე ერს მოწინავე დრამატურგია ჰქონდეს და თეატრი ჩამორჩებოდეს. და პირიქით. მოწინავე თეატრი ყოველთვის ჰქმნის მძლავრ სტიმულსა და რეალურ პირობებს დრამატურგიის აღორძინებისათვის. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი იყო, როცა მენშევიკების ბატონობის პირობებში თეატრიც და დრამატურგიაც ერთნაირად დაქვეითდა. ამ პერიოდში სულ სამ-ოთხიოდე პიესა დაიწერა და ისიც ცხოვრებისეულობას მოკლებული და მოქალაქეობრივი იდეალებისაგან დაცლილი.

სოციალისტურმა რევოლუციამ უმნიშვნელოვანესი რეფორმები განახორციელა კულტურის სფეროში და მძლავრი სტიმული შექმნა მხატვრული აზროვნების განვითარებისა. თანდათან გარდაიქმნა ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი ცხოვრება, აღიზარდა ხალხის წიაღიდან გამოსული ნიჭიერი ახალგაზრდობა და ეროვნული მხატვრული კულტურის მძლავრი აღმავლობის ბრწყინვალე პერსპექტივები გადაიშალა. ხელოვნება ჭეშმარიტად ხალხური შეიქმნა და ხალხის კუთვნილებად იქცა. მწერლობამ ფეხი აუწყო დროის რიტმს, თანდათან სულ უფრო და უფრო ღრმად ჩასწვდა და სიმართლით წარმოსახა გამარჯვებული ხალხის ცხოვრების სიახლეები. მაგრამ ყოველივე ეს იოლად როდი მოხდა; სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი იდეები მოიტანა, ბევრი რამის ახლებურად გააზრება და გადაფასება მოითხოვა. ახალი კულტურის განვითარება რთული გზით მიდიოდა, თავიდანვე მას მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. პირველყოვლისა, საჭირო იყო რევოლუციამდელი ინტელიგენციის იდეური შემობრუნება და წარსულის საუკეთესო მემკვიდრეობის დაცვა, მისი გამოყენება. სოციალისტურმა რევოლუციამ საყოველთაოდ ცხადყო, რომ იგი იყო ნამდვილი მემკვიდრე ყოველივე საუკეთესოსი, რაც კაცობრიობას თავისი განვითარების მანძილზე შეუქმნია. მაგრამ ეს მაშინათვე ყველასათვის ერთნაირად მისაწვდომი და გასაგები როდი აღმოჩნდა. ჯერ ისევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გაჩენილმა სიმბოლიზმმა საპირისპირო პოზიცია დაიკავა კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ და, მისი მნიშვნელობის ერთგვარი შეუფასებლობა გამოიჩინა. მეორეს მხრივ, სოციალისტური რევოლუციის მიერ ძველი წყობილების ეკონომიური და საზოგადოებრივი ატრიბუტების მსხვრევაში ზოგმა კულტურული მემკვიდრეობის უარყოფაც დაინახა; გაჩნდნენ უარმყოფელნი და ნიჰილისტები, რომლებიც წინ ეღობებოდნენ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ჭეშმარიტი გზით განვითარებას. ამ უარმყოფელთა „თეორიებს“ ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა, დიდმა ლენინმა, როცა რევოლუციის პირველ დღეებშივე ნათლად განსაზღვრა ახალი კულტურის მშენებლობის პერსპექტივები. ეს განსაზღვრა დაედო საფუძვლად კომუნისტური პარტიის მთელ მოღვაწეობას კულტურის ყველა სფეროში და მისი განვითარების ყველა ეტაპზე. 1919 წელს, ლაპარაკობდა რა საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებსა და სიძნელეებზე, ვ. ი. ლენინი კატეგორიული ფორმით ამბობდა: „უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება. უამისოთ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ“.

მხატვრული კულტურის მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება ვ. ი. ლენინმა უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოაყალიბა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მესამე ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1920 წლის 2 ოქტომბერს. „პროლეტარული კულტურის შენება, — ამბობდა იგი, — შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით, — თუ ეს არ შევიგენით, ისე ამ ამოცანას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. პროლეტარული კულტურა არ არის საიდანღაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავის თავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ“.

ჩვენი პარტიის ამ სწორმა პოლიტიკამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქართველ ინტელიგენციაზე და მისი საუკეთესო, რეალისტურად მოაზროვნე ნაწილი, როგორც უკვე ვთქვით, მაშინვე აქტიურად ჩაება ახალი კულტურის მშენებლობაში, მხოლოდ ერთეულები დარჩნენ „გულხელდაკრეფილნი“, მოვლენების პასიური მჭვრეტელის როლში... მაგრამ დრომ თავისი გაიტანა, სულ მალე ისინიც შეგნებულად და რწმენით ამოუდგნენ მხარში ახალი ცხოვრების მშენებლებს.

საერთო წარმატებებს, ბუნებრივად, ქართული თეატრისა და დრამატურგიის აღორძინება და განვითარებაც მოჰყვა. ქართული დრამატურგია ღრმად შეიჭრა ცხოვრებაში და შთამბეჭდავად, მხატვრული სიმართლით ასახა ადამიანის სულში მიმდინარე პროცესები, მისი ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ცვლილებები. ერთი სიტყვით, გვიჩვენა ქვეყნის ბატონ-პატრონი მასების სოციალური აქტივობა წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლასა და ახლის, სოციალისტურის დამკვიდრებაში. რევოლუციამ გამოაღვიძა ხალხის ღრმა ფენები, ამ ფენებში დაფარული შემოქმედებითი ენერგია, და თანამედროვე ლიტერატურის, დრამატურგიისა და თეატრის სიახლეც სწორედ ამ ახალი კანონზომიერების რელიეფურ და დამაჯერებელ ასახვაში გამოიხატა.

ჩვენ დროს, ამბობდა გორკი, სჭირდება გმირული თეატრი, რომელიც თავის ამოცანად დაისახავს აღორძინოს რომანტიზმი, პოეტურად შეაფეროს რაინდულად თავდადებული, თავის იდეაზე შეგზნებარედ შეყვარებული პატიოსანი გმირი ადამიანი.

კოლექტივი იქნება მკვდარი, უსულო სხეული, დასძენდა იგი, თუ ის ვერ შექმნის თავის არსებიდან ახალ პიროვნებას, რომელიც დაუახლოვდება კეთილი, ძლიერი, უშიშარი ადამიანის იდეალს.

სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის ეს სიტყვები თანაბრად ეხებოდა როგორც ლიტერატურას, საერთოდ, ისე დრამატურგიას, კერძოდ. ამ სიტყვებში ზუსტად გამოიხატა დროის მოთხოვნილება. სწორედ ასეთ დრამატურგიასა და თეატრს შეეძლო აღეზარდა ახალი იდეალებისათვის მებრძოლი და სულით ძლიერი, პატიოსანი ადამიანები, ხალხში ჩაენერგა აღორძინების გზაზე შემდგარი თავისუფალი სამშობლოს სიყვარული.

ქართულმა დრამატურგიამ უცბად ვერ შექმნა ასეთი ნიმუშები, მაგრამ ევროპული კლასიკური და რევოლუციური თანამედროვეობისადმი მიძღვნილი რუსული საუკეთესო გმირულ-რომანტიკული ქმნილებების გავლენით, რომლებიც ქართული თეატრის სცენაზე დაიდგა და მისი განახლების შთამბეჭდავი ატმოსფერო შექმნა, ქართულმა დრამატურგიამ სულ მალე მეტად თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ლოპე დე ვეგას, შექსპირის, შილერის გმირების უსამართლობის წინააღმდეგ მგზნებარე შემართება, მოლიერისა და გოლდონის ჯანსაღი, ნამდვილი ხალხური იუმორი — იშვიათი უშუალობით ეხმაურებოდა გამარჯვებული მასების ოპტიმიზმს; განსაკუთრებული იდეურ-ემოციური ძალით აჟღერდნენ ქართულ სცენაზე ბ. ლავრენევისა და სხვა რუსი საბჭოთა დრამატურგების რევოლუციური ხასიათის პიესები.

განახლებულმა სოციალურმა ვითარებამ მწერლობისაგან ახალი გმირები მოითხოვეს და, კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა დრამატურგებმა დროის ამ მოთხოვნას ღირსეულად უპასუხეს, ქართული ლიტერატურის ადრე ჩამორჩენილი ეს დარგი თემატიკურად და ჟანრობრივად გაამრავალფეროვნეს, მხატვრულად გაამდიდრეს, შექმნეს დროის დამახასიათებელი პოზიტიური და ნეგატიური ტიპები.

რევოლუციამდელი დრამატურგებიდან შალვა დადიანი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თავიდანვე უყოყმანოდ მივიდა რევოლუციასთან და აქტიურად ჩადგა მისი ინტერესების სამსახურში, მთელი თავისი ნიჭი, შემოქმედებითი უნარი და ენერგია მიუძღვნა მშრომელთა გამარჯვების საქმეს. ეს სრულიადაც არ იყო მოულოდნელი. იგი სამწერლო სარბიელზე გამოსვლის პირველი დღეებიდან ახლო იდგა მშრომელ მასებთან და მისი შემოქმედება დემოკრატიული და პატრიოტული მოტივებით იქცევდა ყურადღებას. ეს მოტივები განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში მის მიერ შექმნილ სოცია-

ლურ დრამებში — „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“... ამ პერიოდში შალვა დადიანი ძალიან ახლო იდგა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან, მისი რევოლუციური იდეების გავლენას განიცდიდა და თავის დრამებში მკაფიოდ გამოხატა თვითმპყრობელობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ საბრძოლო სულისკვეთება, კლასობრივი თვალსაზრისი.

„მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“ თამამად შეიძლება სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის სათავეებთან დავაყენოთ. ამ დრამების გმირები ოცნებობენ იმ ნეტარ დროზე, როცა აღარ იქნება მშრომელი ადამიანების სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრა და მუშები და გლეხები საკუთარ ბედს თვითონ გამოსჭედავენ. მართალია, მწერალმა ალეგორიული ფორმა აირჩია თავისი თვალსაზრისის გამოსახატავად, მაგრამ მისი ეს „ალეგორია“ ისეთი გამჭვირვალეა, რომ უბრალო მკითხველისათვისაც კი ყველაფერი გასაგები და მისახვედრია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ფორმა, რომელიც ძალიან უახლოვდება ზღაპარს, ავტორმა იმიტომ აირჩია, რომ ყველა ფენის მკითხველისათვის მიმზიდველად წასაკითხი ყოფილიყო და მასში გატარებულ რადიკალურ იდეალს მეტი გადამდები ძალა ჰქონოდა. თალგადახურული მღვიმე, რომელშიც მზის ობოლი სხივიც კი ვერ აღწევს და აუტანელი წყვდიადი მეფობს, იმდროინდელ რუსეთად არის ნაგულისხმევი. ხალხს მოთმინება დაუკარგავს, შფოთავს, ქვეყანა ორ საპირისპირო ბანაკად გაყოფილა და ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ შებმიან. ფიცხელას მეთაურობით ბრძოლაში მუშები ჩაებმებიან, უკმაყოფილო მასებს სათავეში ჩაუდგებიან და თან გაიყოლებენ თალის დასანგრევად, მზისა და სინათლისათვის.

პოლიტიკური და სოციალური მოტივი განსაკუთრებული თანამიმდევრობით გამომჟღავნდა პიესაში „როს ნადიმობდნენ“. საზოგადოებრივ მოვლენებში კარგად გარკვეული მწერალი სიმართლით გვიჩვენებს იმდროინდელ ყოფას. აქ ხედავთ ბატონყმობის ჯერ კიდევ შემორჩენილ გადმონაშთებს, როცა გლეხი სულაც არ არის განთავისუფლებული ბატონისაგან და კვლავ მის მონად რჩება; მთელი სიტუაცია, რომელსაც მწერალი გადმოგვცემს, 1905 წლის რევოლუციის დროიდან არის აღებული. პიესაში თქვენ შეიგრძნობთ არა მხოლოდ რევოლუციის საერთო სულისკვეთებას, არამედ მაშინდელი რევოლუციური ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის პათოსსაც. სიუჟეტურადაც და სულისკვეთებითაც ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს იროდიონ ევდოშვილის ამ პერიოდის საუკეთესო ლექსებისა და შალვა დადიანის დრამატურგიის იდეურ-თემატური მოტივები. მუშის სიტყვებში — „მე აქამდე ვთხოულობდი, მაგრამ მოვა ის ლაშქარი და ძალას წაართმევს იმას, რაც სამართლიანად ეკუთვნის“, — და პიესის დასასრულს წარმოთქმული მგოსნის რეპლიკაში — „უკვე აღსდგა ქარიშხალი, განთიადის მოციქულიო“ — ევდოშვილის პოეზიის ხმა ჩაგესმით.

შალვა დადიანის რევოლუციამდელ დრამატურგიაში თავიდან ბოლომდე პროგრესული, დემოკრატიული თვალსაზრისია გატარებული, ავტორი თანაუგრძნობს სამშობლოსა და მშრომელთა თავისუფლებისათვის მებრძოლთ. ამ პიესების განხილვა ჩვენი წერილის თემა არ არის, მე მინდოდა მხოლოდ მიმეთითებინა იმ წინამძღვრებზე, რომლებმაც განაპირობეს შ. დადიანის თავიდანვე აქტიური მისვლა სოციალისტურ რევოლუციასთან.

შალვა დადიანის საბჭოთა პერიოდის პირველი დრამატურგიული ნაწარმოები არის კომედია „კაკალ გულში“. იგი დაიწერა 1928 წელს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ პიესამ დაუდო სათავე ქართულ საბჭოთა კომედიოგრაფიას. მასში ნათლად გამოიხატა საბჭოთა კომედიის პრინციპები, წარსულის მავნე გადმონაშთების მკაცრი სატირული მხილებისა და ახლის დამამკვიდრებელი პათოსი. მართალია, „კაკალ გულში“ ადრე ნატალია აზიანის „დეზერტირკა“ და ნიკო შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ დაიწერა, მაგრამ ისინი თავისი შინაარსითა და მხატვრული ფორმით მოკლებული იყვნენ კლასიკური კომედიის ნიშნებს, ცხოვრებისეულობას. სერიოზული მხილება მსუბუქი ფარსის, ცინიკური ხუმრობის ხასიათს იღებდა. მათი დიალოგიც იაფფასიან „მასხრობაზე“ იყო აგებული და პერსონაჟთა ენასაც ხალხურის ძარღვიანი ხაფანელი და ტიპიზაცია აკლდა. შალვა დადიანის კომედია სერიოზული ნაწარმოები იყო და დროის შინაგანი კანონზომიერებითა და მწერლის პატრიოტული გულის კარნახით იყო დაწერილი. ამიტომაც მისი სიმართლისა და ემოციური ზემოქმედების ძალა ერთნაირად შთამბეჭდავი იყო. რეალისტურად მოაზროვნე და ფხიზელი ალღოს მწერალი შეუცდომლად გრძნობდა ცხოვრების მაჯისცემას, მისი განვითარების დიალექტიკას, დროულად ეხმაურებოდა ცხოვრების მიერ წამოჭრილ პრობლემებს და მათ პროგრესული თვალსაზრისით წყვეტდა. კომედიის თემა სინამდვილიდანაა აღებული, იგი ახალგაზრდა საბჭოთა აპარატში ბურჟუაზიული წარსულის მანკიერი გადმონაშთების — ბიუროკრატიზმის, ეგოიზმის მხილებას შეიცავს და ზნეობრივი სიწმინდის, ადამიანური კეთილშობილების დამკვიდრებას ემსახურება. პერსონაჟები ტიპიურ კომედიურ სიტუაციებში მოქმედებენ და მათ სალაპარაკო ენაც, ხასიათის შესატყვისად, ინდივიდუალური აქვთ. კომედიის უად-

ეროვნული

რესად დინამიკური, ხალისიანი სიუჟეტი რბილი იუმორითაა აღსავსე.

სავსებით ბუნებრივი იყო, რომ სწორედ ეს უზარმაზარი გამოცდილების მქონე მწერალი შეიქნა ქართული საბჭოთა ტრაგედიის მამაც. სწორედ მაშინ, როცა ლიტერატურულ კრიტიკაში თავგამოდებით ამტკიცებდნენ, თითქოს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ტრაგედიულმა ჟანრმა საარსებო ნიადაგი დაკარგა, შალვა დადიანმა თავისი „თეთნულდით“ ამ უძველესი ჟანრის სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა. მან გვიჩვენა, რომ ახალ საზოგადოებაში ტრაგედია ახალ შინაარსს იძენს, რომ მისი გმირების მოქმედებას ბედისწერის მაგივრად მათი შეგნებული მიზანსწრაფვა წარმართავს, რომ გმირის სიკვდილი მისი იდეის სიკვდილის თანაფარდი არ არის. „თეთნულდის“ მთავარი გმირი იღუპება, მაგრამ მისი საქმე გრძელდება და იმარჯვებს. შალვა დადიანის ამ ოპტიმისტურმა ტრაგედიამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, მაგრამ გამარჯვება ახალ ტრაგედიას ხვდა... მწერლის პოზიცია ნათელი იყო. ახალი შეუპირისპირდა ძველს და მისი გამარჯვება, როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა გადალობებოდა წინ, გარდუვალი იყო...

ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში მნიშვნელოვან მოვლენად აღინიშნა შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“. მასში მხატვრული დამაჯერებლობით აისახა საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჩასახვისა და განვითარების გარკვეული ეტაპი; მწერალმა გვიჩვენა თუ როგორ იჭრებოდა ხალხის ფართო ფენებში ლენინის იდეები და მუშათა მოძრაობა სწორ რევოლუციურ რელსებზე გადაჰყავდა. პიესაში სიმართლით არის დახატული ბურჟუაზიული და ფეოდალური არისტოკრატია, მათი ყოფა, ლიბერალთა და ოპორტუნისტთა სახეები. პიესა ყურადღებას იქცევს სხვადასხვა სოციალური ფენის ცხოვრების დამახასიათებელი დეტალებითა და ხასიათთა უაღრესად ნიშანდობლივი ინდივიდუალური თვისებებით. აღებული პერიოდის საზოგადოებრივი ურთიერთობის, მშრომელი მასების ფსიქიკის ღრმა ცოდნამ მწერალს საშუალება მისცა მხატვრული დამაჯერებლობით წარმოესახა დროის მაჯისცემა, მისი განვითარების შინაგანი ტენდენცია, პერსპექტივები. შ. დადიანის ამ პიესებს ჩვენი დრამატურგისა და თეატრის განვითარებისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდათ. შალვა დადიანის, როგორც დრამატურგის, შემოქმედება რევოლუციის შემდეგ უაღრესად ნაყოფიერი იყო. განხილული პიესების გარდა მან ოცზე მეტი ორიგინალური, გადმოკეთებული და გასცენირებული დრამატურგიული ნაწარმოები შექმნა, ამათგან ცალკე უნდა გამოიყოს „ნინოშვილის გურია“ და „ჩატეხილი ხიდი“, რომლებიც ტრადიციული ინსცენირების ფარგლებს სცილდება და ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობას იძენენ. თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა კრიტიკოსმა გ. ციციშვილმა, რომ „ქართული და რუსული დრამატურგიის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამა თუ იმ მწერალს რომელიმე ცალკეული ნაწარმოების გასცენიურების მაგიერ ერთი პიესის ჩარჩოში თავი მოეყარათ ყველა მისი უმთავრესი ნაწარმოებისათვის და ამ გზით შეექმნათ ინსცენირების სრულიად ახალი სახეობა, რომელიც მიზნად ისახავს არა მწერლის ერთი ნაწარმოების ინსცენირებას, არამედ მთელი მისი შემოქმედების ერთ დრამატურგიულ ნაწარმოებში გაერთიანებას, რათა მეტი მთლიანობით და რელიეფურობით გამომჟღავნებულიყო მწერლის იდეურ-კლასობრივი პოზიცია“.

როდესაც ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ შევაჩეროთ გამოჩენილი მწერლის სანდრო შანშიაშვილის ღვაწლზე. მისი პიესები გამოირჩეოდნენ პოეტური ამაღლებულობითა და სცენურობით, იგი უმთავრესად გმირულ-რომანტიკულ სტილს ამკვიდრებდა. სოციალისტური რეალიზმის პრინციპებმა მის მხატვრულ წარმოსახვაში დიდი სინათლე და სისადავე შეიტანა, დაწმინდა ზედმეტი პირობითობისაგან და კონკრეტულობა შესძინა. მან შექმნა მთელი გალერეა გმირული სახეებისა, რომლებიც ვაჟკაცურად, თავგანწირვით იბრძვიან სიმართლისათვის, თავისუფლებისათვის, სამშობლოსა და ხალხის ბედნიერებისათვის. პატრიოტი მწერლისათვის ორგანული გახდა ინტერნაციონალიზმის გრძნობაც და თავის მთელ რიგ პიესებში დიდი შთაგონებით უმღერა ხალხთა მეგობრობას, — ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ურყევ ბურჯს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ანზორი“ და „სამნი“. „ანზორმა“ თავის დროზე ერთიანად დაიპყრო მკითხველი და მაყურებელი. მართალია, ამ პიესის სიუჟეტი „ნასესხებია“, მაგრამ იმდენად გარდაქმნილი და გათავისებულია, რომ პირველ წყაროსთან თითქოს აღარაფერი აკავშირებს. გმირთა ხასიათების ფერადოვნება, კონტრასტულობა, პათეტიურობა, ტემპერამენტი, რაც ყველაფერი ერთად აღებული განმაცვიფრებელ რომანტიკულ ატმოსფეროს ქმნის, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისთავადია.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცნენ მისი ისტორიული დრამები — „არსენა“ და „კრწანისის გმირები“. „არსენამ“ ყურადღება მიიქცია აღებული თემის მასშტაბურობით, მაღალი იდეური პათოსით, მართალი მხატვრული სახეებით და

სწორი ისტორიულ-კლასობრივი კონცეფციით. დიდი სამამულო ომის წლებში დაწერილი „კრწანისის გმირები“ უშუალოდ ეხმაურებოდა ფაშიზმთან მებრძოლი საბჭოთა ადამიანების სულიერ განწყობილებას და პატრიოტულ გრძნობებს აღუძრავდა. საბჭოთა სინამდვილემ დრამატურგს ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობები გადაუშალა, იგი უაღრესად ინტენსიურად მუშაობს. განხილულ პიესებთან ერთად დაწერა „სპარტაკი“, „ჰერეთის გმირები“, „ლატავრა“, „ენთუზიასტები“, „ფოლადაური“, „გიორგი სააკაძე“, „იმერეთის ღამეები“, „არსენა ჯორჯიაშვილი“ და სხვ. ამ პიესებში ჩვენი ხალხის წარსულს საბჭოთა ადამიანის თვალით შეხედა, თანამედროვეობა კი ახლის დამკვიდრების რწმენით წარმოსახა.

პოლიკარპე კაკაბაძე ქართული საბჭოთა დრამატურგიის განუმეორებელი მოვლენაა; იგი, როგორც დრამატურგი, ჩვენს ეპოქაში ჩამოყალიბდა და კლასიკური ქმნილებებით გაამდიდრა ქართული კომედიოგრაფია, დაამკვიდრა საკუთარი გამომსახველობითი ფორმები, სიტყვას, დიალოგს იშვიათი ემოციური ძალა შესძინა. მწერლის მრავალრიცხოვან ტრაგედიებიდან და კომედიებიდან აქ გვინდა დავასახელოთ მხოლოდ ორი ნაწარმოები — „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა მწერლობისა და თეატრის განვითარებაში. პოლიკარპე კაკაბაძის პერსონაჟები, ტრაგიკულნი არიან ისინი თუ კომიკურნი, წარმოსახავენ იმ ეპოქას, რომლებშიაც ცხოვრობენ და მოქმედებენ. იგი არის ფართო დიაპაზონის მოაზროვნე, ღრმად იხედება ცხოვრების სიღრმეებში, კარგად ხედავს დროისა და ადამიანთა სულიერი მოძრაობის ნიშანდობლივ დეტალებს და იშვიათი მხატვრული ძალით ანზოგადებს, ატიპიურებს მათ. „ყვარყვარე თუთაბერსა“ და „კოლმეურნის ქორწინებაში“ თავისი ფენომენალური კომედიური ნიჭი მთელი ძლიერებითა და სილამაზით გამოავლინა და უტყუარი კლასიკური ტრადიციები შექმნა. მამხილებლური პათოსი და რბილი, ხალისიანი იუმორი, რაც მის შემოქმედებას ხალხურ ფესვებთან აახლოვებს, უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა.

„ყვარყვარე თუთაბერი“ საქართველოში რევოლუციის იმ პერიოდს ასახავს, როცა ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა უზურპატორებმა შექმნილი ვითარებით ისარგებლეს და დროებით ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს. მაგრამ ცხოვრების განვითარების ლოგიკამ მალე მათ თავისი ადგილი მიუჩინა და ქვეყანას მისი ნამდვილი პატრონები — მუშები და გლეხები ჩაუდგნენ სათავეში. ყვარყვარე ტიპიური განსახიერებაა იმ ბრიყვი და უქნარა ავანტიურისტისა, რომელსაც არაფრის უნარი არ გააჩნია და თავისზე უფრო [illegible] ყველაფრის მცოდნედ მოაქვს თავი, [illegible] ყეყეჩი და უქნარა მთლად მოკლებული არ არის „გონიერებას“, ალღოს და შექმნილი მდგომარეობით მოხერხებულად სარგებლობს, ვიდრე ასევე უქნარა და უუნარო უზურპატორები დროებით ბატონობენ. ამ ტიპის შესაქმნელად მწერალმა მოხდენილად გამოიყენა ხალხური ნიღბები, კერძოდ, ნაცარქექიას ხასიათის ნიშნები და ზუსტად მოარგო თავის მხატვრულ ჩანაფიქრს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყვარყვარე ნაცარქექიას იდენტური ხასიათია. ეს უაღრესად თავისთავადი, ორიგინალური ლიტერატურული სახეა, რომელიც მხატვრული ძალითა და მამხილებლური პათოსით გოგოლის ხლესტაკოვს უსწორდება, იგი ხალხში გადავიდა და ზოგად საძრახის ტიპად იქცა. კომედიის განსაკუთრებული იდეური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მწერალმა დამაჯერებლად გვიჩვენა ქვეყნის უზურპატორთა უნიადაგობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ლოგიკური გზა, თანაგრძნობით დახატა საბჭოთა წყობილებისათვის მებრძოლთა სახეები.

და თუ „ყვარყვარე თუთაბერი“ საქართველოში რევოლუციის გარიჟრაჟს ეხება, „კოლმეურნის ქორწინება“ მწერალმა სოციალისტური მშენებლობის წარმატებების, საკოლმეურნეო ცხოვრების ასახვას მიუძღვნა. თავისუფალი შრომის ადამიანები თავის ბედს თვითონ სჭედენ. დოვლათითა და სულიერად გამდიდრებულნი ხალისიანად ცხოვრობენ. და აი, ყველაფერი ამის დამაჯერებლად გადმოსაცემად მწერალი სრულიად ახალ, განსხვავებულ ფერებსა და წარმოსახვის საშუალებებს იყენებს. აქ კიდევ უფრო რელიეფურად მჟღავნდება სიტყვის დიდი ოსტატის კომედიური ნიჭის დაუშრეტელობა, მისი სიმდიდრე, სილამაზე და თავისთავადობა. დაუშრეტელია ავტორის გონებამახვილობა, იუმორის გრძნობა და მეტაფორული აზროვნება. პოლიკარპე კაკაბაძემ ქართული კომედიოგრაფია, საერთოდ, დიდ სიმაღლეზე აიყვანა.

რევოლუციამ ხელი შეუწყო პოეზიისა და პროზის ოსტატებს გაეფართოვებინათ თავისი შემოქმედების თემატიკური და ჟანრობრივი ფარგლები, უფრო მტკიცედ დაკავშირებოდნენ განახლებულ ცხოვრებას და მთელი ინტელექტუალური შესაძლებლობა მის სამსახურში ჩაეყენებიათ. სწორედ მოქალაქეობრივი მოვალეობის ამ მაღალმა შეგნებამ უკარნახა პროფესიულ ბელეტრისტებსა და პოეტებს თავისი წვლილი დრამატურგიაშიც შეეტანათ და ხელი შეეწყოთ ახალგაზრდა საბჭოთა თეატრის განუხრელი აღმავლობისათვის. ცნობილი ბელეტრისტის სერგო კლდიაშვილის დრამებსა და კომედიებში („შემოდგომის აზნაურები“,

„გმირთა თაობა“, „დაბრუნება“, „გრაფის ქვრივი“, „ირმის ხევი“ და სხვ.) ბრწყინვალედ გამოვლინდა ავტორის კომედიური ნიჭი და ადამიანის სულიერი ცხოვრების ყოველმხრივი ცოდნა. დემნა შენგელაიას „თეთრები“, ალექსანდრე ქუთათელის კომედია „შუაღამემ გადაიარა“ ანვითარებდნენ ავტორთა სტილობრივ თავისებურებას და ყურადღებას აზრის სინათლითა და ლექსიკის სიმდიდრით იქცევდნენ. უეჭველად სავტაპო მნიშვნელობა ჰქონდათ ილო მოსაშვილის დრამებს — „სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“, „მისი ვარსკვლავი“. ისინი გვიზიდავდნენ პოეტური უშუალობით, პატრიოტული განცდებითა და რომანტიკული მგზნებარებით. მწერალი გულწრფელად გამოეხმაურა როგორც წინაპართა მტანჯველ ფიქრებს, ისე თანამედროვეთა უაღრესად საჭირბოროტო პრობლემებს — საბჭოთა ადამიანების მისწრაფებებს, მათს ბრძოლას სიახლისათვის, პროგრესისათვის ცხოვრებასა და მეცნიერებაში.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში თვალსაჩინოა პროლეტარული მწერლობის ადრინდელი თაობის წვლილიც. პირველ რიგში აქ უნდა გავიხსენოთ იონა ვაკელი, პეტრე სამსონიძე, გუგული ბუხნიკაშვილი. მათი პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. იონა ვაკელის ტრაგედიებმა „შამილმა“, „გიორგი სააკაძემ“, „შოთა რუსთაველმა“, კომედიამ „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ („საქმიანი კაცი“) დროის გამოცდას გაუძლეს და დღესაც ცხოველი ინტერესით სარგებლობენ. იონა ვაკელმა, როგორც დრამატურგმა, თანამედროვე ქართულ მწერლობაში თავისი ხელწერა მოიტანა.

საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროლეტარული მწერლობის მეორე თაობამაც. მათი პიესები გამოირჩეოდნენ ცხოვრების ახალი პროცესების მკაფიო ხილვით და იდეური სიმახვილით. ალიო მირცხულავას „განგაში“ წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის სახელობის თეატრში, პოპულარობით სარგებლობდნენ კარლო კალაძის დრამები და კომედიები — „როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკვრის პირას“, „ლალი“, გიორგი მდივნის შემოქმედება თემატიკური მრავალფეროვნებითა და პუბლიცისტური პათოსით გამოირჩევა.

ოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში საინტერესო მოვლენა გახლდათ გერცელ ბააზოვის გამოჩენა. ახალგაზრდა მწერალმა, როგორც პროზაში, ისე დრამატურგიაში, დიდი ნიჭიერება გამოამჟღავნა, მან თან მოიტანა ახალი თემები და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, უაღრესად კოლორიტული ფერები. გერცელ ბააზოვის პიესებმა („მუნჯები ალაპარაკდნენ“, „იცკა რიჟინაშვილი“, „განურჩეველად პიროვნებისა“) სწრაფად მოიპოვეს ყურადღება ასახული ცხოვრებისა და ხასიათების ღრმა ცოდნით. ეს პიესები დიდ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ თავისი უშუალობით, მათს ყოველ სტრიქონში ჭარბად შეიგრძნობდით ხალხის უსაზღვროდ მოსიყვარულე შვილის გულისცემას, მის ბედზე სათუთ ზრუნვას, მისი სიკეთით სიხარულსა და ტკივილებით — ტანჯვას.

მტკიცედ დაიმკვიდრა საკუთარი ხმა ფრიად ორიგინალურმა დრამატურგმა ვიქტორ გაბესკირიამ. ამ უნაზესმა ლირიკოსმა თავისი პოეზიის ჟანრული თავისებურება დრამატურგიაშიც გადმოიტანა და უფაქიზესი ადამიანური გრძნობები აამეტყველა. იგი შეგნებულად უვლის გვერდს მაჟორულ სტილს, ადამიანის განცდებში რაღაც ამაღლებულის ძიებას, გმირულ პათოსს. მისი პიესების პერსონაჟები უბრალო, რიგითი ადამიანები არიან, ისინი არც მიისწრაფვიან იყვნენ გმირები, განსაკუთრებული, ხელით მისანიშნებელი ადამიანები, ყველას რომ თვალში ხვდებიან. მაგრამ ამ რიგითი ადამიანების სახით მწერალი ვიჩვენებთ და გაგრძნობინებთ რეალურ ცხოვრებას, ადამიანთა საზოგადოების სიჭრელეს და ღრმად გახედებთ პერსონაჟის სულში და დამაჯერებლად გიჩვენებთ მის ავსა და კარგს. მწერალი, ერთი შეხედვით, თითქოს „გულგრილი“ მაყურებელია თავისი პერსონაჟების მოქმედებისა, არ მონაწილეობს მათი ცხოვრებისა და განცდების წარმართვაში, მაგრამ ეს მირაჟი უცბად ქრება და თანდათან მკაფიოდ ხედავთ ავტორის პოზიციას. თემებიც ასეთივე მოკრძალებული აქვს, არ ქმნის მძაფრ კოლიზიებს და თავბრუდამხვევ სოციალურ შეჯახებებს, მას უფრო ადამიანთა ცხოვრებისა და ურთიერთობის ზნეობრივი მხარე აინტერესებს, აქ ეძებს და აღმოაჩენს კეთილისა და ბოროტის შეპირისპირებას. ყველა მისი პიესა („მათი ამბავი“, „უფსკრულის პირას“, „ახალი წლის ღამეს“ და სხვ.) ემოციურ ეფექტებზეა აგებული და ხელს უწყობს მკითხველისა და მაყურებლის ზნეობრივ გაკეთილშობილებას

მიხეილ მრევლიშვილმა, პროზის ამ ჩინებულმა ოსტატმა, დრამატურგიაში დიდი ნაყოფიერება გამოამჟღავნა. მან ძალიან კარგად იცის, რომ დრამატურგია მხატვრული აზროვნების რთული დარგია და თუ ნიჭს მისი ტოლფასი პროფესიული ოსტატობა არ ახლავს, ფონს გასვლა ძნელია. ამიტომ იშვიათი გულმოდგინებით მუშაობს, დაბეჭითებით ჭძებს უკეთესს, ხვეწს, აზუსტებს, ვიდრე სასურველს არ მიაღწევს. იგი უფრო ფსიქოლოგიური დრამისაკენ მიილტვის და რთული სულიერი ბიოგრაფიის გმირებს ძერწავს. ასეთია მისი როგორც წინაპართა, ისე თანამედროვეთა სახეები. მწერალი გატაცებით მუშაობს

„ბიოგრაფიულ" დრამებზე, წარსულის რთული, მშფოთვარე ცხოვრების ადამიანთა სახეებზე. მისი შემოქმედებითი სტიქია განსაკუთრებული ძალით აქ მჟღავნდება. გაიხსენეთ „ბედი მგოსნისა" (ნ. ბარათაშვილზე), „მგზნებარე მეოცნებე" (ა. გრიბოედოვზე), „წამებაი დედოფლისა"... ამ პიესებში მკითხველის თვალწინ ცოცხლდებიან გარდასულ დროთა სილუეტები. მძიმე და ჯანტულ ცხოვრებაგადავლილი ისტორიული ხასიათები. ისინი გზიბლავენ ფსიქოლოგიური სიმართლითა და ავტორის გულწრფელობით. არანაკლებ მხატვრულ ძალას ამჟღავნებს დრამატურგი თანამედროვე სახეების ძერწვისას, მათი სულიერი განცდების გადმოცემისას. აქაც იგი ფსიქოლოგიური სიღრმეებისაკენ მიილტვის. მისი თინიბეგ უთურგაული („ზვავი") — ეს ისეთი ძლიერი დრამატული სახეა, რომელიც ტრაგედიას დაამშვენებდა. აქ საქმე მხოლოდ სულიერ სიმძაფრეში როდია, იმ ფონის ტიპიურობაშიცაა, რომელზეც მისი რთული დრამატული სახე ამოიკვეთება. ავტორი ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას აღწევს „ხარატაანთ კერის" გმირთა დახატვის დროსაც.

ქართული დრამატურგიის შენაძენია გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ-პატრიოტული დრამა „მუშლი მუხასა" და პიესა „სამ დროში". მათში ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოჩნდა ავტორის ნიჭის მრავალმხრივობა და მხატვრული ფანტაზიის სიმდიდრე.

დრამატურგიაში საკუთარი ხმა ჰქონდა ბრწყინვალე ბელეტრისტსა და პოეტს გიორგი შატბერაშვილს. მან ლიტერატურის ამ დარგშიც დარბაისლური კილო, ხადა და ძარღვიანი ენა მოიტანა. მკვეთრად გვაგრძნობინა ეროვნული კოლორიტი. მისი გმირები ხალხის ტკივილებით იტანჯებიან და მისი ლამაზი ოცნებებით ცხოვრობენ. გიორგი ნახუცრიშვილის მხატვრული ნიჭი ძირითადად ფოლკლორის მადლით იკვებება. ამიტომ მისი სახეობრივი აზროვნება უბრალოებით არის აღჭურვილი და პლასტიკურია. ლევან გოთუა გამოსახვის ფორმითაც და იდეურ-მხატვრული პრობლემების გადაწყვეტის ხერხებითაც ბოლომდე ერთგული დარჩა ტრადიციულისა.

კიტა ბუაჩიძემ პროფესიული ხელწერა გამოიმუშავა, მისი პიესები სცენური თვალსაზრისით უზადოა, თემას უმთავრესად თანამედროვეობაში ეძებს და დამახასიათებელ კომედიურ ვითარებებსა და პერსონაჟთა ცოცხალ ურთიერთობას ქმნის.

ვალერიან კანდელაკის შემოქმედებითი თემატიკა გაფართოვდა, შინაარსობრივად გამრავალფეროვნადა. ავტორის გამომსახველობითი საშუალებები უფრო უშუალო და ლაკონიური შეიქმნა. მისი გმირები სისხლსავსენი და შთამბეჭდავნი არიან. ვანიკო დარასელის „კიკვიძე" სამოქალაქო ომის თემაზე შექმნილი საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ნიმუშია. მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს საბჭოთა არმიის ხალხურ და ინტერნაციონალურ ხასიათს.

ქართული დრამატურგიის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მარიკა ბარათაშვილმა, თინა დონჟაშვილმა, ოთარ ჩხეიძემ, ოთარ ჩიჯავაძემ, რევაზ თაბუკაშვილმა, ოთარ მამფორიამ, ამირან შერვაშიძემ, ვასო პატარაიამ, მიხეილ ჯაფარიძემ, გრიგოლ ბერძენიშვილმა, გენო ქელბაქიანმა და სხვებმა. უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე მათი პიესები წარმატებით იდგმება და მაყურებლის დამსახურებული მოწონებით სარგებლობენ.

ფაქტიურად თითქმის უტრადიციოა ქართული საბავშვო დრამატურგია. მას მხოლოდ ჩვენს დროში მიექცა ყურადღება. მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრების დაარსება, რომლებიც ბავშვთა სკოლის გარეშე იდეურ-ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის ძირითად კერებად გადაიქცნენ, საბავშვო დრამატურგიის განვითარების მძლავრი სტიმული შეიქმნა. შალვა დადიანის, სიმონ მთვარიძის, აკაკი ბელიაშვილის, გუგა ნახუცრიშვილის, როდიონ ქორქიას, კუკური გოგიაშვილის, ქეთევან ქუჩუკაშვილის, რაფიელ მამულაშვილის, ვლადიმერ იაკაშვილის და სხვების თეატრთან შემოქმედებითმა თანამეგობრობამ დიდი ნაყოფი გამოიღო, მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრების სცენაზე მტკიცედ დასახლდნენ ისტორიული და ზღაპრული გმირები, უახლესი რევოლუციური წარსულის მამაცი ადამიანები, კომუნისტური ცხოვრების დამკვიდრებისათვის მებრძოლი ენთუზიასტები... ქართულ საბავშვო დრამატურგიაში აისახა ჩვენი ახალგაზრდობის ხალისიანი და მიმზიდველი ცხოვრება, მათი დღევანდელი და ხვალინდელი დღე.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, როცა „ყველა სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტიური თანასწორობის საფუძველზე იშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი" (ლ. ბრეჟნევი), საბჭოთა მწერლობის წინაშე ახალი ამოცანები და მოთხოვნილებები წარმოიშვა. ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ხელოვნების განვითარების სხვადასხვა პერიოდში წინა პლანზე წამოიწევა ხოლმე სხვადასხვა სახეობრივ-სტილობრივი ტენდენციები. სამოც-სამოცდაათიანი წლების ლიტერატურის ცენტრში მართებულად მოექცა ადამიანის ფსიქიკა, ზნეობრივი პრობლემები. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ადამიანის სულიერი სამყარო უფრო რთული გახდა. სოციალურმა წინააღმდეგობებმა ადამიანის სულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გადაინაცვლა და ყველაზე დამახასიათებლად მის ზნეობაში გამჟღავნდა. ამიტომ თანამედროვე ხელოვნებამ წინა პლანზე ადამიანის ზნეობა წამოსწია. ამ სფეროში დაიწყო კეთილისა და ბოროტის, პროგრესულისა და ჩამორჩენილის შეპირისპირების ძიება და გამოხატვა. დღევანდელი ჩვენი დრამატურგიაც უპირატესად სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მწერლობაში მოვიდა დიდად ნიჭიერი თაობა, რომელმაც თან საკუთარი ხმა, საკუთარი მხატვრული პრინციპები მოიტანა. დრამატურგთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, აკაკი გეწაძე, თამაზ ჭილაძე, არჩილ სულაკაური, მერაბ ელიოზიშვილი, გიორგი ხუხაშვილი, ალექსანდრე ჩხაიძე... ამათგან უმრავლესობამ, ერთსა და იმავე დროს ახალი სიო მოიტანა ქართულ პროზაშიც და დრამატურგიაშიც. ნოდარ დუმბაძე პროფესიული დრამატურგი არ არის, ის არ წერს საკუთრივ პიესებს, მაგრამ კაცთმოყვარეობით გამსჭვალული მისი ბრწყინვალე პროზაული ქმნილებები, იმავე დროს იმდენად დრამატურგიულია, რომ სრულიად თავისუფლად, თითქმის უცვლელად გადადის ახალ ფორმაში და თავის პირველსახიდან არაფერს კარგავს, არ მცირდება მისი იდეური ჟღერა, პირიქით, უფრო მეტ ემოციურ ძალას იძენს. ნოდარ დუმბაძის გმირებს სცენაზე რომ უყურებთ, ოდნავადაც არ გინელდებათ ის მღელვარე შთაბეჭდილებები, რომლებიც მოთხრობების კითხვისას მიიღეთ. ამიტომ მისი პროზა ორ ღმერთს — მწერლობისა და თეატრის სიკეთეს თანაბრად ემსახურება.

ოტია იოსელიანის პიესების თემა უაღრესად მიწიერია, იგი ცდილობს კარგად გაიგოს და სწორად გადმოსცეს თანამედროვე სოფლის სიხარული და ტკივილები. თამაზ ჭილაძის დრამატურგია ლირიკული ხასიათისაა, იშვიათი უშუალობითა და ემოციურობით გამოირჩევა. მწერალი სათუთად, მაგრამ მღელვარებით გესაუბრებათ თავისი გმირების ფიქრებსა და საზრუნავზე, გულისტკივილით ეკიდება ნეგატიურ პერსონაჟებსაც, მათშიც ეძებს ნათელ სხივებს, გასაწირავად არ ემეტება, მათ მომავალზეც დაგაფიქრებთ. აკაკი გეწაძის კალმის მონასმი ლაპიდარულია, ის უფრო ამაღლებული სტილისაკენ მილტივს და სიტყვაში არტისტული პათოსი შეაქვს. გიორგი ხუხაშვილი თქვენ ყურადღებას თემისა და ხასიათების მრავალმხრივობით იქცევს. აზრობრივ სირთულეებს არ ერიდება და არც თემის პოეტიზირებას გაურბის. თითქმის დადგენილი საკუთარი სტილი აქვს. მაგრამ თვითკმაყოფილებას არ ეძლევა. ყოველ მომდევნო პიესაში რაღაც უფრო სრულყოფილს ეძებს. მერაბ ელიოზიშვილის პიესები გამოირჩევიან ლაკონიურობითა და კოლორიტული სახეობრივი აზროვნებით. მხატვრული წარმოსახვის სიახლით საყურადღებო იყო ლექსისა და პროზის ჩინებული ოსტატის არჩილ სულაკაურის ცდები დრამატურგიაში, მაგრამ დასანანია, რომ ამ ცდებს ინტენსიური გაგრძელება არ მოჰყვა. ალექსანდრე ჩხაიძე უაღრესად ცხოვრებისეულია, თამამად ეჭიდება გაბედულ თემებს და თავისუფლად პოულობს მათთვის შესატყვის სცენურ ჩარჩოს. გურამ ბათიაშვილი დიდი ხანი არ არის, რაც ლიტერატურის ამ დარგში მუშაობს და თავისი ნიჭიერებით უკვე მიიქცია ყურადღება.

საერთოდ, ამ თაობამ ერთგვარი სიახლის სიო მოიტანა და ქართული დრამატურგიის მძლავრი აღმავლობის იმედები აღძრა. სიახლეები შეინიშნება როგორც მათ მხატვრულ ხერხებში, ისე თემატიკასა და მსოფლშეგრძნებაში, მათ თანამედროვე ჭაბუკების მღელვარე ფიქრები და ოცნება იტაცებს, ახალგაზრდობის ხვალინდელი ბედზე, ზნეობრივ გასპეტაკებაზე ზრუნავენ, ყოველგვარი მანკიერებისა და უსამართლობის სიძულვილს აღვივებენ. მთელი ამ თაობის შემოქმედების ერთ ნაწარმოებად წარმოდგენა რომ შეიძლებოდეს, თქვენ მოისმენდით თანამედროვე ახალგაზრდობის თამამი და მართალი აზრის ქარიშხლისებურ ქროლვასა და მღელვარებას. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ და მათი შემოქმედება ერთფეროვან გამას ქმნიდეს. არა, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ჭეშმარიტად თავისთავადნი, საკუთარი ხელწერის ავტორები არიან. დღეს ძირითადად სწორედ ეს თაობა ქმნის ქართული დრამატურგიის ჭეშმარიტ შემოქმედებით ატმოსფეროს, მის მაჯისცემას...

ბოლო წლეში დრამატურგიაში მოვიდნენ უფრო ახალგაზრდებიც, — თამაზ ბიბილური, ლაშა თაბუკაშვილი ავთანდილ ჩხიკვიშვილი, ალექსანდრე კოტეტიშვილი, მზია ხეთაგური, ვალერიან ჩეკურიშვილი, ლამარა ბერიშვილი და სხვ., რომლებმაც საინტერესო დრამატურგიული აზროვნების უნარი გამოამჟღავნეს.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიწვია თავისუფალ ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავება. ერთიან ეკონომიკურ საფუძველზე განმტკიცდა ერთა სულიერი კავშირი, მოხდა მათი ლიტერატურისა და ხელოვნების ურთიერთ გავლენა და გამდიდრება. ადრე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო ქართული კულტურის მიღწევების ისე ფართო მასშტაბით გატანაზე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, როგორი მასშტაბითაც ეს დღეს ხდება. დედამიწაზე არ მოიპო-

ვება ცოტად თუ ბევრად ცივილიზებული კუთხე, სადაც ქართული სიტყვის მადლს არ შეეღწიოს. ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ქმნილებები ითარგმნება და გამოდის სოციალისტური ერებისა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე. ქართველ დრამატურგთა გმირები თავისუფლად და ამაყად მოგზაურობენ ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში და მაყურებელთა გულში ადამიანის სიყვარულის, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის უკეთილშობილეს გრძნობებს აღვივებენ, განამტკიცებენ ხალხთა შორის მეგობრობასა და მშვიდობას დედამიწაზე. ყოველივე ეს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების ნაყოფია; კომუნისტური პარტია მუდმივად ზრუნავს პროფესიული და ხალხური შემოქმედების იდეური და მხატვრული აღმავლობისათვის. ახალი განვითარებული სოციალიზმის ეპოქის კონსტიტუცია საზოგადოების სულიერ ღირებულებათა დაცვისა და გამრავლებისათვის სახელმწიფოს ზრუნვას კანონის ძალას ანიჭებს, და ეჭვი არ არის, რომ ეს გარემოება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ახალი აღმავლობის რეალურ პირობებს შექმნის, გამოიწვევს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ მძლავრ განვითარებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნადია შალუტაშვილი

# კომუნისტის სახე ქართულ სცენაზე

საბჭოთა თეატრის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანაა აღზარდოს მორალურად, ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანები. მისი ამოცანა ისიც არის, რომ ემსახუროს ამ ადამიანთა პოლიტიკურ წრთობას, ჩამოაყალიბოს მათი კომუნისტური მსოფლმხედველობა, შექმნას კაცობრიობის მაღალი იდეალებისათვის მებრძოლთა კოლორიტული სახეები.

ამ ამოცანის გადაჭრისას თეატრის მესვეურთ კარგად ესმით, რომ დადებითი გმირი თვით ცხოვრებაში უნდა ჰპოვონ, თვით სინამდვილე უნდა გახდეს თეატრის მასაზრდოებელი წყარო; ჩვენმა საუკუნემ წარმოშვა თვისებრივად ახალი ადამიანური ხასიათი, ტიპი, სახე კომუნისტისა, რომელიც განმათავისუფლებელ ბრძოლებში მტკიცდებოდა და ფოლადივით იწრთობოდა. ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა, თანამებრძოლებმა შექმნეს თვისებრივად ახალი პარტია, პარტია კომუნისტებისა, იმ ადამიანებისა, რომელნიც მუდამ მაგალითი უნდა იყვნენ, რომელთაც პარტიული სინდისი ავალებს მუდამ წინა ხაზზე იდგნენ, ე. ი. იქ, სადაც ყველაზე ძლიერ ჭირს. კომუნისტებმა თვითონ იკისრეს ეს საპატიო, ძნელი მოვალეობა — და წინ წაუძღვნენ მასებს.

კომუნისტები მუდამ მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ; მათ გამოაარეს მეფის კატორღის საშინელებები, ეწეოდნენ იატაკქვეშა მუშაობას, ადიოდნენ სახრჩობელებზე, იღუპებოდნენ რევოლუციის ბარიკადებზე, იცავდნენ განსაცდელში მყოფ სამშობლოს სამოქალაქო ომის ფრონტებზე, აშენებდნენ უმძლავრეს ელექსტროსადგურებს, ახალ ქალაქებს ტაიგაში. ოცდახუთი ათასი კომუნისტი წავიდა სოფლად კოლექტივიზაციის წლებში, რათა ხელი შეეწყოთ სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. კომუნისტები თავს სწირავდნენ ესპანეთის ხალხის თავისუფლებისათვის; დიდი სამამულო ომის წლებში ყოველი კომუნისტი პოლიტხელი იყო, პარტიის წარგზავნილი. ამიტომაც იყო, რომ ასე ეშინოდათ მათი ფაშისტებს. კომუნისტები კვდებოდნენ, მაგრამ არასოდეს დამარცხებულან... თავისი გმირობით, თავდადებით, იდეალებისადმი ერთგულებით, კომუნისტებმა ხალხის ფართო მასებში უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვეს. ამიტომაც იყო, რომ ბრძოლაში მიმავალი მებრძოლები ამხანაგებს ანდერძივით უტოვებდნენ — „თუ დავიღუპე, ჩამთვალეთ კომუნისტად“...

ისტორიაში მანამდე არნახული, სასტიკი დადამანგრეველი ომის შემდეგ შინ დაბრუნებულ მეომრებს დასვენების დრო არა ჰქონიათ. ისინი, საბრძოლო ფარაჯიანები, დასხდნენ სასწავლებლების მერხებზე, დაიწყეს დანგრეული ფაბრიკა-ქარხნების, ქალაქების, ელსადგურების აღდგენა, გადამწვარ სოფლებში შეიტანეს სიცოცხლე...

რასაკვირველია, ცხოვრება წინ მიდის და დღევანდელი კომუნისტები განსხვავდებიან მამებისა და პაპებისაგან, მაგრამ არის მათში ერთი, რაც აერთებს, ადუღაბებს ყველა ასაკის, ყველა ეროვნების კომუნისტებს — ეს არის ერთგულება კომუნისტური მრწამსისადმი, ჰუმანიზმის უმაღლესი იდეალებისადმი. ამიტომ კომუნისტები დღესაც წინა ხაზზე არიან. ისინი პირველები მიფრინავენ კოსმოსში, ამიტომ კომუნისტები დღესაც წინა ხაზზე ისინი, თავისი არსით ინტერნაციონალისტები, მუდამ იბრძვიან დაჩაგრულ ხალხთა გათავისუფლებისათვის. კომუნიზმი დღეს აჩრდილი აღარ არის, იგი რეალობაა, ცოცხალი რეალობა; მსოფლიოში, რომელ ქვეყანაშიც უნდა იმყოფებოდეს იგი, ყველა მებრძოლ კომუნისტს ახსოვს, რომ მას ჰყავს მეგობრები ჩვენს ქვეყანაში, სადაც პარტიული ბილეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეობრივი სიამაყისა და თავდადების აღმნიშვნელი საბუთია ყველასათვის, ვინც იბრძვის კაცობრიობის მაღალი იდეალებისათვის.

ყოველივე ამის გამო კომუნისტის სახეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნებისათვის. საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებში აისახა თავდადებული კომუნისტების — პაველ ვლასოვის, პაველ კორჩაგინის, ლევინსონის, დავიდოვის, ნაგულნოვის, იზვეკოვის, მარესიევის, ტარასი ხაზარაძის და მრავალი სხვა გმირი კომუნისტის სახეები. კომუნისტები აღბეჭდილნი არიან მოქანდაკეთა ნაწარმოებებში, საბჭოთა მხატვრების ტილოებზე, მუსიკაში, კინო-ფილმებში. ცხადია, არც თეატრს აუვლია გვერდი ამ მრავალმნიშვნელოვანი პრობლემისათვის.

ჯერ ისევ 1921 წლის მარტში გაზეთი „კომუნისტი" ქართული თეატრის მთავარ ამოცანად მიიჩნევდა — მხარში ამოსდგომოდა ხალხს და არ ჩამორჩენოდა თავის თანამედროვეობას. „თეატრს არ შეუძლია, — წერდა გაზეთი, — კვლავ ბურჟუაზიული მაკულატურის არაფრისმთქმელი და უნიათო ნაწარმოებებით უმასპინძლდებოდეს საზოგადოებას. ამიერიდან სცენიდან უნდა ისმოდეს კაცობრიობის უდიდეს განცდათა ცეცხლით ნაწრთობი, მძლავრი და გაბედული სიტყვები"...

დაიწყო ბრძოლა ახალი, საბჭოთა ქართული თეატრის, დრამატურგიის შექმნისათვის. თეატრის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ საჭირო იყო ახალი, რევოლუციური დრამატურგია.

ცნობილია, თუ რა დიდი სიძნელეები იდგა ქართული თეატრის წინაშე მისი არსებობის პირველ წლებში. ერთ-ერთი მთავარი სიძნელე ახალი, საბჭოთა ქართული პიესების სიმცირე იყო. გარდატეხა ჩვენი თეატრის ცხოვრებაში შემოიტანა კ. მარჯანიშვილმა, რომელმაც იმთავითვე მიზნად დაისახა თეატრის იდეური გარდაქმნა. მან განაცხადა: „ცხოვრება ხელოვნებისაგან რაღაც დიადს, ზოგადსაკაცობრიოს მოელისო".

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის პირველ ეტაპზე უდიდესი წარმატება ხვდა წილად კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს", შექსპირის „ჰამლეტს" და სხვა კლასიკურ ნაწარმოებთა დადგმებს; ამ სპექტაკლებმა ერთბაშად აამაღლეს ქართული ხელოვნების იდეური და ესთეტიკური დონე. იმავე დროს, კ. მარჯანიშვილსაც და ს. ახმეტელსაც კარგად ესმოდათ, რომ თეატრს სჭირდებოდა თანამედროვე, რევოლუციური მგზნებარებით აღსავსე წარმოდგენები. ცხოვრებამ თავისთავად დააყენა თეატრის წინაშე სოციალური თემების ძიების აუცილებლობა.

1925 წელს ივნისში გამოქვეყნდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელშიაც ხაზგასმით იყო აღნიშნული: „არ არის და არც შეიძლება იყოს ნეიტრალური ხელოვნება". დადგენილება მოითხოვდა ხელოვნებაში ახალი სინამდვილის პოზიტიურ ასახვას. დგამდნენ რა თავიანთ პირველ საბჭოთა სპექტაკლებს, კ. მარჯანიშვილს და ს. ახმეტელს სურდათ, რომ მაყურებელს სცენაზე ენახა საბჭოთა ადამიანის, ახალი ადამიანის სახე. მისი ცხოვრება, გმირული ბრძოლა, ახალი სოციალური ურთიერთობა. საბჭოთა ქართული თეატრის ფუძემდებლები იბრძოდნენ თანამედროვე, ეპოქის შესატყვისი იმ რევოლუციური თეატრის შექმნისათვის, რომლის მთავარი გმირი ხალხი იქნებოდა.

ხელოვნების მუშაკებისადმი მიმართვაში კ. მარჯანიშვილი წერდა: „მოვუწოდებ ჯანსაღ და სიცოცხლისმოყვარე ახალგაზრდობას გაბედულად აიღოს ხელში ახალი ხელოვნების ორგანიზაცია და პოლიტიკურ მშენებლობასთან შეხამებით ეროვნულ ნიადაგზე განამტკიცოს ზოგად-საკაცობრიო კულტურა"...

ს. ახმეტელი ერთ-ერთ თავის გამოსვლაში იმ აზრს იცავდა, რომ თეატრმა ახლავე, დღესვე უნდა ასახოს სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზული წინსვლის სურათები. ყოველი ეპოქა წამოსჭრის თავის პრობლემებს. ოციან წლებში მაყურებელი სცენაზე ეძებდა თავის თანამედროვეთა, რევოლუციონერთა გმირულ სახეებს; ამ ხანებში ქართულ სცენაზე დაიდგა ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის „საჭე მარცხნივ!", ბ. ლავრენევის „რღვევა", ს. შანშიაშვილის მიერ ვსევოლოდ ივანოვის „ჯავშნოსანი 14-69-ს" მიხედვით დაწერილი „ანზორი". ყველა ეს დადგმა სანდრო ახმეტელს ეკუთვნოდა და მათი მთავარი გმირები კომუნისტები იყვნენ.

ბ. ლავრენევის „რღვევაში" კრეისერის აჯანყებულ მეზღვაურებს სათავეში უდგნენ კომუნისტები. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია უშანგი ჩხეიძის მიერ მგზნებარებით, სისადავით და ცხოვრებისეული სიმართლით განხორციელებული არტემ გოდუნი. უშანგი ჩხეიძის გოდუნს რევოლუციისაკენ მიჰყავდა მასა, იგი მისი წარმმართველი იყო, ახალი ტიპი გახლდათ რევოლუციონერი-მეზღვაურისა, რომელიც შესაძლოა, ფილოსოფიასა და ლიტერატურაში კარგად ვერ ერკვეოდა, მაგრამ ბოლშევიკური არითმეტიკა კარგად იცოდა. უ. ჩხეიძის გოდუნი ცოდნასმოწყურებული, ცხოვრების ყველა მხარით დაინტერესებული, პირდაპირი და პატიოსანი, შეუდრეკელი მებრძოლი იყო. მის ვაჟკაცურ შემართებას ამშვენებდა თანდაყოლილი ტაქტი. სისადავე, ჰეროიკული მგზნებარება. რევოლუციური აღტკინება. სიმამაცე იგი მეზღვაურთა მოთავე იყო, რომელიც მათ მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიუძღოდათ.

გოდუნის რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ სძლევდა ძველი ყაიდის ინტელიგენტის — კაპიტან ბერსენევის (გიორგი დავითაშვილი) ყოყმანს, ბერსენევს რევოლუციის მოკავშირედ ხდიდა, ასევე რევოლუციის საქმის ღრმა რწმენით იყო სავსე „ანზორის“ პერსონაჟი კომუნისტი ივანოვი, რომელიც გულდასმით უხსნიდა მთიელებს ვინ არის მათი ნამდვილი მტერი, რატომ დაწვეს თეთრგვარდიელებმა მშვიდობიანი აული, რატომ ამოწყვიტეს ანზორის ოჯახი.

კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის წლებში დრამატურგებმა ხელი მოჰკიდეს ახალ თემებს; სცენაზე შაშხანიანი, იარაღით აღჭურვილი მებრძოლი კომუნისტების გვერდით გამოჩნდნენ პირველი ხუთწლედის გმირები.

ახალ ადამიანს ქმნიდა და აწრთობდა თვით ცხოვრება და, როგორც ყოველთვის, კომუნისტები ახლაც წინა რიგებში იდგნენ. ისინი მუშაობდნენ მშენებლობებზე, შახტებსა და კოლმეურნეობებში, ფხიზლად იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს. ზრდიდნენ ინტელიგენციის ახალ კადრებს... ოცდაათიან წლებში ლიტერატურაში მოვიდნენ ახალი დრამატურგები. ქართულ სცენაზე ამ წლებში დაიდგა ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“. ამ პიესაში ავტორმა გვიჩვენა რეკონსტრუქციის პერიოდის მუშათა კლასის ყოფა, შექმნა მუშათა წრიდან დაწინაურებული ახალგაზრდა დირექტორის — ნოვიკოვის საინტერესო სახე, (მსახ. აკ. ვასაძე).

ამ წლებში დადგმულ წარმოდგენათა შორის უთუოდ ყურადღების ღირსია ვ. კირშონის მეორე პიესის „ქართა ქალაქის“ (რეჟ. ს. ახმეტელი) დადგმა. ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ეს ნაწარმოები ბაქოს 26 კომისრის ტრაგიკულ დაღუპვას აღწერდა. პიესის გმირთა სახეები მოკლებულია ისტორიულ კონკრეტულობას, მაგრამ მაინც დიდი მხატვრული სიმართლით, პოეტურობით არის გადმოცემული ეპოქის სოციალური სინამდვილე. სპექტაკლი საინტერესო იყო რეჟისორული გადაწყვეტით, მსახიობთა თამაშით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა აკ. ხორავას კომუნისტ გოროიანის მაღალმხატვრული სახე; გაზეთი „კომუნისტი“, აღნიშნავდა რა ა. ხორავას ამ როლში წარმატებას წერდა: „მთელი თამაშის სიმძიმის ცენტრი მსახიობს გადატანილი აქვს განცდათა სიღრმეში... დაბალი ტონი, მაგრამ დატვირთული შინაგანი ექსპრესით... არც ერთი გადაჭარბება და ტრაფარეტი... განსაკუთრებით კარგად ჩაატარა სცენა საპყრობილეში, როცა იგი მიხვდა სიკვდილის მოახლოებას“...

აკ. ხორავას შემოქმედება მუდამ გამოირჩეოდა ჭეშმარიტი პარტიულობით, გმირული მგზნებარებითა და მაღალი იდეურობით.

მართალია, რუსულმა საბჭოთა დრამატურგიამ დიდი სამსახური გაუწია ქართულ თეატრს თანამედროვეობის თემის ასახვის და გადმოცემის თვალსაზრისით, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ საჭირო და აუცილებელი იყო ეროვნული ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოს სინამდვილეს ასახავდა. და ასეთი პიესები გამოჩნდა კიდევაც.

1931 წელს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დადგმული ა. მირცხულავას (მაშაშვილი) პიესა „განგაში“ პირველი ქართული პიესა იყო, რომელიც საკოლმეურნეო თემატიკას ეხებოდა. აღნიშნავდა რა პიესისა და სპექტაკლის წარმატებას (დამდგმელები ს. ახმეტელი, ქ. პატარიძე), იმდროინდელი პრესა ხაზს უსვამდა იმას, რომ „ალიო მირცხულავამ თავის პიესაში გვიჩვენა როგორ ამაღლებდა ახალი ცხოვრება ოდესღაც დაბეჩავებულ ადამიანებს, მაღალი მოქალაქეობრივი უფლებებით აჯილდოებდა, ხელს უწყობდა მათს სულიერ და კულტურულ ზრდას“.

იმ წლებში დაწერილ ქართულ დრამატულ ნაწარმოებთა შორის ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით გამოირჩეოდა ს. შანშიაშვილის „სამნი“, ნაწარმოები, რომელშიაც ამიერკავკასიის ხალხთა ძმობისა და ერთიანობის იდეა იყო გატარებული. ამ ნაწარმოებში ნაჩვენები იყო ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მშრომელთა ბრძოლა მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების წინააღმდეგ.

ამ წლებში თანამედროვე თემამ თავისი ადგილი დაიჭირა მარჯანიშვილის თეატრშიც; სპექტაკლები „ხატიჯე“, „როგორ“, „კაკალ გულში“, „ნაპერწკლიდან“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“ ასახავდნენ საქართველოს მშრომელთა ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის;

ეს იყო წლები, როცა ლაღად იფურჩქნებოდა დიდი ოსტატის უშანგი ჩხეიძის ტალანტი. კვეჟენაძის როლში (შ. დადიანის „კაკალ გულში“) მან შექმნა უქნარა, ინტრიგანი, პარტიას მიტმასნილი ადამიანის სატირული სახე; ასევე უაღრესად საინტერესო იყო მისივე ყვარყვარე თუთაბერი პ. კაკაბაძის ცნობილ პიესაში; ეს სახეები თავისი ემოციური დამუხტვით, ცხოვრებისეული სიმართლით შეიძლება აქტიორული ხელოვნების საუკეთესო მიღწევათა რიგში დავაყენოთ. გარდასახვის დიდმა ოსტატმა უ. ჩხეიძემ ამ ღრმად სატირულ, მამხილებელ სახეთა გვერდით შექმნა რევოლუციური ბრძოლის რომანტიკით ამაღლებული, ხალხის ბედნიერებისათვის მგზნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არე მებრძოლი კომუნისტის ბეგლარის სახე (ც. კალაძის „როგორ"). თავისი გარეგნული მონახაზებით ეს სახე იმდენად კოლორიტული და ტიპიური იყო, რომ სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ იგი შეიტანა თავის დიდ ფერწერულ კომპოზიციაში — „1901 წლის პირველი მაისის დემონსტრაცია თბილისში".

1935 წელს ჯერ სანიტარული კულტურის თეატრში, ხოლო შემდეგ რუსთაველის თეატრში დაიდგა ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", რომელიც ამ დრამატული კოლექტივებისათვის საეტაპო ნამუშევარი იყო. აღნიშნული პიესით ქართულ სცენაზე შემოტანილი იქნა ახალი თემა — საბჭოთა ინტელიგენციის ზრდა-განვითარების პრობლემა. რეჟისორმა შ. აღსაბაძემ ორგანულად დაუკავშირა ერთიმეორეს თეატრის ხელწერისათვის დამახასიათებელი ჰეროიკა და ფაქიზი ფსიქოლოგიზმი.

ჭეშმარიტი პათეტიკით, მგზნებარებით იყო აღსავსე ა. ხორავას მიერ შექმნილი ახალგაზრდა ქირურგის პლატონ კრეჩეტის სახე, სახე ახალი ფორმაციის ინტელიგენტისა .

საოცარი სიზუსტით, ლაკონიურობით, მრავალმეტყველად განასახიერებდა აკ . ვასაძე კომუნისტი ხელმძღვანელის ბერესტის სახეს. მსახიობს მონახული ჰქონდა უაღრესად მეტყველი დეტალები. აკ. ვასაძის ბერესტი დინჯი, აუჩქარებელი, გონებადამჯდარი და საზრიანი კომუნისტი-ხელმძღვანელი იყო, რომელიც მაყურებლის სიმპათიას იმსახურებდა ჰუმანიზმით, სიმტკიცითა და შეურიგებელი პრინციპულობით. საინტერესო იყო ამ ორი ჭეშმარიტად მშვენიერი ადამიანის — კრეჩეტისა და ბერესტის დიალოგი. კრეჩეტი-ხორავა თვალანთებული ეუბნება ბერესტს: „კაცობრიობას მოჰპარეს მზე. ჩვენ უკანვე ვუბრუნებთ ამ მზეს. კაცობრიობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, სიკვდილი უკან რომ იხევს ჩვენში და მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგო ბერესტ, რომ შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენ საბოლოოდ დავძლევთ უდროო მოხუცებულობას და მომავალ თაობებს მილიონ მზიან დღეებს დავუბრუნებთ".

ომამდელ წლებში დადგმულ ქართველ ავტორთა ნაწარმოებებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა", ი. ვაკელის „შური", ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი"... ამ პიესებში გამოყვანილ საბჭოთა ადამიანებს წარსულ ცხოვრებასთან მარტო პოლიტიკური კი არა, ეთიკური კონფლიქტებიც ჰქონდათ. სოციალიზმის მშენებელთა კეთილშობილება, ჭეშმარიტი ჰუმანიზმი შეურიგებელ წინააღმდეგობაშია ძველი სამყაროს მგლურ, ყაჩაღურ მორალთან; სწორედ ამიტომ სოციალიზმის მშენებელთა გამარჯვება სოციალისტური მორალის, პროგრესული კაცობრიობის ზნეობის გამარჯვებასაც ნიშნავდა.

„გმირთა თაობის" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მშენებლობის უფროსი დიმიტრი გეგელია გამოცდილი მშენებელი და მტკიცე კომუნისტი იყო. გიორგი დავითაშვილი, რომელიც ამ გმირს რუსთაველის თეატრის სცენაზე ანსახიერებდა, მშვენივრად გადმოსცემდა გეგელიას გონივრულ, მტკიცე ბრძოლას ცილისმწამებლების, უხამსი ადამიანების წინააღმდეგ.

დიმიტრი გეგელიას ენათესავებოდა პიესა „შურის" გმირის, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგის არჩილის სახე, რომელსაც კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე ს. ზაქარიაძე ასრულებდა. ნიჭიერი მსახიობი ენერგიული, თავისი მიზანსწრაფვითა და სისადავით მომხიბვლელი ადამიანისა და კომუნისტის შთამბეჭდავ სახეს ქმნიდა.

ვ. გაბესკირიას პიესაში („მათი ამბავი") ს. ზაქარიაძე ასრულებდა თვალსაჩინო საზეურნეო მოღვაწის შალვას სახეს. დამსახურებული, მოხუცი კომუნისტი შალვა თავის რევოლუციურ წარსულს, თავის მოღვაწეობას კვეხნით კი არ იგონებდა, არამედ იმ სულიერი მოთხოვნილების კარნახით, რომელიც მას, კომუნისტს, აგიტატორსა და პროპაგანდისტს მთელი სიცოცხლის მანძილზე ამოქმედებდა. შალვას სურდა სხვებისათვის გადაეცა თავისი საკუთარი რწმენა, კომუნიზმის მაღალი იდეალები.

იმ წლებში ქართულ თეატრში საყურადღებო იყო ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე შექმნილი სპექტაკლები. შ. დადიანის „ნაპერწკლიდან", ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი", „კრემლის კურანტები" ფართო რევოლუციური ტილოები იყო. მათი იდეური სიმახვილისა და დიდი მხატვრული მნიშვნელობის გამო ეს პიესები საქართველოს თითქმის ყველა თეატრმა შეიტანა რეპერტუარში.

შ. დადიანის „ნაპერწკლიდან" დაიდგა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების სცენაზე, და თუმცა ვ. ი. ლენინი ამ პიესაში ი. ბ. სტალინთან შეხვედრის მხოლოდ პატარა სცენაში გვხვდებოდა, მსახიობებმა დ. მჟავიამ და პ. კობახიძემ მაინც შეძლეს პორტრეტულად მიმსგავსებული და, ამასთან, ფსიქოლოგიურად საინტერესო მხატვრული სახეების შექმნა.

რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლ „თოფიან კაცში" მსახიობი დ. მჟავია გვაგრძნობინებდა დიდი ლენინის აზრის დაძაბულობას, მის ცეცხლოვან რევოლუციურ სულისკვეთებას, მის ნამდვილ, ჭეშმარიტ ადამიანობას, უბრალო მშრომელ ადამიანთა მისწრაფებებსა და სურვილებში ჩაწვდომის უნარს.

კ. მარჯანიშვილის თეატრის დადგმაში — „კრემლის კურანტებში" ვ. ი. ლენინის რო-

ლის შემსრულებელი პ. კობახიძე უდიდეს ტაქტს ამჟღავნებდა; იგი კარგად გრძნობდა, რომ ამ შემთხვევაში პათეტიკურობა შეიძლებოდა იმ ყალბ პათოსში გადასულიყო, რომელიც სრულიად არ მიესადაგებოდა პროლეტარიატის ბელადის, ყველაზე ადამიანური ადამიანის სახეს. პ. კობახიძემ გამოძერწა სახე ადამიანისა, რომლის ყოველი ნაბიჯი, მთელი ოცნებები ორგანულად დაკავშირებულია მტკიცე რწმენასთან. ამიტომ ეს სახე სიცოცხლით, ადამიანურობით, შინაგანი რომანტიკული სხივიანობით გამოირჩეოდა.

ამავე სპექტაკლში ვ. ი. ლენინის როლს მეორე მსახიობიც — შ. გომელაურიც ასრულებდა. მან სწორად გაიგო ბელადის სახე, ვ. ი. ლენინი წარმოუდგინა მაყურებელს როგორც დიდი ბელადი, ისეთი ადამიანი, რომლის მძლე ნებისყოფამ გაზაფხული გაუთენა ხალხს.

სპექტაკლ „კრემლის კურანტების" წარმატებას დიდად უწყობდა ხელს ხ. ზაქარიაძის მიერ შექმნილი ბოლშევიკ-მეზღვაურის რიბაკოვის სახე. მსახიობი მოხერხებულად გაურბოდა, თუ შეიძლება ითქვას, ამ სახესთან ზედმეტ „მიახლოებას", „მეზღვაურული ჟანრის" ნაწარმოებთა გარეგნულ მომგებიანობას, ეფექტურობას. კომუნისტი მებრძოლის ხასიათს იგი განვითარების, ჩამოყალიბების პროცესში ქმნიდა. მსახიობი ცდილობდა გამოემჟღავნებინა განცდათა შინაგანი სიღრმე, იგი გვიხატავდა პიროვნების კრისტალიზაციის პროცესს, რას შედეგადაც ირკვეოდა რისთვის და რა გზით ყალიბდებოდა ეს ხასიათი.

რიბაკოვი-ზაქარიაძე ენერგიული, ცხოვრებით აღფრთოვანებული პიროვნება იყო. ილიჩთან შეხვედრა, მასთან ურთიერთობა ეხმარებოდა მას სამყაროს სწორ შემეცნებაში. გმირს ებადებოდა ლოგიკური დასკვნა: „ახლა მე სამუდამოდ ვიცი, რომ არიან ადამიანები, რომელთათვის არაფერია დაუძლეველი, არაფერია საშიში, არაფერია გასაკვირი"... ასეთი ადამიანები არიან კომუნისტები...

1936 წელს დაიწყო ესპანეთის სამოქალაქო ომი. ხელოვნების მუშაკთა არმიამ ფხიზელი რეაგირება მოახდინა — საბჭოთა ლიტერატურაში გამოჩნდა ესპანელ ხალხთან ინტერნაციონალური სოლიდარობის თემაზე დაწერილი ნაწარმოებები. პირველი მათგანი გიორგი მდივანის „ალკაზარი" იყო. იგი დ. ალექსიძემ დადგა რუსთაველის თეატრის სცენაზე. ამ სპექტაკლს განსაკუთრებული ჟღერადობა და მნიშვნელობა ჰქონდა. „ჩვენ გვინდოდა, — წერდა დ. ალექსიძე, — ესპანელი ხალხის გმირთა სახეებში გადმოგვეცა მოწინავე კაცობრიობის სული, გადმოგვეცა სული ესპანეთის მილიონობით მშრომელისა, რომლებიც გააფთრებულ ბრძოლაში იცავდნენ თავიანთი მიწა-წყლის ყოველ მტკაველს ფაშისტ მეამბოხეებისა და ინტერვენტებისაგან. ჩვენ გვინდოდა შეგვექმნა სპექტაკლი, რომელიც ძლევამოსილ სიმღერასავით აგუგუნდებოდა".

პიესის პერსონაჟთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ რესპუბლიკური ესპანეთის გმირი დამცველები — პედრო კორილიო, მისი მეუღლე მიქაელა, პოეტი პაოლო ლორკა, რომლის პროტოტიპი გმირულად დაღუპული ფედერიკო გარსია ლორკა იყო. ა. ხორავას კორილიო, ასტურიელი კომუნისტი მაღაროელი, მასების ჭეშმარიტი ხელმძღვანელი მაყურებელს თავისი ღრმა ადამიანურობით, შინაგანი სითბოთი, ჰუმანიზმითა და თავგანწირვით ხიბლავდა.

აკ. ვასაძე ამავე როლში შედარებით გულჩახვეული, თავშეკავებული მოჩანდა. მსახიობი ძუნწ, მაგრამ მეტყველ გამომსახველობით ხერხებს იყენებდა ხასიათის გამოსაძერწავად.

რომანტიკული, ლირიკული, პოეტურად უშუალო იყო გ. დავითაშვილის პაოლო ლორკა — პოეტი-მებრძოლი, რომელიც იარაღით ხელში იცავდა თავისი ხალხის თავისუფლებას.

ასე შემოვიდა ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის თემა ქართულ სცენაზე. სულ მალე დაიწყო დიდი სამამულო ომი. ხუთწლედების გმირმა მშენებლებმა იარაღი აიღეს ხელთ, და კვლავ, როგორც ყოველთვის, მათ უკვდავი ლოზუნგი მოუწოდებდა: „კომუნისტებო წინ!" ისინი, უშიშარნი და შეუდრეკელნი, ფრონტზე მიდიოდნენ საბოლოო გამარჯვების რწმენით.

სამამულო ომის წლების თეატრის რეპერტუარში მთავარი ადგილი პატრიოტულმა პიესებმა დაიჭირეს. ისინი მტერზე გამარჯვებისაკენ მოუწოდებდნენ მაყურებელს, მტერთან ბრძოლაში კვლავინდებურად მისაბაძ მაგალითს კვლავ გმირი კომუნისტები იძლეოდნენ.

სამამულო ომის წლებში რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა ვ. დარასელის „კიკვიძე", გ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი", ხოლო კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეპერტუარში შევიდა კ. სიმონოვის „მელოდე", გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა", ლ. გოთუას „ქედუხრელნი" და სხვ.

ომი სულ ორი თვის დაწყებული იყო, რომ რუსთაველის თეატრის სცენიდან გაისმა სამოქალაქო ომის გმირის კიკვიძის ომახიანი, იმედიანი შეძახილი. რევოლუციის ახალგაზრდა, მგზნებარე დამცველი კიკვიძე—ა. ვასაძე, ხიბლავდა მაყურებლებს და მის გვერდით, როგორც პარტიის ბრძნული, წარმმართველი ძალა, იდგა კომისარი მედოვსკი. თუმცა ეს როლი პიესაში საკმაოდ მკრთალია, მსახიობმა

გ. დავითაშვილმა შესძლო მისი გაღრმავება, ამ სახის მნიშვნელობის და შინაარსის გაზრდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „ქედუხრელნი“, რომელიც სამხედრო მეზღვაურთა გმირობის ამბავს მოგვითხრობდა. თეატრის კოლექტივი ამ პიესაზე განსაკუთრებული გატაცებით მუშაობდა, ცდილობდა ზედმიწევნით ზუსტად, სიმართლით გადმოეცა ყოველი გმირის სახე. სპექტაკლზე მუშაობის პერიოდში დამდგმელი კოლექტივი, რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილის თაოსნობით, წყალქვეშა ნავების სადგომს ესტუმრა. შეეცადა გასცნობოდა გემზე ცხოვრებისა და მუშაობის პირობებს. ასე შემოიჭრა ცხოვრება სცენაზე და თან მოიტანა არა ფოტოგრაფიული სინამდვილე, არამედ მეზღვაურთა ცხოვრების პათოსი და რომანტიკა. ამ ვაჟკაცურ, ღრმად ადამიანურ სპექტაკლში თავშეყავებით, მკაცრად იყო გამოხატული საფრთხეში ჩავარდნილი წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის ყოველი წევრის მზადყოფნა შეეწირა სიცოცხლე სამშობლოსათვის. ყველანი ცალკე და ერთად ამკვიდრებდნენ აზრს სულიერად ძლიერ ადამიანთა ქედუხრელობისას. წყალქვეშა ნავის კაპიტანის კომუნისტ რატიანის როლში მსახიობი ხ. ზაქარიაძე სწორედ ამ გზით წავიდა. მსახიობისათვის მთავარი იყო არა უმიზნო თავგანწირვა, არამედ მზადყოფნა ებრძოლა სიცოცხლისათვის.

რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო 1946 წელს გ. ჩირსკოვის პიესის „გამარჯვებულების“ დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე (რეჟ. ხ. ქელიძე). სცენაზე მოქმედი მხედართმთავრები — ახალი ტიპის, მაღალი იდეურობის, მორალური თვისებების მქონე, ვაჟკაცური, მტკიცე კომუნისტები იყვნენ. ამ თვისებებს გამოხატავდა ფრონტის სარდალი მურავიოვი (ა. ხორავა), ეს თვისებები ამშვენებდა სხვა მოქმედ პირებსაც, ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს. ძნელი დასავიწყებელია გ. დავითაშვილის გენერალი ვინოგრადოვი, ა. ვასაძის გენერალი პანტელეევი, გ. კიკნაძის შოფერი მინუტკა და სხვა.

გენერალ მურავიოვის სახე დიდი ქართველი მსახიობის ა. ხორავას მორიგი გამარჯვება იყო. მსახიობმა პირველად განასახიერა ამგვარი მასშტაბის ადამიანი. მისთვის ეს ერთ-ერთი უძნელესი როლი იყო. მურავიოვი რომელიმე კონკრეტული ისტორიული პიროვნების პორტრეტი არ გახლდათ. მსახიობი ქმნიდა საბჭოთა მხედართმთავრის, ნიჭიერი სტრატეგის განზოგადებულ სცენურ სახეს. კომუნისტი მეთაურის თვისებები მის თამაშში დიდი შინაგანი ძალით, მკვეთრი, ძლიერი და თავშეკავებული ვნებით ვლინდებოდა. ამ გმირის ყველა ადამიანური თვისება შინაგანად შეკრული, ჰარმონიული, საოცრად მობილიზებული იყო და ერთი მიზნისაკენ მიისწრაფოდა — დაეცვა ქალაქი, რომლის ბედზე დამოკიდებული იყო ომის შემდგომი განვითარება, მტერზე გამარჯვება.

აკ. ხორავა დიდი სიმართლით გადმოგვცემდა ფრონტის სარდლის მძიმე, შემოქმედებითს, ინტელექტუალურ შრომას. ამიტომ მისი აზრი, კონცენტრირებული ენერგია, გადაწყვეტილებათა მიღებაში გაბედულების გამოჩენა მთელი სპექტაკლის წარმმართველი ხდებოდა.

მშფოთვარე ტემპერამენტის მსახიობი ამ როლში თავშეკავებული იყო. სიმშვიდე, თავდაჭერა და... მხოლოდ ხანდახან ენერგიის აფეთქება, რომელიც კარგად მოწმობდა იმას, თუ შინაგანად რა უკიდურესად დაძაბული იყო მურავიოვი — აი როგორ თამაშობდა ხორავა.

დამთავრდა ომი, მაგრამ ომის თემა კვლავ ჟღერდა და დღესაც ჟღერს ჩვენს ხელოვნებაში, რადგანაც უკვდავნი არიან ისინი, ვინც ბრძოლის ქარტეხილებში თავისი რწმენა და ღირსება დაიცვა... ახალმა დრომ კვლავ ახალი მოთხოვნილებები წამოუყენა საბჭოთა ადამიანებს; დაიწყო ქალაქების, სოფლების, დანგრეული და განადგურებული ფაბრიკა-ქარხნების აღდგენა, სცენაზე მოვიდნენ ახალი დროის — 50-იანი, 60-იანი წლების, ჩვენი დროის გმირები. სცენაზე დაიდგა ა. კორნეიჩუკის, ა. არბუზოვის, ვ. როზოვის პიესები. რომლებშიც ჟღერდა რევოლუციისა და სამამულო ომის უკვდავი თემები. იმ წლებში დაიდგა ი. პოპოვის „ოჯახი“, რომელშიც მსახიობმა კ. მახარაძემ დიდი მგზნებარებითა და სიმართლით განასახიერა ახალგაზრდა რევოლუციონერის, ჭაბუკ ვალოდია ულიანოვის შთამბეჭდავი სახე.

ამავე წლებში რეჟისორმა მ. თუმანიშვილმა დადგა ცნობილი ჩეხი კომუნისტი-ჟურნალისტის ი. ფუჩიკის ცნობილი რეპორტაჟის მიხედვით შექმნილი ინსცენირება — „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“, რომელმაც რუსთაველის თეატრის სცენაზე უდიდესი წარმატება მოიპოვა; სპექტაკლის მთავარი კვანძი იყო კ. მახარაძის გარეგნულად ლმობიერი, ინტელიგენტური, რომანტიკული და შინაგანად ურყევი, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილით სავსე ლეგენდარული ფუჩიკი — ქედმოუხრელი კომუნისტი, რომელიც თვით სიკვდილშიც გამარჯვებული რჩებოდა.

ი. მოსაშვილის პიესამ „სადგურის უფროსმა“ რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში გამოცოცხლება შემოიტანა. აკ. ვასაძის დიდი აქტიორული შესაძლებლობა საუცხოოდ გამოვლინდა პატრიოტის, სადგურის უფროსის ლევან ჩადუნელის როლში. მშვენიერი იყო გიორგი დავითაშვილი — რაიკომის მდივანი. ადამიანებთან ურთიერთობაში იგი მომთხოვნიც იყო, მკაცრიც და, ამასთან ადამიანურ-

ად გულთბილი და ყურადღებიანიც; თუმცა ეს როლი მოცულობით დიდი არ იყო, გ. დავითაშვილმა მასში ღრმა შინაარსი ჩააქსოვა; ამ დაჭრილი, მტრებისაგან დევნილი ადამიანის გულში ნათლად იგრძნობოდა საბჭოთა ხალხისათვის, სამშობლოსათვის თავდადება.

ომის შემდგომ წლებში ბევრი თანამედროვე პიესა დაიწერა და დაიდგა, მაგრამ „უკონფლიქტობის თეორიამ" ჩვენს თეატრშიც დატოვა თავისი მავნე კვალი. ხშირად სცენაზე იდგმებოდა შელამაზებული, ლაქწასმული, „მშვიდობიანი" პიესები, რომლებშიაც პარადული ბრწყინვალება სუფევდა.

მაგრამ ამ წლებშიაც ფეთქავდა მოუსვენარი აზრი, ფიქრობდნენ და ეძებდნენ ახალ თემებს, ახალ გმირებს ქართველი დრამატურგები.

1958 წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე გამოჩნდა რევაზ თაბუკაშვილის პიესა „რაიკომის მდივანი"; ამ პიესამ მაყურებლის სერიოზული ყურადღება მიიპყრო. შინაარსი თვით ცხოვრებამ უკარნახა დრამატურგს. რევაზ თაბუკაშვილი, მსახიობ სერგო ზაქარიაძესთან ერთად, გაემართა იქ, სადაც მოქმედებდნენ და ცხოვრობდნენ პიესის პერსონაჟთა პროტოტიპები. მწერალი და მსახიობი ორი თვის განმავლობაში ეცნობოდნენ მასალებს, იმყოფებოდნენ პარტიის რაიკომში, მონაწილეობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში, ესწრებოდნენ რაიკომის ბიუროს სხდომებს, როგორც სამსახურში, ისე დადიოდნენ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, რომელიც ჩაის საკრეფი მანქანის პროექტს ამუშავებდა. ეს იყო წლები, როცა ზოგი პარტიული მუშაკი, მოჩვენებითს დოლებასა და სახელს ეტანებოდა, ხანდახან ხელს ჰკიდებდა ისეთ მშენებლობას, რომლის საჭიროება საეჭვო იყო. პიესის შემქმნელებმა გაიცნეს რაიკომის ერთ-ერთი მდივანი ,რომელმაც მხოლოდ თავისი ამბიციის დასაკმაყოფილებლად დაიწყო. არც თუ იმდენად საჭირო იპოდრომის მშენებლობა კოლმეურნეობების ხარჯზე და თავის შემცვლელს დაუმთავრებელი შენობა დაუტოვა. შემდგომში ეს ვაი-ხელმძღვანელი სახაროდ ამხილეს, როგორც ანტიპარტიული მოღვაწე. ამ ნამდვილი ამბიდან ბევრი რამ დაედო საფუძვლად რ. თაბუკაშვილის პიესას — ავტორმა დიდძალი მასალა შეაგროვა უშუალოდ ცხოვრებიდან, სინამდვილიდან.

მსახიობმა, მოქალაქემ და კომუნისტმა სერგო ზაქარიაძემ თავისი გმირის, გიორგი ჯაფარიძის სახით გამოხატა მაღალი მოქალაქეობრივი, პარტიული მრწამსი. საზოგადოებრივი და პირადული ჯაფარიძის ბუნებაში ორგანულად იყო შერწყმული.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „რაიკომის მდივანმა" გაუძლო დროის გამოცდას. ავტორმა იგი ნაწილობრივ გადაამუშავა და რეჟისორმა ლილი იოსელიანმა პიესა ახალი რედაქციით კვლავ დადგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. ამ რამდენიმე წლის წინათ კი, როცა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მოხდა ძირეული, უაღრესად პოზიტიური ცვლილებები, როცა გაიზარდა ყოველი მოქალაქის, ყოველი კომუნისტის პასუხისმგებლობა, როცა გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადა ყოველგვარ მანკიერებას, დანაშაულებრივ მოქმედებას, განსაკუთრებული აქტუალობით აჟღერდა რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანიც". ამჯერად იგი რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა (რეჟ. რ. სტურუა). პიესამ თითქოს ახალი სუნთქვა, ახალი ცხოვრება დაიწყო; სპექტაკლში განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ჯაფარიძის სახე, რომელსაც ამჯერად გურამ საღარაძე ანსახიერებდა. მისი გიორგი გარეგნულადაც უფრო ელეგანტური, დახვეწილი მოჩანდა, ჰუმანურიც იყო, დემოკრატიულიც, უფრო თავშეკავებულიც. ეს იყო თავისი საქმით გატაცებული, ღრმა ინტელექტის ადამიანი.

როგორც აღვნიშნეთ, ყოველ დროს თან მოჰყავს თავისი გმირები და აი, ცალკეული ერთფეროვანი, უღიმღამო „დადებითი გმირები", პარტიული ხელმძღვანელები, რომელნიც, სამწუხაროდ, ტყუპი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, სცენაზე თეატრში სრულიად ახალი ტიპის ადამიანებმა შეცვალეს — უკომპრომისო, მაღალი ინტელექტის, რაციონალური აზროვნებისა და უკიდურესი პასუხისმგებლობის ადამიანებმა. ქართველ დრამატურგებმა ახალ გმირთა მთელი გალერეა შექმნეს. ეს ადამიანები შევიდნენ ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, მაგალითის მიმცემნი გახდნენ.

ახლებური გაშუქება ჰპოვეს კოლექტივიზაციის და სამამულო ომის პერიოდის ამსახველმა ნაწარმოებებმა.

კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის" ინსცენირებამ საქართველოს თითქმის ყველა თეატრი მოიარა, და ყველგან მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; რუსთაველის თეატრის სცენაზე (რეჟ. ლ. მირცხულავა) თავისი პარტიული რწმენით, ადამიანური შიმზიდველობით მაყურებელს ხიბლავდა ახალგაზრდა მსახიობის გიორგი ხარაბაძის მიერ განსახიერებული კომუნისტი ტარასი ხაზარაძე.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნოდარ დუმბაძის რომანების ინსცენირებათა უჩვეულო პოპულარობა — მისმა გმირებმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიარეს და ყველგან ხიბლავდნენ ისინი მაყურებელს თავიანთი ჰუმანიზმით, ღრმა ადამიანური სიწრფელით და უშუალობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიტა ბუაჩიძის, გ. ხუხაშვილის, ვ. კანდელაკის, ო. იოსელიანის, ა. ჩხაიძის, ა. გეწაძის და სხვა ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებებმა მარტო ჩვენს რესპუბლიკა'ში კი არა, მის ფარგლებს გარეთაც მიიპყრეს ყურადღება. სცენაზე გამოჩნდა სატირული ნაწარმოებები, რომლებშიც მხილებული იყო კარიერისტების, უსახელო წერილების მჯღაბნელების, ავანტიურისტების, საქმოსნების და სხვათა სახეები, მათ უპირისპირდებოდნენ ჩვენი დროის ნამდვილი გმირები — ისინი, ვინც მუდამ იბრძვის კარგის, კეთილის დამკვიდრებისათვის, იცავს ჩვენი ცხოვრების პატიოსნებასა და სიწმინდეს.

ჯერ ქიათურის სცენაზე, ხოლო შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა გ. ხუხაშვილის „ცხოვრება კაცისა“ („გზები“); ამ ფსიქოლოგიურ პიესაში ავტორმა დაუპირისპირა ერთი-მეორეს ორი ადამიანი — საბა და ბესო და მათი სახით — ორი შეურიგებელი მსოფლმხედველობა. ერთი ეძებს უზრუნველყოფილ, კეთილმოწყობილ ცხოვრებას, ჰყიდის მეგობრებს, ცრუობს, ეშმაკობს, ელასტიკური სინდისით ცხოვრობს; მეორის გზა — პირდაპირია, მართალი, ძნელი და უკომპრომისო. გ. ხუხაშვილის პიესა და გ. ლორთქიფანიძის მიერ დადგმული სპექტაკლი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ორი ერთმანეთის მოპირდაპირე სიმართლე არ არსებობს ცხოვრებაში.

ბოლო წლების საყურადღებო დადგმა იყო კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი — ა. ჩხაიძის „დღის წესრიგში ერთი საკითხია“, ამ პიესის გმირის — ხანდაზმული კომუნისტის გარაყანიძის სახე დიდი ადამიანური სითბოთი განასახიერა ტ. საყვარელიძემ. გარაყანიძე ებრძვის საკუთარ შვილს, რათა დაიცვას ჭეშმარიტება, დაამტკიცოს, რომ შვილის სიჯიუტემ შეიძლება დიდი ზარალი მოუტანოს ხალხს. საინტერესოა ამ სპექტაკლში თ. არჩვაძის მიერ შესრულებული რაიკომის მდივნის სახე, მსახიობი კარგად, დამაჯერებლად გვიხატავდა ჭკვიან, დაკვირვებულ ადამიანს, რომელიც ხვდებოდა გარაყანიძის სიმართლეს და არ იხევდა უკან თავისი შეცდომის აღიარების გზაზე.

ა. ჩხაიძის საინტერესო პიესა „ხიდი“ პირველად რუსთაველის თეატრმა დადგა. მასში კანონიერების დაცვის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა იყო დასმული. მ. თუმანიშვილის მიერ განსახიერებული ეს წარმოდგენა მკვეთრი კონფლიქტური სიტუაციებით გამოირჩეოდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდა სხვადასხვა ხასიათები, სხვადასხვა მორალური პოზიციები. პროკურორი ირაკლი რაზმაძე (მსახ. ე. მანჯგალაძე), ცხოვრებისაგან დაღლილი ადამიანის, შემგუებლის სახით წარმოგვიდგებოდა. მას არ ჰყოფნიდა გამბედაობა დიდი თანამდებობის პირებს დაპირისპირებოდა, ამიტომ ღალატობდა კომუნისტის პრინციპულობას, უარს ამბობდა სიმართლისათვის ბრძოლაზე. სამაგიეროდ უფრო მტკიცე და გაბედულია მისი ახალგაზრდა მოადგილე — იზა გიგოშვილის გარეგნულად სუსტი, ნაზი ნატო ჩოდრიშვილი, რომელიც უყოყმანოდ უარყოფს თავისი უფროსის გაუმართლებელ პრაქტიციზმს, ეძებს სიმართლეს, ამხილებს ნამდვილ დამნაშავეებს, რათა გაიმარჯვოს კანონმა, რომელზეც მაღლა არავინ და არაფერი არ უნდა იდგეს.

მსახიობმა იზა გიგოშვილმა პატიოსანი, გულმართალი და მებრძოლი ხასიათით დაჯილდოებული ახალგაზრდა კომუნისტი იურისტის უაღრესად მიმზიდველი და დამაჯერებელი სახე შექმნა. მსახიობ ედიშერ მაღალაშვილმა მკვეთრად ამხილა „დიდი კაცი“, ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი, მსახიობი მკაფიო სატირული ფერებით ავლენს მის ცინიზმს, ორპირობას, თავხედობას და ეგოიზმს, ყალბ ფრაზეოლოგიას.

მარჯანიშვილის თეატრმა ამ უკანასკნელ ხანს ორი უთუოდ მნიშვნელოვანი დადგმა გვიჩვენა — გ. ხუხაშვილის „მოსამართლე“ და ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“.

აღსანიშნავია ორივე სპექტაკლის დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობა. გ. ხუხაშვილი თავის ნაწარმოებში კვლავ ორ ადამიანს, ორ მსოფლმხედველობას უპირისპირებს ერთმანეთს. მოსამართლე დავითმა (მსახიობი კ. მახარაძე) დიდი და ძნელი ცხოვრების გზა განვლო. იგი პატიოსნად შრომობდა, იბრძოდა, მას ტყვია ესროლეს კულაკებმა, სიკვდილით ემუქრებოდნენ ფაშისტები, მაგრამ არცერთხელ არ შემდრკალა, არ უღალატია თავისი მოვალეობისათვის, პარტიული სინდისისათვის მაშინაც კი, როცა მკაცრი სასჯელი მოელოდათ მის საკუთარ შვილსა და შვილიშვილს, ბოლომდე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე რჩებოდა ერთგული თავისი მრწამსისა, თავისი სინდისისა.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა უმწიკვლო კომუნისტი, შეუდრეკელი სულის ადამიანი.

სპექტაკლში „როცა ქალაქს სძინავს“ ავტორმა დასვა ყოველი ადამიანის, მოქალაქის საკუთარი თავის სინდისის წინაშე, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საკითხი.

ჩვენი დრამატურგების თეატრების მუშაობა დღეს მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. გამოჩნდა ნაწარმოებები, რომლებიც გაბედულ პრობლემებს აყენებენ, აქტიურად ეხმაურებიან რესპუბლიკის მჩქეფარე ცხოვრებას, იმ გარდაქმნებს, რომელიც მარტო ჩვენს სახალხო მეურნეობაში კი არა, ადამიანთა შეგნებაშიც წარმოებს. უკანასკნელ წლებში დაწერილ

და დადგმულ თითქმის ყველა პიესაში ყურადღებას იპყრობს კომუნისტთა სახეები.

გ. ფანჯიკიძის, ო. იოსელიანის, ა. ჩხაიძის, გ. ხუხაშვილის თუ სხვა ავტორთა გმირები ახალი დროის, ახალი ეპოქის ადამიანები არიან — სულიერად ლამაზნი, წელგამართულნი; მათ სჯერათ სამართლიანობისა და კიდევაც იცავენ მას.

70-იანი წლების გმირები გვხიბლავენ თავიანთი ახალი ფსიქოლოგიური, ადამიანური თვისებებით; ასეთები არიან გ. ფანჯიკიძის რომანის „თვალი პატიოსანის" ინსცენირების გმირები, ამ ნაწარმოებში მთელი თავისი სილამაზით გამოჩნდა ჩვენი დროის ადამიანის შეურიგებლობა ძველთან და დახავსებულთან.

ბევრი რამ გაკეთდა სადღეისოდ ხელოვნებაში, კერძოდ, თეატრში დადებითი გმირის პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ არ შეიძლება იმისი თქმა, თითქოს ამ სფეროში ყველაფერი თავის რიგზე იყოს. სამწუხაროდ, ეს დადებითი გმირი, კომუნისტი როგორც დრამატურგიაში, ისე სცენაზე ყოველთვის ვერ ჰპოვებს საჭირო დამაჯერებლობას, მხატვრულ სრულყოფას. პიესიდან პიესაში გადადიან უსახო, კონკრეტულ ადამიანურ თვისებებს მოკლებული მკრთალი უსახო გმირები; ისინი წარმოთქვამენ სავსებით „სწორ" დიდაქტიკურ მონოლოგებს, მაგრამ უსიცოცხლონი არიან. მკვდარ სქემებად გადაქცეულნი. მაყურებელს არ აღელვებენ, მის სიმპათიას არ იმსახურებენ. ამიტომ მათი მონოლოგები არ სწვდება მაყურებელთა გულებს.

ჩვენმა თეატრმა ბევრს მიაღწია, მაგრამ მოვალეა უფრო მეტი გააკეთოს; ამხილებს რა ყოფის მანკიერ მხარეებს, წარსულის მახინჯგადმონაშთებს, თეატრი ვალდებულია გვიჩვენოს ჩვენი დროის გმირების მართალი, მაღალმხატვრული სახეები, იხეთები, რომელნიც მაგალითის მიმცემნი იქნებიან ჩვენი ხალხისათვის, ვინც თავისი შრომის, თავისი ცხოვრების მაგალითზე ზრდის ადამიანთა ახალ თაობებს, პარტიის საქმის, ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალ პრინციპების ადამიანებს. ეს ადამიანები — კომუნისტი მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მუდამ უნდა იყვნენ ჩვენი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების ყურადღების ცენტრში. მათი სრულყოფილი სახეების გადმოცემა — საბჭოთა კულტურის ოსტატთა ყველაზე რთული და ძნელი ამოცანაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

# მამათა დასაფასებლად, ჩვენდა გასაგონად...

ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერება ახალი სახელებით მდიდრდება. ახალგაზრდა ლიტერატურისმცოდნეთა ნაშრომების უპირველესი ღირსება გახლავთ მათი ავტორების სურვილი ჩვენი ლიტერატურის შეუსწავლელ შრეებს გადააცილონ დავიწყების მტვერი, ნათელი მოჰფინონ იმ საკითხებს რომელთა ცოდნის გარეშე ჩვენი საზოგადოებრივი აზრის განვითარების სურათი ძნელად წარმოიდგინება, კომპლექსურად შეისწავლონ და თავისი ადგილი მიუჩინონ იმ მოღვაწეთა შემოქმედებასაც, ბედმა ერის უპირველესი წინამძღოლის გვირგვინი რომ არ არგუნათ, მაგრამ თავიანთი დაუცხრომელი რუდუნებით ერის წინაშე თავიანთი კაცური ვალი პირნათლად მოიხადეს.

ეს დიდი და საპატიო საქმეა.

ახლახანს ჩვენს ბიბლიოთეკაში გაჩნდა ახალგაზრდა მეცნიერის ზურაბ ბოცვაძის წიგნი ასეთი მოკრძალებული სათაურით „ქართული საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკის საწყისები“ („ნაკადული“, 1977).

ქართული ლიტერატურის დიდი და სახელოვანი უბანი, საბავშვო და საყმაწვილო მწერლობა რატომღაც ხშირად რჩება ჩვენი კრიტიკის თვალთახედვის მიღმა. თუ საბავშვო ლიტერატურის განვითარების გზებზე (ამ საკითხს შესანიშნავად იკვლევს პროფესორი არჩილ ჩაჩიბაია) მაინც არსებობს რამდენიმე გამოკვლევა, საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკის პრობლემით ზურაბ ბოცვაძემდე არავინ დაინტერესებულა. იქნებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კრიტიკოსთა ღვაწლის შესაფასებლად ფილოლოგი-მეცნიერები დღემდე ვერ ვიცლით.

ახალგაზრდა მეცნიერის წიგნი იმის მტკიცებაა, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენ გაგვაჩნდა არა მარტო ორიგინალური საბავშვო მწერლობა ,არამედ საკმაოდ მომთხოვნი და მაღალკვალიფიციური საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკაც.

ქართველი მწერალი ოდითგანვე ადამიანის სულის ურთულეს შრეებს წვდებოდა; მისი კლასიკური ჩამოყალიბების პირველივე მაგალითებიდან შემოგვანათებს ადამიანთა თანასწორობისა და ეროვნული თვითმკობადობის უკვდავი იდეა (ცურტაველი, საბანიძე), ჩვენი მხატვრული აზრის მწვერვალს შუქად ადგას კაცობრიობის უმაღლესი იდეალების აპოლოგია (რუსთაველი), ჩვენს კალმოსანს არ გამოჰპარვია არც ზნეობრივ სიბრძნეთა ქადაგება (სულხან-საბა, არჩილი) და არც პიროვნული სევდის ათასგვარ ნიუანსთა გამოხატვა (თეიმურაზი, დავით გურამიშვილი), მაგრამ ქართული ლიტერატურის მაღალ თაროზე დიდხანს იყო ერთი ცარიელი ადგილი — ფოლკლორული ნიმუშების და თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, არ გაგვაჩნდა ორავინალური საყმაწვილო ლიტერატურა. ჩვენი ლიტერატურის ეს ხარვეზიც XIX საუკუნემ შეავსო.

ცნობილ მიზეზთა გამო XIX საუკუნეში მთელი სიმწვავით დადგა ქართველ კაცში თავისუფალი სულის აღზრდის საკითხი. საჭირო იყო ყრმათა სული გამოგვეგლიჯა ჩინოვნიკური სულისკვეთების და თვითმპყრობელური რეჟიმის დაწოლის მარწუხებიდან. თავისუფლების სიყვარულით, სათნოებისაკენ, სიკეთისაკენ მისწრაფებით ყრმის აღზრდას ყველაზე უკეთ საყმაწვილო მწერლობა შეძლებდა და თავისი დიდი მამის — იაკობ გოგებაშვილის რუდუნებით იგი სწორედ XIX საუკუნეში დაიბადა ილიას, აკაკის, ვაჟას ყურადღებით გარემოცული და ყველაზე სუფთა მკითხველთა სულის საზრდოდ ესე თამამად და ლაღად მიშვებული.

სანამ საყმაწვილო ლიტერატურა დაიბადებოდა, როგორ მომზადდა საზოგადოებრივი აზრი მის საჭიროებაზე. ქართული პრესის ფურცლებიდან რა ზარები რეკეს იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ, ლუარსაბ ბოცვაძემ, ალ. მირიანაშვილმა, მ. ნასიძემ, ი. ფერაძემ, ი. მანსვეტაშვილმა და სხვებმა, რათა რიგიანი საყმაწვილო ჟურნალი გვქონოდა და მოზარდის აღზრდის ურთულეს საქ-

მეში სკოლას მწერლობა „შეშველებოდა", როგორ დაიბადა პირველი საყმაწვილო ჟურნალები, რა დიდი იმედით შეხვდა საბავშვო მწერალს მოწინავე ქართული ინტელიგენცია, ვინ იყვნენ საყმაწვილო ლიტერატურის პირველი მებაირახტრენი და ვინ აიღო პირველად ხელში კალამი იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ეკატერინე გაბაშვილის, შიო მღვიმელის, რაფიელ ერისთავის, თედო რაზიკაშვილის, პეტრე ცახელის საბავშვო ქმნილებათა განსჯა-შესაფასებლად — ამ საკითხებზე ზუსტ, მეცნიერულად დასაბუთებულ და კვალიფიციური მეცნიერის ლოგიკით ბეჭედდასმულ პასუხებს იპოვის მკითხველი ზურაბ ბოცვაძის ამ პირველ წიგნში.

მაშინ, როდესაც თვითმპყრობელური რეჟიმის ჩინოვნიკური აპარატი სკოლებიდან ვერაგულად ერეკებოდა მშობლიურ ენას, საქართველოზე გულატკივებულ კაცს მიაჩნდა, რომ მოზარდისათვის აკვანშივე უნდა შთაგვენერგა დედაენის სიყვარული ისე ძლიერად, რომ შემდგომში იგი ვერავითარ ძალას ვერ ამოეშანთა. ყრმათათვის საკითხავი წიგნებიდან უნდა შეეცნო ყმაწვილს მშობლიური ენის სიტკბო და მადლი. ადამიანი, რომელმაც თავისი მშობლიური ენა არ იცის, იაკობ გოგებაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „წააგავს საბრალო ობოლს, საწყალს სტუმარს, რომელსაც არ გააჩნია თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზედ. იგი მოგაგონებთ ხიდგან მოჭრილს ტოტსა, რომელიც დღეს თუ ხვალ, უთუოდ გახმება, იგი შეიძლება ამყნონ სხვა ხეზედ, მაგრამ ჯეროვან სისრულეს იგი არასდროს არ ეღირსება და ვერასდროს ვერ შეედრება ხეს, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული თავის შესაფერის ნიადაგში და რომელიც ამის გამო სავსეა ღონით და სიცოცხლით".

ზურაბ ბოცვაძის წიგნში თავმოყრილია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი აზრი ქართველ მწერალთა მიერ მეცხრამეტე საუკუნეში გამოთქმული საბავშვო მწერლობის საჭიროებაზე და ლიტერატურის ამ დარგში მუშაობის სიძნელეზე. ეს პრობლემა „გველის მჭამელის" ავტორს ასე ესმოდა: „ნურავის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსის და მოთხრობის დაწერა, ყველაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არ ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, რაიც ერთგვარად 5–6 წლის ბავშვს უახლოებს 40 წლის ადამიანს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი".

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ახალგაზრდა მეცნიერის სარეცენზიო წიგნში სამი რამ არის საგულისხმო და ანგარიშგასაწევი:

პირველი ის გახლავთ, რომ საყმაწვილო ლიტერატურის ქართულ საწყისებთან ვხედავთ ზოგ ისეთ სახელს, ვისი ღვაწლიც ამ სფეროში ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო. მკვლევარის ცდა ახალი კუთხით წარმოაჩინოს XIX საუკუნის რამდენიმე საზოგადო მოღვაწე, დაგვეხმარება მათი მთლიანი მოქალაქეობრივი და ლიტერატურული პროფილის წარმოსადგენად.

მეორეც — ზ. ბოცვაძე, ჩანს, გემოვნებიანი ლიტერატორია და ფაქტების უბრალო აღნუსხვას კი არ ახდენს, არამედ საფუძვლიან შეფასებასაც. მოაქვს რა საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსების პირველ კრიტიკოსთა აზრები, იგი ამავე დროს ლიტერატურული არბიტრის როლსაც კისრულობს, ეკამათება ზოგიერთ ავტორს, რათა ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, შიო მღვიმელს და სხვებს ზოგი არასწორი კრიტიკული შეფასების მტვერი ააცალოს.

მესამე და მთავარი, რაც ამ წიგნის ღირსებად მიმაჩნია, ის გახლავთ, რომ ზურაბ ბოცვაძე ჩვენი ლიტერატურული საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა აუცილებელია საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის საღი კრიტიკული აზრი და როგორ ჩამორჩება დღეს ჩვენი საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა, ამ თვალსაზრისით, მეცხრამეტე საუკუნის უფროს თანამოკალმეთ.

რევაზ მიშველაძე.

# ხელოვნებასთან ზიარება

გამომცემლობა „ხელოვნებამ" შარშან გამოსცა ალბომი, რომლითაც მკითხველს, სახვითი ხელოვნების მოყვარულთ ირაკლი ოჩიაურის შემოქმედება წარუდგინა. ალბომი იხსნება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი ნარკვევით. ნარკვევის ავტორია ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნე იური მელენტიევი. — აქვე უნდა ითქვას, რომ უკეთეს მეგზურს ირაკლი ოჩიაურის შემოქმედების თაყვანისმცემელი, ან ისეთი, რომელიც პირველად ამ ალბომით გაეცნობა ქართველი ხელოვანის მდიდარ შემოქმედებას, ვერც ინატრებდა. იური მელენტიევი დიდი სიყვარულით ეკიდება არა მარტო ირაკლი ოჩიაურის შემოქმედებას, არამედ მთლიანად ქართულ კულტურას, მის მრავალფეროვან გამოვლინებებში,

---

იური მელენტიევი, „ირაკლი ოჩიაური". ალბომი. „ხელოვნება", 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. მელენტიევის თხრობის კილო ბუნებრივია და უშუალო, მდიდარია პოეტური სალებავებით. „თბილისში ხუმრობით იტყვიან ხოლმე — ნუცუბუძის ქუჩა საქართველოს პარნასიაო; აქ ცხოვრობს, ან აქ დასახლებაზე ოცნებობს მრავალი და მრავალი მხატვარი, მსახიობი, მუსიკოსი. ქართული ქედურობის ამაღორძინებელთა სახლები რომც არ იცოდეთ, თუ ეცდებით, აუცილებლად მიაგნებთ, ვისაც ეძებთ, — წუთით შეჩერდით კარებთან, ყური მიუგდეთ და გაიგონებთ“. ასე, ჭეშმარიტი მასპინძლის გულითადობით შეუძლევბა მკითხველს ი. მელენტიევი ირაკლი ოჩიაურის მხატვრულ სამყაროში... და იწყება შესანიშნავი მოგზაურობა, რომლის დროსაც კეთილსაიმედო მეგზური სტუმარს არა მარტო შემოქმედის ცხოვრებას აცნობს, მის პიროვნებას, მის ნაღვაწს წარუდგენს, არამედ, როგორც კი საშუალება მიეცემა და სიტყვა მოიტანს, საქართველოს წარსულსა და აწმყოზე ესაუბრება. ესაუბრება მტკვარზე, არაგვზე, თბილისზე და მცხეთაზე, ჯვარზე და ხახმატზე, ათასი წლის წინანდელ ამბებზე და დღევანდელ დღეზე. ხშირად მიმართავს იგი პოეტურ შედარებებსაც, მიმართავს იქ, სადაც კვანძის გახსნა დასჭირდება, ან საუბრის შემოკლებას მოინდომებს. და აქ მჟღავნდება, კიდევ ერთხელ, ავტორის დიდი სულიერი კულტურა.

იმისათვის რომ მკითხველს, და განსაკუთრებით არაქართველ მკითხველს, ქართული ჭედურობის გზა დაანახოს, ი. მელენტიევი საინტერესო ისტორიულ ექსკურსებს მიმართავს. იგი ხატოვნად უყვება მკითხველს, რომ ჯერ კიდევ ძველსა და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ძველი იბერიის ქალაქები ირთვებოდა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სახეს იძენდა წარმართული ღმერთების ქანდაკებებით, რომელთა შორისაც ზოგიერთი კარგა მოზრდილი იყო. „ლითონი ალბათ ამ ძველ ქანდაკებებში თავის სიტყვას უკვე ამბობდა. გამორიცხული არაა, რომ წარმართული ბომონების ადგილზე შემდეგში აღიმართა პირველი ქრისტიანული ტაძრები. ხელოვნების ისტორიკოსები ადგილობრივი და ელინური სკულპტურული ტრადიციების, ძველი კოლხებისა და შავიზღვისპირა ბერძნული კოლონიების ლითონმქანდაკებელთა ნაყოფიერ ურთიერთ ზეგავლენას მიუთითებენ.

არაბმა დამპყრობლებმა თავიანთი ბატონობის დროს დიდი ზიანი მიაყენეს ქართული პლასტიკური ხელოვნების ტრადიციებს, — სასტიკად სდევნიდნენ ფიგურულ ფორმებს და ჩუქურთმულ ელემენტებს ნერგავდნენ, როგორც ერთადერთ ლეგალურ მხატვრულ საშუალებას და რაკი ორნამენტულობა ჭეშმარიტი ქართული ხელოვნებისათვის არასოდეს ყოფილა უცხო, იგი დიდად განვითარდა ქვისა და ხის ჩუქურთმების სახით და თავისი ადგილი დაიმკვიდრა საერო და სასულიერო ნაგებობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, იარაღის, ჭურჭლის, ნაირგვარი ყოფითი ნივთების ზედაპირზე. რაც შეეხება ფიგურულ გამოსახულებებს, თუ მრგვალ ქანდაკებას, ისინი შესამჩნევად ვერ განვითარდნენ დამპყრობელთა ყოვლისდამანგრეველი შემოსევების შედეგად და იმიტომაც არის, რომ თვით ქართულმა ხელოვნებამაც დაკარგა ზოგიერთი ტრადიცია.

ქართული სახვითი ხელოვნების ერთადერთი სახე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ფიგურულ პლასტიკურ ტრადიციებს უწყვეტად ინარჩუნებდა და იმავდროულად აქტიურად და ზოგჯერ ნაყოფიერადაც ითვისებდა ნაირგვარ ორნამენტს, სწორედ ჭედურობა, ლითონის პლასტიკური ხელოვნება იყო... ქართველ მხატვართა თვითშეგნება, მათი პიროვნული ღირსების გრძნობა ჯერ კიდევ უძველეს დროში გამოვლინდა“. ამ ვრცელი ციტატით იური მელენტიევის კვლევის მეთოდზე, მოვლენათა არსში წვდომის უნარზე და ქართული კულტურის მიმართ დიდ სიყვარულზე მინდა მივუთითო. იური მელენტიევი, როდესაც ქართველი ხალხის ბედუკუღმართ ისტორიულ წარსულზე ლაპარაკობს და როდესაც უნდა გაამართლოს ქართველ ხელოვანთა დაუოკებელი ლტოლვა ჩვენი ხალხის წარსულისადმი, გრიგოლ აბაშიძის სტრიქონებს იმოწმებს:

თავმოძულებულს თათრის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით,
ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი
სუფრაზეც იჯდა ჯაჭვგაუხდელი,
...ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცვლიდა,
გარჯა თუ ლხინი ჰქონდა ახალი, —
თანდაყოლილი დედის მუცლიდან
ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარხმალი.

იური მელენტიევი მკითხველს ამომწურავად აცნობს ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიას, დაწყებული ოქრომჭედელ ასათის ჭედური ხატიდან, რომელზეც დავით კუროპალატია აღბეჭდილი და დამთავრებული ჭედურობის „უკანასკნელი მოჰიკანელით“ — ოსტატ პეპე მეუნარგიათი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე იცოცხლა.

ირაკლი ოჩიაური ბავშვობიდანვე ეზიარა ხელოვნებას. იგი ხომ ისეთი კუთხის შვილია, სადაც ყველაფერი პოეზიასაა დამორჩილებული და ახალგაზრდას შემოქმედებითი აქტივობისკენ მოუწოდებს. როგორც გველისმჭამელმა მინდიამ აღარ იცოდა რომელი ბალახისათვის ეთხოვებინა ყური, როცა ყველასი თანაბრად ესმოდა და თავგზადაკარგული ბრუნავდა მათში, ისე ფშავ-ხევსურეთში მოარულმა, იქ და-

ბადებულმა კაცმა აღარ იცის რომელ განცდას აჰყვეს, რომელ ფერს გააყოლოს მზერა, რომელ ჩქამსააყოლოს გული. აქაური კაცი ვერ დააგდებს უპატრონოდ თავისი კუთხის ტრადიციებს, აქაურ პოეზიას, აქაური წინდის ყელს — ხოხობივით მოხატულს, აქაურ თითბრით მოზიკულ ხმლებს.

ირაკლი ოჩიაურს ბედმა გაუღიმა. მისი მასწავლებელი იაკობ ნიკოლაძე იყო. მასწავლებლისგან შეგირდი მარტო ხელობას როდი სწავლობდა.. „მთავარი იყო თვით მასწავლებლის თავშეწირული ღწვა, მისი მარადისი უკმაყოფილება საკუთარი თავით, უკიდურესი მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ. ირაკლი დიდადაა დავალებული მასწავლებლისაგან მისი პლასტიკური სკოლის, პირველი წარმატებით შესრულებული სადიპლომო ნაშრომის მოწონების გამო, თვით იმ იდეის გამოც, რომელმაც ირ. ოჩიაური ახალი ქართული ჭედურობის პიონერად აქცია. ი. ნიკოლაძის სახელოსნოში ირაკლიმ ერთხელ თვალი მოჰკრა იქვე მიგდებულ ტყვიის დიდ ნაჭერს. „რაიმეში კი გამოიყენებდა კაცი, ვთქვათ, სანადიროდ“, გაიფიქრა მან. გადაუკრა კიდევაც მასწავლებელს. იმან ხმა არ გასცა. კარგა ხნის შემდეგ კი, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უთხრა: ტყვიას ხელი არ მოჰკიდო, ერთი კარგი საქმისათვის ვინახავ. თავისუფალი დრო გამომიჩნდება და მინდა ჭედურობის ტექნიკას დავეუფლო.... ეს ყველაფერი გაახსენდა ირაკლის, როცა 1951 წელს, მარტში მისი მასწავლებელი მიიცვალა“. ორი წლის შემდეგ ირაკლი ოჩიაურმა რესპუბლიკურ გამოფენაზე სხვა ნამუშევრებთან ერთად იაკობ ნიკოლაძის ჭედური პორტრეტი გამოფინა. იმ დროს მნახველთაგან აზრადაც არავის მოსვლია, რომ მათ მიერ შეუნიშნავი და აღნიშვნის მიღმა დარჩენილი ჭედური პორტრეტით იწყებოდა ახალი ხანა ქართული პლასტიკური ხელოვნების ისტორიაში. ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს არ გამოუფენია ირაკლი ოჩიაურს თავისი ჭედურობის ახალი ნიმუშები. იგი ინტენსიურად მუშაობდა ქანდაკებასა და ფერწერაში და მათ კვალდაკვალ ხვეწდა და სულს უდგამდა ჭედურობისათვის საჭირო ტექნიკას, ჰქმნიდა შესაფერის ინსტრუმენტებს. და დღეს, როცა მშობელი სამხატვრო სალონში თავის შვილს ჭედურობისათვის საჭირო ჩაქუჩს შეუძენს, ფიქრადაც კი არ მოუვა, რომ სულ ოციოდე წლის წინათ მთელ თბილისში მხოლოდ ერთი ჩაქუჩი კაკუნობდა. აი თვით ირ. ოჩიაურის სიტყვები: „ახალი ფორმის, სტილის, ტექნიკის, ინსტრუმენტების, კომპოზიციური ხერხების შექმნას ათი წელი მოვანდომე, ეს იყო „საინკუბაციო პერიოდი“. 1962 წელს ჭედურობით დაინტერესდნენ ახალგაზრდა მოქანდაკეები — მე გამიჩნდნენ მიმდევრები“.

დღეს, როდესაც თანამედროვე ქართულ ჭედურობაზე ლაპარაკობენ, ხშირად ჩივიან ხოლმე — პლასტიკური ხელოვნების ამ დარგს ბევრი მიეკედლა, ისეთებიც, რომელთაც ხელი მოეცარათ ქანდაკებაში და ისეთებიც, რომლებმაც ჭედურობას პრაქტიკული მიზნებით მიაშურეს. მაგრამ ეს საშიში როდია. სასიხარულოა, რომ თვითონ ამ საქმის „მიზეზთა მიზეზი“ — ირ.ოჩიაური არ უყურებს ამ ფაქტს გულგატეხილი. „მე ის კი არ მაწუხებს, რომ ჭედურობას ბევრმა მოჰკიდა ხელი. ფერწერა, ხომ არ გადაგდებულა იმის გამო, რომ ვიღა არ ხატავდა. მათ შორის იყვნენ ოსტატებიც და დილეტანტებიც, უმეცარნიც და გზის გამკვალავნიც. მე სხვა რამ მაშფოთებს — როგორ მოვექცეთ ჭედურ ნამუშევრებს, აქ სპეციფიური მიდგომაა აუცილებელი. ჭედურ ნამუშევრებს ყველგან ვერ ჩამოკიდებ, კარგი ნამუშევარიც კი ყოველთვის როდი მოუხდება ინტერიერს“.

ირ. ოჩიაური ფართო ინტერესების, მრავალმხრივი შესაძლებლობების მხატვარია და ეს კარგად არის ასახული, როგორც ი. მელენტიევის ნარკვევში, ისე ალბომში გამოქვეყნებულ ილუსტრაციებში და მკითხველს, სახვითი ხელოვნების მოყვარულს ბედნიერი შესაძლებლობა ეძლევა სრულყოფილად გაეცნოს შესანიშნავი ქართველი ხელოვანის შემოქმედებას.

ხ. ჩიტაური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ